დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

დავით ჩარკვიანი

ფსიქიკურ მოვლენათა კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

UDC (უაკ) 159.9.018
ჩ-241

წიგნში, რომელიც ავტორის მიერ სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებულ შრომათა კრებულს წარმოადგენს, ფსიქიკური მოვლენების ცდისეული შესწავლის მნიშვნელოვანი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპებია განხილული. ნაშრომში დახასიათებულია ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგებში წარმოებული ემპირიული კვლევის თავისებურებები. წიგნში ყურადღება შეფასებითი მსჯელობებისა და გადაწყვეტილებათა მიღების კანონზომიერებათა შესწავლაზეა გამახვილებული. ნიშანდობლივია, რომ ავტორის მიერ მეცნიერული კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები ადამიანის როგორც შინაგანი ფსიქიკური აქტივობის, ასევე მისი რეალური ქცევის სხვადასხვა ფორმებთან მიმართებაშია გაანალიზებული.

წიგნი განკუთვნილია ფსიქოლოგიაში და სხვა სოციალურ მეცნიერებებში მიმდინარე კვლევა-ძიების თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

სამეცნიერო რედაქტორი:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპ., პროფესორი ირაკლი იმედაძე

© დ. ჩარკვიანი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-881-3

ავტორის შესახებ

წიგნის ავტორი – დავით ჩარკვიანი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, დ. უზნაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი. დავით ჩარკვიანის მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობა საკითხების საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს: ადამიანის სხვადასხვა სახის განწყობათა სტრუქტურის ჩამოყალიბება, მათი შეცვლის კანონზომიერებების ექსპერიმენტული კვლევა, სოციალური სიტუაციების კლასიფიკაციის მეთოდოლოგიური ანალიზი, აღქმის, ატრიბუციის, შემეცნებითი დისბალანსის, შეფასებითი მსჯელობების, ალბათური აზროვნების, ადამიანის ნებელობითი აქტივობის პრიცესში გადაწყვეტილებათა მიღების, მისი პროფესიული საქმიანობის საფუძვლად მდებარე შრომით განწყობებათა ფუნქციონირების თავისებურებათა ემპირიული შესწავლა, ფსიქომეტრიკის ზოგადი მეთოდოლოგიური საკითხების ანალიზი. აღსანიშნავია დავით ჩარკვიანის ორმოცწლიანი ფრიად ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა: ის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში "ზოგადი," "სოციალური", "მართვის," "მრეწველობისა და ორგანიზაციის", "გამოყენებითი," "მოტივაციის", "სპორტის" ფსიქოლოგიის ზოგად და სპეცკურსებს კითხულობს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 5

❖ ფსიქიკური განვითარების შესწავლის
თანამედროვე მეთოდები 43

❖ კვლევის მეთოდები ინდუსტრიისა და
ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში 92

❖ განწყობათა იერარქიული სტუქტურა და ქცევა 146

❖ სოციალური განწყობა და ქცევა:
გაზომვის მეთოდოლოგიური შესაბამისობის პრინციპი 165

❖ ცნობიერების დავიწროების მოტივაციური
მახასიათებლები 182

❖ პერცეპტული ეტალონების მოქმედება
არჩევანის ვითარებაში 193

❖ ღირებულებითი პრინციპების მნიშვნელობა
მორალური მსჯელობის და მორალური ქცევის
კანონზომიერებათა შესწავლაში 219

❖ განწყობის ობიექტური ფაქტორი და
მომუშავის ქცევის წინასწარმეტყველება ორგანიზაციაში 244

❖ პროფესიული საქმიანობის შეფასების
კონცეფტური და პრაქტიკული კრიტერიუმები 273

❖ სამრეწველო ორგანიზაციების
კულტურათაშორისი კვლევა 292

❖ განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა
მიღების ფსიქოლოგიური თავისებურებები
დ. კანემანისა და ე. ტვერსკის მიხედვით 309

❖ გადაწყვეტილებათა მიღების სტატიკური და
დინამიკური მახასიათებლები 336

❖ ევრისტიკული მსჯელობა:
ახალი კონცეფტური მიდგომები 359

❖ მიზანდასახული ქცევის სხვადასხვაგვარ რეჟიმში
ფუნქციონირება და ალბათური მსჯელობა 406

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გასულ საუკუნეში მეცნიერული კვლევის ლოგიკა და მეთოდოლოგია დამოუკიდებელ მეცნიერულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მომუშავე სპეციალისტები ემპირიული კვლევის სხვადასხვა ფორმების მნიშვნელობას კარგად აცნობიერებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით კვლევის ექსპერიმენტული მეთოდია ხაზგასასმელი. ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე მეცნიერული ცოდნის მოპოვებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობის დროს მიზანშეწონილად შემდეგის გათვალისწინება მიგვაჩნია. ფსიქიკურ მოვლენათა კვლევის პროცესში ნიშანდობლივია ის, რომ დასაბუთებული და სანდო ცოდნის მიღება არა ცალკეული, ანუ "კრიტიკული" ექსპერიმენტის, არამედ მრავალჯერადი ექსპერიმენტირების მეშვეობით წარმოებს. დღეს ჩატარებული ექსპერიმენტები, რომლებიც წარმატებულად არის მიჩნეული, სხვა დროს და სხვა ვითარებაში განმეორებით უნდა ჩატარდეს, რაც მათი ვალიდობის დადგენის მნიშვნელოვანი საშუალება იქნება. გარდა ამისა, იმის მიუხედავად, რომ ექსპერიმენტი ამა თუ იმ კონცეფციის ჭეშმარიტობა-მცდარობის დადგენის საფუძვლად არის მიჩნეული, ერთმანეთთან დაპირისპირებულ თეორიათა სიავკარგის გამოვლენის ერთადერთ კრიტერიუმად ის მაინც ვერ ჩაითვლება. საქმე იმაშია, რომ რაიმე მოვლენის შესახებ არსებული კომპეტენტური თვალსაზრისები, გარკვეულწილად, რეალობის შესახებ სწორ მონაცემებს გვაძლევენ და აქედან გამომდინარე, რაც უფრო დიდია მათ შორის განსვლა, მით უფრო მოსალოდნელია ჭეშმარიტი ცოდნის

შეძენა. ასეთ შემთხვევაში, ექსპერიმენტულმა კვლევამ ერთგვაროვანი შედეგები შეიძლება არ მოგვცეს. მრავალჯერადი ექსპერიმენტირება, კრიტიკულ ექსპერიმენტთან შედარებით, უფრო გამართლებულად სწორედ ამიტომ უნდა ჩავთვალოთ.

მიგვაჩნია, რომ, სხვა ავტორებთან შედარებით, თეორიისა და შესაბამისი კვლევის არსი მრავალმხრივ და პროდუქტიულად გამოჩენილი ფსიქოლოგის კურტ ლევინის მიერ არის გაანალიზებული. მისი აზრით, მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი დანიშნულება მოვლენათა აღმწერი სიტყვების ცნებებად, ანუ კონსტრუქტებად სწორ გარდაქმნაში მდგომარეობს. მისთვის ფუნდამენტურ კონსტრუქტს ველის ცნება წარმოადგენს. ადამიანის ზოგადი, მთლიანი აქტივობა (რეალური ქცევა, აზროვნება, სურვილი, პრეტენზიის დონე, ინტერესები, მოვლენათა შეფასებები და სხვა) გაგებულია როგორც დროის მოცემულ მომენტში ფსიქოლოგიური ველის, ანუ სასიცოცხლო სივრცის გარკვეული ცვლილება. საკუთარი თეორიის შესახებ ის აღნიშნავს: "ამდენად, საეჭვოა, რომ ველის თეორიას სწორი ან მცდარი ვუწოდოთ და მის მიმართ ჩვეულებრივი მნიშვნელობით გააზრებული ტერმინი "თეორია" გამოვიყენოთ. ალბათ უმჯობესია ველის თეორია დავახასიათოთ როგორც მეთოდი, კონკრეტულად კი მიზეზობრივი კავშირებისა და მეცნიერული კონსტრუქტების შექმნის მეთოდი. მიზეზობრივი კავშირების ანალიზის აღნიშნული მეთოდი ცვლილებების პირობათა "ბუნების" შესახებ გამოთქმული ზოგადი დებულებების ფორმით შეგვიძლია გამოვხატოთ. ამ შემთხვევაში არ გახ-

ლავთ სავალდებულო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამ-დენადაა ამგვარი დებულება "ანალიტიკური" (ლოგიკური, აპრიორული) და მას "ემპირიულობა" რამდენად ახასია-თებს" [К.Левин. Теория поля в социальных науках.С.Петербург, 2000, стр. 66]. ამდენად, ფსიქიკურ მოვ-ლენათა შესახებ სათანადო ცნებითი კონსტრუქტების ჩა-მოყალიბების თვალსაზრისით, მეცნიერული თეორია და კვლევის მეთოდოლოგია, ფაქტობრივად, იდენტური არიან. *მეთოდოლოგია, ზოგადად, ცოდნის ძიების სისტემატური და ლოგიკურად თანამიმდევრული კვლევითი ხერხების შექმნის პროცესად შეგვიძლია განვმარტოთ.*

მეცნიერული კვლევა-ძიების სპეციფიკა შემდეგში გა-მოიხატება. არსებული გარე და ადამიანის შინაგანი სამ-ყაროს შესწავლის დროს მკვლევარი გარკვეულ მეცნიე-რულ დაშვებებს ეყრდნობა. ივარაუდება, რომ ადამიანები *დეტერმინისტული* ბუნების მქონე სამყაროში ცხოვრობენ. სამყაროში მიმდინარე პროცესები სისტემატური ფორმით წარიმართებიან. დეტერმინიზმის პრინციპის თანახმად, ყოველ მოვლენას ბუნებრივად არსებული და პოტენციუ-რად დაკვირვებადი მიზეზი გააჩნია. ამავე დროს, ისიც ივარაუდება, რომ მიზეზთა მოქმედების კანონზომიერება ადამიანის ნების თავისუფლებას და ზნეობრივ გავლენას არ გულისხმობს, ისინი მისი მოქმედების ფარგლებს მიღ-მა იმყოფებიან. ამის შესახებ ფსიქოლოგიაში ერთ-ერთმა პირველმა უილიამ ჯემსმა მიუთითა. მისი აზრით, კვლე-ვა-ძიების დროს მეცნიერი დეტერმინიზმის პრინციპით უნ-და ხელმძღვანელობდეს, ხოლო თავისუფალი ნების დაშ-ვების ცდუნებას შეუძლია აჰყვეს ყოველდღიურ ცხოვრე-

ბაში. ამავე დროს, უკიდურესი დეტერმინიზმი, განსაკუთრებით ადამიანის სოციალური ქცევის მიზეზთა ახსნაში გაუმართლებელია, ვინაიდან ამან, თუნდაც მორალური თვალსაზრისით, მიუღებელ დასკვნებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. მაგალითად, კეთილშობილური (ვთქვათ, გაჭირვებულისთვის უანგარო დახმარების აღმოჩენა) და ბოროტი (ვთქვათ, ხალხის გენოციდი) მოქმედებიდან გამომდინარე შედეგების გათვალისწინება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკეთის დაფასება და ბოროტების დაგმობა, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება.

როდესაც მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის ადამიანში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებს და მის რეალურ ქცევას, დეტერმინისტული ხასიათი გააჩნია, ისინი ე.წ. ღია სკეპტიციზმის პრინციპს ეყრდნობიან. ამ პრინციპის თანახმად, ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს ზედმეტ უნდობლობას და ზედმეტ მიმნდობლობას შორის გარკვეული თანაფარდობა უნდა იყოს დაცული, ანუ არცერთი დებულების უკრიტიკოდ უარყოფა ან მისი უკრიტიკო მიღება არ უნდა მოხდეს. ნებისმიერი დებულების ჭეშმარიტობა-მცდარობის საკითხი სათანადო კვლევა-ძიების ემპირიული მონაცემებით უნდა დასაბუთდეს. ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მკვლევარის მხრიდან შემოქმედებითი სკეპტიციზმის გამოვლენა განსაკუთრებით ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგებში აუცილებელია. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მოპოვებული ცდისეული მონაცემების სანდოობა და საბუთიანობა, ხშირად, აუცილებელ გადამოწმებას მოითხოვს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ემ-

პირიულ შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა გამოკვლევის ჩატარების დრომ და სიტუაციამ შეიძლება მოახდინოს. ადამიანის რეალური ქცევის ასპექტით ეს იმას ნიშნავს, რომ რაც ერთ პირობებში და ერთ ადგილას ერთგვარად ელინდება, სხვა ვითარებაში და სხვა დროს სხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს. ამდენად, ემპირიულად დადგენილი ფსიქიკური კანონზომიერებები არ ასახავენ "აბსოლუტურ ჭეშმარიტებას" – ისინი მხოლოდ ფარდობით სისწორეს ადასტურებენ.

გარდა ამისა, ივარაუდება, რომ, თუ ქცევის საფუძვლად მდებარე მიზეზობრივი კანონების დადგენა შეგვიძლია, მაშინ, პრინციპში, სხვადასხვა სახის მოქმედებათა პროგნოზირებაც არის შესაძლებელი. მკვლევარი *ემპირიზმის* პრინციპს უნდა ეყრდნობოდეს, ანუ მან სამყაროში არსებული მოვლენები უშუალო დაკვირვებით, მოვლენებისა და ობიექტების თვისებათა სათანადო საზომი ხერხების გამოყენებით და ექსპერიმენტის საშუალებით უნდა შეისწავლოს. გარდა ამისა, იგულისხმება, რომ მკვლევართა მიერ შესწავლილი მიზეზობრივი კავშირები, თავისი არსით, ინვარიანტული არიან. მაგალითად, ივარაუდება, რომ ფსიქიკური კანონზომიერებები იმდენად არიან ინვარიანტული, რამდენადაც "პირობათა ერთგვარობის შემთხვევაში" (რაც, რასაკვირველია, არც თუ ისე ადვილი მისაღწევია) ადამიანის შინაგანი ფსიქიკური აქტივობა და მისი რეალური მოქმედებაც ზოგადად მყარი იქნება. აგრეთვე გასათვალისწინებელია მოთხოვნა, რომლის თანახმად, მკვლევარი *ოპერაციონალიზმის* პრინციპს უნდა ეყრდნობოდეს. ისეთი საკმაოდ აბსტრაქტული მოვლე-

ნების შესწავლის დროს, როგორიც არის, ვთქვათ, ადამიანთა შორის "მიმზიდველობა" ან "სტრესი," მკვლევარი მათთვის შესაბამის ცნებათა ოპერაციონალურ განსაზღვრებებს ქმნის და შემდგომ სათანადო ფაქტორთა მანიპულირების პროცესში სანდო და საბუთიან საზომ საშუალებებს იყენებს. ისიც იგულისხმება, რომ ადამიანის ფსიქიკური პროცესებისა და მისი რეალური ქცევის შესწავლა *ობიექტურობის* პრინციპზე უნდა იყოს დაფუძნებული. ეს იმას ნიშნავს, რომ შესასწავლი მოვლენის შესახებ მკვლევარის მიერ წინასწარ შემუშავებულმა ჰიპოთეზამ და მისგან გამომდინარე სათანადო მოლოდინმა საკუთრივ გამოკვლევის მიმდინარეობაზე არ უნდა მოახდინოს ზემოქმედება, ანუ მეცნიერულ კვლევაში თვით მკვლევარის ტენდენციურობა გამორიცხული უნდა იყოს.

ზემონათქვამის გარდა საკუთრივ *კვლევის მიზნებია* გასათვალისწინებელი. ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლის პროცესში მკვლევარი შემდეგ მიზანთა მიღწევას უნდა უზრუნველყოფდეს. პირველი, მან შესასწავლი ობიექტის ადეკვატური აღწერა უნდა მოახერხოს. მეორე, შესასწავლი ობიექტის აღწერის შემდეგ მოვლენათა შორის სათანადო მიზეზობრივი მიმართებების დადგენა გახლავთ საჭირო. მესამე, საჭიროა შემოწმებადი კონცეფციის შემუშავება, ხოლო თუ მისგან გამომდინარე პროგნოზი ემპირიულად მართლდება, მაშინ თვით კონცეფციის დასაბუთებასთან გვექნება საქმე. მეოთხე, სასურველია მიღებული შედეგის ან შედეგების პრაქტიკაში დანერგვა, მაგალითად, სოციალურად მისაღები ქცევის წახალისება, ხოლო სოციალურად მიუღებელი მოქმედების გაკონტროლე-

ბა ან მისი აღმოფხვრა. ამასთან დაკავშირებით ხაზი შემდეგს გვინდა გავუსვათ. ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგებში მოპოვებული მონაცემების გამოყენება, გარკვეულ ფარგლებში მათი სანდოობისა და საბუთიანობის შემოწმება სხვადასხვა სახის დაწესებულებებში (სამრეწველო, სამხედრო, სასწავლო სამედიცინო და ა.შ.) ე.წ. სპეციალური პროგრამების (მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ზემოქმედება, სხვადასხვა ფორმის პროფესიული გავარჯიშება, სასკოლო და უმაღლესი განათლების სწავლებაში მეთოდურ სიახლეთა შეტანა და ა.შ.) რეალიზაციის შემთხვევაში ხდება. ამგვარი პროგრამების განხორციელების ძირითად მიზანს, უმეტეს შემთხვევაში, არა მეცნიერული ცოდნის გაღრმავება, არამედ სოციალურ ჯგუფებში ურთიერთობების განმტკიცება, მათი ფუნქციონირების გაუმჯობესება წარმოადგენს. ამგვარი პროგრამების თავისთავად მხოლოდ ამოქმედება მეცნიერულ-კვლევით ღონისძიებად ვერ ჩაითვლება, რადგან, ხშირად, კონკრეტული სოციალური ზემოქმედების შედეგად თვით დაკვირვების სამიზნე ობიექტი ცვლილებას ისე განიცდის, რომ მისი სათანადო კონტროლი არ ხდება. ამ შემთხვევაში მუდამ არსებობს იმის საშიშროება, რომ აღნიშნული აუცილებელი კონტროლის გაწევის უუნარობის გამო თვით თეორიული ვარაუდების (რასაკვირველია, თუ ისინი საერთოდ არსებობენ) რეალობასთან შესაბამისობის საკითხი ეჭვის ქვეშ დადგეს. ასეთ ვითარებაში ჰიპოთეზები შეიძლება ცალკე "ჰაერში გამოკიდებული" დარჩნენ და მხოლოდ გონებაჭვრეტითი, სინამდვილისგან მოწყვეტილ აბსტრაქციებად გადაიქცენ, რადგან ისინი

სოციალური ქცევის ზუსტად და ნათლად დადგენილ რეალურ მიზეზებს ვერ ასახავენ.

როდესაც მსჯელობის საგანი მეცნიერული კვლევის თავისებურება გახლავთ, ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ მწვავე კამათი სხვადასხვა თეორიული ორიენტაციების წარმომადგენელთა შორის (მაგალითად, ტრადიციული დაპირისპირება გაგებით ფსიქოლოგიასა და საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიას შორის) დღესაც ძალაში რჩება. ამ დაპირისპირების ქვაკუთხედი ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლის მეთოდოლოგიის რომელობაში მდგომარეობს. აქ, ბუნებრივია, დაისმის შემდეგი კითხვები: რომელ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ორიენტაციას მიესადაგება მოცემულ წიგნში განხილული ზოგადი მეთოდოლოგიური საკითხები, გარკვეული კონცეფტური მოდელები და მოყვანილი ცდისეული მონაცემები? კვლევითი მეთოდოლოგიის რომელ მიმართულებას მიეკუთვნება განწყობის ფსიქოლოგია? მიგვაჩნია, რომ ამ კითხვებზე ნათელი პასუხი გაცემული აქვს ი. იმედაძეს, როდესაც ის, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, ფსიქლოგიაში ამჟამად არსებულ კვლევის მეთოდოლოგიის პრობლემატიკას აანალიზებდა: "რაც შეეხება მეორე სახის ე.წ. საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიას, საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე, იგი წარმოდგენილია ისეთი სისტემებით, რომელთათვისაც იდეალს მკაცრი მეცნიერულობა, ანუ სციენტიზმი წარმოადგენს. ისინი ორიენტირებული არიან ზოგადი კანონზომიერების დადგენაზე ზუსტი ემპირიული პროცედურებისა და მეთოდების გამოყენებით. მათი მთავარი მიზანი თეო-

რიული დებულებების შემოწმებადობის მიღწევა და ფაქ-
ტობრივი ვითარებების მაქსიმალურად მაღალი ალბათო-
ბით პროგნოზირებაა... ფსიქოლოგიური მიმდინარეობები-
დან ამ პრინციპებით მეტ-ნაკლებად ხელმძღვანელობდა
ბიჰევიორიზმი, გეშტალტფსიქოლოგია, ველის თეორია,
გენეტიკური ფსიქოლოგია, განწყობის ფსიქოლოგია, ზო-
გიერთი პერსონოლოგიური სისტემა და კოგნიტივიზმი".
(ი. იმედაძე. 20 საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდი-
ნარეობები. თბილისი, 2004, გვ.17). ნათქვამის გარდა საყუ-
რადღებოა შემდეგი. როდესაც ჩვენი მსჯელობის ძირითა-
დი საგანი ფსიქოლოგიაში მიმდინარე კვლევის თეორიუ-
ლი და მეთოდოლოგიური საფუძვლები, მის მიერ მოპოვე-
ბული ცოდნის სანდოობისა და საბუთიანობის დამდგენი
პრინციპებია, მაშინ დამატებით შემდეგი კითხვა ჩნდება:
რა მიმართებაშია არიან ისინი შემეცნების ფილოსოფიურ
თეორიასთან? ამ კითხვასთან დაკავშირებით მოკლედ
შემდეგს აღვნიშნავთ. ერთი მხრივ, ფსიქოლოგიამ, რო-
გორც მეცნიერების ერთ-ერთმა ემპირიულმა დარგმა მის
მიერ მოპოვებული ექსპერიმენტული მონაცემების ანალი-
ზის საფუძვლად მდებარე წანამძღვრების კრიტიკა უნდა
აწარმოოს, ხოლო, მეორე მხრივ, გნოსეოლოგიურ დონე-
ზე, რასაკვირველია ფილოსოფიასთან ერთად, საკუთარი
მოქმედების ფარგლები უნდა განსაზღვროს. გარდა ამისა,
ფილოსოფიამ თანამედროვე ფსიქოლოგიაში მიმდინარე
კვლევა-ძიებაზე მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი გავ-
ლენა შეიძლება მოახდინოს. კერძოდ, ამ მეცნიერულ
დარგში ამჟამად არსებული მონაცემების ანალიზის შე-
დეგად მას კვლევის ახალი პრობლემატიკაც შეუძლია

შესთავაზოს. ამასთან ერთად, ფილოსოფიას მეცნიერული პრობლემის ახალი კუთხით დანახვის უნარი გააჩნია, რაც, თავის მხრივ, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა-ძიების ახლებური მიმართულებით წარმართვის განმაპირობებელი იქნება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ფსიქიკური პროცესებისა და მისი ღია ქცევის შესახებ ფსიქოლოგიის მიერ მოპოვებული ცოდნა, თავისი შინაარსით, ჯერჯერობით ფრაგმენტული და არასრულყოფილია. რამდენად ღირებულია ეს ცოდნა ადამიანისთვის? როგორ გაიაზროს და გამოიყენოს მან ეს ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში? ამ კითხვებზე პასუხების გაცემა ფილოსოფიური მიდგომის გარეშე შეუძლებელია. ექსპერიმენტული გზით გარკვეული ცოდნის მოპოვება კონკრეტული მეცნიერული საქმანობის დონეზე მიმდინარე პროცესია, ხოლო ამ ცოდნის ჭეშმარიტობა-მცდარობის, სინამდვილესთან მისი შესაბამისობის დადგენა მხოლოდ მსჯელობის გნოსეოლოგიურ დონეზეა შესაძლებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების მნიშვნელოვანი მახასიათებელი იმაში მდგომარეობს, რომ თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი საგნისადმი ერთიანი, უნივერსალური მიდგომა არ არსებობს. ასეთ ვითარებაში ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლა ე.წ. ანალიზის სხვადასხვა დონის პრინციპის საფუძველზე წარმოებს. ამგვარი ანალიტიკური პრინციპის გამოყენების აუცილებლობა საკუთრივ ადამიანის ფსიქიკური აქტივობისა და მისი რეალური ქცევის რთული, მრავალგანზომილებიანი ბუნებით არის

განპირობებული. მაგალითისთვის მივმართოთ ფსიქიკური აქტივობის ისეთ სახეს, როგორსაც მეტყველება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში დაისმის შემდეგი კითხვა: რატომ და როგორ ხდება მეტყველების საშუალებით კომუნიკაციის დამყარება? მასზე სათანადო პასუხის გასაცემად მკვლევარებმა ეს პროცესი ანალიზის სხვადასხვა დონეზე უნდა განიხილონ და შეისწავლონ. მიზნად შესაძლოა ენის ფუნქციონირების ძირითადი დანიშნულების გარკვევა იყოს დასახული. ზოგადი თვალსაზრისით, მეტყველებას აშკარა და უშუალო პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. კერძოდ, ის ადამიანს სხვა ადამიანებთან ქმედითი ურთიერთობის საშუალებას აძლევს, რაც ორივე მხარის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საწინდარი ხდება. საბოლოო ჯამში, მეტყველების მეშვეობით ენობრივი მასალის ამოქმედება ადამიანის გარემოსადმი არა მარტო შეგუების, არამედ მისი სათანადო მიმართულებით გარდაქმნის ხელშემწყობია. ანალიზის *მოლეკულურ*, ანუ მეტყველების უმარტივეს ელემენტთა გამოყოფის დონეზე მკვლევარმა მისი ფსიქოფიზიოლოგიური შინაარსის მქონე კომპონენტები შეიძლება შეისწავლოს. მოვლენათა კვლევის ამ დონეზე მეტყველების პროცესი პირისა და ენის მიძრაობის, სმენის ორგანოსა და თავის ტვინის სათანადო უბნის ელექტრული აქტივობის სტრუქტურულ ელემენტებად დაყოფის ასპექტით შეიძლება იყოს გამოკვლეული. ზოგიერთი მკვლევარი მეტყველების დეტერმინანტებს მოლეკულურ დონეზე იკვლევს და ამდენად შესწავლილი მოვლენის განმსაზღვრელი მექანიზმი ბიოლოგიურ ან ქიმიურ პროცესებამდე დაჰყავს. ამგვარი მიდგო-

მა, პრინციპში, ავტორთა შედარებით მცირე ნაწილისთვის არის მისაღები, მათი უმრავლესობა კი ასეთი *რადიკალური რედუქციონიზმის* წინააღმდეგია.

ანალიზის მოლეკულურ დონეს ანალიზის *მოლარული* დონე უნდა დაემატოს. მოლარულ დონეზე მეტყველების ანალიზის შემთხვევაში აშკარა გახლავთ, რომ ახალშობილს ამგვარი ფსიქიკური აქტივობის უნარი არ გააჩნია. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ენობრივი მასალის გამოყენების შესწავლა ფსიქიკური განვითარების კონტექსტის გათვალისწინებას მოითხოვს. მკვლევარმა ოთხიდან ხუთი წლის ასაკში კომუნიკაციაში მომხდარი თვისებრივი ცვლილების განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა შეიძლება დაისახოს მიზნად. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ აღნიშნული გარდატეხა ბავშვის მიერ ცალკეულ სიტყვათა ათვისებასთან, მათ გამოთქმასთან და მათგან სათანადო წინადადებების აგებასთან არის დაკავშირებული. ეს თვისებრივი ცვლილება, ერთი მხრივ, ბავშვის ფიზიოლოგიური მომწიფებით, მეორე მხრივ კი მისი შემეცნებითი პროცესების განვითარებით არის განპირობებული. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ სრულფასოვანი სურათის მიღება მხოლოდ ორივე ფაქტორის შესწავლის საფუძველზეა შესაძლებელი. აღნიშნულის გარდა, მოლარული ანალიზის დონეზე მკვლევართა ინტერესი საკუთრივ ენის დაუფლების, ანუ დასწავლის პროცესზე შეიძლება იყოს მიმართული. ნათელია, რომ მეტყველება თანდაყოლილი რეფლექსი არ გახლავთ. ისიც ცხადია, რომ სხვა ცოცხალი ორგანიზმები საკუთარ ცდისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით რთული ქცევის სხვადასხვა ფორმებს

ეუფლებიან, მაგრამ მათ მეტყველების შეძენის უნარი არ გააჩნიათ. ენობრივი მასალის ათვისების კანონზომიერებათა გააზრება დასწავლის პროცესის ძირითადი პრინციპების დადგენას, ადამიანური და ცხოველური კომუნიკაციების თავისებურებათა შედარებას გულისხმობს. მხედველობაში ისიც მისაღებია, რომ მეტყველების დაუფლება განმაზოგადებელი შემეცნებითი უნარების არსებობასთან ორგანულად არის დაკავშირებული. სიტყვების გაგება და მათი სათანადო ფორმით გამოყენება ადამიანის მიერ მათში ჩადებული მნიშვნელობის დამახსოვრების საფუძველზე ხდება. მეხსიერებაში ამ სიტყვების არა მარტო ადეკვატური ცნობის ინფორმაცია ინახება, არამედ მასში მათ შესახებ ცოდნაც არის ასახული. ეს, საბოლოო ჯამში, ადამიანებს სიტყვების სიმბოლურ სამყაროში სათანადო ობექტებსა და მოვლენებს შორის არსებულ მიმართებათა ინტერპრეტაციისა და გააზრების საშუალებას აძლევს. მოლარული ანალიზის დონეზე მკვლევარმა ენობრივ კომუნიკაციასა და ისეთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენებს შორის კავშირი შეიძლება შეისწავლოს, როგორიც არის აგრესია, პროსოციალური ქცევა, სოციალური ზემოქმედება, პიროვნებათშორისი ურთიერთობები, განწყობების ფორმირება და შეცვლა, შეფასებითი მსჯელობების სხვადასხვა ფორმები და ა.შ.

როდესაც ფსიქიკური მოვლენების საზომ საშულალებათა (შესაბამისად, სათანადო ემპირიულ მინაცემთა) სანდოობის და მათი საბუთიანობის შესახებ ვმსჯელობთ, მაშინ, ფაქტობრივად, შემეცნების სუბიექტსა და რეალობას შორის არსებული კავშირის ზოგად გნოსეოლოგიურ

პრობლემასთან გვაქვს საქმე. საგულისხმოა, რომ ამჟამად ფსიქოლოგიაში (ეს, განსაკუთრებით კოგნიტივისტურ მიმდინარეობას ეხება) ფართოდ გავრცელებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომად ე.წ. "სოციალური კონსტრუქტივიზმი" განიხილება. ამ ზოგადთეორიული ორიენტაციის თანახმად, შემეცნების უკვე აღქმისეულ დონეზე ადამიანის პერცეპტული გამოცდილება გაიაზრება უფრო ფართო შინაარსის მქონედ, ვიდრე მოსულ ინფორმაციაზე მისი უშუალო და მარტივი რეაგირება. პერცეპტული გამოცდილება გაგებულია როგორც რთული კონსტრუქტი, რომელიც შემეცნებითი და გრძნობად-ემოციური მოვლენებით არის დატვირთული. აღსანიშნავია, რომ ამავე თეორიული მიდგომის უკიდურესი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის მქონე მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ არსებული სინამდვილე, ფაქტობრივად, ამა თუ იმ სოციალურ სისტემაში მოქმედ ადამიანთა შემეცნებითი "*კონსტრუქტების*" შექმნის შედეგია. კონსტრუირებული სინამდვილე მნიშვნელობათა რეალობად განიხილება, რომლის აგების ძირითადი საფუძველი ენა და სიმბოლოებია. დროთა განმავლობაში, ადამიანთა აქტიური ურთიერთმოქმედების საფუძველზე მათივე სხვადასხვა ფორმის ქცევათა შაბლონიზაციასთან (სათანადო სოციალური ნიმუშების მიხედვით მოქმედებების გაერთმნიშვნელოვნება) გვაქვს საქმე. როდესაც ქცევის ამგვარი ფორმები სხვებსაც, კერძოდ, შემდგომი თაობის წარმომადგენლებს გადაეცემა, მაშინ ისინი კანონიერ ძალას იძენენ. ამ კონცეფტური მიდგომის ძირითადი დებულება შემდეგში მდგომარეობს: თანდათანობით, მოქმედებათა დაკანონებული ფორმების და

მათი შესაბამისი მარეგულირებელი წესების გასაგნება, ანუ მატერიალიზაცია ხდება, რის შედეგადაც ისინი უკვე ადამიანებისგან დამოუკიდებელ მოვლენებად აღიქმებიან და მოიაზრებიან. ამდენად, სოციალური რეალობა, არსებითად, ამგვარი ქცევების ერთობლიობად წარმოდგება. გარდა ამისა, თეორიულად იგულისხმება, რომ საკუთრივ ადამიანთა სოციალურმა ურთიერთმოქმედებამ ეს რეალობა შეიძლება "ხელმეორედ დაასაბუთოს" ან მასში გარკვეული ეჭვი შეიტანოს და შემდგომში გარდაქმნას კიდეც. სწორედ ამის გამოა, რომ სოციალური რეალობა შინაგნად არამყარია, ის ცვლილებებისადმი ღია წარმონაქმნია და ადამიანის მიერ მუდმივი ქმნადობის ობიექტად გვევლინება.

სოციალური შემეცნების ერთ-ერთ თვალსაჩინო მკვლევარის მ. კუკის აზრით: "პერცეფციის სიზუსტე სინამდვილის აღქმის შესაძლებლობას გულისხმობს, ხოლო სოციალურ ფსიქოლოგიაში ახლახან აღორძინებული ფენომენოლოგიური მიდგომები ტენდენცირებული იმისკენ არიან, რომ უარყონ ამგვარი რეალობის არსებობა" [Cook, M. Issues in person perception. London,:Methuen, 1988, p.9]. დღეს, ადამიანის შემეცნებითი აქტივობის განმსაზღვრელი ფსიქიკური მექნიზმების, ამ აქტივობიდან გამომდინარე შედეგების გააზრებასა და კვლევა-ძიებაში კონსტრუქტივისტული ორიენტაციის თავისებური სახით დომინირება შემდეგში გამოიხატება: პირველი, თეორიული შინაარსის მქონე მრავალ სტატიებში ის აზრია გატარებული, რომ ადამიანის თვალსაზრისი (მრწამსი) უფრო მეტად "ქმნის" სოციალურ სინამდვილეს, ვიდრე ამ თვალსაზრისზე სო-

ციალური სინამდვილე ზემოქმედებს; მეორე, სხვადასხვა სახის პრობლემურ ვითარებებში მყოფი შემეცნების სუბიექტის სწორი მსჯელობა და მის მიერ სწორი არჩევანის გაკეთება, უმეტესად, უგულებელყოფილია; მესამე, ემპირიული გამოკვლევების უმრავლესობაში ადამიანის მიერ გამოვლენილი შემდეგი შემეცნებითი ბუნების ტენდენციურობებია ხაზგასმული: *ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომა* (სხვისი ქცევის მიზეზების განსაზღვრის პროცესში გარეგანი ფაქტორების შეუფასებლობის და შინაგანი ფაქტორების გადაფასების ტენდენცია), *კონტროლის ილუზია* (შემთხვევითი ბუნების მქონე მოვლენათა გაკონტროლების შეუძლებლობის უგულებელყოფა და მათზე საკუთარი ზემოქმედების შესაძლებლობის გადაფასება), *თვითგანხორციელებადი მოლოდინი* (ადამიანის იმგვარად მოქმედება, რომელიც მის მიმართ არსებულ სხვა ადამიანთა მოლოდინებს ამართლებს), *რეტროსპექციული აზროვნება* (ადამიანის იმაში დარწმუნებულობა, რომ წარსულში ის სავსებით ნათელი იყო, რაც შემდგომში ნამდვილად მოხდა), *ილუზორული კორელაცია* (ორ მოვლენას შორის მხოლოდ აღქმისეულ და ცხად ინფორმაციაზე დაყრდნობით მცდარი, მოჩვენებითი კავშირის დამყარება), *საბაზო მონაცემების გაუთვალისწინებლობა* (არჩევანის ვითარებაში რომელიმე ალტერნატივის კერძო და თვალსაჩინო მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილება, ხოლო მისი ზოგადი თვისებების, ვთქვათ, ადამიანთა უმრავლესობის შესახებ არსებული სტატისტიკური მონაცემების იგნორირება), *კონიუნქციური მსჯელობის შეცდომები* (მთლიანობითი ბუნების დებულების კონიუნქციუ-

რი დებულებით ორ მის შემადგენელ ნაწილებად დაყოფა და იმის გაუთვალისწინებლობა, რომ პირველთან შედარებით, მეორის ხდომილობის ალბათობა არ იზრდება) და სხვა ადამიანისთვის დამახასიათებელი მიკერძოებულობის ამსახველი მოვლენები, რომლებიც მოცემულ ნაშრომშია განხილული. ამგვარი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის უკიდურესი ვარიანტი *ფენომენალიზმის* გამომხატველად შეგვიძლია ჩავთალოთ, რომლის მიხედვით, ცოდნა თვით შემეცნების სუბიექტის მიერ საგნებისა და მოვლენების თვისებათა *აღქმის* და მათი სათანადო *ინტერპრეტაციის* შედეგია. იგულისხმება, რომ ჭეშმარიტი, ობიექტური სინამდვილე ამ ფენომენოლოგიური განცდების (გამოცდილების) ფარგლებს გარეთ, ფაქტობრივად, შეუცნობადია. ამ ზოგადფილოსოფიურ თვალსაზრისთან დაკავშირებით თავისი ფრიად საყურადღებო კრიტიკული დამოკიდებულება ნათლად ბერტრან რასელმა გასული საუკუნის 50-ან წლებში გამოხატა. მას მიაჩნდა, რომ, თუ ადამიანის ყოველდღიური გამოცდილება *მართლაც სრულ ილუზიას არ წარმოადგენს*, მაშინ მოვლენათა შესახებ ადამიანის შეხედულებასა და რეალობას შორის გარკვეულად დასაბუთებული კავშირის არსებობის უარყოფა ნამდვილ *გულუბრყვილობად* უნდა ჩაითვალოს [Рассел, Б. Человеческое познание. Его сфера и границы. М.,1957].

აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიაში კონსტუქტივისტული მიდგომის პოპულარიზაცია ნაწილობრივ ჯერომ ბრუნერისა და მისი კოლეგების მიერ შემეცნებითი პროცესების ე.წ. "ახალი თვალსაზრისის" საფუძველზე ჩატარე-

ბულმა გამოკვლევებმა განაპირობეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯ. ბრუნერი აღნიშნავს: "ზემონათქვამი იმ პირობათა პროგრამული განხილვა გახლავთ, რომელიც *მოცემული ინფორმაციის ფარგლებს გარეთ*, ანუ როგორც ბარტლეტი ამბობს, უშუალო გამოცდილების გარეთ გასვლის, ხარვეზების შევსებისა და ექსტრაპოლაციის საშუალებას იძლევა" [Бруннер, Дж. Психология познания. М., 1977, стр.239]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შემეცნების მიმდინარეობაში "მოცემული ინფორმაციის ფარგლებს გარეთ გასვლა" *მხოლოდ* სოციალური ტენდენციურობის, პერცეპტული შეცდომების და მცდარი მსჯელობების გამოვლენას ნამდვილად არ გულისხმობს, რადგან მოვლენათა და საგანთა ობიექტური თვისებების სათანადო კატეგორიზაციის, როგორც პროცესის შედეგი ადამიანის მთლიანი და მრავალფეროვანი შემეცნებითი გამოცდილებით არის განსაზღვრული, რაზეც თვით ჯ. ბრუნერი არაერთხელ ხაზგასმით მიგვითითებს. შემეცნების პროცესებისადმი უკიდურესი კონსტრუქტივისტული მიდგომის წინააღმდეგ, თავის დროზე, ეგონ ბრუნსვიკი გამოვიდა. მას მიაჩნდა, რომ აღქმა, როგორც სინამდვილის შემეცნების საფუძველი და საწყისი პროცესი, თავისი არსით, რეალობის ალბათურად ამსახველ მოვლენად უნდა განვიხილოთ. შემეცნების ფუნქციებისა და გარე სინამდვილის ურთიერთმოქმედებასთან დაკავშირებით ის აღნიშნავს: "კოგნიტური სიზუსტის ცნება ფსიქოლოგიაში უნდა გამოიხატოს არა როგორც ცალკეული ზემოქმედება ან შეცდომა, ან მოქმედება, არამედ ზოგადი ტერმინის სახით, რომელშიც ცვლადებს შორის არსებული სავარაუ-

დო კავშირია მოცემული" [Brunswick, E. The conceptual framework of psychology. Chicago: University of Chicago Press, 1952, p.23]. წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ განხილულ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით ძალზე მნიშვნელოვანია ე. ბრუნსვიკის მიერ შემუშავებული *ეკოლოგიური ვალიდობის* ცნება, რომელიც პროქსიმალურ (ცენტრალურ) და დისტალურ (პერიფერიულ) გამღიზიანებლებს შორის არსებული კოვარიაციის ხარისხს გამოხატავს. *კოვარიაციაში* მოვლენების ან ობიექტების ისეთი ერთობლივი და სისტემატური ცვლილება იგულისხმება, რომლის საფუძველზეც მათ შორის მიზეზობრივი მიმართების შესახებ დასკვნის გაკეთება შეიძლება. მისი აზრით, აღქმის მოქმედების ძირითადი ოპერაციული დანიშნულება რეცეფტორულ სისტემაზე გავლენის მომხდენი პროქსიმალური გამღიზიანებლის (ვთქვათ, თვალის ბადურაზე უშუალოდ ზემოქმედი სინათლის სხივის ტალღები) მნიშვნელობებში, ანუ მახასიათებლებში მომხდარი ცვლილების საფუძველზე რეალურად არსებული დისტალური გამღიზიანებლის (ვთქვათ, რაიმე ფიზიკური საგანი, რომელიც სინათლის სხივებს აირეკლავს) სწორი შეფასების უნარის დასწავლაში მდგომარეობს. რაც უფრო დიდია დისტალური გამღიზიანებლის თვისებათა მიმართ პროქსიმალური გამღიზიანებლის ეკოლოგიური ვალიდობა, მით უფრო იზრდება მისი (ვალიდობის) ათვისების და გამოყენების ალბათობა. "მოცემული ინფორმაციის ფარგლებს გარეთ გასვლის" და "ეკოლოგიური ვალიდობის" პრინციპების და მრავალი ცდისეული მონაცემების გათვალისწინება იმის საშუალებას გვაძლევს, რომ გარე სამყაროს შემეცნების

პროცესში სუბიექტის მიერ ობიექტური ცოდნის შეძენის განმსაზღვრელი ფაქტორები იქნეს დადგენილი.

ამჟამად თვალნათლივ შეიმჩნევა, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიების ასპარეზზე გამოვიდნენ მკვლევარები, რომლებიც, ძირითადად, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით, მკაცრი კონსტრუქტივისტული მიდგომის საწინააღმდეგოდ, ხაზგასმით იმას აღნიშნავენ, რომ ადამიანი თავისივე შემეცნებითი კონსტრუქტების გამუდმებულ ტყვეობაში ნამდვილად არ იმყოფება. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ შემეცნების პროცესში ადამიანი "მოცემული ინფორმაციის ფარგლებს გარეთ" ხშირად გადის (რაც, როგორც აღვნიშნეთ, კოგნიტურ შეცდომებს მხოლოდ ნაწილობრივ განაპირობებს) მისი რეალური მოქმედება არსებულ სინამდვილესთან დაკავშირებული ეკოლოგიური ვალიდობის მოთხოვნას, ძირითადად, მაინც აკმაყოფილებს. ამგვარი კონცეფტური მიდგომის ნათელი ნიმუში ლ. ჯუსიმის ე.წ. "ასახვით-გაგებითი" მოდელი გახლავთ [Jusim, L. Social perception and social reality: A reflection-construction model. Psychological Review, 1991,1, 54-75.]. მოცემულ მოდელში ძირითადი ცვლადების მიმართულებითი ხასიათის ურთიერთდაკავშირება გარკვეულ სისტემურ ერთობლობას ქმნის. ამ სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სამიზნე სუბიექტის (დამკვირვებლის მსჯელობის ობიექტი) ქცევის და მის პიროვნულ თვისებათა შესახებ დამკვირვებლის სწორ შეფასებას ენიჭება. ამგვარი შეფასების საფუძვლად ა) საყრდენი ინფორმაცია (სამიზნე სუბიექტის შესახებ არსებული ობიექტური მონაცემები, ვთქვათ, მუშაობის პროდუქტიულობა, სწავლაში აკადემი-

ური მაჩვენებლები, რაიმე ფსიქოლოგიური ტესტის ქულობრივი მონაცემები), ბ) დამკვირვებლის წინასწარმეტყველური შესაძლებლობა და გ) სამიზნე სუბიექტის რეალური ქცევის (ვთქვათ, აგრესიული ან ალტრუისტული საქციელი) მიხედვით მის შესახებ დასკვნის გაკეთება გვევლინება. საგულისხმოა, რომ მოდელის თანახმად, სამიზნე სუბიექტის შესახებ დამკვირვებლის თვალსაზრისი, შესაძლოა, ტენდენციურობის გამომომხატველი თვითგანხორციელებადი მოლოდინის ეფექტის გამო კი არ გამართლდეს, არამედ საკუთრივ დამკვირვებლის თვალსაზრისი იმთავითვე "ეკოლოგიურად სანდო" ინფორმაციას ითვალისწინებდეს. დამკვირვებლის მიერ სამიზნე სუბიექტის ქცევისა და მისი თვისებების მახასიათებელთა ობიექტური შეფასება და, ამავე დროს, მისივე ტენდენციური მსჯელობის თვითგანხორციელებადი მოლოდინის ეფექტების კანონზომიერებათა გათვალისწინება შემდეგზე მიგვითითებს: პირველი, სამიზნე სუბიექტის (ვთქვათ, მოსწავლე) ქცევის წინასწარმეტყველებაში დამკვირვებელი (ვთქვათ, პედაგოგი) იმდენად არის ეფექტური, რამდენადაც ის არა თვითგანხორციელებად მოლოდინს, არამედ ძირითადად მის მიერვე სამიზნე სუბიექტის მოქმედებისა და მისი პიროვნული თვისებების სწორ შეფასებას ეყრდნობა. მეორე, როდესაც სამიზნე სუბიექტის პიროვნული თვისებების და მისი ქცევის შესახებ დამკვირვებლის თვალსაზრისი შეუსაბამოა, მაშინ მისი მსჯელობა ტენდენციურობით ხასიათდება, რაც, ჩვეულებრივ, პერმანენტულ ხასიათს არ ატარებს (იგულისხმება, რომ ილუზორული აღქმა, საბოლოო ჯამში, აუცილებლად სწორი აღ-

ქმით უნდა შეიცვალოს). ეს თუ ასე არ მოხდა, მაშინ დამკვირვებლის ქცევა უბრალოდ *მიზანშეუწონელი* გახდება და ის ეკოლოგიური ვალიდობის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. მესამე, როდესაც დამკვირვებლის თვალსაზრისი ვალიდურია, ანუ ის საყრდენ, ე.ი. მეტწილად ობიექტურ ინფორმაციას სათანადოდ ითვალისწინებს, მაშინ სამიზნე სუბიექტის მახასიათებელთა შესახებ მისი შეფასებითი მსჯელობა ნაკლებად მიკერძოებული იქნება. კონცეფციის ავტორის თანახმად, თვითგანხორციელებადი მოლოდინის ეფექტისა და მსჯელობათა ტენდენციურობის ყოვლისმომცველი დომინირება ცდისეული მონაცემებით არ დასტურდება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ "მკაცრ" კონსტრუქტივისტულ თეორიულ ორიენტაციას მყარი ემპირიული დასაბუთება ნაკლებად გააჩნია. ისიც აღსანიშნავია, რომ დამკვირვებლის მსჯელობას, რასაკვირველია, გარკვეული ტენდენციურობა ახასიათებს, რაც, ნაწილობრივ, სინამდვილის შესახებ ადამიანის შემეცნებით დამოკიდებულებას განაპირობებს. ამავე დროს, სამყაროს შესახებ ამგვარი წარმოდგენის *უკიდურესი განზოგადება*, ეპისტემოლოგიური თვალსაზრისით, მას *სოლიფსისტურ* მსოფლმხედველობამდე მიიყვანს.

სანამ წიგნის თემატურ შინაარსს შევეხებით, ხაზი გვინდა გავუსვათ იმ ზოგად თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომელიც როგორც სხვადასხვა კონცეფტურ მიდგომებში, ასევე განწყობის თეორიაშიც არის გამოყენებული. ამგვარ ზოგად თვალსაზრისში ინტერაქციონისტულ მიდგომას ვგულისხმობთ. ადამიანის ფსიქიკური პროცესების და მისი რეალური ქცევის ძირითადი გან-

მსაზღვრელი ფაქტორების თეორიული გააზრების და კვლევითი მეთოდოლოგიის ასპექტით შეიძლება პერსონოლოგიური, სიტუაციონისტური და ინტერაქციონისტური (ურთიერთქმედებითი) მიდგომები გამოვყოთ. *პერსონოლოგიური მიდგომის* თანახმად, ადამიანთა შორის არსებული განსხვავების მარეგულირებელ მთავარ ფაქტორად პიროვნების თვისებები და მისი შინაგანი მიდრეკილებებია მიჩნეული. *სიტუაციონისტური თვალსაზრისი* კი პირიქით, ამ განსხვავების არსებობას ობიექტური გარემოს მახასიათებელთა ზემოქმედებით ხსნის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის ფსიქიკური ფუნქციების და ქცევის შესწავლის პროცესში პერსონოლოგიური თვალსაზრისის მიმდევრები ძირითად ყურადღებას ინდივიდუალურ სხვაობებზე და პიროვნების უნიკალურობაზე ამახვილებენ, ხოლო სიტუაციონისტური მიდგომის მიმდევრები გარემოს როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური მახასიათებლების კვლევას ანიჭებენ უპირატესობას. ინტერაქციონისტულ მსოფლმხედველობრივ ორიენტაციას რაც შეეხება, მისი წარმომადგენლები ფსიქიკური და ქცევითი მოვლენების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი დისპოზიციური ბუნების მქონე პიროვნული თვისებების და სიტუაციური მახასიათებლების ერთიან სისტემაში გააზრების საფუძველზე ამ ორი მკვეთრად განსხვავებული თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისის "შერიგებას," მათ გაერთიანებას ცდილობენ. *ინტერაქციონისტური მიდგომის* თანახმად, ადამიანის რეალური მოქმედება მისი პიროვნული თვისებების და სიტუაციური მახასიათებლების ურთიერთმოქმედებით არის განსაზღვრული, რაც ემპირიული კვლევის

დონეზე ქცევის დეტერმინაციაში ამ ორივე ფუძემდებლური ფაქტორის და თვით ინტერაქციის ხვედრითი წონების დადგენას გულისხმობს. ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა ადამიანის აქტივობის მოლარულ დონეზე შესწავლას ცდილობს: მოქმედი სუბიექტი მთლიანობითი ბუნების მქონე წარმონაქმნების ტერმინებში განიხილება, ხოლო გარემო, რომელშიც ეს აქტივობა მიმდინარეობს, არა ერთგანზომილებიანი ფიზიკური გამღიზიანებლების, არამედ რთული სოციალური ხასიათის მქონე მოვლენების სახით არის წარმოდგენილი. ინტერაქციონისტური მიდგომის ნათელსაყოფად პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ჰიპოთეზურ მაგალითს მივმართოთ. დავუშვათ, რომ ჩვენ ორი თანამშრომლის შესახებ ვმსჯელობთ. ისინი ერთი ორგანიზაციის წევრები არიან, ერთნაირ სამუშაოს ასრულებენ და მათ საერთო ხელმძღვანელი ჰყავთ. ერთი მათგანის საქმიანობა მაღალპროდუქტიულია, რისთვისაც მას უფროსი აქებს და მის დაწინაურებას ვარაუდობს. მეორე მომუშავე საქმიანობაში ნაკლებ ნაყოფიერებას ამჟღავნებს, უფროსი ამის გამო მისი საქმიანობით უკმაყოფილოა და მიაჩნია, რომ მას შრომითი კარიერის თვალსაზრისით მცირე პერსპექტივა გააჩნია. ამ ვითარების ინტერაქციონისტური პრინციპის საფუძველზე გააზრება გაცილებით მეტის მომცემია, ვიდრე ამას ადამიანების მარტივი წესით "კარგ" ან "ცუდ" თანამშრომლებად დაყოფა იძლევა. ინტერაქციონისტური მიდგომის თანახმად, მომუშავეთა შრომით ქცევებს შორის არსებული განსხვავება მხოლოდ მათ ინდივიდუალურ თვისებებს ან მხოლოდ შრომითი გარემოს მახასია-

თებლებს კი არა, არამედ ამ ორი ძირითადი ფაქტორის ურთიერთმოქმედებას უნდა მიეაწეროთ. ამ შემთხვევაში არსებითი ის გახლავთ, რომ ამგვარი მიდგომის საფუძველზე კონკრეტული პროფესიული საქმიანობის შრომით-საორგანიზაციო პირობებისა და ცალკეული მომუშავის ინდივიდუალური თვისებების ურთიერთმოქმედების თავისებურება უნდა დავადგინოთ. აღსანიშნავია, რომ ასეთ მეთოდოლოგიურ თვალსაზრისში მომუშავის მიერ საკუთარ საქმიანობაში წარმატების მიღწევის უფრო ოპტიმისტური მიდგომა იგულისხმება, რადგან სავარაუდოა, რომ "ცუდი" თანამშრომელი სხვა სამუშაოს შესრულების ან სხვაგვარი შრომითი პირობების არსებობის შემთხვევაში საქმეს უკეთ გაართმევდა თავს და საკუთარ ინდივიდუალურ შესაძლებლობებსაც სათანადოდ გამოავლენდა. როდესაც ჩვენ შრომის პროცესს ადამიანის ინდივიდუალურ-პიროვნული და შრომით-საორგანიზაციო მახასიათებელთა ურთიერთმოქმედების თვალსაზრისით ვაანალიზებთ, მაშინ მარტივად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ მომუშავეთა შორის საქმიანობის ეფექტურობაში არსებული განსხვავება უბრალოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერთი მათგანი, მეორესთან შედარებით, თავისი უნარით და გამოცდილებით კონკრეტულ პროფესიულ საქმიანობას კარგად შეესაბამება და არსებულ შრომით გარემოსთანაც კარგად არის მორგებული.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს ინტერაქცია არა მხოლოდ როგორც ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპი, არამედ როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესი ინტენსიური ცდისეული შესწავლის სა-

განი გახდა. მრავალი გამოკვლევის მონაცემების გათვალისწინებით მისი მიმდინარეობის შემდეგი ძირითადი ნიშნები შეგვიძლია გამოვყოთ: პირველი, ადამიანის აქტივობა მრავალგანზომილებიანი ურთიერთმოქმედების, ანუ პიროვნებასა და სიტუაციას შორის არსებული დამოკიდებულების უკუკავშირით არის დეტერმინირებული; მეორე, გარემოსთან ურთიერთობის დროს ადამიანი მიზანდასახული ქცევის აქტიურ სუბიექტად წარმოდგება; მესამე, ქცევის დეტერმინაციაში ინდივიდუალურ-პიროვნული მახასიათებლების წვლილი, ძირითადად, შემეცნებითი და მოტივაციური ფაქტორებით შემოიფარგლება; მეოთხე, ქცევის დეტერმინაციაში სიტუაციური ფაქტორების წვლილი, არსებითად, მოქმედი სუბიექტისთვის მათი ფსიქოლოგიური მნიშვნელობით (საზრისით) არის განსაზღვრული. ქცევის მიზეზობრივ განპირობებაში პიროვნების, სიტუაციის და ინტერაქციის, როგორც ცალკეული ფაქტორების, შესაბამისი წონების დადგენა ემპირიული შესწავლის საფუძველზე ხდება. მაგალითად, ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად კომპონენტური დისპერსიული ანალიზია მიჩნეული. ამ სტატისტიკური მეთოდის მეშვეობით კონკრეტული ქცევის განმსაზღვრელი სიტუაციური, პიროვნული და მათი ურთიერთმოქმედების ფაქტორთა ეფექტების გათვალისწინებით ცალკეული კომპონენტების გამოყოფა ხდება შესაძლებელი [დ. ჩარკვიანი. ალტერნატივების მიმზიდველობა და სასურველი შედეგების მიღწევის დონე, როგორც უპირატესობის მინიჭების სკალის დეტერმინანტები არჩევანის სიტუაციაში. *მაცნე*, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, 1981, 1, 75-87]. აქ შემდეგია

მხედველობაში მისაღები: ინტერაქციის წმინდა სტატისტიკური განსაზღვრების თანახმად, ყოველი დამოუკიდებელი ცვლადი, როგორც პიროვნული, ასევე სიტუაციური, ქცევაზე ერთმიმართულებიან გავლენას ახდენს, რაც ურთიერთმოქმედების რეალურ და ბუნებრივ პრიცესს ნაკლებად ახასიათებს, რადგან მასზე, უკუკავშირის სახით, საკუთრივ ქცევაც ზემოქმედებს. ფუნქციური თვალსაზრისით, ინტერაქცის მრავალგანზომილებიან პროცესში სხვადასხვა სახის (ფიქსირებული, აქტუალური, წარმოსახული) განწყობათა წარმოქმნა და შეცვლა ხდება. ადამიანის აქტივობის მიმდინარეობის დროს სათანადო უკუკავშირის საფუძველზე (მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მიზნის მიღწევა, სოციალური მხარდაჭერა, სხვათა მოლოდინების გამართლება და ა.შ.) მის კორეგირებასთან გვაქვს საქმე. ზოგადად შეგვიძლა ვთქვათ, რომ გარემოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ადამიანი საკუთარი საქმიანობის აქტიურ შემოქმედად გვევლინება.

მოცემული წიგნის თემატური შინაარსი ოთხ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ: პირველი, მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიის ზოგადი და სპეციფიკური პრინციპების გამოყენება ფსიქოლოგიაში, რომელიც მოცემულ კრებულში ფსიქიკური განვითარების და პროფესიული საქმიანობის კანონზომიერებათა სხვადასხვა საზომი ხერხებით შესწავლის ნიმუშებით არის წარმოდგენილი (სტატიები: „ფსიქიკური განვითარების შესწავლის თანამედროვე მეთოდები"; „კვლევის მეთოდები ინდუსტრიისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში"); მეორე, შეფასებით მსჯელობათა თავისებურებისა და მათი შემსწავლელი მე-

თოდოლოგიის დახასიათება (სტატიები: „განწყობათა იერარქიული სტრუქტურა და ქცევა“; „სოციალური განწყობა და ქცევა: გაზომვის შესაბამისობის მეთოდოლოგიური პრინციპი“; „ცნობიერების დავიწროების მოტივაციური მახასიათებლები“; „პერფეპტული ეტალონების მოქმედება არჩევანის ეითარებაში“; „ღირებულებიეთი პრიციპების მნიშვნელობა მორალური მსჯელობის და მორალური ქცევის კანონზომიერებათა შესწავლაში“); მესამე, კვლევის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით პროფესიული საქმიანობის სოციალურ-ფსიქოლოგიური შინაარსის გააზრება და მისი შეფასების სათანადო კრიტერიუმების გამოყოფა (სტატიები: „განწყობის ობიექტური ფაქტორი და მომუშავის ქცევის წინასწამეტყველება ორგანიზაციაში“, „პროფესიული საქმიანობის შეფასების კონფეპტური და პრაქტიკული კრიტერიუმები“; „სამრეწველო ორგანიზაციების კულტურათაშორისი კვლევა“; მეოთხე, გადაწყვეტილებათა მიღების მადეტერმინირებელ ფაქტორთა კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემების ანალიზი (სტატიები: „განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღების ფსიქოლოგიური თავისებურებები დ. კანემანისა და ე. ტვერსკის მიხედვით“; „გადაწყვეტილებათა მიღების სტატისტიკური და დინამიკური მახასიათებლები“; ევრისტიკული მსჯელობა: ახალი კონცეფტური მიდგომები“). აქვე აღვნიშნავთ, რომ მოცემულ კრებულში ბოლო მე-14 სტატია („მიზანდასახული ქცევის სხვადასხვა რეჟიმში ფუნქციონირება და ალბათური მსჯელობა“) ცდისეული კვლევის თავისებურებათა ნათელსაყოფად არის მოყვანილი. მასში, რასაკვირველია,

ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ის ძირითადი მოთხოვნებია გათვალისწინებული (გარკვეული თეორიული ვარაუდის ან ვარაუდების არსებობა, სათანადო ეტაპების გამოყოფის საფუძველზე მათი შესწავლის ფორმის დადგენა, დამოუკიდებული და დამოკიდებული ცვლადების ოპერაციონალური განსაზღვრა, შესასწავლი საკითხის ან საკითხების შინაარსეული თავისებურების მხედველობაში მიღებით მოპოვებულ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების და ანალიზის ადეკვატური მეთოდის გამოყენება), რომლებსაც ექსპერიმენტული გამოკვლევა უნდა აკმაყოფილებდეს. მიგვაჩნია, რომ განსახილველი თემების ამგვარი თანამიმდევრობით განლაგებამ ადამიანის ამა თუ იმ ფორმის აქტივობის განმსაზღვრელი ფსიქიკური მექანიზმების შემსწავლელი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების ეფექტურობის ხარისხი უფრო ნათლად უნდა გამოავლინოს.

წიგნის პირველ თემატურ ნაწილში, რომელიც ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებათა და შრომითი საქმიანობის კვლევის სახით წარმოდგება, ფსიქიკურ მოვლენათა შემსწავლელი ზოგადი მეთოდოლოგია გახლავთ გაანალიზებული. ამ შემთხვევაში კვლევის მეთოდოლოგიის სპეციფიკის დასადგენად მიზანშეწონილად ადამიანის საორგანიზაციო გარემოში მისი საქმიანობის და ფსიქიკური განვითარების სფეროში მიმდინარე კვლევა-ძიების თავისებურებათა დახასიათება მიგვაჩნია. კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენების თვალსაზრისით შემდეგია ხაზგასამელი. საჭიროა "ეფექტური" გამოკვლევის ძირითადი მახასიათებლების გამოყოფა, რომელ-

შიც იგულისხმება შემდეგი: სათანადო თეორიული ვარაუ-
დების, ანუ ჰიპოთეზების შემუშავება, სტანდარტიზებული
პროცედურებისა და ობიექტური საზომი ინსტრუმენტების
გამოყენება, მიღებული მონაცემების სანდოობისა და სა-
ბუთიანობის დადგენა და მათი განზოგადება. აღნიშნული
მახასიათებლები წიგნის შესაბამის თავებშია დეტალუ-
რად აღწერილი. მეთოდოლოგიის დარგობრივი გამოყენე-
ბის სპეციფიკას რაც შეეხება, შემდეგის ხაზგასმა მიგვაჩ-
ნია საჭიროდ. ერთი მხრივ, ადამიანის შრომითი აქტივო-
ბის ერთ-ერთი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ამ
შემთხვევაში სპეციფიკური პრედიქტორული და საკრიტე-
რიუმო ცვლადების გათვალისწინება ხდება აუცილებელი.
პრედიქტორი მადეტერმინირებელი ცვლადია (ვთქვათ, სა-
მუშაო გარემო, ჯგუფის შეჭიდულობა, შრომითი განწყო-
ბები). საკრიტერიუმო ცვლადი შრომითი ქცევის შეფასე-
ბად განიხილება (ვთქვათ, საქმიანობის ეფექტურობა, კად-
რების დენადობა, შრომით კმაყოფილება, დაწინაურება).
კვლევის ძირითად საგანს სწორედ ამგვარ მოვლენათა
შესწავლა წარმოადგენს. მეორე მხრივ, ფსიქიკური გან-
ვითარების შესწავლის თავისებურება თვით ამ პროცესში
გამოყენებული მეთოდებით განისაზღვრება. მხედველობა-
ში გვაქვს ფსიქიკური განვითარების შემსწავლელი ისეთი
სპეციალური მეთოდები, როგორიც არის გრძელვადიანი,
ჯგუფთაშორისი, თანამიმდევრობითი, მიკროგენეტიკური
და კულტურათაშორისი გამოკვლევები. გარდა ამისა, ამ
სფეროში გამოვლენილი სპეციფიკური ეფექტებია აღსა-
ნიშნი. კერძოდ, ამ შემთხვევაში ე.წ. კოჰორტის ფენომენი
გვაქვს მხედველობაში, რომლის თანახმად, გამოკვლევაში

მონაწილე გარკვეული ასაკის ცდისპირები მათი თაობისთვის რაიმე სპეციფიკურად დამახასიათებელი ფაქტორის მძლავრ ზემოქმედებას განიცდიან.

კრებულის მეორე თემატური ნაწილი შეფასებით მსჯელობათა კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ მხარეს ეხება. *შეფასებით მსჯელობაში გარკვეული ობიექტის მიმართ ადამიანის განწყობისეული დამოკიდებულების გამოვლენას ვგულისხმობთ.* ამგვარ მსჯელობებს როგორც ფიზიკური გამღიზიანებლების რაოდენობრივი შეფასებები (მაგალითად, "დიდი-პატარა," "მძიმე-მსუბუქი" განწყობის კლასიკურ ცდებში გამოყენებული), ასევე სოციალური გამღიზიანებლების თვისებრივი შეფასებები (მაგალითად, "კარგი-ცუდი," "მისაღები-მიუღებელი" სოციალურ განწყობათა ფორმირებისა და შეცვლის ექსპერიმენტში გამოყენებული) გამოხატავენ. თუ მხედველობაში ადამიანის სოციალური აქტივობის დონეს მივიღებთ, მაშინ შეფასებით (განწყობისეულ) და ფორმალურ (ლოგიკურ) მსჯელობათა შორის არსებითი განსხვავება შეგვიძლია გამოვყოთ. ფორმალური მსჯელობისთვის დამახასიათებელია: ა) ყოველი წანამძღვარი სახეზეა და გაცნობიერებულია, ბ) დასკვნის სახით მხოლოდ ერთი სწორი პასუხი არსებობს, გ) საკითხის მართებული გადაწყვეტის განმაპირობებელი განსჯითი მეთოდების გამოყენება ხშირია, დ) პრობლემის შინაარსი მხოლოდ შემეცნებითი მნიშვნელობით არის შემოფარგლული, ე) პრობლემის გადაწყვეტის ფაქტი ნათელია, ვ) პრობლემის გადაწყვეტა თავისთავად არის ღირებული; შეფასებითი მსჯელობისთვის ნიშანდობლივია: ა) ზოგიერთი წანამძღვარი მხო-

ლოდ იგულისხმება, ზოგიერთი კი საერთოდ გაუცნობიერებელია, ბ) დასკვნის სახით თვისებრივად განსხვავებულ რამდენიმე პასუხთან გვაქვს საქმე, გ) საკითხის სწორი გადაწყვეტის განმსაზღვრელი მსჯელობის მეთოდების გამოყენება იშვიათობას წარმოადგენს, დ) პრობლემის შინაარსი ძრითადად პირადი ინტერესებით არის დატვირთული, ე) ხშირად გაურკვეველია რამდენად სწორად გადაწყდა საკითხი, ვ) პრობლემის გადაწყვეტას, ჩვეულებრივ, რაიმე მიზანთა მიღწევის ინსტრუმენტული მნიშვნელობა გააჩნია.

შეფასებითი მსჯელობების მადეტერმინირებელ ფაქტორთა შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური მხარის დახასიათება შემდეგი პრობლემური საკითხების განხილვას გულისხმობს. პირველი, ფსიქიკურ მოვლენათა კვლევაში ანალიზის დონეთა გამოყოფის მნიშვნელობაზე ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ისიც ხაზგასასმელია, რომ ამგვარი ანალიტიკურ-მეთოდოლოგიური მიდგომა თავის დროზე დიმიტრი უზნაძის მიერაც იყო დადებითად შეფასებული. შემდგომში ეს მიდგომა განწყობათა იერარქიის მოდელის შემუშავების პროცესში ნაყოფიერად შ. ნადირაშვილმა გამოიყენა. განწყობათა იერარქიის პრინციპის თანახმად, ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების აქტივობის განსხვავებული დონის შესაბამისად განსხვავებული ფორმის განწყობები (პრაქტიკული ქცევის, ამოცანის გადაწყვეტის, სოციალური ქცევის) ფუნქციონირებენ. ჩვენი აზრით, ნიშანდობლივია ის, რომ ამ შემთხვევაში განწყობათა კლასიფიკაციის კრიტერიუმებთან გვაქვს საქმე, რაც ამ მიდგომის სპეციფიკას და მის ღირსებას

გამოხატავს. მეორე, სოციალურ განწყობასა და ღია ქცევას შორის არსებული კავშირის წარსულში და ამჟამადაც ფრიად აქტუალური პრობლემის განხილვის დროს ხაზგასმულია, რომ ამ ორ ცვლადს შორის პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი მიმართების ძიება თვით კვლევითი ვითარების, მისი სპეციფიკის უაღრესად გამარტივებას ნიშნავს. ჩვენ ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მსჯელობის პროცესში ძირითად ყურადღებას არა ემპირიულ მონაცემებზე, არამედ საკუთრივ კვლევის მეთოდოლოგიის ფორმალურ და სტრუქტურულ მხარეზე ვამახვილებთ. განწყობათა გაზომვის ე.წ. შესაბამისობის პრინციპი სწორედ ამ თვალსაზრისით არის გაანალიზებული. მესამე, შეფასებითი მსჯელობის მიმდინარეობა მნიშვნელოვნად განპირობებულია იმ ფსიქიკური მდგომარეობით, რომელიც ცნობიერების დავიწროების სახელწოდებით არის ცნობილი. აქ მოთხოვნილების საგნის დეფიციტთან კი არა, არამედ სუბიექტის აქტუალურად, ამჟამად არსებული კოგნიტური მომართულობის მოვლენასთან გვაქვს საქმე. ისიც აღსანიშნავია, რომ ცნობიერების დავიწროება ზოგ შემთხვევაში დადებითი, ზოგში კი უარყოფითი შედეგის მომტანია. ხაზგასმულია, რომ შემდგომი კვლევა სწორედ ვითრებათა მახასიათებლების დაზუსტების მიმართულებით უნდა წარიმართოს. მეოთხე, სათანადო სტატიებშია ნაჩვენები, რომ როგორც რაოდენობრივი და ალბათური, ასევე რომელობითი ბუნების შეფასებითი მსჯელობების მნიშვნელოვან მადეტერმინირებელ ცვლადებს კოგნიტური (ვიწრო მნიშვნელობით "პერცეპტული') ეტალონები წარმოადგენენ. კოგნიტური ეტალონების

ეფექტები განწყობის, ადაპტაციის დონის, მსჯელობათა კონტექსტის, სოციალური შედარების სხვადასხვა მექანიზმების ფუნქციონირების გათვალისწინებით არის დახასითებული.

პრობლემების მესამე ბლოკი შრომის სუბიექტის საქმიანობის მადეტერმინირებელ ფაქტორთა შესწავლის თავისებურებას ეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით ორი რამ არის აღსანიშნი. პირველი, შრომის სუბიექტის საორგანიზაციო გარემოში მოქმედების თავისებურებათა ადეკვატურ პროგნოზირებაში სიტუაციური ფაქტორების გათვალისწინებას ძალზე დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ამიტომ, სათანადო მეთოდური ხერხებით სიტუაციათა ძირითადი მახასიათებლების გამოყოფის და, შესაბამისად, მათი კლასიფიკაციის საკითხი დღესაც ფრიად აქტუალურია. მაგალითად, სუბიექტური, ანუ განცდისეული კრიტერიუმის საფუძველზე სიტუაციის შესახებ "რეალურობის" და "წარმოსახულობის" თვისებათა მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ხოლო ობიექტური, ანუ გარე სამყაროსეული კრიტერიუმის გათვალისწინებით სიტუაცია განუსაზღვრელობის, დინამიკურობის და სირთულის თვისებების ასპექტით შეგვიძლია დავახასიათოთ. მეორე, განხილულია საორგანიზაციო და შრომითი საქმიანობის სფეროში კულტურათაშორისი კვლევის თავისებურება. გამოყოფილია ის ეროვნული, სოციალური და ფსიქოლოგიური სხვაობები, რომლებიც, როგორც დეტერმინანტები, სხვადასხვა სახის ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე არსებით გავლენას ახდენენ.

წიგნის მეოთხე ნაწილში გადაწყვეტილებათა მიღების (ადამიანის აქტივობის ნებელობით-მოტივაციური სფერო) თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხებია განხილული. გადაწყვეტილებათა მიღების ნორმატიულ პრინციპებთან შედარებით, ყურადღება აღწერითი, ანუ ფსიქიკური შინაარსის მქონე პრინციპების ანალიზზეა გამახვილებული. სათანადო თეორიული მოდელების დახასიათება გვიჩვენებს, რომ მათში მოცემული აღწერითი პრინციპების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიმღები პირის რეალურ მოქმედებათა (ალბათური მსჯელობა, როგორც შემეცნებითი პროცესი, ალტერნატივებს შორის არჩევანი, როგორც სპეციფიკური აქტი) წინასწარმეტყველების და ახსნის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, დახასიათებულია ალბათური აზროვნების ისეთი ფორმები და მექანიზმები, როგორიც არის რეპრეზენტატულობის ევრისტიკა, ხელმისაწვდომობის ევრისტიკა და მსჯელობაზე "პერსპექტივის" (რაიმე ობიექტის შესახებ განსჯის ფონი, მისი რაკურსი) ზემოქმედება. აღწერითი მიდგომის თანახმად, ნორმატიულ პრინციპებზე დამყარებული მსჯელობა, თავისი არსით, იმპერსონალურია, ხოლო "ფსიქო-ლოგიკაზე" დაფუძნებული მსჯელობა პერსონალური გახლავთ. გამომდინარე აქედან, "რაციონალობაც" ორგვარია. იმპერსონალური რაციონალობა გულისხმობს, რომ შემეცნებითი აქტვობის პროცესში ადამიანი თავისი ინტერესების რეალიზაციის მიზნით ფორმალურ ლოგიკაში და ალბათობათა თეორიაში არსებული *ნორმატიული*, ანუ *რაციონალური* პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ერთ-ერთი ამგვარი პრინციპი მიზნის მიღწევის მაქსიმიზაცია

გახლავთ. მასში შემდეგი იგულისხმება: ადამიანმა მოცემულ ალტერნატივებს შოროს იმ ალტერნატივას უნდა მიანიჭოს უპირატესობა, რომელიც მიზნობრივი ფუნქციის მაქსიმალური მაჩვენებლის მიღწევას უზრუნველყოფს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებული ალტერნატივებიდან გადაწყვეტილების მიმღები პირი იმას აირჩევს, რომელსაც ის მოცემულ ვითარებაში საუკეთესოდ ჩათვლის. იმის მიუხედავად, რომ ეს პრინციპი, ერთი შეხედვით, თითქოს სავსებით ნათელია, ის მაინც მკვლევართა შორის კამათის საგანია. მისი შინაარსის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების არსი შემდეგი ვითარების აღმწერი დებულებით შეიძლება გამოიხატოს: "თუ შენ რაიმე რჩევას მეკითხები, მაშინ მე გირჩევ მოიქცე ისე, როგორც შენ გსურს". ამ საყვედურის სადავო ხასიათის მიუხედავად, ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმიზაციის პოსტულატი საკუთრივ გადაწყვეტილების მიმღები პირის მახასიათებლების შესახებ ბევრს არაფერს გვეუბნება.

ფაქტობრივად იგივე ითქმის ფსიქოლოგიაში არსებული და უკვე "გაცვეთილი" პრინციპის შესახებ, რომლის თანახმად, ქცევის სხვადასხვა ფორმების (მათ შორის არჩევანის აქტის), ძირითად დეტერმინანტებს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მიზანთა მიღწევა წარმოადგენს. ამ ასპექტით, იმპერსონალური და პერსონალური *მოტივაცია* ერთმანეთისგან, ფაქტობრივად, არ განსხვავდება. ამ ორი სახის რაციონლობას შორის განსხვავება სხვა რამეში მდგომარეობს: პირველი გულისხმობს, რომ, სასურველი შედეგის მიღწევას ნორმატიული მსჯელობის წესები (ვთქვათ, ტრანზიტულობის თვისების გათვალისწინება,

რომლის მიხედვით, არჩევის პროცესი შეწყობილ ხასიათს ატარებს, ანუ თუ Y-თან შედარებით X-ს ენიჭება უპირატესობა, ხოლო Y-ს Z-თან შედარებით, მაშინ უპირატესობა X-ს მიენიჭება და არა Z-ს) განსაზღვრავენ; მეორე კი ვარაუდობს, რომ სათანადო *ფსიქიკური მექანიზმების* (ვთქვათ, შეფასებითი მსჯელობის ლექსიკოგრაფიული ფორმა, რომლის დანიშნულება სუბიექტის მიერ მოცემული ალტერნატივების სათანადო მახასიათებელთა მნიშვნელოვნობის მიხედვით მოწესრიგებაში და დახარისხებაში, ხოლო შემდგომ ყველაზე ღირებული მახასიათებლის გათვალისწინებით, რომელიმე მათგანის არჩევაში მდგომარეობს) ამოქმედება განაპირობებს. ამგვარი ევრისტიკული მსჯელობის შესახებ ე. ტვერსკი და მისი თანამოაზრენი შემდეგზე მიგვითითებენ: "იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში საკმაოდ გაურკვეველია ის, თუ რატომ სჯობს ესა თუ ის ალტერნატივა სხვას, ამ რთული ვითარებიდან გამოსავალი ისეთი ალტერნატივის არჩევაში უნდა მოინახოს, რომლის მახასიათებელი, სხვა მნიშვნელოვან პარამეტრებთან შედარებით, საუკეთესო იქნება. გადაწყვეტილების ასეთი ხერხი, თავისი არსით, ლექსიკოგრაფიულია, რომელსაც ორი შემდეგი ღირსშესანიშნავი თვისება გააჩნია. პირველი, ის გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტისგან მახასიათებელთა ურთიერთშედარებას და გამოთვლით აწონ-დაწონვას არ მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, შემეცნებით ძალისხმევას და ფსიქიკურ დაძაბულობას ამცირებს. მეორე, ის გაკეთებული არჩევანის გასამართებლად საკუთარ თავს და სხვებსაც საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტაციით უზრუნველყოფს" [Tversky,

A., Sattath, S., Slovic, P. Contingent weighting in judgement and choice. Psychological Review, 1988,3, p.372]. სწორედ ამ მკვლევარების მიერ არის ემპირიული მონაცემებით ნაჩვენები, რომ სუბიექტის მიერ მსჯელობის ლექსიკოგრაფიული სტრატეგიის გამოყენება, რომლის დროს ტრანზიტულობის ნორმატიული წესი ხშირად ირღვევა, ამის მიუხედავად, მაინც კონკრეტული ამოცანის სიტუაციისადმი შესატყვისი საკმაოდ გონიერი არჩევანის განმსაზღვრელია. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ალტერნატივებს შორის *ერთგანზომილებიანი* რაოდენობრივი მიმართების (მაგალითად, შეფასებითი კავშირის აღმნიშვნელი "უფრო დიდი, ვიდრე") არსებობის შემთხვევაში ტრანზიტულობის პრინციპი ძალაში რჩება, ხოლო *მრავალგანზომილებიანი* რომელობითი დამოკიდებულების (მაგალითად, შეფასებითი კავშირის გამომხატველი "მომწონს უფრო მეტად, ვიდრე") არსებობის ვითარებაში ლექსიკოგრაფიული და მისი მსგავსი ევრისტიკული მსჯელობები იწყებენ ამოქმედებას, რაც ტრანზიტულობის ნორმატიული წესის გამოყენებას ნაკლებად გულისხმობს. დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ აღწერითი მიდგომის წარმომადგენელთა თანახმად, არჩევანის ვითარებაში მყოფი ადამიანის მსჯელობა და, შესაბამისად, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნორმატიული პრინციპების მოთხოვნებს ხშირად ვერ აკმაყოფილებს. ამავე დროს, არის რა ადამიანი "შეზღუდული რაციონალობით" აღჭურვილი, ყოველდღიურ ცხოვრებაში სიძნელეთა დაძლევას ის მაინც ახერხებს და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

ფსიქიკური განვითარების შესწავლის თანამედროვე მეთოდები

თანამედროვე ფსიქოლოგია მრავალ და შინაარსობრივად ფრიად განსხვავებულ მოვლენებს შეისწავლის. მისი კვლევა-ძიების სფერო ძალზე ფართოა: ამა თუ იმ ქცევის ფორმათა დასწავლის მექანიზმების ბიოქიმიური საფუძვლებით დაწყებული, საერთაშორისო კონფლიქტების განმსაზღვრელი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოკვლევით დამთავრებული. თანამედროვე მეცნიერული კვლევის პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადამიანის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა. ფსიქიკის განვითარების პროცესი, რასაკვირველია, მაგალითად, ბირთვული ენერგიის მისაღებად ატომის დაშლის ჯაჭვური რეაქციის გამოყენებისგან ან ფოტოსინთეზის მეშვეობით სხვადასხვა სახის ნახშირწყლების მიღების მოვლენისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამასთან ერთად, ხაზგასასმელია, რომ ფსიქიკური განვითარების შემსწავლელი მეთოდები, თავისი არსით, ფიზიკაში, ბიოლოგიაში და სხვა საბუნებისმეტყველო დარგებში გამოყენებადი მეთოდების მსგავსია. კვლევა-ძიების აღნიშნული ხერხების პრინციპულ მსგავსებას მკვლევართა მიერ მოვლენათა შესწავლის მეცნიერული მეთოდოლოგიის გამოყენება განაპირობებს. *მეცნიერული კვლევის* მეთოდი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სა-

თანადო წესების გარკვეული სისტემა, რომელსაც მკვლევარები ემპირიული შესწავლის დაგეგმარების, თვით გამოკვლევის ჩატარების და მიღებულ მონაცემთა შეფასების დროს იყენებენ [1].

მეცნიერული კვლევის თავისებურება

ჰიპოთეზების შემუშავება და თეორიის მნიშვნელობა. ადამიანის ქცევის საფუძვლად მდებარე მოვლენების შესახებ სხადასხვაგვარი თეორიული მიდგომების შემუშავება მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანეს თანმდევ პირობას წარმოადგენს. მაგალითად, ფსიქოანალიტიკურმა თეორიამ არაცნობიერი მოტივაციის, როგორც მოვლენის, შინარსეული და სტრუქტურული დახასიათების მეშვეობით ადამიანის შესახებ ზოგადი თვალსაზრისის შეცვლას შეეცადა. თავის მხრივ, სტიმულ-რეაქციის ბიჰევიორალური თეორია, ადამიანის მიერ ინფორმაციის გადამუშავებით გამოცდილების მიღების კოგნიტივისტურ-ქცევითი კონცეფცია, სოციალურ ქცევასა და გენეტიკურ პროგრამას შორის არსებული კავშირის შესახებ სოციობიოლოგისტური მიდგომა თანამედროვე ფსიქოლოგიაში გავრცელებული ძირითადი ზოგადი კონცეფტური ორიენტაციები გახლავთ. სათანადო თეორიების შემუშავება, პირველ რიგში, იმიტომ არის აუცილებელი, რომ მათზე დაყრდნობით მკვლევარები ადამიანის ფსიქიკური აქტივობის და მისი რეალური ქცევის შესახებ მოპოვებული მონაცემების ინტეგრირებას ახდენენ და შესასწავლ მოვლენებს შორის მიზეზობრივ კავშირებს ადგენენ. გარდა ამისა,

კონცეფციების შექმნა იმითაც არის ძალზე მნიშვნელოვანი, რომ მკვლევარებს მათ საფუძველზე ადამიანის ქცევის პროგნოზირების საშუალება ეძლევათ.

თეორიის შემუშავების პროცესი ციკლურული (წრიული) ბუნების გახლავთ [2]. ემპირიული კვლევის მიმდინარეობა შემდეგი ეტაპეპისგან შედგება: პრობლემის დასმა ⇒ კვლევის დაგეგმარება ⇒ შესასწავლი ფაქტორების გაზომვა ⇒ შედეგების ანალიზი ⇒ დასკვნების გამოტანა ⇒ უკუკავშირი. ქმედითი თეორია შემოწმებად ვარაუდებს გვთავაზობს. ემპირიული კვლევის შედეგები თეორიის ხელმეორედ შეფასებას განაპირობებს. თუ მოპოვებული რეზულტატები გამოთქმულ ვარაუდს ან ვარაუდებს არ ასაბუთებენ, მაშინ თეორიაში სათანადო შესწორებების შეტანა ხდება საჭირო. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ცდისეული მონაცემები წინასწარ გამოთქმულ ვარაუდს ან ვარაუდებს ადასტურებენ, მკვლევარის მიერ შემუშავებული თეორიის სისწორეში დარწმუნების ხარისხი მნიშვნმელოვნად იზრდება. ჰიპოთეზა ისეთი ვარაუდია, რომლის შემოწმება ემპირიული შესწავლით არის შესაძლებელი. მაგალითად, მკვლევარმა შემდეგი ჰიპოთეზა შეიძლება წამოაყენოს: გარშემომყოფებში ის სუბიექტი იმსახურებს უფრო მეტ სიმპათიას და სიყვარულს, რომელიც შედარებით უფრო ხშირად იღიმება, ვიდრე ის, ვინც ამას ნაკლებად აკეთებს. ისიც აღსანიშნავია, რომ შემუშავებული თეორიული ჰიპოთეზა არ არის აუცილებელი უშუალოდ თეორიიდან გამომდინარეობდეს. ზოგიერთ შემთხვევაში თეორიული ვარაუდის შემუშავების საფუძველი საკუთრივ ემპირიულად უკვე გამოკვლეული ფენომენის გა-

მოვლენილ თავისებურებათა გათვალისწინება ან ყოველ-
დღიურ გამოცდილებაზე დაყრდნობა შეიძლება იყოს.
ხაზგასასმელია, რომ გარკვეული თეორიული ვარაუდის
შექმნას რა საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს, მთავარი ის
არის, რომ შემოთავაზებული ჰიპოთეზა სისტემატური
ცდისეული შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

ემპირიული კვლევა და ნულოვანი ჰიპოთეზა. მოდით
ისევ ღიმილის სიხშირესა და მოწონების შესახებ გამოთ-
ქმულ ჰიპოთეზას მივმართოთ. ამ ვარაუდის შესამოწმებ-
ლად შესაძლებელია გამოკვლევაში ორი ისეთი ადამია-
ნის მოწვევა, რომელთაგან ერთი ძალზე მომღიმარი სუბი-
ექტია, ხოლო მეორე – ნაკლებად. ამავე დროს, ცდისპი-
რებს შემდეგი შეკითხვით შეგვიძლია მივმართოთ: რო-
მელმა მათგანმა დაიმსახურა მათში მეტი სიმპათია? (რა-
საკვირველია, ამ შემთხვევაში ემპირიული კვლევის მიმ-
დინარეობა ძალზე გამარტივებულად არის წარმოდგენი-
ლი). ცდისპირთა მიერ "მოღიმარი" და "მოღუშული" სუ-
ბიექტების შეფასებები ერთმანეთს უდარდება. ამგვარი
შედარების საფუძველზე ორი განსხვავებული ვარაუდის
შემოწმება შეგვიძლია. პირველ თეორიულ ვარაუდს *ნუ-
ლოვანი ჰიპოთეზა* ეწოდება. ამ სტატისტიკური ტერმინის
თანახმად, სამანიპულაციო პირობებს შორის (მაგალი-
თად, გამოკვლევაში მონაწილე ჯგუფები) გამოვლენილი
სხვაობა შემთხვევითობით, ანუ ამონაკრების ფორმირება-
ში დაშვებული შეცდომით არის განსაზღვრული. ამავე
დროს, იგულისხმება, რომ აღნიშნულ პირობებს შორის
არავითარი განსხვავება არ არსებობს. სხვაგვარად რომ
ვთქვათ, ნულოვანი ჰიპოთეზა იმას გულისხმობს, რომ მო-

ღიმარი და მოღუშული სუბიექტების სხვათა მიერ შეფასებებში გამოვლენილი სხვაობა რეალურ და სისტემატურ განსხვავებას არ გამოხატავს, რადგან ის შესაძლებელია სულ სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორებით იყოს გამოწვეული. ამის საპირისპიროდ, *კვლევითი ჰიპოთეზის* სტატისტიკური ტერმინის მიხედვით, სამანიპულაციო პირობებს (მაგალითად, გამოკვლევაში მონაწილე ჯგუფები) შორის დადგენილი სხვაობა შემთხვევითობას კი არ უნდა მიეწეროს, არამედ ის გამოკვლევაში გამოყენებული ექსპერიმენტული პროცედურის ეფექტურობის მაჩვენებლად უნდა ჩავთვალოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვათა მიერ მოღიმარი და მოღუშული სუბიექტების შეფასებებში გამოვლენილი სხვაობის მადეტერმინირებელ ფაქტორს (მიზეზობრივი კავშირი) ადამიანის სახეზე გამოხატული ღიმილის სიხშირე წარმოადგენს.

სტატისტიკური მნიშვნელოვნობა. კვლევითი ჰიპოთეზის სისწორე მაშინ საბუთდება, როდესაც მკვლევარს ნულოვანი ჰიპოთეზის უკუგდება შეუძლია. ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფისთვის შემდეგი პირობების არსებობა არის აუცილებელი: ემპირიული გამოკვლევით მიღებულ მონაცემებს შორის დადგენილი სხვაობა ისეთი ოდენობის უნდა იყოს, რომ მისი შემთხვევითობით ახსნა ვერ უნდა ხერხდებოდეს. მკვლევარი მისთვის რაიმე საინტერესო მოვლენის კარგად შესწავლას ცდილობს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მან ემპირიულ მონაცემებზე შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი ფაქტორების ზემოქმედება თვითონ უნდა აიცილოს. გარდა ამისა, მიღებული შედეგების დამაჯერებლობის დასასაბუთებლად, ის სტატისტი-

კური მნიშვნელოვნობის დადგენის პროცედურას მიმართავს. *სტატისტიკური მნიშვნელოვნობის* დადგენის პროცედურის განხორციელება მიზნად შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავს: რამდენად მოსალოდნელია, ანუ ალბათურია ის, რომ ერთგვაროვან ცდისპირთა ჯგუფებში მოპოვებულ მონაცემებს შორის მიღებული სხვაობა შემთხვევითი ფაქტორებით იყო განსაზღვრული. როდესაც მონაცემებს შორის სხვაობა იმდენად დიდია, რომ მისი შემთხვევითი ფაქტორების ზემოქმედებით ახსნა შეუძლებელია, ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა სწორედ ამგვარი პირობების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი და მართებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ შედეგი რეალურ, ფაქტობრივ ვითარებას შეესაბამება. მკვლევართა უმრავლესობა იმაშია შეთანხმებული, რომ მონაცემებს შორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად იმ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს, როდესაც $P<0.05$. ეს იმას ნიშნავს, რომ ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ნულოვანი ჰიპოთეზის დამაკმაყოფილებელ მონაცემთა შორის სხვაობის მიღების ალბათობა (P)1/20-ის ტოლია. მკვლევარის მიერ სტატისტიკური მნიშვნელოვნობის გარკვეული დონის არჩევა იმ პრაქტიკული მოსაზრებით შეიძლება იყოს განსაზღვრული, რომ მოვლენა, რომელსაც ის იკვლევს, მკაცრი სიზუსტით გაზომვას ნაკლებად მოითხოვს. გარდა ამისა, მიღებული შედეგების შესახებ სტატისტიკური დასკვნის გამოტანა ცდისპირების რაოდენობაზე და სტანდარტული გადახრის (მონაცემთა გაფანტულობის ხარისხი) მაჩვენებელზეა დამოკიდებული [3,4].

შედეგების სანდოობა და საბუთიანობა. ადამიანისთვის ნიშანდობლივი ზოგიერთი ბიოლოგიური, ფსიქიკური, ან სოციალური მახასიათებლების გამოყოფა და კლასიფიკაცია (მოვლენათა თვისებების, მათ შორის არსებული მიმართებების მარტივი წესებით დადგენა და გაზომვა) დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამავე დროს, უმრავლეს შემთხვევებში გამოკვლევაში მონაწილე ცდისპირების ინდივიდუალური თვისებების და ქცევითი მახასიათებლების გაზომვა ბევრად უფრო რთული რამ არის (ვთქვათ, მოზარდების სქესობრივი ნიშნით დაყოფა და მათი ღირებულებითი ორიენტაციების ან მათი ცხოვრებისეული ოპტიმიზმის ხარისხის, ან სხვადასხვა სოციალურ ვითარებებში მათი ნევროტიზმის დონის დადგენა). ამგვარი სირთულის დაძლევის მიზნით, მკვლევარები მოვლენათა პარამეტრების დასადგენად და მათ შორის არსებული კავშირების გამოსავლენად, მიღებული შედეგების სისწორეში დარწმუნებულობის თვალსაზრისით, ეფექტური გაზომვის გარკვეულ სტატისტიკურ კრიტერიუმებს, კერძოდ, სანდოობას და საბუთიანობას, ანუ ვალიდობას იყენებენ.

გამოკვლევის *სანდოობა* მიღებული ემპირიული მონაცემების სიმყარეს ნიშნავს. სტატისტიკური შეფასების ამ კრიტერიუმის მიხედვით, ცდისეული შედეგები დროში არა მარტო სტაბილურობით, არამედ განმეორებადობის მაღალი ხარისხით უნდა გამოირჩეოდეს. მრავალი ისეთი ფაქტორი არსებობს, რომელიც მიღებული რეზულტატების სანდოობას ამცირებს. ამავე დროს, ნებისმიერი ემპირიული გამოკვლევის სანდოობის ძალზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი სხვადასხვა მკვლევარების მიერ ერთი და

იმავე მოვლენის შესწავლის დროს მიღებულ მონაცემებს შორის თანხვედრის ხარისხი გახლავთ. რაიმე ფსიქოლოგიურ ტესტს იმ შემთხვევაში ვერ ვენდობით, როდესაც მისი გამოყენების ქმედითობა არამყარია, იმ ვითარების მსგავსად, რომელშიც რაიმეს შეკეთება მხოლოდ ხელოსნის პირად სურვილზეა დამოკიდებული (როდესაც უნდა მოვა, როდესაც უნდა წავა). კვლევის დაბალი სანდოობის საზომი ინსტრუმენტი, პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლოა "გამოსადეგად" მუშაობდეს, ისევე, როგორც ნაკლებად სანდო ხელოსანი მოქმედებს, მაგრამ იმის გარანტია მაინც არ გაგვაჩნია, თუ როდის და რა ვითარებაში იქნება მისი მოქმედება ეფექტური.

მიღებული მონაცემების სანდოობის დადგენის სხვადასხვა ხერხი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი *განმეორებითი ტესტირების* მეთოდია. სანდოობის დადგენის ამ საშუალებაში რაიმე ფსიქომეტრიკული ინსტრუმენტით გაზომილი ერთი და იგივე ცდისპირთა მონაცემების დროში სიმყარის ხარისხი იგულისხმება. თუ საზომი ინსტრუმენტი სანდოა, მაშინ ცდისპირების განმეორებითი მონაცემები პირველი შედეგებისგან სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს. გარდა ამისა, მონაცემთა სანდოობის ყურადსაღები მაჩვენებელი გასაზომი ინსტრუმენტის *შინაგანი კონსისტენტობა* გახლავთ. შინაგანი კონსტანტობის კრიტერიუმის თანახმად, სათანადო ტესტში ან კითხვარში შემავალი ყოველი დებულება (შეკითხვა, რომელიც რეალური ქცევის რაიმე ძალზე მნიშვნელოვან თვისებას ეხება) გასაზომი ობიექტის ან მოვლენის შინაარსის გამომხატველ არსებით მახასიათებ-

ლებს ერთმნიშვნელოვნად უნდა შეესაბამებოდეს და ახასიათებდეს. დავუშვათ, რომ ადამიანთა თვითშეფასების კითხვარში ორი შემდეგი შეკითხვა არის მოცემული: "მოგწონთ თქვენი თავი?" და "მიგაჩნიათ, რომ თქვენ კარგი ადამიანი ხართ?" თუ ცდისპირები პირველ შეკითხვაზე დადებით პასუხს იძლევიან, ხოლო მეორეზე პოზიტიური პასუხი მათში აშკარა ყოყმანს და არაერთგვაროვან რეაგირებას განაპირობებს (სახეზეა პასუხების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გაფანტვა, ანუ დისპერსია), ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ორი შეკითხვა, ფაქტობრივად, ერთი და იგივე განსახილველ საკითხს არ ეხება. ამის შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ საზომ ინსტრუმენტს მცირე შინაგანი კონსისტენტობა გააჩნია. სანდოობის მესამე სტატისტიკურ კრიტერიუმს *შემფასებელთა შორისი* სანდოობა ეწოდება, რომელიც სხვადასხვა დამოუკიდებელი შემფასებლების, ანუ "ექსპერტების" მონაცემთა შორის მსგავსების, თანხვედრის ხარისხს გამოხატავს. მაგალითად, როდესაც ორი ინტერვიუერი ერთი და იგივე ბავშვის ან მოზარდის ინდივიდუალურ თვისებებს ან მის რაიმე სოციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს აფასებს, მათი შეფასების მაჩვენებლები, ძირითადად, ურთიერთს უნდა ემთხვეოდნენ. ემპირიული შესწავლის შედეგად მოპოვებულ მონაცემთა სანდოობის დამდგენ მეთოდებს შორის არსებული განსხვავების ნათელსაყოფად ისევ ზემონახსენებ ხელოსნის მაგალითს მივმართოთ. განმეორებითი შესწავლის თვალსაზრისით, ხელოსანი თავისი საქმიანობის ქმედითობას სხვადასხვა სიტუაციების გათვალისწი-

ნებით, სიტყვით და საქმით რეალურ მოქმედებაში გამოავლენს. ხელოსანი თავის მოქმედებაში შინაგნად მყარ თანამიმდევრობას, ანუ კონსინსტენტობას იმ შემთხვევაში გამოამჟავნებს, როდესაც მისი ცალკეული მოქმედებები სინქრონულ (შეთანხმებულ) ხასიათს ატარებენ და ის კონკრეტულ ამოცანას სწრაფად და ეფექტურად უმკლავდება. დაბოლოს, შემფასებელთა შორის ის ნდობას მაშინ დაიმსახურებს, როდესაც მის საქმიანობას მომხმარებლები ერთგვაროვნად შეაფასებენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ხელოსნის საქმიანობა სანდოობის რომელიმე ზემოაღწერილ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს, სავსებით მოსალოდნელია, რომ მომხმარებელი შემდგომში მას აღარ მიმართავს. მსგავსად ამისა, თუ რაიმე საზომი ინსტრუმენტი კონკრეტულ ემპირიულ შესწვლაში სანდო არ აღმოჩნდა, მაშინ ცხადია, რომ შემდგომ კვლევა-ძიებაში მისი გამოყენება გაუმართლებელი იქნება.

ემპირიული კვლევის შედეგი არა მარტო სანდო უნდა იყოს, არამედ *საბუთიანობითაც* (ვალიდობით) უნდა ხასიათდებოდეს. მიღებული ცდისეული მონაცემების ვალიდობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ გამოყენებული საზომი ინსტრუმენტი სწორედ იმ მოვლენას იკვლევს, რომლის შესწავლა მკვლევარის მიერ მიზნად იყო დასახული. დავუშვათ, რომ მკვლევარმა მიზნად გარდამავალი ასაკისთვის დამახასიათებელი ნევროტიზმის (ადამიანის ფსიქიკური სტაბილურობის ხარისხის და შფოთვის დონის ინდივიდუალური მახასიათებელი) და ექსტრავერსიის (თანაზიარობის, გულთბილობის, იმპულსურობის და რისკიანობის ინდივიდუალური მახასიათებელი) დინამიკის თავისებურე-

ბათა ცდისეული შესწავლა დაისახა. ისიც დავუშვათ, რომ მკვლევარი ისეთ ფსიქოლოგიურ ტესტს იყენებს, რომლის შესასწავლ მოვლენებთან შესაბამისობა საეჭ-ვოა, ასეთ ვითარებაში რაღა აზრი აქვს მის გამოყენებას? ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიაში ვალიდობის ცალ-კეულ ფორმებს გამოყოფენ, რომლებსაც ქვემოთ განვიხი-ლავთ [78].

ვალიდობის ერთ-ერთი სახეა, *შინაარსობრივი,* ანუ ლოგიკური საბუთიანობა, რომელშიც მიღებული მონაცე-მების ისეთი დამაჯერებლობა იგულისხმება, რომელსაც შესასწავლ მოვლენაში ღრმად გათვითცნობიერებული ადამიანები (ექსპერტები) სათანადო მსჯელობის შედეგად გვთავაზობენ. შინაარსობრივი ვალიდობა ე.წ. გარეგანი საბუთიანობისგან უნდა განვასხვაოთ. ხაზგასამელია ის, რომ გარეგანი საბუთიანობის დადგენის საფუძველს ცდისპირთა მიერ მათთვის მიწოდებული მასალის უშუა-ლო აღქმა და შეფასება წარმოადგენს. ამისგან განსხვა-ვებით, შინაარსობრივი ვალიდობა იმ კავშირის შეფასე-ბას გულისხმობს, რომელიც საზომი ინსტრუმენტის სა-შუალებით მოპოვებული მასალის შინაარსსა და გამოკ-ვლევაში წინასწარ ნავარაუდევ, მისაპოვებლად დასახულ მასალას შორის არსებობს. შინაარსობრივი ვალიდობის დასადგენად ექსპერტული შეფასებების სხვადასხვა სახის მეთოდური ხერხი გამოიყენება. როგორც ყოველი ექსპერ-ტიზის დროს, ამ შემთხვევაშიც კომპეტენტური შემფასებ-ლების შერჩევა წარმოებს. ექსპერტები კონკრეტულ ფსი-ქოლოგიურ ტესტში მოცემულ დებულებებს აფასებენ. ის დებულებები, რომლებიც შესასწავლი მოვლენის შინა-

არსს კარგად შეესაბამებიან, ექსპერტების მაღალ შეფასებას იმსახურებენ, საწინააღმდეგომო შემთხვევაში კი ისინი მათ მიერ უარყოფითად ფასდებიან. საკუთრივ ექსპერტთა შეფასებებს შორის გამოვლენილი თანხვედრის ხარისხი ე.წ. კონკორდაციის კოეფიციენტის საშუალებით გამოითვლება [9,10].

ვალიდობა არამარტო რაიმე შესასწავლი მოვლენის მახასიათებელთა შინაარსეულ მხარეს, არამედ ამ ფენომენის მიმართ სუბიექტის მიერ გამოვლენილ პრაქტიკულ, ქცევით ასპექტსაც ეხება. ამგვარ ვალიდობას ემპირიულს უწოდებენ. *ემპირიული ვალიდობა* საზომი ინსტრუმენტის საშუალებით ადამიანის ღია ქცევის მაპროგნოზირებელი სიზუსტის გამომხატველია. ემპირიული ვალიდობის დასადგენად მიღებულ მინაცემებს და ადამიანის ღია ქცევის სათანადო მაჩვენებლებს შორის არსებული კავშირის გამომხატველი სტატისტიკური კრიტერიუმის, კერძოდ, კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლა არის საჭირო (ამ კრიტერიუმს ქვემოთ დავახასიათებთ). მონაცემთა ვალიდობის დასადგენად ზემონახსენები ექსპერტული შეფასებების სხვადასხვა ხერხებს იყენებენ. გარდა ამისა, ემპირიული ვალიდობის გასაზომად ექსპერიმენტული კვლევით მიღებულ და ყოველდღიურ-ცხოვრებისეულ მონაცემებსაც მიმართავენ. მონაცემთა საბუთიანობის მესამე ფორმა *კონცეფტური ვალიდობა* გახლავთ. კონცეფტური ვალიდობა საზომი ინსტრუმენტის საფუძვლად მდებარე თეორიული პრინციპების დასაბუთებულობის ხარისხის გამომხატველია. ცდისეული კვლევის ეფექტურობის დამდგენ ამ კრიტერიუმს მაშინ იყენებენ, როდესაც შეფასე-

ბის ობიექტური კრიტერიუმი ძნელად მოიპოვება ან საერთოდ არ არსებობს.

აღწერითი გამოკვლევა

აღწერითი კვლევის შემთხვევაში მოვლენებს შორის ნავარაუდევი მიზეზობრივი კავშირის ან კავშირების სისტემური შესწავლის ნაცვლად, მათზე მხოლოდ დაკვირვება წარმოებს. მაგალითად, აღწერითი კვლევა შემდეგნაირი საკითხების შესწავლას ცდილობს: მეორე წლის ასაკში მყოფი შიშით შეპყრობილი და არაკომუნიკაბელური ბავშვი, რომლის ფსიქიკურ განვითარებაში გარკვეული შეფერხება შეიმჩნევა, გამოავლენს თუ არა თავის განვითარებაში სამი წლის შემდეგაც გარკვეულ განუვითარებლობას? რამდენად განსხვავდება თვითმკვლელობის მცდელობის ჩამდენი მოზარდების ცხოვრებისეული გამოცდილება თავისი თანატოლების გამოცდილებისგან? აღწერითი გამოკვლევის არსი სწორედ ამგვარ შეკითხვებზე პასუხების გაცემის მცდელობაში ვლინდება [11]. ამავე დროს, მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას მკვლევარები სხვადასხა მეთოდებს იყენებენ, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ცალკეულ შემთხვევათა შესწავლა. *ცალკეულ შემთხვევათა* შესწვლის მეთოდის გამოყენების დროს მკვლევარი კონკრეტული ადამიანის აზროვნების და გრძნობების შინაარსის, მისი ცხოვრებისეული გამოცდილების, სხვებთან მისი ურთიერთობის ფსიქო-სოციალური თავისებურებების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვებას

ცდილობს. ამ მეთოდის გამოყენების დროს მკვლევარის მიზანი კონკრეტული ინდივიდის შინაგანი განცდების, მისი რეალური მოქმედების თავისებურებათა სიღრმისეულ აღწერაში და გააზრებაში მდგომარეობს. ცალკეულ შემთხვევათა შესწავლის მეთოდი, ძირითადად, კლინიკური გამოკვლევების დროს გამოიყენება. კვლევის ამ მეთოდის სპეციფიკის გამოსავლენად მივმართოთ მაგალითს, რომელიც სათანადო ლიტერატურაში ხშირად არის ნახსენები [12]. აღწერილია ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა, კერძოდ, ე.წ. პიროვნების გაორება, რომლის დროს ადამიანი საკუთარ თავს, მონაცვლეობით, ორ ან მეტ პიროვნებად განიცდის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვინმე X, მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, თავის თავში ურთიერთისგან განსხვავებულ პიროვნებებს "შეიცავდა". მაგალითად, ის თავის თავს მონაცვლეობით მამაკაცად, ქალად, მოზარდად, ან ბავშვად განიცდიდა. დაავადებისგან განკურნების მიზნით, მან 2354 ფსიქოთერაპიული სეანსი გაიარა. ფსიქოთერაპევტმა და თვით ავადმყოფმა შემდეგი დასკვნა გააკეთეს: ავადმყოფს ბავშვობაში დედამისი, ფაქტობრივად, ფიზიკურად და ფსიქიკურად აწამებდა (დასცინოდა, და აბუჩად იგდებდა, სცემდა, საპირფარეშოში ამწყვდევდა და ა.შ.).

ცალკეულ შემთხვევათა შესწავლის მეთოდი იშვიათი მოვლენების (ისეთის, როგორიც ზემოაღწერილი მაგალითია) კვლევაში მართლაც გამოსადეგია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ჩვენ მნიშვნელოვან სიძნელეებს ვაწყდებით. საქმე იმაშია, რომ მკაცრი მეცნიერული თვალსაზრისით, პიროვნების დაავადების მიზეზად მხოლოდ ბავშვობაში

მიღებული ტრავმატული გამოცდილების ჩათვლა აშკარად არასაკმარისია, ვინაიდან მკვლევარს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები შეიძლება გამორჩეს მხედველობიდან. მაგალითად, სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ შეიტყო რა მშობელმა ბავშვის დაავადება, სწორედ ამის მერე შეიცვალა მან მის მიმართ დამოკიდებულება, რაც შემდგომში მის რეალურ ქცევაში აისახა. გარდა ამისა, შემდეგი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: დაეუშვათ, რომ ამ ადამიანის დაავადების მიზეზი მართლაც მისი ადრეული ასაკის ტრავმული განცდები იყო, ამის საფუძველზე განა იმის თქმა შეგვიძლია, რომ იმავე სენით დაავადებულ სხვა ადამიანებსაც ბავშვობაში აუცილებლად იმავე სახის ტრავმატული პირადი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული? ამგვარი დაშვება მცდარი იქნებოდა. ამდენად, ამ მეთოდით მოპოვებული მონაცემების ადამიანთა ფართო პოპულაციაზე განზოგადების უფლება არ გვაქვს.

სისტემატური დაკვირვების მეთოდი. *სისტემატური დაკვირვების* მეთოდით ბუნებრივ პირობებში გარკვეულ მოვლენათა დაკვირვების საფუძველზე მათი სიღრმისეული დახასიათება წარმოებს. სისტემატური დაკვირვების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ადამიანის ფსიქიკური განვითარების შესწავლის საქმეში. ხაზგასასმელია, რომ სისტემატური დაკვირვება ბავშვის მეტყველების, მისი თამაშის, სწავლის, სხვადასხვა დავალებათა შესრულების თავისებურებათა და, შესაბამისად, მისი აზროვნების, წარმოსახვის, გრძნობებისა და ემოციების, ტემპერამენტის, ნებელობის კანონზომიერებათა შესახებ მდიდარ

მასალას გვაწვდის. მაგალითად, ერთ-ერთ კლასიკურ გამოკვლევაში, რომელშიც ბავშვებზე სისტემატური დაკვირვება სათამაშო მოედნებზე და საკლასო ოთახებში ხდებოდა, დამკვირვებლები დეტალურად აღნუსხავდნენ იმას, თუ ვინ ვისთან და რამდენ ხანს ლაპარაკობდა. მიღებულმა მონაცემებმა მკვლევარებს ნათლად დაანახა ე.წ. "კოლექტიური მონოლოგის" მოელენა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ კომუნიკაციის პროცესში უმცროსი ასაკის ბავშვები, ხშირად არც სხვებს უსმენდნენ და არც ვინმეს კონკრეტულად მიმართავდნენ [13].

სისტემატური დაკვირვების განხორციელება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მისი ობიექტურობა ეჭვის ქვეშ იმის გამო დგება, რომ თვით დაკვირვების პროცესზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას დამკვირვებლის სუბიექტური მახასიათებლები (სათანადო უნარ-ჩვევები, სხვადასხვა სახის ტენდენციურობები, შეფასებითი დამოკიდებულებები და ა.შ.) ახდენენ. გარდა ამისა, სისტემატური დაკვირვებით მოპოვებული მასალა ვერ გვაძლევს პასუხს შემდეგ კითხვაზე: რა განაპირობებს შესასწავლი მოვლენის (ადამიანის ფსიქიკური ან ქცევითი თავისებურება) აღმოცენებას და მიმდინარეობას? ამიტომ, მაგალითად, ბავშვის ქცევის მიზეზთა გამოყოფა მხოლოდ სავარაუდო ხასიათს ატარებს; ამ ვარაუდის შემდგომში შემოწმება ცდისეული გამოკვლევით უნდა დასაბუთდეს, ხოლო საკუთრივ სისტემატური დაკვირვება ექსპერიმენტული შესწავლის წინარე და აუცილებელი საფეხურად მოიაზრება.

შინაარსეული ანალიზი. ადამიანთა რეალური ქცევის შესწავლა გარკვეული დოკუმენტური და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ხდება. მაგალითად, მშობელთა გაყრის მაჩვენებლებს და მათი შვილების სოციალურ-ზნეობრივი განვითარების კანონზომიერებათა დადგენა მომავალი თაობის აღმზრდელებისთვის ამ მოვლენებს შორის ახალი მიმართების შესახებ საკმაოდ ღირებული ინფორმაციის მიწოდების წყარო შეიძლება გახდეს; იგივე ეხება სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესწავლასაც. ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა ეკონომისტებს იმის შესაძლებლობას აძლევს, რათა მათ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების შემოსავლებს, უმუშევრობას, ინფლაციას და ამგვარ მოვლენათა შორის არსებული კავშირები გაარკვიონ. *შინაარსეული ანალიზის* (ე.წ. "კონტენტ-ანალიზი") მეთოდის გამოყენების შემთხვევაში მკვლევარი მიზნად გარკვეული დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალის ტექსტური შინაარსის თვისებრივ, სისტემურ დახასიათებას ისახავს. ბავშვებისა და მოზარდების მიერ გამოვლენილი ძალადობის ქცევაზე ტელევიზიის მძლავრი ზემოქმედების შესწავლას მრავალი შინაარსობრივ-ანალიტიკური გამოკვლევა მიეძღვნა. გარდა ამისა, შინაარსეული ანალიზი მხატვრულ ლიტერატურაში, კინოფილმებში, ბიოგრაფიულ მონაცემებში და სხვა დოკუმენტურ მასალაში ასახული ადამიანების რეალური მოქმედებების რომელობით და რაოდენობრივ მახასიათებელთა აღწერას გულისხმობს [14].

შინაარსეული ანალიზის, როგორც კვლევის მეთოდის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის, სხვა კვლევითი ხერხებისგან განსხვავებით, "არავის არაფერს არ ავალებს, თავზე არ ახვევს", რადგან მისი განხორციელების დროს სათანადო მონაცემების მოპოვება შესასწავლ სამიზნე სუბიექტთან უშუალო ურთიერთობას არ მოითხოვს. ამ შემთხვევაში კვლევის სამიზნე სუბიექტზე გაუთვალისწინებელი და ხელშემშლელი ზემოქმედება იმთავითვე გამორიცხულია. გარდა ამისა, ბიოგრაფიული და საარქივო მასალა, რომლებსაც ემყარება შინაარსეული ანალიზი, ძირითადად, შედარებით ადვილი მოსაპოვებელია, ხოლო მისი სანდოობა და ვალიდობა შედარებით იოლი დასადგენია. ამავე დროს, ემპირიული შესწავლის ამ ხერხის ნაკლი იმაშია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო მასალა შეიძლება საერთოდ არ არსებობდეს ან მისი მოპოვება მრავალ სიძნელესთან იყოს დაკავშირებული, ან მოპოვებული მასალის საანალიზო ერთეულებად დაყოფა საკმაოდ შრომატევადი საქმიანობის განხოციელებას და დიდი დროის ხარჯვას მოითხოვს.

გამოკითხვა. აღწერითი გამოკვლევის ერთ-ერთ ფორმას გამოკითხვა წარმოადგენს. *გამოკითხვის* ძირითადი მიზანი ადამიანთა შედარებით დიდი რაოდენობისგან მათი ფსიქოფიზიოლოგიური შესაძლებლობების, შეხედულებების, ინტერესების და განწყობების შესახებ ინფორმაციის მიღებაში მდგომარეობს. მკვლევარები გამოკითხვის მეთოდს ისეთი საკითხების შესწავლის დროს მიმართავენ, როგორიც, მაგალითად, ადამიანის ინდივიდუალური თვისებები (ტემპერამენტის ტიპი, შფოთვის დონე,

თვითშეფასების რომელობა და ა.შ.), გარდმავალ ასაკში მოზარდთა მოქმედებაზე სქესის ფაქტორის გავლენა, ბავშვის გონებრივ განვითარებაზე ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსის ზემოქმედება, ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობის მიზნით სხვადასხვა სპეციალური პროგრამების ეფექტურობის შესწავლა გახლავთ [15]. გამოკითხვის ჩატარების დროს, ძირითადად, ორ საზომ ინსტრუმენტს, კერძოდ, *კითხვარებს* და *ინტერვიუს* იყენებენ. კითხვარების გამოყენების შემთხვევაში რესპონდენტმა მისთვის მიცემულ შეკითცვებზე პასუხები თვითონ უნდა გასცეს, ხოლო ინტერვიუს ჩატარების დროს რესპონდენტი პასუხებს ინტერვიუერის მიერ მიცემულ სტანდარტიზებული ხასიათის შეკითხვებზე იძლევა.

გამოკითხვის ჩატარება, ჩვეულებრივ, ადამიანთა გარკვეული პოპულაციის სათანადო მახასიათებლების შესწავლას გულისხმობს. რაიმე კონკრეტული გამოსაკვლევი ჯგუფის წევრთა მთლიანი შემადგენლობა პოპულაციას ნიშნავს. პოპულაცია ძალიან დიდი (მაგალითად, საქართველოში მცხოვრები მოზარდების მთლიანი რაოდენობა) ან ძალიან მცირე (მაგალითად, რომელიმე კონკრეტულ სკოლაში მოზარდების მთლიანი რაოდენობა) მოცულობის შეიძლება იყოს. ცხადია, რომ როდესაც ჩვენ საქმე ძალზე დიდი მოცულობის პოპულაციასთან გვაქვს, მისი ყოველი წევრის გამოკითხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარ ვითარებაში მკვლევარი მთლიანი პოპულაციის მხოლოდ ნაწილს შეისწავლის. ასეთი სახის გამოკვლევის დროს *შემთხვევითი ამონაკრების* გამოყოფის წესს იყენებენ. შემთხვევითი ამონაკრები მთლიანი პოპუ-

ლაციის გარკვეული ნაწილია, რომლის წევრთა შერჩევის შემთხვევაში ყოველ მათგანს ამ ჯგუფში მოხვედრის თანაბარი შანსი გააჩნია. მაგალითად, საქართველოში მცხოვრები მოზარდების გონებრივი განვითარების შესწავლის დროს, შემთხვევითი შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით, მოცემული მთლიანის ამსახველი სიიდან ამონაკრებში ყოველი მეათე შეგვიძლია მოვათავსოთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შემთხვევითი შერჩევის წესი ყოველთვის იმის გარანტიას არ იძლევა, რომ შერჩეული ამონაკრები მთლიანი პოპულაციის დემოგრაფიულ მახასიათებლებს (სქესი, ეროვნება და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა) ამომწურავად ასახავს. დავუშვათ, რომ რაიმე სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის დროს სატელეფონო გამოკითხვის ჩატარებამ რაიმე მოჩვენებითად ნათელი ტენდენცია იმის გამო შეიძლება გამოავლინოს, რომ შემთხვევითი შერჩევის წესის გამოყენების მიუხედავად, გამოკითხულთა უმრავლესობა ხანდაზმულები აღმოჩდნენ იმ მიზეზით, რომ, ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით, სახლში მეტი დროის განმავლობაში იმყოფებიან. ამგვარი ყალბი ტენდენციურობის გამოვლენის თავიდან ასაცილებლად მკვლევარები ე.წ. *შერჩევის სტანდარტიზებული შემთხვევითი ამონაკრების გამოყოფის ხერხს* მიმართავენ. მისი გამოყენების საშუალებით ამონაკრებში მოხვედრილი რესპონდენტები ქვეპოპულაციებს პროპორციულად წარმოადგენენ. მათი შემთხვევითი წესით შერჩევა, ვთქვათ, სქესის ან სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით თვით კონკრეტულად გამოყოფილ ჯგუფებში წარმოებს. რაიმე გამოკვლევის ჩატარების დროს რესპონ-

დენტების დემოგრაფიული მონაცემების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, ჩვენ მოსახლეობის აღწერის მაჩვენებლებს შეგვიძლია დავეყრდნოთ. ამონაკრების შერჩევა სწორედ ამგვარი მონაცემების საფუძველზე ხდება შესაძლებელი. მაგალითად, როდესაც ადამიანთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ხარისხის დამდგენი შედარებითი სახის გამოკვლევა წარმოებს, მაშინ შესწავლის პროცესში ისეთი დემოგრაფიული ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ, როგორიც არის რესპონდენტების ასაკი, სქესი, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა, ქვეყანაში რეგიონალური წარმომადგენლობა და განათლების დონე. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს შემდეგი. გამოკითხვის ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ზოგჯერ შეგნებულად, ზოგჯერ კი უნებლიედ საკუთარ მოქმედებებს და განწყობებს უფრო დადებითი და ოპტიმისტური ტერმინებით აღწერენ, ვიდრე ამას მათ შესახებ სხვები ამბობენ [16].

კორელაციური გამოკვლევა

მკვლევარები გარკვეულ *ცვლადებს* (განცდისეული და ქცევითი მოვლენები) შორის მიმართებათა დამყარებას ცდილობენ. ცვლადის ცნებაში ცვალებადი სიდიდის სახით წარმოდგენილი და გარკვეული ხერხებით გაზომილი მოვლენა იგულისხმება. ნიმუშად შემდეგი მოვლენების მოყვანა შეგვიძლია: ადამიანის ფიზიკური მახასიათებლები (სიმაღლე, წონა, ასაკი), გარემოს ფიზიკური პარამეტრები (ტემპერატურა, მიღებული საკვების რაოდენობა, ოთახის ფართი, ოჯახის წევრთა რიცხვი). ადამიანის ქცე-

ვის მახასიათებლები ისეთი ცვლადებია, რომელთა შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. მაგალითად, რამდენჯერ სთხოვს მოწაფე მასწავლებელს დახმარებას (სიხშირე), როგორ ხმაზე ტირის ჩვილი (სიძლიერე), ან რამდენ დროს უთმობს მოზარდი რაიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრას (ხანიერება). *კორელაცია* ცვლადებს შორის არსებული კავშირის შინაარსსა და სიძლიერეს გამოხატავს. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია დავინტერესდეთ იმით, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ბავშვის ასაკსა და მის წონას შორის. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, ვთქვათ, ორასი ბავშვის აღნუსხვა შეგვიძლია, რომელთა ასაკი ორიდან თორმეტ წლამდე მერყეობს. სავსებით ნათელია, რომ ამ შეთხვევაში ამ ორ ცვლადს შორის მკაფიო კორელაცია გამოვლინდება, ანუ ბავშვის ასაკის ზრდასთან ერთად, მისი წონაც მოიმატებს. ცვლადებს შორის ამგვარ მიმართებას *დადებითი კორელაცია* ეწოდება. დადებითი კორელაციის შემთხვევაში მოვლენათა ცვლილება ერთი და იგივე მიმართულებით ხდება. აქვე შეგვიძლია შემდეგი კითხვა დავსვათ: როგორი დამოკიდებულება არსებობს ბავშვის ასაკსა და, დავუშვათ, სახლში მისი ყოფნის ხანიერებას შორის. ეჭვგარეშეა, რომ ამ ცვლადებს შორის მაღალ კორელაციას გამოვავლენთ. ამავე დროს, საგულისხმო ის არის, რომ ცვლადებს შორის გამომჟღავნებული ეს დამოკიდებულება, ზემოთმოყვანილ მაგალითში არსებული მიმართებისგან განსხვავებით, საწინააღმდეგო მიმართულებას დაგვიდასტურებს, ანუ ბავშვის ასაკის ზრდასთან ერთად, მისი სახლში ყოფნის ხანიერება შემცირდება. ცვლადებს შო-

რის ამგვარი სახის დამოკიდებულებას *უარყოფითი კორელაცია* ეწოდება. უარყოფითი კორელაციის შემთხვევაში მოვლენათა ცვლილება ერთმანეთის მიმართ საწინააღმდეგო მიმართულებით წარიმართება.

კორელაციის დახასიათება არა მარტო ცვლადებს შორის არსებული დამოკიდებულების შინაარსეული მხარის (დადებითი ან უარყოფითი) გათვალისწინებით შეიძლება, არამედ მისი გააზრება ინტენსივობის ასპექტითაც წარმოებს. მაღალი კორელაცია იმის მანიშნებელია, რომ ცვლადები ერთმანეთთან სიმჭიდროვის გარკვეული ხარისხით არიან დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, ერთი ცვლადის მაჩვენებლის ცოდნა, ფაქტობრივად, მეორე ცვლადის მაჩვენებლის ცოდნას ნიშნავს. როგორც კი კორელაციის მაჩვენებელი მცირდება, ცვლადებს შორის მიმართების პროგნოზირების შესაძლებლობაც იკლებს. კორელაციის შინაარსი დადებითი და უარყოფითი ნიშნით, ხოლო მისი სიდიდე რიცხობრივი მაჩვენებლით გამოიხატება, რაც კორელაციის კოეფიციენტშია ასახული. კორელაციის კოეფიციენტი (r) +1.0 და –1.0 შორის არსებული რიცხობრივი მაჩვენებლებით ცვლადებს შორის დადგენილი დამოკიდებულების შინაარსობრივ და რაოდენობრივ (ინტენსივობა) მხარეს გამოხატავს. ცხადია, რომ +0.80 კორელაციის კოეფიციენტი ორ ცვლადს შორის ძალზე მჭიდრო კავშირზე მიგვითითებს, ხოლო + 0.15 მათ შორის სუსტ დადებით მიმართებაზე მეტყველებს. მსგავსად ამისა, – 0.80 და –0.15 მაჩვენებლები მაღალ და სუსტ უარყოფით კავშირებზე მიგვანიშნებენ.

კორელაციური გამოკვლევის საილუსტრაციოდ კონკრეტულ ჰიპოთეზურ მაგალითს მივმართოთ. დავუშვათ, რომ მკვლევარს შემდეგი საკითხის შესწავლა აინტერესებს: არის თუ არა კავშირი ბავშვის მიერ კითხვის უნარის გაუმჯობესებასა და მის მიერვე რაიმე სატელევიზიო საგანმანათლებლო გადაცემის ყურების ხანიერებას შორის? უპირველეს ყოვლისა, მკვლევარი შემთხვევითი არჩევანის წესის გამოყენებით ცდისპირებად გარკვეული რაოდენობის ბავშვებს შეარჩევს; გარდა ამისა, სათანადო ტესტის გამოყენების მეშვეობით ყოველი ბავშვის კითხვის უნარს გაზომავს. ამის შემდეგ, მკვლევარი მშობლების მიერ (მათ, რასაკვირველია, წინასწარ ინსტრუქტაჟი უტარდებათ) აღნუსხულ მონაცემებს აგროვებს, რომლებიც ბავშვის მიერ სატელევიზიო გადაცემის ცქერის ხანიერებას ეხებიან. დაბოლოს, მკვლევარი ამ მონაცემებს შორის კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლას აწარმოებს. დავუშვათ, რომ მიღებული მაჩვენებელი + 7.0 ტოლი აღმოჩნდა. დაისმის კითხვა: ამ შედეგის საფუძველზე რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია? ერთადერთის, კერძოდ, იმის, რომ ერთი ცვლადი მეორესთან მჭიდროდ არის დაკავშირაებული. ამავე დროს, რადგან შესწვლილ ორ ცვლადს შორის მაღალი დადებითი კორელაცია გამოვლინდა, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უშუალოდ სატელევიზიო გადაცემებმა მისი მაყურებელი ბავშვების კითხვის უნარი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, ანუ ერთმა ცვლადმა მეორე ცვლადის მნიშვნელოვანი ცვლილების გამომწვევი მიზეზი გახდა. ამგვარი დასკვნის გაკეთება გაუმართლებელია, რადგან კორელაციის მაჩვენებელი შე-

სასწავლ მოვლენებს შორის მიზეზობრივ კავშირს ვერ გვიდგენს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ მიღებული შედეგი არა გამოკვლევაში გაზომილი ცვლადის (ტელეგადაცემის ხანიერება) ზემოქმედებით იყოს გამოწვეული, არამედ, შესაძლოა, ის სულ სხვა ფაქტორებმა განსზაღვრეს. მაგალითად, არ არის გამორიცხული, რომ იმ ბავშვებს, რომლებსაც კითხვის უნარი უკვე ჰქონდათ განვითარებული, გადაცემა მათ მეტ სიამოვნებას ანიჭებდა და ამიტომ სწორედ ისინი უყურებდნენ მას უფრო ხშირად, ვიდრე ის ბავშვები, რომლებსაც კითხვის უნარი ნაკლებად ჰქონდათ განვითარებული და ამიტომ მათ იმავე გადაცემის ყურება ნაკლებად აინტერესებდათ. იმასაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ მიღებული შედეგი მშობლების განათლების დონემ განაპირობა, რადგან სავსებით მოსალოდნელია შემდეგი: რაც უფრო მაღალი განათლების დონე გააჩნიათ მშობლებს, ბავშვების მიერ კითხვის ეფექტურ დაუფლებაზე და, შესაბამისად, გადაცემის ყურების ხანიერებაზე სწორედ ეს ფაქტორი უფრო მძლავრ ზემოქმედებას მოახდენდა. ამდენად, შესასწავლ მოვლენებს შორის *მიზეზობრივი მიმართების დადგენისთვის* უფრო დახვეწილი მეთოდის გამოყენება არის საჭირო, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით.

ექსპერიმენტული გამოკვლევა

ადამიანის ფსიქიკური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, სხვა მეთოდებთან შედარებით, მკვლევართა უმრავლესობა უპირატესო-

ბას ექსპერიმენტს ანიჭებს. მარტივი კორელაციური გამოკვლევის მსგავსად, მარტივი ექსპერიმენტის ჩატარების შემთხვევაშიც შესწავლის ძირითადი ამოცანა ორ ცვლადს შორის არსებული მიმართების თავისებურების დადგენაში მდგომარეობს. ამავე დროს, კვლევის ამ ორ მეთოდს შორის არსებითი განსხვავება იმაშია, რომ ნებისმიერი ექსპერიმენტი შესასწავლ ცვლადებს შორის *მიზეზობრივი* დამოკიდებულების დადგენას ისახავს მიზნად. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ კვლევის ამ ორ მეთოდს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იმ ხერხების გამოყენებაშია, რომელთა მეშვეობით მკვლევარი შესასწავლი მოვლენის შესახებ ცდისეულ ინფორმაციას იღებს. კორელაციური გამოკვლევა, ჩვეულებრივ, ცალკეულ დაკვირვებაზეა დამყარებული. ამ შემთხვევაში შესასწავლ ცვლადებზე დაკვირვებას და მათ აღნუსხვას მკვლევარი ისე ახორციელებს, რომ ის მათზე არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს. ამისგან განსხვავებით, ექსპერიმენტული კვლევის ჩატარების პროცესში ექსპერიმენტატორი სისტემატური მანიპულირების სხადასხვა ხერხებს იყენებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ექსპერიმენტული გამოკვლევის დროს მკვლევარი შექმნილი ვითარების რაიმე მხარის გამიზნულ ცვლილებას ახდენს და ცდისპირების პასუხებზე მის ზემოქმედებას შეისწავლის. ექსპერიმენტის ჩატარების არსი იმაში მდგომარეობს, რომ შესასწავლ მოვლენებს შორის მიზეზობრივ მიმართებათა სათანადო პირობები უნდა შეიქმნას. ამგვარი პირობების ფორმირებისთვის ორი სახის ცვლადის გათვალისწინება არის საჭირო.

ხაზგასასმელი შემდეგია: ერთი მხრივ, ექსპერიმენტულ სიტუაციაში ფაქტორს, რომელსაც მკვლევარი მართავს და აკონტროლებს, *დამოუკიდერბელი* ცვლადი ეწოდება. მეორე მხრივ, ფაქტორი, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედების შედეგად იცვლება – *დამოკიდებული* ცვლადი გახლავთ. ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგებში მომუშავე მკვლევართა მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებებში დამოკიდებელი ცვლადის როლში, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ფსიქიკური პროცესის ან ღია ქცევის რაიმე მახასიათებელი გამოდის, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადად ის ფაქტორი გვევლინება, რომელიც მკვლევარის წინასწარი ვარაუდის მიხედვით იმავე მოვლენებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას უნდა ახდენდეს. სანამ უშუალოდ ფსიქიკური განვითარების შემსწავლელი ექსპერიმენტული კვლევის ნიმუშებს განვიხილავთ, ექსპერიმენტულ ვითარებაში არსებული ცვლადების ურთიერთმიმართების თავისებურებათა ნათელსაყოფად ერთ-ერთ კლასიკურ გამოკვლევას მივმართოთ [17]. მკვლევარებმა მიზნად შემდეგი საკითხის ცდისეული შესწავლა დაისახეს: რა განაპირობებს ჩვილ პრიმატებში (ადამიანის მსგავსი მაიმუნები) დედის მიმართ ემოციურ მიჯაჭვულობას (ერთგულებას, სიყვარულს)? ამ საკითხთან დაკავშირებით ორი მოსაზრება არსებობდა. ერთი თვალსაზრისის მიხედვით, დედის მიმართ ჩვილი პრიმატის მიჯაჭვულობის საფუძველს დედის მიერ შვილის საკვებით უზრუნველყოფა უნდა განაპირობებდეს. მეორე მოსაზრების თანახმად, შვილის მშობლისადმი ამგვარი ემოციური დამოკიდებულების მიზეზი დედის მიერ მისთვის უსაფრთხო და მყუდრო

პირობების შექმნა უნდა იყოს. ამ თეორიული ვარაუდების შესამოწმებლად მკვლევარებმა ჩაატარეს ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელშიც ჩვილი პრიმატები დედებისგან განაცალკევეს და მათ საურთიერთობო იზოლაციის პირობები შეუქმნეს. ისინი ცალ-ცალკე გალიებში მოათავსეს. ორივე გალიაში ორი სუროგატული "დედა" იმყოფებოდა: ერთი მაგარი მავთულხლართიდან იყო დამზადებული, ხოლო მეორის მავთულხლართი რბილი მუყაოთი იყო გარშემოვლებული. ამ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში დამოუკიდებელი ცვლადის (ექპერიმენტატორის მიერ მანიპულირებადი ფაქტორი) როლში რძის ბოთლი (საკვების მიღება) გამოდიოდა. ერთ ექსპერიმენტულ ვითარებაში ჩვილი პრიმატი რძეს მავთულხლართიანი დედისგან იღებდა ხოლო მეორეში – მუყაოთი გარშემოვლებულისგან იკვებებოდა. დამოკიდებელ ცვლადს ჩვილი პრიმატის ამა თუ იმ დედასთან ყოფნის ხანგრძლივობა და რაიმეს გამო პრიმატის მიერ შიშის განცდის დროს დედებთან მათი მიკედლების სიხშირე წარმოადგენდა. მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელი დედა იყო ჩვილის კვების წყარო, ის უპირატესობას მაინც რბილმუყაოიან დედას ანიჭებდა. ამ შედეგზე დაყრდნობით, მკვლევარებამა დაასკვნეს, რომ დედის მიმართ ემოციური მიჯაჭვულობის წარმოქმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა საკვების მიღებას, არამედ ჩვილი პრიმატის მიერ უსაფრთხოების და კომფორტის განცდას გააჩნია.

ჯგუფთაშორისი შედარება. ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებათა ექსპერიმენტული შესწავლის დროს, ძირითადად, ცდისპირთა განსხვავებული ჯგუფების ქცე-

ვითი მახასიათებლების მონაცემთა ურთიერთშედარება წარმოებს. ცდისპირთა სხვადასხვა ჯგუფებში დამოუკიდებელი ცვლადის მანიპულირებასთან გვაქვს საქმე. ექსპერიმენტული კვლევის ჯგუფთაშორისი შედარების მეთოდის საილუსტრაციოდ წინა პარაგრაფში განხილულ ჰიპოთეზურ მაგალითს დავუბრუნდეთ, რომელიც ბავშვების მიერ კითხვითი აქტივობის გამოვლენაზე ტელეგადაცემების ზემოქმედებას ეხებოდა. პირველ რიგში, თეორიული ვარაუდიდან გამომდინარე, კვლევის მიზანი მკაფიოდ უნდა იყოს დასახული, რაც დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების არგუმენტირებულ გამოყოფას განაპირობებს. თუ კვლევის მიზანი ტელეგადაცემების კითხვის ეფექტურობაზე ზემოქმედების გარკვევაში მდგომარეობს, მაშინ ბავშვების მიერ გადაცემათა ყურების სიხშირე დამოუკიდებელი ცვლადის, ხოლო ბავშვის მიერ კითხვის გაუმჯობესება დამოკიდებული ცვლადის როლში გამოვა. ექსპერიმენტის მომდევნო საფეხურზე დამოუკიდებელი ცვლადის მანიპულაცია უნდა განხორციელდეს. ამავე დროს, ბავშვების ცდისპირებად დაჯგუფება შემთხვევითი არჩევანის პრინციპის გამოყენების საფუძველზე წარმოებს. დავუშვათ, რომ ისინი ოთხ ჯგუფად შემდეგნაირად დავყავით: პირველი ჯგუფის წევრები გადაცემებს კვირაში 2-საათს უყურებენ, მეორე ჯგუფის – 4-საათს, მესამე ჯგუფის – 8 საათს, ხოლო მეოთხე ჯგუფის – 10 საათს. ცდისპირთა კითხვის უნარის შემოწმება სათანადო ფსიქოლოგიური ტესტების გამოყენებით ხდება, ხოლო იგივე პროცედურა განმეორებით ექვსი თვის შემდეგ ტარდება (ცვლადების ორჯერადი გაზომვის ხერხი). თუ მიღე-

ბულ მონაცემებს შორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტელეგადაცემების ხშირი ყურება კითხვის გაუმჯობესების მიზეზია, რაც ნულოვან ჰიპოთეზას უკუაგდებს, ხოლო კვლევით თეორიულ ვარაუდს დაადასტურებს.

რეგრესიულ-რეპლიკაციური მეთოდი. რეგრესიულ-რეპლიკაციური მეთოდი ექსპერიმენტული კვლევის ერთ-ერთი ხერხია, რომელშიც დამოუკიდებელი ცვლადის გამოყენება-არგამოყენების გარკვეული მონაცვლეობით წარმართვა იგულისხმება. ამ ხერხით ექსპერიმენტის ჩატარების უპირეტესობა იმაშია, რომ მასში ცდისპირთა მცირე რაოდენობა (ზოგიერთ შემთხვევაში ერთი ბავშვითაც შეიძლება შემოვიფარგლოთ) მონაწილეობს. დავუშვათ, რომ ემპირიული კვლევით შემდეგი ჰიპოთეზის შემოწმება გვსურს: რამდენად განაპირობებს ჩვილი ბავშვის ღიმილის სიხშირეს დედის ყოფნა-არყოფნა? ამ ვარაუდის შესამოწმებელ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში დედის თანდასწრება ან დაუსწრებლობა დამოუკიდებელი ცვლადის როლში გამოდის, ხოლო ჩვილის მიერ გამოვლენილი ღიმილის სიხშირე დამოკიდებული ცვლადია. გამოკვლევის ჩატარება შემდეგი ზოგადი ექსპერიმენტული პრინციპის გათვალისწინებას გულისხმობს: ყოველდღიურ ცდათა სერიებში დედის ყოფნისა და არყოფნის ვითარებათა გათვალისწინებით, ბავშვის მიერ ერთ წუთში გამომჟღავნებული ღიმილის სიხშირე უნდა აღინუსხოს. თვით ექსპერიმენტის ჩატარება შემდეგი ეტაპებისგან შედგება. უპირველეს ყოვლისა, შესასწავლი ქცევის (ჩვილის ღიმილი) საწყისი, ანუ ჩვეული დონე უნდა დავადგინოთ. ამ შემთხვევაში ამ-

გვარ საფუძვლად ჩვილის მიერ გამოვლენილი ღიმილის ბუნებრივად დამახასიათებელი სიხშირე უნდა ჩავთვალოთ. ეს გამოკვლევის პირველი ეტაპია და ამ ვითარებაში დედა არ მონაწილეობს. ექსპერიმენტის მომდევნო ეტაპზე დამოუკიდებელი ცვლადის მანიპულირებას ვაწარმოებთ, კერძოდ, დედის თანდასწრების სიტუაციას ვქმნით. დავუშვათ, რომ ამ ვითარებაში ჩვილის ღიმილის სიხშირემ მნიშვნელოვნად მოიმატა. ჩნდება შემდეგი კითხვა: შეგვიძლია კი ამ შემთხვევაში დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდი სწორია? ამგვარ დასკვნას ჩვენ ვერ გავაკეთებთ, რადგან სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ჩვილის მოქმედება სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორების ჩარევით შეიძლება იყოს გამოწვეული. პირველადი შედეგის დასაზუსტებლად, ექსპერიმენტის მესამე ეტაპზე, რომელსაც *უკუსელა* ეწოდება, დამოუკიდებელი ცვლადის მანიპულაციაში დამატებითი ცვლილება უნდა შევიტანოთ, ანუ გამოკვლევის პირველ ეტაპზე ჩატარებული პროცედურა, რომელშიც დედის თანდასწრება არ იგულისხმებოდა, ხელმეორედ უნდა განვახორციელოთ და ამით გამოკვლევის მეორე ეტაპზე მიღებული შედეგი შევამოწმოთ. ექსპერიმენტის ჩატარების მეოთხე ეტაპზე მეორე ეტაპზე გამოყენებული პროცედურის გამეორება ხდება, რომელშიც დედის მონაწილეობა იგულისხმება. ამდენად, ამგვარი ექსპერიმენტული გამოკვლევა შემდეგნაირად მიმდინარეობს: პირველი საფეხური → ქცევის საწყისი დონე (დედის არყოფნა); მეორე საფეხური → დამოუკიდებელი ცვლადის მანიპულაცია (დედის თანდასწრება); მესამე საფეხური → უკუსელა (დედის არ-

ყოფნა); მეოთხე საფეხური → დამოუკიდებელი ცვლადის განმეორებითი მანიპულაცია (დედის თანდასწრება). იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტული გამოკვლევის მეოთხე ეტაპზე მიღებული მონაცემები მეორე ეტაპზე გამოვლენილ მაჩვენებლებს დაემთხვა, ანუ მათ შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დადასტურდა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დედის ყოფნასა და ჩვილის ღიმილის სიხშირეს შორის მიზეზობრივი კავშირი ნამდვილად არსებობს.

	ემპირიული ვალიდობა	შინაგანი ვალიდობა	კონტროლის ხარისხი
შინაარსეული ანალიზი	საშუალო	საშუალო	მცირე
ცალკეული შემთხვევები	მცირე	მცირე	მცირე
სისტემური დაკვირვება	მცირე	მცირე	მცირე
გამოკითხვა	საშუალო	საშუალო	საშუალო
ლაბორატ. ექსპერიმენტი	დიდი	საშუალო	დიდი
საველე ექსპერიმენტი	დიდი	დიდი	დიდი

ცხრილი №1. კვლევითი მეთოდების ეფექტურობის ურთიერთშედარება

როგორც ვხედავთ, ექსპერიმენტი მეცნიერული კვლევა-ძიების ძალზე ეფექტური საშუალებად მხოლოდ იმიტომ კი არ გვევლინება, რომ ის მოვლენებს შორის მეზეზობრივ მიმართებებს ავლენს, არამედ იმიტომაც, რომ მისი შედეგები ხელს უწყობენ სხვადასხვა სახის პრაქტიკული პრობლემების დაძლევას. ამის საფუძველს *ლაბორატორიულ* ექსპერიმენტში მიღებული მონაცემების ე.წ. *სა-*

ველე ექპერიმენტით (ბუნებრივ, რეალურ ცხოვრებისეულ პირობებში განმეორებული ექსპერიმენტული გამოკვლევა) დადასტურება წარმოადგენს [18,19]. №1 ცხრილში ჩვენს მიერ განხილული ემპირიული კვლევის მეთოდებია ერთთმანთთან შედარებული. ამა თუ იმ კვლევის მეთოდის შეფასების კრიტერიუმებად შემდეგი მახასიათებლები იყო გათვალისწინებული – ვალიდობა (შინაარსეული და ემპირიული) და მკვლევარის მიერ ცვლადებზე განხორციელებული კონტროლოს ხარისხი.

განვითარების შემსწავლელი სპეციალური მეთოდები

ადამიანის განვითარება მისი ფსიქიკური აქტივობისა და რეალური ქცევის ცვლილებებში გამოიხატება. მკვლევართა ინტერესის საგანს ერთი ასაკიდან მეორეში გადასვლის პროცესში აღნიშნული ცვლილებების შესწავლა წარმოადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში გამოკვლევა, თავისი ბუნებით, აღწერითია. ამის მაგალითია ბავშვის მეტყველებაში თვისებრივი წინსვლა – მის მიერ ცალკეული სიტყვების წარმოთქმიდან დაწყებული და იმ ასაკით დამთავრებული, როდესაც ის წინადადებების გამართულ აგებას ეუფლება. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია, რომ შესწავლის ობიექტი ბავშვის სასკოლო გარემოსადმი მისი სოციალური შეგუების პროცესი იყოს. საკითხთა შესწავლის ამ ორივე შემთხვევაში საგნის კვლევის შესატყვისი მეთოდები უნდა გაგვაჩნდეს. ამგვარი მეთოდების გამოყენების ძირითადი დანიშნულება სხვადასხვა ასაკში ბავშვის ან მოზარდის ქცევაში მომხდარი ცვლილებების

დადგენა გახლავთ. ქვემოთ სწორედ ამგვარი მეთოდების შესახებ გვექნება მსჯელობა. გრძელვადიანი გამოკვლევა. *გრძელვადიანი* (ლონგიტუდური) გამოკვლევა ისეთი მეთოდია, რომლის გამოყენების შემთხვევაში ერთი და იგივე სუბიექტის შესწავლა დროის გარკვეულ მონაკვეთებში ხდება. გრძელვადიანი გამოკვლევის არსი საკმაოდ მარტივია: სუბიექტის სათანადო ფსიქიკური და ქცევითი მახასიათებლების გაზომვა, ვთქვათ, ადრეულ ასაკში ხდება, ხოლო გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხანიერების კონკრეტულ მონაკვეთში იგივე პროცედურა ხელმეორედ ტარდება. ამ მეთოდის ძირითადი ღირსება იმაში უნდა დაეინახოთ, რომ ის სუბიექტის ქცევის გარკვეულ ფორმაში მომხდარი ცვლილებების უშუალო შესწავლის შესაძლებლობას გვაძლევს [20]. გრძელვადიანი გამოკვლევის ჩატარების დროს ფსიქიკურ სფეროში და ღია ქცევში მომხდარი ცვლილებების შესწავლას, ხშირად, მრავალი წელი სჭირდება. წლების რაოდენობა, რომელსაც გრძელვადიანი გამოკვლევა მოითხოვს, შესასწავლი საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე, საგრძნობლად ცვალებადობს. ზოგიერთ შემთხვევაში დროის მონაკვეთი შედარებით მცირეა. მაგალითად, იმის გამოსარკვევად, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ახალშობილთა დღენაკლულობა ბავშვის ფეხის ადგმაზე და მის მიერ მეტყველების დაწყებაზე, გამოკვლევა 18 თვიდან დაწყებული 2 წლამდე დროის ინტერვალში უნდა ჩატარდეს. განსხვავებულ ვითარებასთან გვექნება საქმე, როდესაც კვლევის საგანს ბავშვთა განვითარების ადრეულ ეტაპზე მშობლების მიერ მათი აღზრდის ძირითად პრინციპად გამოყენებული დას-

ჯის ეფექტურობა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში შესწავლის ხანიერებამ მრავალი წელი შეიძლება მოიცვას.

თავისი შინაარსით გრძელვადიანი გამოკვლევა კორელაციური ან ექსპერიმენტული შეიძლება იყოს. თუ ჩვენ სუბიექტის ფსიქიკური აქტივობის და რეალური ქცევის გარკვეულ მახასიათებლებს ჯერ ერთ ასაკში, ხოლო შემდგომ, მომდევნო ასაკში ვზომავთ, მაშინ აღნიშნული ორი სახის მონაცემებს შორის კორელაციის დადგენა შეგვიძლია. გრძელვადიანი კორელაციური გამოკვლევის დროს შესწავლის საგანი სუბიექტის ფსიქიკური პროცესებისა და მისი ღია ქცევის მახასიათებელთა დროში სტაბილურობა გახლავთ. დაეუშვათ, ჩვენ სუბიექტის ტემპერამენტის (ინდივიდუალური თვისება) ტიპოლოგიური თავისებურებების დროში სიმყარის შესწავლა გვაინტერესებს. ამ შემთხვევაში კვლევის ოპტიმალური პროცედურა შემდეგში მდგომარეობს: აღნიშნული პიროვნული მახასიათებელი ცალკეულ ბავშვს ან მოზარდს პერიოდულად უნდა გავუზომოთ და შემდგომ მონაცემებს შორის კორელაციის მაჩვენებლის მნიშვნელოვნების დონე დავადგინოთ.

გრძელვადიან ექსპერიმენტულ გამოკვლევას რაც შეეხება, მისი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტის ფსიქიკური განვითარების ერთ ეტაპზე დამოუკიდებელი ცვლადის ან ცვლადების მანიპულაცია და შემდგომი განვითარების რაიმე კონკრეტულ მომდევნო სტადიაზე ამ პროცედურის დამოკიდებულ ცვლადზე ან ცვლადებზე ზენოქმედების ხარისხის გაზომვა უნდა განხორციელდეს. გრძელვადიანი ექსპერიმენტული გამოკვლევა იმ შემთხვე-

ვაში გამოიყენება, როდესაც მკვლევარს ამჟამინდელ ან მომდევნო ფსიქიკურ აქტივობაზე და ღია ქცევაზე ბავშვობის ადრეული ასაკის ზემოქმედების მიზეზობრივი კავშირების დადგენა სურს. ვთქვათ, კვლევის მიზანი ადრეულ ასაკში წარმოქმნილი სპეციფიკური ვითარებების (მაგალითად, მშობლების გაყრა, კვების დიეტის ხარისხი, განვითარების რაიმე სპეციალურ ფსიქოფიზიოლოგიურ პროგრამაში ბავშვის ჩართვა და ა.შ.) სუბიექტის განვითარებაზე ხანიერი და მძლავრი ეფექტების შესწავლაში მდგომარეობს. ამ შემთხვევაში კვლევის ყველაზე ხელსაყრელ ხერხს გრძელვადიანი ექსპერიმენტული გამოკვლევა წარმოადგენს. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ბავშვების შემდეგი ორი ჯგუფი გამოვყოთ: ერთი, რომლის წევრები ადრეულ ასაკში კომპლექსური ფსიქოფიზიოლოგიური განვითარების პროგრამაში იყენენ ჩართული და მეორე, რომლის წარმომადგენლებს აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. გამოკვლევის ჩანაფიქრის თანახმად, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ჩვენ ამ ორი ჯგუფის წევრების, ვთქვათ, დაწყებით კლასებში აკადემიური მოსწრების მონაცემების შედარება შეგვიძლია.

მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიანი გამოკვლევის მეთოდს მრავალი ღირსება გააჩნია, ამავე დროს, მისთვის გარკვეული ნაკლოვანებებიც არის დამახასიათებელი [21]. ერთ-ერთ მათგანში ცდისპირების გამოკლება, ანუ განთესვა ოგულისხმება, რაც სხვადასხვა მიზეზებით არის ხოლმე გამოწვეული. მაგალითად, შესაძლებელია ოჯახმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოს, ბავშვი ავად გახდეს

ან რაიმე სხვა პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს, მშობლებმა მიმდინარე გამოკვლევისადმი ინტერესი დაკარგონ და შვილი მასში აღარ ჩართონ და ა.შ. გრძელვადიანი გამოკვლევის ნაკლოვანი მხარის ერთ-ერთ მიზეზად თვით ცდისპირის განმეორებითი ან მრავალჯერადი ტესტირება შეიძლება მოგვევლინოს. დავუშვათ, რომ კვლევის მიზანი ბავშვის ზოგადი გონიერების განვითარების თავისებურებათა შესწავლაში მდგომარეობს, რაც მისი ინტელექტის გამზომი ტესტების დროის გარკვეულ მონაკვეთებში რამდენიმე ჯერ გამოყენებას გულისხმობს. ამავე დროს, ტესტების ხელმეორედ გამოყენებამ ბავშვი მათ მიმართ შეესაძლოა "შეგუებადი" გახადოს და მის მიერ გაცემული სწორი პასუხები არა უშუალოდ სააზროვნო ოპერაციების (უნარის) განვითარებით, არამედ არსებითად მისი მეხსიერების ფუნქციონირებით იყოს განპირობებული. კვლევის ამგვარი მეთოდის ერთ-ერთი ნაკლი იმაშია, რომ გამოკვლევის ადრეულ საფეხურებზე გამოყენებული ამა თუ იმ ცვლადების გამზომი ხერხები დროთა განმავლობაში შეძლება მოძველდნენ. არც ის არის გამორიცხული, რომ თვით შესასწავლი პრობლემა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სხვა გამოკვლევათა შედეგების მიხედვით, ნაკლებად აქტუალური გახდეს. არც ისაა გამორიცხული, რომ მრავალჯერადმა ტესტირებამ შესაძლოა ტრენირების ფუნქციაც შეასრულოს და ამით რამდენადმე შეცვალოს ცდისპირის კოგნიტური უნარების ხარისხი. დაბოლოს, გრძელვადიანი გამოკვლევის ნაკლი ისიც არის, რომ მისი ჩატარება მკვლევართა შედარებით დიდ შტატს და დროის საგრძნობ დანახარჯებს მოითხოვს,

რაც, საბოლოო ჯამში, მას საკმაოდ ძვირად ღირებულ ღონისძიებად წარმოაჩენს.

ჯგუფთაშორისი გამოკვლევა. გრძელვადიანი შესწავლის ალტერნატივად ჯგუფთაშორისი ("სექციათაშორისსაც" უწოდებენ) გამოკვლევა მოიაზრება. *ჯგუფთაშორის* გამოკვლევაში ისეთი მეთოდი იგულისხმება, რომლის დროს სხვადასხვა ასაკის ადამიანების ფსიქიკურ პროცესებზე და მათ რეალურ ქცევაზე გარკვეულ ფაქტორთა ზემოქმედების ერთდროული შესწავლა წარმოებს. როდესაც ამგვარი კვლევა ტარდება, მაშინ ცდისპირების ასაკი დამოუკიდებელი ცვლადის როლში გამოდის. გრძელვადიან გამოკვლევასთან შედარებით, ამ მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ კვლევის პროცედურულ მანიპულაციას ბევრად უფრო ნაკლები დრო ესაჭიროება. იმის ნაცვლად, რომ, ვთქვათ, 3 წლიანი და 8 წლიანი ბავშვების მეხსიერების თავისებურებათა შესწავლის პროცესში 5 წლის დროის ინტერვალს დაველოდოთ, ამ მეთოდური ხერხის გამოყენების შემთხვევაში იმავე ასაკის ბავშვთა ჯგუფების ერთდროული შესწავლა და შემდგომ მიღებული მონაცემების ურთიერთშედარების შესაძლებლობა გვეძლევა. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდით გამოკვლევის ჩატარებისთვის დამახასიათებელი დროის მონაკვეთის შედარებითი სიმცირე მკვლევარს ცდისპირთა გამოკლებასთან, ხელმეორე ტესტირებასთან, საკუთრივ გამოყენებული ინსტრიმენტის მოძველებათან, ტესტირების ტრენირებად გადაქცევის და გამოკვლევის სიძვირესთან დაკავშირებულ პრობლემებს თავიდან აცილებს.

ამავე დროს, ის უარყოფითი მხარეც აღსანიშნავია, რომელიც ჯგუფთაშორისი გამოკვლევისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, კვლევის ამ მეთოდის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში ცდისპირების ადრეული ცხოვრებისეული გამოცდილება და მათი სხვადასხვაგვარი ქცევის სიმყარე-ცვალებადობა კვლევა-ძიების მიღმა რჩება. ამ შემთხვევაში განსხვავებული ასაკის ადამიანთა ამჟამინდელი რეალური ქცევის საფუძვლად მდებარე მნიშვნელოვანი მოვლენების (ფაქტორების) დინამიკის თავისებურებათა დადგენა შეუძლებელია. ჯგუფთაშორისი გამოკვლევის მართლაც ყურადსაღები ნაკლი ე.წ. *კოჰორტის ეფექტი* გახლავთ. *კოჰორტა* დროის ერთ პერიოდში დაბადების მიხედვით ადამიანთა ერთ ჯგუფში გაერთიანებას ნიშნავს. ემპირიულ კვლევაზე მისი უარყოფითი გავლენა იმაში მდგომარეობს, რომ გამოკვლევაში მონაწილე განსხვავებული ასაკის ცდისპირები მათი თაობისთვის სპეციფიკურად დამახასიათებელი სოციალური ბუნების ფაქტორთა მძლავრ ზემოქმედებას განიცდიან. დავუშვათ, რომ ჩვენი მიზანი 25, 35 და 60 წლის ადამიანთა შემეცნებითი, კერძოდ "ზუსტი აზროვნების" უნარის შესწავლაში მდგომარეობს. ისიც დავუშვათ, რომ მიღებულმა მონაცემებმა შემდეგი გვიჩვენეს: 35 წლის ცდისპირთა ჯგუფმა მათზე ახალგაზრდებთან და მათზე ხანდაზმულებთან შედარებით, პრობლემათა გადაწყვეტის შესაძლებლობის გამზომი ტესტების მიხედვით უფრო მაღალი ქულობრივი მაჩვენებლები მიიღეს. აქ დაისმის შემდეგი კითხვა: გვაქვს კი უფლება ამ მონაცემებზე დაყრდნობით გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ

ადამიანის შემეცნებითი უნარის განვითარება თავის უმაღლეს წერტილს 35 წლის ასაკში აღწევს და ის შემდგომში დაქვეითებას განიცდის? აღნიშნული ემპირიული შედეგი სწორედ ამგვარი დასკვნის გამოტანას გვკარნახობს. ამავე დროს, ამ შედეგის სხვაგვარი გააზრებაც არის შესაძლებელი. მაგალითად, თუ ჩვენ გამოკვლეული ცდისპირების განათლების დონეს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ სავარაუდოა, რომ 60 წლის ასაკის ცდისპირები ისტორიული დროის ისეთ მონაკვეთში ვითარდებოდენ, როდესაც აღმზრდელობითი პროცესი მათ სოციალურ და გრძნობად-ემოციურ განვითარებაზე იყო ძირითადად ორიენტირებული. 35 წლის ცდისპირებს რაც შეეხება, მათი ფსიქიკური მომწიფება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ბუმს დაემთხვა და მათ მეცნიერული და მათემატიკური აზროვნების უნარი უფრო ადვილად სწორედ ამიტომ ჩამოუყალიბდათ. აქ არსებითი ის გახლავთ, რომ ცდისპირები სამ ურთიერთგანსხვავებულ კოჰორტას, ანუ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ამდენად, ამ ჯგუფებს შორის ემპირიულ მონაცემებში მიღებული სხვაობა შესაძლებელია არა მათ შორის ასაკობრივი განსხვავებით, არამედ მათ შორის სხვადასხვაგვარი ცხოვრებისეული გამოცდილებით (სხვადასხვა კოჰორტასთან მიკუთვნებულობით) იყოს განპირობებული.

თანამიმდევრობითი გამოკვლევა. *თანამიმდევრობითი* გამოკვლევა ცდისეული შესწავლის ისეთი ხერხია, რომელშიც გრძელვადიანი და ჯგუფთაშორისი მეთოდებია გაერთიანებული. ამგვარი გამოკვლევა, ჩვეულებრივ, ჯგუფთაშორისი მეთოდის გამოყენებით იწყება, რომლის

დროს სხვადასხვა ასაკის მიხედვით დაჯგუფებულ ცდისპირთა ერთდროული შესწავლა წარმოებს. ამის შემდეგ, დროის სხვადასხვა მონაკვეთების გათვალისწინებით, იმავე ჯგუფის ცდიაპირთა ხელმეორედ შესწავლა ხდება. დავუშვათ, რომ ჩვენი კვლევის მიზანს სხვადასხვა ასაკის ბავშვების ამა თუ იმ თამაშში მათი კომპეტენტურობის ხარისხის შესწავლა წარმოადგენს. გამოკვლევის პირველ ეტაპზე 4, 7 და 10 წლის ასაკის ბავშვების თამაშებში კომპეტენტურობის დონის პირველი გაზომვის შემდეგ ხელმეორე გაზომვას ვაწარმოებთ. მიღებულ მონაცემებს პირველ მაჩვენებლებს ვუდარებთ. სავარაუდოა, რომ მონაცემებში მიღებული სხვაობის მადეტერმინირებელ ფაქტორად ან კოჰორტის (ჯგუფთაშორისი შესწავლის ზემოქმედება), ან ხელმეორედ გაზომვის ეფექტი (გრძელვადიანი გამოკვლევის გავლენა) უნდა მივიჩნიოთ. როდესაც ცდისპირთა კომპეტენტურობის მონაცემთა შორის დადგენილი სხვაობის და დროში მათი ქცევის სიმყარის მაჩვენებლები ძალზე მსგავსია, მაშინ მიღებული შედეგების დამაჯერებლობაში ჩვენ საკმაოდ დარწმუნებული შეგვიძლია ვიყოთ.

მიკროგენეტიკური გამოკვლევა. *მიკროგენეტიკური* გამოკვლევა ემპირიული კვლევის ისეთი მეთოდია, რომლის ჩატარების შემთხვევაში ფსიქიკური განვითარების პროცესში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილების შესწავლის მიზნით, ცდისპირების შედარებით მცირე რაოდენობაზე ხელმეორე დაკვირვების განხორციელება იგულისხმება [22]. აღსანიშნავია, რომ ფსიქიკური განვითარების, როგორც პროცესის ამა თუ იმ მხარეს წყვეტილი ხა-

სიათი გააჩნია (დროის გარკვეულ მონაკვეთში ის შედარებითი სიმყარით გამოირჩევა). ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ მან ერთბაშად მომწიფების უმაღლეს დონეს შეიძლება მიაღწიოს. მკვლევარს, რომელსაც ამგვარი ცვლილების შესწავლა სურს მიკროგენეტიკურ გამოკვლევას იყენებს, რაც მას ფსიქიკური განვითარების ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლის კანონზომიერებათა გამოვლენის შესაძლებლობას აძლევს. ისიც საგულისხმოა, რომ ამგვარი კვლევების უმრავლესობის მიზანი ბავშვის შემეცნების შესაძლებლობათა განვითარების თავისებურებათა შესწავლაში მდგომარეობს.

მიკროგენეტიკურ გამოკვლევაში ისეთი ბავშვები მონაწილეობენ, რომლებიც იმ ასაკში არიან, რომელშიც გარკვეული ფსიქიკური და ქცევითი მახასიათებლების მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი. გამოკვლევის პროცესში მათზე გულმოდგინე დაკვირვება წარმოებს, ხოლო შემდგომ იმავე ცდისპირების შესასწავლი მახასიათებლები ხელმეორედ იზომება. მაგალითად, თუ კვლევის მიზანი გარკვეულ პრობლემურ ვითარებებში ბავშვების მიერ სათანადო შემეცნებითი სტრატეგიების გამოყენების თავისებურებათა დადგენაში მდგომარეობს, მაშინ მკვლევარი ცდისპირებს დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩვეულებრივ, რამდენიმე კვირის განმავლობაში, სააზროვნო ამოცანების ამოხსნას ავალებს. ამ შემთხვევაში მკვლევარი ცდისპირების მიერ მათთვის მიცემული დავალებების სწორი ან მცდარი შესრულების თავისებურებს ადგენს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ცდისპირებს, ხშირად, საკუთარი მოქმედების შინაარსის აღწერაც ევალებათ,

რაც ამა თუ იმ საკითხებისადმი მათი მიდგომის სპეციფიკის (ბავშვებში ეს მათთვის მისახვედრი კითხვების გამოყენებით ხორციელდება) გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. ამგვარი მონაცემების საფუძველზე დგინდება, თუ როგორ გადადის სუბიექტი მარტივი შემეცნებითი სტრატეგიების გამოყენებიდან უფრო რთული და განზოგადებული სტრატეგიების გამოყენებაზე. ნათელია, რომ მიკროგენეტიკური გამოკვლევის გამოყენება ფსიქიკური განვითარების თავისებურებათა შესახებ მართლაც ძალზე მნიშვნელოვან და საჭირო ინფორმაციას გვაწვდის. ამავე დროს, ამ მეთოდით ჩატარებულ გამოკვლევას ის სირთულე გააჩნია, რომ მასში ცალკეულ ცდათა სერიები საკმაოდ შეზღუდული დროის მონაკვეთში ხორციელდება, რაც მკვლევართა მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. დასასრულ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა საკუთრივ ცდისპირების განმეორებითმა ტესტირებამ მის მიერ მიღებულ შედეგებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ მოახდინოს.

კულტურათაშორისი გამოკვლევა. დღეს, მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ადამიანთა ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის დროს აუცილებლად იმ სოციალური გარემოს თავისებურება უნდა იყოს გათვალისწინებული, რომელშიც ის მიმდინარეობს. ადამიანის ფსიქიკური განვითარებაზე სოციალური გარემოს შინაარსობრივი თავისებურების ზემოქმედების შესწავლა სწორედ კულტურათაშორისი გამოკვლევის საფუძველზე ხორციელდება [23]. *კულტურათაშორისი* გამოკვლევის ძირითადი მიზანი ადამიანის ფსიქიკური განვითა-

რების მიმდინარეობაზე კულტურის მადეტერმინირებელი ზემოქმედების შესწავლაში მდგომარეობს. მისი ჩატარების დროს სპეციფიკური სოციალური (კულტურალური) გარემო, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი ცვლადის როლში გამოდის. მაგალითად, ამ კვლევითი მეთოდის გამოყენებით, სხვადასხვა კულტურალური გარემოს თავისებურებათა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები იყო შესწავლილი, როგორიც არის სქესობრივი როლების, ზნეობრივი მსჯელობების და შემეცნებითი უნარების განვითარება. კულტურათაშორისი გამოკვლევის საშუალებით ისეთი საკითხების შესწავლაც შეგვიძლია, როგორსაც ადამიანის რეალურ ქმედებაში თანდაყოლილი და შეძენილი ფსიქოფიზიოლოგიური მახასიათებლების ხვედრითი წონის დადგენა წარმოადგენს. განსაკუთრებით ის გამოკვლევებია აღსანიშნი, რომლებიც მიზნად ბავშვის მეტყველების კანონზომირებათა შესწავლას ისახავდენ. მაგალითად, ემპირიულმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, რომ ინგლისურად მოლაპარაკე ბავშვებში ენის დაუფლების მიმდინარეობის ფორმა ერთგვაროვანი და პროგნოზირებადი პროცესია. ისიც ნაჩვენებია, რომ გარკვეულ ასაკში თითქმის ყველასთვის ერთგვაროვანი გრამატიკული შეცდომებია დამახასიათებელი. ამ შედეგთან დაკავშირებით ბუნებრივად შემდეგი კითხვა იბადება: რით არის განპირობებული ძირითადად აღნიშნული მსგავსება – თანდაყოლილი ბიოლოგიური მექანიზმებით, თუ იმით, რომ მოცემულ კულტურალურ გარემოში მცხოვრები ბავშვები თავისი მშობლების, მასწავლებლების და ზოგადად თავისებური სოციალური კონტექსტის ზემოქმედების გამო შესაბამისი, ანუ მსგავსი

ენობრივი სტრუქტურების ათვისება უხდებათ? ამ კითხვაზე გაცემის ყველაზე შესაბამისი პასუხი შემდეგს გულისხმობს: ენობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების კანონზომიერება სხვადასხვა კულტურალურ გარემოში მცხოვრებ ბავშვთა ამონაკრების შესწავლით უნდა განხორციელდეს. იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებულ ენობრივ გარემოში მცხოვრებ ბავშვებს ერთგვაროვანი გრამატიკული სტრუქტურები უყალიბდებათ, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბავშვის მიერ ენის ათვისების თავისებურება გენეტიკურად არის განპირობებული. იმ შემთხვევაში კი, თუ მგავსების ნაცვლად, საქმე არსებით განსხვავებასთან გვექნება, სავსებით ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ენის ათვისების პროცესი ძირითადად, სოციო-კულტურალური გარემოს შინაარსით არის განპირობებული.

ზოგადი დასკვნები

1. მეცნიერული კვლევა-ძიება მოვლენებს შორის მიმართებათა სისტემატურ შესწავლას გულისხმობს. თეორია მკვლევარის ყურადღებას კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისკენ წარმართავს, ხოლო ემპირიული კვლევის შედეგი თეორიის ეფექტურობას ამოწმებს და მას შემდგომი განვითარებისკენ უბიძგებს. თეორიული ვარაუდის მეცნიერული შემოწმება, ერთი მხრივ, ნულოვანი ჰიპოთეზის შემოწმებას გულისხმობს, რომელიც მიღებულ მონაცემებს შორის დადგენილ სხვაობას შემთხვევითობას მიაწერს. მეორე მხრივ, კვლევითი ჰიპოთეზაც მოწმდება,

რომლის თანახმად, მიღებულ მონაცემებს შორის სხვაობა გამოკვლევაში ჩართული ფაქტორების ზემოქმედებით უნდა აიხსნას. გარდა ამისა, ჰიპოთეზა სტატისტიკური მნიშვნელოვნობის კრიტერიუმით ფასდება. ნულოვანი ჰიპოთეზის უკუგდება და კვლევითი ვარაუდის დასაბუთება იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც მიღებულ მონაცემებს შორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. მკვლევარები შესასწავლი მოვლენების სანდო გაზომვას ცდილობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ემპირიულ გამოკვლევებში შექმნილ ერთგვაროვან პირობებში ერთნაირი მონაცემები უნდა იყოს მიღებული. სანდოობის ცნება მოპოვებული მონაცემების დროში სიმყარეზე და შემდგომში მათ განმეორებადობაზე მიგვანიშნებს. გარდა ამისა, შესასწავლი მოვლენის გამზომი ინსტრუმენტი ამ ფენომენის შინაარსს უნდა შეესაბამებოდეს, რაც მის ვალიდობას (საბუთიანობას) გამოხატავს. ამდენად, სანამ მკვლევარი მიღებული შედეგების განზოგადებას დააპირებს, ის მათ სანდოობაში და ვალიდობაში უნდა იყოს დარწმუნებული.

2. კვლევა-ძიების პროცესში სხვადასხვა სახის აღწერითი მეთოდები გამოიყენება. შინაარსეული ანალიზის ხერხის მეშვეობით ბიოგრაფიული, ფსიქიკური ჯანმრთელობის, დემოგრაფიული და სხვა მონაცემების შესწავლა წარმოებს. გამოკითხვის საშუალებით ადამიანთა დიდი რაოდენობის სოციალური განწყობების, ინტერესებისა და მათი ქცევის სხვადასხვა ფორმების გამოკვლევა არის შესაძლებელი. კორელაციის კოეფიციენტის (დადებითი ან უარყოფითი) საფუძველზე ცვლადებს შორის არსებული მიმართებების სიმჭიდროვე იზომება. საკუთრივ კორელა-

ციური გამოკვლევა მოვლენებს შორის მიზეზობრივ დამოკიდებულებას არ ასახავს.

3. ექსპერიმენტული გამოკვლევა დამოუკიდებელი ცვლადის გამიზნულ მანიპულირებას და, შესაბამისად, დამოკიდებულ ცვლადზე მისი ზემოქმედების გარკვევას გულისხმობს. ამის საფუძველზე მკვლევარი გამოკვლეულ მოვლენათა შორის არსებული მიზეზობრივი კავშირის შესახებ სათანადოდ დასაბუთებულ და სანდო დასკვნას აკეთებს. ექსპერიმენტული შესწავლა, რომელშიც დროის მოკლე მონაკვეთში ცდისპირების შედარებით მცირე რაოდენობა იღებს მონაწილეობას, მიღებულ მონაცემთა განზოგადების საშუალებას იძლევა.

4. ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა ასაკობრივი განსხვავებების თავისებურებათა გათვალისწინებას გულისხმობს. გრძელვადიანი გამოკვლევის ჩატარების შემთხვევაში დროის სხვადასხვა მონაკვეთებში ერთი და იგივე ცდისპირების ქცევის თავისებურებათა შესწავლა ხდება. ამ მეთოდის გამოყენება იმ შემთხვევაშია ხელსაყრელი, როდესაც ასაკობრივად განსაზღვრული ქცევის მომდევნო ფორმაზე წინარე გამოცდილების ზემოქმედების გამოკვლევა წარმოებს. გრძელვადიანი და ჯგუფთაშორისი (კროს-სექციური) მეთოდების გაერთიანებით თანამიმდევარი გამოკვლევის კომბინირებულ ვარიანტს ვიღებთ. დაბოლოს, კულტურათაშორისი გამოკვლევის საშუალებით ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე სპეციფიკური სოციალური გარემოს ზემოქმედების შესწავლა ხდება შესაძლებელი.

1. Appelbaum, M., Mc Call, R. Design and ananlizis in developmental psychology. In: W. Kessen (ed.), Handbook of Child psychology, V., 4, theory and methodology. N.Y.:Willey, 1969.
2. Walace, W. Sociobiological theory. N. Y.:Aldine., 1969.
3. ყვავილაშვილი, ჯ. მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში. თბილისი, 1990.
4. Готтстангер, Р. Основы психологического эксперимента. М.,1982.
5. Анастази, Псоихологическое тестирование. М, 1882.
6. Мельников, В., Ямпопльскиий, Л. Введение в экспериментальную психологию. М., 1985
7. Campbell, D., Fiske, D. Convergent and diskrimimamt valiodation by multiple trait-multimethod matrix. Psychlogical Bulletin, 1956, 81-105.
8. Браверман, Э., Мучник, И. Сруктурные методы обработки эмпирических данных. М., 1985.
9. Гласс, Д., Стенли; Д. Основы планирования эксперимента. В кн.: Статистические методы в педагогике и психологии. М., 1976.
10. Кембелл, Д. Научный вывод, артефакты и контроль. В кн.: Модели экспериментов в социальной психологии и прикладных исследованиях. М., 1980.
11. Bromberg, A., Lamb, M., Hawang, P. Inhibition: Its stability and correlates in sixteen-top-forty-month-old children. Childe development., 1900, 61, 1153-1163.
12. Spanos, S., Weeks, J., Bertnard, L. Multiple personality: a social psychological perspeqtive. Journal of Abnormal Psychology, 1985, 94, 362- 376.
13. Пиажэ, Ж,. Инельдер, Б. Генезис логичерских стуктур. М., 1963.
14. Gerbner, G., Gross, L., Morgan, M., Signorelli, N. Living with television: The dynamices of the cultivation process. In: J. Bryant (ed.), Perspectives on media effects. Hellstade, N.J: Ellbaum, 1987, 17-40.
15. Veroff, J., Kulka, R., Douvan, E. Mental health in America. Patterns of help-seeking from 1957to 1976. N.Y.: Basik-Books, 1981.
16. Jhon, O., Robins, R. Accuracy and bias in self- perception: Individual differences in self-enhasement and the role of narcissism. Journal of Personality and Social Psychology, 1995, 66, 206-219.
17. Harlow, W., Zimmerman, R. Affectional responses in the infant mankey. Sciance, 1959, 130, 421-432.
18. Muller, S. Development research. Englevood Clifs: Prentice Hall, 1987.
19. ჩარკვიანი, დ. კვლევის მეთოდები. წიგნში: ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში. თბილისი, 2001, 43-67.

20. Menard, S. Longitudional research. Newbury Park. S. A.: Sage, 1991.
21. Magnusson, D., Bergman, L., Rudiger, G,Torstead,B. Problems and methods in longitudional research: Stability and change. Cambrige University Press, 1991
22. Siegler, R., Crowley, K. Microgenetic methods revised. American Psychologist, 1992, 47, 1241-1243.
23. Harkness, S., Supper, C. The use cross-cultural research in child development.In:R. Vesta (ed.), Annuals of child development, V.4, Grinvih,C.T.: JAJ Press, 1989.

ჟ. „მაცნე“, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პერიოდული ჟურნალი, 2005, 2.

კვლევის მეთოდები ინდუსტრიისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში

მეცნიერული ცოდნა და საღი აზრი

ცალკეული მომუშავის, შრომითი ჯგუფის და მთლიანად ორგანიზაციის მოქმედების ეფექტურობას ადმინისტრაციის მიერ შრომის პროცესთან დაკავშირებული პრობლემების გაცნობიერების დონე და თანამშრომელთა ქცევის პროგნოზირების ხარისხი განაპირობებს. ჭეშმარიტ ცოდნას კი *მეცნიერული* კვლევა იძლევა, რომელშიც საჭირო და სანდო ინფორმაციის მოპოვება და მისი სისტემატური, მიუკერძოებელი ანალიზი იგულისხმება. შრომის და საორგანიზაციო მოვლენების მეცნიერულ შესწავლას შემდეგი მიზნები გააჩნია: კვლევის ობიექტის აღწერა, ახსნა და პროგნოზირება. აღწერის დანიშნულება მოვლენათა მიმდინარეობის სურათის ნათლად ასახვას გულისხმობს. კვლევის საფუძველზე, ვთქვათ, რაიმე დაწესებულების სხვადასხვა დონის და პროფილის თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის, წლის განმავლობაში კადრების დენადობის და სამსახურის გაცდენების მაჩვენებლების, მომუშავეთა შრომით კმაყოფილების დონის დადგენა შეგვიძლია. ახსნითი პრინციპების შემუშავება, მათი ემპირიული შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში ინდუსტრიის სფეროში მათივე დანერ-

გვა მეცნიერული კვლევის ყველაზე რთულ მხარეს წარმოადგენს. მოვლენათა ახსნა შემდეგი ზოგადი საკითხის გარკვევას გულისხმობს: რამ განაპირობა სამუშაო და საორგანიზაციო პირობებში მოვლენათა ასე და ამგვარად და არა სხვაგვარად მიმდინარეობა? შრომის პროცესთან მიმართებაში, ჩვეულებრივ, შემდეგ კონკრეტულ კითხვებთან გვაქვს საქმე: რა ფაქტორებმა განსაზღვრეს შესრულებული სამუშაოს ხარისხი? რატომ ტოვებენ თანამშრომლები დაწესებულებას? რამ განაპირობა მომუშავეთა შრომით უკმაყოფილება?

მეცნიერული კვლევის დანიშნულებას ორგანიზაციაში (ან მის გარემოში) მიმდინარე პროცესების პროგნოზირება წარმოადგენს. მკვლევარი იმის გარკვევით შეიძლება დაინტერესდეს, თუ რომელი თანამშრომლისგან (ან შრომითი ჯგუფისგან) უნდა ველოდოთ მაღალ პროდუქტიულ მუშაობას, რა კატეგორიის ხალხმა შეიძლება დატოვოს ორგანიზაცია ან ვინ იქნება შრომით კმაყოფილი. ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სხვადასხვა სახის საორგანიზაციო ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა გვეძლევა. შრომის პროცესებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ყოველ ჩვენთაგანს, როგორც შრომის სუბიექტებს, საკუთარი მიდგომა და თვალსაზრისი გაგვაჩნია. მაგალითად, ბევრს მიაჩნია, რომ ეფექტურ, ნამდვილ ლიდერს, სხვა თვისებებთან ერთად, კარგი გარეგნობაც უნდა ჰქონდეს და მჭერმეტყველიც უნდა იყოს. ადამიანთა უმრავლესობას აგრეთვე მიაჩნია, რომ, საზოგადოდ, მომუშავეთა ძირითად მასტიმულირებელ ძალას მათ საქმიანობაში ხელფასი და დაწინაურება

წარმოადგენს. ადამიანის შრომითი ქცევის და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მოვლენების შესახებ არსებული ე.წ. „ყოველდღიური“ თვალსაზრისები ძალზე ბევრია. ბუნებრივია, რომ აქვე ჩნდება კითხვა, რომელიც მათ სისწორეს ეხება. ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი ერთადერთია: ადამიანის რეალურ მოქმედებასთან, ან მისგან გამომდინარე შედეგებთან (როგორც მატერიალურ, ასევე ფენომენალურ, ან'ე განცდად რეზ'ულტატებს ვგ'ულისხმობთ) დაკავშირებული თვალსაზრისების ჭეშმარიტობა-მცდარობის დადგენის ყველაზე მართებული ხერხი მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული სისტემატური კვლევა გახლავთ. მეცნიერული კვლევის მიმდინარეობის კარგი გააზრება პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას, მკვლევართა მიერ მიღებული შედეგების სათანადო გამოყენებას, საორგანიზაციო ღონისძიებათა ეფექტურობის და ახალშემოღებათა ვარგისიანობის შეფასებას გვიადვილებს.

ამავე დროს, ხაზგასასმელია, რომ, ძალზე ხშირად, ადამიანების მიერ ფსიქოლოგიაში არსებული თეორიები და ემპირიული კვლევის შედეგები, როგორც იმთავითვე ცხადის, ტრივიალურის აღწერად, მის დასაბუთებად აღიქმება და ფასდება. თუ რამდენად მართებულია ამგვარი მიდგომა, ინდუსტრიისა და ორგანიზაციის (შემდგომში „ი-ო“ ფსიქოლოგია) ფსიქოლოგიაში წარმოებული კვლევების საფუძვლად მდებარე მეთოდოლოგიური ანალიზის საშუალებით უნდა გაირკვეს. როგორც ვთქვით, ი-ო ფსიქოლოგიის (სხვა სოციალურ მეცნიერებათა დარგების შესახებ იგივე ითქმის) სფეროში შემუშავებული კონცეფციები და ემპირიული შესწავლით მიღებული კონკრე-

ტული შედეგები ბევრმა ცხად და გაცვეთილ დებულებებად შეიძლება ჩათვალოს. ასეთებად, მაგალითად, შესაძლოა შრომის პროცესთან დაკავშირებული შემდეგი დებულებები შეფასდეს:

- ყველა მხოლოდ ხელფასისთვის მუშაობს;
- შრომით კმაყოფილი ადამიანი პროდუქტიულადაც შრომობს;
- ხელქვეითის მუშაობა ნაყოფიერია მაშინ, როდესაც უშუალო უფროსი მის მიმართ გულთბილ, მეგობრულ და ნდობის დამოკიდებულებას ავლენს;
- კადრების შერჩევის დროს მაძიებელთან წინასწარი გასაუბრება პოტენციურად კარგი და ცუდი მომუშავის დადგენის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს;
- ყველას უნდა, რომ საინტერესო და შინაარსიან სამუშაოს ასრულებდეს;
- ადამიანთა უმრავლესობას, ძირითადად, საკუთარი ხელფასის სიდიდე აინტერესებს და არა სხვისი;
- ეფექტურად მომუშავე ჯგუფებში კონფლიქტები თითქმის არ არსებობს.

ამ დებულებებიდან რომელი შეესაბამება სინამდვილეს, ჩვენი მსჯელობის კონსტექსტისთვის მნიშვნელობა არ გააჩნია. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ საღი აზრის ერთ-ერთი თავისებურებიდან გამომდინარე მოყვანილი დებულებებიც და მათი საპირისპირო თვალსაზრისებიც, შესაძლოა, ერთდროულად „ჭეშმარიტი“ აღმოჩნდნენ. საქმე იმაშია, რომ საღი აზრი, როგორც მოვლენა, ამ ბოლო ხანებში ინტენსიური კვლევის საგანი სწორედ ფსიქოლოგიაში გახდა, კერძოდ, მხედველობაში ე.წ. სოცია-

ლური აზროვნების შესწავლა გვაქვს. *საღ აზრში* ის შეხედულებები, შეფასებები და ქცევის წესების ერთობლიობა იგულისხმება, რომლებსაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვეყრდნობით. ხშირად, ამა თუ იმ მოვლენაზე ფიქრით მანამადე, სანამ ეს მოვლენა რეალურად არ განხორციელდება, თავს ნაკლებად ვიწუხებთ. როდესაც რაიმე მოხდება, ჩვენთვის ამ ფაქტის მიზეზი უეცრად და აშკარად მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ნათელი. რაც მთავარია, ეს ადამიანს არც კი უკვირს. ადამიანი საღ აზრს ფაქტების გაცნობამდე კი არა, მხოლოდ მათი გაცნობის შემდგომ მოუხმობს. ადამიანის საღი აზრის დონეზე მსჯელობის ეს თავისებურება ემპირიულად პირველებმა ბ. ფიშხოფმა და რ. ბეითმა შეისწავლეს, ხოლო ამ მოვლენას რეტროსპექციული აზროვნების ეფექტი ეწოდა [1].

რეტროსპექტიული აზროვნების ეფექტში იგულისხმება ადამიანის რწმენა, რომ წარსულში მისთვის საკმაოდ ნათელი იყო ის, რაც შემდგომ ნამდვილად მოხდა. ამ ეფექტს ხშირად „მე ეს ვიცოდი" ფენომენს უწოდებენ. ჩვენს ერთ-ერთ გამოკვლევაში მოვლენის განხორციელებამდე მის მიმართ მოლოდინებს (საფეხბურთო მატჩების შედეგების პროგნოზი) და განხორციელებული მოვლენის (საფეხბურთო მატჩების რეალური შედეგები) ინტერპრეტაციას შორის არსებული კავშირის თავისებურება იყო შესწავლილი [2]. მიღებული მონაცემების თანახმად, მოვლენის განხორციელების შემდეგ საწყისი მოლოდინების დადებითი, ოპტიმისტური მიმართულებით გადანაცვლება მოხდა, რაც რეტროსპექციული აზროვნების ეფექტს გამოხატავს („ეს გუნდი რომ მოიგებდა, ამაში ეჭვი არ მე-

პარებოდა“). რეტროსპექციული აზროვნება, როგორც საღი აზრის ტიპური ნიმუში, ადამიანის ზოგად და მყარ ტენდენციურობას ავლენს, რომლის არსი შეიძლება გამოვხატოთ დებულებით – „ადამიანი ბრძენი მას შემდეგ ხდება, როცა რაიმე მოხდება“.

ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც ნებისმიერი გამოკვლევის შედეგი საღი აზრისათვის საკვებით „ნათელია“; შედეგი რანაირიც არ უნდა იყოს, მისთვის უცნობი არაფერია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მის მიერ რეზულტატების გაცნობის შემდეგ ხდება. ზემოთ ჩამოთვლილ დებულებებსაც, რომლებიც ორგანიზაციაში ადამიანის სხვადასხვა მოქმედებებს ეხებიან, საღი აზრი ასევე ეპყრობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ დებულებების უმრავლესობა დღეს არსებულ ემპირიულ მონაცემებს ეწინააღმდეგება.

ნათქვამიდან გამომდინარე, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრომით და საორგანიზაციო პირობებში მიმდინარე ადამიანის ქცევის საღი აზრის დონეზე განხილვა ბევრს ვერაფერს მოგვცემს, რადგან მასზე დამყარებული მსჯელობა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რეტროსპექციული აზროვნების მიერ დაგებულ ხაფანგში აუცილებლად გაგვაბამს. გამოსავალი ნათელია – სისტემატურ კვლევას უნდა მივმართოთ, რაც მოვლენებს შორის მეცნიერულად დასაბუთებულ მიზეზობრივ დამოკიდებულებათა დადგენის საშუალებას მოგვცემს. სანამ ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიის დაწერილებით გაშუქებაზე გადავალთ, მანამდე საღი აზრის და მეცნიერული ცოდნის შესახებ გამოთქმული დასკვნის სახით დ. მაიერ-

სის შემდეგ მსჯელობას მოვიყვანთ: „რაშია ბედნიერება: სიმართლის ცოდნაში, თუ ილუზიის შენარჩუნებაში? იმაში, რომ შენ სხვებთან ერთად ხარ, თუ იმაში, რომ განმარტოებაში მშვიდად ცხოვრობ? იმაში, რომ ცხოვრობ პატიოსანი ცხოვრებით, თუ იმაში, რომ ცოდვებში ხარ ჩაფლული? პასუხები აურაცხელია; ჩვენ რას ვფიქრობთ ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან მუდამ ვინმე ისეთი აღმოჩნდება, ვინც ეს წინასწარ განჭვრიტა. საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ გაირკვეს: უამრავ ურთიერთდაპირისპირებულ იდეებს შორის სინამდვილეს ყველაზე უფრო მეტად რომელი შეესაბამება. ამის გამო საქმე იმაში კი არ არის, რომ საღი აზრი იმთავითვე მცდარია. ალბათ, საღი აზრი, ჩვეულებრივ, მართალია, მაგრამ მხოლოდ მომხდარი ფაქტის შემდეგ, სწორედ ამიტომ ადვილად ვიტყუებთ თავს, როდესაც გვგონია, რომ ვიცით და ვიცოდით მეტი, ვიდრე არის და იყო. სწორედ ამიტომ გვჭირდება ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, რათა დაგვეხმაროს იმაში, რომ რეალობა ილუზიისგან, ხოლო ნამდვილი პროგნოზები მარტივი რეტროსპექციული შეხედულებებისგან განვასხვავოთ“ [3, გვ. 45].

ემპირიული კვლევის მიმდინარეობა

ემპირიული კვლევა გარკვეული საფეხურებისგან შედგება. ემპირიული შესწავლა ხუთ საფეხურს შეიცავს, რომელშიც ე.წ. უკუკავშირის ფაქტორიც შედის, მასში შესწავლის ბოლო ეტაპის მონაცემთა საწყის ჰიპოთეზაზე გაელენა იგულისხმება, რაც მრავალ შემთხვევაში ახალი

კვლევის ჩატარების საწინდარი ხდება. შესწავლის პროცესი პრობლემის დასმით იწყება, იმ კონკრეტული საკითხების გარკვევით, რომლებზეც შესაბამისი პასუხები კონკრეტულმა გამოკვლევამ უნდა გასცეს. შესწავლის მეორე ეტაპზე გამოკვლევის დაგეგმარება წარმოებს, ანუ მისი ისეთი ფორმა უნდა გამოინახოს, რომელიც შესასწავლი პრობლემის შესაბამისი იქნება. შესწავლის მესამე საფეხურზე დადგენილი ფაქტორების გაზომვა და საჭირო მონაცემების დაგროვება ხდება. კვლევის მეოთხე ეტაპზე შედეგების დამუშავების სათანადო სტატისტიკურ მეთოდებთან გვაქვს საქმე. კვლევის ბოლო საფეხურზე მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე კეთდება შესაბამისი დასკვნები. ემპირიული კვლევის მიმდინარეობა ნაჩვენებია №1 სქემაზე.



სქემა 1. ემპირიული კვლევის ეტაპები

პრობლემის დასმა. პრობლემის აღმოცენებას მრავალი მიზეზი შეიძლება გააჩნდეს. კერძოდ, ის შეიძლება იყოს ფორმალური თეორია, უკვე არსებული ემპირიული მონაცემები, საკუთრივ მკვლევარის პირადი გამოცდილება ან უშუალოდ ცხოვრებისეული პრაქტიკა. იო ფსიქოლოგიაში მიმდინარე კვლევა-ძიების ძირითადი მასტიმულირებელი ძალა ადამიანისადმი თანამედროვე სამრეწველო ორ-

განიზაციების მიერ წაყენებული მოთხოვნები გახლავთ. არც ის არ არის გამორიცხული, რომ შესასწავლი პრობლემა სხვათა კვლევის შედეგების საფუძველზე წარმოიქმნას. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ აუცილებელია, კერძოდ, მკვლევარს შესასწავლი საგნის შესახებ რაიმე წინასწარი ვარაუდი, ანუ ჰიპოთეზა უნდა გააჩნდეს. *ჰიპოთეზაში* მოვლენათა შორის კავშირის შესახებ გამოთქმული ვარაუდი იგულისხმება. მაგალითად, სამუშაოს შინაარსის და შრომისადმი დამოკიდებულების შესწავლის დროს მკვლევარმა შეიძლება შემდეგი ჰიპოთეზა წამოაყენოს: რაც უფრო მეტი შემოქმედების გამოვლენის შესაძლებლობას აძლევს სამუშაო ადამიანს, მით უფრო მაღალი იქნება მისი პროდუქტიულობის და შრომითი კმაყოფილების მაჩვენებლები. ეს ჰიპოთეზა სავარაუდო ახსნად რჩება მანამდე, სანამ ის ემპირიული კვლევის მონაცემებით არ დასაბუთდება.

ჰიპოთეზების სისტემური ერთობლიობა, რომლის საშუალებით მოვლენების ახსნა და პროგნოზირება წარმოებს, *თეორიად* განიხილება. ამ ტერმინის მაგივრად ხშირად სიტყვა „მოდელს" ხმარობენ. თეორიაზე მსჯელობის დროს შეუძლებელია კურტ ლევინის შემდეგი ცნობილი გამოთქმა არ გავიხსენოთ: „კარგ თეორიაზე პრაქტიკული არაფერი არ არსებობს". თეორია მოვლენათა მიმდინარეობის და მათი ურთიერთკავშირის შესახებ გარკვეულ ცოდნას შეიცავს, მას ლოგიკურად ამთლიანებს და მკვლევარს შემდგომი შესწავლისკენ უბიძგებს. ი-ო ფსიქოლოგიას ხშირად „შიშველ ემპირიზმში" ადანაშაულებენ. ამასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს, რომ მას

განსხვავებული განშტოებები გააჩნია. ამ განსხვავებულ დარგობრივ მიმართულებებში თეორიის ხვედრითი წონაც განსხვავებულია. მაგალითად, პერსონალის ფსიქოლოგია ემპირიული მონაცემებით მდიდარია, მაგრამ მასში კონცეფტური მოდელები ძალზე მცირეა. საორგანიზაციო ქცევას რაც შეეხება, აქ საქმე პირიქით გახლავთ, ის თეორიებით საკმაოდ მდიდარია, რომლებსაც მეტი ემპირიული დასაბუთება ესაჭიროებათ. როდესაც მსჯელობა საინჟინრო ფსიქოლოგიას ეხება, მაშინ მრავალმხრივი ემპირიული მონაცემების ფონზე მხოლოდ „მინიატურული" მოდელები, ანუ კონკრეტული სენსორული პროცესების სისტემატიზირების ნიმუშები შეიძლება გამოვყოთ. რაც შეეხება ე.წ. ორგანიზაციის განვითარებას, მასში აშკარად მოდელების სიჭარბე და, ამავე დროს, სიჭრელე შეიმჩნევა.

აჯამებს რა ამ საკითხებთან დაკავშირებულ კამათს, ჟ. მინერი აღნიშნავს, რომ ი-ო ფსიქოლოგიაში არსებული თეორიები მათი მნიშვნელობის, ემპირიული დასაბუთებისა და სარგებლიანობის მიხედვით საშუალო ღირებულების არიან. მიჩნეულია, რომ თეორია პრობლემის დასმის ერთ-ერთი და არა ერთადერთი საფუძველია. სამრეწველო ორგანიზაციებში მიმდინარე შრომის პროცესის შესწავლის შემთხვევაში ეს სავსებით გასაგებია, რადგან აქ დიდი მნიშვნელობა წმინდა პრაქტიკულ მხარეს გააჩნია. საკვლევ პრობლემას ინდუსტრიის სფეროში ხშირად ყოველდღიური შრომითი ცხოვრება წამოჭრის. მაგალითად, თუ ორგანიზაციიდან წლის განმავლობაში თანამშრომელთა ნახევარი მიდის, ამას, როგორც პრობლემას რაღა

თეორია ესაჭიროება, რადგან მისი მოგვარება პრაქტიკის საქმეა. იმავე ჟ. მინერის აზრით, რეალურ ცხოვრებისეულ ვითარებაში ხშირად მთავარია პრობლემის ნამდვილი აქტუალობა იქნეს დადგენილი, ხოლო ეს რის საფუძველზე მოხდება, ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს [4].

კვლევის დაგეგმარება. ემპირიული შესწავლის დაგეგმარება კელევითი სამუშაოს ჩატარების კონკრეტული გეგმის შედგენას გულისხმობს. ემპირიული კვლევის განსხვავებული სტრატეგიები არსებობს, რომელთა შერჩევა თვით შესასწავლი პრობლემის რაგვარობაზეა დამოკიდებული. კვლევის სტრატეგიების ურთიერთშედარება გარკვეული მახასიათებლების გათვალისწინებით შეიძლება. ასეთ მახასიათებლებად კვლევის პირობების ბუნებრივობა, მიღებული შედეგების განზოგადების შესაძლებლობა, მონაცემების სიზუსტე, კვლევითი ვითარების კონტროლის ხარისხი და რაიმე ღონისძიებაზე გაწეული ხარჯებია მიჩნეული.

ხაზგასასმელია, რომ მეცნიერული კვლევის განსახილველ მეთოდებში სავსებით სრულყოფილი არცერთი არ გახლავთ. ყველა მათგანს გარკვეული ღირსება და ნაკლი გააჩნია. მაგალითად, ჩვეულებრივ, შინაარსობრივად რაც უფრო მდიდარია კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, მით უფრო მცირეა მისი განზოგადების შესაძლებლობა; რაც უფრო მაღალია შესასწავლი ფაქტორების კონტროლის შესაძლებლობა, მით უფრო მცირეა მიღებული შედეგების ბუნებრივობა (რეალურ ცხოვრებასთან შესაბამისობის თვალსაზრისით). კვლევაში დიდი სიზუსტის დაცვა, მონაცემების განზოგადების შესაძ-

ლებლობა და შესასწავლი ფაქტორების კონტროლი დიდ ხარჯებს მოითხოვენ. შეიძლება ითქვას, რომ ემპირიული კვლევის ოპტიმალური სტრატეგია იდეალური კი არ არის, არამედ ისეთი, რომელსაც აღმოცენებული პრობლემის გადაწყვეტის უნარი გააჩნია. სანამ ი-ო ფსიქოლოგიაში არსებულ კვლევის მეთოდებს დაწვრილებით განვიხილავთ, შემდეგი გვინდა აღვნიშნოთ: კვლევითი სტრატეგიების განხილვის თანამიმდევრობა მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამგვარი იყოს: საველე გამოკვლევა, შერჩევითი გამოკვლევა, ლაბორატორიული ექსპერიმენტი, საველე ექსპერიმენტი. ასეთი თანამიმდევრობა ხელსაყრელი შემდეგი გარემოებების გამოა: პირველი, საველე გამოკვლევის საშუალებით მთლიანად ორგანიზაციის ან კონკრეტული მომუშავის მოქმედებასთან დაკავშირებული მნიშვნელობის მქონე ფაქტორები შეგვიძლია გამოვყოთ; მეორე, საჭიროების შემთხვევაში შემდგომი შესწავლა შერჩევითი გამოკვლევით განხორციელდება; მესამე, იმ შემთხვევაში კი, როდესაც შერჩევითი გამოკვლევა ფაქტორებს შორის მიზეზობრივი და დინამიკური კავშირების შესახებ ცოტას გვეუბნება (ჩვეულებრივ, ასეც არის), მაშინ ლაბორატორიულ ექსპერიმენტს უნდა მივმართოთ; მეოთხე, თუ ლაბორატორიული ექსპერიმენტი ფაქტორებს შორის მიზეზობრივ დამოკიდებულებას გვიდასტურებს, მაშინ მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება საველე ექსპერიმენტით უნდა შემოწმდეს.

ექსპერიმენტამდელი სტრატეგიების გამოყენების დროს მკვლევარი ამა თუ იმ მოვლენის შესწავლას ბუნებრივ პირობებში ახორციელებს. აქ მკვლევარის მიერ შესასწავლი ფაქტორების კონტროლის შესაძლებლობა მცირეა. ექსპერიმენტამდელი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში მკვლევარი მისთვის საინტერესო მასალის მოპოვების მიზნით დოკუმენტების ანალიზს, ინტერვიუს, გამოკითხვას, ადამიანთა თვითანგარიშის მონაცემებს მიმართავს. მკვლევარის ძირითადი ამოცანა შესასწავლი მოვლენის შესახებ მრავალფეროვანი შინაარსის მქონე აღწერითი სახის ინფორმაციის მოპოვებაში და გარკვეულ ფაქტორებს შორის ემპირიული კავშირის დადგენაში მდგომარეობს. მიღებული მასალა მას კონკრეტული ჰიპოთეზების დამუშავების შესაძლებლობას აძლევს, რომელთა ემპირიული შემოწმება შემდეგ ექსპერიმენტის მეშვეობით წარმოებს.

საველე გამოკვლევა. *საველე გამოკვლევა* კონკრეტული ინდივიდის ან ჯგუფის დეტალურ და სიღრმისეულ ანალიზს გულისხმობს. თავისი ბუნებით ამგვარი კვლევა ცალკეულ შემთხვევათა შესწავლას წარმოადგენს. მივმართოთ მაგალითს. თ. მილდროუმ და ჯ. ბეიტონმა ადმინისტრატორების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტურობის ადამიანის სქესთან კავშირი შეისწავლეს [5]. მენეჯერებმა (ასი მამაკაცი და ასი ქალი) სპეციალურ კითხვარზე პასუხები გასცეს, რომელიც ახალ თანამშრომელთა მიღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების თავისებურებას ადგენდა. გამოკითხულებს სამი

ჰიპოთეზური სამსახურის მაძიებლის აღწერა მიაწოდეს. რესპონდენტები ყოველი მაძიებლის შესახებ მიწოდებულ ინფორმაციას ეცნობოდნენ და შემდეგ „სამსახურში მისაღებად“ ერთ-ერთი მათგანი უნდა შეერჩიათ. გარდა ამისა, კითხვებზე პასუხების გაცემა იმ ინფორმაციის შინაარს ავლენდა, რომლის საფუძველზეც მაძიებლის შერჩევა ხდებოდა. ამის შემდეგ, ყოველ რესპონდენტს დამატებით კითხვებს აძლევდენ, რომელთა მეშვეობით მათი პიროვნული თვისებების დადგენა ხდებოდა. გარდა ამისა, იმასაც არკვევდენ, თუ რას მიიჩნევდნენ რესპონდენტები მამაკაცის და ქალის მოქმედებაში მათთვის ტიპიურ დამახასიათებელ ნიშნებად. რესპონდენტების პასუხების ანალიზის მიზანს მათ მიერ დავალების (ღირსეული მაძიებლის შერჩევა) და მათ პიროვნულ დისპოზიციებს (ინდივიდუალური თვისებები, რისკის გაწევის ხარისხი) შორის კავშირის დადგენა და დახასიათება წარმოადგენდა. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ არჩევანის ვითარებაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება იმათ შეძლეს, ვინც საკუთარ სისწორეში ღრმად იყვნენ დარწმუნებული და ვინც გადაწყვეტილების მიღებას შედარებით მეტი დრო მოანდომა. გარდა ამისა, შედეგების თანახმად, ორივე სქესის ადმინისტრატორებმა გადაწყვეტილების მიღების თანაბარი უნარი გამოავლინეს. ამავე დროს, გადაწყვეტილების მიღებაში ქალებმა, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლები რისკიანობა და სქესობრივი როლებისადმი მეტი ანგარიშის გაწევის მიდრეკილება გამოამჟღავნეს. ავტორები იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ სწორ მმართველობით გადაწყვეტილებებსა და რიგ ფსიქიკურ ფაქტორებს შორის

მჭიდრო კავშირი არსებობს და რომ ორივე სქესის მენეჯერები კადრების შერჩევაში თანაბრად კომპეტენტური არიან. ამ გამოკვლევაში რესპონდენტებისთვის მიცემული დავალება მათთვის „ბუნებრივად“ უნდა მივიჩნიოთ, ისინი მიცემულ შეკითხვებზე პასუხებს მათთვის ჩვეულ სამუშაო პირობებში იძლეოდენ. გარდა ამისა, პრობლემა, რომლის გადაწყვეტა მათ მოეთხოვებოდათ (მაძიებლის სამსახურში მიღება), მათი საქმიანობის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. ისიც აღსანიშნავია, რომ მათთვის „უცხო ხილი“ არც კითხვარის შევსება იყო, რადგან მათი ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ტესტების გაცნობას და მათზე სათანადო რეაგირებას გულისხმობს.

ამ გამოკვლევის ძირითადი ნაკლი იმაშია, რომ მან მენეჯერის გამბედაობის და დარწმუნებულობის მადეტერმინირებელი როლი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობაში მაინც ვერ დაასაბუთა. დანამდვილებით ვერც იმის თქმა შეიძლება, რომ რესპონდენტების მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილებები პრობლემის გააზრების ხანიერების შედეგია. მკვლევარებს მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანის უფლება აქვთ, კერძოდ, მათ მიერ შესწავლილი ზოგიერთი ფაქტორი სწორი გადაწყვეტილების მიღებასთან მართლაც არის დაკავშირებული. ამდენად, მიღებული მონაცემების ადამიანთა ფართო პოპულაციაზე განზოგადება არ შეიძლება. გარდა ამისა, ამგვარი კვლევის სირთულე იმაშია, რომ მის ჩატარებაზე დაწესებულების ადმინისტრაცია ხშირად უარს ამბობს, ხოლო რაც შეეხება მოცემულ გამოკვლევას, ის უმტკივ-

ნეულოდ იმიტომ ჩატარდა, რომ ერთ-ერთი ავტორი იმ დაწესებულებაში მუშაობდა, რომელშიც კვლევა განხორციელდა.

შერჩევითი გამოკვლევა. *შერჩევით გამოკვლევაში* რესპონდენტების ამონაკრებიდან სტანდარტიზებული კითხვარების და ინტერვიუს საშუალებით ემპირიული მონაცემების მოპოვება და მათი ადამიანთა ფართო პოპულაციაზე განზოგადება იგულისხმება. პოპულაციას შესასწავლი ამონაკრები წარმომადგენლობს. ამგვარი შესწავლის ტიპობრივ ნიმუშს გ. ალპენდერის გამოკვლევა წარმოადგენს [6]. მკვლევარმა აშშ-ს უმძლავრეს კომპანიებში ჩატარებული მენეჯერთა ტრენინგის განსხვავებული შინაარსები შეისწავლა. 500 ორგანიზაციიდან, შემთხვევითი არჩევანის პრინციპის გამოყენების საფუძველზე, 250 კომპანია შეირჩა. გამოკვლევაში მონაწილეობა აღნიშნულ ორგანიზაციებში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული გავარჯიშების ღონისძიებათა ჩატარების 115-მა ხელმძღვანელმა მიიღო. მიღებულმა მონაცემებმა აჩვენეს, რომ პროფესიულ გავარჯიშებაში ყველაზე პოპულარული თემა მომუშავისთვის მისი საქმიანობის ეფექტურობის შეფასების დროს უკუკავშირის მიწოდება აღმოჩნდა (შესწავლილი კომპანიების 92%-მა უპირატესობა მას მიანიჭა), შემდეგ თანამშრომლებისთვის უფლებების დელეგირება (90%) და საკომუნიკაციო უნარები (83%) მოდიან.

ემპირიული კვლევის ამ მეთოდში არსებითი მნიშვნელობა გამოკითხულთა ამონაკრებს ენიჭება. *ამონაკრებში* ზოგადი ერთობლიობის (პოპულაციის) ძირითადი მახასიათებლების გამომხატველი ნაწილი (რესპოდენტები,

ცდისპირები) იგულისხმება. გამოკვლევის ზემომოყვანილ მაგალითში ამონაკრებს მთლიანი ერთობლიობიდან (წამყვანი კომპანიები) გამოკვლეული 115 პროფესიული ტრენინგის ხელმძღვანელი წარმოადგენდა. ამავე დროს, სტანდარტიზებული კითხვარების გამოყენების საშუალებით მიღებული ინფორმაციის რაოდენობრივი დამუშავება, მისი ანალიზი, შედეგების შეფასება და გენერალურ ერთობლიობაზე მათი განზოგადება წარმოებს. შერჩევითი გამოკვლევა, ადამიანის რესურსების დაზოგვის თვალსაზრისით, მართლაც ეკონომიურია, რადგან მთლიანი პოპულაციის ყოველი წევრის მაჩვენებლის გათვალისწინებას (რაც უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელია) არ მოითხოვს. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიღებული მასალის რაოდენობრივი დამუშავება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

შერჩევითი გამოკვლევის მეთოდს ნაკლოვანებებიც გააჩნია. რესპონდენტების დიდი რაოდენობის შემთხვევაში უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, რაც, ცხადია, მიღებული შედეგების მთელ პოპულაციაზე განზოგადების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ამცირებს. გარდა ამისა, შერჩევით გამოკვლევაში მონაცემების შეგროვების ძირითად ხერხს სტანდარტიზებული გამოკითხვა ან ინტერვიუ წარმოადგენს, ხოლო გამოკითხულთა რეალური, ღია ქცევის დაკვირვებადი მაჩვენებლები შედარებით ჩრდილში რჩება. დაბოლოს, შეკითხვებზე რესპონდენტების პასუხები, ხშირად, ე.წ. სოციალური მოლოდინებით, ანუ საზოგადოებრივი აზრით და ნორმებით არის ნაკარნახევი.

ინდუსტრიულ ორგანიზაციებში მიმდინარე ექსპერიმენტული კვლევა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტული შესწავლის დროს საკვლევი ობიექტის დახასიათება აუცილებლად სხვა მოვლენებთან მიმართებაში ხდება, მარტივად რომ ვთქვათ, მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი. მაგალითად, შრომითი ჯგუფის შესწავლის დროს ამგვარი ფაქტორების როლში ჯგუფის სიდიდე, შრომითი ფუნქციები, მისი წევრების პროფესიული კვალიფიკაცია და დემოგრაფიული მახასიათებლები, თავისებურება პროდუქციისა, რომელსაც ჯგუფი აწარმოებს, სათანადო ტექნოლოგია შეიძლება გამოდიოდეს. საჭიროა შესასწავლი მოვლენის იმ პირობების დახასიათება, რომელშიც ის მიმდინარეობს. ამგვარ კონტექსტურ ფაქტორებად მუშაობის შინაარსი, საქმიანობის ფიზიკური და სოციალური გარემო და სხვადასხვა მახასიათებელი იგულისხმება. დავუშვათ, რომ მკვლევარს შემდეგი საკითხის შესწავლა აინტერესებს: რამდენად მოსალოდნელია, რომ შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა საქმიანობის პროდუქტიულობაზე დადებითად იმოქმედებს. პირველ რიგში, ჰიპოთეზაში არსებული ფაქტორების შინაარსის დაკონკრეტება უნდა მოხდეს, ვთქვათ, შრომის ნაყოფიერების გამოშვებული პროდუქციის ერთეულებით განსაზღვრა. გარდა ამისა, ის ფაქტორები უნდა გამოიყოს, რომლებიც შრომის პროდუქტიულობაზე გავლენას ახდენენ, მაგალითად, მომუშავეთა პრემიალური დაჯილდოების სისტემა.

ექსპერიმენტული კვლევის არსი მოკლედ და მკაფიოდ დ. კემბელმა შემდეგნაირად განმარტა: „ექსპერიმენტს ჩვენ კვლევის იმ ნაწილს ვუწოდებთ, რომელშიც მკვლევარი ცვლადების მანიპულირებას მიმართავს და სხვა ცვლადებზე ამ ზემოქმედებით გამოწვეულ ეფექტებს აკვირდება“ [7, გვ. 34]. ამ განმარტებიდან გამომდინარე იმ ტერმინების დაზუსტება ხდება ადვილი, რომლებიც ექსპერიმენტული კვლევის მეთოდოლოგიაში გამოიყენება. ზოგიერთ მათგანს ქვემოთ განვიხილავთ. ცვალებად სიდიდეთა სახით წარმოდგენილ და მათემატიკური ხერხებით აღწერილ მოვლენებს ან პროცესებს *ცვლადი* ეწოდება. ჩვენს მიერ განხილულად სფეროში მსჯელობის საგანი შემდეგი ცვლადები გახლავთ: მომუშავეთა შრომის ეფექტურობა, მათი მოტივაცია, განსხვავებული ფორმის განწყობები, თანამშრომელთა უნარები და ჩვევები, ადამიანის სხვადასხვა შინაარსის მოთხოვნილებები, ორგანიზაციის სტრუქტურა, საორგანიზაციო ღონისძიებები და ა.შ. ფაქტორი, რომელსაც მკვლევარი მართავს და აკონტროლებს, *დამოუკიდებელ ცვლადს* წარმოადგენს. დამოუკიდებელი ცვლადის როლში, მაგალითად, მომუშავის ინტელექტის დონე, მისი პროფესიული გამოცდილოება, შრომითი განწყობები, მუშაობის ფიზიკური და საორგანიზაციო პირობები, ანაზღაურების ფორმები, ლიდერობის სტილი, კადრების შერჩევის და განაწილების ხერხები და ა.შ. შეიძლება გამოდიოდეს. ხაზგასასმელია, რომ ცალკეული მოვლენა, როგორც დამოუკიდებელი, ასევე დამოკიდებულ ცვლადად შეიძლება განვიხილოთ, რასაც კვლევის კონკრეტული მიზნები განაპირობებენ. მაგალითად, საკარაუ-

დოა, რომ მომუშავეთა შრომით კმაყოფილების მაჩვენებლის ზრდა კადრების დენადობის მონაცემებს შეამცირებს. ამავე დროს, სავარაუდოა, რომ თანამშრომლებისთვის ხელფასის მომატება მათი შრომით კმაყოფილების ზრდას გამოიწვევს. ამ შემთხვევაში შრომით კმაყოფილება უკვე დამოკიდებული ცვლადის როლში გამოდის.

დამოკიდებულ ცვლადში ის ფაქტორი იგულისხმება, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადის ზეგავლენის შედეგად იცვლება. შემუშავებული ჰიპოთეზის თვალსაზრისით, ის იმ მოვლენად განიხილება, რომლის აღწერას და ახსნას მკვლევარი ცდილობს. ჩვენს მიერ შემდგომში განსახილველ მოვლენათა შორის, მაგალითად, მომუშავეთა პროდუქტიულობა, კადრების დენადობა, სამსახურის გაცდენები, შრომით კმაყოფილება, ხელფასი, დაწინაურება და სხვა, ხშირად, დამოკიდებული ცვლადის როლში გვევლინება. ცვლადებს შორის კავშირი, ჩვეულებრივ, რაიმე მოვლენით არის გაშუალებული. ფაქტორს, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადის დამოკიდებულ ცვლადზე გავლენას სპეციფიკურ ხასიათს ანიჭებს *შუალედური ცვლადი* ეწოდება. შუალედური ცვლადი სიტუაციური ბუნების ფაქტორია. შუალედური ცვლადის გათვალისწინების შედეგად მოვლენათა შორის ურთიერთკავშირი შემდეგ სახეს იღებს: დამოკიდებულ ცვლადზე დამოუკიდებელი ცვლადის მოქმედება მხოლოდ შუალედური ცვლადის არსებობის შემთხვევაში ხდება. ამის ნათელ ნიმუშს შრომის ეფექტურობასა და მომუშავის საქმიანობაზე ზედამხედველობას შორის არსებული კავშირი გვაძლევს: მონოტონური საქმიანობის შემთხვევაში უფროსის მიერ მისი

ხელქვეითის შრომითი ქცევის კონტროლის გამკაცრება, ხშირად, დადებით, ხოლო შემოქმედებითი საქმიანობის მიმართ უარყოფით შედეგს იძლევა. ამ შემთხვევაში დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის არსებული კავშირის გამაშუალებლის როლში შრომის შინაარსი გამოდის.

ექსპერიმენტულ კვლევაში არსებითი მნიშვნელობა *მიზეზობრიობის* ცნებას ენიჭება, რომელშიც იგულისხმება ვარაუდი იმის შესახებ, რომ დამოუკიდებელ ცვლადში მომხდარი ცვლილება დამოკიდებულ ცვლადში შესაბამის ცვლილებას იწვევს. მკვლევარის მიერ შემუშავებული ჰიპოთეზა მოვლენებს შორის ამგვარი დამოკიდებულების შესახებ ვარაუდი გახლავთ. ბუნებრივია ისიც, რომ ჰიპოთეზაში ცვლადებს შორის ნაგულისხმევი კავშირი გამოკვლევათა სერიის შედეგებით ხშირად არ საბუთდება. მაგალითად, ი-ო ფსიქოლოგიაში მოღვაწე მკვლევარებმა თავის დროზე მომუშავის შრომით კმაყოფილებასა და მისი საქმიანობის პროდუქტიულობას შორის დადებითი კავშირი (საკუთარი შრომით კმაყოფილი ადამიანი, ამავე დროს, ნაყოფიერად მომუშავეც არის) ივარაუდეს. მრავალმა ემპირიულმა გამოკვლევამ ეს კავშირი მართლაც დაადასტურა, მაგრამ მიზეზობრიობის საპირისპირო მნიშვნელობით: დღეს, უფრო მეტად, დასაბუთებულია ის, რომ შრომით კმაყოფილებას პროდიქტიული მუშაობა განაპირობებს და არა პირიქით. მოცემული ჰიპოთეზის ექსპერიმენტული შემოწმების ლოგიკა ცდისპირების გარკვეული წესით დაჯგუფებას მოითხოვს. მაგალითად, თავის ცნობილ გამოკვლევაში ნ. მორსმა და ე. რეიმერმა მიზნად

შემდეგი ჰიპოთეზის შემოწმება დაისახეს: სავარაუდოა, რომ რიგითი თანამშრომლების საწარმოო საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში (დამოუკიდებელი ცვლადი) ჩართვამ მათი შრომის ნაყოფიერებისა და შრომით კმაყოფილების (დამოკიდებული ცვლადი) ზრდა უნდა გამოიწვიოს. გამოკვლევა სამრეწველო ორგანიზაციაში ჩატარდა. მკვლევარებმა ორი ჯგუფი გამოყვეს: ერთი, რომლის წევრებს საწარმოო საკითხების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებაში უფლებები მნიშვნელოვნად გაუზარდეს და მეორე, რომლის წარმომადგენლებს არსებული უფლებები უცვლელი დაუტოვეს. ასეთი დაჯგუფების საშუალებით მკვლევარებს ორივე ჯგუფის მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობა ეძლეოდათ, ამით კი ისინი დამოუკიდებელი ცვლადის ეფექტებსაც ზომავდნენ [8]. პირველი ჯგუფი ექსპერიმენტულია. *ექსპერიმენტული* ეწოდება ჯგუფს, რომელზეც დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედება წარმოებს, ხოლო *საკონტროლოა* ის ჯგუფი, რომელზეც დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედება არ ხდება.

ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების შექმნა გარკვეულ პრინციპებზეა დამყარებული. ერთ-ერთ ასეთ პრინციპს ექსპერიმენტში მონაწილე ცდისპირების რანდომიზაცია წარმოადგენს. *რანდომიზაცია* ყოველი ცდისპირის ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში მოხვედრის თანაბარი ალბათობის უზრუნველყოფას გულისხმობს. რანდომიზაციის მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ დიდი რიცხვის კანონის ასამოქმედებლად ექსპერიმენტში მონაწილეთა საწყისი რაოდენობა საკმაოდ მრა-

ვალრიცხოვანი (მინიმუმ სამასი ადამიანი) უნდა იყოს. ყოველი ცდისპირი შემთხვევითი არჩევანის პრინციპზე დაყრდობით (ვთქვათ, მონეტის აგდებით, ან შემთხვევითი რიცხვების ცხრილის გამოყენებით) ამა თუ იმ ჯგუფში ნაწილდება. ხაზგასასმელია, რომ რანდომიზაციის გამოყენებით განხოციელებული ადამიანების ჯგუფებად დაყოფას ექსპერიმენტში და შერჩევით გამოკვლევაში განსხვავებული დანიშნულება გააჩნიათ: ექსპერიმენტში რანდომიზაცია საკვლევ ცვლადებს შორის მიზეზობრივი დამოკიდებულების დადგენის საშუალებას იძლევა, ხოლო შერჩევით გამოკვლევაში ის მიღებული შედეგების გენერალურ ერთობლიობაზე განზოგადების საფუძვლად განიხილება.

ექსპერიმენტში ცდისპირების დაჯგუფების მეორე პრინციპი ე.წ. წყვილთა შერჩევის ხერხის გამყენებას გულისხმობს. წყვილთა შერჩევა მეთოდია, რომლის საფუძველზე ექსპერიმენტში მონაწილე ცდისპირებისგან ერთგვაროვანი ჯგუფები იქმნება. მაგალითად, შრომის ანაზღაურების ფორმებსა და მომუშავის საქმიანობის ნაყოფიერებას შორის არსებული კავშირის შესწავლის შემთხვევაში ცდისპირთა ჯგუფების გათანაბრება მათი ასაკის, სქესის, სტაჟის, თანამდებობის, განათლების დონის და ა.შ. გათვალისწინებით შეიძლება მოხდეს. ცდისპირები, რომლებიც ამ მახასიათებლების მიხედვით ერთგვაროვანი იქნებიან, რანდომიზაციის ჩატარების საფუძველზე ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში თანაბრად განაწილდებიან.

R	0	X	0		1. ექსპერიმენტი საკონტროლო ჯგუფის გამოყენებით, წინასწარი და შეჯამებითი ტესტირებით
R	0		0		
R	X	0			2. ექსპერიმენტი საკონტროლო ჯგუფის გამოყენებით და მხოლოდ ზემოქმედების შემდეგ ტესტირებით
R		0			
R	0	X	0		ექსპერიმენტი 4 ჯგუფის გამოყენებით
R	0		0		
R		X	0		
R			0		
სპეციალური აღნიშვნები:			**0**	**–**	**გაზომვა**
			X	**–**	**დამოუკიდებელი ცვლადი**
			R	**–**	**რანდომიზაცია**
შენიშვნა: X და 0 ერთ სტრიქონზე ერთი და იგივე ცდისპირს ეხება. აღნიშვნების მარცხნიდან მარჯვნივ განლაგება დროში თანამიმდევრობას ნიშნავს					

ცხრილი 2. ექსპერიმენტის ფორმები დ. კემბელის მიხედვით [7].

ექსპერიმენტის მსვლელობის დროს სხვადასხვა მიზეზების გამო დამოუკიდებელმა ცვლადმა გარკვეული გარეშე მოვლენების გაუთვალისწინებელი ზეგავლენა შეიძლება განიცადოს, რაც მიღებული შედეგების სანდოობას და საბუთიანობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს (ამ კრიტერიუმების შესახებ მსჯელობა ქვემოთ გვექნება). ასეთ ხელშემშლელ ფაქტორებად, მაგალითად, ფონი, ბუნებრივი განვითარება და ტესტირების ეფექტებია მიჩნეული. ფონში ყველა ის მოვლენა იგულისხმება, რომლებიც საკელევი ცვლადების პირველ და მეორე გაზომვას შორის ინტერვალში მიმდინარეობდა. ბუნებრივი განვითარების ფაქტორი იმ ცვლილებებს ეხება, რომელსაც ცვლადების გაზომვის შუალედში თვით ცდისპირები განიცდიან. ტეს-

ტირების ეფექტი ცვლადების მომდევნო გაზომვაზე პირველადი გაზომვის დროს ცდისპირთა მიერ დავალებათა შესრულების გავლენას გულისხმობს. აღნიშნული ხელშემშლელი ფაქტორების ეფექტების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ექსპერიმენტირების გარკვეული ფორმალური პრინციპებია შემუშავებული, რომელთა ნათელსაყოფად №2 ცხრილს მივმართოთ:

პირველი სახის ექსპერიმენტი იყენებს რა საკონტროლო ჯგუფებს, ამით ხელშემშლელ ფაქტორებს კარგად აკონტროლებს, რადგან მეთოდოლოგიური ჩანაფიქრის მიხედვით მათი დადგენა, როგორც ექსპერიმენტულ, ასევე საკონტროლო ჯგუფშიც უნდა მოხდეს. ფსიქოლოგიაში მიმდინარე კვლევა-ძიებაში წინასწარი ტესტირების გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ ზოგჯერ ამის არც რეალური საშუალება და არც საჭიროება არსებობს. ხელშემშლელი ფაქტორების თავიდან აცილება ცვლისპირთა კარგად განხორციელებული რანდომიზაციით და შერჩევითი ჯგუფების დაწყვილებით არის შესაძლებელი, ხოლო პირველადი გაზომვის უგულებელყოფა ხშირ შემთხვევაში ექსპერიმენტულ ცვლილებებზე კონტროლის დაკარგვას სრულიადაც არ ნიშნავს. ყველაფერი ეს ექსპერიმენტის მეორე სახეს ეხება, რომელიც ი-ო ფსიქოლოგიაში სულ უფრო მეტ გავრცელებას იძენს. რაც შეეხება მესამე ფორმის ექსპერიმენტს, ხელშემშლელ ფაქტორებს ის ყველაზე კარგად უწევს კონტროლს, რადგან თავის თავში პირველი ორი სახის ექსპერიმენტს შეიცავს. როდესაც ტესტირება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში არ ხდება, ეს არა

მარტო ტესტირების მთავარი ეფექტების დადგენის საშუალებას იძლევა, არამედ X-თან ურთიერთმოქმედებასაც არკვევს, რაც მონაცემების განზოგადების შესაძლებლობას ზრდის. გარდა ამისა, Xს ეფექტი ოთხ ვარიანტში აისახება: $0_2>0_1$; $0_2>0_4$; $0_5>0_6$ და $0_5>0_3$;

ჩვენს მიერ განხილული ექსპერიმენტის ჩატარების ფორმებს ცდისპირთა ახალი ჯგუფები და დამოუკიდებელი ცვლადები რომ დავუმატოთ, მაშინ ე.წ. ფაქტორული კვლევითი გეგმის აგების საშუალება გვეძლევა. ექსპერიმენტის ფაქტორული გეგმა დამოუკიდებელი ცვლადის განსხვავებული ინტენსივობით მანიპულირებას გულისხმობს, რაც ცდისპირების მრავალ ჯგუფებად დაყოფას განაპირობებს. აქამდე განხილულ ექსპერიმენტის ჩატარების ფორმებში დამოუკიდებელი ცვლადის ორად გაყოფის პრინციპის გამოყენებასთან გვქონდა საქმე, მაგალითად, ცდისპირების საწარმოო საკითხებში გადაწყვეტილების მიღების მაღალი და დაბალი უფლების მქონე ჯგუფებად დანაწევრება. ამ მახასიათებლის მიხედვით არა მხოლოდ ორი ჯგუფის, რამედ ამ პროცესში ჩართულობის, ვთქვათ, „ძალიან“, „ნაწილობრივ“, „მცირე“ ხარისხების გათვალისწინებით ცდისპირების სამ ჯგუფად დანაწევრება შეგვიძლია. ექსპერიმენტს მარტივ დიქოტომიურ დაჯგუფებასთან შედარებით, ფაქტორების გაკონტროლების და მათი გაზომვის სიზუსტის თვალსაზრისით დამოუკიდებელი ცვლადის სხვადასხვა ინტენსივობით მანიპულირების აშკარა უპირატესობა გააჩნია. სწორედ ამის გამოა, რომ მრავალფაქტორიანი გეგმა ე.წ. საკონტროლო, ანუ გადამწყვეტი ექსპერიმენტის როლში ხშირად გამოდის. ამ მი-

მოხილვის შემდეგ ექსპერიმენტის არა ფორმალური მახასიათებლების, არამედ შინაარსული თვისებების განხილვაზე გადავდივართ. განხილული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველი ცოდნის გასაღრმავებლად სპეციალურ ლიტერატურას შეუძლია გაეცნოს [7,9,10,11,12,13,14].

L ლაბორატორიული ექსპერიმენტი. უკვე განხილული ემპირიული კვლევის მეთოდებისგან განსხვავებით, ლაბორატორიული ექსპერიმენტი ცდისპირებისთვის საგანგებოდ შექმნილ პირობებში ტარდება. *ლაბორატორიული ექსპერიმენტი* შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მკვლევარის მიერ ხელოვნურად შექმნილი და მის კონტროლს დაქვემდებარებულ გარემოში მიმდინარე გამოკვლევა, რომელშიც ჯერ დამოკიდებულ ცვლადზე დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედება წარმოებს, ხოლო შემდეგ კი ამ მანიპულაციის ეფექტის გაზომვა ხდება. განვიხილოთ ლაბორატორიული ექსპერიმენტის კონკრეტული მაგალითები. ი-ო ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვან ყურადღებას უინტერესო სამუშაოს შესრულების მოტივაციური საფუძვლის და შრომის სუბიექტზე მისი ზემოქმედების შესწავლას უთმობენ. ლ. ფრიდმანმა მიზნად შემდეგი ჰიპოთეზის შემოწმება დაისახა: რეალურად ღირებული, მაგრამ ერთფეროვანი, მოსაწყენი დავალების შესრულებით ადამიანი ნაკლებად კმაყოფილი იქნება, ვიდრე უმნიშვნელო (ნაკლებად ღირებული) მოსაწყენი, უინტერესო დავალების შესრულებით. თეორიულად ივარაუდება, რომ პირველ ვითარებაში ადამიანს საკუთარი საქმიანობის უფრო მეტი გამართლების საშუალება გააჩნია, ვიდრე მეორე სიტუაციაში. მოსაწყენი და უმნიშვნელო დავალების შესრუ-

ლების დროს ადამიანში ფსიქოლოგიური დისკომფორტის განცდა აღმოცენდება, რომლის დაძლევა შესრულებული დავალებისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებით უნდა განხორციელდეს. ექსპერიმენტში ცდისპირები მოსაწყენ და ერთფეროვან დავალებებს ასრულებდნენ. ცდისპირები ორ ჯგუფად იყო გაყოფილი: პირველი ჯგუფის წარმომადგენლებს იმის შესახებ აწვდიან ინფორმაციას, რომ მიღებულ შედეგებს ექხპერიმენტატორისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება, რადგან გამოკვლევა, ფაქტობრივად, უკვე დასრულებულია. მეორე ჯგუფის წევრებს კი საწინააღმდეგოს ეუბნებიან – კვლევა გადამწყვეტ სტადიაშია შესული და, ამდენად, მიღებულ შედეგებს ექსპერიმენტატორისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება. აღნიშნული პროცედურით დამოუკიდებელი ცვლადის (ადამიანის მიერ ფსიქოლოგიური დისკომფორტის განცდა) მანიპულირება წარმოებს, რომელშიც შესასრულებელი დავალებისადმი გარკვეული ღირებულების მინიჭება იგულისხმება. მიღებული შედეგების თანახმად, მეორე ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით, პირველი ჯგუფის ცდისპირებმა შესრულებული დავალება (დამოკიდებელი ცვლადი) უფრო დადებითად შეაფასეს, რაც მკვლევარის ჰიპოთეზის მართებულობას ცდისეულად ასაბუთებს [15]. ამ კვლევაში ექსპერიმენტული ვითარება უფრო სათამაშოა, ვიდრე რეალური. არსებობს ლაბორატორიული ექსპერიმენტები, რომლებიც, თავისი შინაარსით, შრომის პროცესის ბუნებრივ პირობებს საკმაოდ უახლოვდებიან. ქვემოთ ასეთი ექსპერიმენტის ნიმუშს მოვიყვანთ.

ინტენსიური შესწავლის საგანს მონოტონურ საქმიანობაზე ისეთი მოტივაციური ცვლადის გავლენის შესწავლა წარმოადგენს, როგორიც ადამიანის მიერ საკუთარი მუშაობის შედეგების ცოდნა, ანუ უკუკავშირია. პირველმა კვლევებმა შრომის ეფექტურობაზე ამგვარი უკუკავშირის დადებითი ზემოქმედება დაადასტურეს. ამავე დროს, ფაქტორული გეგმის თვალსაზრისით, ჩატარებული კვლევების უმრავლესობა ორი დონისგან შემდგარი ექსპერიმენტები გახლდათ. მრავალი დონის ფაქტორული ექსპერიმენტის ჩატარება გახდა საჭირო, რომელიც ა. ჩაპანისმა განახორციელა [16]. ამ ექსპერიმენტში ცდისპირები პერფორატორზე მუშაობის დროს მიწოდებული რიცხვების თანამიმდევრობას (დამოკიდებული ცვლადი) აღრიცხავდენ. ცდისპირებისთვის დავალების შესრულების შედეგების გაცნობა, ანუ უკუკავშირი (დამოუკიდებელი ცვლადი) პერფორატორზე დამაგრებული მრიცხველის მეშვეობით ხდებოდა. დამოუკიდებელი ცვლადის მანიპულირება შემდეგს გულისხმობდა. პირველი ჯგუფის ცდისპირები შესრულებული სამუშაოს შესახებ არავითარ ინფორმაციას არ იღებდენ, რადგან მათი მუშაობის დროს მრიცხველი გამორთული იყო. მე-2 ჯგუფის ცდისპირებისთვის მრიცხველი ირთვებოდა; ამავე დროს, სამუშაო სეანსის დაწყების წინ ის ნულზე არ იყო დაყენებული, რის გამოც ცდისპირებმა მუშაობის მხოლოდ მთლიანი დღიური მონაცემები იცოდნენ. მე-3 ჯგუფში ყოველი სამუშაო სეანსის დაწყების დროს მრიცხველი ნულზე იყო ჩართული, რაც ცდისპირებს მუშაობასთან დაკავშირებული მონაცემების შესახებ მუდმივად ინფორმირების საშუალებას აძ-

ლევდა. მე-4 ჯგუფის წევრები დავალებას ზუსტად იგივე რეჟიმში ასრულებდენ, როგორც მე-3 ჯგუფის ცდისპირები; განსხვავება ის იყო, რომ დამატებით მათ სპეციალურ ბლანკზე მრიცხველის მონაცემების, თავისი გვარის და მიღებული შედეგების (მაჩვენებლების) ჩაწერა ევალებოდათ. სამუშაო სეანსის დამთავრების შემდეგ ამ ჯგუფის ცდისპირები მონაცემებს აღმრიცხველ პირს, ანუ „კონტროლიორს" გადასცემდენ, რომელიც არავითარ კომენტარს არ აკეთებდა. მიღებულმა შედეგმა ამ ჯგუფების წევრთა საქმიანობის ეფექტურობაში მნიშვნელოვანი სხვაობები არ გამოავლინა. ავტორის აზრით, შედეგი იმაზე მიგვითითებს, რომ დავალების შესრულების ეფექტურობა გარეგან უკუკავშირზე ნაკლებად იყო დამოკიდებული და სავარაუდოა, რომ დავალების შესრულების დროს ცდისპირებს შინაგანი კორექტივები შეჰქონდათ, რაც შემდგომი ექსპერიმენტებით მართლაც დასაბუთდა.

ჩვენს მიერ განხილული ლაბორატორიული ექსპერიმენტები, განსაკუთრებით ეს მეორე გამოკვლევის შესახებ ითქმის, შესასწავლი ცვლადების კონტროლის მაღალი ხარისხით და მიღებული შედეგების მეტი სიზუსტით გამოირჩევიან. ამავე დროს, ლაბორატორიული ექსპერიმენტის არსებითი ნაკლი მიღებული მონაცემების რეალურ ცხოვრებისეულ ვითარებებზე განზოგადების ნაკლებ შესაძლებლობაში მდგომარეობს.

საველე ექსპერიმენტი. *საველე ექსპერიმენტში* მკვლევარის კონტროლს დაქვემდებარებული რეალურ სამუშაო და საორგანიზაციო პირობებში მიმდინარე გამოკვლევა იგულისხმება. შემდეგ მაგალითს მივმართავთ. მომუშავე-

თა ჯანმრთელობის საკითხი მრავალი თანამედროვე ინდუსტრიული ორგანიზაციის პრიორიტეტულ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიმართულებით საგანგებო ღონისძიებები ტარდება, რომელთა ეფექტურობის დადგენა სათანადო ემპირიულ შესწავლას მოითხოვს. მომუშავეთა გაჯანსაღების ღონისძიებებში სამი სახის მიდგომას გამოყოფენ. პირველი ადამიანების მიერ მათი ჯანმრთელობისთვის მავნე და საზიანო ჩვევების გაცნობიერებას ცდილობს. თანამშრომლებზე ინფორმაციული ზემოქმედება კომუნიკაციის მასობრივი საშუალებებით წარმოებს, რომელშიც ჯანმრთელობის დაცვის, ჰიგიენის საშუალებათა გაცნობა, საგანგებოდ შექმნილი რეკლამის გამოყენება, სპეციალურ სასწავლო კურსებში მომუშავეთა ჩართვა და ა. შ. სჭარბობს. მეორეში სპეციალურ პროგრამებში მონაწილეობის საფუძველზე, მაგალითად, ინტენსიური და მრავალმხრივი ფიზიკური ვარჯიში, რომელიც, ჩვეულებრივ, ერთი წელიწადი გრძელდება, ადამიანის ცხოვრების სტილის შეცვლა იგულისხმება. გარდა ამისა, მიზნად ადამიანებში ისეთი ჩვევების ჩამოყალიბება იყო დასახული, რომლებიც თანამშრომელთა შრომით მოტივაციაზე უშუალო გავლენას მოახდენდნენ. მესამე ფორმის ღონისძიებების მიზანი მომუშავეთათვის რეალური გარემოს შექმნაში მდგომარეობდა – ისეთი ობიექტური პირობების ფორმირებაში, რომლებიც მათ მიერ ჯანმრთელი ცხოვრების წესის ათვისებას და ამ წესით ცხოვრებას უზრუნველყოფდა. თანამშრომლებს სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის განმტკიცების პროგრამებში აქტიურად რთავდენ, რისთვისაც სათანადო ტრენაჟორებით, სათამაშო მოედნე-

ბით, საშხაპე ოთახებით აღჭურვილი სპეციალური ცენტრები იყო შექმნილი. ფუნქციონირებდა კაფეები, რომლებშიც დიეტური და გამაჯანსაღებელი საჭმელი მზადდებოდა (მაგალითად, ქოლესტერინის დაბალი შემცველობის კერძები), ზედმეტი ტკბილეულის მიღების და თამბაქოს მოწევა აიკრძალა.

მომუშავეთა გამაჯანსაღებელი პროგრამების ეფექტურობის ექსპერიმენტული შესწავლა ჯ. ბლეიმ და სხვებმა განახორციელეს [17]. მკვლევართა ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობდა: მესამე სახის პროგრამებში მონაწილე მომუშავეთა ჯანმრთელობის მაჩვენებლები, პირველ და მეორე ფორმის ღონისძიებებში ჩართულებთან შედარებით, უკეთესი უნდა იყოს, ხოლო ამან, თავის მხრივ, მათი საქმიანობის ეფექტურობაზე დადებითად უნდა იმოქმედოს. ექსპერიმენტში მონაწილეობა 11 000-მა მომუშავემ მიიღო, რომლებიც რანდომიზაციის და წყვილთა შერჩევის ხერხების გამოყენებით ორ ჯგუფად დაიყო. პირველ და მეორე პროგრამებში მონაწილე თანმშრომლებმა საკონტროლო ჯგუფი შეადგინეს, ხოლო მესამე სახის პროგრამაში ჩართულ მომუშავეთაგან ექსპერიმენტული ჯგუფი შეიქმნა. მონაცემების შეგროვება სამი წლის განმავლობაში ხდებოდა. კვლევის შედეგების თანახმად, ექსპერიმენტული ჯგუფის ცდისპირები სამედიცინო დახმარებას ნაკლებად მიმართავდენ, სამსახურს იშვიათად აცდენდენ და საქმიანობაში უფრო პროდუქტიულები იყვნენ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლები.

როგორც ვხედავთ, საველე ექსპერიმენტი, კვლევის სხვა მეთოდებთან შედარებით, იმით არის ღირებული და

წარმატებული, რომ მასში გამოკვლევა რეალურ შრომით და საორგანიზაციო პირობებში ტარდება. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ საველე ექსპერიმენტში ცვლადებზე კონტროლის კარგი შესაძლებლობა არსებობს. გარკვეული სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ინდუსტრიული ორგანიზაციები, ჩვეულებრივ, ამგვარი ექსპერიმენტების ჩატარების მიმართ ნაკლებ ენთუზიაზმს ავლენენ, განსაკუთრებით კი ის დაწესებულებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი შრომითი და საორგანიზაციო პრობლემები გააჩნიათ.

მეტა-ანალიზი

აქამდე ჩვენი მსჯელობა ემპირიული კვლევის ფორმებს ეხებოდა. მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი სახე ამა თუ იმ საკითხის შესწავლის საფუძველზე მიღებული შედეგების შესახებ არსებული ლიტერატურის სპეციფიკური ხასიათის მქონე მიმოხილვა გახლავთ. *მეტა-ანალიზში* სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის ხერხი იგულისხმება, რომელიც რაოდენობრივი კრიტერიუმის გამოყენებით ცალკეულ გამოკვლევებში მიღებულ მონაცემებს შორის პრინციპული მსგავსების არსებობის გარკვევას ცდილობს. სანიმუშოდ იმ ემპირიულ გმოკვლევებს მივმართოთ, რომლებიც პროფესიული სტრესის მომუშავეთა სქესთან კავშირს ეხებიან. ამ კავშირის შესახებ მრავალი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება არსებობს. ამგვარ ვითარებაში საჭიროა იმ პუბლიკაციების აღნუსხვა, რომლებიც მომუშავის სქესსა და პროფესიულ სტრესს შო-

რის სავარაუდო კავშირს ეხებიან. ამ სფეროში არსებული განსხვავებული მონაცემების ანალიზის მიზნით ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაციის დადგენა გახლავთ საჭირო. გამოქვეყნებული შრომებიდან, პირველ რიგში, ისეთები უნდა უგულებელყოთ, რომლებშიც წარმომადგენლობითი ამონაკრების შესახებ მონაცემები არ არის მოყვანილი. ამგვარ პრინციპებზე დაყრდნობით, მაგალითად, ერთ-ერთ მეტა-ანალიტიკურ გამოკვლევაში გაანალიზებული ლიტერატურის რაოდენობა 15 ერთეულამდე დავიდა, რომელშიც 9493 ცდისპირის შედეგები იყო გათვალისწინებული. აღნიშნულ გამოკვლევათა მონაცემების მეტა-ანალიზმა აჩვენა, რომ შრომის პროცესში, პროფესიული სტრესის თვალსაზრისით, ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავება არ არსებობს. მონაცემების შინაარსობრივი და თვისებრივი ინტერპრეტაციის ტრადიციულ მიდგომასთან შედარებით, მეტა-ანალიზის კრიტერიუმების გამოყენებით სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა გაცილებით უფრო მეტი შედეგის მომტანია. გარდა ამისა, მეტა-ანალიზი იმ შუალედური ცვლადების დადგენის საშუალებას იძლევა, რომლებიც დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის არსებული კავშირის თავისებურებას განაპირობებენ [8].

ცვლადების გაზომვა

მეცნიერული კვლევა ემპირიულად შესასწავლი ცვლადების გარკვეულ რიცხობრივ მაჩვენებლებში გამოხატვას გულისხმობს. რაოდენობრივი თვისებების მქონე ფაქტო-

რები, მაგალითად, მომუშავის ასაკი, განათლების დონე, მუშაობის სტაჟი, შრომითი საქმიანობის ეფექტურობა და ა.შ. რაოდენობრივი მაჩვენებლებით უნდა გამოვხატოთ. თვისებრივ მოვლენებს კი რიცხობრივი განზომილება შინაგნად არ ახასიათებთ, მათი მხოლოდ „კოდირება“ შეიძლება, ვთქვათ, რაიმე ორგანიზაციაში მომუშავე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს რიცხვი „1“ , ხოლო მამაკაცებს „2“ შეგვიძლია პირობითად მივაწეროთ. ი-ო ფსიქოლოგიაში გაზომვის ობიექტებს ცალკეული მომუშავის ან მთლიანად ორგანიზაციის გარკვეული მახასიათებლები შეიძლება წარმოადგენდენ. მაგალითად, შესასწავლი შრომითი ჯგუფის წევრები მათი ადმინისტრაციის მიმართ დამოკიდებულების, შრომითი მოტივაციის და სხვა მახასიათებლების მიხედვით შეგვიძლია განვიხილოთ. ზოგადად რომ ვთქვათ, *გაზომვა რაიმე მოვლენისთვის ან ობიექტისთვის გარკვეული წესების მიხედვით რიცხვების მიწერას ნიშნავს.*

მოვლენებისთვის რიცხვთა მიწერის ოთხი განსხვავებული წესი არსებობს. პირველში სახელდების სკალა იგულისხმება, რომლის საშუალებით რაიმე ერთი მოვლენის სხვებისაგან განსხვავების დადგენასთან და საგნების მარტივ კლასიფიკაციასთან გვაქვს საქმე. მეორე გახლავთ რიგის სკალა, რომელიც მოვლენათა შორის რანგობრივი მიმართების დადგენის საშუალებას გვაძლევს, ანუ საშუალებას, ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ერთი საგანი მეორეზე *მეტია, დიდია,* ან *უკეთესია.* გაზომვის მესამე წესს ინტერვალების სკალას უწოდებენ, რომელიც საშუალებას გვაძლევს იმის შესახებ ვიმსჯელოთ, რომ

ერთი ობიექტი მეორეზე, სკალის პირობითი ნულის გათვალისწინებით, რამდენი ერთეულით არის მეტი, რაც მათ შორის ე.წ. მეტრიკულ მიმართებას გამოხატავს. მეოთხე წესს შეფარდების სკალა წარმოადგენს, რომელიც, სკალის აბსოლუტური ნულის გათვალისწინებით, ერთი საგნის მეორესთან ფარდობითი მიმართების დადგენის საშუალებას იძლევა, ანუ ერთი ობიექტი მეორეზე *რამდენჯერ* დიდია, მაღალია, ნათელია, მძიმეა და ა.შ. მოვლენათა გაზომვის ასპექტით, შეფარდების სკალა ყველაზე ზუსტია, რადგან ამ შემთხვევაში ციფრებს, როგორც ნამდვილ რიცხვებს, ისე ვეპყრობით [19].

ნებისმიერი სახის გამოკვლევა, ფსიქოლოგიური ტესტირება, განწყობების და ინტერესების გასაზომი სკალების გამოყენება ფსიქომეტრიკის ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებას გულისხმობს, რაც პირველ რიგში, მიღებული შედეგების სანდოობისა და ვალიდობის დადგენას ნიშნავს. [20].

მონაცემების სანდოობა. ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზის დროს მნიშვნელოვანი როლი ცვლადების გაზომვასთან დაკავშირებული შეცდომების გათვალისწინებას ენიჭება. ნებისმიერი გაზომვის შემთხვევაში სამი სახის შეცდომას, კერძოდ, *აცდენას, სისტემატურ* და *შემთხვევით მცდარობას* უნდა ველოდეთ. მცდარობის დროს თვით კვლევის პროცედურა არის დარღვეული. გამოცდილი მკვლევარი ამგვარ შეცდომებს იშვიათად უშვებს. აცდენის უარყოფითი ეფექტი მონაცემებში მკვეთრად გამოხატული გადახრების დადგენით და მათი უკუგდებით შეგვიძლია გამოვრიცხოთ. სისტემატური შეცდომები ნე-

ბისმიერი გაზომვის თანმხლები მოვლენა გახლავთ, მათი დინამიკა გაზომვიდან გაზომვამდე კანონზომიერ ხასიათს ატარებს. სისტემატური შეცდომების არა მარტო წინასწარ განსაზღვრა, არამედ, გარკვეულ შემთხვევებში, მათი თავიდან აცილებაც შესაძლებელია. შემთხვევით შეცდომებთან საქმე გარკვეული მახასიათებლების თანამიმდევრული გაზომვის დროს გვაქვს, როდესაც განსხვავებული რიცხობრივი მონაცემებია მიღებული. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ გასაზომი მახასიათებლები გარკვეული დროის განმავლობაში არ იცვლებიან, ხოლო მონაცემების ყოველგვარი გადახრა ცვლადების გაზომვის უზუსტობით არის გამოწვეული. ამგვარი შეცდომების შედარებით წონას თვით გამოკვლევის ხასიათი და მისი მიმდინარეობის თავისებურება განაპირობებს. ზოგადად რომ ვთქვათ, ნებისმიერი გამოკვლევის მონაცემებს ამა თუ იმ ხარისხით გარკვეული შეცდომები ახასიათებთ. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენების საშუალებით გამოკვლევაში დაშვებული და მიღებულ მონაცემებში არსებულ შეცდომათა სუმარული სიდიდე შეგვიძლია დავადგინოთ. საბოლოო ჯამში, ეს მაჩვენებელი მიღებული შედეგების სანდოობის დასადგენად გამოიყენება. ემპირიული მონაცემების სიმყარე მათ *სანდოობას* ნიშნავს. სტატისტიკის ფორმალიზებული განმარტებით მონაცემების სანდოობა დისპერსიათა შეფარდებას წარმოადგენს, ანუ Rl (X,T) = Sl (Tl) D Sl (X), სადაც Sl (Tl) "*ჭეშმარიტი*" კომპონენტის დისპერსიას, ხოლო Sl (X) *ცდისეულ* დისპერსიას გამოხატავს. ანალიტიკური გამოსახვის თვალსაზრისით, სანდოობის

კოეფიციენტი ემპირიულ შედეგსა და "ჭეშმარიტ" შედეგს შორის დადგენილი კორელაციის კვადრატული, ანუ დეტერმინაციის მაჩვენებელის სახით არის წარმოდგენილი

შესასწავლი ცვლადების გაზომვის სანდოობის დასადგენად სამნაირი ხერხი, კერძოდ, განმეორებითი გაზომვა, პარალელური გაზომვა და საზომი ინსტრუმენტის დაყოფა გამოიყენება. ცვლადების გაზომვაში დაშვებული შეცდომა მრავალჯერადი ტესტირების საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ. განხორციელებული ცვლადების გაზომვა მონაცემების სანდოობას გვიჩვენებს. *განმეორებით გაზომვაში* ერთი საზომი ინსტრუმენტის გამოყენება, ერთგვაროვანი პირობების შენარჩუნება და დროის გარკვეულ მონაკვეთში ცვლადების ორჯერადი გაზომვა იგულისხმება. განმეორებითი გაზომვით დადგენილ სანდოობას ხშირად *რეტესტულ სანდოობას* უწოდებენ. განმეორებითი გაზომვის წესით დადგენილი სანდოობა მარტივად შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვსახოთ: **გაზომვა → დროის მონაკვეთი → განმეორებითი გაზომვა**

ამ შემთხვევაში *სანდოობის მაჩვენებელს* ორჯერ გაზომილ შედეგებს შორის დადგენილი *კორელაციის კოეფიციენტი* წარმოადგენს.

პარალელური გაზომვა ეკვივალენტური საზომი ინსტრუმენტების გამოყენებით ცვლადების მრავალჯერად გაზომვას გულისხმობს. ორი საზომი ინსტრუმენტი, რომელიც რაიმე ერთ ფსიქიკურ მახასიათებელს ზომავს, ეკვივალენტური უნდა იყოს. იგარაუდება, რომ საზომი ინსტრუმენტები ტოლფასი მაშინ არის, როდესაც ისინი რაიმე ერთ მახასიათებელს ერთნაირი შეცდომით ზომავენ.

ისიც იგულისხმება, რომ ტოლფას საზომ ინსტრუმენტებს გარკვეული თვისებები გააჩნიათ, რომლებიც საშუალო და დისპერსიის მაჩვენებელთა იდენტურობაში ვლინდებიან. პარალელური საზომი ინსტრუმენტებით მიღებულ მონაცემებს შორის დადგენილი კორელაციის კოეფიციენტი ეკვივალენტური სანდოობის მაჩვენებელს გვაძლევს, რომელიც სიმბოლოებით შემდეგნაირად შეგვიძლია გამოესახოთ:

$$(A) \Leftrightarrow (B)$$

სადაც A და B გაზომვის ორი განსხვავებული მეთოდია, ხოლო ⇔ – გაზომვებს შორის არსებული დროითი ინტერვალი.

ორი საზომი ინსტრუმენტით მოპოვებულ მონაცემებს შორის მიღებული კორელაციის მაჩვენებელი ეკვივალენტური სანდოობის გამომხატველია.

ცალკეულ ტესტში ან კითხვარში მოცემული დავალებების ან დებულებების ეკვივალენტურ ჯგუფებად გადანაწილება საზომი ინსტრუმენტის სანდოობის დასადგენად *დაყოფის მეთოდის* გამოყენებას ნიშნავს. მაგალითად, სოციალური განწყობის გასაზომი სკალის სანდოობის დადგენის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მასში მოცემულ დებულებებს რანდომზაციის საფუძველზე ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფენ. ორ ვარიანტად წარმოდგენილი ყოველი დებულების მონაცემის გათვალისწინებით გამოთვლილი კორელაციის საშუალო მაჩვენებელი საზომი ინსტრუმენტის შინაგანი ჰომოგენურობის, ანუ თავსებადობის გამოვლენად არის მიჩნეული, რაც, თავის მხრივ, თვით მოცემული მეთოდის სანდოობის აღმნიშვნელია.

მონაცემების ვალიდობა. მონაცემების განხილვის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ცვლადების გაზომვის ვალიდობას ენიჭება. მიღებული მონაცემების განზოგადებისთვის მათი საბუთიანობის დადგენა აიცილებელია. *მონაცემების ვალიდობა* იმის შესახებ საბუთიანობას ნიშნავს, რომ საზომი ინსტრუმენტი სწორედ იმ მოვლენას იკვლევს, რომლის შესწავლაც მიზნად იყო დასახული. ქვემოთ, შინაარსობრივი, ემპირიული და კონცეპტური ვალიდობის შესახებ გვექნება მსჯელობა.

შინაარსობრივ ვალიდობას ხშირად ლოგიკურსაც უწოდებენ. *შინაარსობრივ ვალიდობაში* მიღებული მონაცემების ისეთი საბუთიანობა იგულისხმება, რომელსაც შესასწავლ მოვლენაში ღრმად გათვითცნობიერებული ადამიანები გვთავაზობენ. შინაარსობრივი ვალიდობა ე.წ. გარეგანი ვალიდობისგან უნდა განვასხვაოთ. გარეგანი ვალიდობის განსაზღვრის საფუძველს ცდისპირის მიერ მისთვის მიწოდებული მასალის უშუალო აღქმა და შეფასება წარმოადგენს. ამგვარი ვალიდობისგან განსხვავებით, შინაარსობრივი ვალიდობა იმ კავშირის შეფასებას გულისხმობს, რომელიც საზომი ინსტრუმენტის მიერ მოპოვებული მასალის შინაარსსა და კვლევაში წინასწარ ნავარაუდევ, მოსაპოვებლად დასახული მასალის შინაარსს შორის არსებობს. შინაარსობრივი ვალიდობის დასადგენად ექსპერტული შეფასებების მეთოდები გამოიყენება. როგორც ყოველი ექსპერტიზის დროს, ამ შემთხვევაშიც საჭიროა კომპეტენტური ადამიანები შეირჩეს და სათანადო ექსპერტიზის პროცედურა ჩატარდეს. ექსპერტები რაიმე ფსიქოლოგიურ ტესტში ან სოციალურ გან-

წყობათა შემსწავლელ სკალებში მოცემულ სათანადო დავალებებს ან დებულებებს აფასებენ. თუ საზომი ინსტრუმენტის კონკრეტული დავალება ან დებულება თავის რეალურ შინაარსს კარგად შეესაბამება, მაშინ მათ ექსპერტი დადებითად შეაფასებს. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი ექსპერტის შეფასება უარყოფითი იქნება. ექსპერტული შეფასების მრავალი ხერხი არსებობს, მაგალითად, წყვილთა შედარების მეთოდი, რანჟირების პრინციპი, დელფის მეთოდი და ა.შ. ამ მეთოდების გამოყენების მიზანი ერთია: ექსპერტულ შეფასებათა შორის შეთანხმებულობის, ანუ თავსებადობის ხარისხის დადგენა, რაც ე.წ. კონკორდაციის კოეფიციენტის გამოთვლით ხდება [21].

ემპირიული ვალიდობა საზომი ინსტრუმენტის საშუალებით ქცევის პროგნოზირების სიზუსტეს ნიშნავს. ემპირიული ვალიდობის დასადგენად მიღებულ მონაცემებსა და ობიექტურ კრიტერიუმებს, ანუ ადამიანის რეალურ ქცევას შორის კავშირის გარკვევა არის საჭირო. ამგვარი ვალიდობის დასადგენად ექსპერტული შეფასებების მეთოდს იყენებენ. გარდა ამისა, ემპირიული ვალიდობის დასადგენად, ექსპერიმენტულ და ცხოვრებისეულ კრიტერიუმესაც მიმართავენ. ი-ო ფსიქოლოგიაში ქცევით კრიტერიუმებად შრომის ნაყოფიერება, კადრების დენადობა, სამუშაოს გაცდენები, შრომით კმაყოფილება განიხილება (ამ კრიტერიუმებს ბოლო ქვეთავში განვიხილავთ). შრომით და საორგანიზაციო გარემოში მომუშავის მოქმედება მრავალგანზომილებიანი ცვლადებით არის დეტერმინირებული, რის გამოც ემპირიული ვალიდობის დადგენის

დროს რეგრესიულ ანალიზს იყენებენ, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადების ერთ ან მეტ დამოკიდებულ ცვლადზე ზემოქმედებას იკვლევს. შესწავლის მრავალგანზომილებიანი ინსტრუმენტის ვალიდობა ადამიანის რელური, ანუ ღია ქცევით უნდა დადასტურდეს, რისთვისაც მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტს მიმართავენ: რაც უფრო დიდია მისი მაჩვენებელი, მით უფრო ვალიდურია კვლევის მრავალგანზომილებიანი ინსტრუმენტი.

კონცეფტური ვალიდობა საზომი ინსტრუმენტის საფუძვლად მდებარე თეორიული პრინციპების საბუთიანობის ხარისხს გამოხატავს. კონცეფტურ, ანუ *კონსტრუქციულ* ვალიდობას მაშინ იყენებენ, როდესაც შეფასების *ობიექტური კრიტერიუმები* არ არის დადგენილი. ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე ახალი საზომი ინსტრუმენტის შექმნის დროს. კონცეპტური ვალიდობის დადგენისთვის ხშირად ე.წ. „კონვერგენტულ და დისკრიმინანტულ" ვალიდობას ითვალისწინებენ, რომელიც დ. კემბელის და დ. ფისკეს მიერ არის შემოთავაზებული. ამ ავტორების მიერ შემუშავებული პროცედურა ფსიქოლოგიური ტესტების გამოყენების მაგალითზე ნათელვყოთ. ვალიდობის დადგენის ამ მეთოდის თავისებურება ძირითად ტესტთან ერთად მაკონტროლირებელი ტესტების გამოყენებაში მდგომარეობს. ტესტების ერთობლიობის (ბატარეის) შედგენის პრინციპი შემდეგ მოსაზრებებზეა დამყარებული: მკვლევარმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ის, თუ ვალიდიზირებად ტესტთან (ჩასატარებელი გამოკვლევის ძირითადი საზომი ინსტრუმენტი) რომელია უკვე არსებული

ტესტებიდან მაღალ კორელაციაში მყოფი. მან ის ტესტებიც უნდა გამოყოს, რომლებსაც მისი ვარაუდის მიხედვით, ძირითადად ტესტთან დაბალი კორელაცია ექნებათ. ტესტებს, რომლებიც ვარაუდის მიხედვით, ძირითად ტესტთან მაღალ კორელაციაში უნდა იმყოფებოდნენ, *კონვერგენტული ეწოდებათ*, ხოლო ტესტებს, რომლებსაც ვარაუდის თანახმად, ძირითად ტესტთან დაბალი კორელაცია უნდა გააჩნდეთ – *დისკრიმინანტული*. კონცეფტური ვალიდობა დამაკმაყოფილებელი იმ შემთხვევაში იქნება, როდესაც კონვერგენტულ ტესტებთან ვალიდიზირებადი ტესტის კორელაციის კოეფიციენტები იმავე ტესტის დისკრიმინანტულ ტესტებთან გამოვლენილ კორელაციის კოეფიციენტებს სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატებიან.

კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნები

აქ მოკლედ შეეჩერდებით იმ საკითხის განხილვაზე, რომელიც ემპირიული კვლევის სტატისტიკურ ანალიზს და მისგან გამომდინარე დასკვნებს ეხება [22, 23, 24]. მიღებული მონაცემების დამუშავება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით წარმოებს. მკვლევარმა, პირველ რიგში, მონაცემების ზოგადი სურათი უნდა აღწეროს. მონაცემების ზოგადი სურათის აღწერა ცენტრალური ტენდენციის, ვარიაბელობის და ცვლადებს შორის კავშირის დამადასტურებელი სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენებას გულისხმობს. გამოკვლეული წარმომადგენლობითი ამონაკრების მონაცემთა აღწერისა და გათვალისწინების

საფუძველზე განზოგადებული დასკვნების გამოტანა ხდება შესაძლებელი. ეს ანალიზის დასკვნითი ეტაპია, რომლის დროს შემუშავებული ჰიპოთეზების შემოწმებასთან გვაქვს საქმე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს, ი-ო ფსიქოლოგიაში კვლევის დაგეგმვის მრავალფაქტორიანი და მრავალასპექტიანი მეთოდები გამოიყენება, რაც მონაცემების დამუშავების და გააზრების თავისებურებას განსაზღვრავს. კვლევის ბოლო საფეხურზე შესწავლილი ცვლადების მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზი გამოიყენება, რომელშიც მონაცემები Nxn მატრიცის სახით არის წარმოდგენილი, სადაც N ამონაკრების წევრების რაოდენობას, ხოლო n შესასწავლი ცვლადების რიცხვს ნიშნავს. ამდენად, ყოველი ინდივიდის (ან სხვა რაიმე მოვლენის) დახასიათება გარკვეული ცვლადების ერთობლიობით ხორციელდება. ამ ცვლადების როლში n რაოდენობის ტესტებიდან ცდისპირების ტესტირების შედეგად დადგენილი ქულები შეიძლება გამოვიდეს. ზოგადი პროცედურა მონაცემების მთლიანი მატრიცის ერთდროულ ანალიზს გულისხმობს. ქვემოთ ამ ზოგადი მოდელის ცალკეულ განშტოებებს შევეხებით.

ფაქტორული ანალიზის, მთავარი კომპონენტების გამოყოფის, ლატენტური (ფარული) თვისებების დადგენის, ლატენტური სტრუქტურების ანალიზის, მრავალგანზომილებიანი სკალირების მეთოდების ძირითადი მიზანი საწყისი მატრიცის სტრუქტურის საფუძვლად მდებარე ცვლადების შედარებით უფრო მცირე რაოდენობამდე დაყვანაში მდგომარეობს. გამოიყენება აგრეთვე კლასტერული ანალიზი, რომელიც შესასწავლი ცვლადების დაჯგუფე-

ბას საკლასიფიკაციო ალგორითმის საფუძველზე აწარმოებს. დისკრიმინანტული ანალიზიც ცვლადების კლასიფიცირების მეთოდია. მასში ობიექტების დაჯგუფების კრიტერიუმები წინასწარ არის მოცემული. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ახალი ობიექტების კლასიფიკაციის ხარისხის განსაზღვრა ამ მეთოდის ძირითად ამოცანას წარმოადგენს. დისპერსიული და კოვარიაციული ანალიზის გამოყენება ჩვენს მიერ განხილული ექსპერიმენტების შედეგების სტატისტიკურ დამუშავებასთან არის უშუალოდ დაკავშირებული. ეს მეთოდები დამოკიდებულ ცვლადზე დამოუკიდებელი ცვლადების მიზეზობრივი ზემოქმედების („მთავარი ეფექტები") და მათი ურთიერთმოქმედების („ინტერაქციის ეფექტები") დასადგენად გამოიყენება. ი-ო ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ექსპერიმენტული მეთოდების მაგივრად ხშირად მიზეზობრივ სტატისტიკურ ანალიზს იყენებენ. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია ეფექტური, როდესაც ცვლადების კონტროლი და მათი რანდომიზაცია ძალზე ძნელია. შრომის პროცესის შესწავლის დროს ე.წ. კორელაციური გამოკვლევის გამოყენება ტიპიურ მოვლენად გვევლინება. კორელაციური გამოკვლევა ცვლადებს შორის ინდივიდუალურ მახასიათებელთა და მოქმედებათა გამოვლენას ცდილობს.

ემპირიული შედეგების სტატისტიკური ანალიზის შემდეგ დასკვნები კეთდება, რომლებსაც თეორიულ ღირებულებასთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამის მაგალითია ჩვენს მიერ ზემოაღწერილი საველე ექსპერიმენტი, რომელიც მომუშავეთა ჯანმრთელობის სხვადას-

ხვა პროგრამების ეფექტურობის შესწავლას ეხებოდა. რასაკვირველია, მნიშვნელოვანი საორგანიზაციო ცვლილებები მხოლოდ ცალკეული გამოკვლევის დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე ვერ განხორციელდება. როგორც წესი, ნამდვილ ცვლელებებს ის განზოგადებული შედეგი ედება საფუძვლად, რომელიც მრავალი გამოკვლევით არის მიღებული. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ კვლევის შედეგების შესახებ გამოტანილი დასკვნები საწყის ჰიპოთეზაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, ანუ მისი კორეგირება ან შეცვლა ხდება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ი-ო ფსიქოლოგიაში არსებული თეორიების ავტორთა დიდი ნაწილი ემპირიული მონაცემების მხარდაჭერით დიდად ვერ დაიკვეხნის. ამავე დროს, არსებული ვითარება ამ კონცეფციების ერთი ხელის მოსმით უგულებელყოფას სრულიადაც არ ნიშნავს. საქმე იმაშია, რომ მეცნიერული კვლევა-ძიება *კუმულაციური* (დაგროვებადი) პროცესია, ცოდნა თანდათანობით იკრიბება, მკვლევარი თავის საქმიანობაში სხვადასხვა მონაცემებს ითვალისწინებს და, ამავე დროს, გამოცდილებასაც იღებს. ყველაფერი ეს ახალი ჰიპოთეზების წარმოქმნას განაპირობებს, რომლებიც შემდგომ სათანადო ემპირიულ დასაბუთებას მოითხოვენ.

ინდუსტრიულ ორგანიზაციებში მიმდინარე კვლევები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან [25]. პირველი, თვით წარმოების პროცესში შესწავლილი პრობლემები ორგანიზაციაში არსებულ ვითარებასთან უშუალოდ არიან დაკავშირებული. მაგალითად, თანამშრომელთა სამსახურში გამოუცხადებლობის, კადრების დენადობის,

ან შრომით უკმაყოფილების მაღალი მაჩვენებლები დღის წესრიგში ამ საკითხების გადაუდებელ მოგვარებას აყენებს, რომლებსაც, ცხადია, ემპირიული შესწავლა ესაჭიროება. ისიც ნათელია, რომ იშვიათია ინდუსტრიის სფეროში ჩატარებული გამოკვლევა, რომელიც მიზნად მხოლოდ რაიმე თეორიული მოსაზრების ემპირიულ შემოწმებას ისახავდეს. თუ ამგვარი რამ მაინც ხდება და მკვლევარი ორგანიზაციას განიხილავს როგორც მხოლოდ კვლევის ლაბორატორიას, ამას პრაქტიკოსები, და არა მარტო ისინი, სამართლიანი ეჭვით უყურებენ. კვლევის მეორე თავისებურება მიღებული შედეგების გამოყენებაში მდგომარეობს. თუ კვლევის შედეგები სამრეწველო ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, მაშინ გარკვეული ღონისძიებების ჩატარების გზით მათი დანერგვა უნდა მოხდეს. მაგალითად, ახალი თანამშრომლებისთვის სამუშაოს თავისებურებათა შესახებ რეალური ინფორმაციის მიწოდებამ კადრების დენადობა შეიძლება შეამციროს. ამგვარ ვითარებაში მკვლევარი დაწესებულებას დასანერგად კონკრეტული ღონისძიებების პროექტს სთავაზობს. დაბოლოს, თვით ორგანიზაციაში კვლევის ჩატარება საკუთრივ მკვლევარისგან სპეციფიკურ მოტივაციას მოითხოვს. მრეწველობის სფეროში მიმდინარე კვლევა ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლებას ემსახურება. მაგალითად, ნებისმიერი დაწესებულებისთვის მომხმარებლის მიერ ახალი პროდუქციის შეფასება, წარმოების ნარჩენების ყაირათიანი გამოყენება, მომუშავეთა პიროვნული შესაძლებლობების სრულყოფილი გამოვლენა და მრავალი სხვა ძალზე მნიშვნელოვანია. ეს ის პრობლემე-

ბია, რომლებიც თვით სამრეწველო ორგანიზაციებს აწუ-ხებთ, ხოლო თუ ამას მკვლევარის სამეცნიერო და გამო-ყენებითი მიმართულებით საქმიანობის წარმართვის სათა-ნადო მოტივაცია დაემატა, მაშინ ეჭვგარეშეა, რომ კარგი შედეგიც არ დააყოვნებს.

საკრიტერიუმო ცვლადები

სამრეწველო ორგანიზაციებში ადამიანის რესურსების ეფექტური გამოყენების განმაპირობებელი ფაქტორების დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ პრობლემას-თან მიმართებაში ი-ო ფსიქოლოგიაში *პრედიქტორის* და *კრიტერიუმის* ტერმინები გამოიყენება, რაც, რასაკვირვე-ლია, ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ. პრედიქტორი შრო-მითი ქცევის მაპროგნოზირებელი ცვლადი გახლავთ. ინ-დუსტრიულ დაწესებულებებში მიმდინარე კვლევებში *პრედიქტორის* როლში ორგანიზაციის სტრუქტურა, შრო-მითი ჯგუფის შეჭიდულობის ხარისხი, გადაწყვეტილება-თა მიღების ფორმები, შრომითი განწყობები, სამუშაო გა-რემო და სხვა ცვლადები გამოდიან. პრედიქტორი დამოუ-კიდებელი ცვლადის მსგავსია; კრიტერიუმს რაც შეეხება, ის შრომითი ქცევის შემფასებელ ცვლადს წარმოადგენს. *კრიტერიუმში* საქმიანობის ეფექტურობა, კადრების დენა-დობა, სამსახურის გაცდენები, შრომით კმაყოფილება, ხელფასი, დაწინაურება, ტრამვატიზმი და სხვა ფაქტორე-ბი იგულისხმება. კრიტერიუმი დამოკიდებული ცვლადის ანალოგიურია. მოვლენის ამა თუ იმ ცვლადად განხილვა თვით კვლევის მიზნით და სტრატეგიით არის განსაზ-

ღერული. საკრიტერიუმო ცვლადებად, ძირითადად, შრომის ეფექტურობა, კადრების დენადობა, სამუშაოს გაცდენები და შრომით კმაყოფილება არის მიჩნეული.

შრომის ეფექტურობა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაცია, შრომითი ჯგუფი ან ცალკეული მომუშავე, როგორც შრომის სუბიექტები, ეფექტურად მაშინ ფუნქციონირებენ, როდესაც დასახულ მიზნებს მოქმედების ნაკლები დანახარჯებით აღწევენ. ამ კრიტერიუმში ორი მხარე, კერძოდ, ქმედითობა და სარგებლიანობა უნდა გამოვყოთ. ქმედითობა დასახული მიზნების განხორციელებას ეხება, ის სამრეწველო ორგანიზაციაში, ძირითადად, დროის გარკვეულ ერთეულში შექმნილი პროდუქციის რაოდენობის მაჩვენებლით გამოიხატება. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ თვით წარმოების პროცესის თავისებურება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას განსაზღვრავს. ვთქვათ, ერთ ორგანიზაციაში დღეში გამოშვებული საქონლის საშუალო მაჩვენებელი 6 ერთეულს, ხოლო მეორეში კი 200 ერთეულს უდრის. ემპირიული კვლევის დროს ამგვარი განსხვავებების ნიველირება სტატისტიკური ხერხების გამოყენებით წარმოებს. შრომის ეფექტურობის სარგებლიანობის ასპექტს რაც შეეხება, ის საქმიანობის პროცესში დანაკარგების, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებაში მდგომარეობს. შრომის ეფექტურობა იმავე ცალკეული პროდუქტის შექმნაზე დახარჯული დროით შეიძლება განვსაზღვროთ. ორგანიზაციის ფუნქციონირება ეფექტურია მაშინ, როდესაც ის, ვთქვათ, პროდუქციის წარმოებაზე დაბანდებულ ფულად სახსრებს ინაზღაურებს, საქონლის რეალიზაცი-

ით მოგებას იღებს, სამუშაო დროს ეკონომიურად ხარ-ჯავს და სხვა.

კადრების დენადობა. კადრების დენადობაში ორგანი-ზაციიდან თანამშრომლების იძულებით ან ნებაყოფლო-ბით წასვლა იგულისხმება. ამ კრიტერიუმის შესწავლა მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. კადრების დენადობის მადეტერმინირებელი ფაქტორების კვლევას თეორიულ ღირებულებასთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელო-ბა გააჩნია. ნებისმიერ ორგანიზაციაში კადრების დენა-დობა გარკვეული დონით აუცილებლად არსებობს. მრავა-ლი გამოკვლევა მიეძღვნა შემდეგი საკითხის გარკვევას: ორგანიზაციას ვინ, რა ტიპის თანამშრომლები ტოვებენ? კვლევის შედეგების თანახმად, მომუშავეთა ნებაყოფლო-ბითი დენადობა, როგორც შრომის სუბიექტის თვისებებ-თან, ასევე ორგანიზაციის მახასიათებლებთან არის მჭიდ-როდ დაკავშირებული. ამ მოვლენის ყველაზე მნიშვნელო-ვან განმსაზღვრელ ფაქტორად ადამიანისთვის სხვა სამუ-შაო ადგილების მისაწვდომობა არის მიჩნეული. პრაქტი-კული თვალსაზრისით, დაწესებულება ქრონიკულად „მო-ხეტიალე“ მომუშავეთა სამსახურში მიღებით ნამდვილად არ არის დაინტერესებული. ახალი თანამშრომლების შერჩევა და დაქირავება, მათი პროფესიული გავარჯიშება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. როდესაც დაწე-სებულებაში კადრების დენადობა ნორმაზე მაღალია, რო-დესაც სამსახურს მაღალკვალიფიცირებული და გამოც-დილი ადამიანები ტოვებენ, მაშინ არა მარტო მისი შინა-განი სიმყარე ირღვევა, არამედ მისი მოქმედების ეფექტუ-რობაც მნიშვნელოვნად მცირდება.

სამუშაოს გაცდენა. სამუშაოს გაცდენა, როგორც კრიტერიუმი, თანამშრომლის სამსახურში გამოუცხადებლობას ნიშნავს. ეს კრიტერიუმი, კადრების დენადობის მსგავსად, ორგანიზაციაში შრომითი პროცესის სტაბილურობას ეხება. თუ კადრების დენადობა დაწესებულებისთვის სასარგებლოც კი შეიძლება იყოს (ვთქვათ, სამსახურს, ძირითადად, ნაკლებად კვალიფიცირებული პერსონალი ტოვებს), იგივეს გაცდენების შესახებ ვერ ვიტყვით, რადგან მათი თანმხლები შედეგები ყოველთვის უარყოფითია. ეს კრიტერიუმი მომუშავეთა საქმიანობის შეფასების მაჩვენებლად გამოიყენება. გაცდენების მაღალი მაჩვენებლები სამსახურიდან თანამშრომელთა განთავისუფლებას ედება საფუძვლად. გაცდენების შემცირების მიზნით მრავალი ორგანიზაცია სპეციალური ღონისძიებების ჩატარებას ცდილობს. ალკოჰოლიზმი და ნარკომანია სამსახურის გაცდენების უმნიშვნელოვანეს დეტერმინანტებს წარმოადგენენ. მრავალი კვლევის განზოგადებული შედეგი იმაზე მიგვანიშნებს, რომ გაცდენების სანდო პრედიქტორის როლში მომუშავის შრომისადმი დამოკიდებულება გამოდის. მაგალითად, შრომით კმაყოფილება, რომელიც ამ შემთხვევაში პრედიქტორად განიხილება, გაცდენების მაჩვენებლებთან უარყოფით კავშირშია (კორელაციის საშუალო კოეფიციენტი –0.30 უდრის). დაწესებულებებში, რომლებშიც თანამშრომლებს შინაარსეულად საინტერესო სამუშაოს სთავაზობენ, გაცდენების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მცირეა. ინდუსტრიულ ორგანიზაციებს თანამშრომელთა მიერ სამსახურის გაცდენები დიდ პრობლემებს უქმნის. მათი დიდი ნაწილი ამ მოვლენის გამო

ეკონომიკური და სოციალური რესურსების მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდის. გაცდენების მიზეზი ინდივიდუალური, სოციალური და საორგანიზაციო ბუნების გახლავთ. გაცდენებიდან მიყენებული ზარალი არა მხოლოდ ორგანიზაციებზე, მის ქვედანაყოფებზე და ცალკეულ თანამშრომლებზე, არამედ მთლიანად ქვეყნის მრეწველობაზე ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს.

შრომით კმაყოფილება. ჩვენს მიერ ზემოგანხილული კრიტერიუმები ქცევითი ბუნების ცელადებია. შრომით კმაყოფილება კი ადამიანის სუბიექტურ, განცდისეულ მდგომარეობას წარმოადგენს. *შრომით კმაყოფილებას* თავისი სამუშაოსადმი ადამიანის ზოგად შეფასებით დამოკიდებულებად განვიხილავთ, რომელიც რეალურად მიღწეულსა და სუბიექტურად სასურველ შედეგებს შორის სხვაობას გამოხატავს. იო ფსიქოლოგიაში შრომით კმაყოფილებას, როგორც კრიტერიუმს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი მხრივ, ეს იმით არის განპირობებული, რომ ამ სუბიექტურ მახასიათებელს მკვლევარები ადამიანის მუშაობის ეფექტურობას უკავშირებენ, ხოლო მეორე მხრივ, მას ისინი თავისთავად სოციალურ ღირებულებად მიიჩნევენ. წლების განმავლობაში მეცნიერებიც და პრაქტიკოსებიც თვლიდნენ, რომ შრომით უკმაყოფილო ადამიანთან შედარებით, მუშაობით კმაყოფილი პიროვნება უფრო ნაყოფიერად შრომობს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მყარი მიზეზობრივი კავშირი საეჭვო გახდა, შრომით კმაყოფილებას ადამიანთა ცხოვრების დონის და მისი შინაარსის თვისებრივ დახასიათებაში მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჰუმანისტური ორიენტაციის მკვლევარები

ორგანიზაციის ფუნქციონირების შეფასების თვალსაზრისით, მას კანონიერ თვითმიზნად იაზრებენ. შრომით კმაყოფილება კადრების დენადობასთან და სამსახურის გაცდენებთან უარყოფით კავშირშია, რასაც ნებისმიერი დაწესებულების ადმინისტრაცია უნდა ითვალისწინებდეს. გარდა ამისა, უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ თავისი თანამშრომლების მიმართ ორგანიზაციები არა მხოლოდ მათი მატერიალური ანაზღაურების თვალსაზრისით არიან პასუხისმგებლები, არამედ ისინი უნდა ცდილობდნენ მომუშავე პერსონალს შინაარსეულად საინტერესო და შემოქმედებითი სამუშაო შესთავაზონ. შრომით კმაყოფილებას ორგანიზაციათა ფუნქციონირების შეფასების კრიტერიუმად სწორედ ამიტომ თვლიან.

ლიტერატურა

1. Fishoff, B, Beyth, R. "I knew it wont happen". Remembered probabilities of one-future things. Organizational Behavior and Human Performance. 1975, 13, 1-16.
2. ჩარკვიანი, დ., ნონიაშვილი, თ. მოლოდინების დინამიკა და რეტროსპექციული შეფასებები. *მცნე*, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, 1984, 1, 57-64.
3. Майерс, Д. Социальная психология. Санкт-Птербург, 1977.
4. Miner, J. The validity and usefulness of theories in an emerging organizational science. Academy of Management Review, 1984, 9, 296-306.
5. Mildrow, T., Bayton, J. Man and women executive and process related to decision accuracy. Journal of Applied Psychology, 1979, 64, 99-106.
6. Alpender, G. Supervisory training programs in major U. S. corporations. Journal of Management Development, vol., 5, 1986, 3-22.
7. Кемпбелл; Д. Модели экспериментов в социальной психлогии. М., 1980.
8. Morse, J. Organizational characteristics and individual motivation. In: Studies in organizational design, (ed.) Lorsh, J., Lawrence, P. Home Wood. Irwin and Dorsey, 1970.
9. Годдсданкер, Р. Основы психологического эксперимента. М., 1980.

10. 10.Киш, Л. Представительность, рандомизация и контроль. В кн. Математика и социология. М., 1980.
11. Гласс, Д., Стенли, Д. Статистические методы в педагогике и психологии. М., 1976.
12. Шварц, Г. Выборочный метод. М., 1978.
13. Fanagan, M., Dimboye, R. Research settings in industrial and organizational psychology: Facts, fallacies and future. Personel psychology, 1981, 34, 37-47.
14. Fromkin, H., Stenfert, S. Laboratory experimentation. In: Handbook of industrial and organizational psychology, D. Dunnet (ed.) . Stokie, Rand Mc Nally, 1976.
15. Freedman, L. Involvement, discrepancy and attitude change. In: P. Backman, P, Secord (ed.). Problems in social psychology. N.Y., 1966.
16. Майстер, В. Эргономические основы разработки сложных систем. М., 1979.
17. Bly, J., Jones, R., Richardson, J. Impact worksite health promotion on health care costs and utilization : Evaluation of Jhonson and Jhonson's live for life programme. JAMA, 1986, (23), 3235-3240.
18. Martocchio, J., O'Leary, A. Sex differences in occupational stress: A meta-analitic revew. Journal of applied Psychology, 1989, 6, 495-501.
19. ყვავილაშვილი, ჯ. მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (გაზომვა და სტატისტიკა). თბილისი, 1990.
20. Меньшиков, В., Ямпольский, Л. Введение в экспериментальную психологию личности. М., 1985.
21. Евланов, Л., Кутузов, В. Экспертные оценки в управлении. М., 1978.
22. Дубров, А. Обработка статистических данных методом главных компонент. М., 1978.
23. Поповян, С. Использование многомерного статистического анализа в задачах эмпирического предсказания. В кн. Социальная психология и общественная практика. М., 1985.
24. Петренко, В. Психосемантика сознания. М., 1988.
25. Bohem, V. Research in the "real world". A conceptual model. Personel Psychology, 1980, 33, 495-505.

ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში. თბილისი, 2001 (II თავი).

ბანწყობათა იერარქიული სტუქტურა და ქცევა

იერარქიული აღნაგობის თვალსაზრისით ამა თუ იმ ფსიქიკური პროცესის, ღია ქცევის და სიტუაციის თავისებურებათა შესწავლა ამჟამად ფრიად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ *იერარქია* ისეთ სისტემად განიხილება, რომელშიც საგნები და მოვლენები გარკვეული თანამიმდევრობით არიან განლაგებული. მოვლენათა იერარქიული აღნაგობის ნათელი და ემპირიული კვლევით დასაბუთებული ნიმუში, ჯერ კიდევ კლასიკური ბიჰევიორიზმის ფარგლებში, კ. ჰალის ე.წ. ჩვევათა (გამღიზიანებელსა და მასზე პასუხს შორის კავშირი) იერარქიის თვალსაზრისშია მოცემული [1]. ამ კონცეფტური მიდგომის თანახმად, ჩვევათა შორის არსებული მიმართება დომინირების პრინციპის გამოყენებით არის გააზრებული. დომინირების პრინციპში ჩვევათა იერარქიის ისეთი ფორმა იგულისხმება, როდესაც სათანადო ვითარებაში პოტენციურ რეაქციათა (ქცევითი ბუნების ჩვევები) აღმოცენების შესაძლებლობა ფარდობითალბათურ ტერმინებში განიხილება. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, თუ ქცევის X და Y ფორმები რაიმე მოცემული სტიმულით არიან განსაზღვრული და, ამავე დროს, ქცევის X ფორმის გამოვლენასთან გვაქვს საქმე, მაშინ ის ჩვევათა იერარქიულ სისტემაში, ქცევის მეორე

ფორმასთან მიმართების თვალსაზრისით, დომინანტის როლში გამოდის.

შემდგომ, ფსიქიკური პროცესების და მოქმედებათა ტენდენციის იერარქიული სტრუქტურის პრინციპის შემეცნებით პროცესებზე განზოგადება კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებში განხორციელდა. ამასთან დაკავშირებით ის გამოკვლევები უნდა აღინიშნოს, რომლებიც ადამიანის მიერ საგნებისა და მოვლენების კატეგორიზაციის შესწავლას ეხებიან. ნაჩვენებია, რომ კატეგორიები გარკვეულ სქემას, ანუ ისეთ შემეცნებით სტრუქტურას ქმნიან, რომელიც მოსული ინფორმაციის ადამიანის მიერ სათანადო ორგანიზებას განაპირობებს. ამგვარ სქემაში წარმოდგენილი კატეგორიები, შინაარსეული ზოგადობის ასპექტით, იერარქიულად არიან განლაგებული [2,3]. მაგალითად, ფიზიკური ობიექტების კლასიფიკაციის შემთხვევაში, ვთქვათ, "სპორტული ავტომობილი", "მსუბუქი ავტომობილი", და "სატრანსპორტო საშუალება", ხოლო სოციალურ სიტუაციათა ტაქსონომიის დროს, დავუშვათ, "ლუდის ბარში ყოფნა," "ოფიციალურ შეხვედრაზე მისვლა," და "რაიმე სოციალურ ვითარებაში ყოფნა". საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში კატეგორიების ამგვარი დაჯგუფება დომინირების პრინციპის გამოყენებას ნაკლებად გულისხმობს, რადგან ის, ძირითადად, მოვლენათა შესახებ მსჯელობის პროცესით არის შემოფარგლული. ეს იმას ნიშნავს, რომ კვლევა ერთი მხრივ, მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირების შეფასების, მათი კატეგორიზაციის და ცნებათა შემუშავების კანონზომიერებათა შესწავლაზეა მიმართული, ხოლო, მეორე მხრივ, ქცე-

ვის რეგულაციაში ამა თუ იმ "სცენარის" (სათანადო სოციალური ვითარების შესაბამისი ცალკეულ მოქმედებათა განხორციელების თანამიმდევრობა) მნიშვნელობის დადგენას ისახავს მიზნად.

ამჟამად, ცალკეულ მკვლევართა მიერ ფსიქიკური მოვლენების და ქცევის ფორმების იერარქიული აღნაგობის თვალსაზრისი, როგორც კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპი, განწყობის ცნებასთან მიმართებაში იქნა გააზრებული. მხედველობაში გვაქვს ის კონცეფტური მიდგომები, რომლებიც შოთა ნადირაშილის, ალექსანდრე ასმოლოვის და ვლადიმერ იადოვის მიერ არის შემუშავებული [4,5,6]. ჩვენი მიზანი სწორედ ამ ავტორების კონცეფტური მიდგომების თავისებურებათა შედარებით ანალიზში მდგომარეობს. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ განწყობის იერარქიული აღნაგობის ზოგადი თვალსაზრისის თანახმად, რომელსაც ეს ავტორები ეყრდნობიან და მის დასასაბუთებლად გარკვეული არგუმენტები მოჰყავთ, გულისხმობს იმას, რომ სათანადო სისტემაში მაღალ საფეხურზე მოქმედი განწყობა (შესაბამისად, ქცევის ესა თუ ის ფორმა) მასთან შედარებით დაბალ საფეხურზე ფუნქციონირებადი განწყობის *რეგულაციას* განაპირობებს. იერარქიულ სტრუქტურაში მოქმედი განწყობების ფორმათა გამოყოფის პროცესში, ეს ავტორები გარკვეულ კრიტერიუმებს ეყრდნობიან, რომლებიც ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებად შეგვიძლია დავყოთ და მათ მიერ შემოთავაზებული კონცეფტური მიდგომები ამ ჭრილში განვიხილოთ.

სუბიექტური კრიტერიუმები. შ. ნადირაშვილის და ვ. იადოვის მიდგომებში სუბიექტური კრიტერიუმი მოთხოვნილებების სახით არის წარმოდგენილი. იერარქიის უმდაბლეს დონეზე აქტივობის შემთვევაში შ. ნადირაშვილი ვიტალურ მოთხოვნილებებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელთა დაკმაყოფილება ფიზიკური გარემოსადმი ინდივიდის შეგუებას განაპირობებს. აქტივობის ამ დონეზე ინდივიდის ფსიქოფიზიკურ ძალთა დაკმაყოფილებას ენიჭება უპირატესობა. აქტივობის მომდევნო საფეხურზე შემეცნების მოთხოვნილება დომინირებს, რომლის დაკმაყოფილება გარემოს აქტუალურ პირობებთან სუბიექტის ადაპტაციას განსაზღვრავს. აქტივობის უმაღლეს დონეზე სოციალური მოთხოვნილებები და "პიროვნულ-ღირებულებითი შინაარსის" მქონე მოთხოვნილებები იწყებენ ამოქმედებას. სოციალიზაციის პროცესში ფორმირებული სოციალური მოთხოვნილებები ადამიანის სოციალურ ქცევას არეგულირებენ. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება სოციალური ბუნებისაა, რადგან მასში პიროვნებისთვის დამახასიათებელი "საკუთარი თავის წარდგენის და "მე"-ს გამოხატვის" მისწრაფება ვლინდება. შ. ნადირაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არსებული გარე სოციალური პირობებისადმი შეგუებას ყოველთვის ვერ განაპირობებს, რადგან ის, ხშირად, ამ პირობებთან პიროვნების დაპირისპირების გამომხატველია, რაც, ამავე დროს, მისი შემდგომი განვითარების ხელშემწყობია.

ვ. იადოვი მოთხოვნილებათა კლასიფიკაციას "პიროვნების სხვადასხვა ფორმის სოციალურ ურთიერთობებში

ჩართულობის" დონეთა გათვალისწინების საფუძველზე ცდილობს. ამ შემთხვევაშიც უპირატესობა ვიტალურ მოთხოვნილებებს ენიჭებათ. ამის შემდეგ ავტორი სოციალური მოთხოვნილებების მრავალმხრივ კლასიფიკაციას გვთავაზობს. პირველ რიგში, უახლოეს საოჯახო გარემოში, სხვადასხვა საკონტაქტო ჯგუფებში ადამიანის საწყისი ჩართულობის ხარისხია გამოყოფილი. შემდეგ, ადამიანის გარკვეულ სფეროში, მაგალითად, პროფესიულ საქმიანობაში ჩართვის მოთხოვნილება მოდის. აქტივობის ზედა საფეხურზე "უმაღლესი" სოციალური მოთხოვნილება იწყებს ამოქმედებას. ავტორს მიაჩნია, რომ "ეს გახლავთ ფართო გაგებით, მოცემულ სოციალურ სფეროში ჩართვის მოთხოვნილება, გააზრებული როგორც საქმიანობის ზოგადსოციალური, კლასობრივ-სოციალური პირობების ინტერნალიზაცია" [6, გვ. 96].

განწყობათა კლასიფიკაციის სუბიექტურ კრიტერიუმად ა. ასმოლოვი "მნიშვნელობებს" და " პიროვნულ საზრისს" მიიჩნევს. „საქმიანობის თეორიის" (теория деятельности) თანახმად, ადამიანის აქტივობის სოციალურ-საგნობრივი ურთიერთკავშირის პირობათა ცნობიერებაში ასახვის თვალსაზრისით ორი განცდისეული ფსიქიკური მოვლენა, კერძოდ, "მნიშვნელობა" და "პიროვნული საზრისი" არსებობს. ეს უკანასკნელი სოციალურ-საგნობრივ მოვლენებთან ადამიანის პიროვნულ დამოკიდებულებას გამოხატავს. ა. ასმოლოვი აღნიშნავს: "მიმართებათა ამ სისტემაში რეალობა აისახება, რაც საქმიანობის მოტივაციური ასპექტის კვლევაში ვლინდება.... საზრისი ცნობიერებაში სამყაროსადმი ადამიანის რეალური

დამოკიდებულებების გამოხატველია და ცნობიერებისთვის დამახასიათებელ მიკერძოებულობასაც განაპირობებს" [5, გვ. 59].

როგორც ვხედავთ, განწყობათა სხვადასხვა ფორმების გამოყოფის სუბიექტურ კრიტერიუმად შ. ნადირაშვილი და ვ. იადოვი მოთხოვნილებების განსხვავებულ ფორმებს და საკუთრივ მათ გარკვეულ სტრუქტურულ აღნაგობას მიიჩნევენ, ხოლო ა. ასმოლოვის აზრით, ამგვარი კრიტერიუმის როლში "პიროვნული საზრისი" და "მნიშვნელობები" გამოდიან. გარდა ამისა, შ. ნადირაშვილის და ვ. იადოვის მიდგომებს შორის გარკვეული განსხვავება არსებობს, რაც შემდეგში გამოიხატება: პირველის თანახმად, ადამიანის აქტივობის დაბალ დონეზე ფსიქოფიზიკურ ძალთა რეალიზაციის მოთხოვნილება, ხოლო მომდევნო დონეზე შემეცნების მოთხოვნილება ფუნქციონირებს. მეორის თვალსაზრისს რაც შეეხება, მასში ძირითადი ყურადღება სოციალური მოთხოვნილებების განზოგადებულ კლასიფიკაციაზეა გამახვილებული.

ობიექტური კრიტერიუმები. შ. ნადირაშვილის კონცეფტურ მიდგომაში იგულისხმება, რომ ინდივიდის აქტივობის დონეზე განწყობათა კლასიფიკაციის ობიექტური კრიტერიუმის როლში ფიზიკური გარემო გამოდის, რომელშიც ადამიანის მოქმედება პერცეპტულ-გრძნობადი ფორმით ასახულ კონკრეტულ საგნებზეა მიმართული. პირველი დონისგან განსხვავებით, მომდევნო დონეზე განწყობათა იერარქიული აღნაგობის ობიექტურ კრიტერიუმად "ზოგადი ობიექტები" გვევლინებიან, რომელთა შორის სათანადო მიმართებები, პირველი დონისგან განსხვა-

ვებით, უკვე თვალსაჩინო სახით ნაკლებად არიან ცნობიერებაში მოცემული. ამ შემთხვევაში ლაპარაკია პრობლემურ სიტუაციაზე, რომლის გადაწყვეტა ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს. მომდევნო, ანუ უმაღლესი დონე ადამიანის, როგორც პიროვნების აქტივობა გახლავთ, რომელიც სოციალურ გარემოში მიმდინარეობს. სოციალურ გარემოში არსებული ობიექტები (სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები) და ადამიანთა ურთიერთობის საფუძველზე შექმნილი ღირებულებებია წარმოჩენილი.

ვ. იადოვი განწყობათა შორის სისტემურ მიმართებათა კლასიფიკაციის საფუძვლად მდებარე ობიექტური კრიტერიუმის (ძირითადი აქცენტი ქცევის მიმდინარეობის გარე პირობებზე, ანუ კონტექსტზე კეთდება) დახასიათების დროს სიტუაციის სიმყარის ფაქტორზე მიგვანიშნებს. ავტორი, პირველ რიგში, "საგნობრივ გარემოს", ანუ "უმარტივეს სიტუაციებს" გამოყოფს. შემდგომ ჯგუფური ურთიერთობის პირობები მოდიან, რომლებსაც მნიშვნელოვანი დროის მანძილზე სტაბილურობა ახასიათებთ. მომდევნო ეტაპს სხვადასხვა სოციალურ სფეროში (შრომა, თავისუფალი დრო, ოჯახი და ა.შ.) საქმიანობის პირობები წარმოადგენენ. დროის თვალსაზრისით, ყველაზე მეტი სიმყარე "ადამიანის საქმიანობის ზოგადი სოციალური პირობებისთვის არის დამახასიათებელი". ეს პირობები ადამიანის აქტივობის ზოგადი სოციალური სიტუაციის ძირითად თავისებურებებს (ეკონომიკურს, კულტურალურს) გამოხატავენ.

განწყობათა განსხვავებული ფორმების ობიექტური კრიტერიუმების დასადგენად ა. ასმოლოვი მოტივის, მიზ-

ნის და მოქმედებათა რეალიზაციის პირობათა ცნებებს მიმართავს. მოტივში მატერიალური ან იდეალური, ე.ი. გრძნობის ორგანოებით აღქმადი ან მხოლოდ გააზრებული მოთხოვნილებების საგანი იგულისხმება. მოქმედებიდან გამომდინარე ნავარაუდევი შედეგი მიზანს წარმოადგენს. მოქმედების განხორციელება ფიზიკური და სოციალური გარემოს პირობებში ხდება, რაც დასახული მიზნის მიღწევის განმაპირობებელია. გარდა ამისა, ა. ასმოლოვი საკუთრივ საქმიანობის სტრუქტურულ ერთეულებს განწყობათა კლასიფიკაციის კრიტერიუმებად მიიჩნევს. საქმიანობის კონკრეტული ფორმები მათი განმსაზღვრელი მოტივების გათვალისწინებით უნდა გამოიყოს. მას მხედველობაში აქვს სათანადო მიზნებით განპირობებული მოქმედებები და ოპერაციები, რომლებიც მოქმედებათა რეალიზაციის აუცილებელ პირობებს წარმოადგენენ.

როგორც ვხედავთ, სამივე მკვლევარი ერთსულოვანი არიან იმაში, რომ სხვადასხვა ფორმის განწყობათა ფუნქციონირების ობიექტურ დეტერმინანტებად, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური გარემო უნდა ჩავთვალოთ. ამასთან ერთად, შ. ნადირაშვილი და ა. ასმოლოვი ადამიანის აქტივობის თითქმის ყველა დონეზე პრობლემური სიტუაციის მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავენ, მაშინ როდესაც, ვ. იადოვი სოციალური ქცევის განმსაზღვრელი თანამიმდევრობითი პირობების შედარებით დეტალურ აღწერას გვთავაზობს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შ. ნადირაშვილის და ვ. იადოვისგან განსხვავებით, ა. ასმოლოვი საქმიანობის "ერთეულების" სტრუქტურულ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც სათანადო ობიექტური

ფაქტორებით არიან დეტერმინირებული. ისიც არსებითია, რომ ადამიანის ცნობიერებაში ასახული ობიექტური რეალობა აღქმის და ობიექტივაციის პროცესთა თავისებურებაში მეღავნდება, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ საჭიროა არა მარტო ფიზიკური და სოციალური ვითარებების აღწერა, არამედ სუბიექტის მიერ აღქმული ან წარმოსახული და შემდგომ სათანადოდ ინტერპრეტირებული სიტუაციის გათვალისწინებაც.

განწყობათა ფუნქციები. შ. ნადირაშვილი ადამიანის აქტივობის დონეთა გათვალისწინებით განწყობათა იერარქიის შემდეგ ფორმებს გვთავაზობს: ინდივიდის დონე – *პრაქტიკული* და *ფსიქოფიზიკურ ძალთა რეალიზაციის* განწყობები; სუბიექტის დონე – *თეორიული* განწყობა; პიროვნების დონე – *სოციალური* და *თვითრეალიზაციის* განწყობები. პრაქტიკული განწყობის მეშვეობით ქცევა მიზანშეწონილ ხასიათს იღებს, რაც ადამიანს ფიზიკური გარემოსადმი შეგუების შესაძლებლობას აძლევს. ფსიქოფიზიკურ ძალთა რეალიზაციის განწყობა ინდივიდის ორგანიზმში მთლიანობითი წონასწორობის დამყარებას უზრუნველყოფს. თეორიული განწყობის საშუალებით, სუბიექტი ფიზიკური და სოციალური გარემოს შესახებ მთლიანობითი და თანამიმდევრული შინაარსის მქონე წარმოდგენას იმუშავებს, რომელიც იმდენად შეესაბამება რეალობას, "რამდენადაც მას მისივე პირადი და სოციალური გამოცდილება ამის საშუალებას აძლევს". სოციალური განწყობები პიროვნების სოციალური ქცევის არა მარტო მარეგულირებელ, არამედ ნორმატიულ ფუნქციასაც ასრულებენ, რადგან მათში სოციალიზაციის პროცესში

ფორმირებული სათანადო სოციალური ღირებულებების და ნორმების შესაბამისად მოქმედების პიროვნებისეული სურვილია ასახული. თვითრეალიზაციის განწყობა პიროვნების განვითარების და მის მიერ შემოქმედებითი აქტივობის გამოვლენის განმსაზღვრელია. განწყობის ეს ფორმა, სოციალური განწყობისგან განსხვავებით, ე.წ. კონსისტენტობის, (განწყობათა შორის ან ცალკეული განწყობის შიგნით არსებულ ელემენტებს შორის თავსებადობა) პრინციპის მიხედვით არ მოქმედებს, მისი ძირითადი დანიშნულება ახალი პიროვნული და საზოგადოებრივი ღირებულებების ათვისებაში და მათი სათანადოდ გათვალისწინებაში მდგომარეობს.

ვ. იადოვის თანახმად, განწყობათა იერარქია შემდეგნაირად უნდა იყოს გააზრებული: *ელემენტარული* განწყობები, *სოციალური* განწყობები, *საბაზო სოციალური* განწყობები, და *ღირებულებითი* ორიენტაციები. ავტორი თვლის, რომ ელემენტარული განწყობები სწრაფადცვალებადი საგნობრივი გარემოსადმი შეგუების ფუნქციას ასრულებენ. რაც შეეხება სოციალურ განწყობებს, რომლებსაც გარკვეული სტრუქტურა გააჩნიათ (შემეცნებითი, აფექტური, ქცევითი კომპონენტები) ცალკეული ობიექტებისა და სიტუაციების მიმართ დადებითობის ან უარყოფითობის თვისებით ხასიათდებიან. თავის მხრივ, საბაზო სოციალური განწყობები საქმიანობის ამა თუ იმ სფეროსადმი ადამიანის იდენტიფიკაციის ხარისხს გამოხატავენ. ამ შემთხვევაში ქცევის დეტერმინაციაში შემეცნებითი ელემენტის მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება. დაბოლოს, ღირებულებითი ორიენტაციები, თავისი არსით, იდეოლო-

გიზირებული შინაარსის არიან, ისინი ადამიანის მთლიანობით, ზოგად საქმიანობას განსაზღვრავენ.

ა.ასმოლოვი განწყობათა იერარქიის შემდეგნაირ კლასიფიკაციას გვთავაზობს: *ოპერაციონალური, მიზნობრივი* და *საზრისის* განწყობები. პირველი სახის განწყობა "ამოცანის" გადაწყვეტის ვითარებაში ფუნქციონირებს და მოქმედების მიმდინარეობას გარკვეული მიმართულებით წარმართავს. რაც შეეხება მიზნობრივ განწყობას, ის კონკრეტული ქცევის რეალიზაციისადმი ადამიანის ისეთ მზაობას გამოხატავს, რომელიც მის მიერ დასახული მიზნის შესაბამისია. ამავე დროს, მისი ძირითადი ფუნქცია მოქმედების "სტაბილიზაციაში" მდგომარეობს. ავტორის აზრით, იერარქიაში მომდევნო საფეხურზე მოქმედი საზრისის განწყობა "პიროვნული საზრისის" გამომხატველია, ის საქმიანობას (ცალკეულ მოქმედებათა თანამიმდევრული და ინტეგრირებული ქცევის ფორმა) გარკვეული მიმართულებით წარმართავს, მისი მარეგულირებელი ძირითადი ფაქტორია. განწყობის ეს ფორმა საქმიანობის ზოგად შინაარსეულ ორიენტაციას "აცემენტებს". მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია საქმიანობის მიმდინარეობის "სტაბილიზაცია" გახლავთ.

როგორც ვხედავთ, შ. ნადირაშვილი და ვ. იადოვი ქცევის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად განწყობას მიიჩნევენ. გარდა ამისა, მათი აზრით, სოციალიზაციის პროცესში ჩამოყალიბებულმა სოციალურმა განწყობამ, როგორც გარკვეულმა ფიქსირებულმა სისტემამ, შესაძლოა აქტუალური განწყობის წარმოქმნის სუბიექტური ფაქტორის ფუნქცია შეასრულოს. ამასთან დაკავშირებით

შ. ნადირაშვილი აღნიშნავს: "კონკრეტული სოციალური აქტივობის საფუძვლად მდებარე სოციალური აქტუალური განწყობის ფორმირების პროცესში ფიქსირებულ სოციალურ განწყობათა სისტემა მოთხოვნილების როლში გამოდის" [4, გვ. 131]. თავის მხრივ, ვ. იადოვი აღნიშნავს: "არიან რა ქცევის და ცალკეული საქციელის ყველა მოტივის საყრდენი, მოთხოვნილებები ქცევის მიმდინარეობის "ჯაჭვში" შეიძლება პირდაპირი სახით საკუთარ თავს არ ავლენდენ, მაგრამ სათანადო დისპოზიციური წარმონაქმნების მეშვეობით ისინი, თითქმის ღიად, ბიძგს აძლევენ მოქმედებას". [6, გვ.100]. ამ ავტორების კონცეფტურ მიდგომებს შორის მსგავსება იმაშიც მჟღავნდება, რომ, მათი აზრით, განწყობის ყოველ ცალკეულ ფორმას გარკვეული სახის ქცევა შეესაბამება. შ. ნადირაშვილის თანახმად, ასეთებად პრაქტიკული მოქმედება, თამაში და სხვადასხვაგვარი გართობები, ამოცანის გადაწყვეტა, სოციალური და შემოქმედებითი სახის "ღია" ქცევის ფორმები შეიძლება ჩაითვალოს. ვ. იადოვის მიხედვით, განწყობათა ქცევასთან შესაბამისობა შემდეგი ფორმის ცალკეულ აქტივობაში ვლინდება: ქცევითი აქტები, საქციელი (ჩვეული მოქმედებები), ქცევა (საქციელთა რიგის მიზანდასახული თანამიმდევრობა), საქმიანობა (ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქცევის მთლიანობითი ხასიათი).

ნიშანდობლივია, რომ ა. ასმოლოვის კონცეფტურ მიდგომაში. განწყობებსა და ქცევის სხვადასხვა ფორმებს შორის ამგვარი მიმართებებები არ იგულისხმება. ეს იქედან სჩანს, რომ ავტორის თანახმად, არის რა განწყობა ქცევის მხოლოდ "სტაბილიზატორი" და არა მისი ძირი-

თადი განმსაზღვრელი ცვლადი, ამდენად თვით ის მოითხოვს დეტერმინაციას, რასაც საქმიანობა ან მისი შემადგენელი ერთეულები უნდა ახორციელებდენ. ამიტომ, საქმიანობის შემადგენელი ერთეულების შეცვლის შემთხვევაში განწყობაც უნდა შეიცვალოს. მაგალითად, ე.წ. "მოტივის მიზნის მიმართულებით გადანაცვლების" ეფექტის გამო საზრისის განწყობა თუ მიზნობრივი განწყობით შეიცვალა, მაშინ ის ახალ ქცევასთან დაკავშირებით ინსტრუმენტულ მნიშვნელობას იძენს. ჩვენი აზრით, უფრო საყურადღებოა ე.წ. "ქვემოდან მიზნის წარმოქმნის" ავტორისეული ვარაუდი, რომელშიც ოპერაციონალური განწყობის მიზნობრივ განწყობად გარდაქმნა იგულისხმება. მიგვაჩნია, რომ განწყობასა და ქცევას შორის სათანადო კავშირის თვალსაზრისით, შ. ნადირაშვილის მიერ შემოთავაზებულ განწყობათა იერარქიულ პრინციპში ცვლადების ამგვარი "გარდაქმნა" ძნელად წარმოსადგენია. იგივე ითქმის ვ. იადოვის დისპოზიციათა სისტემის შესახებ. ამავე დროს, სამივე ავტორი ერთსულოვანი იმაშია, რომ იერარქიაში უფრო მაღალ დონეზე ფუნქციონირებადი განწყობა მასზე უფრო დაბალ საფეხურზე მოქმედ გაწყობათა მიმართ მარეგულირებელ ფუნქციას ასრულებს (როგორც უკვე აღვნიშნეთ, განწყობათა იერარქიული აღნაგობის ზოგადი თვალსაზრისის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს). მაგრამ დაისმის შემდეგი კითხვები: რა განაპირობებს განწყობათა იერარქიული სტრუქტურის ამგვარ ფუნქციონირებას? განწყობათა იერარქიასა და ქცევის სხვადასხვა ფორმებს შორის არსებობს კი რაიმე გამაშუალებელი რგოლი? სამივე ავტორის

თანახმად, ამგვარი ცელადის როლში *აქტუალური განწყობა* გამოდის.

აქტუალური განწყობა. ცვალებად სიტუაციებში ქცევის სიმყარე მის მიმართ ფიქსირებული განწყობის, როგორც მადეტერმინირებელი ფაქტორის, მნიშვნელობის უშუალო დამამტკიცებელი არგუმენტი უნდა იყოს. ამავე დროს, მრავალი ემპირიული მონაცემი ამგვარი ცალსახა დასკვნის გამოტანას ეჭვის ქვეშ აყენებს. ჩვენს მიერ განხილული განწყობათა იერარქიული აღნაგობის შესახებ კონცეფტური მიდგომები ქცევის *ცვალებადობის* ახსნასაც ცდილობენ. სამივე ავტორის აზრით, ქცევის თავისებურებებს და, მათ შორის, მის ვარეაბელობას აქტუალური განწყობა განსაზღვრავს. შ. ნადირაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: "აქტუალური განწყობა მოთხოვნილების და სათანადო სიტუაციის თანხვედრის საფუძველზე ყალიბდება. ქცევის განხორციელების პროცესში ეს განწყობა აქტუალურ მდგომარეობაში იმყოფება, მას ქცევა სათანადო ძალით გარკვეული მიმართულებით მიჰყავს" [6, გვ. 128.]. ვ. იადოვის თანახმად: "ამა თუ იმ დისპოზიციური წარმონაქმნის მიზანშეწონილი აქტუალიზაცია სათანადო მოთხოვნილებების და სიტუაციის ზემოქმედების ხარჯზე ხდება, რაც ქცევის ოპტიმალურ რეალიზაციას განაპირობებს [6, გვ. 102]. ა. ასმოლოვის აზრით: "უნდა ითქვას, რომ მიზნობრივი განწყობა ყოველთვის აქტუალური განწყობის სახით ვლინდება და მასში გარკვეული ხარისხით სხვა დონის განწყობებია გამთლიანებული [5, გვ. 102].

როგორც ვხედავთ, ქცევის ცვალებადობის, მისი დინამიკურობის ასახსნელად სამივე ავტორი აქტუალურ განწყობაზე მიგვანიშნებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შ. ნადირაშვილი და ვ. იადოვი ამ ცვლადს, პირველადი (ფიქსირებული) განწყობის მსგავსად, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების თანხვედრის შედეგად წარმოქმნილ მზაობის მდგომარეობად მიიჩნევენ. ა. ასმოლოვი, თავის მხრივ, მას მიზნობრივ განწყობად განიხილავს, რომლის ჩამოყალიბება სათანადო მიზნით და საქმიანობის შინაარსით არის დეტერმინირებული, სადაც პირველი მეორის მიმართ ინსტრუმენტულ ფუნქციას ასრულებს. აქვე ბუნებრივად შემდეგი კითხვები ჩნდება: რომელ ფსიქიკურ მექნიზმებზეა დამყარებული განწყობათა იერარქიაში აქტუალური განწყობის მოქმედება? როგორი ფარდობითი წონები გააჩნიათ ქცევის დეტერმინაციაში აქტუალურ და ფიქსირებულ განწყობებს? და რა მნიშვნელობას იძენენ ამ პროცესში ობიექტური და წარმოსახული (ფსიქოლოგიური) სიტუაციები? იცვლება კი აქტუალური განწყობის სპეციფიკა იმის მიხედვით, თუ აქტივობის რომელ დონესთან გვაქვს საქმე? ეს კითხვები ჩვენს მიერ განხილვად პრობლემატიკასთან ორგანულად არიან დაკავშირებული, ხოლო მათზე პასუხების გაცემა დამატებით ექსპერიმენტულ დასაბუთებას მოითხოვს.

ზემოთ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრების გამოთქმა გვსურს. პირველ რიგში, განსაკუთრებით ხაზგასასმელი შესასწავლი სიტუაციური ცვლადების გაზომვის საკითხია. ნიშანდობლივია, რომ ეს საკითხი, ხშირად, სათანადო ყურადღების გარეშე რჩება.

მასთან დაკავშირებით, თავის დროზე, სავსებით სამართლიანად ე. ბრუნსვიკი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ, მთლიანობაში, ადამიანები ერთმანეთს ბევრად უფრო მეტად გვანან, ვიდრე სიტუაციები. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ, კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, პიროვნულ მახასიათებლებთან შედარებით, სიტუაციების თავისებურებათა ზუსტი გაზომვის საკითხს უნდა მიენიჭოს უპირატესობა [7].

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სათანადო კრიტერიუმების გათვალისწინებით ჩვენს მიერ განხილული სამი ავტორის მიერ განწყობათა იერარქიული აღნაგობის შესახებ შემუშავებული კონცეფტური მიდგომების განხილვის საფუძველზე ფიზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური (წარმოსახული) სიტუაციების გამოყოფა ხდება შესაძლებელი. მაგრამ, სიტუაციების ამგვარი დაყოფის *ოპერაციონალური სანდოობის* დასადგენად ემპირიული კვლევით მათი მნიშვნელობის მქონე მახასიათებლების გამოყოფა არის საჭირო. მაგალითად, ამა თუ იმ სიტუაციის აღწერა როგორც მოთხოვნილებების, ასევე ქცევის ფორმების ტერმინებით შეიძლება. სიტუაციის მახასიათებელთა ცდისეული შესწავლის პროცესში გამოსაყენებელი კონკრეტული მეთოდის შესაბამისობა თვით სიტუაციის რომელობის გათვალისწინების საფუძველზე უნდა განისაზღვროს. მაგალითად, სოციალური აქტივობის დონეზე განწყობასა და ქცევას შორის სავარაუდო კავშირის სათანადო გააზრებაში გადამწყვეტი როლი ობიექტური გარემოს სუბიექტურმა "მნიშვნელობებმა" შეიძლება ითამაშონ. მიგვაჩნია, რომ ადამიანის მიერ აღქმული სიტუაციის თა-

ვისებურებათა შესატყვის გამზომ საშუალებად სემანტიკური დიფერენციალის მეთოდის გამოყენება ნამდვილად მიზანშეწონილია. გარდა ამისა, ვთვლით, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე ქცევის დეტერმინაციაში ისეთი ფაქტორების ფარდობითი წონების დადგენა, როგორიც არის ფიქსირებული განწყობა, აქტუალური განწყობა და სიტუაცია, რადგან ჩვენს მიერ განხილული განწყობათა იერარქიული სტრუქტურის შესახებ შემუშავებული მოდელებიდან გამომდინარე, კონცეფტური ვარაუდების შინაარსეულ თავისებურებას სწორედ ეს ცვლადები განაპირობებენ. ეს საკითხი სათანადო ემპირიულ შესწავლას მოითხოვს. ამგვარ კვლევაში მნიშვნელობის მქონედ შემდეგი სახის ექსპერიმენტული პირობების გათვალისწინება მიგვაჩნია:

ა) ფიქსირებული განწყობა და აქტუალური განწყობა. დამოკიდებული ცვლადის როლში გარკვეული ქცევა (ღია მოქმედება, ვერბალური პასუხი, გრძნობად-ემოციური რეაგირება) გამოდის, რომლის საფუძვლად სათანადო ფიქსირებული განწყობა (ან პიროვნული თვისების, ან ქცევითი მზაობის გამომხატველი შედარებით მყარი დისპოზიციური ბუნების წარმონაქმნი), აქტუალური განწყობა (აქ და ამჟამად არსებული ვითარებით შექმნილი კონკრეტული ქცევის განხორციელების მზაობა) გვევლინება. ქცევის მახასიათებლების გაზომვა სხვადასხვა სიტუაციებში წარმოებს. ივარაუდება, რომ ორ ან უფრო მეტ განსხვავებულ სიტუაციაში ჩატარებული გაზომვების მონაცემთა შორის მაღალი დადებითი კორელაციის მაჩვენებელი ქცევის დეტერმინაციაში აქტუალურ განწყობასთან შედა-

რებით, ფიქსირებული განწყობის მეტი ხვედრითი წონის დამადასტურებელი იქნება. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი ქცევის დეტერმინაციაში აქტუალური განწყობის მეტი ხვედრითი წონის გამოვლენასთან გვექნება საქმე. იმავე ექსპერიმენტულ პირობებში ფაქტორული ანალიზის გამოყენება შემდეგს უნდა ნიშნავდეს: ერთადერთი (ძირითადი) ფაქტორის გამოყოფა ქცევის დეტერმინაციაში ფიქსირებული განწყობის წამყვანი როლის შესახებ ჰიპოთეზის დადასტურებად ჩაითვლება, ხოლო ორი ან მეტი ფაქტორის დადგენა ქცევის დეტერმინაციაში აქტუალური განწყობის მეტი მნიშვნელობის შესახებ ვარაუდს გაამართლებს [8].

ბ) ფიქსირებული განწყობა, აქტუალური განწყობა და სიტუაცია. ამ შემთხვევაში, ქცევის დეტერმინაციაში ცალკეულ ფაქტორთა ხვედრითი წონები ვარიაციული სტატისტიკის გამოყენებით შეგვიძლია დავადგინოთ. ექსპერიმენტულ ვითარებაში, რომელშიც სამი დამოუკიდებელი (განწყობის ორი ფორმა და სიტუაცია) და ერთი დამოკიდებული (ქცევა) ცვლადი ფიგურირებს, შემდეგი პროცედურის ჩატარებას გულისხმობს: პირველი, დამოუკიდებელი ცვლადის, კერძოდ, ფიქსირებული განწყობის სათანადო მახასიათებლების გაზომვა; მეორე, განსხვავებულ ვითარებათა მახასიათებლების გაზომვა, ე.ი. სიტუაციებს შორის სხვაობის გამოვლენა; მესამე, ამ ორ ცვლადს შორის სტატისტიკური ურთიერთმოქმედების (ინტერაქციის) კომბინირებული მონაცემის დადგენა, რაც, სტატისტიკური თვალსაზრისით, აქტუალური განწყობის მაჩვენებელი იქნება. ივარაუდება, რომ რაც უფრო მეტად

და კარგად "ახსნის" (სტატისტიკური მნიშვნელობით) დამოუკიდებელი ცვლადი (ფიქსირებული გაწყობა, აქტუალური განწყობა) დამოკიდებელი ცვლადის (ქცევა) ვარეაბელობას, მით უფრო დიდი იქნება ამ უკანასკნელის დეტერმინაციაში მისი ხვედრითი წონა [8,9].

ლიტერატურა

1. Hull, C. Principles of behavior. N.Y.: Appleton, 1943.
2. Schenc, R., Abelson, R. Scripts, plans, goals and undersendig. Hilsdale, N.J.: Elbaum, 1977.
3. Marcus, H. Self-schemata and processing information about self. Journal of Personality and Social Psychology, 1977, 35, 63-78.
4. Надиравили, Ш. Понятие установки в общей и социальной психологии. Тбилиси, 1977.
5. Асмолов, А. Деятеьность и установка. М., 1977.
6. Ядов, В. О диспозиционной регуляции социального поведения. В сб.: Методологические проблемы социальной психологии. М., 1975.
7. Brunswik, E. Perception and representative design of psychological experiments, 1956
8. Magnusson, D., Ekhemar, B. A analisis of situations: a replication. Multivariate behavioral research, 1973, 8, 331-339.
9. Endler, N., Hunt, J. Generalisibility of contribution from sources of variances in S-R inventories of anxiousness. Journal of Personality, 1969, 37, 1-24.

Развитие эргономики в системе дизайна. Материалы всесоюзной конференции, Тбилиси, из-во: Тбилисская книжная фабрика, 1979.

სოციალური განწყობა და ძცევა: გაზომვის მეთოდოლოგიური შესაბამისობის პრინციპი

ადამიანის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება მის მიერ სოციალური გამოცდილების მიღებას ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით შემდეგი კითხვა დაისმის: რა ფსიქიკური მექანიზმების საფუძველზე და რა სახით მჟღავნდება ადამიანის ქცევაში მის მიერ ათვისებული სოციალური გამოცდილება? სოციალური გამოცდილების შეძენის (სოციალიზაციის) და მისი ამოქმედების მარეგულირებელი მექანიზმის, კერძოდ, სოციალური განწყობის ფუნქციონირების თავისებურებათა შესწავლა სოციალურ ფსიქოლოგიაში მოღვაწე მკვლევართა უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო წარსულში და არის ამჟამადაც. სათანადო ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ავტორთა უმრავლესობისთვის *სოციალური განწყობა* სოციალური მოვლენებისა და ობიექტებისადმი ადამიანის შეფასებითი დამოკიდებულებებაა, რომელიც ადამიანის თვალსაზრისებში, გრძნობად-ემოციურ მდგომარეობაში და ქცევაში ვლინდება [1,2,3,]. სოციალური განწყობის ფუნქციონირება სუბიექტის მიერ გარე სამყაროს აღქმის, გააზრების და შეფასების საფუძვლად მდებარე საკმაოდ ეფექტური ფსიქიკური მექანიზმი გახლავთ. სოციალური განწყობის, როგორც ადამიანის სოციალური აქტივობის მარეგულირებელ მექანიზმში *დაცვის, შეგუების* და *გამოხატვის* ფუნ-

ქციებს გამოყოფენ. გარდა ამისა, მას გარკვეული აღნაგობა გააჩნია; კერძოდ, შემეცნებითი, გრძნობად-ემოციური და ქცევითი კომპონენტები მისი შემადგენელი ნაწილებია. როდესაც სოციალური განწყობა ადამიანს მოქმედების სათანადო წესებს "კარნახობს," მათზე მიანიშნებს და ამით მის რეალურ ქცევას მიმართულებას აძლევს, მაშინ ის პიროვნების სოციალური გარემოსადმი შეგუების და მისი გარდაქმნის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორის როლში გამოდის. სტრუქტურის თვალსაზრისით, მისი ქცევითი კომპონენტი, ბუნებრივია, რეალური ქცევის მადეტერმინირებელ ცვლადად გვევლინება. ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური განწყობის ფუნქციური მახასიათებლები და სტრუქტურული კომპონენტები განცალკევებულად კი არ მოქმედებენ, არამედ ადამიანის წინასწარი მზაობის ისეთ სისტემურ მთლიანობას ქმნიან, რომელიც, საბოლოო ჯამში, გარეგან და შინაგან სტიმულაციაზე მის აზრობრივ, გრძნობად-ემოციურ და ქცევით რეაგირებას განაპირობებს.

ზემომოყვანილი სოციალური განწყობის განმარტებიდან გამომდინარე, როგორც აღვნიშნეთ, იმთავითვე იგულისხმება, რომ სოციალურ განწყობასა და ღია ქცევას შორის არა მხოლოდ მჭიდრო კავშირი არსებობს, არამედ პირველი მეორის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს. სოციალური ფსიქოლოგიის განვითარების საწყის ეტაპზე ამ თვალსაზრისს მკვლევართა დიდი ნაწილი იზიარებდა. გასული საუკუნის 30-ან წლებში მის სისწორეში გარკვეული ეჭვი რ. ლაპიერის ცნობილმა გამოკვლევამ (ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიის ას-

პექტით ნამდვილად უხეირო გამოკვლევა, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით) შეიტანა [4]. ეს ის დრო გახლავთ, როდესაც აშშ-ს მოსახლეობა აზიელების მიმართ საკმაოდ მტრულად იყო განწყობილი, რაც მათ აშკარა დისკრიმინაციაში მჟღავნდებოდა. მაგალითად, სასტუმროებში და რესტორნებში მომსახურეობაზე მათ ხშირად უარს ეუბნებოდენ. ღ. ლაპიერმა ჩინელი წყვილის თანხლებით აშშ-ს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურა. ამ მოგზაურობის დროს ისინი სხვადასხვა სასტუმროების და რესტორნების მომსახურეობით სარგებლობდენ. საყურადღებოა ის, რომ ამ მოგზაურობის დროს მომსახურეობაზე უარი მათ მხოლოდ ერთხელ უთხრეს. მოგზაურობიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, რ. ლაპიერმა იმ დაწესებულებებს, რომლებმაც მას და მის თანმხლებ პირებს მომსახურება გაუწიეს წერილობით შემდეგი შეკითხვით მიმართა: "მიიღებთ და მოემსახურებით თუ არა თქვენთან მომსვლელ ჩინელებს?" გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა. ამ შედეგმა რ. ლაპიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჩინელების მიმართ რესტორნების და სასტუმროების მფლობელთა სოციალური განწყობები მათ რეალურ ქცევას არ შეესაბამება.

რ. ლაპიერის მიერ 'განწყობა – ქცევის" პირდაპირი და მჭიდრო კავშირის შესახებ გამოთქმული ეჭვი, შემდგომ, კერძოდ, გასული საუკუნის 60-ანი წლების მიწურულს, უკვე აშკარა სკეპტიციზმში გადაიზარდა. მაგალითად, ა. უოკერი განწყობა-ქცევის მიმართების შემსწავლელ გამოკვლევათა მონაცემების მიმოხილვის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ორ მოვლენას შორის,

ფაქტობრივად, არაეითარი კავშირი არ არსებობს [5]. მომდევნო კვლევა-ძიებამ ამგვარი უკიდურესად უარყოფითი დასკვნის მცდარობა იმით დაადასტურა, რომ სოციალურ განწყობას და სოციალურ ქცევას შორის უშუალო კავშირის მაგივრად, ყურადღება ამ ორ ცვლადს შორის არსებულ *გამაშუალებელ* ფაქტორებზე გაამახვილდა. ცდისეულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ამგვარ გამაშუალებელ ფაქტორებს სოციალურ განწყობებზე სათანადო სიტუაციის და გარკვეული შემეცნებითი პროცესების გაელენა წარმოადგენს. კონკრეტულად კი, მიღებული მონაცემების თანახმად, სოციალურ განწყობასა და ქცევას შორის მნიშვნელობის მქონე კავშირი იმ შემთხვევაში მჟღავნდება, როდესაც ექსპერიმენტულ ვითარებაში არსებული ხელშემშლელი სიტუაციური პირობები და ადამიანისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფორმის ტენდენციურობა მინიმუმამდეა დაყვანილი და მაშინაც, როდესაც ადამიანი საკუთარი სოციალური განწყობის შინაარსეული მხარის გარკვეული ხარისხით გაცნობიერებას ახერხებს [6,7].

ამავე დროს, ჩვენთვის საგანგებოდ ყურადსაღები სოციალურ განწყობასა და ღია (რეალურ) ქცევას შორის არსებული მიმართების შესწავლის მეთოდოლოგიური მხარე გახლავთ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ამ ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემის ა. აიზენის და მ. ფიშბეინის მიერ განხორციელებული ღრმა და დამაჯერებელი მეთოდოლოგიური ანალიზი [8,9]. მიგვაჩნია, რომ, ემპირიული კვლევის თვალსაზრისით, სოციალურ განწყობას პრედიქტორის (მაპროგნოზირებელი, დამოუკიდებელი ცვლადი) დანიშნულება გააჩნია, ხოლო

ქცევა, ძირითადად, მოვლენათა მიმართ შემფასებლობითი ხასიათის მქონე რეაგირების ფუნქციის მატარებელი ცვლადის როლში გამოდის. ი. აიზენისა და მ. ფიშბეინის მსჯელობის საგანი სოციალურ განწყობასა და ქცევას შორის მიმართების ცდისეული შესწავლის პროცესში ამ ცვლადებთან დაკავშირებული გაზომვის პრობლემა გახლავთ. ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სოციალური ობიექტებისადმი შეფასებითი დამოკიდებულების გაზომვის ყველაზე კარგ და გამოსადეგ საშუალებად ბიპოლარული ზედსართავი სახელებით აგებული სკალები უნდა მივიჩნიოთ. მათი აზრით, ეს განსაკუთრებით სემანტიკური დიფერენციალის მეთოდს ეხება. ქცევითი კრიტერიუმი, თავის მხრივ, ადამიანის რეალური, დაკვირვებადი მოქმედების (მაგალითად, საქმის კეთების ეფექტურობა, არჩევნებში მონაწილეობა და ხმის მიცემა, რაიმე პროდუქტის შეძენა, სხვებისთვის დახმარების აღმოჩენა და სხვა) აღნუსხვას გულისხმობას.

ისიც საგულისხმოა, რომ, არც თუ ისე იშვიათად, ქცევითი კრიტერიუმის როლში სუბიექტის მიერ საკუთარი ქცევის შეფასება (თვითშეფასებითი სახის კრიტერიუმი) გვეელინება. ამავე დროს, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი კრიტერიუმის გამოყენება მხოლდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც რეალური ქცევის თავისებურებათა აღნუსხვა ძნელია ან საერთოდ შეუძლებელია. სოციალურ განწყობაზე დაყრდნობით რეალური ქცევის შესახებ წინასწარმეტყველება ე.წ. კონსისტენტობის, ანუ მდგრადობის თვალსაზრისზეა დამყარებული. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზოგადი თეორიუ-

ლი მიდგომის მიხედვით, ბუნებრივია (კონსისტენტურია) ვარაუდი იმის შესახებ, რომ, თუ ადამიანს რაიმე სოციალური ობიექტის მიმართ დადებითი შეფასებითი დამოკიდებულება გააჩნია, მაშინ ის ამ ობიექტის მიმართ არა ნეგატიურ, არამედ დადებითი შინაარსის მქონე ქცევას გამოაცალენს. ამის ანალოგიურად, როდესაც მას ობიექტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, ის, დადებითს კი არა, უარყოფითი შინაარსის მქონე მოქმედებას გამოამჟღავნებს. მაგრამ, ი. აიზენის და მ. ფიშბეინის აზრით, განწყობასა და ქცევას შორის ამგვარი, ერთი შეხედვით, მარტივი მიმართების დაშვების საფუძველი საკმაოდ მყიფეა, რადგან მისი დამაჯერებლობის სწორედ თეორიული არგუმენტი ფრიად საეჭვოა ან საერთოდ არ არსებობს. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვეულებრივ, მრავალი კონკრეტული ქცევის ისეთი ფორმა გვხვდება, რომლის შინაარსიდან რაიმე ობიექტის მიმართ არავითარი შეფასებითი მიმართება არ გამომდინარეობს. მაგალითად, ჰამბურგერის ჭამა რომელიმე სხვა კონკრეტული პიროვნების მიმართ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ არაფერს გვეუბნება. ამავე დროს, მკვლევარმა შესაძლოა ივარაუდოს, რომ ვინმეს მიერ ამ პიროვნების უარყოფითი შეფასება, მის მიმართ რაიმე ნეგატიური შინაარსის მქონე მოქმედების განხორციელებასაც გულისხმობს, რომლის საფუძველზე მან განწყობასა და ქცევას შორის პირდაპირი კავშირი შეიძლება ივარაუდოს და შემდგომში რაიმე მტრული საქციელიც სათანადოდ აღნუსხოს. ამდენად, განწყობა-ქცევის მიმართების შესახებ როგორც კონცეფტურად, ასევე მეთოდოლოგიურად

ნათლად და დამაჯერებლად არგუმენტირებული ვარაუდის უქონლობის შემთხვევაში, ამ კავშირის შესწავლა მხოლოდ თვით მკვლევარის "გამჭრიახი ინტუიციის" შემოწმება იქნება და მეტი არაფერი. ი. აიზენმა და მ. ფიშბეინმა მიზნად იმ ვითარებათა გარკვევა დაისახეს, რომლებშიც განწყობის საფუძველზე ღია ქცევის წინასწარმეტყველების მეთოდოლოგიურად როგორც ხელშემწყობი, ასევე ხელშემშლელი პირობები არსებობს. მათი ამოსავალი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ განწყობა და ქცევა აუცილებლად რაიმე ობიექტზე მიმართული მოვლენებია. განწყობა-ქცევის კავშირის დახასიათება ორი შემდეგი საკითხის განხილვას გულისხმობს: პირველი, რითი ხასიათდება ის რაიმე არსებული, რომელზეც განწყობა და ქცევა არიან მიმართული; მეორე, განწყობისა და ქცევის ობიექტის მახასიათებელთა შორის შესაბამისობის ხარისხის დადგენა. ობიექტთან განწყობისეულ და ქცევით მიმართებას გარკვეული, კერძოდ, *მოქმედების* (აქტივობის ხარისხი), *მიზნის* (საგანი, რომელზეც განწყობა და ქცევა არიან მიმართული), *კონტექსტის* (პირობები, რომელშიც ქცევა მიმდინარეობს) და *დროის* (ქცევის მიმდინარეობის ქრონოლოგიური მხარე) პარამეტრები გააჩნია.

ზემოაღნიშნული პარამეტრების ზოგადობა ან კონკრეტულობა მკვლევარის მიერ შესასწავლად გამოყოფილი ცვლადების გაზომვის ხერხებით განისაზღვრება. განწყობის მაპროგნოზირებელი ძალის და ქცევის საკრიტერიუმო შეფასების შესახებ მსჯელობის დროს მხედველობაშია მისაღები შემდეგი: ცალკეულ დაკვირვებებზე დამ-

ყარებული ქცევითი კრიტერიუმები ოთხივე ზემონახსენებ პარამეტრს ითვალისწინებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული მოქმედება ყოველთვის კონკრეტულ საგნობრივ შინაარსს შეიცავს, გარკვეულ ვითარებაში მიმდინარეობს და გარკვეული დროის მონაკვეთში ხორციელდება. ამ ქცევითი პარამეტრების გათვალისწინებით და მათზე მრავალჯერადი დაკვირვების საფუძველზე განზოგადებულ მონაცემებს ვიღებთ. გარდა ამისა, მხედველობაში შემდეგია მისაღები. კერძოდ, ზოგადი ქცევის შეფასების კრიტერიუმებს რაც შეეხება, მათი გამოყენება ოთხი პარამეტრიდან ერთის ან მეტის გათვალისწინებით და მრავალგანზომილებიან დაკვირვებათა გამოყენების საფუძველზე ხდება. მაგალითად, როდესაც დაკვირვებებზე დამყარებული ქცევის შეფასების ისეთი კრიტერიუმი გამოიყენება, რომელიც სამიზნე ობიექტებისთვის ძალზე ჰეტეროგენულია (შეუთავსებელია), მაშინ ამ სამიზნე ობიექტის სპეციფიკა, ფაქტობრივად, გაუთვალისწინებელი რჩება. იმ შემთხვევაში კი, თუ სამიზნე ობიექტები უფრო ჰომოგენურ (თავსებად) ერთობლიობას ქმნიან, მაშინ გამოკვეთილი პარამეტრების მქონე სამიზნე ობიექტთან გვექნება საქმე. მაგალითად, როდესაც სამიზნე ობიექტების როლში სხვა ადამიანები გამოდიან, ამ შემთხვევაში ზოგადად ადამიანისთვის დამახასიათებელი პარამეტრები იქნება გასათვალისწინებელი; ხოლო როცა სამიზნე ობიექტს ცალკეული ინდივიდები წარმოადგენენ, მაშინ მხედველობაში მისაღები შეიძლება იყოს შემდეგი პარამეტრები: სქესი, ეროვნება, რელიგიური კუთვნილება, პროფესია და სხვა ფაქტორები.

სოციალური განწყობის, როგორც პრედიქტორის შესახებ იგივე ითქმის. მისი გაზომვა, როგორც ერთი, ასევე უფრო მეტი პარამეტრის გათვალისწინებით შეიძლება. განწყობისეული პრედიქტორების გაზომვა, ხშირად, ცალკეული პარამეტრის მიხედვით წარმოებს. ამ შემთხვევაში შეფასებითი დამოკიდებულება, ვთქვათ, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის, გარკვეული ეთნიკური ჯგუფების, კონკრეტული პიროვნების და ა. შ. მიმართ კონკრეტული მოქმედების, მისი მიმდინარეობის კონტექსტის და დროის გათვალისწინების გარეშე იზომება. ამავე დროს, მკვლევარს ობიექტის მიმართ სუბიექტის შეფასებითი დამოკიდებულების გაზომვა ორი ან მეტი პარამეტრის გათვალისწინებით შეუძლია. ეს, მაგალითად, სემანტიკური დიფერენციალის გამოყენებით ხდება, ხოლო პარამეტრების გათვალისწინება შემდეგ სახეს იღებს: ობიექტი (ვთქვათ, ქვეყნის პრეზიდენტი, რუსეთი), მოქმედება (დავუშვათ, თანამშრომლობა, სადილის მომზადება), კონტექსტი (ვთქვათ, ტაძარში ყოფნა, ფეხბურთის მატჩზე დასწრება) ან ამ პარამეტრების ნებისმიერი კომბინირებული ვარიანტი (დავუშვათ, რუსეთთან თანამშრომლობა, ზეგ 19 საათზე ფეხბურთის მატჩის ყურება).

ი. აიზენის და მ. ფიშბეინის აზრით, სოციალური განწყობის და ღია ქცევის პარამეტრების *შესაბამისობა* ამ ორი ცვლადის გაზომვის, მათ შორის არსებული კავშირის სანდოობას და ვალიდობას განაპირობებს. თეორიულად ივარაუდება, რომ თვით აღნიშნული შესაბამისობის ოდენობას ამ ორი ცვლადის პარამეტრთა გაზომვადი იგივეობის ხარისხი (თანხვდომის დონე) განსაზღვრავს.

ამ მეთოდოლოგიური პრინციპის ნათელსაყოფად ავტორებს შემდეგი მაგალითი მოყავთ. შეფასებითი დამოკიდებულება გამონათქვამისადმი "ჩემი ეკლესია" (ქცევითი, კონტექსტური და დროითი პარამეტრების გაუთვალისწინებლად) მხოლოდ ისეთ ქცევით კრიტერიუმს შეესაბამება, რომელიც ეკლესიის მიმართ სუბიექტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა მოქმედებების დაკვირვებაზე და აღნუსხვაზე იქნება დამყარებული (ვთქვათ, ფულადი შეწირულობა, კვირა დღეს წირვაზე სიარული, ეკლესიის მერ ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება). მსგავსად ამისა, როდესაც მოცემულ ობიექტთან დაკავშირებული ქცევის "ჩემი ეკლესიისათვის ფულის შეწირვა"-ს მიმართ შეფასებითი დამოკიდებულება იზომება, მაშინ ქცევითი კრიტერიუმი ინდექსის სახეს იღებს. ამგვარ ინდექსში სხვადასხვა ვითარებებში სუბიექტის ქცევაზე დაკვირვების მონაცემთა გათვალისწინება იგულისხმება. ამის საპირისპიროდ, როდესაც ქცევის შეფასების კრიტერიუმს ცალკეული მოქმედება, ანუ საქციელი წარმოადგენს, მაგალითად, 10 საათზე ყოველკვირეულ „წირვაზე მისელა-არმისელა„ – მაშინ განწყობისეული პრედიქტორის როლში "მომავალ კვირა დღეს 10 საათზე ჩემს ეკლესიაში მისელა" დებულების მიმართ სუბიექტის შეფასებითი დამოკიდებულება უნდა ფიგურირებდეს.

ი. აიზენი და მ. ფიშბეინი იგივეს ქცევის კრიტერიუმის შესახებ ეარაუდობენ. მათ ქცევის შეფასების ორი კრიტერიუმი გამოყვეს. როდესაც ქცევის კრიტერიუმი მოცემული ობიექტის მიმართ სხვადასხვა სახის მოქმედებათა მონაცემების საფუძველზე იზომება, მაშინ ისინი ერთ

ინდექსში ერთიანდებიან. ამ შემთხვევაში ობიექტის მხოლოდ ერთი პარამეტრის დაკონკრეტება ხდება, რასაც ავტორები "მრავალ-მოქმედებით" კრიტერიუმს უწოდებენ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მკვლევარი ობიექტის მიმართ ერთ, ცალკეულ დაკვირვებას სჯერდება, მაშინ როგორც ობიექტის, ასევე მოქმედების პარამეტრის კონკრეტიზაცია ხდება და ამიტომ ამგვარ ქცევით კრიტერიუმს ავტორები "ცალკეულ-მოქმედების" კრიტერიუმად განიხილავენ. სოციალურ განწყობასა და ღია ქცევას შორის არსებული კავშირის შესწავლის ქმედითობის ასამაღლებლად მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპის ნათელსაყოფად ი. აიზენმა და მ. ფიშბეინმა მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევა გაანალიზეს. ქვემოთ, პარამეტრთა შესაბამისობის და ემპირიულ მონაცემთა საბუთიანობის ურთიერთმიმართების ცალკეულ შემთხვევებს განვიხილავთ.

ბარამეტრების შეუსაბამობა. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, სოციალური განწყობა ადამიანთა გარკვეული პოპულაციის მიმართ ისე იზომება, რომ კონკრეტულ ქცევაზე არავითარი მინიშნება არ კეთდება. ამავე დროს, ქცევის შეფასების კრიტერიუმში განწყობის ობიექტის მიმართ კონკრეტული ქცევა იგულისხმება. მაგალითად, ერთ-ერთ გამოკვლევაში თეთრკანიანი მამაკაცები ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში მონაწილეობას ნებაყოფლობით იღებდენ. ექსპერიმენტის დაწყებამდე ცდისპირებს შავკანიანების მიმართ შეფასებითი დამოკიდებულებები გაუზომეს. ამის შემდეგ, გამოვლენილი განწყობების საფუძველზე ცდისპირები ორ ჯგუფად დაყვეს. ექსპერიმენტული პროცედუ-

რის თანახმად, ცდისპირი მოსაცდელ ოთახში შედიოდა, სადაც მას ან თეთრკანიანი, ან შავკანიანი სტუდენტი (ექსპერიმენტატორის თანამონაწილე) ხვდებოდა და ორივე ექსპერიმენტის დაწყებას ელოდებოდა. ცოტა ხანში, იმავე ოთახში, თეთრკანიანი ადამიანი (ექსპერიმენტატორის თანამონაწილე) შედიოდა, რომელიც მათ "საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მუშობის ერთი საათით გახანგრძლივების მოთხოვნის" მიმართვაზე ხელმოწერას თხოვდა. წინასწარ დაგეგმილი პროცედურის მიხედვით, მიმართვაზე ჯერ მეორე პიროვნება, ფიქტიური ცდისპირი, აწერდა ხელს ან პირიქით – უარს ამბობდა, ხოლო ამის შემდეგ "გულუბრყვილო ცდისპირის" ჯერი დგებოდა. გულუბრყვილო ცდისპირის მიერ მიმართვაზე ხელის მოწერა ან უარის თქმა ქცევის შეფასების კრიტერიუმად განიხილებოდა. მიღებულმა შედეგმა განწყობას (მოსაცდელ ოთახში შავკანიანი პირის მიმართ შეფასებითი დამოკიდებულება) და ქცევის (მიმართვაზე ხელის მოწერა ან უარის თქმა) შორის ნულოვანი კორელაცია გამოავლინა, რაც პრედიქტორის და კრიტერიუმის პარამეტრთა შეუსაბამობით იყო გამოწვეული.

პარამეტრების ნაწილობრივი შეუსაბამობა. განწყობა – ქცევის კავშირისადმი მიძღვნილი მრავალი გამოკვლევის ერთ-ერთი მეთოდოლოგიური ნაკლი შემდეგში მდგომარეობს: ქცევის საკრიტერიუმო მახასიათებლებს შორის შესატყვისობა სახეზეა, მაგრამ ობიექტის მიმართ არსებული განწყობის პარამეტრებს შორის შესაბამისობა მცირეა. პარამეტრების ამგვარი ნაწილობრივი შეუსაბამობის ერთ-ერთ მაგალითად ი. აიზენსა და მ. ფიშბეინს ზემოაღ-

წერილი რ. ლაპიერის გამოკვლევა მოჰყავთ. მათი აზრით, "წერილი-კითხვარი," რომელიც რ. ლაპიერმა სხვადასხვა დაწესებულებებში დაგზავნა ობიექტისადმი შეფასებით დამოკიდებულებას კი არ ზომავდა, არამედ ის ადამიანის ქცევით განზრახვას ადგენდა. ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, განწყობის პირველი და მეორე გაზომვები, თავისი პარამეტრების მიხედვით, ერთმანეთს მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა: ორივე შემთხვევაში დაწესებულებაში ადამიანის მიღებასთან და მომსახურეობასთან გვაქვს საქმე, ხოლო ობიექტების პარამეტრები ამისგან განსხვავებულია – რეალურად კონკრეტული ჩინელი ადამიანები მოქმედებენ და რაც მთავარია, ძირითადად, თვით რ. ლაპიერის თანხლებით (სახეზეა სპეციფიკური სიტუაციის არსებობა), ხოლო შემდგომ გაგზავნილ წერილებში გამოთქმული თხოვნა ზოგადად "ჩინელი რასის წარმომადგენლებს" ეხებოდა.

პარამეტრების შესაბამისობა. ერთ-ერთ გამოკვლევაში ალკოჰოლური სასმელების და მათი მიღებისადმი განწყობების კავშირი იყო შესწავლილი. ქცევის მიმართ განწყობა თვით ქცევის "ცალკეულ-მოქმედებითი" კრიტერიუმის მაპროგნოზირებელი ცვლადის როლში გამოდიოდა. გამოკითხვის შედეგად ყოველი რესპონდენტის ალკოჰოლის მიღების სიხშირე, რაოდენობა და სასმელის რომელობა იყო დადგენილი. ამ მონაცემების საფუძველზე გამოკითხულები სამ ჯგუფად, კერძოდ, "ძლიერ," "ზომიერ" და "არამსმელ" ნაწილებად დაყვეს. ამ ჯგუფების ყოველ წევრს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით სასმელის მიმართ შეფასებითი დამოკიდებულება გაუზომეს. იმის გა-

მო, რომ ერთი ობიექტისადმი განწყობის და ქცევის პარამეტრებს შორის მაღალი შესაბამისობა არსებობდა, თვით ამ ორ ცვლადს შორის მნიშვნელოვანი და საკმაოდ მაღალი კორელაცია გამოვლინდა

პარამეტრების შესაბამისობის განსხვავებული ხარისხები. არსებობს ემპირიული გამოკვლევები, რომლებშიც პრედიქტორული და საკრიტერიუმო პარამეტრები განსხვავებული ხარისხით არის შესაბამისობაში მოყვანილი. საილუსტრაციოდ ორ მაგალითს მოვიყვანთ. პირველი ექსპერიმენტი სამი საკრიტერიუმო მახასიათებლის წინასწარმეტყველებას ახერხებდა. ცდისპირებს (მდედრობითი სქესის წარმომადგენლები) სამი ობიექტის – "შობადობის კონტროლი", "ჩასახვის საწინააღმდეგო აბები" და "ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოყენება" – მიმართ გაუზომეს განწყობები. ამის შემდეგ, ცდისპირების მიერ ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოყენების სიხშირე (ქცევითი კრიტერიუმი) დაადგინეს. მიღებულმა მონაცემებმა პარამეტრთა შესატყვისობის პრინციპის ვალიდობა დაადასტურა: ქცევის კრიტერიუმთან ყველაზე მაღალი კორელაცია ჩასახვის აბების გამოყენების მიმართ განწყობის შემთხვევაში გამომჟღავნდა, შედარებით უფრო მცირე კორელაცია ჩასახვის საწინააღმდეგო აბების მიმართ განწყობის შემთხვევაში აღმოჩნდა, ხოლო შობადობის კონტროლისადმი ზოგადი შეფასებითი დამოკიდებულების შემთხვევაში კორელაციის მაჩვენებელი უმნიშვნელო იყო. მეორე გამოკვლევაში, რომელშიც სტუდენტები მონაწილეობდენ, საკრიტერიუმო ცვლადს კონკრეტულ კვირა დღეს ეკლესიაში წირვაზე მისვლა წარმოადგენდა.

განწყობები "რელიგიის," "ეკლესიის," და "მომავალ კვირა დღეს ეკლესიაში მისვლის" მიმართ გაიზომა. მიღებული შედეგების თანახმად, ამ შემთხვევაშიც კონკრეტული ქცევის მიმართ განწყობასა და რეალურ ქცევას შორის მაღალი კორელაცია იქნა დადგენილი, ხოლო ზოგად განწყობასა და ღია ქცევას შორის კორელაციის მაჩვენებელმა სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეს ვერ მიაღწია.

დასკვნა

ი. აიზენისა და მ. ფიშბეინის მეთოდოლოგიური მიდგომის განხილვამ ნათლად დაგვანახა, რომ ექსპერიმენტული ცვლადების სათანადო პარამეტრების ერთმანეთთან შესატყვისობის გათვალისწინებას მათი გაზომვის სიზუსტისთვის და მონაცემების სწორი ახსნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. პრედიქტორების და პარამეტრების შესაბამისობის ემპირიული კვლევა სოციალურ განწყობასა და ღია ქცევას შორის სავარაუდო კავშირის თავისებურებას გაცილებით უფრო ნათელს ხდის. დასასრულ, გვინდა ხაზგასმით ისიც აღვნიშნოთ, რომ ფსიქიკურ მოვლენათა შორის, განსაკუთრებით კი ეს სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენებს ეხება, მიმართებათა შესწავლისადმი ხშირად აშკარა რედუქციონისტული მეთოდოლოგიური მიდგომა (მრავალგანზომილებიანი თვისებების მქონე ცვლადების ერთმნიშვნლოვანი, ცალსახა მახასიათებლების მქონე ცვლადების ფუნქციონირებაზე დაყვანის მცდელობა) წარსულს ჩაბარდა. ეს ნათლად გამოჩნდა სწორედ სოცია-

ლურ განწყობასა და რეალურ ქცევას შორის მიზეზობრივი კავშირის კვლევაში. ამჟამად, სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენების შესწავლაში, შეიძლება ითქვას, ნამდვილად შემოქმედებითი ხასიათის მქონე მრავალფაქტორიანი კვლევის მეთოდოლოგია დომინირებს, ხოლო მკვლევართა ძალისხმევა მისი დახვეწის მიმართულებითაც არის წარმართული. ჩვენი აზრით, კვლევა-ძიებისადმი ამგვარი მიდგომის არსი, მისი თავისებურება სავსებით ნათლად ელიოტ არონსონმა შემდეგნაირად დაახასიათა: "სოციალურ ფსიქოლოგიაში ჩვენ მენზურაში მიმდინარე ქიმიური რეაქტივების მოქმედებას და სათამაშო მანქანის ძარაში რეზინის ბურთების მოძრაობას კი არა, იმ ჭკვიან, ცნობისმოყვარე, გამოცდილ მოზრდილთა ქცევას ვაკვირდებით და ვიკვლევთ, რომლებმაც მთელი ცხოვრება სოციალურ გარემოში გაატარეს. განა საჭიროა ბევრი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენს ცდისპირებს, მათი შემსწავლელი ექსპერიმენტატორების მსგავსად, როგორც თავისი მოქმედებების და გრძნობების, ასევე გარშემომყოფთა მოქმედების და გრძნობების გამომწვევი მიზეზების თაობაზე საკუთარი შეხედულებები და თეორიები გააჩნიათ. ქიმიურ რეაქტივებზე, საცდელ ცხოველებზე ან "არასოციალურ" ვითარებებში მყოფ ადამიანებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისგან განსხვავებით, ეს სულ სხვა შემთხვევა გახლავთ". [9, გვ. 421].

ლიტერატურა

1. Davidio, J., Fazio, R. New technology for the direct and indirect assesment of attitudes. In: J. Tanur (ed.). Questions about questions:Meaning, memory, expressions and social interactions in surveyes, 204-237. N.Y.: Russell Sage Foundation, 1992.

2. Greenwald, G., Marzarin, B. Implicit social cognition. Psychlogical Review, 1995, V.102, 4-27.
3. Research methods in personality and social psychology, C. Handrick, m. Clark (ed). Newbory Park, CA: Sage, 1990.
4. La Pier, R. Attitudes versus actions. Social forces, 1934, 13, 230-237.
5. Wicker, R. Attitudes versus actions: The relationship of verbal and overt behavioral responses to attitude objects. Journal of Social Issues, 1969,25, 41-78.
6. Eagly, A., Chaiken, S. The psychology of attitudes. Fort Worth, TX: Hercourt Brace, 1993.
7. Fazio, R. How do attitudes guid behavior? In: R. Sorrentio, E. Higgins (ed.), Hanbook of motivation and cognition: Foundations of social behavior, 204-243. N.Y.: Guilford Press, 1986.
8. Ajzen, I., Fishbein, M. Attitude-behavior relations: A Theoretical analisis and review of empirical research. Psychological Bulletin, 1977, 887-918.
9. Ajzen, I., Fishbein, M. Understanding attitudes and predicting social behavior. Englewood Cliffs, N.Y.:Prentice-Hall, 1980.
10. Аронсон, Э. Общественное животное. Введение в социальную психологию. М., 1999.

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2004 (7-ე თავი).

ცნობიერების დავიწროების მოტივაციური მახასიათებლები

ადამიანის მიერ ფსიქიკური მოვლენების განცდისეული ასახვა მისი ცნობიერების გარკვეულ ფარგლებში ხდება. შემეცნებითი, გრძნობად- ემოციური და ნებელობითი პროცესების მუდმივი ფუნქციონირება ფსიქიკის ზოგად და არსებით თვისებად განიხილება. ცნობიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება თვით სუბიექტის მიერ ფსიქიკურ მოვლენებზე ყურადღების გამახვილებაში, მათზე თვალყურისდევნებაში მდგომარეობს. აღნიშნული ფუნქციის ამოქმედების თვალსაზისით, ცნობიერება, ფაქტობრივად, ვიდეოკამერის მიერ სხვადასხვა მოვლენათა ასახვის და "მონიტორინგის" დანიშნულებას ასრულებს. ამგვარი ფუნქციონირების საფუძველზე ცნობიერება პოტენციურად მნიშვნელობის მქონე პერცეპტული მოქმედების, გადაწყვეტილებათა მიღების და სათანადო მიზანთა მიღწევის შესაბამის სტრატეგიებს შეიმუშავებს. ცნობირების მეორე დანიშნულებაში სუბიექტის მიერ აზროვნებითი აქტივობის და ღია ქცევის განსახორციელებლად მათთვის სათანადო მიმართულების მიცემა იგულისხმება. ცნობიერებისთვის დამახასიათებელი რეგულატორული ფუნქცია, როგორც წმინდა რაციონალური, ასევე "შეზღუდული" რაციონალობის დონეზე მოქმედების შემთხვევაში, რეალური ქცევის და თვით შემეცნებითი პროცესების

სათანადო მიმართულებით წარმართვის საშუალებით ადამიანის მიერ დასახული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. ამ საკითხის მკვლევართა თანახმად, ევოლუციური განვითარების თვალსაზრისით, სავარაუდოა, რომ ცნობიერების აღნიშნული ფუნქციები არსებული და ცვალებადი გარემო პირობებისადმი შეგუებისთვის საჭირო შემეცნებითი მექანიზმების ფორმირებას და დროულ ამოქმედებასაც განაპირობებენ. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ სუბიექტი გარკვეულ ინფორმაციულ ზემოქმედებაზე, ძალზე ხშირად, გაუცნობიერებლად რეაგირებს. ამავე დროს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების სიტუაციაში, სუბიექტის სოციალურად ღირებული და შემოქმედებითი ბუნების მქონე საქმიანობა ვითარებათა მახასიათებლების სათანადო გაცნობიერების დონეზე მიმდინარე პროცესს ეყრდნობა. შემეცნებითი რეგულაციის განხორციელება, რასაკვირველია, ყურადღების მძლავრ ამოქმედებას გულისხმობს. ამ პროცესის აქტუალიზაცია ცნობიერების *დავიწროებასთან* არის ორგანულად დაკავშირებული. ყურადღების რაიმე მოვლენაზე კონცენტრაცია ცნობიერების გარკვეული ხარისხით დავიწროებას იწვევს. ეს მოვლენა შემეცნებითი პროცესების მიმდინარეობის ზოგად და იმანენტურ კანონზომიერებად არის მიჩნეული. დღეს, მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის განსაკუთრებული ინტერესის საგანს ადამიანის მიერ ინფორმაციის ძიებისა და გადამუშავების კანონზომიერებათა გამოვლენის თვალსაზრისით, სწორედ ამ ფენომენის შესწავლა წარმოადგენს. თავის დროზე, ამ მოვლენის მნიშვნელობის შესახებ საკუთარი თვალსაზრისი დიმიტრი უზნაძემ

შემდეგნაირად გამოხატა: "ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ უამრავი გამღიზიანებლიდან, რომელიც ადამიანზე მოქმედებს, ცნობიერებაში მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი პოულობს თავის ანარეკლს. მაშასადამე, ჩვენი ცნობიერება ყოველს მონაცემ მომენტში ჩვენზე მოქმედი სინამდვილის მხოლოდ სრულიად განსაზღვრულ მონაკვეთს ასახავს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მისი არე ვიწრო იყოს და ყველაფერს, რაც ჩვენზე მოქმედებს, ვერ იტევს. ეს გარემოება ჯერ კიდევ ჰერბარტმა აღნიშნა, და მას შემდეგ იგი "ცნობიერების სივიწროეის" სახელწოდებითაა ცნობილი" [1, გვ. 520-521].

აღსანიშნავია, რომ, ამჟამად, წარსულთან შედარებით, პრობლემათა გადაწყვეტის საფუძვლად მდებარე ზოგადი გონიერების, ანუ ინტელექტის მარტივი და ცალმხრივი მეცნიერული გააზრება წარსულს ჩაბარდა. დღეს, სუბიექტის შემეცნებითი აქტივობის *მრავალგანზომილებიანი* კონცეფციებია შემუშავებული. ამგვარი თეორიული მიდგომის ერთ-ერთი ნიმუში რ. სტენბერგის კონცეფცია გახლავთ. მან ზოგადი გონიერების მრავალფაქტორიანი მოდელი შემოგვთავაზა [2]. კლასიკური ფსიქომეტრიკული მიდგომისგან განსხვავებით, რომელშიც აქცენტი გონებრივი აქტივობის თვისებათა რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენაზე იყო გაკეთებული, რ. სტენბერგი სუბიექტის შემეცნებითი ფუნქციონირების ურთიერთგანსხვავებული ფორმების კვლევა-ძიებაზეა ორიენტირებული. ამ შემთხვევაში მრავალგანზომილებიანი გონებრივი მოქმედება სუბიექტის მიერ სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადამუშავების თვალსაზრისით არის შესწავლილი და

გააზრებული. ამ აეტორის მსჯელობის საგნად ადამიანის შემეცნებითი მოქმედების პროცესუალური მხარე გვევლინება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარი კონცეფტური მიდგომა ყურადღებას შემეცნებითი აქტივობის არა რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ მხარეზე ამახვილებს. მან შემდეგი სამი სახის გონებრივი აქტივობა გამოყო, კერძოდ, ანალიტიკური, ცდისეული და კონტექსტური. ანალიტიკურ გონებრივ მოქმედებაში, ძირითადად, ადამიანის ვერბალური განსჯის უნარი იგულისხმება. ცდისეული ფორმის შემეცნებითი აქტივობის პროცესში სუბიექტი ინფორმაციულ ველში არსებული მონაცემების გადამუშავებას აწარმოებს. რაც შეეხება კონტექსტურ შემეცნებით მოქმედებას, ამ შემთხვევაში ადამიანი სხვადასხვა სოციალურ ვითარებათა გათვალისწინების საფუძველზე საკუთარი ქცევის სათანადო მიმართულებით წარმართვას ახერხებს. ხაზგასასმელია, რომ შემეცნებითი აქტივობის სამგანზომილებიანი კონცეფცია ე.წ. "სწავლისა და სასკოლო" მოძველებული პარადიგმული სიტუაციების ფარგლებს სცილდება. ტრადიციულ მიდგომასთან შედარებით, ის ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის უფრო *ფართო სპექტრს* მოიცავს. გარდა ამისა, საყურადღებო შემდეგია: კონცეფციაში ივარაუდება, რომ ზოგადი გონიერების ესა თუ ის ფორმა, ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, ერთი მეორეს კი არ „სჯობს", არამედ ისინი ერთმანეთს "ავსებენ". ისიც აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კონცეფტური მოდელის მიხედვით, შემეცნების სამივე ფორმა სპეციალური გავარჯიშების სტრატეგიათა

გამოყენების შედეგად შინაარსობრივ და რაოდენობრივ გაუმჯობესებას ექვემდებარება.

ამჟამად, მკვლევართა გარკვეული ნაწილის ყურადღება ადამიანის მიერ პრობლემათა გადაწყვეტის ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლაზეა გამახვილებული. ამასთან დაკავშირებით შემდეგი უნდა აღინიშნოს: არსებული ემპირიული მონაცემები იმაზე მიგვითითებენ, რომ ამ ფაქტორის მნიშვნელობა საორგანიზაციო მართვის პროცესების რეგულირებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაგალითად, პროფესიული საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ პრობლემათა გადაწყვეტა შრომის სუბიექტის (ეს განსაკუთრებით ეხება ხელმძღვანელის ფუნქციის შემსრულებლებს) მიერ სხვადასხვა ფორმის სააზროვნო პროცესების გამოყენებით ხდება. ამის გათვალისწინება, რასაკვირველია, შრომის სუბიექტის მიერ გამოყენებული შემეცნებითი "სტილის" ქმედითობის შესახებ გარკვეული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს [3]. ერთ-ერთ ამგვარ ფსიქიკურ მექანიზმად სუბიექტის მიერ ინ-ფორმაციის ძიების პროცესი (პრობლემათა გადაწყვეტის არსებითი შემადგენელი ნაწილი) უნდა მივიჩნიოთ. საკუთრივ ამ პროცესის შინაარსი და მიმართულება აღქმის, თვალსაჩინო და ცნებითი აზროვნების, გრძნობად-ემოციურ მდგომარეობათა ფუნქციონირების ამოქმედებით არის დეტერმინირებული. ამ ზოგადი კონცეფტური მიდგომის თანახმად, მოვლენათა შორის არსებული თვალსაჩინო და სიმბოლური, ანუ აზრობრივი მიმართებების დადგენის საშუალებით შემეცნების სუბიექტი ანგარიშს უწევს აქ და ამჟამად არსებულ ვითარებას, ხოლო წარმოსახვის, ზო-

გიერთი ავტორის მიხედვით კი "ინტუიციის" ამოქმედების საფუძველზე, ის მომართული მომავალზე ხდება და შესაძლო შედეგებს ითვალისწინებს. თვით აზროვნებას რაც შეეხება, ეს პროცესი, იმპერსონალურ ანალიზზე და ლოგიკურ განსჯაზეა დამყარებული, ხოლო გრძობად-ემოციური სფერო ადამიანის მსჯელობას პიროვნულ, ანუ "იდიოსინკრაზიულ" ხასიათს ანიჭებს. ამ შემთხვევაში რაიმე საკითხის შესახებ განხორციელებული მსჯელობა სუბიექტის ღირებულებითი ორიენტაციის შინაარსით არის განსაზღვრული. განზოგადებული კონცეფტური მიდგომის მიხედვით, შემეცნებითი აქტივობის შემდეგი ფორმები შეიძლება გამოიყოს: პერცეპტულ-აზროვნებითი, პერცეპტულ–გრძნობითი, ინტუიციურ-აზროვნებითი და ინტუიციურ-გრძნობითი. იგულისხმება, რომ ადამიანთა უმრავლესობა მოსული ინფორმაციის გადამუშავებას აღნიშნული "შემეცნებით-გრძნობადი" კრიტერიალური თვისებების გამოყენებით ახერხებს. ისიც ივარაუდება, რომ ესა თუ ის პიროვნება რეალურ ცხოვრებისეულ ვითარებებში რომელიმე მათგანს ანიჭებს უპირატესობას. ეს კი, საბოლოო ჯამში, მის მიერ არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ეფექტურობას განაპირობებს.

მკვლევართა ერთი ნაწილი ე.წ. "ღია" და "დახურული" ცნობიერების თავისებურებას აანალიზებს და მას ექსპერიმენტულად იკვლევს. კვლევა-ძიება, ძირითადად, ისეთი მოვლენების შესწავლას ეხება, როგორიც განუსაზღვრელობის ვითარებისადმი ადამიანის მიერ შეუწყნარებლობა, ახალი ინფორმაციისადმი წინააღმდეგობის გაწევა და აზროვნების სიხისტე-მოუქნელობა გახლავთ. ამ

თვალსაზრისით, თ. ადორნოს მიერ შემოთავაზებული ცნობიერების "ღიაობა-შევიწროების" კონცეფტური მიდგომა და მის მიერვე მოპოვებული ემპირიული მონაცემები საყურადღებო [4]. მან აღნიშნული საკითხი ფსიქონალიზის თვალსაზრისით განიხილა. მას მიაჩნდა, რომ სოციალური ცრურწმენებით შეპყრობილი ადამიანისთვის (მხედველობაში გვაქვს ე.წ. "ავტორიტარული პიროვნების" ტიპი) შემდეგია დამახასიათებელი: აზროვნების მოუქნელობა, რელიგიური ფანატიზმი, გადაჭარბებული ეჭვიანობა, საკუთარი და სხვისი სისუსტისადმი შეუწყნარებლობა, სხვების დასჯის მიდრეკილება, გადაჭარბებული ეჭვიანობა, ავტორიტეტისადმი ქედის მოხრის დიდი სურვილი და ძალაუფლების უზომო პატივისცემა. ამ კონცეფციის ძირითადი დებულება შემდეგში მდგომარეობს: "დახურული" ცნობიერება დაცვითი მექნიზმების თავისებური ქსელია, რომელიც ადამიანის გარკვეული *ტიპოლოგიის* გამომხატველი შემეცნებითი წარმონაქმნის სახით არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ აზროვნების დახშულობის პრინციპი, თავის დროზე, ვიურცბურგის სკოლის წარმომადგენელთა მიერ იყო შემუშავებული, რომელიც დეტერმინაციის ტენდენციის სახელწოდებით არის ცნობილი. დეტერმინაციის ტენდენცია მოტივაციურ-განცდისეულ მოვლენად განიხილება. ცნობიერების ამგვარი მდგომარეობა აზროვნების მიმდინარეობის მთლიანობითი ბუნების გამომხატველია, ხოლო მისი ამოქმედება წამოჭრილი პრობლემით არის განპირობებული. ამასთან დაკავშირებით დიმიტრი უზნაძე შემდეგ საგულისხმო კომენტარს აკეთებს:

"მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამოცანა თავისთავად, მექანიკურად როდი ახდენს ისეთ განმსაზღვრელ გავლენას ჩვენი ცნობიერების მუშაობაზე. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სუბიექტი მიწოდებული ამოცანის გადაჭრას მართლა სეროზულად იღებს თავის თავზე. ამის შემდეგ, ცნობიერება ისე ეწყობა, რომ მასში ჩვეულებრივი ასოციაციური ტენდენცია ძალას კარგავს და თავის ადგილს ე.წ. დეტერმინაციის ტენდენციას უთმობს" [1, გვ. 443]. ამდენად, აზროვნების მიმდინარეობა პიროვნების მიზანდასახულ და აქტიურ მოქმედებას გულისხმობს, ხოლო ცნობიერების დახშულობის საფუძველი თვით აზროვნების თავისებურებაში უნდა ვეძიოთ.

შემეცნების თანამედროვე ფსიქოლოგიურ კონცეფციებში აზროვნების დავიწროების ზემოაღნიშნული თვისება ძალაში რჩება. მკვლევარები ცნობიერებისთვის დამახასიათებელ დახშულობის თვისებაზე და სუბიექტის აქტუალურ მოტივაციურ მდგომარეობასთან მის უშუალო კავშირზე ამახვილებენ ყურადღებას. ამავე დროს, ახალ თეორიულ მოდელებში აზროვნება მიზანდასახულობის და აქტიურობის მახასიათებლების (საკუთრივ აზროვნების და მისგან გამომდინარე გადაწყვეტილებით მოპოვებული შედეგები და კონკრეტულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წინმსწრები ფაქტორები) თვალსაზრისით არის გაანალიზებული. მაგალითად, მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ინფორმაციის ძიების და გადამუშავების პროცესში არსებულ ვითარებათა ცვლილებასთან ერთად, ადამიანი ხან ღრმა ანალიტიკურ, ხან კი ჭარბად განზოგადებულ და ზედაპირულ მსჯელობას მიმართავს. ამ

შემთხვევაში მნიშვნელობა არა მხოლოდ არსებული სტიმულაციის მახასიათებლებს, არამედ თვით მათ ზემოქმედებაზე ადამიანის შემეცნებითი რეაგირების "სტილს" გააჩნია. კერძოდ, იგულისხმება, რომ ზემოქმედი ინფორმაციის ანალიტიკური და სიღრმისეული გააზრების ფორმა, ზედაპირული და ფრაგმენტული მსჯელობისგან განსხვავებით, თვით სუბიექტისთვის მეტი კმაყოფილების მომტანია.

ისიც ხაზგასასმელია, რომ შემეცნების აღმწერ თანამედროვე კონცეფციებში ინფორმაციის მიღების ორი, კერძოდ, მოტივაციური და სოციალური მხარეა გამოყოფილი. ცოდნის მოპოვების აქტივობა მოქმედი სუბიექტისგან, რასაკვირველია, გარკვეული ძალისხმევის გაღებას გულისხმობს. ისიც საყურადღებოა, რომ სუბიექტი რაიმე საკითხის შესახებ ინფორმაციის მოპოვებით შეიძლება დაინტერესდეს, რაც მის მოქმედებას ერთი გარკვეული მიმართულებით წარმართავს. ცნობიერების დავიწროების მოტივაცია სწორედ ასეთ ვითარებაში მჟღავნდება. ამგვარი მოტივაციის არსებობის შემთხვევაში სუბიექტში წამოჭრილ კითხვაზე *სწორი* პასუხის გაცემისა და *ორაზროვნობის* თავიდან აცილების სურვილის აღმოცენება ივარაუდება. ეს მოვლენა არა რაიმე საგნის დანაკლისის განცდას, არამედ სუბიექტის გარკვეულ შემეცნებით მომართულობას გამოხატავს. ეს უკანასკნელი, უპირატესად, მოთხოვნილების ცნების ტრადიციული გაგებისთვის იყო დამახასიათებელი. ისიც ივარაუდება, რომ ცნობიერების დავიწროების სასურველობა საკუთრივ მსჯელობის მიმდინარეობის იმანენტური მახასიათებელია. მაგალითად, წარმოე-

ბის სფეროში რაიმე განსაკუთრებული საორგანიზაციო ღონისძიების ჩატარების შემთხვევაში დროის ფაქტორის (ვთქვათ, მისი დეფიციტი) ზეწოლამ მმართველის მსჯელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს. ამგვარ ვითარებაში ცნობიერების დავიწროების მოტივაციის გაძლიერებასთან გვექნება საქმე. ასეთი რამ იმ შემთხვევაშიც ხდება, როდესაც გართულებული ინფორმაციის გადამუშავების პროცესი. მაგალითად, ინფორმაციის გადამუშავება მაშინ ძნელდება, როდესაც ადამიანი გადაღლილია და მას, ამავე დროს, გარკვეული სააზროვნო ოპერაციების შესრულება უხდება. ცნობიერების დავიწროების მოტივაცია სწორედ მსგავს ვითარებებში ძლიერდება.

შემეცნებითი აქტივობის რაიმე საგნის ან მოვლენის ცენტრირებული მიმართულებით წარმართვის მოტივაცია ადამიანის მიერ ინფორმაციის მიღებაზე, მის გააზრებაზე და გაშინაგნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მისი ზემოქმედების შედეგი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ადამიანთა შორის არსებულ სოციალური ურთიერთმოქმედების პროცესში ვლინდება: ინტერაქციაში მყოფი პარტნიორების შემეცნებითი, გრძნობად-აფექტური და ნებელობითი აქტივობა მნიშვნელოვნად სწორედ სუბიექტის ამ მოტივაციური მდგომარეობით არის განპირობებული. ეს ზემოქმედება გარკვეული სახით მჟღავნდება. ა. კრუგლიანსკის თანახმად, ცნობიერების დავიწროების ორი არსებითი თვისების, კერძოდ, *იძულებითობის* და *სიმყარის* გამოყოფა შეიძლება [5]. იძულებითობა ცნობიერების დავიწროების სწრაფ მიმდინარეობას ედება საფუძ-

ვლად, ხოლო სიმყარის ტენდენცია ცნობიერების შეზღუდვის გახანგრძლივების მადეტერმინირებელა. განსაკუთრებითაა ხაზგასასმელი სუბიექტის მიერ ინფორმაციის გადამუშავების ფაქტორი. ცნობიერების დავიწროება განაპირობებს იმას, რომ სუბიექტი მის მიერ მიღებული ინფორმაციის მხოლოდ გარკვეულ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას, რაც, განუსაზღვრელობის პირობებში, მას "რაციონალიზებადი" ხასიათის მქონე შემეცნებითი აქტივობის გამოყენებისკენ წარმართავს.

ლიტერატურა

1. უზნაძე, დ. შრომები, ტ. 3-4, თბილისი, 1964.
2. Stenberg, R. Beyond IQ: A triarchic theory of human intelligence, N.Y., 1985.
3. ჩარკვიანი, დ. ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში. თბილისი, 2001.
4. Адорно; Т. Исследование авторитарной личности. М., 2001.
5. Kruglansky, A., Perry, N., Zakai, D. Interactive effects of need for closure and initial confidence on social information seeking. Social cognition, 1991, 9, 227-248.

ფსიქოლოგიური გამოკვლევები. შრომების კრებული (რედ. ნ. ბარამიძე), ბათუმი, 2006.

პერცეპტული ეტალონების მოქმედება არჩევანის მითარებაში

ადამიანის პერცეპტული აქტივობის (იგულისხმება როგორც ფსიქოფიზიკური, ასევე სოციალური მოქმედების დონე) რომელობითი და რაოდენობრივი მახასიათებლების თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი და, შესაბამისად, ექსპერიმენტული შესწავლა მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო და იქნება, რადგან საკუთრივ აღქმის ფენომენი ადამიანის მრავალგანზომილებიანი შემეცნებითი ქცევის საფუძველია. ამ მიმართულებით, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის სათანადო პრინციპების გათვალისწინებით, ფრიად ნაყოფიერი კვლევა-ძიება შოთა ნადირაშვილმა განახორციელა. სხვა ავტორების და საკუთარი ცდისეული მონაცემების შემოქმედებითი განზოგადების მეშვეობით, მან განწყობის ცნებაზე დაყრდნობით აღქმის, როგორც შემეცნებითი მოვლენის ისეთი არსებითი მახასიათებლების გააზრება შეძლო, როგორიც არის საგნობრიობა, კატეგორიალობა, აღნაგობა, გარკვეულ კოორდინატთა სისტემაში ამ ფსიქიკური პროცესის მოცემულობა. მისი თეორიული მიდგომის ძირითადი პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: აღქმა, უპირველეს ყოვლისა, გარემოს ზემოქმედებაზე არა პასიური, არამედ სუბიექტის მიერ მოვლენებისა და საგნების განწყობისეული ასახვის აქტიური პროცესია.

განსაკუთრებით საყურადღებოა აღქმის შინაარსეული მხარის და მისი ინტენსივობის განმსაზღვრელი ფაქტორების ავტორისეული ანალიზის საფუძველზე გამოყოფილი კონცეფტური პრინციპები, რომლებმაც განწყობის ფსიქოლოგიაში მომუშავე მკვლევართა ექსპერიმენტული საქმიანობა ფრიად აქტუალური საკითხების შესწავლის მიმართულებით და კვლევის სათანადო მეთოდური ხერხებით უზრუნველყოფისკენ წარმართა. ეს საქმიანობა ადამიანის აქტივობის სხვადასხვა ფორმების და მათი განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლას მოიცავს (სენსომოტორული მოქმედებით დაწყებული, სოციალური ქცევით დამთავრებული). ამგვარი ფაქტორების როლში პერცეპტული ეტალონები, ადაპტაციის პროცესი და მათთან უშუალოდ დაკავშირებული კონტრასტ-ასიმილაციური შეფასების ეფექტები გამოდიან.

იდენტური საგნების აღქმის პროცესში ადამიანი სხვადასხვა ოპერაციებს მიმართავს. ამ ოპერაციების ამოქმედება იმით არის განსაზღვრული, რომ მის წინაშე სხვადასხვა სახის ამოცანა აღმოცენდება. ისიც ხაზგასასმელია, რომ ამ ოპერაციების ფუნქციონირების თავისებურებას, ხშირად, შეფასების საფუძვლად მდებარე ეტალონთა ერთობლიობის რაგვარობა განაპირობებს, რომელიც ადამიანს გამოცდილების ნიადაგზე ჩამოუყალიბდა და რომელსაც ის მოცემული ამოცანის გადაწყვეტის საშუალებად იყენებს. ისიც აღსანიშნავია, რომ საგნობრივი (მატერიალური) ეტალონების გამოყენება წარმოსახული ეტალონების ამოქმედების წინაპირობად განიხილება. ესა თუ ის პერცეპტული ხატები (მაგალითად, რუქის კონტურების

წარმოსახვა) სიტუაციური ეტალონების როლში გვეელი-ნებიან და სიტუაციური განწყობის (კონკრეტულ ვითარე-ბაზე ან ამოცანზე მიმართული სუბიექტის აქტუალური მზაობა) ფორმირებისა და ამოქმედების ერთ-ერთ მნიშვნე-ლოვან მადეტერმინირებელ ფაქტორს წარმოადგენენ. განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში ადამიანის აქტივობის სხვადასხვა, კერძოდ, ფსიქოფიზიკურ და სო-ციალურ დონეზე ობიექტებისა და მოვლენების შეფასე-ბის (პირველ დონეზე ასიმილაციური და კონტრასტული, ხოლო მეორე დონეზე მცირეშეფასებული და გადამეტშე-ფასებული) კანონზომიერებები მრავალმხრივ არის შეს-წავლილი. ერთი მხრივ, ამ გამოკვლევებში პერცეპტული შეფასებების საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირე-ბასა და ფუნქციონირებაში ე.წ. "ბაზის-ეტალონის" მნიშ-ვნელოვანი როლია ნაჩვენები. სათანადო გამოკვლევებით დადგინდა, რომ ამგვარი ეტალონები ადამიანის სენსომო-ტორულ აქტივობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდე-ნენ. მაგალითად, შ. ნადირაშვილის და მისი კოლეგების მიერ ნაჩვნებია, რომ ბაზის-ეტალონისგან განსხვავებული მოძრაობების განმეორების შემთხვევაში მათი მისკენ მი-ახლოების გამოკვეთილი ტენდენცია არსებობს. აღნიშნუ-ლი ტენდენცია, რომელსაც "ასიმილაციური მოქმედების და კონტრასტული შეფასების კანონი" უწოდეს, მით უფ-რო ძლიერია, რაც უფრო მეტია განსხვავება ბაზის ეტა-ლონსა და გასამეორებელი მოძრაობის სიდიდეთა შორის [1].

მეორე მხრივ, დ. ჩარკვიანის მიერ ჩატარებულმა ექ-სპერიმენტულმა შესწავლამ ე.წ. "სემანტიკური ასიმეტრი-

ის ეფექტი" გამოავლინა [2]. მაგალითად, ადამიანები, ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ "შვილი მამის მსგავსია" და არა "მამა შვილის მსგავსი". პირველი დებულება, მეორესთან შედარებით, ფსიქიკური შინაარსის თვალსაზრისით, უფრო მეტად არის "გაწონასწორებული". შეფასებითი მსჯელობების ასიმეტრიული ხასიათი სწორედ ამგვარი ბინარული მიმართების დამყარების დროს იჩენს თავს. აქ ასიმეტრია იმით არის განპირობებული, რომ წინადადებაში შესულ სიტყვებს აღქმისეულად განსხვავებული წონები გააჩნიათ, კერძოდ, სიტყვა "შვილი" შეფასების ობიექტის როლში გამოდის, ხოლო ათვლის წერტილს, ანუ ეტალონს ამ შემთხვევაში სიტყვა "მამა" წარმოადგენს (ე.ი. A>B). გარდა ამისა, მის მიერვე მიღებული ცდისეული მონაცემების თანახმად, ექსპერიმენტულ ვითარებაში სათანადო ობიექტური ეტალონების (მაგალითად, ამა თუ იმ ქვეყნის მაცხოვრებელთა რაოდენობის და ადამიანთა სიკვდილიანობის მიზეზთა ნიმუშების სათანადო მაჩვენებლები) შემოტანამ, ალბათურ შეფასებებთან (შეფასების ობიექტია სიკვდილიანობის მიზეზები) შედარებით, რაოდენობრივ შეფასებებზე (შეფასების ობიექტია ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა) უფრო მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა. საგულისხმოა ის ემპირიული მონაცემები, რომლებიც ნ. ცხვედაძის მიერ ჩატარებული გამოკვლევით არის მიღებული [3]. მან ორი ფაქტორის, კერძოდ, პერცეპტული ეტალონების დადებითობა-უარყოფითობის და ე.წ. "განსვლის," ანუ ეტალონის მაჩვენებლებსა და მიწოდებული რომელობითი მასალის (ეთნიკური მიკუთვნებისადმი დამოკიდებულების გამომხატველი დებულებები)

მაჩვენებლებს შორის რაოდენობრივი სხვაობის იმავე შინაარსის მქონე დებულებების შეფასებებზე გავლენა შეისწავლა. მიღებული შედეგის თანახმად, ამ ორი ფაქტორიდან შეფასებებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზემოქმედება მხოლოდ ეტალონის დადებითობა-უარყოფითობამ მოახდინა, ხოლო თვით ამ ზემოქმედების შინაარსეული მხარე შემდეგი იყო: დადებითი ეტალონის შემთხვევაში ასიმილაციური (ეტალონის მიმართულებით შეფასების წარმართვა), ხოლო უარყოფითი ეტალონის შემთხვევაში კონტრასტული (ეტალონის საწინააღმდეგო მიმართულებით წარმართვა) ფორმის გავლენა გამომჟღავნდა.

რაც შეეხება პერცეპტული შეგუების პროცესს, მასთან დაკავშირებით შ. ნადირაშვილი აღნიშნავს: "ორგანიზმში არსებული მგრძნობელობითი შინაარსის ინტენსიობა გამღიზიანებელთა აბსოლუტურ ინტენსიობაზე არ არის დამოკიდებული. ადაპტაციის ყოველი მოცემული დონე, ამავე დროს, გარემოსადმი სუბიექტის გარკვეული პოზიციის არსებობას გულისხმობს. ადაპტაციის ცალკეულ დონეზე ყოველ სუბიექტს თავისი სპეციფიკური ათვლის წერტილი გააჩნია. ამიტომ, ადაპტაციის სხვადასხვა საფეხურებზე ერთი და იგივე სიძლიერის მქონე გამღიზიანებლებს განსხვავებული ხარისხის მგრძნობელობითი შინაარსები შეესაბამებიან" [4, გვ. 113]. ამდენად, ამ შემთხვევაში სუბიექტის პოზიცია, როგორც ათვლის წერტილი, სათანადო პერცეპტული ეტალონია; ის მოვლენათა და ობიექტების შეფასების ისეთი სუბიექტური კრიტერიუმია, რომელიც გამღიზიანებლის შინაარსის სახით მოსულ ინფორმაციაზე ადამიანის რეაგირების თავისებურე-

ბათა რომელობითი და რაოდენობრივი მხარის მადეტერ-მინირებელია. პერცეპტული ეტალონები, როგორც ერთობ-ლივი სისტემა, შემეცნებითი პროცესის არსებითი სტრუქ-ტურული მხარის გამომხატველია. ნეიტრალური გამღიზი-ანებლები, რომლებსაც სუბიექტი უკვე შეგუებულია, ახალ გამღიზიანებელთა ფონს ქმნიან. პერცეპტული ფო-ნი, ანუ კონტექსტი, თავის მხრივ, სუბიექტის მიერ მოვ-ლენებისა და საგნების კონტრასტულ ან ასიმილაციურ აღქმას (შეფასებას) განსაზღვრავს. კონტრასტისა და ასიმილაციის ეფექტები, ამავე დროს, არსებული ობიექ-ტური პირობებისადმი სათანადო ადაპტაციური მექანიზმე-ბის თავისებურებათა გამომხატველი არიან. კერძოდ, იგუ-ლისხმება, რომ ასიმილაციური შეფასების საშუალებით შემეცნების სუბიექტი არსებული გარემოს მახასიათებ-ლებს "იმსგავსებს," ხოლო კონტრასტული შეფასების მე-ქანიზმის მეშვეობით ის თვითონ "იცვლება" და აქტუა-ლურ გარემოს "ემსგავსება".

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი კონცეფტური მიდგომის ვერიფიკაცია ქცევის სხვადასხვა ფორმების ემპირიული შესწავლით წარმოებს. ამავე დროს, ისიც ხაზგასასმე-ლია, რომ სხვადასხვა მკვლევართა მიერ ფაქტობრივად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შემუშავებულ თეორი-ულ მიდგომებს შორის, არც თუ ისე იშვიათად, გარკვე-ულ შინაარსეულ მსგავსებას ვხვდებით. მოცემულ შრო-მაში სწორედ სხვადასხვა ავტორების მიერ შემუშავებუ-ლი თეორიულ თვალსაზრისებს შორის ამგვარი პარალე-ლის გავლება გვსურს. მიგვაჩნია, რომ სხვადასხვა მკვლევართა მიერ შემოთავაზებულ კონცეფტურ მიდგო-

მებს შორის მსგავსების არსებობა, ერთი მხრივ, ამა თუ იმ სფეროში მეცნიერული კვლევის ზოგადთეორიული ორიენტაციის სისწორის მაჩვენებელია, მეორე მხრივ, მათ მიერვე ადამიანის აქტივობის სხვადასხვა დონეზე ექსპერიმენტული შესწავლა მოცემული თვალსაზრისების ემპირიული სანდოობისა და საბუთიანობის დადგენის კარგ შესაძლებლობას იძლევა. ქვემოთ ჩვენ შეფასებითი მსჯელობების მადეტერმინირებელ ისეთ ფსიქიკურ მექანიზმებს განვიხილავთ, როგორიც ადაპტაციის დონე, შედარების დონე, სოციალური შედარების ზოგადი პროცესი, მსჯელობის კონტექსტი, ანუ პერსპექტივა (დამოუკიდებელი ცვლადები) გახლავთ. გარდა ამისა, მათი დახასიათების პროცესში სოციალურად და ფსიქოლოგიურად მნიშვნელობის მქონე მოვლენები, კერძოდ, ცხოვრების სხვადასხვა სფეროთი კმაყოფილება, სამართლიანობისა და უსამართლობის განცდა, გადაწყვეტილებათა მიღება (დამოკიდებული ცვლადები) იქნება გათვალისწინებული. წინასწარ იმასაც აღვნიშნავთ, რომ მოცემულ სტატიაში გამოთქმა "არჩევანის ვითარება" განზოგადებული ტერმინის მნიშვნელობით გამოიყენება და ისეთი სახის შეფასებით მსჯელობებს მოიცავს, რომლებიც საგნებისა და მოვლენათა კლასიფიკაციას, (ზოგიერთი ავტორის მიხედვით, "სელექციას") და უპირატესობის მინიჭების პროცესებს ეხებიან.

1. ადაპტაციის დონის კონცეფცია, რომელიც ჰ. ჰელსონის მიერ არის შემუშავებული, ადამიანის პერცეპტული აქტივობის რაოდენობრივი მხარის დახასიათებას ისახავდა მიზნად [5]. თავიდანვე გასათვალისწინებელია, რომ

ადამიანის ფსიქოფიზიკური აქტივობის დონეზე ფსიქიკურ მოვლენათა განხილვის შემთხვევაში ადაპტაციის ცნებაში შედარებით ხანგრძლივი სტიმულაციით გამოწვეული სენსორული სისტემის მგრძნობელობის დაქვეითება იგულისხმება. საკუთრივ *ადაპტაციის დონე* სენსომოტორულ კონტინიუმზე იმ ფსიქიკურ 'ნეიტრალურ", ანუ ნულოვან მდგომარეობას, პოზიციას (სუბიექტური ეტალონი) წარმოადგენს, რომელთან მიმართებაშიც სხვა სახის გამღიზიანებელთა აღქმა და შეფასება ხდება. თეორიულად ივარაუდება, რომ ნეიტრალური გამღიზიანებლები, რომელთა მიმართ სუბიექტი უკვე შეგუებულია, ახალ გამღიზიანებელთა აღქმის ფონს ქმნიან (მაგალითად, გრილი წყალი თბილად აღიქმება, თუ მანამდე სუბიექტი ცივი წყლის მიმართ იყო ადაპტირებული ან ორ დიდ წრეს შორის საშუალო სიდიდის წრე მცირედ ფასდება, ხოლო როდესაც იგივე საშუალო ზომის წრე ორ მცირე წრეს შორისაა მოთავსებული, მაშინ ის დიდი ზომის წრედ აღიქმება). ჰ. ჰელსონის აზრით, საგანთა და მოვლენათა აღქმაში ადაპტაციის დონეს, როგორც შეფასების საფუძვლად მდებარე ეტალონს, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. *ის, როგორც პერცეპტული ეტალონი, პირველ რიგში, ობიექტების რაოდენობრივი შეფასებების განმსაზღვრელია.* ადაპტაციის დონის საფუძველზე სუბიექტი სიდიდეს, მანძილს, სიმძიმეს და გარემოს სხვა მახასიათებლებს აფასებს. ავტორს მიაჩნია, რომ ადაპტაციის დონე პიროვნულ ხასიათს იმ თვალსაზრისით ატარებს, რომ ის ადამიანს გარემოსთან ურთიერთობის პროცესში შეძენილი გამოცდილების საფუძველზე უყალიბდება. ექსპერი-

მენტული მონაცემების თანახმად, იმის მიხედვით, თუ რა მიმართებაშია რაიმე კონკრეტული სიდიდე სუბიექტის ადაპტაციის დონესთან, მის მიერ ერთი და იგივე სიდიდის ობიექტის შეფასება სხდასხვაგვარად ხდება. ეს ნათლად იმაზე მეტყველებს, რომ *მოვლენათა რაოდენობრივი მხარის შესაფასებლად ადამიანებს სათანადო სუბიექტური ეტალონები გააჩნიათ.*

2. მიუხედავად იმისა, რომ ადაპტაციის დონის კონცეფცია, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად, აღქმისეული და სენსომოტორული პროცესების კანონზომიერებათა ასახსნელად იყო შემუშავებული, მან ამავე დროს, მასტიმულირებელი როლი ითამაშა ისეთი მსგავსი თეორიული მოდელების შექმნაში, რომლებიც ქცევის სხვადასხვა ფორმებს ეხებიან. ხაზგასასმელია, რომ როდესაც საქმე გვაქვს ადამიანის აქტივობის სოციალურ დონესთან, მაშინ ადაპტაცია ადამიანების ურთიერთობათა სისტემის საზოგადოებრივ და კულტურალურ ასპექტში მომხდარი ცვლილების სახით უნდა მოვიაზროთ (სწორედ ამ მნიშვნელობით ითქმის, რომ სუბიექტი ახალ სოციალურ გარემოს შეეგუა). ერთ-ერთ ამგვარ მიდგომად ჰ. კელისა და დ. ტიბოს მიერ შემუშავებული ე.წ. *ურთიერთდამოკიდებულების* კონცეფცია მიგვაჩნია [6]. ამ ავტორებმა დიადური ურთიერთობის პროცესში სუბიექტების ერთმანეთზე სოციალური გავლენის და მათი მოქმედების რეგულირების კანონზომიერებათა მოდელირება დაისახეს მიზნად. მოცემულ კონცეფციაში ორი ადამიანის ურთიერთმოქმედების ვითარებაში ძირითადი ყურადღება ე.წ. "ურთიერთდამოკიდებულების მატრიცაზეა" გამახვილებული. პირ-

ველ რიგში, ურთიერთობიდან გამომდინარე შედეგებია ხაზგასმული, რომლებიც დაჯილდოების და დანახარჯის ტერმინებშია განხილული. დაჯილდოების და დანახარჯის შედარებითი ოდენობა (ხარისხი) ურთიერთობაში მყოფი პირების სათანადო მოთხოვნილებებით და ღირებულებითი ორიენტაციებით არის განსაზღვრული. საგულისხმოა, რომ ურთიერთობის დროს ადამიანებში წარმოქმნილი მოყირჭების განცდა დაჯილდოების ეფექტს ამცირებს, ხოლო დანახარჯის მნიშვნელობას ადიდებს. განხილულ კონცეფციაში დიდი მნიშვნელობა სუბიექტის მიერ ურთიერთობიდან გამომდინარე რეზულტატების შეფასებას ენიჭება. ინტერაქციიდან გამომდინარე შედეგების მიღება-მიუღებლობის დასადგენად ადამიანები გარკვეულ სუბიექტურ ეტალონებს იყენებენ.

კონცეფციის ავტორები შედეგების შეფასების სუბიექტური ეტალონის ორ ფორმას, კერძოდ, *ზოგადი შედარების დონეს* და *ალტერნატივათა შედარების დონეს* გამოყოფენ. ზოგადი შედარების დონე ისეთი ეტალონია, რომლის საშუალებით ადამიანები მათთვის კონკრეტული მიმზიდველობის ხარისხს აფასებენ. შეფასების ეს კრიტერიუმი სუბიექტის მიერ ურთიერთობიდან გამომდინარე შედეგთა რაგვარობის, მათი წონის დადგენის საფუძვლად განიხილება. თეორიულად ივარაუდება, რომ რეზულტატები, რომლებიც ზოგადი შედარების დონეს აღემატებიან, სუბიექტის მიერ დამაკმაყოფილებლად ფასდება, ხოლო შეფასების შედეგები, რომლებიც ამ ეტალონზე უფრო მცირეა, არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევა. მოცემულ კონცეფციაში ისიც იგულისხმება, რომ შეფასების "ინდი-

ვიდუალურ სკალაზე" ამგვარი ეტალონის ადგილმდებარეობა ყველა იმ რეზულტატების ერთობლიობით არის განსაზღვრული, რომლებიც სუბიექტს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით აქვს მიღებული. ისიც იეარაუდება, რომ პიროვნებისეულად რაც უფრო მნიშვნელოვანია რეზულტატი, მით უფრო დიდ წონას იძენს შედეგების ზოგადი დონის ჩამოყალიბებაში. ალტერნატივათა შედარების დონეს რაც შეეხება, ის ურთიერთობიდან გამომდინარე შედეგების ისეთ მცირე, ანუ მინიმალურ დონეს გამოხატავს, რომელიც სუბიექტისთვის მაინც მისაღებია. გამომდინარე აქედან, თეორიულად იგულისხმება, რომ, თუ ურთიერთობით მიღწეული რეზულტატები ალტერნატივათა შედარების დონეზე უფრო მცირეა, მაშინ იმის დიდი ალბათობა არსებობს, რომ სუბიექტი პარტნიორთან ურთიერთობას აღარ გააგრძელებს. იმ ვითარებაში კი, როდესაც სოციალური ურთიერთმოქმედებიდან გამომდინარე შედეგები ამ ეტალონს აღემატებიან, სუბიექტი მეორე ადამიანთან ურთიერთობაში უფრო ჩართული ხდება.

2. ცხოვრების სხვადასხვა მხარით კმაყოფილების ფენომენის გათვალისწინებით შეფასების ეტალონების სოციალურ გარემოში ფუნქციონირების შესწავლა, ტრადიციულად, *სოციალური შედარების ზოგადთეორიული* მიდგომის საფუძველზე მიმდინარეობს [7]. სოციალურ კონტექსტში შეფასებით მსჯელობებზე ეტალონთა ზემოქმედების ნათელყოფა *კმაყოფილების* (რაიმე მიზნის მიღწევის გაცნობიერებით გამოწვეული დაკმაყოფილების ემოციური განცდა) მოვლენასთან მიმართებაში მიგვაჩნია ყუ-

რადსაღებად. სოციალური შედარების, როგორც კონცეფ-ტური მიდგომის საფუძველზე კმაყოფილებას და შეფასე-ბათა ეტალონებს შორის სავარაუდო მიზეზობრივი კავში-რის მოკლედ გააზრება შემდეგი დებულებით შეგვიძლია გამოვხატოთ: "კონკრეტული სუბიექტის ხელფასით კმაყო-ფილებას, თვით ხელფასთან შედარებით, საკუთარ ხელ-ფასსა და სხვა ადამიანთა ხელფასს შორის არსებული სხვაობა განაპირობებს". აქ შეფასების ობიექტური ეტა-ლონის როლში ხელფასებს შორის სხვაობა გამოდის. ამ დებულების დამაჯერებლობა იზრდება, როცა სუბიექტი საკუთარ ხელფასს ისეთი ადამიანის ხელფასს ადარებს, რომელიც მისი სამუშაოს ანალოგიური საქმიანობით არის დაკავებული. ამგვარი შედარების ძირითადი დასაყ-რდენი, ანუ "ბაზისური ეტალონი" ადამიანის საკუთარი წარსული გამოცდილება გახლავთ. ერთ-ერთი ემპირიული გამოკვლევის თანახმად, ისინი, ვინც "დიდი დეპრესიის" (გასული საუკუნის 30-ან წლებში აშშ-ი მომხდარი ღრმა ეკონომიკური კრიზისი) დროს გაჭირვებაში გაიზარდნენ, ცხოვრების მომდევნო პერიოდს და საკუთარ თავსაც და-დებითად აფასებდნენ [8]. გამოდის, რომ დუხჭირი ბავ-შვობის ფაქტმა ადამიანის ცხოვრებაში "დადებითი" რო-ლიც შეიძლება ითამაშოს. სოციალური შედარების პრო-ცესი სხვაგვარადაც ვლინდება. მაგალითად, ერთი ჯგუ-ფის წევრები, ხშირად, თავის თავს რომელიმე სხვა კონ-კურენტული ჯგუფის წარმომადგენლებს ადარებენ. ამ შედარების პროცესში ისინი მეორე ჯგუფის წევრებზე უპირატესობის მოპოვების მიზნით, თავისი ჯგუფის წარ-მომადგენელთა "დადებითი" თვისებების გამომზეურებას

ცდილობენ, რითაც საკუთარ თვით'შეფასებასაც ამაღლებენ [9]. მიღებული ცდისეული მონაცემები იმასაც გვიჩვენებენ, რომ ობიექტური მიზეზების გამო არასასურველ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანებმა საკუთარ თავში ისეთი თვისებები შეიძლება "აღმოაჩინონ," რომლებიც მათ, მათივე აზრით, გარშემომყოფებზე უკეთესად წარმოაჩენენ. მაგალითად, ნაწილობრივ ან მთლიანად ფიზიკურად პარალიზებული პიროვნებები საკუთარ თავს იმაში აჯერებენ, რომ "გონება კუნთებზე უფრო მნიშვნელოვანია" და, ამავე დროს, თავის თავს საინტერესო მოსაუბრედ თვლიან [10]. აღსანიშნავია პ. ბრიკმანის და დ. კემბელის კონცეფტური მიდგომა, რომელშიც ადაპტაციის დონე ზოგადი სოციალური შედარების პროცესში სუბიექტური ეტალონის ფუნქციის მატარებელია [11]. მათი თეორიული მოდელის თანახმად, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო წინამავალი, ანუ ადრინდელი ადაპტაციის დონე, ერთი და იგივე მოვლენები ან ვითარებები როგორც კმაყოფილების, ასევე უკმაყოფილების გამომწვევი შეიძლება გახდნენ. საბოლოო ჯამში, შეგუების ფსიქიკური მექანიზმის მოქმედება იმაში მჟღავნდება, რომ ადამიანი, როგორც ეტყობა, პირობითად რომ ვთქვათ, შეიძლება "ყველაფერს" შეეგუოს. მათი აზრით, სათანადო კვლევის ემპირიული მონაცემები ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებენ: მაგალითად, იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც რაიმე სპორტული თამაშის ტოტალიზატორში ან ლატარიის გათამაშებაში დიდი თანხა მოიგეს, გარშემომყოფთა დამოკიდებულება არსებითად იცვლება (სხვებს მათგან სხვადასხვაგვარი დახმარების აღმოჩენის სათანადო პრეტენ-

ზიები გაუჩნდათ). ამასთან ერთად, ამგვარ ღონისძიებებში "ბედის წყალობამ" მათ ისეთი, საკმაოდ რთული და არასასურველი შედეგები მოუტანა, როგორიც არის სამსახურის დატოვება, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობის გაფუჭება და ა.შ.

4. ადამიანის მიერ *სამართლიანობის* და *უსამართლობის* განცდის, როგორც სოციალური ქცევის საფუძვლად მდებარე მოტივაციის განმსაზღვრელ ფაქტორზე შეფასებათა ეტალონების მნიშვნელოვანი ზემოქმედების კანონზომიერება ნათლად და დამაჯერებლად ჯ. ადამსის კონცეფციაშია მოცემული [12]. მის მიერ შემუშავებული თეორიული მოდელი, ძირითადად, ადამიანის შრომითი ქცევის სფეროს ეხება, რომლის მთავარი პრინციპების ქცევის სხვა ფორმებზე განზოგადება, რასაკვირველია, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. შრომითი კმაყოფილების ინტენსიური შესწავლის შედეგად ნათელი გახდა, რომ შრომის სუბიექტის საკუთარი პროფესიული საქმიანობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მადეტერმინირებელ ფაქტორს მის მიერ უსამართლობის განცდა წარმოადგენს.

ამგვარი განცდისეული მდგომარეობის აღმოცენება სოციალური შედარების საფუძველზე ხდება, რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა შეფასების ობიექტურ და სუბიექტურ ეტალონებს (ავტორის ტერმინით "რეფერენტებს") ენიჭებათ. ამ ეტალონში შედარების ობიექტად იგულისხმება ის, ვის ან რის მიმართებაშიც ადამიანი თავის მიმდინარე საქმიანობას და ამჟამად არსებულ მდგომარეო-

ბას აფასებს. მოცემული კონცეფციის მიხედვით, ეტალონი შეიძლება როგორც სხვა ადამიანი ან ჯგუფი (შედარების ობიექტური კრიტერიუმი), ასევე შრომის სუბიექტის საკუთარი გამოცდილება (შედარების სუბიექტური კრიტერიუმი) იყოს. თეორიულად ივარაუდება, რომ შრომის სუბიექტის მიერ გამოყენებულ შედარების კრიტერიუმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყურადსაღებია ჯ. ადამსის მიერ შეფასებითი ეტალონების ცალკეული ფორმების გამოყოფა. შრომის სუბიექტმა საკუთარი თავი შეიძლება თავისივე დაწესებულების თანამშრომლებს, სხვაგან მომუშავე კოლეგებს, მეგობრებს ან ადრინდელ სამუშაო ადგილს შეადაროს. შრომის სუბიექტის მიერ ეტალონის შერჩევა განპირობებულია იმით, თუ რა ინფორმაცია გააჩნია მას მის შესახებ ან რამდენად არის ის მისთვის მიმზიდველი. ავტორის აზრით, მაგალითად, დიდი ხელფასის და მაღალი განათლების მქონე ადამიანი, სავარაუდოა, რომ შედარებით დიდ ინფორმაციას ფლობს. სწორედ ამის გამოა, რომ ის შედარების ეტალონს, ძირითადად, საკუთარი ორგანიზაციის გარეთ მომუშავე ადამიანებში პოულობს. დაწესებულებაში მომუშავე პატარა სტაჟის მქონე ადამიანისთვის, რომელსაც შედარებით მცირე ინფორმაცია გააჩნია, უპირატესად, შედარების ეტალონს ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ მიღებული პირადი გამოცდილება წარმოადგენს, ხოლო დიდი სტაჟის მქონე ადამიანისთვის, ჩვეულებრივ, ეტალონად მისივე დაწესებულებაში მომუშავე პიროვნებები გამოდიან.

ჯ. ადამსის კონცეფციის თანახმად, ის, რაც ადამიანს შრომის პროცესში პიროვნული, სოციალური და ქცე-

ვითი მახასიათებლების თვალსაზრისით, "შეაქვს" (მუშაობის ეფექტურობა, შრომაში გამოვლენილი ძალისხმევა, განათლების დონე, საქმეში კომპეტენტურობა, პროფესიული უნარები, მუშაობის სტაჟი და სხვა), ორგანიზაციის ფუნქციონირებაში მის წვლილად, ხოლო ის, რასაც ადამიანი თავისი საქმიანობიდან იძენს (ხელფასი, პრემიები, დაწინაურება, მუშაობის პირობები, დამსახურების საზოგადოებრივი აღიარება და სხვა) – ორგანიზაციაში მისი ფუნქციონირების საპასუხო შედეგად განიხილება. ჯ. ადამსის თანახმად, შრომის პროცესში ადამიანი ჯერ თავისი წვლილის და შედეგის სხვაობას ადგენს („რა მივეცი" და „რა მომცა"-ს შორის სხვაობა), შემდეგ კი ამ სხვაობას სხვისი წვლილის და შედეგის სხვაობას ადარებს (ანალოგიური მონაცემი სხვასთან). თეორიულად იგულისხმება, რომ ადამიანს საკუთარი წვლილის და შედეგის ერთიანი სკალის ერთეულების მიხედვით გამოთვლა შეუძლია. ვთქვათ, ის საკუთარ წვლილს ჯამში 30 ქულით აფასებს, ხოლო შედეგის საერთო მონაცემიც 30 ქულას უდრის და სათანადო სხვაობა 30-30-ის ტოლია. დავუშვათ ისიც, რომ მან ეტალონის (სხვა ადამიანი) წვლილიც და შედეგიც, შესაბამისად, 30-ი ქულით შეაფასა. ამდენად, ვიღებთ ორ სხვაობას, ერთი, შემფასებელი = 30-30 და მეორე, ეტალონი = 30-30. საგულისხმოა, რომ კონცეფციის მიხედვით, ადამიანის მიერ ეს ორი სხვაობა როგორც სამართლიანი, ისე ფასდება. თუ შემფასებელი სხვის შედეგს (მეტი ხელფასი, მაღალი თანამდებობა და ა.შ.) და წვლილს (დიდი განათლება, მეტი გამოცდილება და ა.შ.) ერთნაირად, 50 ქულით აფასებს, მაშინ 50-50

სხვაობას ვიღებთ. იმის გამო, რომ მუშაობის პროცესში სხვამ მეტი წვლილი შეიტანა (მთავარია ის, რომ ადამიანს ასე მიაჩნია), ეს ორი სხვაობა – 30-30 და 50-50, ადამიანის მიერ ტოლად და, ამდენად, სამართლიანად ფასდება.

სხვაგვარად არის საქმე, როდესაც შემფასებლის სხვაობა ეტალონის შეფარდებისგან განსხვავებულია, ვთქვათ, შემფასებლის შეფარდება = 30-30, ხოლო ეტალონის სხვაობა = 30-45, მაშინ ერთნაირ წვლილთან გვექნება საქმე; განსხვავებული მხოლოდ შედეგია, რომელიც შედარების ეტალონმა მოიპოვა. კონცეფციის თანახმად, ამ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ ეს ვითარება ადამიანმა უსამართლობის გამომხატველად უნდა ჩათვალოს, რადგან მისი შეფასებით ორივე მათგანს შრომით საქმიანობაში ერთნაირი წვლილი შეაქვთ, ხოლო ეტალონმა მასზე მეტი უკუგება მიიღო. ნიშანდობლივია, რომ ამის გამო ადამიანი *ფსიქიკურ დაძაბულობას* განიცდის, რაც თავის მხრივ, მასში ამ მდგომარეობის *შემცირების სურვილს* აღძრავს. თეორიულად იგულისხმება, რომ რაც უფრო დიდია უსამართლობის განცდა, მით უფრო ძლიერია დაძაბულობის განცდაც, და, შესაბამისად, მისი შემცირების ტენდენციაც. ამდენად, ადამიანის მოტივაციის უშუალო მიზეზს უსამართლობის განცდა წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, სათანადო ეტალონზე დამყარებული სოციალური შედარების პროცესით არის დეტერმინირებული.

5. განუსაზღვრელობის ვითარებაში გადაწყვეტილების მიღების (გადაწყვეტილების მიღება სუბიექტის მიერ გან-

ხორციელებული სპეციფიკური აქტი, ანუ ცალკეული მოქმედებაა, რომლის წინამავალ პირობას შეფასებითი მსჯელობა და სათანადო განზრახვის ფორმირება წარმოადგენს, ხოლო მის თანმდევ შედეგს – კონკრეტული ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობის რეალიზება) კანონზომიერებათა შესწავლის პროცესში ე. ტვერსკიმ და დ. კანემანმა იმთავითვე პერცეპტული შეგუების ეფექტები გაითვალისწინეს. ეს ეფექტები მათ მიერ შემუშავებულ *პერსპექტივის თეორიაშია* სათანადოდ ასახული. ამ კონცეფციის მიხედვით, ადამიანები, ჩვეულებრივ, რისკის თავიდან აცილებას ცდილობენ და ამიტომ გადაწყვეტილებათა მიღების შემთხვევაში მათ მიერ ნებისმიერი დანაკარგი უფრო მტკივნეულად განიცდება, ვიდრე მისი ეკვივალენტური შენაძენი, რომლის მიღებაც მათ სურდათ. კონკრეტულად კი ამ ავტორებმა ივარაუდეს, რომ სუბიექტის მიერ მოცემული ალტერნატივებიდან გამომდინარე შედეგების შეფასება პერცეპტული ეტალონებით არის დეტერმინირებული. ამგვარი თეორიული მიდგომა ამ სფეროში (პირველ რიგში, ეკონომიკურ მეცნიერებაში მოღვაწე მკვლევარები იგულისხმებიან) ტრადიციული და გავრცელებული ზოგადი თეორიული ორიენტაციისგან აშკარად განსხვავდება. ამ განსხვავების თავისებურების საილუსტრაციოდ მათ გაანალიზეს დ. ბერნულის ცნობილი კონცეფცია, რომელიც ფულის სარგებლიანობის, ანუ ვალენტობის ემპირიული ფუნქციის დადგენას ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისის თანახმად, ფულის სარგებლიანობა მის ობიექტურ (ნომინალურ), არა წრფივ, არამედ ლოგარითმულ ფუნქციას წარმოადგენს (აღსანიშნა-

ვია, რომ ამ სახის ფუნქციური კავშირი შემდგომში პერ-
ცეპტულ მოვლენათა ფარდობითი ინტენსივობის გასაზო-
მად გ. ფეხნერის მიერ იყო გამოყენებული). თეორიულად
ივარაუდება, რომ ფულის მიღებასთან დაკავშირებული
სარგებლიანობის ნაზრდი იმ დაგროვილი თანხის კლე-
ბად ფუნქციას წარმოადგენს, რომელიც ადამიანს ამჟამად
გააჩნია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანს რაც უფრო
მეტი ფული აქვს დაგროვილი, დამატებითი ფინანსური
შენაძენის ვალენტობა, მისი შეფასებით, ანუ განცდისეუ-
ლად, უფრო ნაკლებად იზრდება. ამ კონცეფციის მიხედ-
ვით, გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ მოცემული
ალტერნატივებიდან გამომდინარე შედეგების შეფასება
ე.წ. "მთლიანი ქონებრივი" სარგებლიანობის, ე.ი. ფულადი
ერთეულების რეალური მაჩვენებლებისა და ობიექტურ
ალბათობათა მონაცემების ერთობლივი (მოცემულია ნამ-
რავლის სახით) გათვალისწინებით ხდება. ე. ტვერსკის
და დ. კანემანისთვის სწორედ ეს თეორიული დაშვება
გახლავთ ფრიად საეჭვო, რადგან მასში ადამიანის პერ-
ცეპტული აქტივობისთვის ზემოთ აღნიშნული შემფასებე-
ლი სუბიექტისთვის ნიშანდობლივი ტენდენციის არსები-
თი თვისებებია უგულებელყოფილი. მათი აზრით, რაიმე
გამღიზიანებლის ეფექტურობას სტიმულაციის ახალ სა-
ფეხურზე გადასვლა კი არ განაპირობებს, არამედ ამას
თვით სტიმულაციასა და მოცემული ადაპტაციის დონეს
შორის არსებული სხვაობა განსაზღვრავს. ამ შემთხვევა-
ში, მოცემული კონცეფციის ავტორების ყურადღება არა
ქონებრივ მდგომარეობაზე, არამედ მოგებისა და წაგების

მიმართ სუბიექტის ვალენტურ, ანუ შეფასებით დამოკიდებულებაზეა გამახვილებული.

როგორც ე. ტვერსკისა და დ. კანემანის, ასევე სხვა მკვლევართა მიერ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე დადგენილი ფულის სარგებლიანობის ემპირიული ფუნქციის მაჩვენებელი შემდეგზე მიუთითებს: ადამიანთა უმრავლესობისთვის, ალტერნატივებისადმი უპირატესობის მინიჭების ვითარებაში, შესაძლო წაგებაზე მკვეთრი ყურადღების გამახვილება და სარისკო მოქმედების განხორციელებისგან თავის არიდების აშკარა ტენდენცია იკვეთება. ეს შედეგი, მოცემული კონცეფციის ავტორების აზრით, არსებით კანონზომიერებად უნდა ჩაითვალოს. რისკის ვითარებაში აღნიშნული ზოგადი ტენდენცია იმაში მჟღავნდება, რომ მოგებათა დადებითი სარგებლიანობის ემპირიული ფუნქციის მონაცემთა ზრდის მრუდთან შედარებით, წაგებათა უარყოფითი სარგებლიანობის ემპირიული ფუნქციის მაჩვენებელთა მრუდი მკვეთრად ეცემა. ამავე დროს, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ფულის სარგებლიანობის ემპირიული ფუნქციის გამომხატველი მრუდის აღნიშნული თავისებურება (პერცეპტული ეტალონების სტრუქტურული სპეციფიკა, ანუ გარკვეულ კოორდინატთა სიტემაში მათი მოცემულობა) საკუთრივ არჩევანის, როგორც ფსიქიკური აქტივობის ერთ-ერთი სახის არსებით მახასიათებლად უნდა გავიაზროთ. ამდენად, პერსპექტივის თეორიული მოდელის თანახმად, ადამიანები, ჩვეულებრივ, დიდი განუსაზღვრელობის ვითარებაში სარისკო გადაწყვეტილებებისგან თავის შეკავებას ცდილობენ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ არჩევა-

ნის სიტუაციაში, მოცემულ ალტერნატივათა შორის გადაწყვეტილების მიმღები პირი, პირველ რიგში, მათგან შესაძლო დანაკარგებს ითვალისწინებს, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სავარაუდო დადებითი შედეგები, შეიძლება ითქვას, მისი "მხედველობის პერიფერიულ ველში" რჩება.

განხილულ თეორიულ მოდელში პერცეპტული ეტალონების ფუნქციონირების კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია გათვალისწინებელი: ადამიანის მიერ არსებული პრობლემური სიტუაციის ცნობიერებაში ასახვას, მის გააზრებას და მოცემულ ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებას თვით ამ ვითარების ფორმულირების თავისებურება, კერძოდ, ინფორმაციის მიწოდების რაკურსი (საგანთა აღქმის დონეზე ფონისა და ფიგურის ცნობილი ეფექტის მსგავსად) განაპირობებს. დილემურ ვითარებაში სუბიექტისთვის ერთი და იგივე შინაარსის მქონე ინფორმაციის სხვადასხვაგვარი დისკურსიული ფორმით მიწოდება, როგორც ამას მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული მონაცემები ადასტურებენ, მის მიერ ამ ინფორმაციის განსხვავებულად შეფასების საფუძველი ხდება. ნაჩვენებია, რომ, თუ საკითხის დასმაში წინა პლანზე (მარტივი აღქმისეული მინიშნებებიდან დაწყებული, შედარებით რთული სემანტიკური და კოგნიტურ მინიშნებათა კონტექსტით დამთავრებული) გადაწყვეტილებიდან გამომდინარე დადებითი და უარყოფითი შედეგებია წამოწეული, მაშინ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტის მიერ გაკეთებული არჩევანი არსებული სიტუაციის ობიექტური მახასიათებლების და შესაბამისი პერ-

ცეპტული ეტალონების ურთიერთმოქმედებით იქნება დეტერმინირებული. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საკითხის დასმის ფორმულირებაში "თვალში საცემად" (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ხაზგასმულია, ვთქვათ, სუბიექტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსები, მაშინ არჩევანის გაკეთებაში ამ ფაქტორის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად იზრდება.

ზოგადი დასკვნა

მოცემული სტატიის მიზანი შეფასებით მსჯელობებზე ობიექტური და სუბიექტური ეტალონების გავლენის თავისებურებათა დადგენაში მდგომარეობდა, რომლის მისაღწევად ჩვენ სხვადასხვა კონცეფტური მიდგომები განვიხილეთ, რამაც დაგვანახა შემდეგი: *განწყობის თეორიის* მიმდევრების მიერ ნაჩვენებია, რომ ადამიანის სენსომოტორულ აქტივობაზე ე. წ. "ბაზის-ეტალონი" მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. კერძოდ, ემპირიული მონაცემებით გამოვლინდა, რომ ამ ეტალონისგან განსხვავებული მოძრაობების გამეორების ვითარებაში მისკენ მიახლოების ტენდენცია წარმოიქმნება, რომელიც "ასიმილაციური მოქმედების და კონტრასტული შეფასების" კანონზომიერებას გამოხატავს. ეს ფუნქციური კავშირი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტია ეტალონის და გასამეორებელი მოძრაობის სიდიდეთა შორის განსხვავება. გარდა ამისა, ერთი მხრივ, ადამიანის აქტივობის უფრო მაღალ საფეხურზე დადგენილია შეფასებით მსჯელობებში სიტყვებს შორის არსებული ბინარული მიმართების სემანტი-

კური ასიმეტრიის ეფექტი, რომელსაც ეტალონური ფუნ-ქციის მატარებელი სიტყვა აწონასწორებს. მეორე მხრივ, ისიც გამოვლენილია, რომ შეფასებითი მსჯელობების ში-ნაარსზე (კონტრასტი ან ასიმილაცია) დადებითი და უარ-ყოფითი ეტალონები განსხვავებულად ზემოქმედებენ. სხვა მკვლევართა მიერ შემუშავებული კონცეფციებთან და სა-თანადო ცდისეულ მონაცემებთან დაკავშირებით საგუ-ლისხმოა, რომ *ადაპტაციის დონე*, როგორც სენსორულ და მოტორულ კონტინიუმზე "ნულოვანი" პოზიცია, ერთი მხრივ, ადამიანის პერცეპტული მოქმედების, ხოლო მეორე მხრივ მის მიერ ობიექტების რაოდენობრივი შეფასების ძალზე მნიშვნელოვან განმაპირობელ ფაქტორად უნდა ჩავთვალოთ. *ურთიერთდამოკიდებულების მოდელში* ძირი-თადი ყურადღება სოციალური ურთიერთმოქმედებიდან გამომდინარე შედეგებზე და სუბიექტის მიერ მათ შეფა-სებაზეა გამახვილებული. რეზულტატების მიმღებლობა-მიუღებლობას შემფასებლის მიერ გამოყენებული სუბიექ-ტური ეტალონები განაპირობებენ. ზოგადი შედარების დონის საფუძველზე კონკრეტულ ურთიერთობაში ჩართუ-ლი სუბიექტების მიერ თვით ამ ურთიერთობის მიმზიდ-ველობის ხარისხი ფასდება, ხოლო ალტერნატივათა შე-დარების დონე პარტნიორთან ურთიერთობის შეწყვეტის ან განგრძობის განმსაზღვრელია. *სოციალური შედარების ზოგადთეორიული* მიდგომა ბაზისური, ანუ წარსული გა-მოცდილებით ფორმირებულ ეტალონებზე ამახვილებს ყურადღებას. ამგვარი ეტალონები ადამიანის აწმყოში ცხოვრების ზოგად კმაყოფილებას განაპირობებენ. ნაჩვე-ნებია ისიც, რომ შედარების ზოგადი პროცესი ადამიანთა

თვითშეფასების ამაღლების სათანადო ფსიქიკური მექანიზმის როლში იმ შემთხვევაში გამოდის, როდესაც ერთი ჯგუფის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ საკუთარი ჯგუფის წევრების დადებით თვისებებს, ხოლო კონკურენტული ჯგუფის წევრების მახასიათებლებს აკნინებენ. ამ კონცეფტური მიდგომის მხარდამჭერთა მიერ ნათლად არის ნაჩვენები, რომ აღნიშნული ფსიქიკური მექანიზმის ამ ფორმას ადამიანები აქტივობის სხვადასხვა სფეროში ამჟღავნებენ. გარდა ამისა, ამავე კონცეფტური მიმართულების წარმომადგენელთა მიერ გამოვლენილია, რომ ადაპტაციის გარკვეულმა დონემ კონკრეტული პიროვნების ან ჯგუფის ცხოვრების წესიც კი მკვეთრად შეიძლება შეცვალოს.

სამართლიანობის თეორიული მოდელის თანახმად, ადამიანის მიერ სამართლიანობის და უსამართლობის განცდას სოციალური შედარების სპეციფიკური პროცესი უდევს საფუძვლად, რომელშიც წამყვანი ფუნქცია სუბიექტურ და ობიექტურ ეტალონებს ენიჭებათ. ისიც აღსანიშნავია, რომ სუბიექტის მიერ შედარების ეტალონის შერჩევა მისი გამოცდილებით (ვთქვათ, პროფესიული საქმიანობის სტაჟი) შეიძლება იყოს განპირობებული, რაც შეფასებით მსჯელობებზე ეტალონის ზემოქმედების გამაშუალებელი ფაქტორის როლში გამოდის. შეფასებითი ეტალონების, როგორც გადაწყვეტილებათა მიღების ძალზე მნიშვნელოვანი მადეტერმინირებელი ცვლადები *პერსპექტივის კონცეპციაშია* წარმოდგენილი. განსაკუთრებით ხაზგასამელი ამ კონცეფციის ორი ჰიპოთეზური დებულება მიგვაჩნია. პირველი, ივარაუდება, რომ მოსალოდნელი დანახარჯების გაღების ვითარებაში ადამიანის მოქმე-

დება გარკვეული ასიმეტრიულობით ხასიათდება. ეს იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტი უპირატესად იმაზეა ორიენტირებული, რათა მან შესაძლო დანაკარგი აიცილოს თავიდან, ვიდრე მან ამ დანაკარგის ოდენობის შესაძლო ეკვივალენტური მოგება მიიღოს. მეორე, ადამიანის შეფასებით მსჯელობაზე და, შესაბამისად, მის არჩევანზე თვით ალტერნატიულ ვითარებათა ფორმულირების ფაქტორი ახდენს დიდ გავლენას. ამ ფაქტორს იმ შემთხვევაშიც კი გააჩნია ზემოქმედების უნარი, როდესაც არსებული ალტენატივების შინაარსი იდენტურია. საგულისხმოა, რომ ამ ჰიპოთეზური დებულების სისწორე საკმაოდ დამაჯერებლად ემპირიული მონაცემებით იქნა დასაბუთებული.

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი ცვლადების სახით პერცეპტული ეტალონები ადამიანის სხვადასხვა სახის მოქმედებების და მათ შორის ამა თუ იმ ალტერნატივისთვის უპირატესობის მინიჭების (დამოკიდებული ცვლადი) მარეგულირებელ ფაქტორად გვევლინებიან. ისიც ხაზგასასმელია, რომ მრავალრიცხოვანი ცდისეული მონაცემების თანახმად, ადამიანის შეფასებით მსჯელობებზე მადეტერმინირებელი ზემოქმედება, ხშირად, არ მჟღვნდება იმ შინაარსობრივი მიმართებით, რომელიც მოვლენათა შორის ალგორითმული სახის ფუნქციური დამოკიდებულებით აღიწერება. სწორედ ამის გამოა, რომ ადამიანის შემეცნებითი აქტივობის შინაარსეული და სტრუქტურული მრავალფეროვნების დასახასიათებლად ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები, ტრადიციული თვალსაზრისებისგან განსხვავებით, ცვლადებს შორის სათანადო ფსიქიკური მექანიზმების გათვალისწინებით *მრავალ-*

განზომილებიანი მიზეზობრივი კავშირების დადგენას ცდილობენ.

ლიტერატურა

1. Надирашвили, Ш., Нониашвили, Т., Томеишвили, Н. Осуществление и оценка двигательной активности в сенсомоторном поле человека. Вопросы инженерной и социальной психологии. Тбилиси, 1974
2. ჩარკვიანი, დ. სემანტიკური ასიმეტრიის თავისებურება მსგავსების და განსხვავების დამდგენ მსჯელობათა შემთხვევაში. *მცნე*, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, 2004, 1, 154-159.
3. ცხვედაძე, ნ. "განსვლის" ფაქტორის დაზუსტებისთვის შეფასების ილუზიებში. *ფსიქოლოგია*, *კრებული*, ტ. XX, 2007, 146-155.
4. Надирашвили, Ш. Психологическая природа восприятия. Тбилиси, 1976.
5. Helson, H. Adaptation-level theory. N.Y., 1964.
6. Келли, Г., Тибо, Д. Межличностные отношения. Теория взаимозависимости. Современная зарубежная социальная психология. М., 1984, 61-82.
7. Festinger, L. A theory of social comparison process.Human Reltions, 1954, 7, 117-140.
8. Endler, G. Children of the Creat Depression. Chicago: Chicago University Press, 1974.
9. Turner, J., Giles, H. Intergroup behavior. Oxford: Blakwell, 1981.
10. Schulz, R., Decjer, G. Long-term adjustment to proximal disability: The role of social support, perceived control and self-blame. Jounal of Personality and Social Psychology, 1985, 48, 1162-72.
11. Brickman, P., Campbell, D. Hedonic relativism and planning the good society. In: Adaptation level theory (M.Appley ed.). N.Y: Acdemic Press, 1971.
12. Adams, J., Inequity in social exchanges. In: Advances in experimental social psychology (ad. L. Berkowitz), 1965, 267-300.
13. Tversky, A., Khaneman, D. Advances in prospect theory: Cumulativ representation of uncertainty. Journal of Risk and Uncertainty, 1992, 5, 297-323.

ფსიქოლოგია, *კრებული*, 2007, ტ. 20 (დაიბეჭდა გარკვეული დაზუსტებებით და დამატებებით).

ღირებულებითი პრინციპების მნიშვნელობა მორალური მსჯელობის და მორალური ძცევის კანონზომიერებათა შესწავლაში

მეცნიერული შესწავლის ეთიკური მხარე მკვლევართა გაუნელებელი ინტერესის საგანია [1]. ამა თუ იმ მეცნიერების კონკრეტული დარგის წარმომადგენლებმა მეცნიერული შემეცნების ზნეობრივი მხარის ანალიტიკური კვლევა მეტათეორიულ დისციპლინად შეიძლება ჩათვალონ. ეთიკის ფილოსოფიურ პრობლემებზე მომუშავე მკვლევარებმა კი მეცნიერების ზნეობრივი საკითხების შესწავლა შესაძლოა ცოდნის გამოყენებით დარგად მიიჩნიონ. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა მეცნიერულ სპეციალიზაციას, არამედ თვით საკვლევ პრობლემათა აქტუალობას ენიჭება. ამგვარ პრობლემათა წრეს, რასაკვირველია, მეცნიერული ცოდნის ზნეობრივი ასპექტის მრავალმხრივი შესწავლის აუცილებლობა მიეკუთვნება. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მეცნიერებათა საფუძვლების ფილოსოფიურმა ანალიზმა ზოგადად მეცნიერების "ნეიტრალობის" შესახებ არსებული ვარაუდი ფრიად საეჭვო გახადა [2], [3]. ისინი თვლიან, რომ მეცნიერული ცოდნა ღირებულებითი შინაარსით არის დატვირთული. ისიც საგულისხმოა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. კამათის საგანს მეცნიერულ ცოდნაში სხვადას-

ხვა სახის ღირებულებათა მოქმედება წარმოადგენს. მაგალითად, ღირებულებათა ორ ფორმას, კერძოდ, კოგნიტურ (ვთქვათ, ჭეშმარიტების დადგენის კრიტერიუმები) და სოციალურ (ვთქვათ, ზნეობრივი ქცევის შინაარსობრივი მახასიათებლები) ღირებულებებს გამოყოფენ [4]. მიგვაჩნია, რომ ღირებულებების კლასიფიკაციასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ როგორ ზემოქმედებენ ისინი მეცნიერული ცოდნის შეძენის პროცესზე. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას მორალურ ღირებულებებზე ვამახვილებთ. მეცნიერების ეთიკური პრობლემების კრიტიკული განხილვა მისი საზოგადოებრივი დანიშნულების გარკვევის ქმედით საშუალებად უნდა ჩავთვალოთ, რაც, თავის მხრივ, თვით მკვლევართა სოციალურ პასუხისმგებლობას წინა პლანზე აყენებს. გამოჩენილი ფიზიკოსი მაქს ბორნი პრობლემის *აქტუალობაზე* ნათლად მიგვითითებს: "რეალურ მეცნიერებაში და მის ეთიკაშიც ისეთი ცვლილებები მოხდა, რომელთა გამო თავისთავად მეცნიერების სამსახურის ძველი იდეალის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა... ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით იმაში, რომ ეს ბოროტებით არასდროს არ დაგვიბრუნდებოდა, რადგან ჭეშმარიტების ძიება თავისთავად სიკეთეა. ეს იყო მშვენიერი სიზმარი, რომლისგან ჩვენ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებმა გამოგვაღვიძა"[5]. წარმოდგენილი სტატიის კონკრეტული *მიზანი* ზნეობრივი მსჯელობისა (მაგალითად, "მიმაჩნია, რომ X-ს მოქმედება სავსებით გამართლებულია") და შესაბამისი ქცევის (მაგალითად, გასაჭირში მყოფისთვის დახმარების აღმოჩენა) მიმდინარეობის კანონზომიერებათა შესწავლაზე ზემოქმე-

დი ღირებულებითი შინაარსის მქონე კონცეფტური კრიტერიუმების ანალიზი გახლავთ.

ღირებულებითი პრინციპების საკრიტერიუმო მახასიათებლები

ღირებულებით პრინციპებში ისეთი ნორმატიულ (არა რაციონალურის, არამედ სოციალურის მნიშვნელობით) დებულებებს ვგულისხმობთ, რომლებიც სიკეთისა და სამართლიანობის არსებით ეთიკურ სტანდარტებს გამოხატავენ. ხაზგასასმელია ის, რომ ვიწრო სფეროთი შემოფარგლული და კონკრეტული კონცეფციაც კი უფრო ზოგადი, ანუ "მეტა" თეორიულ ორიენტაციაში გატარებულ ონტოლოგიურ, გნოსეოლოგიურ ან ლოგიკურ თვალსაზრისზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული. ამავე დროს, ისიც ნიშანდობლივია, რომ ზნეობრივ მოვლენებთან ორგანულად დაკავშირებული ფსიქიკური პროცესების შესწავლაში ღირებულებითი შინაარსის მქონე პრინციპებს მნიშვნელოვანი აღწერითი და ახსნითი როლი აკისრიათ. ნათქვამი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მორალურ მსჯელობათა და შესაბამისი ქცევის კვლევისადმი მიძღვნილი თანამედროვე გამოკვლევების კონცეფტური შინაარსისა და ემპირიულ მონაცემთა გათვალისწინების საფუძველზე ღირებულებითი პრინციპების საკრიტერიუმო მახასიათებლების გამოყოფა ფრიად აქტუალურ საკითხად უნდა მივიჩნიოთ. ამგვარი მახასიათებლების გათვალისწინება მორალური მსჯელობებისა და სათანადო ქცევის იმ დეტერმინანტთა ანალიზის საშუალებას მოგვცემს, რომლებიც სხვადასხვა კონცეფციებშია მოცემული.

ღირებულებით პრინციპში ნაგულისხმევი ზნეობის აღმწერ, ონტოლოგიური დანიშნულების მქონე ძირითად მახასიათებლად *უნივერსალობა* (ობიექტურობა) და *რელატიურობა* (ფარდობითობა) უნდა ჩავთვალოთ [6]. თეორიებს, რომელთა მიხედვით, ზნეობრივ სტანდარტებს დამოუკიდებელი, ანუ ობიექტური არსებობის ფორმა გააჩნიათ, უნივერსალობის პრინციპზე აგებულ კონცეფციებად განიხილავენ. იმ თეორიებს კი, რომელთა თანახმად, ზნეობრივი სტანდარტები, თავისი არსით, ადამიანთა სოციალური შემოქმედების ნაყოფს (კონსტრუქტებს) წარმოადგენენ, რელატივისტურ კონცეფციათა კატეგორიას მიაკუთვნებენ. ღირებულებითი პრინციპის მეორე მახასიათებელში *ტელეოლოგიური* და *დეონტოლოგიური* შეფასებები ვარირებენ. ამ შემთხვევაში საკითხი სიკეთისა და სამართლიანობის კატეგორიათა განმარტებას ეხება. ზნეობის შესახებ კონცეფციებს, რომლებიც საბოლოო მიზანთა განხორციელების თავისებურებათა დახასიათებაზე არიან ორიენტირებული, ტელეოლოგიურ მოდელებს მიაკუთვნებენ. მორალის შესახებ თეორიები, რომლებიც ფორმალურ მიზანთა რეალიზაციის ნაცვლად, აქცენტს უფლებისა და ვალდებულების კატეგორიათა დაკავშირებაზე აკეთებენ, დეონტოლოგიურ მიდგომას გამოხატავენ. ღირებულებითი ვარაუდების მესამე მახასიათებელი *რაციონალიზმის* და *ემპირიზმის* განზომილების მიხედვით ცვალებადობს. ღირებულებითი პრინციპის ეს მახასიათებელი ზნეობის გნოსეოლოგიურ სტატუსს ეხება. შემეცნების თეორიაში რაციონალიზმი ისეთ მიმდინარეობად განიხილება, რომლის თანახმად, ჭეშმარიტების დადგენა მხო-

ლოდ აზროვნების საშუალებით მიიღწევა. ამისგან განსხვავებით, ემპირისტული მიდგომის მიხედვით, ცოდნის მიღების ძირითად წყაროს შეგრძნებითი და აღქმადი სახის გამოცდილება წარმოადგენს. ისიც აღსანიშნავია, რომ რაციონალიზმისა და ემპირიზმის, როგორც ცოდნის მიღების საფუძვლად მდებარე პრინციპების გარდა, "მესამე გზასაც" გამოყოფენ, რომელიც *ინტუიციონიზმის* სახელწოდებით არის ცნობილი. ინტუიციონისტური მიდგომის თანახმად, ცოდნის შეძენის ძირითადი საფუძველი ადამიანის ისეთ შინაგან გამოცდილებაში უნდა ვეძიოთ, რომლის მეშვეობით ცოდნა ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე შემეცნებითი აქტივობის გარეშე და მხოლოდ უშუალო წვდომით (არსებითად პერცეპტული აქტივობის ფარგლებში) მიიღება. ამდენად, ცოდნის შეძენის საშუალებათა გათვალისწინებით, ზნეობის შესახებ არსებული კონცეფციები რაციონალისტურ, ინტუიციონისტურ და ემპირისტულ მიდგომებად შეგვიძლია დავაჯგუფოთ.

ღირებულებითი პრინციპის მეოთხე მახასიათებელში *თანდაყოლილის* და *შეძენილის* დიქოტომიური პარამეტრი იგულისხმება. აღნიშნული მახასიათებელი ეთიკურ ნორმათა წარმოქმნის საკითხის გარკვევას ეხება. კონცეფცია, რომლის მიხედვით, ზნეობა ადამიანის ბუნებრივი (ვიგულისხმოთ ბიოლოგიური) არსებობის ნაწილად განიხილება და ეთიკური სტანდარტების ჩამოყალიბება მასში ამგვარი პროცესების მიმდინარეობით შეიძლება აიხსნას, რასაკვირველია, თანდაყოლილის პრიორიტეტად აღიარების მიდგომად უნდა ჩავთვალოთ. თეორიული თვალსაზრისი, რომელიც ზნეობრივ ეტალონთა წარმოქმნის მადე-

ტერმინირებელ ფაქტორებს ადამიანის ყოფიერების სპეციფიკაში, მისი სოციალური არსებობის ფორმაში ეძებს, ბუნებრივია, ცხოვრებისეული გამოცდილებით შეძენილისადმი უპირატესობის მინიჭების მიდგომად შეგვიძლია მივიჩნიოთ. დაბოლის, მეხუთე ღირებულებითი კრიტერიუმი საკუთრივ *ზნეობრივ ნორმათა თვისებრიობის* (რომელობის) გარკვევას ისახავს მიზნად. კაცობრიობის განვითარების ისტორიულ პროცესში სხვადასხვა ფორმის ეთიკური ნორმები იყო შემუშავებული (მაგალითად, კეთილდღეობასთან, თანასწორობასთან, ბედნიერებასთან, სამართლიანობასთან, მიღწევასთან, სარგებლიანობასთან დაკავშირებული ზნეობრივი სტანდარტები). ზემოთ განხილული ღირებულებითი მახასიათებლები, გარკვეული შეზღუდვების მიუხედავად, მორალის შესახებ ისტორიულად არსებულ მიდგომებთან მიმართებაში სათანადო ცოდნას ნამდვილად გვაძლევენ. მაგალითად, ზნეობის, როგორც მოვლენის და, შესაბამისად, კატეგორიის ისტორიული თვალსაზრისით გააზრების თავისებურება მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს: ანტიკური პერიოდისთვის უნივერსალისტური, რაციონალისტური და ნატურალისტური მიდგომა იყო დამახასიათებელი; შუასაუკუნეების ხანისთვის ნიშანდობლივია ქრისტიანული მსოფლმხედველობა, რომელიც ღმერთისადმი სულიერ სიყვარულს ქადაგებს, კერძოდ, მორალის პრობლემასთან დაკავშირებით, ის, არსებითად, ადამიანთა მრწამსის მნიშვნელობაზეა ორიენტირებული; აღორძინების და ახალი დროის მონაკვეთში ზნეობის შესახებ ზოგადთეორიულ მიდგომაში, ძირითადად, თანდაყოლილობის და ფარ-

დობითობის ღირებულებითი კრიტერიუმებია გამოყენებული. მეცნიერების სფეროში ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენები სწორედ ამ ხანაში მოხდა. იმ პერიოდში მეცნიერული ცოდნა ბუნებრივი სამყაროს შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციით იყო დატვირთული. თანდათანობით (ეს, განსაკუთრებით XIX საუკუნეში ხდება) მეცნიერული ჭეშმარიტება, უნივერსალურისგან განსხვავებით, ფარდობით ხასიათს იძენს [7]. აღნიშნულმა ტენდენციამ ზნეობის განვითარების შესახებ ფსიქოლოგიაში შექმნილი კონცეფციების თავისებურებებიც განსაზღვრა, რომლებსაც ქვემოთ გავაანალიზებთ.

მორალის ფსიქოსოციალური განვითარების თეორიები

კოგნიტურ-სტადიური კონცეფცია. ლ. კოლბერგი თავისი კონცეფციის შემუშავების პროცესში, ძირითადად, ჟ. პიაჟეს მიერ ზოგადი გონიერების შესახებ შემუშავებულ ოპერაციონალურ თეორიაში მოცემულ მთავარ მოსაზრებებს ეყრდნობა [8]. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ლ. კოლბერგი არა ეთიკური ქცევის თავისებურებაზე, არამედ ზნეობრივი მსჯელობის პროცესზე ამახვილებს ყურადღებას. კონცეფციის თანახმად, ადამიანის ზნეობრივი განვითარება შემეცნების ეტაპობრივ წინსვლასთან არის დაკავშირებული. ავტორი მის მიერ შემუშავებულ კონცეფციაში, ღირებულებითი პრინციპების მახასიათებელთა თვალსაზრისით, ზნეობრივ ნორმათა თვისებრივი შინაარსის მქონე *უნივერსალურ, რაციონალურ* და *დეონტოლოგიურ* დებულებებს ეყრდნობა. ზნეობის შესახებ ლ. კოლ-

ბერგის კონცეფტური მიდგომისთვის დამახასიათებელი ის გახლავთ, რომ ზნეობა მის მიერ ისეთ ობიექტურად არსებულ მოვლენად მოიაზრება, რომელიც კულტურალური, ისტორიული და სიტუაციური ფაქტორებისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. მას მიაჩნია, რომ არსებობენ არა ფარდობითი, არამედ უნივერსალური ზნეობრივი პრინციპები. საგულისხმოა, რომ ავტორის თვალსაზრისი ნათლად ე.წ. პოსტკონვენციონალური დონის მეექვსე სტადიის დახასიათების შემთხვევაში მჟღავნდება. ის აღნიშნავს, რომ: "უფლება ისეთი გადაწყვეტილებით არის განპირობებული, რომელიც საკუთარი არჩევანის პრინციპების შესაბამისია და რომელიც ლოგიკური მრავალმხრივობის, უნივერსალობისა და თანამიმდევრობის შესატყვისია. ეს პრინციპები აბსტრაქტული და ეთიკურია (კეთილგონიერი საქციელი, კატეგორიული იმპერატივი); ისინი ათი მცნების მსგავს კონკრეტულ მორალურ წესებს არ გამოხატავენ... ისინი სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპებად გვევლინებიან" [9, 633]. გარდა ამისა, ავტორი ზნეობის შესახებ შემუშავებულ საკუთარ კონცეფციას, დეონტოლოგიურს (სათანადო ვალდებულებებზე და ნორმებზე ყურადღების გამახვილება) და რაციონალურს (ემპირიულ გამოცდილებასთან შედარებით, მოვლენათა ურთიერთკავშირის გააზრების პროცესის წინ წამოწევა) უწოდებს. ის, კატეგორიული იმპერატივის კანტისეულ პრინციპს ("მოიქეცი მხოლოდ იმგვარი მაქსიმის მიხედვით, რომლის გამოყენების შემთხვევაში, აგრეთვე, გაგიჩნდება იმის სურვილი, რომ ის საყოველთაო კანონი გახდეს") ემხრობა. როგორც აღვნიშნეთ, ზნეობის განვითარე-

ბის მოცემულ კონცეფციაში რაციონალურ-გნოსეოლოგიური სახის დაშვებებთან გვაქვს საქმე. ამგვარი მიდგომის მიხედვით ცოდნის შეძენაში ცდისეული გამოცდილების მნიშვნელობა, ფაქტობრივად, მინიმუმამდეა დაყვანილი. რაციონალური გნოსეოლოგიიდან გამომდინარე, ლ. კოლბერგი, კულტურალური ფაქტორის ასპექტით, ზნეობის განვითარებას უნივერსალური და ინვარიანტული სტადიებისგან შემდგარ პროცესად მიიჩნევს. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ზნეობრივ განვითარებაში ადამიანის ცდისეულ გამოცდილებას გარკვეული წვლილი შეაქვს, ავტორის თანახმად, მორალური მსჯელობის სიღრმისეული აღნაგობა, არსებითად, სოციოკულტურალური ფაქტორების ზემოქმედებას ნაკლებად განიცდის. ისიც ხაზგასამელია, რომ განხილულ კონცეფციაში ზნეობრივ ნორმათა რაობის შესახებ გარკვეული ვარაუდია გამოთქმული. ლ. კოლბერგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამართლიანობის ნორმა უნივერსალურ ზნეობრივ პრინციპად უნდა განვიხილოთ. მისი აზრით, მორალურ მსჯელობათა განვითარება უნივერსალური და ინვარიანტული სტადიების ფორმით სწორედ ამიტომ მიმდინარეობს. განვითარების ყოველი წარმატებული საფეხური სამართლიანობის უნივერსალური ნორმების სწორი გააზრებისა და ქმედითი შეთვისების საფუძველი ხდება. ისიც აღსანიშნავია, რომ ზნეობის სტადიური განვითარების ზოგიერთი მომხრე არ ეთანხმება ლ. კოლბერგის იმ მოსაზრებას, რომ სამართლიანობის კატეგორია სიკეთის, როგორც, მოვლენის იდეალურ სახეს წარმოადგენს [10]. მაგალითად, ისეთი ნორმატიული აზრია შემოთავაზებული, რომელიც ლ.

კოლბერგის "სამართლიანობის და უფლებების ეთიკის" ნორმატიულ განსაზღვრებას "მზრუნველობის და პასუხისმგებლობის ეთიკის" განსაზღვრებით ცვლის. ამ მიდგომის მიხედვით, მზრუნველობის და პასუხისმგებლობის ეთიკა პიროვნული ავტონომიის პრეროგატივად უნდა მივიჩნიოთ. მისი თავისებურება იმაშია, რომ ამგვარი ზნეობრივი პრინციპის ამოქმედება მხოლოდ სოციალური ურთიერთობების საფუძველზე წარმოებს.

კოგნიტურ-ბიჰევიორალური კონცეფცია. ზნეობრივი განვითარების შემეცნებით-ქცევითი კონცეფციის თანახმად, ზნეობრივი მოქმედების ფორმირება განპირობებისა და მოდელირების მექანიზმების საშუალებით ხდება [11]. ამ კონცეფციის მიმდევართა შესწავლის ძირითადი საგანი სუბიექტის პროსოციალური, ანუ მორალური ქცევა გახლავთ, რომელიც სხვა ადამიანზე ან სოციალურ ჯგუფზე დადებითად (სასიკეთოდ) ზემოქმედებს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მორალის განვითარების ეს კონცეფცია, ღირებულებით-საკრიტერიუმო მახასიათებლების თვალსაზრისით, *რალატივისტურ, ტელეოლოგიურ* და *ემპირისტულ* პრინციპებს ეყრდნობა. ამავე დროს, მისი კვლევის სფერო, ძირითადად, ცალკეული ინდივიდის აქტივობით შემოიფარგლება. ამ კონცეფციის წარმომადგენელთა აზრით, ადამიანის ფსიქიკური აქტივობისა და რეალური ქცევის კვლევა-ძიებით მოპოვებული ცოდნა ობიექტურ, ანუ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას არ უნდა აცხადებდეს. ამის ნაცვლად მიიჩნევა, რომ ადამიანის ქცევის, როგორც ბუნებრივი მოვლენის, შესწავლით მიღებულ ცოდნას რელატიურობა ახასიათებს. რელატი-

ეიზმის პრინციპზე დაყრდნობა ობიექტური, ანუ უნივერსალური ზნეობრივი სტანდარტების არსებობას იმთავითვე ეჭვის ქვეშ აყენებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. მიშელი და ჰ. მიშელი აღნიშნავენ: "სამართალიანობაზე, საყოველთაო კეთილდღეობაზე, უნივერსალურ ეთიკაზე დაყრდნობით და უფალის სახელის მოშველიებით მილიონობით ადამიანი საერთოდ გაანადგურეს. თანამედროვე ისტორიულ პერიოდში ისეთი ცნებები, როგორიც არის საყოველთაო უფლებები, თანასწორობა, თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა, ადამიანთა სხვადასხვა ფორმით განადგურების, გენოციდის ჩათვლით, გამართლების მიზნით იყო გამოყენებული" [12, გვ. 107].

ზნეობის ონტოლოგიური სტატუსის განსაზღვრის გარდა, მოცემულ კონცეფციაში მის შესახებ გარკვეული, დიქოტომიური ხასიათის გნოსეოლოგიური, კერძოდ, რაციონალიზმის და ემპირიზმის პრინციპებია გათვალისწინებული. წარმოდგენილი კონცეფციის მიმდევრებს სტადიური ბუნების მქონე ზნეობრივი განვითარების დაშვება გაუმართლებლად მიაჩნიათ. განხილული თეორიული თვალსაზრისის მიხედვით, ზნეობრივი განვითარება კონკრეტულ ვითარებებში ადამიანის მიერ მიღებული ცდისეული გამოცდილებით არის დეტერმინირებული. ამდენად, ზნეობრივი განვითარება პიროვნულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული და ის სათანადო სიტუაციებთან არის ორგანულად დაკავშირებული. ზნეობრივ მსჯელობას *შეფასებითი* ბუნება გააჩნია და ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის აუცილებლად უპირატესობის მინიჭებას გულისხმობს, ხოლო უპირატესობის მინიჭება, თავის მხრივ, აუ-

ცილებლად ფარდობითია. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ მორალის განვითარების კოგნიტურ-ბიჰევიორალური მიდგომა სათანადო ღირებულებითი შინაარსის მქონე ვარაუდებს გვთავაზობს. იგულისხმება, რომ ადამიანის ქცევა სხვა მაღალგანვითარებული ცოცხალი არსებების აქტივობის საფუძვლად მდებარე ზოგად კანონზომიერებებს ექვემდებარება. ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედება სარგებლის მიღების მაქსიმიზაციაზე და დანაკარგის მინიმიზაციაზეა მომართული. ღირებულებითი მახასიათებლების ასპექტით, ნათელია, რომ რადგან ამ შემთხვევაში ქცევიდან გამომდინარე შედეგებზეა ყურადღება გამახვილებული, მოცემული კონცეფცია ტელეოლოგიურ-აქსიოლოგიურ მიდგომად უნდა ჩავთვალოთ. ნათქვამი იმაზე მეტყველებს, რომ კოგნიტურ-ბიჰევიორალური კონცეფცია ადამიანის ქცევას ზოგადი უტილიტარისტული მიდგომის თვალსაზრისით განიხილავს. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, შემდეგია გასათვალისწინებელი. როგორც ვიცით, ლ. კოლბერგის კონცეფცია ზნეობრივი განვითარების ძირითად დანიშნულებას სამართლიანობის ფენომენის სათანადო გააზრებაში ხედავს. ამისგან განსხვავებით, კოგნიტურ-ბიჰევიორალურ მიდგომაში ყურადღება მორალური გაწაფულობის შინაგან მექანიზმზეა გამახვილებული, რომელშიც ადამიანის მიერ საკუთარ გრძელვადიან ინტერესთა განხორციელების შეძენილი უნარი იგულისხმება. ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესში სოციალური ინტერესის ფაქტორიც არ გამოირიცხება. მოცემულ კონცეფციაში ივარაუდება, რომ პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ პროსოციალურ ურ-

თიერთობათა ვითარებაში რეალიზდება, ანუ სხვათა მიზნების სათანადო გაცნობიერება ინსტრუმენტულ მნიშვნელობას იძენს.

სოციოკულტურალური კონცეფცია. სოციო-კულტურალური კონცეფციის შექმნაზე არსებითი ზემოქმედება კ. მარქსის მსოფლმხედველობამ მოახდინა. ცნობიერების და ცოდნის მარქსისეულ ანალიზში განსაკუთრებული მნიშვნელობა *გაუცხოების* ცნებას ენიჭება. გაუცხოება ისეთი სოციალური პროცესია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადამიანის საქმიანობისა და მისი შედეგების ისეთ დამოუკიდებელ ძალად გარდაქმნა, რომელიც მასზე ბატონობს და მას მტრულ გარემოს უქმნის. თავის ჰუმანურ და სოციალურ არსთან შესაბამისობაში მოყვანისა და სათანადო შინაგან ძალთა სრულყოფილად ამოქმედების მიზნით, ადამიანებმა საკუთარი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინტერესების კოორდინაცია უნდა განახორციელონ. ამდენად, ზნეობის ჩამოყალიბებას, მის დინამიკას ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესების გარკვეული ფორმით რეალიზაცია განაპირობებს. სამართლიანობისა და უფლებების ცნებები შესაბამის სოციოკულტურალურ და ისტორიულ ვითარებებთან არის ორგანულად დაკავშირებული. მორალური განვითარების ლ. კოლბერგის კოგნიტური კონცეფცია და შემეცნებით-ბიჰევიორალური მიდგომაც ანალიზის ერთგვაროვან ინდივიდუალისტურ პრინციპს ეყრდნობიან. თავის მხრივ, მორალური განვითარების სოციოკულტურალური თეორია ანალიზის ინდივიდუალისტური მიდგომისგან არსებითად განსხვავდება. ამავე დროს, ღირებულებითი პრინციპების

გააზრების ასპექტით, ის, *რელატივისტურ, ტელეოლოგიურ* და *ემპირისტულ* ტრადიციებს არ ღალატობს. სიციოკულტურალური მიდგომის თანახმად, ზნეობრივი უნივერსალიების არსებობა გაუმართლებელ აბსტრაქციად უნდა მივიჩნიოთ, რადგან სამართლიანობის, როგორც მოვლენის, შინაარსი სხვადასხვა კულტურალურ ეპოქათა ცვლილებასთან ერთად, შესაბამისად იცვლება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ ამ ცვლილების შინაარსი ზუსტად გვეცოდინება, მაინც სავარაუდოა, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ამა თუ იმ მორალურ ან ამორალურ საქციელს განსხვავებულად შეაფასებენ. ზნეობის თვალსაზრისით, შეუთანხმებლობა იმ საკითხშიც მოსალოდნელია, თუ რომელ მათგანს ჩათვლიან უფრო უნივერსალურად. როგორც ვხედავთ, სოციოკულტურალური კონცეფცია, ზნეობის ონტოლოგიური სტატუსის შესახებ შეხედულების მიხედვით, დეონტოლოგიურ-ფორმალისტური მიდგომისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

სოციოკულტურალური კონცეფცია ზნეობრივი განვითარების თავისებურებათა საკითხთან დაკავშირებითაც ლ. კოლბერგის მიდგომისგან გამიჯნულია. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სოციოკულტურალური კონცეფცია ფსიქიკური განვითარების სტადიათა უნივერსალობის პრინციპს არ ეთანხმება, ხოლო განვითარების დეტერმინაციის საკითხში მისი ზოგადთეორიული ორიენტაცია, ბუნებრივია, სოციოკულტურალური რელატივიზმის გამომხატველია. მოცემულ კონცეფციაში ზნეობრივი სტანდარტების რაობის შესახებ "მკაცრი" კრიტიკული პოზიციის შემუშავებისა და მისი რეალიზაციის აუცი-

ლებლობასთან გვაქვს საქმე. ამასთან დაკავშირებით დ. ბაუმრიდი აღნიშნავს: "მორალური თვალსაზრისის მიხედვით, უფლებებისა და სამართლიანობის იდეალები საბუთდება იმით, თუ რამდენად უწყობენ ხელს ისინი კარგ და წარმატებულ პროცესს; უნივერსალისტური შეხედულების თანახმად, სოციალური სისტემის გამართლება იმდენად შეიძლება, თუ რამდენადაა ის სამართლიანობის იდეალთან შესაბამისობაში მოსული. იდეალისა და რეალობის ამგვარი ჩანაცვლებული კავშირი არის ის, რასაც მარქსის მიმდევრები იდეოლოგიას უწოდებენ. სამართლიანობის შესახებ რეალობის ამგვარი თეორია, რომელიც ჩვენი ასაკის შესაბამის ინდივიდუალისტურ იდეოლოგიას გამოხატავს, პრაქტიკულად დოვლათიანი საზოგადოების მხოლოდ ყველაზე პრივილეგირებული და დაცული წევრებისთვის არის მისაწვდომი" [13, გვ. 68-69]. როგორც ვხედავთ, ზნეობის რაობის შესახებ ფსიქიკური განვითარების სოციოკულტურალური კონცეფციის შეხედულება ზემოგანხილულ მიდგომებში გატარებული ძირითადი თვალსაზრისისგან საკმაოდ განსხვავდება. არსებითია ის, რომ სოციოკულტურალური მიდგომის მიმდევრებისთვის უნივერსალური სახის ნებისმიერი ზნეობრივი სტანდარტების არსებობის დაშვება მეცნიერულად გაუმართლებელია.

სოციოანალიტიკური კონცეფცია. სოციოანალიტიკური კონცეფცია ზნეობრივი განვითარების პროცესს პიროვნულ მახასიათებელთა ფორმირების ჭრილში განიხილავს. ამ შეხედულების მიმდევრები კოგნიტური განვითარების და ბიჰევიორალური მიდგომების ნაკლოვანებათა დაძლევას ცდილობენ. ამ საკითხთან მიმართებაში რ. ჰოგანი და

ჩ. ბუში აღნიშნავენ: "კელეეის ორივე ტრადიციამ, გარკვეულ ფარგლებში, ჩვენი ცოდნა მორალის ფორმირების მახასიათებელთა შესწავლის საქმეში საკმაოდ გააღრმავა. მიუხედავად ამისა, ალტერნატიული ვარიანტების დაშვების საგულისხმო თეორიული საბაბი ჩვენ მაინც გაგვაჩნია. ჩვენი ძალისხმევა იქით არის მიმართული, რათა ნათელი გავხადოთ ის ფაქტი, რომ მორალის ფსიქოლოგიის მიმართ სოციალურ-დასწავლითი და კოგნიტური განვითარების თეორიული მიდგომები, მეტწილად, შეზღუდული შინაარსით ხასიათდებიან... უბრალოდ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ მორალური განვითარების შესწავლის მიმართ ჩვენი მიდგომა იმით გამოირჩევა, რომ ის პიროვნების სისტემურ თეორიას ემყარება" [14, გვ. 227-228]. საგულისხმოა, რომ განხილული კონცეფცია ღირებულებითი შინაარსის რამდენიმე ისეთ მნიშვნელოვან დებულებას გვთავაზობს, რაც ზნეობის შესწავლაში რელატივისტური ტრადიციიის გაგრძელებაზე მეტყველებს. მოცემული კონცეფციის თანახმად, ჭეშმარიტება და მცდარობა არა ინდივიდუალური ან სოციოკულტურალური კონტექსტის, არამედ *სახეობის* სოციალურ-ევოლუციური განვითარების მიმართ არის რელატიური. ამ კონცეფციის მომხრეთა აზრით, ზნეობრივი რელატივიზმის და ზნეობრივი უნივერსალიზმის დიქოტომია შეცვლას საჭიროებს და, სიღრმისეული ანალიზის თვალსაზრისით, რელატივიზმად, უნივერსალიზმად და *რელატიურ უნივერსალიზმად* უნდა განლაგდეს. ერთი მხრივ, ზნეობრივი რელატივიზმის თანახმად, ღირებულებათა სიმრავლის გამო რომელიმე მათგანის უპირატესად ჩათვლის არგუმენტირება, ფაქტობრი-

ვად, შეუძლებელია. მეორე მხრივ, ზნეობრივი უნივერსალიზმი გარკვეულ ღირებულებათა მუდმივობას და ისეთი რაციონალური კრიტერიუმის დადგენას გულისხმობს, რომელიც ადამიანთა მთელ მოდგმას მიესადაგება. მაგალითად, გენოციდი, წამება, ადამიანების გატაცება მორალური რელატივიზმის თანახმად, რასაკვირველია, მიუღებელია, მაგრამ ამ მოვლენების მიმართ არგუმენტირებული კრიტიკა მას არ გააჩნია. ზნეობრივ უნივერსალიზმს ამ მოვლენათა კრიტიკის შესაძლებლობა კი გააჩნია, მაგრამ, ამავე დროს, ეთიკურ მოქმედებათა შეფასების ყოვლისმომცველი და ჭეშმარიტი კრიტერიუმის შესახებ თანხმობის მიღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებას სოციოანალიტიკური კონცეფცია მორალის რელატიური უნივერსალიზმის პრინციპის შემოღებით ცდილობს. მოცემულ მიდგომაში ამგვარი მცდელობა ზნეობის ონტოლოგიური სტატუსის დადგენის ალტერნატიულ შესაძლებლობად განიხილება. კონცეფციის თანახმად, ზნეობა ერთ-ერთ დონეზე მაინც, კერძოდ, ინდივიდის ან სოციალური ვითარების მიმართ ფარდობითია, ხოლო სახეობის ისტორიული განვითარების მიმართ კი, რელატიური აღარ არის. გარდა ამისა, წარმოდგენილ კონცეფციაში ალტერნატიული გნოსეოლოგიური პრინციპის შემოტანის მცდელობასთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში რაციონალიზმთან შედარებით, უპირატესობა ემპირიზმს ენიჭება. დაბოლოს, განხილულ მიდგომაში ის გატარებული აზრია საყურადღებო, რომელიც ზნეობრივი განვითარების სტადიებს ეხება. ლ. კოლბერგი ზნეობას უნივერსალურ პრინციპებზე დამყა-

რებულ მორალური ვალდებულებების ჭრილში განიხილავს, ხოლო ბიპევიორალური მოდელი მას ინდივიდის მოკლე და გრძელვადიან ინტერესთა რეალიზაციის კუთხით აანალიზებს. ამ მიდგომებისგან განსხვავებით, სოციოანალიტიკური კონცეფცია ზნეობას ევოლუციის თვალსაზრისზე დაყრდნობით განიხილავს და, ამავე დროს, ძირითად ყურადღებას სოციალურ-ევოლუციური შეგუების მნიშვნელობაზე ამახვილებს. აქედან გამომდინარე, ზნეობა გაგებულია წესების ისეთ წყებად, რომელიც რეციპროკულ ვალდებულებებს და უფლებებს განსაზღვრავს, კრძალავს არაკეთილმოსურნე ქმედებებს დ იმ ადამიანთა წრეს გამოყოფს, რომელთა მიმართაც ეს წესებია გამიზნული. სხვა მიდგომებისგან განსხვავებით, მოცემული კონცეფციის მიხედვით, წესები თავისთავად კი არ არიან მნიშვნელობის მქონე, არამედ იმიტომ, რომ ისინი ხელს უწყობენ ისეთ მოქმედებათა დაკანონებას ან აკრძალვას, რომლებსაც კულტურის ფუნქციონირებისთვის და მისი გადარჩენისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.

განწყობის ინტერაქციონისტური კონცეფცია. განწყობის თეორიის ფარგლებში ფსიქიკური განვითარების შესახებ სათანადო კონცეფტური მიდგომა დ. უზნაძის მიერ არის შემუშავებული [15,16]. საკუთრივ ზნეობრივი განვითარების საკითხი მის მიერ *ნებელობითი აქტივობის* კუთხით არის გააზრებული. ავტორისეული მიდგომის თანახმად, ადამიანის ზნეობრივი მომწიფება მისი ნებელობითი მოქმედების ფორმირებასთან არის ორგანულად დაკავშირებული. დ. უზნაძის მიერ ფსიქიკური განვითარების ზოგადი კანონზომიერების დახასიათება ე.წ. კოინციდენციის

პრინციპის გამოყენებით წარმოებს. ამ პრინციპში ადამიანის ფსიქიკურ განვითარებაზე მემკვიდრეობითი და გარე ფაქტორების ერთობლივი გავლენა იგულისხმება. ივარაუდება, რომ აღნიშნულ ფაქტორებს შორის მჭიდრო შინაგანი კავშირი არსებობს: ადამიანში არსებული ფსიქოფიზიოლოგიური შესაძლებლობების ფუნქციონირება და განვითარება შესაბამის გარემოსთან შეხვედრის შემთხვევაშია შესაძლებელი [17]. მიგვაჩნია, რომ ამ საკმაოდ განზოგადოებული თვალსაზრისის შემდგომმა მეთოდოლოგიურმა დაკონკრეტებამ, განწყობის მადეტერმინირებელი მოთხოვნილებისა და სიტუაციის ფაქტორთა ურთიერთმოქმედების, ანუ *ინტერაქციის* გათვალისწინებით, თვით მორალურ მსჯელობასა და სათანადო ქცევას შორის არსებული მიმართების შესწავლა შეიძლება უფრო ქმედითი გახადოს. ინტერაქციის, როგორც ფსიქიკურ კანონზომიერებათა შესწავლის ეფექტური მეთოდოლოგიური საშუალება ქართველ ავტორთა მიერ არაერთხელ იყო ხაზგასმული [19,20].

დ. უზნაძის თანახმად, ნებელობის განვითარება სამი ეტაპისგან შედგება. პირველია *მორჩილების* ეტაპი, რომელზეც ფსიქოფიზიოლოგიური განვითარება "მოწესრიგებულ გარემოში" წარმოებს. გარე ზემოქმედებას მოზრდილთა წრე აწესრიგებს. ამ პერიოდში ბავშვზე აკრძალვისა და წახალისების გარკვეული სისტემა ზემოქმედებს. თანდათანობით მისი მოქმედება უშუალო იმპულსით აღარ იფარგლება და უფრო ორგანიზებული ხდება. განვითარების ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია ის, რომ ბავშვი ადვილად ექვემდებარება უფროსების კარნახს,

რომელიც მას "გამუდმებით გარკვეული მიმართულებით წვრთნის". მეორეა *იძულებითი მოქმედების* ეტაპი, რომლის დროს შეგნებულ, მაგრამ იძულებითი ხასიათის ქცევასთან გვაქვს საქმე და რომელიც ნებელობითი აქტივობის წინარე საფეხურად უნდა მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში სუბიექტი, მოქმედებათა განხორციელების პროცესში, გარედან შემოთავაზებულ ნორმატიულ წესებს ითვალისწინებს. მის მიერ ამ ნორმების ზნეობრივი შეფასება ჯერ არ ხდება, ის მხოლოდ სხვების პიროვნულ ავტორიტეტს ექვემდებარება. განვითარების ამ ეტაპის მიწურულს კარნახით ქცევის განხორციელების უნარი საკმაოდ მომწიფებულია, რაც ნამდვილი ნებელობითი აქტივობის საწინდარი ხდება. მესამეა საკუთრივ *ნებელობითი ქცევის* ეტაპი (ჭაბუკობის ხანა), რომელზეც პიროვნების ჩამოყალიბებას ეყრება საფუძველი. ამ ეტაპის დასაწყისში ნეგატივიზმი და ჟინიანობა ხელმეორედ ვლინდება. გარშემომყოფთა მიმართ სუბიექტის დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია, ხოლო მას საკუთარი თავი, სხვებთან შედარებით, უკეთესად მიაჩნია. მცირე დროის გასვლის შემდეგ ამგვარი დამოკიდებულებაც იცვლება და ის განვითარების ნამდვილად ახალ საფეხურზე გადადის. აქ უკვე მისი აქტივობა, ხშირად, გარედან იძულებითი კარნახის იმპულსით აღარ იმართება. მისი მოქმედება "მე"-ს მოთხოვნილებათა რეალიზაციით განისაზღვრება. არსებითია ის, რომ სუბიექტი საკუთარი ქცევის თვითრეგულაციის უნარს იძენს, რაც ნამდვილი ნებელობითი აქტივობის მაჩვენებელია. ამდენად, მოცემულ კონცეფციაში იგულისხმება, რომ ნებელობის და მასთან არსებითად დაკავშირებუ-

ლი ზნეობის განვითარების პროცესი ეტაპობრივად მიმ-დინარეობს.

ნიშანდობლივია, რომ კონცეფციის თანახმად, გადაწ-ყვეტილების მიღება ნებელობითი აქტივობის არსებითი მახასიათებელია. სხვადასხვა ვითარებებში მოცემულ ალ-ტერნატივათა შორის არჩევანის ძირითადი დეტერმინანტი სათანადო მოტივია. ნებელობითი ქცევისა და მოტივის შესახებ დ. უზნაძე აღნიშნავს: "მოტივი გაცნობიერებაა იმ ღირებულების უპირატესობისა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს ჩემთვის, და ამ აზრით, ერთ-ერთი მათგანის გამართლებაა" [16, გვ. 206]. ხაზგასასმელია ისიც, რომ მოტივის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების საფუძველი ე.წ. მაღალ მოთხოვნილებებში უნდა ვეძიოთ: "ადამიანის-თვის პირდაპირ დამახასიათებელი შეიქნა, რომ ყოველ-თვის თავის მოთხოვნილებას, რომელიც მას სრულიად გარკვეულს მომენტში და გარკვეულ პირობებში უჩნდება, თავისი მე-ს მუდმივს, მაღალს, გარდუვალ მოთხოვნილე-ბებს უკავშირდება და მათს დაკმაყოფილებაზე ამისდა მიხედვით ზრუნავს" მიგვანიშნებს ავტორი [16, გვ. 212-213]. მორალთან დაკავშირებით შემდეგი უნდა ვივარაუ-დოთ: ზნეობრივი აქტივობის უშუალო დეტერმინანტს არა სუბიექტისგან დამოუკიდებელი ზნეობრივი სტანდარტი წარმოადგენს, არამედ მის მიერ ჯერ ობიექტივირებული, მერე კი გაშინაგნებული ეთიკური შინაარსი, რომელიც შემდეგ მასში მორალური მოთხოვნილების სახით აქტუა-ლიზირდება.

ხაზგასამელია, რომ დ. უზნაძის აზრით, მოტივის გა-გებაში ჭარბობს "მორალ-ფილოსოფიური" თვალსაზრისი,

რაც ფსიქოლოგიური მიდგომით უნდა შეიცვალოს. მისთვის არსებითი სუბიექტის განცდისეული მდგომარეობა გახლავთ: "...ნამდვილს ნებისმიერ ქცევას ყოველთვის თან ახლავს ერთგვარი განცდა, რომ ამის გაკეთება შეგვიძლია, რომ ამის შესაძლებლობა ჩვენს ხელთაა" [16, გვ. 182]. ზნეობრივი არჩევანის განსაზღვრაში, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა სოციალიზაციის შედეგად ფორმირებულ მორალურ მოთხოვნილებებს გააჩნიათ. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ კონკრეტული ქცევის განხორციელებაში სიტუაციურად აღმოცენებული *მორალური გრძნობის* როლი აუცილებლად გასათვალისწინებელია (რაიმე ზნეობრივი საქციელი ადამიანში დადებითი შინაარსის გრძნობას უნდა იწვევდეს, ხოლო უზნეო მოქმედება საწინააღმდეგო ეფექტს უნდა განაპირობებდეს). საგულისხმოა, რომ მოტივის ცნების გააზრებაში თავისებურ მიდგომას შ. ჩხარტიშვილი გვთავაზობს, რომელსაც განწყობის თეორიის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, ნებელობის კანონზომიერებათა შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი. შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავს: "ამდენად, სწავლისა და შრომის მოტივს წარმოადგენს არა სუბიექტური ღირებულება, უშუალოდ თვით მათ აქტებთან დაკავშირებული სიამოვნება, არამედ ობიექტური ღირებულება... სწავლისა და ქცევის მოტივები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნახულობენ თავიანთ სათავეს და გარედან, სიტუაციის მხრიდან დგებიან ქცევის სუბიექტის წინაშე, როგორც საზოგადოების გარკვეული მოთხოვნები, გარკვეული ვალდებულებები" [21, 142-143]. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მოტივი, როგორც ობიექტური

ღირებულება "მორალიზებულია," ის მოთხოვნითი შინაარსის მქონეა, განცდისეულად "მე უნდა"-სთან არის დაკავშირებული. თუ რამდენადაა მოტივის შინაარსი უნივერსალური ან რელატიური, ჩვენი აზრით, ამაზე კონკრეტული პასუხის გაცემა მხოლოდ სათანადო ღირებულებათა შინაარსის გააზრებამ უნდა მოგვცეს.

დაბოლოს, დ. უზნაძის მიხედვით, მეორადი, ანუ შეძენილი მოთხოვნილებების ჩამოყალიბება, მათ შორის, ზნეობრივისაც, სათანადო *ასაკობრივ გარემოში* ხდება [15]. ფსიქიკური განვითარების შესახებ ძირითადი პრინციპების შემუშავების პროცესში დ. უზნაძე ასაკობრივი გარემოს ცნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ ცნებაში იგულისხმება, რომ ბავშვზე, ძირითადად, ის სტიმულაცია ზემოქმედებს, რომლის ფილტრაციასაც "მოწესრიგებული გარემო", ანუ უშუალო გარშემომყოფთა გარკვეული წრე მისთვის უზრუნველყოფს. იგულისხმება, რომ ასაკობრივი გარემო სუბიექტისთვის დამახასიათებელი ფუნქციონალური ტენდენციის (მოთხოვნილების ერთ-ერთი ფორმა) გამოვლენას სათანადო მიმართულებით წარმართავს. გარდა ამისა, ასაკობრივი გარემო სუბიექტის ასაკის ზრდასთან ერთად შინაარსეულადაც მნიშვნელოვნად იცვლება. ამდენად, ასაკობრივი გარემო *ფარდობითი* ანუ ცვალებადი თვისების მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ასაკობრივი გარემო, თავისი არსით, რასაკვირველია, სოციალური წარმონაქმნია, რომლის ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკურ განვითარებაზე, კერძოდ, მორალურ მსჯელობაზე და სათანადო ქცევაზე გადამწყვეტად უნდა ჩავთვალოთ.

დასკვნა

მეცნიერული შემეცნების პროცესზე და მის შედეგებზე საზოგადოებრივი და პიროვნული ღირებულებითი შინაარსის მქონე პრინციპების მნიშვნელოვანი ზემოქმედება ეჭვგარეშეა. რამდენად დადებითია ან უარყოფითი სხვადასხვა სახის ღირებულებათა "ჩარევა" მეცნიერულ ცოდნაში ის საკითხია, რომელიც წინამდებარე სტატიის მსჯელობის ძირითადი საგნის ფარგლებს სცილდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაში მორალური პრობლემების წარმოქმნა, რასაკვირველია, გარდუვალია და, ამასთან ერთად, მათი მეცნიერული გადაწყვეტა გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ეს, ალბათ, მაინც კარგ პერსპექტივად უნდა ჩავთვალოთ, რადგან გულმოდგინე კვლევა-ძიებისა და შემდგომ კიდევ ერთი შემოქმედებითი კამათის საწინდარი გახდება.

დაბოლოს, იმის აღნიშვნა გვსურს, რომ ქართველ ფსიქოლოგებს შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებათა დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი, მაგრამ ზნეობრივ მსჯელობათა და თვით ზნეობრივი ქცევის ფსიქიკური დეტერმინანტების შესწავლა სათანადო ყურდღების გარეშე რჩებოდა. მიგვაჩნია, რომ მომავალში ამ მიმართულებით კვლევა-ძიების წარმართვა პრიორიტეტულიც კი შეიძლება გახდეს.

ლიტერატურა

1. Kohen, R. Ethics and science. Boston studies in philosophy of science, 1974.
2. Кун, Т. Структура научных революций. М., 1977.

3. Давыдов, Ю. Социалъная философия франкфуртской школы. М., 1978.
4. Mc Mullin, E. A case of scientific realism. In: Esseays of scientific realism. Berkly, 1984, 53-71.
5. Борн, М. Моя жизнъ и взгляды. М., 1973.
6. Kurtines, W., Gerwitz, J. Certainty and morality: Objectivistic vesus relativistic approaches. In: Morality, moral behavior and moral development. N.Y., 1984, 3-32.
7. Hovard, G. The role of values in moral development. American Psychologist, 1985, 40, 255-265.
8. Kohlberg, L. Esseays in moral development: The psychology of moral development. N.Y., 1984.
9. Kohlberg., L. The claim to moral adequancy of a higher stage of moral judgement. Journal of Philosophy, 1973, 77, 630-664.
10. Gulligan, C. In a different voice. Cambridge, 1982.
11. Bandura, A. Social learning theory. Prentice-Halle, 1977.
12. Mischell, W., Mischell, H. A social cognitive-learning approach to socialization aand self-regulation. In: Moral development and bhevior: Theory, research and social issues. N.Y., 1976, 84-107.
13. Baumrid, D. A dialectical materialists perspective on knowing social reality. In: Moral development. San Fzancisco, 1978, 61-82.
14. Hogen, R., Bush, C. Moral conduct as auto-interpretation. In: Morality, moral behavior and moral development. N.Y., 1984, 227-240.
15. უზნაძე, დ. ბავშვის ფსიქოლოგია. თბილისი, 1947.
16. უზნაძე, დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1998.
17. გოგიჩაიშვილი, თ. მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია. თბილისი, 2001.
18. იმედაძე, ი. ინტერაქციონიზმი და განწყობის თეორია. მაცნე, 2005, 5, 79-92.
19. ჩარკვიანი, დ. ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში. თბილისი, 2001, 215-221.
20. ჩარკვიანი, დ. ფსიქიკური განვითარების თანამედროვე მეთოდები. მაცნე, 2005, 138-153.
21. ჩხარტიშვილი, შ. სკოლამდელი ბავშვის ძირითადი თავისებურებანი. ბავშვის ფსიქოლოგია (რედ. ვ. ნორაკიძე). თბილისი, 1964, 120-165.

„საქართველოს ფსიქოლოგიის *მაცნე*“, 2009, №1.

განწყობის ობიექტური ფაქტორი და მომუშავის ქცევის წინასწარმეტყველება ორგანიზაციაში

ინდუსტრიისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში ამჟამად მოღვაწე მკვლევართა ძირითადი ყურადღება შრომის სუბიექტის სხვადასხვა სახის ქცევათა საფუძვლად მდებარე მოტივაციური მექანიზმების მეცნიერულ შესწავლაზეა გამახვილებული. ინტენსიური კვლევის საგანი შრომის პროცესში (რომელიც მანამდე, უპირატესად, ფსიქოფიზიკური მონაცემების თვალსაზრისით შეისწავლებოდა) მომუშავის მიერ საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და დასახულ მიზანთა მიღწევის ხელშემწყობი პირობების გამოვლენა გახლავთ, ხოლო მომუშავის ესა თუ ის ფსიქოფიზიკური მახასიათებელი ამ მოტივაციურ ძალთა ფუნქციონირების ხელშემწყობ, ინსტრუმენტული დანიშნულების მქონე ცვლადად განიხილება. გარდა ამისა, საგრძნობლად გაიზარდა მკვლევართა ინტერესი შრომით საქმიანობასთან ორგანულად დაკავშირებული ისეთი მოვლენების შესწავლის მიმართ, როგორიც არის კადრების პროფესიული გავარჯიშება, ორგანიზაციის შიგნით პერსონალის გადაადგილების სხვადასხვა ფორმები, პიროვნებათშორისი ურთიერთობები, არასამუშაო დრო და ა.შ. როგორც ვხედავთ, ინდუსტრიისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია შრომის სუბიექტის ქცევის ფართო სპექტრის შესწავლაზეა მომართული და განიხი-

ლავს მას როგორც პიროვნებას, რომელიც ორგანიზაციასთან და სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან აქტიურ ურთიერთობაშია ჩაბმული. კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში ადამიანის აქტივობის *მოლარულ დონეზე* (ადამიანის ქცევის შემსწავლელი მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელშიც, უპირატესად, მისი მთლიანობითი ბუნება და შინაარსეული მხარეა გათვალისწინებული) შესწავლასთან გვაქვს საქმე. ფსიქიკური პროცესების და ღია ქცევის შესწავლაში ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომის აუცილებლობა განწყობის თეორიის ავტორმა ხაზგასმით მაშინ აღნიშნა, როდესაც მან ქცევის დეტერმინაციის და მის სახეობათა კლასიფიკაციის საფუძვლად მდებარე კონცეფტური პრინციპები განიხილა. ასეთი სახის კვლევა შრომის სუბიექტის საქმიანობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენის კარგ საშუალებას იძლევა. მის საფუძველზე მოპოვებული მონაცემები ადამიანთა ორგანიზაციული ქცევის (დაწესებულებაში მომუშავეთა ზოგადი აქტივობის აღმნიშვნელი ტერმინი) სანდო წინასწარმეტყველების და ოპტიმალური მართვის საწინდარია.

განიხილავს რა ქცევის სახეობათა კლასიფიკაციის საკითხს, დ. უზნაძე სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს ადამიანის ქცევის იმგვარ გაგებას, რომელიც ბიჰევიორისტულ და გეშტალტფსიქოლოგიურ მიდგომებში იყო შემუშავებული. ამ მიდგომების კრიტიკის საფუძველი იმაში მდგომარეობდა, რომ მათში უგულებელყოფილია ქცევის შინაგანი შინაარსეული მხარე, რომელიც ადამიანის ფსიქიკური აქტივობის დონის მიხედვით ამა თუ იმ სახის

მოთხოვნილება ან მოტივი შეიძლება იყოს. მან "ფიზიკური" ქცევის ცნება შემოგვთავაზა, რომელიც ადამიანის აქტივობის მხოლოდ გარეგან მხარეს ასახავს და რომელიც, მისივე საფუძვლიანი შენიშვნის თანახმად, ვთქვათ, ეთიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით სხვადახვაგვარად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული [1]. მას მიაჩნია, რომ ფსიქოლოგიურმა მიდგომამ ადამიანის აქტივობის შინაგანი მასტიმულირებელი, განზრახვითი ბუნების მქონე მიზეზი უნდა გამოავლინოს. საკუთარი ზოგადთეორიული მიდგომის საფუძველზე ქცევის ფორმათა გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით დ. უზნაძე აღნიშნავს: "შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქცევის ეს ფორმები გარდუვალი ზღუდეებით არიან ურთიერთისგან გამოყოფილი, პირიქით, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი ისე მჭიდროდ უკავშირდებიან ურთიერთს, რომ ხშირად ძნელი ხდება ადამიანის ესა თუ ის კონკრეტული ქცევა რომელსამე აღნიშნულ ფორმას მივაკუთვნოთ. რამდენადაც ქცევის ფორმათა კლასიფიკაციის საფუძვლად ფსიქოლოგიური თვალსაზრისი აქვს დადებული, უნდა ვიფიქროთ, რომ იმის გადასაწყვეტად, თუ უმთავრესად ქცევის რა ფორმებთან გვაქვს საქმე ყოველს მოცემულ მომენტში, მხოლოდ სუბიექტურს ძირითად განცდას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საინტერესო იქნებოდა საგანგებოდ გვეჩვენებინა, თუ რამდენად ხშირია შემთხვევები, რომ ობიექტურად, თითქმის სავსებით, ერთი და იგივე ქცევა, იმის და მიხედვით თუ როგორია სუბიექტის ძირითადი განცდა, ნამდვილად არსებითად განსხვავებულ ქცევის ფორმებს წარმოადგენს. ეს ერთ-ერთი უძლეველი

საბუთი იქნებოდა იმ აზრის სასარგებლოდ, რომ ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ნიადაგზე ქცევის ნამდვილად ნაყოფიერი კვლევა სრულიად უიმედო საქმეს წარმოადგენს" [2, გვ. 463].

ამდენად, ბუნებრივ პირობებში ქცევის განსხვავებული ფორმების ერთმანეთისგან გარჩევა ძნელია. ქცევის ფიზიკური მხარე მის მრავალფეროვნებაზე თითქმის არაფერს გვეუბნება, ამიტომ აუცილებელია მისი ისეთი კლასიფიკაცია, რომელიც შინაგან ფსიქიკურ ფაქტორებზე იქნება დამყარებული, ხოლო საკუთრივ განწყობის თეორიაში ამგვარი ფაქტორების როლს სხვადასხვა სახის მოთხოვნილებები (ფუნქციონალური ტენდენციის ჩათვლით) ასრულებენ. ამასთან ერთად, ამგვარი კლასიფიკაციის აუცილებლობა არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ უფრო სრულად აღვწეროთ ადამიანის მოტივაციურ მდგომარეობასა და ქცევას შორის არსებული კავშირი, არამედ ამგვარი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის ეფექტურობაც სათანადოდ უნდა დასაბუთდეს. ჩვენი აზრით, ასეთი დასაბუთების კრიტერიუმად, პირველ რიგში, *ქცევის წინასწარმეტყველების* ხარისხი უნდა მივიჩნიოთ. უდავოა, რომ, თუ ამ მიდგომას ორგანიზაციულ ქცევას დავუკავშირებთ, მაშინ ეს მრავლისმთქმელი იქნება, მაგალითად, ისეთი საკითხის გარკვევაში, როგორიც ქცევის სხვადასხვა ფორმების განსხვავებული ეფექტურობა გახლავთ. აქვე დაისმის შემდეგი კითხვა: არის კი საკმარისი ადამიანის "მოლარული" ქცევის (მაღალი რანგის, მთლიანობითი ბუნების მქონე მოქმედება) სათანადო პროგნოზირებისთვის მხოლოდ მოთხოვნილების და ქცევის ფორმე-

ბის კლასიფიკაციით შემოფარგვლა? ვფიქრობთ, რომ არა, რადგან თვით განწყობის თეორიის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე დეტალურ ანალიზს განწყობის ობიექტური ფაქტორი, ანუ სიტუაცია მოითხოვს.

ქცევის ფუნქციონირების საფუძვლად მდებარე ძირითადი მექანიზმის, ე.ი განწყობის სპეციფიკის დასახასიათებლად დ. უზნაძე ისეთ ცნებით კონსტრუქტებს მიმართავს, როგორიც არის მოთხოვნილება და სიტუაცია. განწყობა ლატენტური (ფარული) ცვლადია, მისი თვისებების გამოვლენა მოთხოვნილების და სიტუაციის მახასიათებელთა გათვალისწინებით წარმოებს. ეს იმას ნიშნავს, რომ განწყობის ოპერაციონალური პარამეტრების დადგენა სწორედ ამ ფაქტორების საფუძველზე ხდება. ექსპერიმენტულმა მონაცემებმა ორივე ცვლადის, როგორც ეს თეორიულადაც ივარაუდებოდა, განწყობასთან მიმართებაში მადეტერმინირებელი მნიშვნელობა ნათლად დაასაბუთა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სიტუაციის ფაქტორთან შედარებით, დაბალი და მაღალი დონის, კერძოდ, ვიტალური, სოციალური, "მე"-ს მოთხოვნილებების შესახებ ბევრად მეტი ითქვა. ამავე დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განწყობის თეორიის ძირითადი ამოცანა მოქმედი სუბიექტის და გარემოს იმ მახასიათებლების დადგენაში მდგომარეობს, რომლებიც არა მხოლოდ ზოგადად ადამიანის, არამედ კონკრეტული პიროვნების აქტივობის თავისებურებას განსაზღვრავენ. თაეის დროზე ჩვენს მიერ ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა დონის განწყობათა იერარქიის პრინციპის მიხედვით ანალიზი ამ თვალსაზრისით წარმოებს და გან-

წყობის ობიექტური ფაქტორის შესახებ საკითხი საკმაოდ აქტუალური სახით სწორედ ამ შემთხვევაში წამოიჭრა [3].

შრომის სუბიექტის საქმიანობის უფრო ქმედითი შესწავლისთვის მიზანშეწონილად შემდეგი საკითხების განხილვა მიგვაჩნია: პირველი, განწყობის თეორიაში ნაგულისხმევი სიტუაციის ფორმათა სათანადო თვისებების გამოყოფა; მეორე, ორგანიზაციული გარემოს ცალკეული ფორმების დახასიათება; მესამე, ორგანიზაციული გარემოს დინამიკური მახასიათებლების გამოყოფა; მეოთხე, ამოცანის სიტუაციაში გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებათა განხილვა. ქვემოთ ამ საკითხებს ამავე თანმიმდევრობით განვიხილავთ.

განწყობის ობიექტური ფაქტორის ფორმები დ. უზნაძის მიხედვით. დ. უზნაძე ადამიანის ქცევის თავისებურებათა გამოვლენის მიზნით ფსიქიკური აქტივობის დონეთა მიხედვით მეთოდოლოგიურ ანალიზს იყენებს. აქ, მსჯელობის საგანი პირველადი განწყობის და ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე პროცესები გახლავთ. ავტორის აზრით, სიტუაციის სპეციფიკა ყველაზე ნათლად იმპულსური და ნებელობითი ქცევის შედარების შემთხვევაში მჟღავნდება. განიხილავს რა ადამიანის ქცევის სპეციფიკასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს, დ. უზნაძე მიუთითებს, რომ გარემოსთან აქტიურ ურთიერთობას სუბიექტი მხოლოდ მაშინ იწყებს, როდესაც მას რაიმე მოთხოვნილება გაუჩნდება. მის აღმოცენებამდე მისი დამოკიდებულება გარემოსადმი "ინდიფერენტულია," ხოლო გარემო სიტუაციად მხოლოდ მოთხოვნილების, როგორც

განცდისეული მდგომარეობის წარმოქმნის შემდეგ გარდაიქმნება. თეორიულად იგულისხმება, რომ ადამიანსა და გარემოს შორის აქტიური ურთიერთმოქმედება გარკვეული მოთხოვნილების აღმოცენების შემდეგ იწყება და კონკრეტული ქცევის განწყობა მას შემდეგ ფორმირდება, როდესაც გარემო მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციად გარდაიქმნება. ქცევის დეტერმინაციაში განწყობის ობიექტური ფაქტორის, კერძოდ, "მოთხოვნილების საგანთან" დაკავშირებით დ. უზნაძე აღნიშნავს: "მაშასადამე, რა ძალებს აამოქმდებს სუბიექტი და როგორი იქნება მოქმედება, ეს საგანზეა დამოკიდებული, რომელიც სუბიექტს ესაჭიროება და რომლისკენაც მისი ძალებია მიმართული. მოქმედების აქტივობას, ქცევის რაგვარობას საგანი განსაზღვრავს. აქტივობა მუდამ საგნობრივია, უსაგნო მოქმედება ყოველს გარკვეულობას მოკლებული ქაოტური უაზრო პროცესი იქნებოდა, რომელსაც ქცევას ვერავინ უწოდებდა". [2, გვ. 433].

თუ ისევ მივმართავთ ფსიქიკური აქტივობის დონეთა მიხედვით ანალიზს, მაშინ განწყობის ობიექური ფაქტორის გააზრების სხვა ასპექტის გამოყოფაც შეგვიძლია, კერძოდ, ობიექტივაციის აქტის აღმოცენება გვაქვს მხედველობაში. დ. უზნაძის მიხედვით, ობიექტივაციის წარმოქმნა "სიტუაციის გართულებით" არის გამოწვეული, აწმყოში მიმდინარე განწყობისეული აქტივობა წყდება, რადგან მის დონეზე ადამიანს მიზანშეწონილი მოქმედების გაგრძელება აღარ შეუძლია [3]. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ამოცანის სიტუაციის ჩამოყალიბებასთან, რომელიც, თეორიის თანახმად, ადამიანისთვის სპეციფიკუ-

რად დამახასიათებელი ობიექტივაციის აქტის უშუალო მიზეზია. ამდენად, თეორიაში ივარაუდება, რომ განწყობის ობიექტური ფაქტორი პრობლემური სიტუაციის სახით შეიძლება წარმოჩინდეს.

ნიშანდობლივია, რომ განწყობის ზოგად თეორიაში მისი ავტორი განწყობის ობიექტური ფაქტორის ორ ფორმას, კერძოდ, *აქტუალურ* და *წარმოსახულ* სიტუაციას გამოყოფს. მათი თავისებურება ყველაზე ნათლად პიროვნების ნებელობითი აქტივობის დახასიათების შემთხვევაში ელინდება. დ. უზნაძე ნებელობითი ქცევის არსებით ნიშნად იმას მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში რეალური ქცევის განწყობა, აქტუალური სიტუაციის ნაცვლად, წარმოსახული სიტუაციით არის დეტერმინირებული. განიხილავს რა ამ საკითხს, ის იმაზე მიგვითითებს, რომ აქტივობის ორივე სახეს, კერძოდ, იმპულსურს და ნებელობითს, განწყობა განსაზღვრავს და ამ თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება არ არსებობს, ხოლო ეს უკანასკნელი საკუთრივ განწყობის აღმოცენების პროცესში უნდა ვეძიოთ: იმპულსური მოქმედების დროს განწყობის ფორმირებას აქტუალური სიტუაცია განაპირობებს, ანუ სუბიექტს სავსებით კონკრეტული მოთხოვნილება გააჩნია და სათანადო კონკრეტული სიტუაციის ზემოქმედების შედეგად იმპულსური ქცევის განწყობა აღმოცენდება. სხვაგვარად არის საქმე ნებელობითი ქცევის ვითარებაში. ამჯერად "მე"-ს, ანუ მაღალი დონის პიროვნული მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს და, შესაბამისად, სუბიექტი მომავალ ვითარებას ითვალისწინებს – ის ამჟამინდელი მომენტის ფარგლებს სცილდება. ამ ნიადაგზე

ჩამოყალიბებული ქცევის განწყობის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს, ხოლო თვით ახლად წარმოქმნილი განწყობის საფუძველი გადაწყვეტილების მიღების ნებელობითი აქტია.

განწყობის ობიექტური ფაქტორის უფრო სრულყოფილი დახასიათების მიზნით ასაკობრივი გარემოს ცნებას მივმართოთ, რომელიც დ. უზნაძემ ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებათა დახასიათების შემთხვევაში გამოიყენა. მას მიაჩნია, რომ სხვა ცოცხალი არსებებისგან განსხვავებით, ბავშვს უფრო მცირე რაოდენობის თანდაყოლილი ფსიქიკური მექანიზმები გააჩნია. ბავშვზე ფიზიკური გარემო პირდაპირ არასდროს არ მოქმედებს; მისი გავლენა იმით არის გაშუალებული, რომ ჯერ ოჯახის, შემდეგ კი სკოლის და სხვა სოციალური ინსტიტუტების წყალობით თვით ფიზიკური გარემო შერჩევას, მოწესრიგებას და გარდაქმნას ექვემდებარება. ბავშვის განვითარება და ზოგადად მისი პიროვნებად ჩამოყალიბება (ხანგრძლივი სოციალიზაციის პროცესი) სწორედ ამიტომ ხდება შესაძლებელი. დ. უზნაძის აზრით, ფსიქიკური განვითარების საფუძველს გარე და შინაგანი ფაქტორების *თანხვდომა* წარმოადგენს, ხოლო ამის განხორციელებას სოციალურად განსაზღვრული ასაკობრივი გარემო განაპირობებს [3]. სოციალურმა გარემომ, თავის მხრივ, თვით სუბიექტის შესაძლებლობები უნდა გაითვალისწინოს; მან ისეთი გარე ვითარება უნდა შექმნას, რომელიც ამ შესაძლებლობების განვითარების და განხორციელების ხელშემწყობი პირობა იქნება.

მოკლედ შეეაჯამოთ ის კონცეფტური დებულებები, რომლებიც განწყობის ობიექტურ ფაქტორთან არიან დაკავშირებული (აქ, მხედველობაში არ ვიღებთ წარმოსახული სიტუაციის სახით წარმოდგენილ სუბიექტის განცდისეულ მდგომარეობას). ერთი მხრივ, განწყობის თეორიაში მის დასახასიათებლად გარემოს, სიტუაციის და მოთხოვნლების საგნის სამი ტერმინი გამოიყენება. ზოგადთეორიული თვალსაზრისით, სამივე მათგანი ერთი, კერძოდ, "ობიექტური სიტუაციის" ცნებით კონსტრუქტში თავსდება, რადგან ისინი რეალური ქცევის განწყობის ფორმირების აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენენ. ამავე დროს ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სიტუაცია და მოთხოვნილების საგანი ერთმანეთისგან იმ თვალსაზრისით განვასხვაოთ, რომ პირველი, ფაქტობრივად, კონკრეტული განწყობის აღმოცენების და შემდგომ სათანადო ქცევის მიმდინარეობის კონტექსტია, რომელსაც "*ფიგურისა და ფონის*" მგავსი მთლიანობითი თვისების მქონე სტრუქტურა ახასიათებს. სხვადასხვა სახის მოთხოვნილებათა საგნების (ფიზიკური ობიექტებით დაწყებული მაღალი რანგის ღირებულებებით დამთავრებული) გაზომვის შემთხვევაში სიტუაციის, როგორც გარკვეული სტრუქტურის მქონე მოვლენად გააზრებას შესაძლოა სათანადო ოპერაციონალური მნიშვნელობა გააჩნდეს. ხასგასასმელია აგრეთვე გარემოს და სიტუაციის ცნებით კონსტრუქტებს შორის ურთიერთკავშირი: პროცესუალური თვალსაზრისით, სიტუაციის სახით გააზრებული გარემო განწყობის ობიექტურ ფაქტორად გარდაიქმნება. ამდენად, ქცევის განწყობის ფორმირებაში ამ მოვლენებს განსხვავებული

ფუნქციური დატვირთვა გააჩნიათ. კვლევის მეთოდოლოგიის ასპექტით, მნიშვნელოვანია, რომ გარემოსა და სიტუაციას შორის ხშირი "გარეგნული" მსგავსების მიუხედავად, ამ უკანასკნელს, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად ფარდობითობის თვისება ახასიათებს. თუ ნათქვამს ასაკობრივ გარემოს დავუკავშირებთ, მაშინ, თვით ამ ცნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ის სიტუაციად იმ შემთხვევაში გარდაიქმნება, როდესაც მასთან ასაკით შესატყვისი სუბიექტების ქცევითი განწყობების რეალიზაცია მოხდება, რაც, ჩვენი აზრით, შრომითი ქცევის ასპექტში ძალიან მნიშვნელოვანია: ორგანიზაციულ გარემოს ისეთი დაგეგმარება სჭირდება, რომ ის შრომის სუბიექტის პიროვნული შესაძლებლობების ოპტიმალური განხორციელების სიტუაციად გარდაიქმნას.

მეორე მხრივ, ის, რასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, აქტუალურ ამოცანას და წარმოსახულ სიტუაციას ეხება. ეს უკანასკნელი, დ. უზნაძის თანახმად, "არსებული მდგომარეობის" გართულებასთან არის დაკავშირებული, რომელიც მაშინ წარმოიქმნება, როდესაც ადამიანის აქტივობასა და აქტუალურ ვითარებას შორის წონასწორობა არის დარღვეული. ამოცანის სიტუაცია ობიექტივაციის აქტის მიზეზია. ამ მოვლენის ფუნქციური დანიშნულება ქცევის დონეთა და მისი ფორმების ცვლილებაში მდგომარეობს, ანუ პირველ შემთხვევაში ერთი საფეხურიდან სხვაზე გადასვლა, ხოლო მეორეში ერთი რომელობის განსხვავებული რომელობით შეცვლა იგულისხმება. აქტუალური (ობიექტური) და წარმოსახული სიტუაციის ერთმანეთისგან გამიჯვნას რაც შეეხება, პირველი ფსიქიკუ-

რი ფენომენია და ნებელობითი აქტიეობის პროცესში გადაწყვეტილების მიღების განმსაზღვრელი ფაქტორია. თეორიიდან გამომდინარე, შეიძლება ისიც ითქვას, რომ აქტუალური სიტუაცია ობიექტური ვითარების ფიზიკური და სოციალური პარამეტრების გამომხატველია, ხოლო წარმოსახული სიტუაცია, როგორც ადამიანის შინაგანი განცდისეული მდგომარეობა, ფსიქიკურ მახასითებლებს ავლენს. მომდევნო ორ პარაგრაფში ჩვენი მსჯელობის საგანი გარემოს, ანუ "ობიექტური სიტუაციის" ძირითად თვისებებს და ცალკეულ ფორმებს ეხება.

ორგანიზაციული გარემოს ცალკეული ფორმები. ადამიანის პროფესიული საქმიანობის წინასწარმეტყველება და, შესაბამისად, მისი ეფექტურობის გაუმჯობესება ორგანიზაციული გარემოს (შრომით განწყობათა ჩამოყალიბების და მოქმედების ობიექტური ფაქტორი) დაგეგმარებაზეა არსებითად დამოკიდებული (ძირითადად, სამრეწველო დაწესებულებები გვაქვს მხედველობაში). ქვემოთ, საორგანიზაციო გარემოს ორ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელზე, კერძოდ, ადამიანურ-მანქანურ სისტემებზე და ორგანიზაციის კულტურაზე გავამახვილებთ ყურადღებას. გასათვალისწინებელია ის, რომ ადამიანურ-მანქანური სისტემები, პირველ რიგში, შრომითი გარემოს ტექნოლოგიურ მხარესთან არიან დაკავშირებული, ხოლო ორგანიზაციის კულტურა, არსებითად, შრომის სუბიექტის სოციალური ქცევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორის და, ნაწილობრივ, მაპროგნოზირებელი მოვლენის როლშიც გამოდის.

მოვლენათა დახასიათების და შესწავლის სისტემური მეთოდოლოგიის თანახმად, ორგანიზაცია ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისგან შემდგარ სოციალურ სისტემად უნდა განვიხილოთ, რომლის ცალკეული ელემენტების გააზრება მხოლოდ მთლიანობასთან მიმართებაშია შესაძლებელი. საკუთრივ სისტემა, როგორც ერთობლიობა, გარკვეულ ფუნქციას ასრულებს. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ცალკეული ნაწილების გაერთიანება გარკვეულ ერთობლობას კი ქმნის, მაგრამ ის ჯერ კიდევ სისტემას არ წარმოადგენდეს. რაიმე ერთობლიობა სისტემად მაშინ გარდაიქმნება, როდესაც, ვთქვათ, სათანადო მექნიზმი ჩამოყალიბდება. ყოველი სისტემა რაიმე უფრო დიდი ერთობლიობის შემადგენელ ნაწილად შეიძლება იქნეს განხილული (მაგალითად, ნებისმიერ ორგანიზაციაში მისი ქვედანაყოფების იერარქიული აღნაგობა). საკუთრივ *ადამიანურ-მანქანური სისტემა* ადამიანი-ოპერატორის, ან ოპერატორთა ჯგუფის ისეთი ერთობლიობა გახლავთ, რომლის საშუალებით ის ან ისინი სამუშაოს ასრულებენ. მომუშავე და მანქანა ერთიან სისტემას ქმნიან, რომლის დაგეგმარების პროცესში ტექნიკურ მხარესთან ერთად, როგორც სისტემის შემდგენელი ნაწილი, ადამიანი-ოპერატორის მოქმედებათა თავისებურებების გათვალისწინება ხდება. ადამიანი-ოპერატორის კონკრეტულ სისტემაში მოქმედება საკუთრივ სისტემის არსებითი თავისებურების განმსაზღრელია.

კომპლექსური მიდგომის მიხედვით, ადამიანურ-მანქანური სისტემის დაგეგმარება ტექნიკურ, მხატვრულ და საინჟინრო-ფსიქოლოგიურ კომპონენტებს შეიცავს. ტექნი-

კური კომპონენტის მიზანია სისტემის ტექნიკური მხარის შემუშავება, რომელიც დაგეგმარების ტრადიციულ მიდგომად გვეელინება. სისტემის მომხმარებლური მხარის, ვთქვათ, მისი სარგებლიანობის და მიმზიდველობის შემუშავებას მხატვრული დაგეგმარება უზრუნველყოფს. საინჟინრო-ფსიქოლოგიური დაგეგმარება ყველა იმ საკითხს წყვეტს, რომელიც სისტემაში ადამიანი-ოპერატორის ოპტიმალურ ჩართვასთან არის დაკავშირებული. თუ ტექნიკური დაგეგმარების მიზანი სისტემის ტექნიკური პროექტის აგებაში მდგომარეობს, ამის მსგავსად, საინჟინრო-ფსიქოლოგიური პროექტირების ამოცანას ადამიანი-მანქანის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროექტის შექმნა წარმოადგენს. გარდა ამისა, საინჟინრო-ფსიქოლოგიურ დაგეგმარებაში ტექნიკური პროექტის და ადამიანური ფაქტორის დაკავშირება და ამის საფუძველზე "ადამიანი-მანქანის" ურთიერთგანმსაზღვრელი მთლიანობითი ხასიათის განზოგადებული პროექტის შექმნაც იგულისხმება. ზოგადად რომ ვთქვათ, ადამიანურ-მანქანური სისტემის დაგეგმარების საბოლოო მიზანი, როგორც ოპერატორის, ასევე მთლიანად სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაში მდგომარეობს.

ორგანიზაციის გააზრება კულტურის ფენომენად და შრომის სუბიექტის ქცევის მარეგულირებელ ფაქტორად შედარებით ახალ კონცეფტურ მიდგომას წარმოადგენს (ეს, განსაკუთრებით გამოყენებითი ფსიქოლოგიის ცალკეული დარგების მიმართ ითქმის). ტრადიციულად, ორგანიზაცია რაციონალური წესებით მოქმედ სოციალურ სისტემად განიხილებოდა. მის ძირითად ამოცანად მომუშა-

ვეთა საქმიანობის სათანადო კოორდინაცია და კონტროლი ითვლებოდა. მკვლევართა ძირითადი ყურადღება ორგანიზაციის ვერტიკალურ დიფერენციაციაზე, განყოფილებების ჩამოყალიბებაზე და თანამშრომელთა შორის თანამდებობრივ, ე.ი. ძალაუფლებრივ ურთიერთობებზე იყო გამახვილებული. ამჟამად სავსებით ნათელი გახდა, რომ ორგანიზაცია უფრო ფართო და მრავალმხრივი სოციალური წარმონაქმნია, ვიდრე ის ტრადიციულად მოიაზრებოდა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კონკრეტული ორგანიზაცია თავისი მახასიათებლებით ისევე განუმეორებელია, როგორც ცალკეული შრომის სუბიექტი. მისთვის ადმინისტრირების მოქნილობა ან მოუქნელობა, მასში ადამიანთა შორის მეგობრული ან მტრული სულისკვეთების არსებობა, წარმოების მართვის პროცესში სიახლეზე ორიენტაცია ან კონსერვატიული მიდგომა შეიძლება იყოს დამახასიათებელი. მკვლევართა მიერ ნათლად არის გაცნობიერებული ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ნებისმიერი ორგანიზაციის ცხოვრებაში კულტურალურ ფაქტორებს ენიჭებათ. განზოგადებულად რომ ვთქვათ, *ორგანიზაციის კულტურა* დაწესებულების სოციალური თავისებურებების, მასში დამკვიდრებული ღირებულებების, ტრადიციების, ნორმების, განწყობებისა და ზნე-ჩვეულებების გამომხატველ ერთობლიობად შეგვიძლია განვიხილოთ. საგულისხმოა, რომ ორგანიზაციის კულტურის ცნების გააზრება ე.წ. ინსტიტუციონალიზაციის მოვლენასთან ორგანულად არის დაკავშირებული. *ინსტიტუციონალიზაციაში* ორგანიზაციის, როგორც სოციალური სისტემის მიერ დამოუკიდებელი ფუნქციონირების

დასაწყისი და საკუთარი ისტორიის შექმნის პროცესი უნდა ვიგულისხმოთ. როდესაც ორგანიზაციის ინსტიტუციონალიზაცია ხდება, მისი ფუნქციონირება, ასე ვთქვათ, სპეციფიკურ ხასიათს იძენს და, გარკვეულ ფარგლებში, დამოუკიდებელ "ცხოვრებას" იწყებს. გარდა ამისა, გარკვეული თვალსაზრისით, ინსტიტუციონალიზაციის განხორციელების შემდგომ ორგანიზაცია თავისთავად ხდება ღირებული იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა პროდუქციას აწარმოებს ან საზოგადოებას რა სახის მომსახურებას უწევს. ხაზგასასმელია, რომ როდესაც ორგანიზაციის მიზნები ცვალებადი გარემოს მოთხოვნებს აღარ შეესაბამებიან, მაშინ მან ისინი ძირეულად უნდა შეცვალოს.

ორგანიზაციულ გარემოში ადამიანის ქცევის (შრომითი საქმიანობა, პიროვნებათშორისი ურთიერთობები და სხვა) პროგნოზირების მიზნით სპეციალური უნარების, ინდივიდუალური თავისებურებების, შრომითი განწყობების, ინტერესების და ღირებულებითი ორიენტაციების გამზომი მეთოდები შეიძლება იყოს გამოყენებული. ამგვარი მიდგომა, მეტ-ნაკლებად, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური საქმიანობის ეფექტურობის შესახებ პროგნოზის გაკეთების ვითარებაშია სასარგებლო. ისიც აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური თვისებების გამზომი ტესტები, პიროვნების სოციალური განწყობების გამზომ სკალურ მეთოდებთან შედარებით, ორგანიზაციული გარემის მახასიათებლების დინამიკურ ხასიათს ნაკლებად ითვალისწინებენ. ეს გარემოება, ვთქვათ, რომელიმე კონკრეტული დაწესებულების სოციო-ფსიქოლოგიური კლიმატის შემსწავლელმა პრაქტიკოსმა მკვლევარმა აუცილებ-

ლად უნდა მიიღოს მხედველობაში. კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ქცევის მადეტერმინირებელი ფაქტორების ადამიანთა ჯგუფური აქტივობის დონეზე ანალიზი ცალკეული ადამიანის დონის ანალიზისაგან უნდა განვასხვაოთ და, ამის შესაბამისად, სათანადოდ გავითვალისწინოთ საკუთრივ სხვადასხვაგვარი სიტუაციური მახასიათებლები.

ყურადსაღებია საკითხი, რომელიც განწყობის ობიექტური ფაქტორის გაზომვის კრიტერიუმებს ეხება. ორგანიზაციული გარემო და, განსაკუთრებით, კონკრეტული სიტუაცია (ფსიქოლოგიური შინაარსის მქონე მოვლენა) *მრავალგანზომილებიანი* წარმონაქმნებია. მივმართოთ კონკრეტული სიტუაციის მაგალითს: დავუშვათ, რომ საწარმოს დირექცია მაღალი კვალიფიკაციის მქონე გარკვეული პიროვნების სამსახურში მიღებით არის დაინტერესებული. ამ ადამიანის სხვა ორგანიზაციაში მუშაობის ხარისხის გათვალისწინებით, მის შესახებ სათანადო "მაპროგნოზირებელი" ინფორმაციის მოპოვება შეიძლება. სიტუაციის თვისებრივი დახასიათების ასპექტით სასარგებლო იქნება იმის გარკვევა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ პიროვნებისთვის, ვთქვათ, სამსახურის პრესტიჟულობა ისეთ ცვლადებთან შედარებით, როგორიც არის ხელფასი, შრომის პირობები, თანამშრომლებთან ურთიერთობა და სხვა. მხოლოდ შინაარსობრივი ინფორმაციის გათვალისწინებაც კი გარკვეული ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ოპტიმალური ვარიანტი რაოდენობრივ მინაცემთა არსებობას გულისხმობს. ისიც

დავუშვათ, რომ ამგვარი მონაცემები მოპოვებულია, მაშინ მათ საფუძველზე გამოითვლება რეგრესიის განტოლება, რომელიც ამ პიროვნების სხვა სამუშაოზე გადასვლის შესაძლებლობასა და სამსახურის პრესტიჟულობას შორის სავარაუდო მიზეზობრივ კავშირს გამოავლენს. თუ ამ ცვლადებს შორის მიმართება სტატისტიკურად მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა, მაშინ შესაძლებელი გახდება ამ პიროვნების დირექციისთვის სასურველი მოქმედების შესახებ გარკვეული ალბათური პროგნოზის გაკეთება. გარდა ამისა, სიტუაციის მახასიათებელთა მანიპულაციის (ამ შემთხვევაში პრესტიჟის ფაქტორის) საშუალებით მის გადაწყვეტილებაზე რეალური ზემოქმედების მოხდენაც არ გახლავთ გამორიცხული. რასაკვირველია, ეს ჰიპოთეზური მაგალითი ძალზე ამარტივებს იმ სიძნელეს, რომელიც კონკრეტული ქცევის წინასწარმეტყველებას ეხება. ამავე დროს, ის იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სათანადო მრავალკრიტერიალური სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით სიტუაციური მახასიათებლების ვალიდური გაზომვა სავსებით შესაძლებელია.

ქცევის წინასწარმეტყველებისთვის აუცილებელია იმ გარემოს ობიექტური პარამეტრების გათვალისწინება, რომელიც კონკრეტული ქცევის განწყობის ფორმირების "სიტუაციად გარდაიქმნება". ორგანიზაციული ქცევის განხილვის დროს ამ პროცესუალური მხარის გათვალიწინებაც არის საჭირო. დაისმის შემდეგი კითხვა: როგორ არის შესაძლებელი გარემოს (რომელიც სიტუაციად ჯერ არ გარდაქმნილა) თვისებების აღწერა? ამგვარი დახასიათების ერთ-ერთი მცდელობა რ. ჰოვარდს ეკუთვნის, რო-

მელიც, ჩვენი აზრით, ქცევის მაპროგნოზირებელი ობიექ-ტური კრიტერიუმების გამოსაყოფად ნამდვილად მისაღე-ბია [4]. მის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია იმით არის საყურადღებო, რომ ის, ოპერაციონალობის თვალ-საზრისით, როგორც ფიზიკურ, ასევე სოციალურ გარე-მოს მიესადაგება. ამ კლასიფიკაციის მიხედვით გარემო სამგანზომილებიანი სივრცის სახით განიხილება, ხოლო განუსაზღვრელობა, დინამიკურობა და სირთულე მისი პა-რამეტრებია. გარემოს *განუსაზღვრელობის* არსებობის შემთხვევაში ისეთ მოვლენებთან გვაქვს საქმე, რომელთა სრული წინასწარმეტყველება შეუძლებელია. გარემოს მე-ორე თვისებაში მისი *დინამიკურობა* იგულისხმება, ანუ დროის განზომილების მიხედვით ის გარკვეულ ცვლილე-ბებს განიცდის. მისი მესამე თვისება იმაზე მეტყველებს, რომ მისთვის *სირთულის* გარკვეული ხარისხია დამახასი-ათებელი; ანუ გარემო მით უფრო რთულია, რაც უფრო მეტი მოვლენები მიმდინარეობენ მასში. ამ კონცეფტური მოდელის თანახმად, გარემოს მდგომარეობა, ძირითადად, ორგვარია, კერძოდ, სტაციონარული, ანუ დეტერმინისტუ-ლი და ალბათური – ანუ სარისკო. სტაციონარული მდგომარეობა ისეთ ვითარებას წარმოადგენს, რომელშიც ადამიანი განსაზღვრულობის პირობებში მოქმედებს. ამ ვითარებაში ყოველი შესაძლო მოქმედებიდან გამომდინა-რე შედეგი ცალსახა გარკვეულობით ხასიათდება. სტაცი-ონარული მდგომარეობა "მარტივი და სტატიკური," "მარ-ტივი და დინამიკური", "რთული და სტატიკური," "რთუ-ლი და დინამიკური" შეიძლება იყოს. გარემოს მეორე მდგომარეობა იმ შემთხვევაში გვხვდება, როდესაც გაურ-

კვეველია თუ რაიმე კონკრეტულ ქცევას რა შედეგამდე მივყავართ. ამ შემთხვევაში ალბათურ გადაწყვეტილებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ნებელობითი ქცევისთვის არის დამახასიათებელი და როდესაც არჩევანის გაკეთება გარკვეულ შესაძლო დანაკარგებთან არის დაკავშირებული, ანუ სახეზეა აქტუალურ-მომენტალური მოთხოვნილებების ნაცვლად "მე"-ს მაღალ მოთხოვნილებებზე გადასვლა. გარემოს ალბათური მდგომარეობის ცალკეულ ფორმებს რაც შეეხება, მახასიათებელთა დაწყვილების მიხედვით, ისინი ისეთივეა, როგორც სტაციონარული მდგომარეობის შემთხვევაში.

ორგანიზაციული გარემოს დინამიკური მახასიათებლები. ნიშანდობლივია, რომ ზემოთ განხილული გარემოს ზოგადი კლასიფიკაციის მსგავსი, მაგრამ ამჯერად ორგანიზაციული გარემოს სხვადასხვა ფორმების დახასიათება, კერძოდ, *მდგრადობა-ცვალებადობის* და *სირთულე-სიმარტივის* კონტინიუმის მიხედვით, ე. ტრისტმა და ჰ. მიურეიმ განახორციელეს [5]. ამ ავტორების თანახმად, გარემოს პირველ სახეს "წყნარი – მოწესრიგებული" გარემო წარმოადგენს. ის დროში შედარებით მყარია, რის გამოც ორგანიზაციის ფუნქციონირებას დიდ საფრთხეს არ უქმნის. ორგანიზაციაზე გარედან ზეწოლა, ძირითადად, შემთხვევით ხასიათს ატარებს და ამიტომ მასში ცვლილებები იშვიათად ხდება. გარემოს განუსაზღვრელობა მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციების უმრავლესობისთვის ამგვარი პირობების არსებობა მათი ქმედითი ფუნქცინირებისთვის ნაკლებად არის ხელსაყრელი და მასტიმულირებელი, მათი გარკვეული ნაწილი ბედს მაინც

არ უჩივის. ეს, განსაკუთრებით სახელმწიფო დაწესებულებების შესახებ ითქმის, რომელთა თანამშრომლების ხელფასი საბიუჯეტოა და გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე ნაკლებადაა დამოკიდებული. ორგანიზაციის ფუნქციონირების კონტექსტის მეორე სახე "წყნარი – დანაწევრებული" გარემოა. ამგვარ გარემოში დიდი ცვლილებები არ ხდება. ამავე დროს, მის ფუნქციონირებას საფრთხე არა შემთხვევითი, არამედ უფრო კანონზომიერად გავლენის მომხდენი მოვლენები უქმნიან, რომლებიც მისმა მმართველობითმა რგოლმა აუცილებლად უნდა დაადგინოს და სათანადოდ გააცნობიეროს. გარემოში ამგვარი ვითარების არსებობის ნათელი მაგალითი ის ვითარება გახლავთ, როდესაც, ვთქვათ, ნედლეულით მომმარაგებლები ან პროდუქციის დამკვეთები ორგანიზაციის მიმართ კოალიციას ქმნიან, რაც მას გარკვეულ პრობლემებს უქმნის და, რასაკვირველია, მისი ფუნქციონირების ეფექტურობას მნიშვნელოვნად აქვეითებს. ამგვარი ვითარების შექმნის თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციამ გრძელვადიანი სამუშაო გეგმები დროულად უნდა შეადგინოს და სათანადო გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრალიზაციაც განახორციელოს.

მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, ორგანიზაციას ისეთ ვითარებაში შეიძლება უწევდეს ფუნქციონირება, რომელსაც, ძირითადად, "მღელვარე – რეაქტიულობის" თვისება ახასიათებს. ამგვარი გარემო თავისი შინაარსით განხილულ ფორმებზე უფრო რთულია. ამ შემთხვევაში ორგანიზაციის ფუნქციონირების გაფართოებულ კონტექსტთან გვაქვს საქმე. ჩვეულებრივ, მრეწველობის

ამა თუ იმ დარგში რამდენიმე მსხვილი კომპანია დომინირებს. ამასთან ერთად, ვთქვათ, მანქანათმშენებლობის, კომპიუტერული ან ფარმაცევტიკის სფეროში ცალკეული ფირმების შერწყმა მრეწველობის ცალკეულ დარგში ახლად შექმნილი გაერთიანების უპირობო ლიდერობას განაპირობებს. "მღეალვარე-რეაქტიულ" გარემოში მოქმედ ორგანიზაციას საპასუხო ღონისძიებებათა განხორციელების და ტაქტიკური მანევრირების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს. ერთი სიტყვით, ამგვარი გარემოს არსებობის შემთხვევაში ორგანიზაციამ მოქნილი მოქმედების სათანადო უნარი უნდა გამოაცლინოს. ორგანიზაციის ფუნქციონირების მეოთხე ფორმაში "ტურბულენტურ-ბობოქარი" გარემო იგულისხმება. ის უკიდურესად დინამიკურია, მისთვის განუსაზღვრელობის ძალიან მაღალი ხარისხია ნიშანდობლივი. ამგვარ გარემოში რაღაც ცვლილებები გამუდმებით ხდება, ხოლო მასში მიმდინარე პროცესებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად ორგანიზაცია იძულებულია ახალი პროდუქცია აწარმოოს ან მომხმარებელს მომსახურების ახალი ფორმები შესთავაზოს. გარდა ამისა, ის თავის ურთიერთობას როგორც მომხმარებლებთან, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებთან გამუდმებით უნდა არკვევდეს და ამოწმებდეს.

ამოცანის სიტუაცია და არჩევანის გაკეთება. გარემოს თვისებათა განხილვის შემდეგ მოკლედ შევჩერდებით "სიტუაციის გართულების," ანუ ამოცანის სიტუაციის დახასიათებაზე. მუშაობენ რა სხვადასხვა სახის ორგანიზაციებში, ადამიანების წინაშე, ჩვეულებრივ, გარკვეული

პრობლემები წარმოიქმნება, რომლებიც სათანადო გადაწყვეტას მოითხოვენ. ჩვენ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებათა მიღების ზოგად, ასე ვთქვათ, ნორმატიულ ტერმინებს ვითვალისწინებთ, რომლებიც საკუთრივ არჩევანის პროცესუალურ მხარეში არსებულ ისეთ ცვლადებს აღწერენ, როგორიც არის ალტერნატივა, მისგან გამომდინარე შედეგი ან შედეგები და არსებული ვითარების შესახებ ჰიპოთეზის შექმნა. ალტერნატივის ცნება ძალზე ფართოა. კერძოდ, ის რაიმე საგნის, ღირებულების, ქცევის ან მოვლენათა შორის არსებული მიმართების აღმნიშვნელი შეიძლება იყოს. მაგალითად, სტუდენტი სხვადასხვა სპეციალიზაციის არჩევანის, შრომის სუბიექტი სამუშაო გეგმების გარკვეულ ვადაში შესრულების, ხოლო დაწესებულების ადმინისტრაცია ამა თუ იმ ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელების არჩევანის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. რეალურ-ცხოვრებისეულ ვითარებებში ალტერნატივები სირთულის ამა თუ იმ დონით გამოირჩევიან. მივმართოთ კონკრეტულ მაგალითს. წარმოვიდგინოთ, რომ ახალგაზრდა, რომელმაც უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა სამსახურის არჩევანის ვითარებაში იმყოფება და მას რამდენიმე ალტერნატიული გადაეყვეტილების მიღების შესაძლებლებლობა გააჩნია. დავუშვათ, რომ ალტერნატიულ დაწესებულებათა რაოდენობა სამს უდრის. გარდა ამისა, ისიც ვივარაუდოთ, რომ ეს პიროვნება საკუთარი არჩევანის გაკეთებას შემდეგი კრიტერიუმების, კერძოდ, ხელფასის, დაწინაურების შესაძლებლობის და ახლობელთა მოლოდინების გათვალისწინებით აპირებს. როგორც ვხედავთ, ერთი შეხედვით, მარტივ ალტერნატი-

ულ სიტუაციას არც თუ ისეთი მარტივი აღნაგობა გააჩ-ნია, რადგან მასში სხვადასხვა შესაფასებელი ობიექტები შედიან, რომელთა მახასიათებლები, მათ შესახებ მსჯე-ლობის პროცესში, სუბიექტმა რაც შიძლება სრულყოფი-ლად უნდა გაითვალისწინოს.

ალტერნატივათა არსებობის პირობებში გამოტანილი გადაწყვეტილების რაგვარობა, არსებითად, იმაზეა დამო-კიდებული, თუ რა ვითარებასთან ექნება სუბიექტს საქმე მომავალში. გადაწყვეტილებათა მიღების ნორმატიული პრინციპების თანახმად, გადაწყვეტილების მიმღებმა პირ-მა სავარაუდო შედეგებთან დაკავშირებით მათი რეალი-ზაცის ალბათობათა განაწილება უნდა გაითვალისწინოს. ამდენად, ალტერნატივათა შორის არჩევანის ვითარებაში სუბიექტის მსჯელობა ალბათურ ხასიათს იღებს. აღსა-ნიშნავია, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში გადაწყვეტი-ლებიდან გამომდინარე ცალკეული შედეგი და, რასაკვირ-ველია შედეგები არაერთმნიშვნელოვანი, მრავალგანზომი-ლებიანია. დავუბრუნდეთ ზემომოყვანილ მაგალითს, რო-მელიც სამუშაოს შერჩევას ეხება. დავუშვათ, რომ საბო-ლოო გადაწყვეტილების მიღებამ და სამსახურის მაძიებ-ლის სამუშაოზე მოწყობამ შემდეგი რეზულტატები მოი-ტანა: დასაწყისში მომუშავემ კარგი ხელფასი მიიღო, თა-ნამშრომლებთან მან მისთვის სასურველი ურთიერთობები დაამყარა, მაგრამ მალე აღმოაჩინა, რომ მისი მომავალში დაწინაურების შანსი მცირეა, საკუთრივ მუშაობის პრო-ცესი ერთფეროვანი და მომაბეზრებელია, ორგანიზაციის მართვის ზოგადი ფორმა ავტორიტარულია და ა.შ. რო-გორც ვხედავთ, მოსალოდნელ დადებით შედეგებთან ერ-

თად, მიღებულია უარყოფითიც, რომლებიც სუბიექტის მიერ თავდაპირველად არ იყო გათვალისწინებული. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ დ. უზნაძის ტერმინს თუ გამოვიყენებთ, "ფიზიკური" ქცევის მიმდინარეობის გარეგანი აღწერის თვალსაზრისით, განწყობის ობიექტურ ფაქტორს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რთული სტუქტურა გააჩნია. სწორედ ამის გამოა, რომ გადაწყვეტილებათა მიღების ნორმატიულ მოდელებში მისი სათანადო თვისებები ვექტორების სახით განიხილება, ხოლო ამ ფაქტორების (თვისებების) გარკვეული სიმრავლე მრავალგანზომილებიან ვექტორულ სივრცეებს ქმნიან. ამგვარი ნორმატიული მახასიათებლების მხედველობაში მიღება ამოცანის სიტუაციის და გადაწყვეტილების პროცესუალური სტადიის ფორმათა დასადგენად არის საჭირო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. უზნაძის თანახმად, ნებელობითი ქცევის განმსაზღვრელ კომპონენტს, კერძოდ, მოტივაციის პროცესში წარმოსახული სიტუაციის მეშვეობით მომავალი ვითარების გათვალისწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ალტერნატივების გამოყოფა და არჩევანიდან გამომდინარე შედეგების გათვალისწინება სწორედ ამგვარ აქტივობაში ხდება, ანუ გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ არსებული ვითარების ცნობიერებაში ასახვასთან გვაქვს საქმე. ის, თუ რამდენად შესატყვისად არის წარმოსახულ სიტუაციაში ობიექტურად არსებული პრობლემური ვითარების ძირითადი თვისებები ასახული, ეს საკითხი ქცევის მიზანშეწონილობას, მის რაციონალობას ეხება და ის ცალკე განხილვის საგანია. აქ, მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: თუ ჩვენ არ აღვწერეთ და,

შესაბამისად, ვერ დავადგენთ არსებული ვითარების თავისებურებას, მაშინ ადამიანის ქცევის ოპტიმალობის შესახებ რაიმეს თქმა ძალიან გაგვიჭირდება, რის საჭიროებაც, რასაკვირველია, უდავოა.

დასასრულ, შევჩერდებით საკითხზე, რომელიც სიტუციის ცალკეული ფორმების გამოყოფის, მათი ცდისეული შესწავლის მეთოდოლოგიურ მხარეს ეხება. პირველი, რაც თვალში საცემია, იმაში მდგომარეობს, რომ მათი კლასიფიკაციის შესაბამისი ემპირიული დამაჯერებლობის მქონე კვლევითი მეთოდების უზრუნველყოფით არც თუ ისე განებივრებული ვართ, რაზეც ჩვენ ადრეც მივუთითეთ [6]. დღეს არსებულ იმ მცირერიცხოვან მეთოდურ მიდგომებს შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე იმედისმომცემ თვალსაზრისებს გამოვყოფთ. მაგალითად, სიტუაციის რომელობის დასადგენად შეიძლება ადამიანის გარე ვითარებაზე მისი ისეთი გრძნობად-ემიციური რეაგირება გავითვალისწინოთ, როგორსაც შფოთვა წარნოადგენს. სიტუაციათა კლასიფიკაციის განსახორციელებლად ფაქტორული ანალიზი შეიძლება განხორციელდეს იმ კორელაციათა მაჩვენებლებს შორის, რომლებიც მიღებულია მომუშავეთა სხვადასხვა ვითარებებში (ვთქვათ, სუბიექტის შფოთვის დონე უშუალო უფროსთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ან კოლეგებთან ურთიერთობის შემთხვევაში) ყოფნის გათვალისწინებით არის მიღებული. სხვაგვარი მიდგომის გამოყენებაც არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში კლასიფიკაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის სიტუაციები, რომლებიც ადამიანების მხრიდან ერთნაირ რეაგირებას იწვევენ, შეგვიძლია ერთ ჯგუფში

გავაერთიანოთ. ამგვარი გამოკვლევის პროცედურა შემდეგში მდგომარეობს: ადამიანთა ამონაკრებიდან, რომლის შესწავლა სხვადასხვა პირობებში წარმოებს, უნდა აღინუსხოს თითოეულის რეაგირების შინაარსი და ინტენსივობა. მიღებული მონაცემების ანალიზი სამგანზომილებიანი მატრიცის საშუალებით შეიძლება გაანალიზდეს, ანუ მისი განხილვა სუბიექტის, სიტუაციის და მათი ურთიერთმოქმედების, ე.ი. სამი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. სხვადასხვა ვითარებებში ადამიანთა რეაგირების (შეფასებითი მსჯელობა, რეალური ქცევა) გათვალისწინებით, მათი სიტუაციათაშორისი მსგავსების მაჩვენებელს ვიღებთ. ამგვარი მიდგომის თანახმად, მიღებული კორელაციური მატრიცის საშუალებით ის ფაქტორები გამოიყოფა, რომლებიც სიტუაციათა კლასიფიკაციის შესაძლებლობას მოგვცემენ [7]. ნათქვამის გარდა იმასაც აღვნიშნავთ, რომ სიტუაციათა კლასიფიკაციის მეთოდური მხარის სრულყოფისთვის მიზანშეწონილია მათი ობიექტური და სუბიექტური (აღქმისეული) მახასიათებლების კვლევა ალბათური შეფასებების გათვალისწინებით. სიტუაციური მახასიათებლების ემპირიული შესწავლის სასარგებლო საშუალებად შესაძლოა ჩვენს მიერ შემუშავებული "ორგანიზაციის კლიმატის გამზომი კითხვარი" იქცეს. ის ორი თემატური ნაწილისგან შედგება: ერთის მეშვეობით ორგანიზაციის კლიმატი მისი მართვის ობიექტური პარამეტრების გათვალისწინებით იზომება, ხოლო მეორის საფუძველზე მომუშავეთა მიერ ამ მმართველობითი ფორმის შეფასების გაზომვა ხდება [6]. აღვნიშნავთ, რომ მართვის ფორმის გაზომვა ე.წ მოსალოდნელი ეა-

ლენტობის მოდელის (რეზულტატების მიმზიდველობის მაჩვენებელი გადამრავლებული მათი მიღწევის ალბათობის მაჩვენებელზე) გამოყენებით წარმოებს. სავარაუდოა, რომ ამ მეთოდური ხერხის მცირე მოდიფიკაცია სხვადასხვა სიტუაციებში ადამიანის მიერ საკუთარი მოთხოვნილებების და მიზნების რეალიზაციასთან დაკავშირებული სუბიექტური რისკის გამზომად შეიძლება იყოს გამოყენებული.

დასკვნა

მოკლე დასკვნის სახით შემდეგს აღვნიშნავთ. მოცემულ სტატიაში ჩვენი ძირითადი მიზანი იმ საკითხების დასმაში და განხილვაში მდგომარეობდა, რომლებიც ორგანიზაციაში ადამიანის ქცევაზე (შესაბამისად, მის საფუძვლად მდებარე განწყობაზე) სხვადასხვა სახის სიტუაციური მახასიათებლების ზემოქმედებას ეხება. ჩვენი მსჯელობის საგანია განწყობის ობიექტური ფაქტორის და მისი ფორმების უზნაძისეული გაგება, ორგანიზაციული გარემოს ცალკეული ფორმების და მათი დინამიკური მახასიათებლები, "ამოცანის სიტუაციასა" და ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებას შორის არსებული კავშირი, ემპირიული კვლევით სიტუაციების ცალკეულ ფორმათა დადგენის შესაძლებლობა. ჩვენ იმასაც ვითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი საკითხის ჩვენებური წინ წამოწევა და განხილვის შინაარსიეული მხარე საკამათო შეიძლება იყოს, მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, უდავოა შემდეგი: ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველების დამა-

ჯერებლობის (ვალიდობა) ხარისხი როგორც გარემოსა და სიტუაციის, ასევე მათი თვისებების ცნობიერებაში ასახვის (წარმოსახული სიტუაცია) ოპერაციონალურ დახასიათებაზე და ცდისეულ შესწავლაზეა არსებითად დამოკიდებული; გარდა ამისა, იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ მეთოდოლოგიურად უფრო მეტად დასაბუთებული სიტუაციების კლასიფიკაცია, რაც სხვადასხვა ორგანიზაციული და სამუშაო პირობების გათვალისწინებას ნიშნავს, შრომის სუბიექტის მრავალგაზომილებიანი საქმიანობის აღწერისა და ახსნის რეალური გაუმჯობესების საფუძველი გახდება.

ლიტერატურა

1. უზნაძე, დ. შრომები, ტ. 3-4, თბილისი, 1964.
2. უზნაძე, დ. შრომები, ტ. 5, თბილისი, 1967.
3. Чарквиани, Д. Иерархическая структура усатановок и поведение. Развитие эргономики в системе дизайна. Материалы всесоюзной конференции, Тбилиси, 1979.
4. Hovard, R. The foundations of decision analisis. IEEE Tranzaction on systems and cybernetics, 1968, 3,211-219.
5. Emery, F., Murrey, H. (ed.). The social engagement of social science: A Tavistock anthlogy, vol. 1, University of Pensylvania Press, 1990.
6. ჩარკვიანი, დ. ორგანიზაციის კლიმატის და ორგანიზაციისადმი ერთგულების გაზომვა. *მცნე*, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1984, 3, 78-89.
7. Ekhemar, B. Interactionizm in personality study from historical perspeqtive. Psychgological Buulletin, 1974, 81, 1026-1049.

Д.Н. Узнадзе классик советской психологии. Психологические исследования, посвящённые 100-летию со дня рождения Д. Н. Узнадзе. Тбилиси, 1986. (დაიბეჭდა გარკვეული დაზუსტებებით და დამატებებით).

პროფესიული საქმიანობის შეფასების კონცეფტური და პრაქტიკული კრიტერიუმები

ინდუსტრიის სფეროში მიმდინარე სხვადასხვა დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავების მიუხედავად, მათ ერთი რამ გააჩნიათ საერთო, კერძოდ, ისეთი სოციალური პროექტების შექმნა და განხორციელდება, რომლებიც კონკრეტულ ორგანიზაციათა ფუნქციონირების ეფექტურობას აამაღლებენ. სწორედ ამიტომ გახდა აქტუალური ამ პროექტების ქმედითობის შეფასების საკითხი. წინამდებარე სტატია აღნიშნული მეთოდოლოგიური პრობლემის განხილვას ეხება. ჩვენი ზოგადი მიზანი მომუშავეთა პროფესიული საქმიანობის შეფასების სათანადო კრიტერიუმების ანალიზია. ქვემოთ განვიხილავთ შემდეგ კონკრეტულ საკითხებს: პირველი, პროფესიული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების თავისებურებათა დახასიათება; მეორე, კრიტერიუმების ცალკეული ფორმების გამოყოფა; მესამე, კრიტერიუმების შემუშავების ოპტიმალური სტრატეგიების დადგენა.

1. ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ვითარებებში, მათ შორის შრომითი საქმიანობის პროცესშიც, რაიმე მოვლენების ან ობიექტების შესახებ მსჯელობისა და მათი შეფასების დროს ჩვენ გარკვეულ კრიტერიუმებს ვეყრდნობით. *კრიტერიუმები* საგანთა და მოვლენათა შეფასების სტანდარტების როლში გამოდიან. საკითხს თუ მუშაობის

მიმდინარეობის გათვალისწინების ასპექტში დავსვამთ, მაშინ, სათანადო მეთოდების გამოყენების მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ისეთი მოვლენები შევაფასოთ, როგორიც არის შრომის სუბიექტის ორგანიზაციისადმი ერთგულება, თანამშრომელთა შრომით კმაყოფილება, დაწესებულებაში არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, სხვადასხვა სახის კონფლიქტები, ცალკეული ინციდენტები და საორგანიზაციო ღონისძიებები (შრომის ატესტაცია, კადრების შერჩევა, პროფესიული გავარჯიშება, ანაზღაურების სისტემები, თანამშრომელთა პროფესიული სოციალიზაციის ფორმები და ა. შ).

ხაზგასასმელია, რომ ერთი და იგივე მოვლენის ან ობიექტის შესახებ მსჯელობის დროს ადამიანები განსხვავებულ კრიტერიუმებს იყენებენ, რაც თვით მათი შეფასებების როგორც შინაარსობრივი, ასევე რაოდენობრივი მხარის თავისებურებას განაპირობებს. ადამიანთა მიერ განხორციელებული შეფასებების სიზუსტის შესწავლაში დიდი წვლილი ჰ. ჰელსონმა და მისმა მიმდევრებმა შეიტანეს [1]. ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ გამღიზიანებელთა ამა თუ იმ მახასიათებლის შესახებ მსჯელობა ფარდობით ხასიათს ატარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტის მიერ აქტუალურად მოცემული სტიმულის შეფასება ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის, კერძოდ, მისი (სტიმულის) ობიექტურად გაზომვადი თვისების (სიდიდე, სიძლიერე) და ამგვარ გამღიზიანებელთა მიმართ ადამიანის მიერ გამოვლენილი "ადაპტაციის დონის" ურთიერთმოქმედების შედეგს წარმოადგენს. ისიც ხაზგასასმელია, რომ ობიექტების შეფასების კრიტე-

რიუმების და ადამიანის სხვადასხვა ფორმის მოქმედებათა ფსიქიკური მექანიზმების კვლევაში სათანადო წვლილი ქართველი ფსიქოლოგების მიერაც არის შეტანილი [2,3]. ამ შემთხვევაში, საგნებისა და მოვლენების რაოდენობრივ შეფასებაზე სუბიექტური და ობიექტური ეტალონების ზემოქმედების შესწავლა გვაქვს მხედველობაში. ამავე თეორიული ორიენტაციით მუშაობა თვისებრივი ობიექტების შეფასებათა კანონზომიერების დასადგენადაც მიმდინარეობდა [4,5]. ამ გამოკვლევებში სუბიექტის მიერ სოციალური შინაარსის მქონე შეფასებითი მსჯელობის მადეტერმინირებელი ფაქტორების შესწავლა წარმოებდა. პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ შეფასებათა (ქცევიდან გამომდინარე შედეგების მიხედვით მისი ეფექტურობის გაზომვა, ფსიქიკური მახასიათებლების ტესტირება, ექსპერტული შეფასებების გამოყენება) კრიტერიუმების შესახებ ჩვენი მომდევნო მსჯელობა, სხვა ემპირიულ შედეგებთან ერთად, აღნიშნული კვლევების მონაცემებსაც ეყრდნობა.

2. დავუშვათ, რომ ორი თანამშრომელი ხელმძღვანელის საქმიანობის შესახებ მსჯელობს. ერთი მას დადებითად აფასებს, ხოლო მეორე უარყოფითად. პირველი მომუშავე ხელმძღვანელის საქმიანობის შესახებ მსჯელობის დროს შემდეგ მახასიათებლებს ითვალისწინებს: ა) საქმის ცოდნა, ბ) საქმის ბოლომდე მიყვანა, გ) ხელქვეითებისთვის მიცემული ინსტრუქციების სიცხადე. პირველი მომუშავის აზრით, ხელმძღვანელი ამ კრიტერიუმების მიხედვით მაღალ მაჩვენებლებს იმსახურებს და ამიტომაც იგი მის მიერ დადებითად ფასდება. მეორე მომუშავე

ხელმძღვანელის შრომითი ქცევის შესახებ მსჯელობის დროს ძირითად ყურადღებას შემდეგ თვისებებზე ამახვილებს: ა). საქმიანობაში მისი ენთუზიაზმის ხარისხი, ბ) მის მიერ მუშაობის პროცესში ხელქვეითების მოტივირება, გ) მომუშავეთა მიმართ მის მიერ ყურადღების გამომჟღავნება. ეყრდნობა რა ამ კრიტერიუმებს, მეორე მომუშავე ხელმძღვანელის საქმიანობას უარყოფითად აფასებს. როგორც ვხედავთ, მომუშავეთა მიერ ერთი ხელმძღვანელის შრომითი ქცევის შეფასებაში გამოვლენილი არსებითი სხვაობა მათ მიერ გამოყენებულ კრიტერიუმებს შორის არსებული *განსხვავებით* არის განპირობებული.

კრიტერიუმების შერჩევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი *შეუსაბამობის*, ანუ შეუთავსებლობის არსებობა ადამიანთა მიერ წარმოებული შეფასებითი მსჯელობებისთვის და, შესაბამისად, გადაწყვეტილებათა მიღებისთვის ხშირ და დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს, რაც სუბიექტის "შეზღუდულ რაციონალობაზე" მიგვანიშნებს [6,7,8]. ობიექტების და მოვლენათა შეფასების კრიტერიუმების შერჩევას, მსჯელობის პროცესში მის სათანადო გამოყენებას ადამიანის პირადი გამოცდილება და მის მიერ გაზიარებული სხვადასხვა სახის შეფასების ეტალონები განაპირობებენ. მაგალითად, ავტომობილის ყიდვის დროს ზოგიერთისთვის (ფინანსურად შედარებით ხელმოკლეთათვის) საწვავის ეკონომიას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა, ხოლო სხვებისთვის (ფინანსურად შეძლებულთათვის) მთავარი მისი გარეგნული გაფორმება და ფიზიკური კომფორტია.

ემპირიული მონაცემების თანახმად, საორგანიზაციო ღონისძიებების (ვთქვათ, ხელფასის მომატება, პრემიალური თანხების გაცემა, თანამშრომლებისთვის გარკვეული შეღავათების მიცემა) შესახებ მსჯელობის დროს მომუშავეთა მიერ შეფასების ერთმანეთისგან განსხვავებული კრიტერიუმების გამოყენება მათ შრომით მოტივაციაზე და მუშაობით გამოწვეულ კმაყოფილების განცდაზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს [9]. ისიც საგულისხმოა, რომ შეფასებათა შორის გამოვლენილი მნიშვნელოვანი განსხვავებები, რასაკვირველია, ყოველთვის კრიტერიუმებს შორის არსებული სხვაობით არ არის გამოწვეული. დავუშვათ, რომ ორი ხელქვეითი ხელმძღვანელის საქმიანობის შესახებ მსჯელობის დროს, ერთი და იგივე კრიტერიუმებს, კერძოდ საქმის ცოდნას, საქმის ბოლომდე მიყვანას და ხელქვეითებისადმი მიცემული ინსტრუქციების სიცხადეს იყენებს. ამავე დროს, პირველ ხელქვეითს მიაჩნია, რომ ხელმძღვანელი საქმეში კომპეტენტურობით არ გამოირჩევა, საქმე ბოლომდე იშვიათად მიჰყავს, ხოლო მისი ინსტრუქციები საკმაოდ ბუნდოვანია. მეორე ხელქვეითი, პირველისგან განსხვავებით, სრულიად საწინააღმდეგოს ფიქრობს. როგორც ვხედავთ, ორი ადამიანი ერთსა და იმავე კრიტერიუმებს ეყრდნობა, მაგრამ მათი შეფასებები არსებითად განსხვავებულია. ამ ორი პიროვნების მიერ გაკეთებულ შეფასებებში გამოვლენილი არსებითი განსხვავება თვით ხელმძღვანელის შრომითი ქცევის, ასე ვთქვათ, ვერბალურ კვალიფიკაციაში არსებულ განსხვავებებში უნდა ვეძიოთ. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ადამიანის პერცეპტული შეცდომებით,

მოლოდინების განსხვავებით, სიტყვების ოპერაციული განსაზღვრებების თავისებურებით არის განპირობებული [10, 11]. ამ შემთხვევაში არსებითი ის გახლავთ, რომ რაიმე მოვლენის შეფასების დროს ერთნაირი სტანდარტების გამოყენება *ერთგვაროვანი* დასკვნის გამოტანის გარანტიას ნამდვილად არ გვაძლევს.

შრომის სუბიექტის ორგანიზაციაში საქმიანობის შეფასებათა საფუძვლად მდებარე კანონზომიერებათა ანალიზის დროს მიზანშეწონილად კრიტერიუმის ორი ფორმის, კერძოდ, კონცეფტური და პრაქტიკული კრიტერიუმის გამოყოფა მიგვაჩნია. *კონცეფტური კრიტერიუმი,* თეორიული კონსტრუქტია. ის არის ჰიპოთეზური დაშვება, რომლის უშუალო გაზომვა შეუძლებელია. კონცეფტური კრიტერიუმი მკვლევარის მიერ გააზრებული წარმონაქმნია, რომელშიც, ვთქვათ, ეფექტურად მომუშავე ადამიანის ქცევის სავარაუდო მახასიათებლებია ერთობლივად მოცემული. დავუშვათ, რომ სწორედ ამ ასპექტით შრომითი ქცევის შესახებ ვმსჯელობთ. ანალიტიკური თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად ადამიანის პროფესიული ცოდნის განვითარება შეიძლება მივიჩნიოთ. აქ იგულისხმება, რომ ეფექტურად მომუშავე პიროვნება, არაეფექტურთან შედარებით, მეტი პროფესიული განვითარების დონესაც (ზოგადი გონიერების, სათანადო პროფესიული უნარებისა და ჩვევების სიმწიფის მიხედვით) გამოამჟღავნებს. შეფასების მეორე კრიტერიუმად პიროვნების გრძნობად-ემოციური განვითარების დონე შეგვიძლია ჩავთვალოთ. ივარაუდება, რომ ნაყოფიერი პროფესიული საქმიანობა მომუშავის მიერ საკუ-

თარი ღირებულებების და მრწამსის გაცნობიერების ხელშემწყობია, რაც, თავის მხრივ, მისი გრძნობად-ემოციური სფეროს განვითარებას და სიმყარეს განაპირობებს. მესამე საკრიტერიუმო მახასიათებლად ჩვენ შეგვიძლია მომუშავის სოციალური მდგომარეობა, ანუ მისი მოქალაქეობრივი სტატუსი მივიჩნიოთ; პიროვნების ის სოციალური წვლილი გავითვალისწინოთ, რომელიც მას საზოგადოებრივი აქტივობის თვალსაზრისით გააჩნია. აქ ივარაუდება, რომ პროფესიულად და პიროვნულად განვითარებული ადამიანი ამავე დროს "კარგი მოქალაქეც" არის და მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსეული წვლილი შეაქვს. აღნიშნული მახასიათებლები ეფექტურად მომუშავე პიროვნების კონცეფტური კრიტერიუმის შემადგენელ ნაწილებად შეგვიძლია განვიხილოთ; რამდენადაც ეს მახასიათებელი თეორიულ აბსტრაქციას წარმოადგენს, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, შემდგომი ნაბიჯი მის რეალურ, ანუ უშუალო გაზომვად მოვლენად გარდაქმნას გულისხმობს.

ემპირიულად გაზომვადი კრიტერიუმის შექმნის საფუძველს კონცეფტურ მახასიათებელთა ერთობლიობის *პრაქტიკული კრიტერიუმის* თვისებათა გარკვეული მთლიანობის სახით გარდაქმნა წარმოადგენს. დავუშვათ, რომ ადამიანის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობას შეფასებით-მეტრიკული სკალების გამოყენებით ვზომავთ (ხელმძღვანელის, კოლეგების და თვითშეფასების მონაცემების გათვალისწინებით). ერთ-ერთ ამგვარ მონაცემად ადამიანის პროფესიული კომპეტენტურობა შეგვიძლია

ჩავთვალოთ. ამავე დროს, ისიც ნათელია, რომ რა მონაცემებიც არ უნდა ავიღოთ, ისინი პიროვნების განვითარების მხოლოდ რაღაც გარკვეულ ეტაპს, მის დონეს და არა ზოგად, "აბსოლუტურ" (თეორიულად წარმოდგენილის და გააზრებულის) განვითარებას ასახავენ. ადამიანის გრძნობად–ემოციური განვითარების დონის დადგენა (ვთქვათ, მისი კოლეგების გამოკითხვის საფუძველზე ან რომელიმე პიროვნული ტესტის მეშვეობით) პიროვნების ამ მახასიათებლის მხოლოდ გარკვეულ მხარეზე მიგვანიშნებს.

დაბოლოს, მომუშავის მოქალაქეობრივი სტატუსის დადგენა (საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სეგმენტში სუბიექტის აქტიურობისა და ჩართულობის ხარისხის გათვალისწინებით) მისი, როგორც „კარგი მოქალაქის," მხოლოდ რაიმე თვისებაზე მიგვითითებს და ის, რასაკვირველია, ამ ცნებაში ნაგულისხმევ რომელობით შინაარსს მხოლოდ ნაწილობრივ გამოხატავს.

ამრიგად, ეფექტურად მომუშავე ადამიანის შესაფასებელი კრიტერიუმების კლასიფიკაცია შემდეგ სახეს იღებს: ზოგადი გონიერება, ანუ ინტელექტის შედარებით მაღალი დონე, გრძნობად-ემოციური სფეროს სიმწიფე და სტაბილურობა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა. მკვლევარის ძირითადი მიზანი კრიტერიუმის ამ ორი სახის ერთმანეთთან რაც შეიძლება მეტ შესაბამისობაში მოყვანა გახლავთ, რის შესახებაც მსჯელობა ქვემოთ გვექნება.



1 – სრულყოფილების თვისება

2 – შესაბამისობის თვისება

3 – შესაფერისობის თვისება

სქემა 1. კონცეფტური და პრაქტიკული კრიტერიუმები და მათი თვისებებები.

კონცეპტურ და პრაქტიკულ კრიტერიუმებს შორის არსებული კავშირის დასახასიათებლად ჩვენ შეგვიძლია კრიტერიუმის სრულყოფილების, შესაბამისობის და შესაფერისობის (დასახელებები 'არამკაცრი" ანუ პირობითია) თვისებებს მივმართოთ. ამ თვისებათა გამოყოფას კრიტერიუმის ნახსენები ორი სახის ურთიერთმიმართების (ამ ცნებების ურთიერთგადაფარვის ასპექტით) გათვალისწინების საფუძველზე ვახდენთ. აღნიშნული მიმართება პირველ სქემაზეა გამოსახული.

კრიტერიუმის *სრულყოფილება* პრაქტიკული კრიტერიუმის მიერ კონცეფტური კრიტერიუმის გადაფარვის მო-

ცულობას გამოხატავს. ნებისმიერი პრაქტიკული კრიტერიუმისთვის სრულყოფილების გარკვეული ხარისხია დამახასიათებელი. ამავე დროს, პრაქტიკული კრიტერიუმის შერჩევის ქმედითი პროცედურის გამოყენებით მისი სრულყოფილების თვისების გაზრდა შეგვიძლია (და არა მისი მთლიანი მიღწევა). კრიტერიუმის *შესაბამისობა* პრაქტიკულ და კონცეფტურ კრიტერიუმებს შორის არსებული თანხვედრის ხარისხზე მიგვანიშნებს. რაც უფრო დიდია შეფასების კრიტერიუმის ამ ორ ფორმას შორის თანხვედრის ხარისხი, მით უფრო დიდია მათი შესაბამისობის სიდიდე.

ზემონათქვამის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, ჰიპოთეზურ კრიტერიუმთან პრაქტიკული კრიტერიუმის ზუსტი შესაბამისობის მიღწევა შეუძლებელია. კრიტერიუმის *შესაფერისობა* პრაქტიკული კრიტერიუმის კონცეპტურ კრიტერიუმთან დაკავშირებულობის ხარისხს აღნიშნავს. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ პრაქტიკული კრიტერიუმი შეიძლება ისეთ რაიმეს ზომავს, რაც კონცეფტური კრიტერიუმის მახასიათებელს ნაკლებად ან საერთოდ არ გამოხატავს.

მოდით საკითხი მოცემული კრიტერიმების თვისებათა ნაკლოვანი მხარის გათვალისწინებით გავაშუქოთ. მაგალითად, როდესაც სახეზეა არასრულყოფილების და შეუფერებლობის თვისებები, მაშინ პრაქტიკული კრიტერიუმის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო კონცეფტური კრიტერიუმის შინაარსი არსებით დაკნინებას განიცდის. შეუფერებლობის თვისება პრაქტიკული კრიტერიუმის მნიშვნელობას იმის გამო ამცირებს, რომ მასში

არსებული ფაქტორები გარკვეული კონცეფტური მახასიათებლების ერთობლიობას, სტატისტიკის ტერმინოლოგიას რომ მივმართოთ, სათანადო დონეზე ვერ წარმომადგენლობენ. არასრულყოფილება პრაქტიკულ კრიტერიუმზე უარყოფითად იმის გამო ზემოქმედებს, რომ ის თავის თავში კონცეფტური კრიტერიუმის რიგ ძალზე მნიშვნელოვან განზომილებებს არ შეიცავს. ნათქვამის ნათელსაყოფად ისევ სავარაუდო მაგალითს მივმართოთ. საკითხი ჯერ კრიტერიუმის არასრულყოფილების თვისებასთან მიმართებაში განვიხილოთ. ადამიანები, ჩვეულებრივ, სამსახურეობრივ კარიერას, თვით საქმეში განსხვავებული დონის კომპეტენციის მქონე სუბიექტებად იწყებენ: ზოგიერთს ღრმა, ზოგიერთს კი ზერელე ცოდნა გააჩნია. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, არ არის გამორიცხული, რომ მეორე, პირველთან შედარებით, ინტელექტუალური დონის მიხედვით, უფრო სწრაფად განვითარდეს, ხოლო პირველმა, მიუხედავად ამისა, მხოლოდ საწყისი ცოდნის მარაგის წყალობით მაინც უფრო მაღალი შეფასება დაიმსახუროს. თუ მხოლოდ ამ უკანასკნელ მონაცემს მივიღებთ მხედველობაში (ლაპარაკია პრაქტიკულ კრიტერიუმზე), მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ პირველი გონებრივადაც უფრო მეტად განვითარდა, რაც რეალობას ნაკლებად შეეფერება. ამდენად, რეალურ გონებრივ განვითარებას და გაზომვის შედეგად მიღებულ მაჩვენებლებს შორის კავშირი მცდარად იქნება წარმოდგენილი. გრძნობად-ემოციურ მახასიათებელს რაც შეეხება, მასთან დაკავშირებით შემდეგის თქმა შეგვიძლია: კოლეგების მიერ მომუშავის ამ განზომილებით (ან რომელიმე ტესტის

მეშვეობით) შეფასება შესაძლოა იმის გამო იყოს არაადეკვატური, რომ ისინი, როგორც შემფასებლები, უბრალოდ, ვარგისნი არ არიან (ან ექსპერტული მონაცემები ნაკლებ ვალიდურია). დაბოლოს, ადამიანის სოციალური აქტივობის შინაარსის დასადგენად სხვადასხვა ჯგუფებში მისი ჩართვის რაოდენობრივი გააზრება იმავე აქტივობის თვისებრიობას სათანადო დონით შეიძლება ვერ გამოხატავდეს.

მოკლედ შევჩერდებით კრიტერიუმის შეუფერებლობის თვისებაზეც. იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული საქმიანობის ფორმები ურთიერთისგან შესრულების სირთულით განსხვავდება, ზოგადი გონიერების დონის ემპირიული მაჩვენებელი უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ მარტო ამით, რასაკვირველია, არ უნდა შემოვიფარგლოთ. ამ შემთხვევაში შემდეგი რამ უნდა გავითვალისწინოთ: შედარებით "ადვილი" შრომითი ქცევის გათვალისწინებით შემფასებლის მიერ მომუშავის გონებრივი განვითარების შესახებ დადებითი შეფასების გაკეთება უფრო მეტად არის მოსალოდნელი, ვიდრე იმის შესახებ, ვინც შედარებით "რთული" საქმით არის დაკავებული. ასეთი სახის შეცდომა ზემოქმედებს არა კონცეფტურ (გონებრივი განვითარება), არამედ პრაქტიკულ კრიტერიუმზე (ინტელექტის დონის ემპირიული მაჩვენებელი, ტესტით გაზომილი ან მისი გონებრივი შესაძლებლობების შეფასება, ვთქვათ, უშუალო უფროსის მიერ). ამავე ფაქტორმა (ინტელექტის დონის ემპირიული მაჩვენებელი) იმავე პიროვნების გრძნობად-ემოციური სფეროს შეფასებაზე შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა: შემფასებელმა შესაძ-

ლოა ჩათვალოს, რომ ადამიანი, რომელსაც აღნიშნული ფაქტორის მიხედვით მაღალი მაჩვენებელი გააჩნია, უფრო დაბალი მონაცემების ადამიანთან შედარებით, მეტი გრძნობად-ემოციური მოწიფულობით და სტაბილურობით ხასიათდება. დაბოლოს, იმავე ადამიანის მოქალაქეობრივი სტატუსის შეფასება, შეიძლება, მხოლოდ სხვების თვალში მისი პოპულარობით (გარეგნულად ის მართლაც სოციალური აქტივობის მცდელობას აელენს) იყოს განსაზღვრული და არა ამ მახასიათებლის ჭეშმარიტი შინაარსით, რისი გაზომვაც თეორიულად მიზნად იყო დასახული.

განსახილველი პრობლემის შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მკვლევარები ძალიან დიდ ენერგიას და დროს ხარჯავენ პრაქტიკული კრიტერიუმების გასაზომი ხერხების შექმნაზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენი თვალსაზრისი შემდეგში მდგომარეობს. იმის მაგივრად, რომ პრაქტიკული კრიტერიუმების ახალი გასაზომი მეთოდების შემუშავებაზე ვიყოთ ორიენტირებული, სჯობს, რომ ყურადღება ისეთი პრაქტიკული კრიტერიუმების შერჩევაზე გავამახვილოთ, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელობის მქონე კონცეფტურ კრიტერიუმებს ადეკვატურად ასახავენ. პრაქტიკული კრიტერიუმების, როგორც კონცეფტური კრიტერიუმის გამზომი ხერხების სიზუსტე (დამაჯერებლობა) მკვლევარის პროფესიული მსჯელობის ძირითადი საგანი უნდა იყოს. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ საკითხის შესასწავლ მოვლენათა ფორმალიზაციის მიმართულებით აქცენტირება პრობლემას ისევ გადაუწყვეტელს დაგვიტო-

ვებს. ერთი სიტყვით, თუ ჩვენ შინაარსეულად მცდარად გააზრებულ მოვლენებს ვზომავთ, მათი ზუსტი გაზომვა ვერაფერში წაგვადგება.

3. კრიტერიუმების შემუშავების საფუძველი ემპირიული კვლევა გახლავთ. ამავე დროს, ხაზგასასმელია, რომ შესწავლის თავისებურებას მკვლევარის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის თავისებურება განსაზღვრავს. კრიტერიუმების შემუშავებაში დედუქციური (თეორიიდან ცდისეული მონაცემებისკენ) და ინდუქციური (ცდისეული მონაცემებიდან თეორიისკენ) მიდგომები უნდა გამოვყოთ. ქვემოთ მოყვანილი ორი მაგალითი აღნიშნული მიდგომების კონკრეტულ ნიმუშებს წარმოადგენს.

კრიტერიუმების შემუშავების დედუქციური სტრატეგია თავის გამოკვლევაში ტ. ტეიბერის და ჯ. ჰეკმენის მიერ არის გამოყენებული [12]. მკვლევარებს კოლეჯის დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა ქცევის ეფექტურობის შეფასებათა კრიტერიუმების დადგენა აინტერესებდათ. თავდაპირველად შესასწავლი ქცევის აღმწერი მახასიათებლების სავარაუდო ჩამონათვალი იქნა დადგენილი. ჩამონათვალი, რომელიც 67 დასახელების მახასიათებელს შეიცავდა, სტუდენტების როგორც აკადემიურ აქტივობას (წარმატებას), ასევე საზოგადოებრივ მოქმედებასაც ეხებოდა. პედაგოგების და თვით სტუდენტების წარმომადგენლობითმა ამონაკრებმა აღნიშნული მახასიათებლების საფუძველზე "ძალზე წარმატებული" და "ძალზე წარუმატებელი" სტუდენტები შეაფასა. ამგვარი პროცედურის ჩატარების შედეგად ის სპეციფიკური ფაქტორები გამოვლინდა, რომელთა მეშვეობით სტუდენტთა საქმიანობის ეფექ-

ტურობის დახასიათება იქნებოდა შესაძლებელი. მიღებული ემპირიული მონაცემების თანახმად, კოლეჯის სტუდენტების აკადემიური წარმატება ხუთმა ფაქტორმა განაპირობა (მაგალითად, კარიერასთან დაკავშირებული მიზნების გაცნობიერების ხარისხი, აქტიური კომუნიკაციის უნარი), ხოლო მათი არააკადემიური აქტივობა (ქცევის ფორმები, რომლებიც სწავლის პროცესთან უშუალოდ არ არიან დაკავშირებული, მაგალითად, ეთიკური საქციელი, პიროვნებათა შორის ურთიერთობებში სოციალურობის ხარისხი) რვა ფაქტორმა განსაზღვრა. ამ შედეგმა მკვლევარებს კოლეჯის სტუდენტების როგორც სასწავლო, ასევე საზოგადოებრივი ქცევის ეფექტურობის გამზომი კრიტერიუმების დადგენის საშუალება მისცა.

კრიტერიუმების შემუშავების ინდუქციური მიდგომის ნიმუშს ჰ. მუჩინსკი გვთავაზობს [13]. კვლევის მიზანს მომხმარებლის მიერ სესხის აღების, როგორც სარისკო ქცევის, კრიტერიუმის შესწავლა წარმოადგენდა. თვით ავტორი აღნიშნავს, რომ მომხმარებლის მიერ სესხის აღების, როგორც სპეციფიკური ქცევის შესახებ რაიმე წინასწარი თეორიული ვარაუდი მას არ გააჩნდა. გამოკვლევის სტრატეგია შემდეგი იყო: ჯერ ემპირიული მონაცემების შეგროვება, მერე კი შესასწავლი ქცევის განმსაზღვრელი ცვლადების შესახებ შესაბამისი ცნებების შემუშავება. მკვლევარმა თანხის გამსესხებელ კომპანიებში 500 სესხის ამღების ფინანსური მონაცემები შეისწავლა. სესხის ამღები კლიენტები "წარმატებულ" და "წარუმატებელ" ჯგუფებად იქნა დაყოფილი. პირველი ჯგუფი იმ ხალხმა შეადგინა, ვინც აღებული სესხი დროულად გაისტუმრა,

ხოლო მეორე ჯგუფში ისინი შეეიდნენ, ვინც სესხის გადახდა დააგვიანეს და მათ დავალიანების თანხა "დაეწერათ". პირველი ჯგუფის წევრებს სესხის აღების პრივილეგია დარჩათ, ხოლო მეორე ჯგუფის წარმომადგენლებს, ბუნებრივია, ამგვარი შესაძლებლობა აღარ მიეცათ. ამ ორი ჯგუფის მონაცემების შედარების საფუძველზე სესხის ამღებთა ქცევის მადეტერმინირებელი ორი ძირითადი ფაქტორი გამოიყო: კლიენტების მიერ ყოველთვიური გადასახადის დაგვიანებით (გადავადებით) შეტანა და შესატანი თანხის საერთოდ გადაუხდელობის განზრახვა. ავტორმა მის მიერ შესწავლილი ქცევის მახასიათებლად, ანუ პრაქტიკულ კრიტერიუმებად სწორედ ეს ფაქტორები მიიჩნია.

4. კრიტერიუმების შემუშავებას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება გააჩნია. *თეორიული* თვალსაზრისით კრიტერიუმი ცნების ადეკვატური გააზრების საფუძვლად გვევლინება. კრიტერიუმებს შორის არსებული ურთიერთკავშირის გარკვევით ცნების შინაარსის არსებითი გაღრმავება ხდება. ზემოთმოყვანილი კვლევების ესა თუ ის შედეგი შესწავლილი ქცევის ფორმათა სათანადო ცნებების დონეზე განხილვის შესაძლებლობას გვაძლევს. აქ, ფაქტობრივად, გვაქვს საქმე ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ მოვლენასთან, კერძოდ, კონცეფტური, ანუ კონსტრუქციული ვალიდობის (ფსიქიკურ მოვლენათა გამზომი ინსტრუმენტის საფუძვლად მდებარე თეორიული პრინციპების საბუთიანობის ხარისხი) დადგენის პროცედურებთან. კონცეფტური ვალიდობის დადგენის პროცესში ის ცვლადები უნ-

და გამოვყოთ, რომლებიც რაიმე მოვლენის აღმწერი, ამსახველი ცნების განმარტების შესაძლებლობას გვაძლევს. მაგალითად, ადამიანის ინტელექტის, ანუ ზოგადი გონიერების ცნებაში სათანადო სიტყვიერი მოქმედების და მათემატიკური ოპერაციების განზომილებები იგულისხმება. იგივე ითქმის, ვთქვათ, შრომით კმაყოფილების შესახებ: ივარაუდება, რომ ამ ფაქტორის მიხედვით ჯგუფებს შორის სხვაობა ("დიდად" კმაყოფილი და "მცირედ" კმაყოფილი) მნიშვნელოვან განსხვავებას ადამიანთა რეალურ ქცევაშიც გამოავლენს.

კრიტერიუმების შემუშავებას უდავო *პრაქტიკული* ღირებულება გააჩნია. სათანადო კრიტერიუმების დადგენის საშუალებით, როგორც ცალკეული ადამიანების, ასევე შრომითი ჯგუფების საქმიანობის, სხვადასხვა სახის საორგანიზაციო ღონისძიებებათა (პროფესიული გავარჯიშება, კადრების შერჩევა და სხვა უფრო კონკრეტული პროგრამები) არა მხოლოდ ჩატარების და გაკონტროლების, არამედ სანდო და დასაბუთებული შეფასების შესაძლებლობა გვეძლევა.

დასასრულ, ხაზგასასმელია შემდეგი: წინამდებარე სტატიაში განხილული პრობლემა ზოგადად *ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიას* ეხება, რაც ისტორიულად ფსიქოლოგიაში ყოველთვის წინა პლანზე იყო წამოწეული. ეს მის ძირეულ თავისებურებას გამოხატავს. ამასთან დაკავშირებით ცნობილი მეთოდოლოგი დონალდ კემბელი აღნიშნავს: "გაზომვის სფეროში არსებულ კრიტიკულ და ანალიტიკურ ცნებებზე სამუშაოდ ყველაზე კარგად მომზადებული ფსიქოლოგები არიან. საკუთარი საზომი ხერ-

ხების აგებისა და კრიტიკული ანალიზის ძველი ტრადიციის წყალობით ფსიქოლოგიამ სანდოობის და ვალიდობის მათემატიკური მოდელები შეიმუშავა, რომლებიც პროგრამების შეფასების პრაქტიკას ძალზე ესაჭიროება" [14, გვ. 320]. ნათქვამი, ფსიქოლოგიის სხვადასხვა გამოყენებით დარგებში მომუშავე მკვლევარებს, რასაკვირველია, ძალზე გვაიმედებს და ამავე დროს, დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს.

ლიტერატურა

1. Helson, H. Adaptation level theory: An experimental and systematic approach to behavior. N.Y.: Harper and Row, 1964.
2. Надирашвили, Ш., Нониашвили, Т., Томеишвили, Н. Осуществление и оценка двигательной активности в сенсомоторном поле человека. Вопросы инженерной и социальной психологии. Тбилиси; 1974.
3. ნონიაშვილი, თ. სენსომოტორული აქტივობა და ფიქსირებული განწყობა. თბილისი, 1980.
4. Небиеридзе, А. Действие установки в различных сферах психической активности. В кн. Экспериментальные исследования по психологии установки, т. 5, 1971.
5. ჩარკვიანი, დ., ნონიაშვილი, თ. სოციალური მოვლენის გავლენა შეფასებით მსჯელობებზე. *მაცნე*, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, 1974, 4.
6. Simon, H. Motivational and emotional controls of cognition. Psychological Review, 1967, 74, 29-39.
7. Janis, I., Mann, L. Decision-Making: A psychological analisis of confict, choice and commitment. N.Y.: The Free Press, 1977.
8. Mc Agnew, W., Brown, J. Bounded rationality: Fallable decisions in unbounded decision space. Behavioral Science, 1986, July, 148-161.
9. Dyer, L., Schwab,D., Theriault, R. Managerial perceptions regarding salary increases criteria. Personel Psychology, 1976, 29, 233-242.
10. Higgins, E., Barg, J. Social cognition and social perception. Annual Review of Psychology, 1987, 38, 369-425.
11. Guion, R., Gibson W. Personel selection and placement. Annual Rview of Psychology, 1988, 39, 349-374.

12. Taber, T., Hekman, J. Dimensions of undergraduated college performance. Journal of Appled Psychology, 1976, 63, 391-407.
13. Muchinsky, P. Consumer installment credit risk: A need for criterion refinement and validation. Journal of Applied Psychology, 1975, 60, 87-93.
14. Кемпбелл, Д. Модели экспериментов в социальной психологии и прикладных исследованиях. М., 1980.

ფსიქიკა: პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, 2001, №2.

სამრეწველო ორგანიზაციების კულტურათაშორისი კვლევა

თანამედროვე ინდუსტრიის და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში ინტენსიური კვლევის საგანი შრომის სუბიექტის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის და მისი შრომითი განწყობების ფუნქციონირების თავისებურებათა ეროვნული კულტურის კონტექსტში შესწავლა გახლავთ. ცხადია, რომ დღეს, მსოფლიო მასშტაბით გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან გვაქვს საქმე. ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამუშაო ძალის სოციალური და ფსიქიკური განსხვავებების შესწავლა იძენს. განსაკუთრებით კი ეს იმ განსვავებებს ეხება, რომლებიც კულტურალური ფაქტორებით არიან განპირობებული. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული გამოცდილებით, ენის, ტერიტორიის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით განსაზღვრული, ქვეყნის უნიკალურობის ამსახველი ძირითადი ღირებულებების და ცხოვრების წესის ტრადიციათა ერთობლიობა *ეროვნულ კულტურას* გამოხატავს. შრომის პროცესთან მიმართებაში ეროვნული კულტურის სოციო-ფსიქოლოგიური კუთხით შესწავლას მცირე, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერი ტრადიცია გააჩნია. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ხაზგასასმელი საკუთრივ კულტურათაშორისი კვლევის სპეციფიკა გახლავთ. დარწმუნებით შეიძლება

ითქვას, რომ სოციალური და ფსიქიკური ფაქტორების მაკროდონეზე შესწავლამ, ფაქტობრივად, კვლევის მეთოდოლოგიაში არსებული "პარადიგმის" (რეალობის განზოგადოებული გააზრების გარკვეული სქემა, ანუ მიდგომა) შეცვლა თუ არა, მისი დაზუსტება ნამდვილად გამოიწვია. *კულტურათაშორისი გამოკვლევა* მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდია, რომლის მიზანი ცალკეული ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის ფსიქიკურ პროცესებზე და მის ქცევაზე ამა თუ იმ კულტურის, როგორც დამოუკიდებელი ცვლადის, ზემოქმედების შესწავლაში მდგომარეობს. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ამგვარი კულტურათაშორისი გამოკვლევებით მიღებულ შედეგებს განვიხილავთ და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ვიმსჯელებთ.

1. ეროვნულ კულტურათა შორის ღირებულებითი ორიენტაციების თვალსაზრისით არსებული განსხვავებების ინტენსიური ემპირიული შესწავლა და მათი მრავალმხრივი ანალიზი ჰოლანდიელი მკვლევარის გ. ჰოვსტედის მიერ არის განხორციელებული [1, 2]. გ. ჰოვსტედისა და მისი კოლეგების გამოკვლევაში ექვს სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულმა ერთ მრავალეროვან კორპორაციაში მომუშავე 150 ათასმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. ამგვარი ემპირიული გამოკვლევის თავისებურება შემდეგში მდგომარეობს: მონაცემებს შორის არსებული ვარიაბელობა სამრეწველო ორგანიზაციებში არსებულ სოციალურ პრაქტიკას ან პოლიტიკას კი არ მიეწერება, არამედ აიხსნება სხვადასხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ეროვნული კულტურის თავისებურებით. ემპირიული კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნო-

ბით გ. ჰოვსტედმა კულტურის შემდეგი ოთხი განზომილება გამოყო: ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის დონე, მაღალი-დაბალი ძალაუფლებრივი მანძილი, მაღალი-დაბალი განუსაზღვრელობის თავიდან აცილება, ქალურობა-მამაკაცურობის მიმართ ორიენტაცია.

ეროვნული კულტურის აღნიშნულ განზომილებებში შემდეგი შინაარსია ნაგულისხმევი: პირველი განზომილება, კერძოდ, ინდივიდუალიზმის დონე ამა თუ იმ ქვეყანაში ადამიანების მოქმედებათა თავისებურებას გამოხატავს. კონკრეტულად, საკითხი შემდეგს ეხება: ძირითადად რომელ ქცევას ენიჭება უპირატესობა – ინდივიდუალურს თუ კოლექტიურს? როგორ მოქმედებენ ადამიანები – როგორც ცალკეული და დამოუკიდებელი პიროვნებები, თუ როგორც ერთიანი ჯგუფის წევრები? კოლექტივიზმი ინდივიდუალიზმის სრულიად საწინააღმდეგო ღირებულებით ორიენტაციას გამოხატავს. ამდენად, კოლექტივიზმისთვის უპირატესობის მინიჭება ადამიანთა მოქმედებაში ინიდივიდუალიზმის დაბალი ხარისხის გამოვლინებას ნიშნავს. სოციალიზაციის პროცესის თვალსაზრისით, კოლექტივისტური ღირებულებითი ორიენტაციის მქონე საზოგადოებაში ბავშვს ზრდიან სოციალური ჯგუფებისადმი (რომელსაც ის მიეკუთვნება, მაგალითად, ოჯახს) პატივისცემის, დაფასების, მისი ტრადიციებისადმი დამორჩილების სულისკვეთებით. ინდივიდუალისტური ღირებულებითი ორიენტაციის მქონე საზოგადოებაში სოციალიზაციის პროცესი სხვაგვარად მიმდინარეობს, კერძოდ, ბავშვს ადრეული ასაკიდან საკუთარი თავის, ანუ 'მე"-ს და არა 'ჩვენ"-ს წინ წამოწევას, მის პრიორიტეტად მიჩნე-

ვას უნერგავენ. იგულისხმება, რომ ის თავის მოქმედებაში თანდათან ჯგუფისგან სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება და შემდგომში მას მისი იმედიც ნაკლებად ექნება, რაც, თავის მხრივ, ადამიანის რაიმე სოციალური ჯგუფისადმი მუდმივი ერთგულების აუცილებლობას არ მოითხოვს.

მეორე განზომილებაში ძალაუფლებრივი მანძილი იგულისხმება, რომელიც ეროვნული კულტურის იმ მახასიათებელზე მიგვანიშნებს, რომელიც კონკრეტული საზოგადოების მიერ ადამიანთა შორის ძალაუფლების არათანაბრად განაწილების დაშვებას ეხება. მაგალითად, საზოგადოებაში, რომელშიც სხვადასხვა კლასების წარმომადგენლებს შორის მცირე ძალაუფლებრივი მანძილი დომინირებს, ადამიანთა შორის უფრო მჭიდრო და დინამიკური სოციალური ურთიერთმოქმედება არსებობს. ამგვარ ვითარებაში ადამიანებს თავისი სოციალური სტატუსის ამაღლების შედარებით უფრო დიდი შესაძლებლობა გააჩნიათ. თუ მხედველობაში ძალაუფლებრივი მანძილის კონტინიუმს მივიღებთ (დაწყებული მცირე, შემდეგ, შედარებითი გაწონასწორებული და დიდი ძალაუფლებრივი დისტანციით დამთავრებული), მაშინ ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უთანასწორობა, რასაკვირველია, ყველა საზოგადოებაში არსებობს, მაგრამ ზოგიერთ ქვეყნებში უფრო მეტად, ვიდრე სხვებში.

მესამე განზომილება განუსაზღვრელობის თავიდან აცილება გახლავთ. ეროვნული კულტურის ეს მახასიათებელი იმ თავისებურებას ეხება, რომელიც განუსაზღვრელი და სწრაფად ცვალებადი ვითრებებისგან ადამიანთა

განრიდების სურვილის ხარისხს გამოხატავს. იმ ეროვნული კულტურის მქონე ქვეყნებისთვის, რომლებშიც ადამიანები, ძირითადად, განუსაზღვრელობის თავიდან აცილებაზე არიან ორიენტირებული, ის გახლავთ დამახასიათებელი, რომ მათ სამრეწველო ორგანიზაციებში წერილობითი წესები და პროცედურებია გაბატონებული, მომუშავეთა ქცევა მკაცრად არის სტრუქტურიზირებული, ხოლო ხელმძღვანელის მიერ სარისკო მოქმედებისგან თავის შეკავება წახალისების საგანია. საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე იმ ქვეყნების ინდუსტრიულ ორგანიზაციებში, რომლებშიც თანამშრომლები საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში განუსაზღვრელობისგან თავის დაღწევაზე ნაკლებად არიან მომართული.

მეოთხე განზომილებაში, კერძოდ, მამაკაცურობა-ქალურობის მიმართ ორიენტაციაში შემდეგია ნაგულისხმევი: ეროვნულ კულტურაში მამაკაცური საწყისის დომინირება ადამიანების მიერ პროფესიულ საქმიანობაში შეუპოვრობის, დაჟინებულობის გამოვლინებას, ფულის "შოვნაზე" და სხვა მატერიალურ სიკეთეთა მიღწევაზე მომართულობას ნიშნავს. საზოგადოებაში, რომელშიც ქალური საწყისია წამყვანი, ძირითადად, შემდეგი ღირებულებითი ნორმები სჭარბობენ: პიროვნებათაშორისი ურთიერთობების წინ წამოწევა, ადამიანების მიერ ერთმანეთის მიმართ ზრუნვის გამოვლენის ხაზგასმა და, უწინარეს ყოვლისა, შრომითი ცხოვრების ხარისხით დაინტერესება. მაგალითად, ივარაუდება, რომ იმ ქვეყნებში, რომლებშიც მამაკაცური საწყისის მქონე ღირებულებითი ორიენტაციებია გაბატონებული, მენეჯერები, როგორც წესი, თავის პრო-

ფესიულ საქმიანობაში დიდ ძალისხმევას ავლენენ, ხოლო მიზნების მიღწევის თვალსაზრისით ერთობ პრაგმატულები არიან. იმ ქვეყნებში კი, რომლებშიც ქალური საწყისის ღირებულებითი ორიენტაციები დომინირებენ, მაგალითად, მრეწველობის სფეროში მომუშავე ადამიანებს, ძირითადად, მათი სამუშაო პირობების, შრომითი საქმიანობის შინაარსის რაგვარობა, ანუ ხარისხი აღელვებთ.

კულტურათა შორის განსხვავებების ანალიზს, გ. ჰოფსტედი აშშ-ს სხვა ქვეყნებთან შედარების საფუძველზე აკეთებს. მისი მონაცემების თანახმად, სხვა ქვეყნებთან შედარებით, აშშ-სთვის შემდეგია დამახასიათებელი: ინდივიდუალიზმის ყველაზე დიდი ხარისხი; ძალაუფლებრივი მანძილის საშუალოზე მცირე დონე; განუსაზღვრელობისგან თავის არიდების საშუალოზე მაღალი ხარისხი; მამაკაცურობის საწყისის მაღალი დონე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემი აშშ-ს შესახებ მსოფლიოში გავრცელებულ ზოგად შეხედულებას საკმაოდ შესატყვისად ასახავს. ძალაუფლებრივი მანძილის შესახებ ემპირიული მონაცემები აშშ-ს, როგორც დემოკრატიული ღირებულებების მიმდევარი სახელმწიფოს სტრუქტურას და შინაარსს, ნამდვილად შეესაბამება. ეროვნული კულტურის ამ განზომილების თვალსაზრისით, იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებშიც სახელმწიფოს მართვაში ფართო მასები ნაკლებად არიან ჩართული და რომლებშიც სიღარიბის მაღალი დონეა, აშშ შედარებით მაღალ შეფასებას იმსახურებს; ხოლო იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც ეგალიტარული (თანასწორებითი) ხელისუფლების ერთგულნი არიან, აშშ საშუალო შეფასებას იღებს. განუ-

საზღვრელობის თავიდან აცილების დაბალი მაჩვენებელი, თავის მხრივ, ქვეყნის დემოკრატიული მართვის ძირითადი პრინციპების შესატყვისად უნდა მივიჩნიოთ. ამერიკელების, როგორც ინდივიდუალისტური ეთიკის გამტარებელთა შესახებ გავრცელებული სოციალური სტერეოტიპი ამ ქვეყნის ეროვნული კულტურისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის განზომილებაში გამოვლენილი მაღალი მაჩვენებლით საბუთდება. ეროვნული კულტურის ამ მახასიათებლის თვალსაზრისით, აშშ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე ინდივიდუალისტურ სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს. დაბოლოს, მამაკაცური საწყისის განზომილებაში მიღებული მაღალი მაჩვენებელი სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან აშშ-ს კაპიტალისტური სისტემის ფუნქციონირებისთვის აგრესიულობა, მძაფრი კონკურენცია და პრაგმატულობა არის დამახასიათებელი.

გ. ჰოფსტედი აშშ-ს ეროვნული კულტურის თავისებურებას მასთან მსგავს და მისგან განსხვავებულ ქვეყნებთან შედარების საფუძველზე ადგენს. სათანადო მონაცემები №1 ცხრილშია მოცემული.

ინდივიდუალიზმი	კოლექტივიზმი
აშშ	კოლუმბია
ავსტრია	ვენესუელა
დიდი ბრიტანეთი	პაკისტანი
კანადა	პერუ
დიდი ძალაუფლებრივი მანძილი	მცირე ძალაუფლებრივი მანძილი
ფილიპინები	ავსტრია
მექსიკა	ისრაელი

ვენესუელა	დანია
იუგოსლავია	ახალი ზელანდია
ბანუსაზღვრელობის თავიდან აცილების მაღალი დონე	**ბანუსაზღვრელობის თავიდან აცილების დაბალი დონე**
საბერძნეთი	სინგაპური
პორტუგალია	დანია
ბელგია	შვეცია
იაპონია	ჰონ-კონგი
მამაკაცურობის საწყისის მაღალი დონე	**ქალურობის საწყისის დაბალი დონე**
იაპონია	შვეცია
ავსტრია	ნორვეგია
ვენესუელა	ბულგარეთი
იტალია	დანია

ცხრილი №1. ქვეყნებს შორის კულტურალური განსხვავებების ნიმუშები გ. ჰოვსტედის მიხედვით

ზოგადი მონაცემების თანახმად, აშშ-სათვის ძლიერი ინდივიდუალიზმი და მცირე ძალაუფლებრივი მანძილია დამახასიათებელი. იგივე სახის მაჩვენებელები დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ავსტრალიაში, კანადაში და ახალ ზელანდიაშია გამოვლენილი. აღნიშნული მახასიათებლით აშშ მნიშვნელოვნად განსხვავდება ვენესუელასგან, კოლუმბიისგან, პაკისტანისგან, სინგაპურისგან და ფილიპინებისგან. გარდა ამისა, აშშ-ის დამახასიათებელია განუსაზღვრელობის თავიდან აცილების დაბალი და მამაკაცური საწყისის მაღალი მაჩვენებლები. იგივე სახის მაჩვენებლები ისრაელისთვის, დიდი ბრიტანეთისთვის,

ფილიპინებისთვის, ახალი ზელანდიისთვის, ავსტრალიისთვის, ინდოეთისთვის და სამხრეთ აფრიკისთვის არის ნიშანდობლივი. ეროვნული კულტურის ამ განზომილებების მიხედვით აშშ მკვეთრად ჩილესგან, ბულგარეთისგან და პორტუგალიისგან განსხვავდება.

ეროვნული კულტურის საფუძველზე სუბიექტის მიერ გარემოში მიმდინარე მოვლენების ინტერპრეტაცია და მისი სოციალური აქტივობის ფორმირება ხდება. არსებითი ის გახლავთ, რომ ადამიანი კულტურას სოციალური გამოცდილებით, კერძოდ, სხვებთან აქტიური ურთიერთობის პროცესში ითვისებს, ხოლო გაშინაგნებული ცოდნა, თავის მხრივ, მას სხვებთან სოციალურად შესატყვისი და გამართლებული ურთიერთობის შესაძლებლობას აძლევს. კულტურათაშორისო სხვაობები ორმხრივი მოძრაობის მსგავსია: სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა სოციალური ურთიერთმოქმედება ერთმანეთის თვალსაზრისების, ღირებულებითი ორიენტაციების და მოლოდინების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. კულტურათაშორისი განსხვავებების სათანადო გაცნობიერება, რაც განსაკუთრებით საწარმოო ორგანიზაციების მმართველობითი რგოლის წარმომადგენლებს ეხება, გლობალური ეკონომიკის ეპოქაში აუცილებლობას წარმოადგენს. მაგალითისთვის ე. წ. სოციალური და პიროვნული მანძილის ფაქტორს მივმართოთ. ზოგიერთი ეროვნული კულტურა სოციალური სივრცის, ზოგიერთი კი პერსონალური სივრცის გამოყენებას ანიჭებს უპირატესო-

ბას. მაგალითად, იაპონიაში მენეჯერები, ხშირად, მუშაობის პროცესში ხელქვეითებთან ერთ ოთახში იმყოფებიან. ზოგიერთი მსხვილი იაპონური სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელები, თანამშრომლებთან "ახლოს" ყოფნის მიზნით, სამუშაოზე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობს. ამ შემთხვევაში საქმე სოციალური სივრცის სათანადო გამოყენების ორიენტაციასთან გვაქვს. საწინააღმდეგოდ ამისა, ჩრდილოამერიკელები პიროვნული სივრცის გამოყენებაზე არიან ორიენტირებული. რაც უფრო შეზღუდულია მენეჯერთან შეღწევის შესაძლებლობა, მისი სოციალური სტატუსი მით უფრო მაღალია. ზოგადად რომ ვთქვათ, თვით ინდუსტრიული ორგანიზაციების მართვის თავისებურება ეროვნული კულტურის სპეციფიკით არის მნიშვნელოვნად განსაზღვრული. ნათქვამის ნათელ ნიმუშს იმ ცნებებს შორის სხვაობათა ანალიზი გვაძლევს, რომელიც ამერიკელ და იაპონელ მენეჯერებს შორის არსებობს. სათანადო მონაცემები №2 ცხრილშია მოყვანილი.

გამონათქვამები, რომლებიც ჩვეულებრივ მენეჯმენტში გამოიყენება	მნიშვნელობები, ინტერპრეტაცია, წარმოდგენები	
	აშშ	იაპონია
კომპანია	სპორტული გუნდი	სოფლის ოჯახი
ბიზნესის მიზანი	გამარჯვება	გადარჩენა
მომუშავეები	გუნდის მოთამაშენი	ბავშვები ოჯახში
ადამიანთა ურთიერთობა	ფუნქციური	ემოციური
კონკურენცია	სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა	თანამშრომლობა ან ცოდვა

მოგების მიღების მოტივაცია	ყოველგვარი ხერხებით	მიზნის მიღწევის საშუალება
იდენტიფიკაციის განცდა	საქმიანობით სიამაყე	ჯგუფის პრესტიჟი
შრომითი მოტივაცია	პირადი შემოსავალი	ჯგუფური ატმოსფერო
წარმოება	მწარმოებლურობა	სწავლება და სიბეჯითე
პერსონალი	შრომისუნარიანობა	მხარდაჭერა
დაწინაურება	უნარების მიხედვით	ნამსახურობისთვის
ანაზღაურება	შრომის და შედეგების მიხედვით	ჯილდო მოთმინებისთვის და მსხვერპლის გაღებისთვის

ცხრილი №2. ამერიკულ და იაპონურ მართვის ფორმებში გამოყენებული ცნებების ურთიერთშედარება ფ. ლუტენსის მიხედვით [4]

ცხრილის მონაცემები ნათლად იმ არსებით განსხვავებებზე მიგვანიშნებენ, რომლებიც ამერიკელ და იაპონელ მენეჯერებს შორის არსებობს, როდესაც ისინი საორგანიზაციო მართვის პროცესში არიან ჩართული. მაგალითად, ამერიკელებისთვის საქმიანობის მიზანი წარმატებაში, ხოლო იაპონელებისთვის, ძირითადად, გადარჩენაში მდგომარეობს; შრომის მოტივაციის ძირითად წყაროს პირველნი პირად შემოსავალში, ხოლო მეორენი ჯგუფში არსებულ ატმოსფეროში ხედავენ. ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული კულტურა შრომის სუბიექტის სპეციფიკურ პროფესიულ ღირებულებით ორიენტაციებს აყალიბებს, რაც ყველაზე ნათლად მომუშავეთა შრომით განწყობებში და შრომითი მოტივაციის თავისებურებაში ვლინდება. კულტურათაშორისი კვლევებით მოპოვებული მონაცემები ამ მიმართებას ნათლად ასაბუთებს. აქ, სწორედ ამგვარი კვლევების ნიმუშებს განვიხილავთ. ჯ. ლინკოლმა თავის ფართომასშტაბიან გამოკვლევაში ამერიკელი და იაპონე-

ლი შრომის სუბიექტების შრომით კმაყოფილების მონაცემები შეადარა [5]. გამოკვლევაში მონაწილეობა 8300-მა რესპონდენტმა მიიღო, რომლებიც იაპონიის და აშშ-ს 106 ქარხანას წარმოადგენდნენ. მრავალფაქტორიანი შესწავლის ერთ-ერთი მიზანი იაპონელი და ამერიკელი ქარხნის მუშების შრომით კმაყოფილების მაჩვენებლების გაზომვა და მათი ურთიერთშედარება გახლდათ. სათანადო მონაცემები №3 ცხრილშია ასახული.

შრომით კმაყოფილების განზომილებები	იაპონელი რესპონდენტები	ამერიკელი რესპონდენტები
1. საკუთარი საქმიანობით კმაყოფილება	2.12	2.95
2. სხვას რამდენად ურჩევდა საკუთარ პროფესიულ საქმიანობას	0.91	1.52
3. არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა რომ იყოს, იმავე სამსახურს მიანიჭებდა თუ არა რესპონდენტი უპირატესობას	0.84	1.61
4. რამდენად შეესაბამება პროფესიული საქმიანობა იმას, რაც თავდაპირველად სურდა ან წარმოედგინა რესპონდენტს	0.43	1.20

ცხრილი №3. იაპონელი და ამერიკელი მუშების შრომით კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელების ურთიერთშედარება ჯ. ლინკოლნის მიხედვით [5].

იმთავითვე აღსანიშნავია, რომ ცხრილში მოყვანილ შრომით კმაყოფილების მაჩვენებლებს შორის არსებული

სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელობის მქონეა, რაც, თავის მხრივ, იაპონელ და ამერიკელ მომუშავეთა შორის საკუთარი პროფესიული საქმიანობით კმაყოფილების მნიშვნელოვან განსხვავებაზე მიგვანიშნებს. შინაარსეული თვალსაზრისით ამავე ცხრილის მონაცემები იმაზე მიგვითითებენ, რომ ამერიკელი მუშები, იაპონელ კოლეგებთან შედარებით, თავისი შრომითი საქმიანობით უფრო მეტად არიან კმაყოფილი. ისიც ხაზგასასმელია, რომ ამ გამოკვლევამ (სხვა მრავალი გამოკვლევის მსგავსად) ნათელი და მნიშვნელოვანი კორელაცია შრომით განწყობებს და საქმიანობის პროდუქტიულობას შორის ვერ დაადგინა. მიუხედავად ამისა, შემდეგი გარემოება არის აღსანიშნავი. ემპირიული მონაცემების თანახმად, შრომით კმაყოფილებას და რიგ საორგანიზაციო პრაქტიკულ ღონისძიებას (მაგალითად, შრომითი უნარების დახვეწის და მათი რეაბილიტაციის სპეციალური პროფესიული გავარჯიშების პროგრამების რეალიზაცია) შორის დადებითი და მნიშვნელობის მქონე კავშირი იყო გამოვლენილი. აღნიშნული შედეგი ორივე ქვეყნის წარმომადგენლებზე განზოგადდა.

საგულისხმოა ის ემპირიული კვლევები და სათანადო შედეგები, რომლებიც შრომითი მოტივაციის კულტურათაშორისი განსხვავებების დადგენის მიზნით იყო ჩატარებული. სანიმუშოდ მივმართოთ ერთ-ერთ გამოკვლევას, რომელშიც შრომითი მოტივაციის შინაარსეული მხარე იყო ხაზგასმული [6]. გამოკვლევაში მონაწილეობდნენ შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები. მათ შრომითი საქმიანობიდან გამომდინარე სასურველი თერთმეტი შედეგის,

ანუ მიზნის რანჟირება ევალებოდათ. აღნიშნული გაზომვითი პროცედურა ყოველი შრომითი შედეგის მომუშავისთვის მიმზიდველობის (ვალენტობის) ხარისხის დადგენის საშუალებას იძლეოდა. მიღებულმა ემპირიულმა რეზულტატებმა შემდეგი სურათი გამოავლინა. ზოგადი ტენდენციის მიხედვით ყველაზე დიდი მნიშვნელობა 'საინტერესო სამუშაო" (საქმიანობა) აღმოჩნდა ოთხი ქვეყნის წარმომადგენელთათვის (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი და აშშ). სწორედ 'საინტერესო სამუშაო" იყო მათი შრომითი ცხოვრების ყველაზე ღირებული განზომილება. რაც შეეხება დანარჩენი სამი ქვეყნის (იაპონია, ჰოლანდია და გერმანია) წარმომადგენლებს, შრომითი ცხოვრების აღნიშნული განზომილება მათ მეორე და მესამე ადგილზე დააყენეს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული ემპირიული შედეგი არც მომუშავეთა შრომის შინაარსზე და არც მათი განათლების დონეზე არ იყო დამოკიდებული. შრომითი ცხოვრების ამ განზომილების შემდეგ უპირატესობა, სათანადოდ, "კარგ ხელფასს" და "კარგ პიროვნებათაშორის ურთიერთობებს" მიენიჭა. "კარგი ხელფასის" რანგული მაჩვენებლები შემდეგნაირად განაწილდა: უმაღლესი 11.00 (დიდი ბრიტანეთი), მაღალი – 7.80, ხოლო უმდაბლესი – 6.27 (ჰოლანდია). "კარგ პიროვნებათაშორის ურთიერთობებს" რაც შეეხება, ამ შემთხვევაში მაღალი მაჩვენებელი იყო 7.19 (ჰოლანდია), ხოლო მცირე მონაცემი (აშშ) 6.08-ის ტოლი აღმოჩნდა. შრომითი ცხოვრების განზომილებათა რანჟირების მონაცემების თვალსაზრისით, მომდევნო ადგილები შემდეგნაირად განაწილ-

და: "კარგად (მყარად) გარანტირებული სამსახური", "მომუშავის უნარებს და სამუშაოს მოთხოვნებს შორის კარგი მორგება" და "საქმიანობაში დიდი ავტონომია". სწორედ შრომითი ცხოვრების ამ განზომილებების მიხედვით ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი სხვაობები გამოვლინდა, კერძოდ, საშუალო რანგული მონაცემები 4.49-დან დაწყებული 7.83 მაჩვენებლამდე მერყეობდნენ.

"საინტერესო სამუშაოს" განზომილების წამყვანი მნიშვნელობა მომუშავეთა პროფესიულ ცხოვრებაში კიდევ ერთხელ მაშინ დასაბუთდა, როდესაც მიღებული ემპირიული შედეგები ორგანიზაციული იერარქიის ფაქტორის გათვალისწინებით გაანალიზდა. მიღებული მონაცემების თანახმად, შრომითი ცხოვრების აღნიშნული განზომილება ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა ორგანიზაციის ყოველ იერარქიულ დონეზე ყველაზე ღირებულ მიზნად მიიჩნია. ანალოგიური ტენდენცია "კარგი ხელფასის" მიმართაც გამოვლინდა. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ "კარგი ხელფასი" მენეჯერების მიერ საშუალო მნიშვნელობის მქონე მიზნად შეფასდა. სავარაუდოა, რომ მენეჯერები, რომლებიც უმაღლეს ხელფასს იღებენ, თავის ხელქვეითებთან შედარებით, მას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ. შედეგების მიხედვით მენეჯერებისთვის უფრო დაბალ ორგანიზაციულ იერარქიაზე მყოფ თანამშრომლებთან შედარებით, დიდი მნიშვნელობა "საქმეში დიდ ავტონომიას" და 'მომუშავის შესაძლებლობებს და სამუშაოს მოთხოვნებს შორის "კარგ მორგებას" გააჩნიათ. როგორც აღვნიშნეთ, შრომითი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განზომილებას "კარგი პიროვნებათაშო-

რისი ურთიერთობები“ წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტორი უმაღლესი დონის მენეჯერებმა მეორე ადგილზე დააყენეს, ხოლო დაბალი დონის შემმოწმებლებმა (კონტროლიორებმა) მეოთხე ადგილი მიანიჭეს. ჰოლანდიაში შრომითი ცხოვრების ამ განზომილებამ რიგით თანამშრომლებს შორის პირველი, ხოლო მენეჯერებთან მეორე ადგილი დაიკავა. ისრაელელ გამოკითხულებში იმავე ფაქტორს ორგანიზაციების ყოველ იერარქიულ დონეზე მეორე რანგი ერგო. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს წარმომადგენლებმა შრომითი ცხოვრების ამ განზომილებას მხოლოდ მეშვიდე ადგილი მიუჩინეს.

დაბოლოს, შემდეგ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ზემოაღნიშნულ ემპირიულ შედეგებს გარკვეული გამოყენებითი მნიშვნელობა გააჩნიათ. მთლიანობაში ‘საინტერესო სამუშაოსათვის“ უპირატესობის მინიჭება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მომუშავეთა დიდი უმრავლესობისთვის დომინირებულია შინაგანი შრომითი მოტივაცია (ქცევის იმპულსი არა გარედან, არამედ თვით შრომის სუბიექტიდან მომდინარეობს). ეს იმას ნიშნავს, რომ შესწავლილი ქვეყნების წარმომადგენლებისათვის ისეთი პროფესიული საქმიანობა და ისეთი შრომითი პირობები იქნება დამაკმაყოფილებელი, რომლებიც მათი პროფესიული გამოცდილების და შესაძლებლობების სრულყოფილ გამოვლენას ხელს შეუწყობს. თუ ამგვარი შრომითი ხელშემწყობი პირობები იქმნება, მაშინ, სავარაუდოა, რომ მომუშავეთა შრომის მოტივაცია იზრდება, რაც, თავის მხრივ, შრომის ეფექტურობის ამაღლების საწინდარი ხდება.

ლიტერატურა

1. Hofstede, G. Culture's consequences: International differences in work-related values. Beverly Hills, CA: Sage Publication, 1980.
2. Hofstede, G., Neujen, B., Ohayv, D., Sanders, G. Measuring organizational cultures: A quantitative and qualitative study across twenty cases. Adminidtrative Science Quarterly, 1990, 35, 286-316.
3. Robbins, S. Organizational behavior: Structure, designe and application. Englewood Cliffs: Prentice-Hall, 1900.
4. Лютенс, Организационные поведение. М., ИНРФА - М, 1999.
5. Lincoln, J. Employee work attitydes and management practice in US and Japan: Evidence from comparative survey. California Management Review, 1989, 91-96.
6. Harpas, I. The importance of work goals: An international perspeqtive. Journal of International Business Studies, Ferst Quarter, 1990, 75-93. H

„მაცნე“, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინ-
სტიტუტის პერიოდული ჟურნალი. 2004, №1.

განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღების ფსიქოლოგიური თავისებურებები დ. კანემანისა და ე. ტვერსკის მიხედვით

წინამდებარე სტატიაში ჩვენი მსჯელობის საგანს გადაწყვეტილებათა მიღების ამჟამად არსებული ე.წ. დესკრიფციული (ფსიქოლოგიური) მიდგომის ჭეშმარიტად თვალსაჩინო წარმომადგენლების დენიელ კანემანისა და ეიმოს ტვერსკის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა წარმოადგენს. გადაწყვეტილებათა მიღების აღწერითი მოძღვრების შემუშავებასა და მის ვერიფიკაციაში ამ მკვლევარების ღვაწლი მართლაც უნიკალური გახლავთ. ბოლო 30 წლის განმავლობაში გამოცემულ ფუნდამენტურ ნაშრომებში მათ განუსაზღვრელობის პირობებში ადამიანის რაციონალური, ანუ ალგორითმული მოქმედებისგან (ე.წ. "ეკონომიკური პიროვნების" ქცევა იგულისხმება) თვისებრივად განსხვავებული გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობის თავისებურებათა მართლაც ინოვაციური შინაარსეულ-ფორმალიზებული თეორიული მიდგომა და ემპირიული კვლევის ორიგინალური მეთოდოლოგიური საშუალებები შემოგვთავაზეს, რამაც, მაგალითად, ექსპერიმენტული ეკონომიკის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა [1, 2, 3, 4, 5, 6].

სანამ კონკრეტული საკითხების განხილვას დავიწყებთ, ხაზი შემდეგ გარემოებას გვინდა გავუსვათ. ზოგა-

დი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გადაწყვეტილებათა მიღების როგორც ნორმატიული, ასევე დესკრიფციული მიდგომა ინდუქციური ლოგიკის ფარგლებში მოქმედებს. ინდუქციური მსჯელობა აზროვნების მიმდინარეობის (დამტკიცების) გარკვეულ ფორმას გამოხატავს, რომელშიც ერთი წყება დებულებებიდან მეორეზე გადასვლა სპეციფიკური წესების გამოყენების საშუალებით ხდება. გასათვალისწინებელია, რომ დედუქციური დანასკვისგან განსხვავებით, რომელშიც წანამძღვრებიდან გამომდინარე შედეგში ჭეშმარიტობის მნიშვნელობა სათანადო მკაცრი წესების საფუძველზე სრული გარკვეულობით გამომდინარეობს, ინდუქციურ დანასკვში ამგვარი მკაცრი აუცილებლობა არ იგულისხმება. ნიშანდობლივია, რომ ინდუქციური მსჯელობა განსხვავებული ხარისხის განუსაზღვრელობის პირობებში მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში რაიმე მოვლენის შესახებ მხოლოდ ვარაუდის თვალსაზრისით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. დედუქციური ლოგიკა, რომელიც დედუქციური დანასკვნის თეორიად განიხილება, აუცილებლობით *გამომდინარეობის ლოგიკად* გვევლინება, ხოლო ინდუქციური ლოგიკა, რომელიც განუსაზღვრელობითი განსჯის და დანასკვის ანალოგიური თეორიის შექმნას ცდილობს, შესაძლოა *ალბათური მსჯელობების* თეორიად მივიჩნიოთ [7]. ინდუქციური აზროვნების შემთხვევაში ცალკეული დაკვირვებების საფუძველზე ადამიანი ისეთ დებულებებს შეიმუშავებს, რომელთა ჭეშმარიტობა ალბათურია. მაგალითად, ადამიანმა, რომელმაც სხეულზე გამონაყარი შეამჩნია, შეიძლება ეს მოვლენა ახალი წამლის მიღებასთან დააკავშიროს და ამაში ის

შესაძლოა მართალიც აღმოჩნდეს. მაგრამ გამორიცხული არ რის, რომ გამონაყარი სხვა მიზეზით, ვთქვათ, რაიმე ინფექციური დაავადებით იყოს გამოწვეული. იმის გამო, რომ ინდუქციური აზროვნება ალბათურ მსჯელობებს ეყრდნობა, ფსიქოლოგიის სფეროში მოღვაწე მკვლევარები, კერძოდ, დ. კანემანი და ე. ტვერსკი ადამიანების მიერ ალბათობათა ოპერირების და სტატისტიკური პრინციპების ინტუიციური გამოყენების თავისებურებებს იკვლევენ. მათ სავსებით დამაჯერებლად გვიჩვენეს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ყოველდღიურ ცხოვრებაში არის რა 'ინტუიციური სტატისტიკოსი", ალბათური მსჯელობის პროცესში დიდი გამჭრიახობით არ გამოირჩევა. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური წესების და ალბათობის თეორიის პრინციპების სპეციალური მეთოდებით შესწავლის საფუძველზე ყოველდღიური ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ ინდუქციური აზროვნების უნარის განვითარება სავსებით შესაძლებელია [8]. განუსაზღვრელობის ვითარებაში გადაწყვეტილებათა მიღების ფსიქიკური თავისებურებების არსი დ. კანემანმა და ე. ტვერსკიმ ლაკონურად შემდეგნაირად გამოხატეს: 'განუსაზღვრელობის პირობებში მყოფი ადამიანები ისე წინასწარმეტყველებენ და მსჯელობენ, რომ ალბათობის გამოთელის, ანუ პროგნოზირების სტატისტიკური თეორიის პრინციპებს,. ფაქტობრივად, არ ითვალისწინებენ. ამის ნაცვლად, ისინი ე.წ. "შეზღუდული რაციონალობის" გამომხატველ ევრისტიკებს იყენებენ, რომლებიც ზოგჯერ მათ გონიერ მსჯელობას განაპირობებენ, ზოგჯერ კი სერიოზულ და სისტემატურ შეცდომებს იწვევენ" [9, გვ.

237]. აქედან ნათელია, რომ ამ ავტორების კვლევა-ძიების ძირითადი მიზანი სუბიექტის მიერ განუსაზღვრელობის ვითარებებში გადაწყვეტილებათა მიღების სპეციფიკის დადგენაში მდგომარეობს, ხოლო მის მისაღწევად მათ კონკრეტული ფსიქიკური მოვლენების, კერძოდ, ევრისტიკული სტრატეგიებისა და კოგნიტური შეცდომების ექსპერიმენტული შესწავლა განახორციელეს. ქვემოთ სწორედ ამ ფენომენების შესახებ გვექნება მსჯელობა.

ევრისტიკული სტრატეგიები

ევრისტიკული სტრატეგიები, ალგორითმულთან შედარებით, ადამიანის ინტუიციაზე დამყარებულ მსჯელობათა წესების გამოყენებას გულისხმობენ და ისინი, ხშირ შემთხვევებში, არასანდონი არიან. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ყველაზე კარგი ევრისტიკების გამოყენებით ადამიანი მის წინაშე მდგარ ამოცანას წარმატებით გადაწყვეტს. მათ ის უპირატესობა გააჩნიათ, რომ ამოცანის სირთულეს და სუბიექტის შემეცნებით ძალისხმევას ამცირებენ. ევრისტიკული სტრატეგიების გამოყენების პროცესში ადამიანები შეზღუდულ რაციონალობას ავლენენ [14]. დ. კანემანმა და ე. ტვერსკიმ ემპირიულად ორი სახის, კერძოდ, რეპრეზენტატულობის და ხელმისაწვდომობის ევრისტიკები შეისწავლეს.

რეპრეზენტატულობის ევრისტიკაში გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ მცირე ამონაკრებსა და პოპულაციას შორის სუბიექტური იგივეობის დამყარების სტრატეგია იგულისხმება. პოპულაციის და ამონაკრების გაიგივება იმ

თვისებების მიხედვით წარმოებს, რომლებიც სუბიექტს მნიშვნელოვნად და ტიპიურად მიაჩნია. როდესაც რომელიმე პოლიტიკოსი "მაღალი ტრიბუნიდან" (უმეტესად პირდაპირი მნიშვნელობით) აუდიტორიას მჭერმეტყველური სიტყვით მიმართავს, მაშინ შეიძლება მსმენელებმა ის საკმაოდ გაბედულ და შეუპოვარ საზოგადოებრივ მოღვაწედ აღიქვან. ამ შემთხვევაში სიტყვით გამომსველელს მსმენელები მხოლოდ მისი ცალკეული პიროვნული თვისებების მიხედვით აფასებენ, ხოლო თვით ამ თვისებებს ისინი პოლიტიკოსისთვის ტიპიურად, ანუ რეპრეზენტატულად მიიჩნევენ. ეყრდნობა რა გავრცელებულ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ კარგ საქონელს მაღალი ფასი გაჩნია, რაც რაიმე კონკრეტულ ვითარებაში სინამდვილეს შეიძლება ნაკლებად შეესაბამებოდეს, მომხმარებელი ამა თუ იმ პროდუქტის მხოლოდ ერთ რაიმე განმასხვავებელ თვისებას ითვალისწინებს, ხოლო მის სხვა მახასიათებლებს, ფაქტობრივად, უგულებელყოფს. მივმართოთ დ. კანემანისა და ე. ტვერსკის მიერ ჩატარებული კვლევის შემდეგ ნიმუშს [2,10].

ერთ-ერთ გამოკვლევაში, რომლის მიზანი გარკვეულ მოვლენათა განხორციელების ალბათურ შეფასებათა თავისებურებების შესწავლა გახლდათ, ცდისპირებს შემდეგ ინფორმაციას აწვდიდნენ: 'X ქალაქში ყველა ის ოჯახი იყო გამოკვლეული, რომლებსაც ექვსი ბავშვი ჰყავდათ. 72 ოჯახი აღმოჩნდა ისეთი, რომელშიც ბიჭების (ბ) და გოგოების (გ) დაბადების შემდეგი თანამიმდევრობა დადგინდა: გ, ბ, გ, ბ, ბ, გ". ამის შემდეგ, ცდისპირებს უნდა ევარაუდათ იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებშიც ექვსი

ბავშვის დაბადების თანამიმდევრობა შემდეგი იქნებოდა: ბ, გ, ბ, ბ, ბ, ბ. ალბათობის ნორმატიული თეორიის თანახმად, ბავშვების დაბადების ზემოაღნიშნული ორგვარი თანამიმდევრობა თანაბრად ალბათურია. მიუხედავად ამისა, ცდისპირთა 82%-მა ბ, გ, ბ, ბ, ბ, ბ თანამიმდევრობა ნაკლებ ალბათურად ჩათვალა. ცდისპირების მიერ ამგვარი მოვლენის შეუფასებლობის მიზეზად ავტორები იმას მიიჩნევენ, რომ ცდისპირებისთვის ბავშვების დაბადების ეს თანამიმდევრობა მთლიანი პოპულაციისთვის ნაკლებად ტიპიურია: ბიჭების და გოგოების დაბადებათა რიცხვების შეფარდება 5/1 არ გავს მთლიანი პოპულაციის 1/1 შეფარდებას, ე.ი. ნაკლებ რეპრეზენტატულია.

მეორე გამოკვლევაში ვინმე X პიროვნების შესახებ ცდისპირებს შემდეგ ინფორმაციას აწვდიან: 'ლინდა 31 წლისაა, ის გაუთხოვარია, გულწრფელი და ოპტიმიზმით აღსავსე ადამიანია. მან კოლეჯი ფილოსოფის სპეციალობით დაამთავრა. სტუდენტობის პერიოდში მას ადამიანთა დისკრიმინაცია და სხვა სოციალური პრობლემები ძალზე აღელვებდა, მან ბირთვული შეიარაღების საპროტესტო გამოსვლაშიც მიიღო მონაწილეობა". ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ცდისპირებს ეკითხებიან: 'თქვენი აზრით, რომლის ალბათობა უფრო მეტია: ა) ლინდა ბანკში მოლარედ მუშაობს, თუ ბ) ლინდა ბანკში მოლარედ მუშაობს და ის ფემინისტური მოძრაობის აქტიური წევრია?" ამ შეკითხვასთან დაკავშირებით ცდისპირთა 80%-მა ივარაუდა, რომ მეორე პასუხი, კერძოდ, ლონდა ფემინისტი ბანკის მოლარეა – უფრო სწორია. ეს არჩევანი მცდარია, რადგან მთლიანი პოპულაციის თვალსაზრისით,

ბანკის მოლარეთა რაოდენობა, ობიექტურად, ფემინისტი ბანკის მოლარეთა რიცხვზე გაცილებით მეტია. ცდისპირებმა კი რეპრეზენტატულობის ევრისტიკაზე დაყრდნობით, კონკრეტული მახასიათებლები არა ზოგად კატეგორიას, არამედ მცირე ამონაკრებს დაუკავშირეს.

დ. კანემანისა და ე. ტვერსკის თანახმად, გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ განუსაზღვრელობის ვითარებაში მსჯელობის განხორციელების და არჩევანის გაკეთების საფუძვლად მდებარე მეორე სახის ხერხს ე.წ. *ხელმისაწვდომობის* ევრისტიკული სტრატეგია უწოდეს. ამ სტრატეგიაში სუბიექტის მიერ რაიმე მოვლენის შესახებ მის მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე ამ მოვლენის განხორციელების ალბათობის შეფასება იგულისხმება. მაგალითად, თუ ადამიანს ქვეყნის მასშტაბით განქორწინებულთა რაოდენობის დადგენა სურს, ამ ვითარებაში მას, პირველ რიგში, ნაცნობებში (მცირე ამონკრები) განქორწინებების შემთხვევები ახსენდება და თუ მის გამოცდილებაში მათი რაოდენობა შედარებით მნიშვნელოვანი იყო, მაშინ ის ამ მოვლენის განხორციელების შესაძლებლობას დიდი ალბათობით ვარაუდობს. ხელმისაწვდომობის ევრისტიკა იმის ნათელი ნიმუშია, თუ რატომ არის ადამიანისთვის რაიმე მოვლენის ხატოვანი აღწერა და გადმოცემა დასაბუთებულ სტატისტიკურ მონაცემებზე უფრო დამაჯერებელი. მაგალითად, ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ თვითმფრინავით მგზავრობა ავტომანქანით მგზავრობაზე უფრო საროსკოა, სინამდვილეში კი, საავტომობილო ინციდენტებით გამოწვეული სიკვდილიანობის ალბათობა 30-ჯერ მე-

ტია. ამდენად, ამ ევრისტიკული სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში სუბიექტი შემდეგი პრინციპით ხელმძღვანელობს: რაიმე მოვლენის რეალიზაცია მით უფრო ადვილია, რაც უფრო ადვილია ამ მოვლენის დამახსოვრება. ხელმისაწვდომობის ევრისტიკის მოქმედების საილუსტრაციოდ დ. კანემანს და ე. ტვერსკის შემდეგ ექსპერიმენტულ გამოკვლევას მოვიყვანთ. გამოკვლევაში ცდისპირებს ამგვარ შეკითხვას აძლევდენ: 'თქვენი აზრით, ინგლისურ ენაში ასო "k"-ს უფრო ხშირად სიტყვებში პირველი პოზიცია უკავია, თუ მესამე?" მიუხედავად იმისა, რომ ასო "k"-ს ინგლისურ ენაში ობიექტურად უფრო ხშირად სიტყვებში მესამე პოზიცია უკავია, ცდისპირების 68%-მა უპირატესობა პირველ პოზიციას მიაკუთვნა. ავტორების აზრით, ეს შედეგი იმითაა გამოწვეული, რომ ადამიანების მეხსიერებაში უფრო მეტად ის სიტყვებია შემონახული, რომლებიც "k" ასოთი იწყება [13].

საბაზო მონაცემების უგულებელყოფა

დ. კანემანის და ე. ტვერსკის თანახმად, შეფასებითი მსჯელობის და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომელიც მნიშვნელოვნად ზემოაღნიშნული ევრისტიკული სტრატეგიების გამოყენებით არის დეტერმინირებული, ადამიანი შემეცნებით ტენდენციურობას ავლენს. ავტორებმა მის ერთ–ერთ სახეობას საბაზო მონაცემების უგულებელყოფა უწოდეს. ეს ფენომენი იმ შემთხვევაში ვლინდება, როდესაც სუბიექტი რაიმე პრობლემური და ალტერნატიული ვითარების განხილვის დროს ძირითადად

მის კერძო მახასიათებელზეა ორიენტირებული, და, ამასთან, იგნორირებულია ან სათანადოდ არ ფასდება მის მიერ *საბაზო მონაცემები*, ანუ ადამიანთა უმრავლესობის შესახებ არსებული ნორმატიულ-სტატისტიკური ინფორმაცია. საბაზო ინფორმაციის უგულებელყოფის ნათელ ნიმუშს შემდეგი გამოკვლევა გვაძლევს. რეალურ ცდისპირებს ვიდეოჩანაწერს უჩვენებენ, რომელშიც ფიქტიური 'გამოკვლევის" აღმწერი შინაარსი იყო ასახული. 'გამოკვლევაში" მოცემული ინფორმაციის თანახმად, ადამიანს, რომელმაც თავი ცუდად იგრძნო, გარშემომყოფებთაგან, ფაქტობრივად, დახმარება არავინ აღმოუჩინა. გარდა ამისა, ამ 'გამოკვლევაში" მონაწილე ადამიანებთან ჩატარებული გასაუბრების ვიდეოჩანაწერები იყო აგრეთვე ნაჩვენები. ნამდვილ ცდისპირები კი პასუხობდნენ შეკითხვას იმის თაობაზე, აღმოუჩენდა თუ არა დახმარებას გაჭირვებაში მყოფ ადამიანს ვიდეოჩანაწერში ნაჩვენები კონკრეტული პიროვნება. იმის მიუხედავად, რომ რეალური ცდისპირები გაჭირვებაში მყოფისადმი სხვათა მიერ სრული გულგრილობის გამომჟღავნების შესახებ ინფორმაციას ფლობდენ, უმრავლესობა გასაუბრებაში მონაწილე ცალკეული პიროვნებების მიერ ამგვარი მოქმედების გამოვლენას, ფაქტობრივად, მაინც გამორიცხავდა. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ვარაუდის საფუძვლად, ძირითადად, გასაუბრებაში მონაწილე კონკრეტული ადამიანის პიროვნული თვისებები დასახელდა (მაგალითად, 'მის შესახებ კარგი და სასიამოვნო პიროვნების შთაბეჭდილება შემექმნა, ვფიქრობ, რომ ის გაჭირვებაში მყოფ ადამიანს უყურადღებოდ ნამდვილად არ დატოვებდა" [11]). როგორც

ვხედავთ, ამ შემთხვევაში ცდისპირებმა საბაზო ინფორმაცია სათანადოდ არ შეაფასეს. ეს იმაში გამოიხატა, რომ მათ მომხდარი ფაქტის შესახებ არა უმრავლესობის მოქმედების გათვალისწინებაზე, არამედ ცალკეული ინდივიდის აღქმისეულ, ანუ მათ მიერ მასზე შექმნილ 'კარგ შთაბეჭდილებაზე" გაამახვილეს ყურადღება.

საბაზო მონაცემების იგულებელყოფის ეფექტის თავისებურება შემდეგ ექსპერიმენტულ გამოკვლევაშია გამოხატული. ცდისპირებს ვინმე X პიროვნების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია მიაწოდეს: 'X მამაკაცია; მას ორი ცოლი ჰყავდა, რომლებსაც გაეყარა. ის თავისუფალ დროს, ძირითადად, ქალაქგარეთ არსებულ კლუბში ატარებს. ბარში ყოფნისას, სხვებთან საუბარში, ძალიან ხშირად, სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ის თავის დროზე მამამისის, მართლაც პატივსაცემი ადამიანის, რჩევებს უყოყმანოდ ითვალისწინებდა. იმის მაგივრად, რომ მას სხვებთან ურთიერთობა ყოველგვარი უთანხმოების გარეშე წარემართა, უფრო კარგად გაეგო და გაეზიარებინა სხვა ადამიანების 'ჭირ-ვარამი", მან დროის უმეტესი ნაწილი მეცნიერული ცოდნის დაუფლებას შეალია". ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ცდისპირები პასუხობდნენ შემდეგ კითხვაზე: 'როგორ მიგაჩნიათ, რა პროფესიის ადამიანია X"?. ამის შემდეგ, მათ ეძლეოდათ პროფესიების ჩამონათვალი (მაგალითად, ექიმი, ბუღალტერი, ინჟინერი, ქიმიკოსი, ფილოლოგი და სხვა). ცდისპირები სამ ჯგუფად დაპყვეს. პირველი ჯგუფის წარმომადგენლები მათთვის მიცემულ შეკითხვაზე პასუხს მიწოდებულ ინფორმაციაში აღწერილ ვითარებასა და X პიროვნებას

შორის არსებულ კავშირს მსგავსების მიხედვით აფასებდნენ ('მსგავსების" ჯგუფი). მეორე ჯგუფის წევრები X პიროვნების მიერ ამა თუ იმ პროფესიის არჩევის შესაძლებლობას, ანუ ალბათობას აფასებდნენ ('ალბათობის" ჯგუფი). მესამე ჯგუფის წევრები, ადამიანთა ფართო პოპულაციის გათვალისწინებით, X-ს ამა თუ იმ პროფესიისადმი შესაძლო მიკუთვნებას ჩამოთვლილ პროფესიებში ადამიანთა ფართო პოპულაციის მხედველობაში მიღების საფუძველზე აფასებდენ. მიღებული მონაცემების თანახმად, პირველი ორი ჯგუფის შეფასებებს შორის მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია დადგინდა. მაგალითად, იმის მიუხედავად, რომ პირველი და მეორე ჯგუფის წარმომადგენლები X-ს ამა თუ იმ პროფესისადმი მიკუთვნებას სხვადასხვა მახასიათებლების (მსგავსება და ალბათობა) მიხედვით აფასებდა, ორივე ჯგუფის წევრების დიდმა უმრავლესობამ ჩათვალა, რომ X ადვოკატია. გარდა ამისა, ამ ორი ჯგუფის და მესამე ჯგუფის მონაცემებს შორის კორელაციის მაჩვენებელი სტატისტიკურად უმნიშვნელო აღმოჩნდა. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მესამე ჯგუფის წევრებმა საკუთარ შეფასებებში ნაკლები ტენდენციურობა გამოავლინეს, ანუ მათ პირველი და მეორე ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით, ზოგად 'საბაზო" მონაცემებს მეტი ანგარიში გაუწიეს [12].

ისიც აღსანიშნავია, რომ ადამიანთა მიერ საბაზო მონაცემების იგნორირების ეფექტის ჭარბი განზოგადება, რასაკვირველია, არ შეიძლება. ადამიანები საბაზო მონაცემებს ადეკვატურად იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც ისინი კონკრეტულ სიტუაციას რეალურად შეესატყვისები-

ან. თუ ჩვენ გვითხრეს: 'სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ამ გამოცდას ბევრი მათგანი ვერ ჩააბარებს", მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ გამოცდა მართლაც რთულია და ჩვენი ალბათური ვარაუდი იმის შესახებ, რომ რომელიმე კონკრეტული სტუდენტი გამოცდას ჩააბარებს, ნამდვილად შემცირდება. მიუხედავად ამისა, მრავალი მონაცემის თანახმად, საბაზო ინფორმაციის უგულებელყოფა საკმაოდ ხშირია. ეს შედეგი იმაზე მიგვითითებს, რომ ადამიანები, საზოგადოდ, ცნობილიდან კერძო შემთხვევის შესახებ დასკვნის გაკეთებას არ ჩქარობენ. ამავე დროს, ისინი თვალსაჩინო და შთამბეჭდავი მაგალითების საფუძველზე რაიმე მოვლენის შესახებ შეხედულებას სწრაფად იქმნიან. ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ეცნობა რა ძალადობის (გაუპატიურება, ქურდობა, ცემა) მრავალ ფაქტს, ადამიანთა უმრავლესობა მისი პროცენტული მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გადაფასების მიდრეკილებას ამჟღავნებს.

აღნიშნული კვლევითი პარადიგმით ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ რეპრეზენტატულობის ევრისტიკის და სუბიექტური ალბათობის კრიტერიუმების გამოყენებით ცდისპირთა მიერ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის შეფასების მონაცემები ფაქტობრივად იდენტურია. გარდა ამისა, შედეგების ალბათური კრიტერიუმით შეფასების მონაცემებმა საბაზო ინფორმაციის მონაცემებისკენ გადანაცვლება მაშინაც კი არ განიცადეს, როდესაც ცდისპირებს აცნობეს იმის შესახებ, რომ პიროვნული თვისებებით X ადამიანის აღწერის სანდოობა დაბალი იყო. ამავე დროს, ცდისპირებს

კონკრეტული სუბიექტის შესახებ პროგნოზის გაკეთება ისე მოსთხოვეს, რომ მათ მის შესახებ აღწერითი ინფორმაცია არ გააჩნდათ. ამ შემთხვევაში ალბათობათა შეფასების და საბაზო მონაცემებს შორის მაღალი კორელაცია დადგინდა. როგორც ვხედავთ, პიროვნების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში ცდისპირები, ძირითადად, საბაზო მონაცემებს ითვალისწინებდნენ, რაც არ ხდებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც მათ იმავე პიროვნების შესახებ ამგვარი ინფორმაცია ხელთ ეპყრათ.

ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება. ზოგიერთმა მკვლევარმა ზემოაღნიშნული შედეგების სანდოობის მიმართ შემდეგი ზოგადი ხასიათის შენიშვნა გამოთქვა: რეპრეზენტატულობის და ხელმისაწვდომობის ევრისტიკული სტრატეგიების შესწავლის დროს მათი ფორმალიზებული განმარტება არ ხდებოდა, მრავალი მოვლენის ასახსნელად მათი გამოყენება post factum მოხდა [15]. ამ შენიშვნაზე დ. კანემანის და ე. ტვერსკის პასუხი შემდეგია: ორივე სახის ევრისტიკული სტრატეგია ემპირიულად არის შესწავლილი და ამდენად მათი a priori განსაზღვრა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ალბათურ მსჯელობებში ევრისტიკების განმსაზღვრელი როლის შესახებ ვარაუდის ემპირიული შემოწმება არავითარი თეორიული მოდელის შემუშავებას არ მოითხოვს. მათი მიდგომა მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ მათგან მეორე გამოიყენება პირველის შესაფასებლად და არა პირიქით. მაგალითად, ზემოაღწერილ გამოკვლევებში ცდისპირების მიერ რეპრეზენტატულობის და მსგავსების თვისებათა

დადგენა ოპერაციონალურად განისაზღვრა და ეს მონაცემები ალბათური შეფასების მონაცემებთან იქნა შედარებული. ამდენად, ემპირიული მონაცემები ცდისპირების მიერ ალბათობის, მსგავსების და რეპრეზენტატულობის მახასიათებელთა შეფასების თავისებურებას გამოხატავს. ავტორების აზრით, კვლევისადმი ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა საერთოდ შემეცნებითი (რასაკვირველია, პირველ რიგში, აღქმისეული) მსჯელობების ზოგადფსიქოლოგიური შესწავლისთვის არის დამახასიათებელი. ავტორები თვლიან, რომ: 'ხმაურის, სიძლიერის, სინათლის ხარისხის, ძალიხმევის ოდენობის და სხვა მსგავსი თვისებების აღქმის უნარი თვით სუბიექტს გააჩნია და ის არ შეიძლება მიეწეროს რაიმე თეორიულ მოდელს [17, გვ.585].

სტატისტიკური რეგრესიის გაუთვალისწინებლობა

დ. კანემანის და ე. ტვერსკის მიერ შესწავლილი კოგნიტური შეცდომების ერთ-ერთი ყურადსაღები ფორმა სტატისტიკური რეგრესიის იგნორირება გახლავთ. *რეგრესია* იმაში გამოიხატება, რომ ყველაზე მაღალ შედეგებს ან არაორდინალურ ქცევას საშუალო მონაცემებისკენ დაბრუნების ტენდენცია გააჩნია. გამოცდილებით ვიცით, რომ გამოჩენილ მშობლებს ფრიად 'უღიმღამო" შვილები ჰყავთ, გამოჩენილი (ჭკვიანი) ქალები 'ჩლუნგ" მამაკაცებზე თხოვდებიან – იღბლიანობა უიღბლობით იცვლება და ა.შ.. ამავე დროს, რეგრესიის მოვლენას ადამიანები ხშირად სათანადოდ ვერ აცნობიერებენ. მაგალითად, სპორ-

ტის მოყვარულებს ძალზე უკვირთ, რომ გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში დიდად აღარ გამოირჩევა და ამას ისინი მისი ზედმეტი თავდაჯერებულობით ხსნიან. დ. კანემანისა და ე. ტვერსკის აზრით, მრავალი მაგალითის არსებობის მიუხედავად, ადამიანებს რეგრესიის შესახებ სწორი ცოდნა არ გააჩნიათ და ამის მიზეზები შემდეგია: პირველი – ადამიანები რეგრესიის მოვლენას არ ელიან ისეთ ვითარებებში, რომლებშიც ის საესებით სავარაუდოა. მეორე, სტატისტიკის მცოდნე პედაგოგებმა კარგად იციან როგორ უჭირთ სტუდენტებს რეგრესიის ცნების დაუფლება. მესამე, როდესაც ადამიანები რეგრესიის ფენომენს აკვირდებიან, მის ასახსნელად მცდარი არგუმენტაცია მოჰყავთ.

კითხვაზე, თუ რატომ არის რეგრესიის ცნება ადამიანებისთვის რთულად გასაგები და გამოსაყენებელი, ავტორები შემდეგ პასუხს გვაძლევენ: რეგრესიის გაგების ძირითადი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ამ მოვლენის ეფექტი, ჩვეულებრივ, ადამიანის ინტუიციას ეწინააღმდეგება, რომლის თანახმად, მის მიერ მოსალოდნელი შედეგი რაიმე ინფორმაციასთან მიმართებაში მაქსიმალურად რეპრეზენტატული უნდა იყოს. იმის ვარაუდი, რომ ქცევის ყოველი მნიშვნელობის მქონე შემადგენელი ნაწილი მოქმედი სუბიექტის პიროვნულ თვისებებს უნდა გამოხატავდეს, კარგად ხსნის შემდეგ ვითარებას: ხშირად იურისტები და ფსიქოლოგები საკმაოდ გაკვირვებული არიან იმით, რომ რეალურ ქცევასა და ისეთ პიროვნულ მახასიათებლებს შორის, როგორიცაა პატიოსნება, რისკი-

ანობა, აგრესია და მორჩილება, საკმაოდ მცირე კორელაცია ვლინდება [16].

ადამიანის მიერ რეგრესიის გააზრების სირთულის საილუსტრაციოდ დ. კანემანსა და ე. ტვერსკის მოჰყავთ გამოკვლევა, რომელშიც ე.წ. კონტროლის *ილუზიის ეფექტი* დასტურდება [9]. ცდისპირებს აწვდიან შემდეგი სახის ინფორმაციას: 'საკითხი გავარჯიშებას ეხება. მფრინავთა სკოლის ინსტრუქტორები, ფსიქოლოგების რჩევით პილოტების გაწვრთნის პროცედურაში დადებითი განმტკიცების პრინციპით ხელმძღვანელობდენ. მფრინავის ყოველ წარმატებულ მანევრს ისინი დადებით სიტყვიერ შეფასებას აძლევდნენ. ამ პრინციპების დანერგვის შემდეგ ინსტრუქტორებმა შეამჩნიეს, რომ ათვისებული ფსიქოლოგიური პრინციპის საწინააღმდეგო ფაქტი ვლინდება, კერძოდ, რთული მანევრების კარგად შესრულების და მაღალი შეფასების შემდეგ, მომდევნო მცდელობაში პილოტის მოქმედების ეფექტურობა მცირდება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ფსიქოლოგს რა უნდა ეთქვა?"

ფრენის მანევრირებისათვის რეგრესია აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან მთლიანად და სანდოდ მათი ზუსტი შესრულება არ ხდება, ხოლო წარმატებულ მანევრების პროგრესი შენელებულია. ამდენად, ის პილოტები, რომლებიც ერთ მცდელობაში საუკეთესოდ მოქმედებენ, მომდევნო მცდელობაში (ინსტრუქტორის რეაგირების მიუხედავად) თავის მოქმედებას აუარესებენ. გამოცდილი ინსტრუქტორები რეგრესიის მოვლენას სათანადოდ აცნობიერებენ, მაგრამ, მას ისინი შეცდომით დადებით განმტკიცებას (შექებას) მიაწერენ. მკვლევარებს მიაჩნიათ,

რომ ამ შემთხვევაში ადამიანის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მხარე ვლინდება. ჩვეულებრივ, ჩვენ სხვებს წავახალისებთ მაშინ, როდესაც ისინი კარგად მოქმედებენ და მათ მაშინ ვსჯით, როდესაც ისინი ცუდად მოქმედებენ. თუ მხედველობაში მივიღებთ საკუთრივ რეგრესიის მოვლენას, სავარაუდოა, რომ ისინი საკუთარ ქცევას მათი დასჯის შემდეგ გააუმჯობესებენ, ხოლო წახალისების შემდეგ – გააუარესებენ. 'გამომდინარე აქედან, ჩვენ ისეთ ცხოვრებისეულ რეჟიმში ვერთვებით, რომელშიც ჩვენ უმეტესად სხვათა დასჯის შედეგად ვჯილდოვდებით, ხოლო სხვათა წახალისების გამო – ვისჯებით" ასკვნიან ავტორები [16], გვ. 251].

ზემოაღწერილი გამოკვლევის შედეგის თანახმად, (დამამთავრებელი კურსის სტუდენტები) არ აღმოჩნდა არცერთი ისეთი ცდისპირი, რომელიც მფრინავთა მოქმედების ეფექტურობის გაუარესებას რეგრესიის მოვლენით ახსნიდა. ამის ნაცვლად, მათ მიაჩნდათ, რომ მფრინავებისთვის მიცემული სიტყვიერი წახალისება, შესაძლოა, უბრალოდ არაეფექტური ყოფილიყო ან მას მათი თვითდაჯერებულობა გაეღრმავებინა. აღსანიშნავია, რომ ცდისპირებს სტატისტიკის კურსი გავლილი ჰქონდათ და მათთვის თვით რეგრესიის ცნება უცხო არ უნდა ყოფილიყო. მათ ამის მიუხედავად, რეგრესიის ფენომენი მიწოდებული ინფორმაციის კონტექსტში სათანადოდ ვერ გააცნობიერეს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მარტო სტატისტიკის სწავლა განუსაზღვრელობის შესახებ ადამიანებისთვის დამახასიათებელ ფუნდამენტურ ინტუიციას ვერ არღვევს.

დ. კანემანი და ე. ტვერსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. კონიუნქციურ შეცდომებს. ალბათობის თეორიაში ფუნდამენტური პრინციპი *შემცველობის* წესია, რომლის თანახმად, თუ A მოიცავს B-ს, მაშინ B-ს ალბათობა A-ს ალბათობას არ შეიძლება აღემატებოდეს. ავტორების თანახმად, აღნიშნული პრინციპი კონიუნქციის წესით შეიძლება გამოისახოს, რადგან A&B კომპონენტი A მთლიანობითი კომპონენტის შემადგენელი ნაწილია. მათი კონცეფტური მიდგომის მიხედვით, იმის გამო, რომ ზემოთგანხილული ევრისტიკების მოქმედება ამ პრინციპზე არ არის დამყარებული, მისგან მნიშვნელოვანი გადახრები იმ ეითარებაშია მოსალოდნელი, როდესაც კონიუნქცია უფრო რეპრეზენტატული ან ხელმისაწვდომია, ვიდრე რომელიმე მასში შემავალი ნაწილი. ამ ავტორების ემპირიული გამოკვლევები კონიუნქციის პრინციპიდან ამგვარ გადახრებს ნათლად ასაბუთებენ იმ პირობებში, რომლებშიც მხედველობაშია მიღებული ალბათური და სიხშირეობრივი მსჯელობები.

კონიუნქციური შეცდომების კვლევის მონაცემთა ანალიზის სპეციფიკის გასათვალისწინებლად შემდეგ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ალბათობის თეორიის აქსიომები და მათგან გამომდინარე ფორმალური მახასიათებლები საყოველთაოდ მიღებულია. დავის საგანი თვით ალბათობის ცნების შინაარსი გახლავთ. ჩვენი მსჯელობის კონტექსტში ყურადღებას ცნების ორგვარ ინტერპრეტაციაზე გავამახვილებთ. მხედველობაში გვაქვს სიხშირეობრივი და პერსონალისტური მიდგომები. სიხშირეობრივი

მიდგომის კლასიკური წარმომადგენლის რ. მიზესის თანახმად, მოცემული მოვლენის ალბათობაში იგულისხმება ცდათა უსასრულო სერიაში მისი ხდომილობის სიხშირე [18]. ცდათა რაოდენობის გაზრდასთან ერთად, მოვლენის ხდომილობის სიხშირე გარკვეულ დონეზე სტაბილიზდება. ამ მიდგომის ძირითად ნაკლად მიჩნეულია ის, რომ მის საფუძველზე ცალკეული მოვლენის (ვთქვათ, მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების ალბათობა) პროგნოზირება არ შეიძლება.

პერსონოლოგიური მიდგომა, რომლის შემქმნელად ლ. სევიჯი ითვლება, სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს შორის სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს [19]. ამ მიდგომის თანახმად, ალბათობაში იდეალურად რაციონალური ადამიანის დარწმუნებულობის ხარისხი იგულისხმება. გადაწყვეტილებათა მიღების დროს რაციონალური პიროვნება ალბათობის თეორიის აქსიომებით ხელმძღვანელობს. მაგალითად, ორი მოვლენის ჯამს, ვთქვათ, "თოვლი მოვა" და "თოვლი არ მოვა"-ს 1-ისგან განსხვავებულ ალბათობებს ის არასდროს არ მიაწერს. აღსანიშნავია, რომ დ. კანემანი და ე. ტვერსკი, ძირითადად, თავის გამოკვლევებში ამგვარ (რასაკვირველია, ფსიქიკური მექანიზმების თავისებურებათა გათვალისწინებით) მიდგომას იზიარებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სიხშირეობრივ მონაცემებს არ ითვალისწინებენ. ქვემოთ მათ თვალსაზრისზე შევჩერდებით, რომელიც ჰიპოთეზების ვერიფიკაციის საკითხს ეხება.

სიხშირეობრივი პრინციპის ზოგიერთ მომხრეს სუბიექტური ალბათობის გაზომვა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

ამგვარი მიდგომის თანახმად, მაგალითად, ზემოაღწერილი ბანკის მოხელე ლინდას შესახებ გამოთქმული ორი დებულებიდან იმის დადგენა, თუ რომელია უფრო ალბათური, უაზრობად უნდა ჩითვალოს. გამომდინარე აქედან, თვით ამგვარ მსჯელობათა შეცდომების შესახებ ლაპარაკიც შეცდომად არის მიჩნეული [15]. სუბიექტური ალბათობის ოპერაციონალური მნიშვნელობის ამგვარ უგულებელყოფას დ. კანემანი და ე. ტვერსკი საფუძველშივე მცდარად თვლიან. მათი აზრით, ცალკეული მოვლენების შესახებ ალბათური მსჯელობა ადამიანის აზროვნების ბუნებრივ თავისებურებაა, რაც ნათლად ელინდება ყოველდღიურ ცხოვრებაში (სხვა პლანეტაზე სიცოცხლის არსებობის შესახებ ვარაუდით დაწყებული, სპორტული პაექრობის შედეგის შესახებ გამოთქმული პროგნოზით დამთავრებული). ისინი ნორმატიული კრიტერიუმების უკიდურეს მომხრეთა პოზიციას, რომელიც ალბათური მსჯელობის ფსიქიკურ შინაარსს აშკარად უგულებელყოფს, *ნორმატიულ აგნოსტიციზმს* უწოდებენ. ნორმატიული აგნოსტიციზმი რეალურად მოქმედი სუბიექტების თავისებურებათა შესწავლას იმთავითვე უპერსპექტივოს ხდის. ამგვარი მსჯელობების შესწავლის აუცილებლობასთან დაკავშირებით დ. კანემანი და ე. ტვერსკი აღნიშნავენ: "განა შეცდომა არ არის, როდესაც მოლაპარაკე სუბიექტი ძირითად მოვლენას და მის დანამატსაც 0.99 ალბათობას ანიჭებს? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამგვარი მსჯელობა მცდარია, ის ცხოვრებისეული მსჯელობისთვის დამახასიათებელ და აღიარებულ წესებს არღვევს" [16].

მათ აგრეთვე მიაჩნიათ, რომ ნორმატიული აგნოსტიციზმი განსაკუთრებით კონიუნქციის წესის განხილვის შემთხვევაში შემდეგი მიზეზების გამო არის მიუღებელი: პირველი, ამ წესის გამოყენება რიცხობრივ შეფასებას არ მოითხოვს; აქ ორდინალური მსჯელობები გამოიყენება (ორი მოვლენიდან რომელია უფრო მოსალოდნელი). მეორე, კონიუნქციის წესის ნორმატიული საფუძველი თავისი არსით ლოგიკურია: თუ კონიუნქცია A&B ჭეშმარიტია, მაშინ A-ც ჭეშმარიტი უნდა იყოს და არა პირიქით. ავტორებს საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად რ. მიზესის მიერ გამოთქმული აზრის უარყოფა მოჰყავთ. მიზესის თანახმად, ჩვენ ცალკეული სუბიექტის სიკვდილის ალბათობის შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლია მაშინაც კი, როდესაც მისი ავადმყოფობის შესახებ მრავალმხრივი ინფორმაცია გაგვაჩნია. მისთვის გამოთქმა: "სიკვდილის ალბათობა", როდესაც ეს ცალკეული პირის მიმართ გამოითქმება, უაზრობას წარმოადგენს. ამ აზრისადმი დ. კანემანისა და ე. ტვერსკის კონტრარგუმენტი შემდეგში მდგომარეობს. აქ მთავარი ის კი არ არის, მივაწერთ თუ არა ალბათობას დასაბუთებულ რიცხობრივ მნიშვნელობას, არამედ ის, რომ ჩვენ შემდეგის თქმა შეგვიძლია: ა) ერთ კვირაში ამ პიროვნების სიკვდილის ალბათობა უფრო მცირეა, ვიდრე მისი ერთ წელიწადში სიკვდილის ალბათობა; ბ) ამ დებულების ლოგიკურობას ადამიანთა უმრავლესობა სწორად ჩათვლის და არა უაზრობად, ხოლო მის ალოგიკურად გამოცხადებას – შეცდომად მიიჩნევს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დ. კანემანმა და ე. ტვერსკიმ თავის გამოკვლევებში კონიუნქციური შეცდომების საფუძვლად მდებარე დეტერმინანტებს შორის სიხშირეობრივი ფაქტორიც გაითვალისწინეს. მათ შეისწავლეს სტიმულაციის გარკვეული მახასიათებლები, რომლებიც რაოდენობრივი მსჯელობის "წამახალისებლების" როლში გამოდიოდნენ. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ის ემპირიული შედეგი, რომლის მიხედვით ცდისპირები მრავალ კოგნიტურ შეცდომებს იმ შემთხვევაში ავლენენ, როდესაც ალბათური მსჯელობა მხოლოდ სიხშირეთა განაწილების გათვალისწინებით ხდებოდა, ხოლო პროცენტულ მიმართებათა მხედველობაში მიღებამ ამგვარი შეცდომების რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირა. ამ მონაცემებთან დაკავშირებით ავტორები შემდეგ საგულისხმო კომენტარს აკეთებენ: "ვიზუალური და კოგნიტური ილუზიებისთვის ის არის დამახასიათებელი, რომ არსებობს ისეთი პირობები, რომლებიც სწორი პასუხის გაცემას ხელს უწყობენ. მაგალითად, მიულერ-ლაიერის ილუზია მაშინ "ქრება", როდესაც ორი ფიგურა ოთხკუთხედის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს ფაქტი საკუთრივ ილუზიას ნაკლებ საინტერესოს არ ხდის. ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ადამიანები რთულ საკითხზე პასუხის გაცემის დროს ევრისტიკებს იყენებენ, იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი ანგარიშს არ უწევენ მკაფიო მინიშნებებს, რომლებიც მათ სწორი პასუხებისკენ უბიძგებენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხის სიხშირეობრივი ფორმით დასმა იმის მძლავრ მინიშნებას წარმოადგენს, რათა შესადარე-

ბელი ელემენტები შემცველობის წესის მიხედვით იყვნენ თანამიმდევრულად შეფასებული“ [14, გვ. 586].

ზემოთნათქვამიდან გამომდინარე, ავტორებმა შემდეგი ივარაუდეს: საკითხის სიხშირეობრივ კონტექსტში დასმას, რომელიც პირდაპირი შედარების დროს (იგულისხმება ერთი და იმავე ცდისპირის ცალკეულ ცდათა სერიაში მონაწილეობა) კონიუნქციურ შეცდომებს მნიშვნელოვნად ამცირებს, ხოლო სხვადასხვა ცდისპირთა გამოყენების წესით ექსპერიმენტის ჩატარების შემთხვევაში – ნაკლები მნიშვნელობა ექნება. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებელ ექსპერიმენტშიც ბანკში მომუშავე ლინდას მაგალითია გამოყენებული. პიროვნების აღწერას შემდეგი პირობები დაემატა: “დავუშვათ, რომ ეს აღწერა 100 ქალს მიესადაგება. რამდენი მათგანია: ა) უმაღლესი სკოლის მასწავლებელი? ბ) ბანკის მოლარე? გ) ბანკის მოლარე და აქტიური ფემინისტი?“. ცდისპირთა ერთი ჯგუფი პასუხს სამივე შეკითხვაზე იძლეოდა, მეორე ჯგუფი მხოლოდ ა) და ბ) შეკითხვებს პასუხობდა, ხოლო მესამემ პასუხები ა) და გ) შეკითხვებს გასცა. როგორც მკვლევარები ვარაუდობდნენ, ცდისპირთა უმრავლესობამ (64%), რომლებსაც ა) და ბ) შეკითხვების შედარების შესაძლებლობა გააჩნდა, კონიუნქციის წესი გამოიყენა. ამავე დროს, ჯგუფთაშორისი წესით ჩატარებულ გამოკვლევაში ბ) პასუხთან შედარებით, მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ უპირატესობა გ) პასუხს მიანიჭა. შედეგი იმაზე მიგვითითებს, რომ სუბიექტი კონიუნქციის წესს ადეკვატურად, ძირითადად, უშუალო შედარების შემთხვევაში იყენებს და არა ჯგუფთაშორის წესით ჩატარებულ ექსპერიმენტში. ეს, თავის მხრივ, იმის

მანიშნებელია, რომ კონიუნქციური წესის გამოყენების მთავარ დეტერმინანტს სუბიექტის მიერ შესადარებელ ელემენტებს შორის არსებული შემცველობითი კავშირის სათანადო ობიექტივაცია წარმოადგენს.

დაბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტორთა მიერ შემოთავაზებულ მიდგომაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ცალკეული მოვლენების განხორციელების ალბათობის შესახებ სუბიექტის მსჯელობას ენიჭება. რაიმე მარკის ავტომობილის ყიდვის, ქირურგიული ოპერაციის გაკეთების ან სასამართლოში სარჩელის შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სჯერა გადაწყვეტილების მიმღებ პირს იმის, რომ ავტომანქანა საწვავს ეკონომიურად ხარჯავს, ოპერაცია წარმატებული იქნება, სასამართლო საკითხს მის სასარგებლოდ გადაწყვეტს. დ. კანემანისა და ე. ტვერსკის თანახმად, ამგვარი მოვლენების რაიმე რეფერენტული პოპულაციის შემთხვევით ამონაკრებად გააზრება და მათ შესახებ გამოთქმული ალბათობების სიხშირეთა გამოთვლაზე დაყვანა შეუძლებელია. სუბიექტის მიერ სიხშირეთა დასწავლის პრინციპი განუსაზღვრელობის პირობებში მსჯელობის კანონზომიერებას ძალზე ამარტივებს, რაც შემდეგში გამოიხატება: პირველი, ამ შემთხვევაში ადამიანისათვის უნიკალური მოვლენების ფაქტობრივი უგულვებელყოფა ხდება, უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო პრობლემების დაძლევის გზების ძიება ჩრდილში რჩება; მეორე, მხოლოდ სიხშირეობრივი მონაცემების გათვალისწინება ისეთი არსებითი მნიშვნელობის მქონე შემეცნებითი აქტივობის ფორმებს არ უწევს ანგარიშს, როგორიც

არის მოვლენებს შორის მსგავსების, ანალოგიის, ასოციაციის და მიზეზობრიობის დადგენა. განუსაზღვრელობის პირობებში სიხშირეთა დასწავლის მარტივ მექანიზმთან შედარებით, ინდუქციური მსჯელობის მიმდინარეობისთვის შინაარსეულად და სტრუქტურულად გაცილებით მეტი სიღრმისეული მნიშვნელობის მქონე თვისებებია დამახასიათებელი.

დასკვნა

გასული საუკუნის 70-ნი წლების დასაწყისში დ. კანემანმა და ე. ტვერსკიმ სამეცნიერო კვლევის სპეციალური პროგრამა შეიმუშავეს, ხოლო მისი განხორციელების შედეგად განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღების ევრისტიკული სტრატეგიების მოქმედების კანონზომიერებები დაადგინეს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ინდუქციური აზროვნების "შეზღუდული რაციონალობა" ყველაზე საფუძვლიანად სწორედ ამ მკვლევარებმა შეისწავლეს. იმისთვის, რათა ადამიანებმა განუსაზღვრელობის ვითარებაში მის წინაშე მდგარი პრობლემები დაძლიონ, ევრისტიკული მსჯელობის სათანადო ხერხების გამოყენებით რთული და სწრაფად ცვალებადი გარემოს თვისებებათა გამარტივებას ცდილობენ, რასაც ისინი, ხშირ შემთხვევებში, აღწევენ კიდეც. ამავე დროს, ავტორები ძირითად ყურადღებას იმ კოგნიტურ შეცდომებზე ამახვილებენ, რომელსაც ყოველი ჩვენთაგანი უშვებს. მათ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტულ გამოკვლევებს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნე-

ლობა გააჩნია: მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ემპირიულად დადგენილი კანონზომიერებების გათვალისწინებით სოციალური, ეკონომიკური, საორგანიზაციო, პოლიტიკური, სამართლებრივი, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია; ახალი ექსპერიმენტული პარადიგმების გამოყენება თვით კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების ხელშემწყობია, ხოლო განუსაზღვრელობის ვითარებაში სწორ და დროულ გადაწყვეტილებათა მიღების უნარის ფორმირება ადამიანის ალბათური აზროვნების ქმედითობის ამაღლების საწინდარი ხდება.

P.S. 2002 წ. დ. კანემანს (ე. ტვერსკი 1996 წ. გარდაიცვალა) ეკონომიკის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა. პრემიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება შემდეგნაირად არის ფორმულირებული: "ფსიქოლოგიური კვლევაძიების საფუძველზე, კერძოდ, განუსაზღვრელობის პირობებში ადამიანის მსჯელობასთან და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მოპოვებული ცოდნის ეკონომიკურ მეცნიერებაში ინტეგრირებისათვის დენიელ კანემანს (ა.შ.შ. ისრაელი) მიენიჭოს ნობელის პრემია".

ლიტერატურა

1. Khaneman, D., Tversky, A. Intuitive prediction: Biases and corrective procedures.TAM, Studies in Management Sciences, 1979, 12, 313-327.
2. Khaneman, D., Slovik., Tversky, A. Judgement under uncertainty: heuristics and biases. N. Y.: Cambige university Press, 1982.
3. Tversky, A., Khaneman, D. Extensional versus intuitive reasoning: A cnonjunction fallacy in probability judjment. Psychological Review, 1983, 91, 293-315.
4. Tversky, A., Gilovich, T. The hot hand: statistical reality or cognitive illusion? Chance, 1989, 2(1), 16-21.

5. Tversky, A., Khaneman, D. Advances in prospect theory: Cumulative representation of uncertainty. Journal of Risk and Uncertainty, 1992, 5, 297-323.
6. Khaneman, D., Tversky, A. conflict resolution: A cognitive perspective. In: Arrow (ed). Bariers to conflict resolution. N. Y.:Norton, 1995, 1341-1420.
7. Кайберг, Г. Вероятность и индуктивная логика. Москва, 1978.
8. Fong, G., Nisbett, R.Immediate and delayed transfer training effects in statistical reasoning. Journal of Experimental Psychlogy, 1991, 120, 34-45.
9. Khaneman, D., Tversky, A. On the psychology of prediction. Psychologycal review, 1973, 4, 237-252.
10 Khaneman, D., Tversky, A. Subjective probability: A judgement of reprezentativness. Cognitive Psychology, 1973, 3, 430-454.
11. Nisbett, R., Ross, L. Human inference: Strategies and shortcomings of social judgement. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, 1980.
12. Khaneman, D. Maps of bounded rationality: A perspeqtive on intuitive judgement and choice. Princenton University, NJ 08544, 2002, 449-485.
13. Tversky, A., Khaneman, D. Availability: Heuristics for judging freciency and probability. Cognitive Psychology, 1973, 2, 207-232.
14. Simon, H. Motivational and emotional controls of cognition. Psychological review, 1967, 74, 29-39.
15. Gigerenzer, G, How to make cognitive illusions disappear: Beyond ' heuristics and biases''. European review of socialpsychology, 1991, 2, 83-115.
16. Khaneman, D., Tversky, A. On the reality of cognitive illusions. Psychological review, 1996, 3, 582-592.
17. Росс, Л., Нисбетт, Р. Человек и ситуация. М., 1999
18. Мизес, Р. Вероятность и статистика. М., М-Л, 1930.
19. Savage, L. Implications of personality probability for induction. Journal of Philosophy, 1966, 58,593-607.

ჟურნალი *„ეპოქა“*. საზოგადოებრივი მეცნიერებები. თბილისი, 2004, 4.

გადაწყვეტილებათა მიღების სტატიკური და დინამიკური მახასიათებლები

ამ ბოლო 50 წლის განმავლობაში გადაწყვეტილებათა მიღების კონცეფციების შემოქმედებითმა განვითარებამ დეტერმინისტულ-სტატიკური მოდელირებიდან ალბათურ-დინამიკური კონცეფციების შექმნის მიმართულებით გადაინაცვლა. აღნიშნული მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის შეცვლა, ძირითადად, ექსპერიმენტული კვლევა-ძიებით მოპოვებულმა შედეგებმა განაპირობეს. ახალი კონცეფტური მიდგომის ჩამოყალიბება, არსებითად, შემდეგმა გარემოებამ განსაზღვრა: გადაწყვეტილებითა მიღების ნორმატიული სტრატეგიების შემუშავებასთან შედარებით, მკვლევარებმა მეტი ყურადღება დესკრიფციული სტრატეგიების მოდელირებაზე გაამახვილეს. გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალური პრინციპების სრულყოფა და მათი შემოქმედებითი განვითარება SEU, ანუ სუბიექტურად მოსალოდნელი სარგებლიანობის მოდელის ფორმალიზაციისა და შინაარსეული ტრანსფორმაციის მიმართულებით წარიმართა [1, 2, 3]. ისიც აღსანიშნავია, რომ სოციალური შემეცნების შესწავლის სფეროში მოღვაწე მკვლევარები სწორედ შემეცნების სუბიექტის მიერ გამოყენებული რეალურ-ქცევითი სტრატეგიების აღწერითი პრინციპების ფორმალიზაციას, კონკრეტულად კი ინტენსიონალურ მსჯელობათა მიმდინარეობის ფსიქო-ლოგიკუ-

რი საფუძვლების დადგენას ცდილობენ. ამ მიმართულებით ნამდვილად თვალსაჩინო შედეგებია მოპოვებული, რის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება მსჯელობა (4, 5, 6).

მკვლევართა ძირითადი ყურადღება გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუბიექტის მიერ განხორციელებული შეფასებითი მსჯელობის (ევრისტიკული სტრატეგიები, ატრიბუციული მსჯელობის ტენდენციურობა, ილუზორული კონტროლის მოვლენა, "გულუბრყვილო სტატისტიკოსის" ეფექტი და სხვ.) თავისებურებათა კვლევა-ძიებაზეა გამახვილებული. განუსაზღვრელობის ვითარებაში არჩევანის გაკეთების საფუძვლად მდებარე მსჯელობის სპეციფიკას ე. ბასმეიერი და ჯ. თაუნსენდი შემდეგნაირად განმარტავენ: "მსჯელობა დროში შემოფარგლული და შემეცნებითი ძალისხხმევის შემცველი პროცესია, რომელშიც შედარებით ფართო ინფორმაციის მოპოვება იგულისხმება" (7, გვ. 432). ამგვარი მსჯელობის პროცესში, არც თუ ისე იშვიათად, გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის დამახასიათებელი ყოყმანი, მისი არათანმიმდევრულობა და გრძნობად-ემოციური აგზნების მდგომარეობა ვლინდება. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებათა მიღების დროს სუბიექტის აქტივობა, უპირველეს ყოვლისა, დინამიკურ, ანუ "ტალღისებურ" ხასიათს ატარებს. გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალურ კონცეფციებში სწორედ ეს ფაქტორი იყო უგულებელყოფილი. ამ ხარვეზის აღმოფხვრას მკვლევარები ახლადშექმნილი მოდელებით ცდილობენ. მიგვაჩნია, რომ ამგვარმა მცდელობამ ნამდვილად კარგი შედეგი მოგვცა. მეთოდოლოგიური და ფაქტოლოგიური წარმატება იმან განაპირობა, რომ გადაწყვე-

ტილებათა მიღების თანამედროვე კონცეფციები სუბიექ-ტის მიერ დროში მიმდინარე შეფასებით მსჯელობათა თავისებურებას არა მარტო ითვალისწინებენ, არამედ მის საფუძვლად მდებარე ფსიქიკური მექანიზმების შინაარსე-ულ აღწერას და ფორმალიზაციას გვთავაზობენ.

გადაწყვეტილებათა მიღების კონცეფციების კლასიფი-კაცია ორი კრიტერიუმის, *კერძოდ, დინამიკურობის* და *სტატიკურობის* მიხედვით არის შესაძლებელი. სტატიკურ (დეტერმინისტულ) კონცეფციებში ბინარულ მიმართებაში მყოფ წყვილ ელემენტებს შორის (სხვადასხვა მოქმედებე-ბი) ივარაუდება ჭეშმარიტი ან მცდარი არჩევანის გაკეთე-ბის პოსტულატი. დინამიკურ (ალბათურ) კონცეფციებში იგულისხმება, რომ ყოველი ალტერნატივის (სხვადასხვა მოქმედებები) რეალიზაციის შესაძლებლობა გარკვეული ალბათობის ფარგლებშია განთავსებული და სათანადო არჩევანიც მის გათვალისწინებაზეა დამოკიდებული. სტა-ტიკურ კონცეფციებში ნავარაუდევია, რომ უპირატესობის მინიჭებისა და ალბათობათა განსაზღვრის მსჯელობითი პროცესის თავისებურება მის ხანგრძლივობაზე (დროის ფაქტორი) არ არის დამოკიდებული. დინამიკური კონცეფ-ციებით წარმოდგენილი დესკრიფციული მიდგომა ხაზ-გასმით მიგვითითებს იმაზე, რომ ალტერნატივებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და ალბათობათა მიწერის მსვლელობაზე დროის ფაქტორი არსებით გავლენას ახ-დენს.

წინამდებარე სტატიის მიზანი განუსაზღვრელობის ვი-თარებაში გადაწყვეტილებათა მიღების სტატიკური კონ-ცეფციების დინამიკური მოდელების შექმნის მიმართულე-

ბით ტრანსფორმაციის განმსაზღვრელი მეთოდოლოგიური პრინციპებისა და ემპირიული მონაცემების ანალიზია. თემატური თვალსაზრისით, ქვემოთ ჩვენ შემდეგ მოვლენებს დავახასიათებთ: ალტერნატივებისადმი არათანმიდევრული უპირატესობის მინიჭება; სარგებლიანობაზე სუბიექტური ალბათობის ზემოქმედება; დროის ფაქტორის მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; არჩევანის გაკეთებაზე სოციალური კონტექსტის გავლენა.

ალტერნატივებისადმი არათანმიმდევრული უპირატესობის მინიჭება

გადაწყვეტილების მიღების სტატიკური (რაციონალური, დეტერმინისტული) კონცეფციები შემდეგ ფუნდამენტურ დაშვებას ეყრდნობიან: A და B ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება ამ ბინარული ობიექტებისადმი უპირატესობის მინიჭების ($\geq p$) მიმართებითი კავშირის (ან ჭეშმარიტი, ან მცდარი) დამყარებით განისაზღვრება. ამგვარი ნორმატიული მიდგომის თანახმად, A-ს, B-სთან შედარებით, მაშინ ენიჭება უპირატესობა, თუ $A \geq pB$ ჭეშმარიტია, ხოლო $B \geq pA$ – მცდარი. ამგვარ თეორიულ დაშვებაში ნაგულისხმევი დანარჩენი აქსიომებიც ანალოგიური ბინარული მიმართების ტერმინებშია გააზრებული. ასეთი "სულ ან არაფრის" ვარაუდის სისწორე ეჭვის ქვეშ ჯერ კიდევ გადაწყვეტილების მიღების ემპირიული კვლევის პიონერებმა ფ. მოსტელერმა და პ. ნოგიმ დააყენეს (8). მათ მიზანს მცირე ფულადი თანხებისთვის მათი სარგებლიანობის ემპირიული ფუნქციის აგება წარმოადგენდა,

რომლის მეშვეობით ადამიანის ქცევის (არჩევანის გაკეთება) წინასწარმეტყველება იქნებოდა შესაძლებელი. ცდისპირებს ლატარიების წყებას სთავაზობდენ. მათ ეძლეოდათ ყოველი მათგანის ან მიღების ან უარყოფის შესაძლებლობა. წარმოებდა მოსაგები თანხის ოდენობის ექსპერიმენტული მანიპულაცია, ხოლო წასაგები თანხა ფიქსირებული გახლდათ. ამდენად, ცდისპირებს უწევდათ ლატარიას გათამაშებაზე თანხმობის ან არდათანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. როდესაც ცდისპირი ლატარეის გათამაშებაზე უარს ამბობდა, ამით არაფერი არ იცვლებოდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ცდისპირი ლატარეის გათამაშებაზე თანხმდებოდა, მაშინ ის სათანადო ალბათობით უცვლელი ოდენობის გარკვეულ თანხას აგებდა. ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში მკვლევარები ძირითად ყურადღებას ისეთი სიდიდის დადგენას უთმობდენ, რომლის დროს ორი ლატარია ცდისპირისთვის ერთნაირად მიმზიდველი იყო. ამ სიდიდეს მათ *ინდიფერენტულობის წერტილი* (მდგომარეობა) უწოდეს. ცდისპირისთვის ლატარიათა მიმზიდველობის ხარისხი EU (მოსალოდნელი სარგებლიანობა) მაჩვენებლით იზომებოდა.

ამდენად, ვიცით რა ფულად ანაზღაურობათა ოდენობა და მათი რეალიზების ალბათობები, მაშინ ჩვენ სარგებლიანობის ფუნქციის დადგენის შესაძლებლობა გვეძლევა. ეს იმ პირობით, რომ ლატარიათა შორის ინდიფერენტულობის წერტილი წინასწარ არის განსაზღვრული. ამ წერტილის დადგენის მიზნით მკვლევარები x სიდიდეს სისტემატურად ცვლიდნენ. ექსპერიმენტი რამდენიმე თვე

გაგრძელდა. აღნიშული ცვლადის გასაზომად ე.წ. "მყარი, ანუ უცვლელი სტიმულების" ფსიქოფიზიკური ხერხი იყო გამოყენებული. კერძოდ, სტიმულების გრადუირებული, ე.ი. გაზრდა-შემცირების თანამიმდევრობით მიწოდების ნაცლად, ამ შემთხვევაში, სტიმულების ფიქსირებული რიგი გამოიყენებოდა. სათანადო ინფორმაციის მიწოდება შემთხვევითი თანამიმდევრობით და ხშირი განმეორებით წარმოებდა. ინდიფერენტულობის მაჩვენებელი შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებით განისაზღვრებოდა – ვითარება, რომლის დროს, გათამაშებათა მთლიანი რაოდენობის მხედველობაში მიღებით, კონკრეტული ლატარია ცდისპირმა 50% შემთხვევაში მიიღო და (ან) იგივე ლატარია უარყო შემთხვევათა 50%-ში.

ფ. მოსტელერმა და პ. ნოგიმ გადაწყვეტილებათა მიღების ნორმატიულ (დეტერმინისტულ, ანუ სტატიკურ) პრინციპზე დაყრდნობით შემდეგი თეორიული ვარაუდი გამოთქვეს: თუ არჩევანის გაკეთება "სულ ან არაფრის" პრინციპის გამოყენებით მიმდინარეობს, მაშინ ცდისპირისთვის "მისაღებ" ლატარიათა რაოდენობა, რომელთა სარგებლიანობის მაჩვენებელი ინდიფერენტული წერტილის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია, ნულს უნდა უახლოვდებოდეს. საპირისპირო ვითარებაში, კერძოდ, როდესაც მათი სარგებლიანობის მაჩვენებელი ინდიფერენტულობის მონაცემს მნიშვნელოვნად აღემატება, მაშინ "მისაღებ" ლატარიათა რაოდენობის სიხშირე 1.0 ალბათობის მიმართულებით თვალნათლივ "ნახტომს" უნდა აკეთებდეს. ემპირიული შესწავლის საფუძველზე მკვლევარებმა უპირატესობის მინიჭების ამგვარი აღმავალი ფუნ-

ქციის გამომხატველი გრაფიკული გამოსახულების მაგივრად S ფორმის მრუდი მიიღეს. ეს უკანასკნელი, როგორც სიხშირეთა განაწილების გამომხატველი მრუდი, მრავალ ფსიქოფიზიკურ გამოკვლევებშია დადგენილი (მაგალითად, სხვადასხვა საგნების თვისებათა ინტენსივობის სუბიექტური შეფასების შემთხვევაში). ანალოგიური რეზულტატი შემდგომში სხვა ავტორებმაც დაადასტურეს (4). ფ. მოსტელერი და პ. ნოგი საკითარ ცდისეულ მონაცემებს შემდეგნაირად აჯამებენ: ცდისპირები გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალურ თეორიაში ნაგულისხმევი ოპტიმალური პრინციპებით ნაკლებად ხელმძღვანელობდენ, სტიმულებზე მათი რეაგირება თავისებურ ხასიათს ატარებს, ანუ, რეალური რისკის მატებასთან ერთად, მათ მიერ სარისკო არჩევანის გაკეთების რაოდენობაც თანდათანობით იზრდება.

სარგებლიანობაზე სუბიექტური ალბათობის ზემოქმედება

გადაწყვეტილების მიღების ნორმატიულ (სტატიკურ) პრინციპებში სარგებლიანობის მაქსიმიზაციის ფუნქციის გარდა, განსაკუთრებით საყურადღებო სუბიექტურ ალბათობასა და სარგებლიანობას შორის მიმართების თავისებურების გააზრებაა. ნორმატიული თვალსაზრისის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუბიექტურ ალბათობასა და სარგებლიანობას შორის ურთიერთზემოქმედების არსებობის შემთხვევაში პიროვნების მიერ გაკეთებული ესა თუ ის არჩევანი "ოპტიმისტური" ან "პე-

სიმისტური" შეიძლება გახდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირს ამ შემთხვევაში, ძალიან სურს რა რაიმე შედეგის მიღწევა, ალტერნატივის სარგებლიანობის აღმატებული შეფასების გამო, მისი მიღწევის ალბათობა უფრო დიდად უნდა შეაფასოს, ვიდრე ის რეალურად არის.

მეორე მხრივ, რაიმე შედეგის მიღწევას მიენიჭება რა დიდი ალბათობა, თვით ეს ალტერნატივა გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის უფრო მიმზიდველი ხდება, ვიდრე ეს თავდაპირველად მიაჩნდა (იზრდება სარგებლიანობის მაჩვენებელი). ცვლადებს შორის ამგვარი დამოკიდებულების არსებობა გადაწყვეტილების მიღების ნორმატიულ მოძღვრებაში დაუშვებელია. ამდენად, სუბიექტურ ალბათობასა და სარგებლიანობას შორის სტატიკურ-დეტერმინისტული SEU მოდელის თანახმად, მის კომპონენტებს შორის დამოუკიდებელი ფუნქციონირების დარღვევამ ზემოაღნიშნული ეფექტი უნდა განაპირობოს. ემპირიული გამოკვლევები კი ხშირად ნორმატიულ ვარაუდს ეწინააღმდეგებიან. ამის დამადასტურებელ ნიმუშად ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკვლევას მოვიყვანთ (10).

გამოკვლევში თბილისის სახ. უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის 43 ფსიქოლოგმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. რესპონდენტებს 154 შეკითხვის შემცველ კითხვარზე სათანადო პასუხების გაცემა ევალებოდათ. ცდისპირებს მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქვეყანაში ფსიქოლოგიური სამსახურის შემოღების გამო (რასაკვირველია, სურვილისდა მიხედვით) ამა თუ იმ სახის ორგანიზაციაში პრაქტიკოს-სპეციალისტად მუშაობის

დაწყების რეალური შანსი ეძლეოდათ. ორგანიზაციათა ჩამონათვალი შემდეგს გულისხმობდა: საშუალო სკოლა, კლინიკა, რადიო-ტელევიზია, სასამართლო, სპორტული კოლექტივი, საწარმოო დაწესებულება, სამხედრო უწყება, სავაჭრო დაწესებულება, სახელმწიფო-ადმინისტრაციული (ბიუროკრატიული) ორგანიზაცია. ამ ალტერნატივებიდან შესაძლო გამომდინარე შემდეგი რეზულტატები იყო გათვალისწინებული: საკუთარი შესაძლებლობლების გამოვლენა, პრაქტიკული დახმარება ადამიანებს, მუშაობაში წარმატების მიღწევა, საქმიანობაში დამოუკიდებლობის გამოვლენა, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, საინტერესო ადამიანებთან მუშაობა, კოლეგებში მაღალი ავტორიტეტის მოპოვება, სამეცნიერო ხარისხის მიღების შესაძლებლობა, ახლობელთა მოლოდინების გამართლება, დიდი პრესტიჟის მქონე ორგანიზაციაში მუშაობა.

ამ დადებითი შედეგების მიხედვით გამოთვლილი SEU-ს ჯამური მაჩვენებელი რესპონდენტებისთვის ჩამოთვლილ სპეციალობათა (ალტერნატივები) მიმზიდველობის ხარისხს გამოხატავდა. მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ინდივიდუალური მაჩვენებლების გათვალისწინებით წარმოებდა. მთლიანობაში 387 (43.9) მაჩვენებელი იყო მხედველობაში მიღებული. აქ მხოლოდ იმ შედეგს გამოვყოფთ, რომელიც სუბიექტურ ალბათობასა (შედეგის განხორციელების შესახებ მოლოდინი) და სარგებლიანობას (შედეგის მიმზიდველობის ხარისხი) შორის გამოვლენილ ურთიერთკავშირს ეხება. სპეციალიზაციათა არჩევის შედეგთა მიმზიდველობის მონაცემების რეგრესიული ანალიზი ცალ-ცალკე განხორციელდა.

ჩვენს შემთხვევაში დამოუკიდებელი ცვლადის როლში გამოდიოდა სარგებლიანობა, ხოლო დამოკიდებულის – სუბიექტური ალბათობა. მიღებულმა რეზულტატებმა გვიჩვენეს, რომ ალტერნატივათა მიმზიდველობის შემთხვევაში შესწავლილ ცვლადებს შორის შემდეგი სახის რეგრესიული დამოკიდებულება გამოვლინდა: w = 3.35 + 0.60 (X – 4.37), სადაც rI = 3% (t = 3.40, df 385, p< 0.01), ხოლო სპეციალობათა მიმართ უპირატესობის მინიჭების შენთხვევაში სურათი შემდეგია: w = 65.14 +1.10 (X–39.00), სადაც rI = 6% (t =3. 52, df 385, p< 0.01). როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში სარგებლიანობამ სუბიექტურ ალბათობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო სასურველია რესპონდენტისთვის რაიმე სპეციალობა და რაც უფრო მიმზიდველია მისთვის ამ ალტერნატივიდან გამომდინარე შედეგები, მით უფრო დარწმუნებულია ის ამ ალტერნატივის რეალიზაციის ალბათობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებათა მიღების "ოპტიმისტური" სტრატეგია სახეზეა. ამდენად, ჩვენი ცდისეული მონაცემები და, რასაკვირველია, სხვა მკვლევართა მრავალი შედეგები SEU სტრატეგიის, როგორც ერთ-ერთი რაციონალური (ნორმატიული) პრინციპის, საყოველთაობის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ.

დროის მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

როდესაც გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში დროის ფაქტორის მნიშვნელობას ვეხებით, მაშინ, ძირითადად, მხედველობაში შემდეგი სამი რამ უნდა გვქონ-

დეს: ა) არჩევანის გაკეთებაზე დახარჯული დრო და მისი განხორციელების ალბათობა, ბ) დროის დეფიციტი და არჩევანის გაკეთების ალბათობა, გ) არჩევანის გაკეთება და მისი დროში გადავადება. ქვემოთ სწორედ ამ საკითხებს შევეხებით.

ჯერ კიდევ ფ. მოსტელერმა და პ. ნოგიმ თავის ექსპერიმენტულ გამოკვლევებში დაადგინეს, რომ ცდისპირითა მიერ ლატარიის არჩევანზე დახარჯული დროის საშუალო მაჩვენებელი თანდათანობით მცირდება, ხოლო თვით ამგვარი არჩევანის გაკეთების ალბათობა აშკარად იზრდება. შემდგომში აღნიშნულ ცვლადებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევით დასაბუთდა. ემპირიული შედეგების მიხედვით, სუბიექტის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე დახარჯული დრო, ფაქტობრივად, მის მიერ ამა თუ იმ ალტერნატივასადმი უპირატესობის მინიჭების სიმყარის კარგი მაჩვენებელია.

გადაწყვეტილების მიღების სტატიკურ მოდელში აღნიშნული კანონზომიერება, თეორიულად, მეტნაკლებად მხოლოდ იმ პირობით თავსდება, თუ დაშვებულია, რომ მსჯელობაზე დახარჯული დრო დამოუკიდებელი მოვლენაა და, ამდენად, მისი ემპირიული შესწავლა ალტერნატივებისადმი უპირატესობის მინიჭებისაგან დამოუკიდებლად უნდა მიმდინარეობდეს. ამგვარი მოსაზრების მცდარობა თვით ცდისეულმა კვლევა-ძიებამ აჩვენა. კერძოდ, მხედველობაში ის ექსპერიმენტული გამოკვლევები გვაქვს, რომლებშიც ცდისპირებს სათანადო არჩევანის გაკეთება შეზღუდული დროის პირობებში უხდებათ. ამ

გამოკვლევებმა დაადგინა, რომ მკვლევარის მიერ დროის ფაქტორის ექსპერიმენტული მანიპულაცია (მისი გაზრდა ან შემცირება, რაც ძირითადად, წამებში გამოიხატება) ცდისპირების მიერ ამა თუ იმ არჩევანის გაკეთების ალბათობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონკრეტული ალტერნატივის არჩევის ალბათობა (0.5-ის "ზევით" ან "ქვევით") დროის შეზღუდვის ფაქტორის მარტივი მანიპულაციით არის შესაძლებელი. თავისთავად ნათელია, რომ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას გარკვეული დრო სჭირდება. გადაწყვეტილების მიმღები პირის მსჯელობა სათანადო ინფორმაციის ანალიზს ეყრდნობა, რომელიც დროში მიმდინარე პროცესია. გადაწყვეტილებათა ქმედითობისთვის დრო მნიშვნელოვანი რესურსი გახლავთ. გამომდინარე აქედან, ისიც ნათელია, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი, მეტწილად, შეზღუდული დროის პირობებში მოქმედებს. სავარაუდოა, რომ ექსპერიმენტულ ვითარებაში ცდისპირთა მიერ გამოვლენილი ნაკლებად რაციონალური ქცევის ფორმები იმით არიან განსაზღვრული, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა დროის ნაკლებობა. ისიც სავარაუდოა, რომ ვითარების გართულებასთან ერთად და, მაშინ, როდესაც სუბიექტი ამ ვითარების გარკვევაში დიდად არის დაინტერესებული, რაციონალური თვალსაზრისით მის მიერ უფრო კონტროლირებად კოგნიტურ სტრატეგიებს იყენებს. ამის შედეგად, მასთან "პარადოქსული" მოქმედებების გამოვლინება მნიშვნელოვნად მცირდება. სავსებით ცხადია, რომ გადაწყვეტილების მიღებასა და დროის ფაქტორს შორის მართლაც მნიშვნელოვანი კორელაცია არსებობს. კონ-

კრეტულად კი, ემპირიული მონაცემები, ზოგადად, შემდეგზე მეტყველებენ: გადაწყვეტილების მიმღები პირი რეალურად ისე მოქმედებს, რომ მის მიერ სიზუსტის (ვთქვათ, საშუალო მოგება) "დათმობა" გადაწყვეტილებაზე დახარჯული დროით (სწრაფი არჩევანი) არის დეტერმინირებული.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში დროის ფაქტორი შესაძლო შედეგების (დავუშვათ, ფულადი მოგება) მიმზიდველობაზე (ვალენტობაზე) მნიშვნელოვნად ზემოქმედებს (12). მაგალითად, განა სულერთია ადამიანისთვის 2000 ლარს ეხლა მოიგებს, თუ სამი წლის შემდეგ?! ივარაუდება, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის რაიმე შედეგის მიმზიდველობა მით უფრო მცირეა, რაც უფრო მეტი დრო გავა კონკრეტული თანხის მიღებამდე. რაც უფრო გვიან იღებს ადამიანი მისთვის სასურველ შედეგს, ანუ რაც უფრო დაშორებულია მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე რეზულტატის "მოხმარების" შესაძლებლობა, მით უფრო მცირდება მისი მიმზიდველობის ხარისხი. აღნიშნული ვარაუდი ფსიქოლოგების მიერ მრავალი ექსპერიმენტული კვლევებით დადასტურდა: გარკვეულ სტიმულაციაზე ქცევათა რეგულირების მიზნით მათი ან დადებითი (წახალისება) ან უარყოფითი (დასჯა) განმტკიცების გადავადება ამ მექანიზმების დეტერმინანტულ მნიშვნელობას ამცირებს. სანიმუშოდ ერთ-ერთ ემპირიულ გამოკვლევას მოვიყვანთ. მასში მონაწილე ცდისპირებს (უმცროსი ასაკის ბავშვები) არჩევანის გაკეთების შემდეგი ვარიანტი შესთავაზეს: მათ, აქ და ამჟამად, სურთ მიიღონ შედარებით იაფფასიანი კანფეტი, თუ შედარებით

ძვირადღირებული კანფეტი მიიღონ ხვალ? აღმოჩნდა, რომ ბავშვების უმრავლესობამ უპირატესობა პირველ ალტერნატივას მიანიჭა. ხაზგასასმელია, რომ მათზე შედარებით უფროსმა ბავშვებმა მეორე ალტერნატივა აირჩიეს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათ მეტი მოთმინების (ნებელობის თვისება) უნარი გამოაელინეს. მაგალითად, ეს ემპირიული შედეგი უ. ლიმ ფორმალიზებული ფორმით შემდეგნაირად წარმოადგინა (13): დავუშვათ, რომ U(t) გარკვეული დროის მონაკვეთში რაიმე შედეგის მიმზიდველობას გამოხატავს, ხოლო $U(t)=1/t^2+1$ მუდმივად კლებადი ფუნქციის ფორმას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ რაიმე შედეგის მიმზიდველობა (ვალენტობა) მისი მოხმარების გადავადებული დროის კვადრატის მიხედვით მცირდება. შედეგთა სარგებლიანობის ამ განსაზღვრული ფუნქციის გათვალისწინებით ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე მრავალ მოვლენათა ახსნის შესაძლებლობა გვეძლევა. მაგალითად, ჰონორარი ან პრემია მათი მიღების გადავადების შემთხვევაში ავტორის შემეცნებით სტრუქტურაში გარკვეულ გაუფასურებას განიცდის.

საგულისხმოა, რომ ამ ფუნქციის მეშვეობით არა მარტო დადებითი შედეგების (თანხის მოგება, ცოდნის შეძენა, სამსახურეობრივი წინსვლა და სხვა მრავალი) შედარებითი გაუფასურება ხდება, არამედ მათ ვალენტობაზე უარყოფითი შედეგების რეალიზებაც მნიშვნელოვანად ზემოქმედებს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მწეველთა უმრავლესობისთვის მათი ამგვარი მოქმედებიდან გამომდინარე უარყოფითი შედეგები (ვთქვათ, ფილტვის

კიბოთი დაავადების დიდი შესაძლებლობა) საკმაოდ ნათელია, ისინი თამბაქოს მოწევას მაინც "არხეინად" განაგრძობენ. ამგვარი მოქმედების ერთ-ერთ მიზეზად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ადამიანი საკუთარი ქცევით გამოწვეული "სასჯელის" აღსრულებას არა ამჟამად, არამედ შორეულ მომავალში მოელის, რაც არასასურველი შედეგის ნეგატიურ ვალენტობას მნიშვნელოვნად ამცირებს. თუ ადამიანს რეალობამ დაანახა, რომ მის მოქმედებასთან დაკავშირებული სასჯელის აღსრულება სწორედ ახლო მომავალშია მოსალოდნელი, მაშინ იმის დიდი შესაძლებლობა არსებობს, რომ მან საკუთარ მოქმედებაზე უარი თქვას, რაც ექსპერიმენტულადაც არაერთხელ დადასტურდა [14].

არჩევანის გაკეთებაზე სოციალური კონტექსტის გავლენა

ალტერნატივათა სარგებლიანობის შეფასებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას გარემოს მრავალი ფაქტორი ახდენს. ხშირად გადაწყვეტილების მიღების ნორმატიულ (სტატიკურ) მოდელებში სიტუაციური ფაქტორების როლი სათანადოდ არ არის გათვალისწინებული. რაციონალური მოქმედების ერთ-ერთი აქსიომის მიხედვით მოცემულ ალტერნატივებზე ახალ-ახალი ალტერნატივების დამატებამ უკვე არსებულ ალტერნატივათა ურთიერთკავშირის მოწესრიგება არ უნდა შეცვალოს, ხოლო "არაოპტიმისტურ" ალტერნატივას "ოპტიმისტურ" ალტერნატივად ვერ გარდაქმნის. ემპირიული კვლევა-ძიებით მიღებული ზოგადი

რეზულტატი ამ პრინციპს ნაკლებად ადასტურებს. ექსპერიმენტული გამოკვლევის პარადიგმული ფორმა შემდეგს გულისხმობს: ცდისპირი A და B ალტერნატივათა სარგებლიანობას აფასებს. შესწავლის საკითხი კი შემდეგში მდგომარეობს: როგორ ზემოქმედებას მოახდენს ძველ ალტერნატივათა მიმზიდველობის შეფასებაზე ალტერნატივათა რიცხვის გაზრდა (A,B,C,D)? ამ საკითხის ექსპერიმენტული კვლევის დროს ივარაუდება, რომ ალტერნატივებსა და მათგან გამომდინარე შედეგებს შორის გარკვეული ურთიერთმიმართება უნდა არსებობდეს, რაც, თავის მხრივ, ცდისპირის მიერ მათი სარგებლიანობის შეფასებაზე ზემოქმედების მომხდენი იქნება.

ზემოგანხილული საკითხის ცდისეული შესწავლის ნიმუშად შემდეგ გამოკვლევას მოვიყვანთ. ცდისპირებს კლასის ყველაზე კარგი მოსწავლის შესაძლებლობათა გამოყენების ოპტიმალური ვარიანტის დადგენა დაავალეს. მოცემულია შემდეგი ორი ალტერნატივა: A – მოწაფემ სუსტ თანაკლასელებს დახმარება თვითონ უნდა აღმოუჩინოს და B – მოწაფემ მასწავლებელს კარგ თანაკლასელებთან მუშაობაში დახმარება უნდა გაუწიოს. საკონტროლო ჯგუფის ცდისპირები მარტივ დავალებას ასრულებდენ: ამ ორი ალტერნატივიდან მათ ერთ-ერთი უნდა აერჩიათ. ექსპერიმენტულ ჯგუფში პროცედურა უფრო რთული იყო: ორივე, A და B ალტერნატივების გაცნობის შემდეგ ცდისპირებს ხუთი წუთის განმავლობაში კლასის ყველაზე კარგი მოწაფის უნართა გამოყენების რაც შეიძლება მეტი სხვა დამატებითი მაგალითების მოყვანა ევალებოდათ. ამ დავალების შესრულების შემდეგ ცდისპი-

რებს დამატებით კიდევ სხვა ხუთი ახალი ალტერნატივა შესთავაზეს. ამის საფუძველზე მათ საკუთარი მაგალითების შეფასების შესაძლებლობაც ეძლეოდათ. ამდენად, ყოველი ცდისპირი A და B ალტერნატივების გარდა დამატებით კიდევ ხუთ ახალ ალტერნატივას ეცნობოდა. ალტერნატივათა სიმრავლის მიუხედავად, ექსპერიმენტული ჯგუფის ცდისპირებს, ისევე როგორც საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებს, მხოლოდ A და B ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება ევალებოდათ. ამ შემთხვევაში დანარჩენი ალტერნატივები კონტექსტის, ანუ სიტუაციური ფაქტორის როლში გამოდიან. მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ ამ ორი ჯფუფის წევრები განსხვავებულად მოქმედებენ. ექსპერიმენტული ჯგუფის ცდისპირების უმრავლესობამ B ალტერნატივას მიანიჭა უპირატესობა. ამდენად შეცვლილმა კონტექსტმა ცდისპირთა შეფასებებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა, რაც ზემონახსენებ რაციონალური მსჯელობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ალტერნატივათა რაოდენობის გაზრდა და შემცირება ჯ. ბრემმა სავსებით არგუმენტირებულად გადაწყვეტილების მიღებაში *თავისუფლების შეზღუდვის* მოვლენასთან დააკავშირა (15). ამ ავტორის კონცეფციის თანახმად, სუბიექტისთვის აქამდე მისაწვდომ და შესაძლებელ მოქმედებათა განხორციელების აღმოფხვრა ან ამგვარი საშიშროების არსებობის შემთხვევაში მასში რეაქტიული წინააღმდეგობის განცდისეულ-მოტივაციური მდგომარეობა აღმოცენდება. ამგვარი ვითარების არსებობის შემთხვევაში, სუბიექტი საკუთარი მოქმედების ან საფრთხის ქვეშ მყოფ ალტერნატივათა აღდგენას და შენარჩუნებას შეეც-

დება. რეაქტიული წინააღმდეგობა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შეზღუდვაზე სუბიექტის მკვეთრი ნეგატიური შინაარსის მქონე ფსიქიკური რეაგირება გახლავთ. თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის აღდგენა ამგვარი რეაგირების აღმოფხვრის საწინდარია. რეაქტიული წინააღმდეგობის აღმოცენების განმაპირობებელი რამდენიმე სიტუაცია არსებობს. ჩვენ მხოლოდ ერთზე შევჩერდებით. არის ვითარება, რომელშიც ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება გამორიცხულია ან მას გარკვეული საფრთხე ექმნება. მაგალითად, მშობელმა შვილს იმ თანატოლებთან თამაში შეიძლება აუკრძალოს, რომლებთანაც ის მანამდე თავისუფლად ურთიერთობდა. რეაქტიული წინააღმდეგობის კონცეფციის თანახმად, ამგვარ სიტუაციაში უკუგდებული ალტერნატივა, ამ შემთხვევაში, სუბიექტისთვის სწორედ რომ განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება (შესაბამისად, მისი არჩევის ალბათობაც). მართლაც რომ ამ ვითარებაზეა ნათქვამი: "აკრძალული ხილი უფრო ტკბილია". ამ კონცეფციის სასარგებლოდ მრავალი ემპირიული მონაცემი არსებობს. სანიმუშოდ მ. მიზესის მიერ ჩატარებულ გამოკვლევას მოვიყვანთ (16).

ფლორიდის შტატის ქ. მაიამის ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილების მიხედვით, ფოსფატის შემცველი სარეცხი და გამწმენდი საშუალებების გამოყენება აიკრძალა. ბუნებრივად შეიქმნა ისეთი ვითარება, რომელშიც ადმინისტრაციული ჩარევით მომხმარებელთა არჩევანის თავისუფლება რეალურად შეიზღუდა. მკვლევარს შექმნილ სიტუაციაში დიასახლისების შეფასებითი მსჯელობის თავისებურებათა გამოვლენა აინტერესებდა. ადამიანთა ამ კონტინგენტის შეფასებების მაჩვენებლები იმ

შეფასებათა მონაცემებს შეუდარდა, რომელთა წარმომადგენლებს ამგვარი აკრძალვა არ შეხებიათ. მიღებული მონაცემების თანახმად, "აკრძალული" ჯგუფის დიასახლისებმა, "აუკრძალავი" ჯგუფის წევრებთან შედარებით, აკრძალული პროდუქტების თვისებები მნიშვნელოვნად უფრო დადებითად შეაფასეს. ამდენად, ზოგიერთი სამომხმარებლო პროდუქტის გაყიდვის აკრძალვამ მათ მიმართ მომხმარებელთა თავდაპირველი დამოკიდებულება უფრო პოზიტიური გახადა, რაც რეაქტიული წინააღმდეგობის კონცეფციიდან გამომდინარე ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს.

ემპირიული შედეგების განზოგადება

გადაწყვეტილების მიღების ზემოგანხილული სტატიკური (რაციონალური) და დინამიკური (დესკრიფციული) მიდგომებიდან გამომდინარე თეორიული ვარაუდების ემპირიული კვლევის მონაცემები შემდეგნაირად შეგვიძლია განვაზოგადოთ:

ა) საკმაოდ დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუბიექტის მიერ გამოვლენილი უპირატესობის მინიჭების საფუძვლად მდებარე შეფასებითი მსჯელობა თანამიმდევრულობის რაციონალურ პრინციპს ნაკლებად ითვალისწინებს. ეჭვგარეშეა, რომ განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ განხორციელებულ შეფასებით მსჯელობაში გამოვლენილი ამგვარი არათანამიმდევრობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად დროის ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გადაწყვეტი-

ლების მიღების ნებისმიერ დესკრიფციულ, ე.ი. ფსიქიკური მექანიზმების გამთვალისწინებელ კონცეფციას სუბიექტის მიერ რეალურად განხორციელებადი შეფასებითი მსჯელობის შინაარსისა და მიმართულების წინასწარმეტყველება უნდა შეეძლოს. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ამის განხორციელება SEU-ს დეტერმინისტულ – ფორმალურ (სტატიკური) მოდელიდან მის ალბათურ – შინაარსეულ (დინამიკურ) ვარიანტზე გადასვლით არის შესაძლებელი. რასაკვირველია, ეს ფორმალიზაციის ხერხების გამოყენებას სრულიადაც არ გამორიცხავს.

ბ) გადაწყვეტილების მიღების რაციონალური (ნორმატიული) პრინციპების თანახმად, სუბიექტური ალბათობა და სარგებლიანობა (ვალენტობა) ისეთი ცვლადებია, რომელთა შორის ურთიერთზემოქმედებითი კავშირი დაუშვებელია. ეს შემდეგს ნიშნავს: რაიმე ჰიპოთეზის რეალიზაციის ალბათობა სრულიადაც არ არის იმაზე დამოკიდებული, რამდენადაა ის მიმზიდველი (წარმატების განმაპირობებელი) ან რამდენადაა ის მიუღებელი (წარუმატებლობის მადეტერმინირებელი). ამგვარი დაშვება საესებით რაციონალურია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ადამიანი ხშირად სხვაგვარად მოქმედებს, რასაც, როგორც ენახეთ, სათანადო ექსპერიმენტული მონაცემები ნათლად ადასტურებენ. ნაჩვენებია, რომ, მაგალითად, ლატარიებს შორის არჩევანის გაკეთების დროს გადაწყვეტილების მიმღები პირი ძალზე ხშირად მოგებათა ალბათობის გადაფასების და წაგებათა ალბათობის შეუფასებლობის ტენდენციას ავლენს. ისიც აღსანიშნავია, რომ თვისებრივ მასალაზე (რომელობითი ფორმის ინფორმაცია, ვთქვათ,

ქცევიდან გამომდინარე რეზულტატები, რომლებიც პიროვნების პოტენციალის რეალიზაციას ეხებიან) ჩატარებული კვლევების საფუძველზე იგივე ზოგადი შედეგია მიღებული: ცდისპირები ალტერნატივათა შეფასების დროს "ოპტიმისტურ" სტრატეგიას იყენებენ, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ "ხდება ის, რაც მათ სურთ", ანუ რეზულტატის მიმზიდველობა იმავე შედეგის მიღების სუბიექტურ ალბათობას თავის მიმართულებით წარმართავს, ანუ პირველში, ფაქტობრივად, მეორე ასიმილირდება. ნათელია, რომ ერთი ცვლადის მეორეზე ზემოქმედება, კერძოდ, წარმატების მოპოვების შანსის სისტემატური და ტენდენციური გადაფასება ადამიანის მოქმედების რაციონალურ ბუნებას ნაკლებად გამოხატავს.

გ) სუბიექტი ამა თუ იმ გადაწყვეტილებას გარკვეული დროის მონაკვეთში იღებს, ის დროში მიმდინარე მოვლენა გახლავთ. ემპირიული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ კონკრეტულ ალტერნატივასთან დაკავშირებული შედეგის მიმზიდველობა (ვალენტობა) გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ დროში მისი მიღწევის პერსპექტივის ჭრილში (ეხლა მივიღებ რამეს, თუ მომავალში) ფასდება. არჩევანის გაკეთების სტატიკურ (დეტერმინისტულ) მოდელში დროის მნიშვნელობა, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია, რის გამოსწორებასაც დინამიკური მოდელების შემქნელი ავტორები ცდილობენ.

დ) გადაწყვეტილების მიღების ნორმატიულ (რაციონალურ) პრინციპებში არა მარტო გადაწყვეტილების მიმღები პირის სუბიექტური მახასიათებლებია იგნორირებული, არამედ, ხშირად, სათანადოდ არც სიტუაციური (კონტექ-

სტური) ცვლადების თავისებურება გახლავთ გათვალისწინებული. რაციონალური არჩევანის გაკეთების ერთ-ერთი პრინციპის თანახმად, მოცემულ ალტერნატივებზე ახალი ალტერნატივების დამატებამ ძველი ალტერნატივების შეფასებაზე არ უნდა იმოქმედოს, ხოლო, რაციონალური თვალსაზრისით, არაოპტიმალური ალტერნატივა ოპტიმალური ვერ გახდება. ემპირიული შედეგები კი ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ: უკვე არსებული ალტერნატივების მიმზიდველობა ახალი ალტერნატივების კონტექსტში მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. გარდა ამისა, მიღებული მონაცემების თანახმად, ისეთი სიტუაციური ფაქტორის ექსპერიმენტული მანიპულაცია, როგორიც არის ალტერნატივების რაოდენობა, თვით მათ შეფასებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

დაბოლოს, როგორც ვნახეთ, თავისუფალი არჩევანის შეზღუდვა გადაწყვეტილების მიმღებ პიროვნებაში რეაქტიული წინააღმდეგობის განცდისეულ მდგომარეობას აღძრავს, რაც, თავის მხრივ, "აღმოფხვრილ" ალტერნატივას უფრო მიმზიდველს ხდის. ექსპერიმენტული შედეგები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ალტერნატივების ვალენტობა არა მარტო მათი ობიექტური პარამეტრებით განისაზღვრება, არამედ სუბიექტისთვის მათი მისაწვდომობის ხარისხით არის დეტერმინირებული. გადაწყვეტილების მიღების აღწერით მოდელში, რასაკვირველია, ეს მონაცემებიც უნდა იყოს გათვალისწინებული.

1. Фон Нейман, Д., Моргерштерн, Д. Теория игр и экономическое поведение. М., 1970.
2. Мостеллер, Ф., Рурке, Р., Томас, Д. Вероятность. М., 1969.
3. Savaje, L. The foundations of ststistics. N.-Y., 1954.
4. Edvards, W. Subjeqtive probabilities inference from decisions. Psychological Review, 1962, 69, 109-135.
5. Kahneman D., Tversky A. Prospect theory: An analisis of decision under risk. Econometrica, 1979, 47, 263-291.
6. Luce, R. Rational versus plausible accouting equivalences in preference judgements. Psychological Science, 1990, 1, 222-234.
7. Busemyer, J., Townsend, T. Decision field theory: A dynamic-cognitive approach to decision. Psychological Review, 1993, 3, 432-460.
8. Mosteller, F., Nogee, P. An experimental measurement of utility. Journal of Political Economy, 1951, 59, 371-404.
9. Busemyer, F. Choice behavior in a secuental decision-making task. Organizational Behavior and Hmaman Performance, 1982, 29, 175-207
10. ჩარკვიანი, დ. ალტერნატივების მიმზიდველობა და სასურველი შედეგების მიღწევის დონე როგორც უპირატესობის მინიჭების სკალის დეტერმინანტები არჩევანის სიყუაციაში. "მაცნე", ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1, 1981.
11. ჩარკვიანი, დ. ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში. თბილისი, 2001.
12. Jemison, D., Petrusic, W. Preference and time to choose. Organizational Behavior and Human Performance, 1977, 19, 56-67.
13. Lee, W. Decision theory and human behavior. N.-Y., 1971.
14. ჩარკვიანი, დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 20001.
15. Brhem, J. A theory of psychological reactance. N.-Y., Academic Press., 1966.
16. Mazis, M. Antipolution meazures and psychological reactance theory. Personality and Social Psychology, 1975, 31, 654-660.

ჟ. *„მაცნე"*, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პერიოდული ჟურნალი. თბილისი, 2006, 1.

ევრისტიკული მსჯელობა: ახალი კონცეფტური მიდგომები

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ადამიანის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების კანონზომირებათა კვლევა-ძიება ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს. საგულისხმოა, რომ მოცემული ალტერნატივებიდან ერთერთისადმი უპირატესობის მინიჭების საფუძვლად მდებარე პროცესების შინაარსისა და მათი ფორმალური მხარის აღწერაზეა მკვლევართა ყურადღება გამახვილებული. სუბიექტის მიერ სხვადასხვაგვარი ინფორმაციის გადამუშავებისა და არჩევის ვითარებაში ალტერნატივებისადმი უპირატესობის მინიჭების ორგვარი ფორმა, კერძოდ, *ალგორითმული* და *ევრისტიკული* სტრატეგიებია გამოყოფილი. გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალური თეორიის ძირითადი მიზანი არჩევის სიტუაციაში ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ოპტიმალური, ე.ი. ალგორითმული ფორმის მსჯელობათა საფუძლად მდებარე რაციონალური პრინციპების შემუშავებაში მდგომარეობს. ეს ალგორითმები სათანადო ნორმატიული წესების ერთობლიობა გახლავთ. თეორიულად ივარაუდება, რომ ალგორითმები გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ ისეთ მოქმედებათა არჩევას განაპირობებენ, რომელთა განხორციელება მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და მიზნების მიღწევას მაქსიმალურად უზრუნველყოფს. რისკისა და განუსაზღვრე-

ლობის ვითარებათა არსებობის შემთხვევაში ეფექტური არჩევის განმსაზღვრელი ამგვარი ფორმალიზებული "ძიების" სტრატეგიები სათანადო რაციონალურ პოსტულატებზეა დამყარებული (ალტერნავითა სიმრავლისა და მათგან გამომდინარე შედეგების შესახებ ადამიანის სრული ინფორმირებულობა, შესაძლებელ მოქმედებათა ლოგიკურად გამართული თანამიმნდევრობა, მსჯელობებში გამოყენებულ დებულებათა რეფლექსურობის, დალაგებულობისა და ტრანზიტულობის თვისებები). რაციონალობის ამგვარი პოსტულატების შემუშავება, ფაქტობრივად, "იდეალური", ყველა შესაძლო ვარიანტის გამთვალისწინებელი გადაწყვეტილების მიმღები პირის, როგორც ეპისტემოლოგიური კატეგორიის, დაშვებას ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით, დაისმის კითხვა: კი მაგრამ, რა საჭიროა ამგვარი მკვეთრი ცნებითი განზოგადების დაშვება? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია — ასეთი პოსტულატების სისტემური გააზრება რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღების აქსიომატიკური ფორმით ლოგიკურად დასაბუთებულმა კონცეფციების შემუშავებამ განსაზღვრა. სწორედ ასეთ თეორიულ მიდგომებშია წარმოდგენილი ის ალგორითმული სტრატეგიები (მაგალითად, სუბიექტურად მოსალოდნელი სარგებლიანობა, მინი-მაქსის პრინციპი, მოსალოდნელი და ადიტიური რისკის პოსტულატები, ინფორმაციულ ცვლილებათა პირობებში Bayes-ის წესებით დიაგნოსტიკა), რომლებიც პრობლემურ ვითარებებში *ოპტიმალურ* გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველი გახლავთ. ამავე დროს, ხაზგასამელი შემდეგია: რთული ალტერნატივების არსებობისა და დიდი განუსაზღვრელობის

პირობებში ალგორითმული სტრატეგიების გამოყენება, ხშირად არა მხოლოდ მიზანშეუწონელია, არამედ საერთოდ განუხორციელებელია. მაგალითად, თუ ეზოში "დაკარგულ" რაიმე ნივთს ვეძებთ, მაშინ ეზოს მთლიანი ტერიტორიის ნაწილ-ნაწილ საგულდაგულო დათვალიერებით მისი ნახვა სავსებით შესაძლებელია. იგივეს, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით საჭადრაკო დაფაზე ყველა იმ შესაძლო განსახორციელებელ კომბინაციაზე, რომელთა რიცხვი (10^{120}) ასტრონომიულია.

ზემონათქვამთან დაკავშირებით, ჯ. მილერი, ე. გალანტერი და კ. პრიბრამი აღნიშნავენ: "სავსებით ნათელია, რომ ჩვენს წინაშე არსებული ალტერნატივებისადმი გარკვეული შერჩევითი დამოკიდებულების უქონლობის შემთხვევაში, თუნდაც ერთი პრობლემის გადაწყვეტას მთელი ჩვენი ცხოვრება არ ეყოფოდა. ევრისტიკული გზა ის გზა გახლავთ, რომელიც არჩევითობას განაპირობებს, მაგრამ ჩვენ მუდამ მივდივართ რისკზე იმის გამო, რომ მილიონ გამოუსადეგარ ვარიანტებთან ერთად, ისეთებსაც უგულებელვყოფთ, რომლებიც პრობლემის გადასაწყვეტად გვჭირდება. ამდენად, ჩვენ ტიპიურ ადამიანურ დილემას ვაწყდებით: ნელი სვლით და სწორად, ან ჩქარა, მაგრამ რისკის გაწევით. ყოველი ჩვენთაგანი შინაგნად მოთამაშეა, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, უმრავლესობა კი გაცილებით მეტად, ვიდრე ჩვენ გვგონია" [1,გ. 184)] როგორც ვხედავთ, რთული ამოცანების გადაწყვეტაში ევრისტიკული აზროვნება ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამავე დროს, ის, მოსალოდნელი შედეგის თვალსაზრისით, სარისკო მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ

აღვნიშნეთ, რომ ევრისტიკული აზროვნების ეფექტურობა დინამიკური თვისებების მქონე ამოცანათა გადაწყვეტის პროცესში მეღავნდება. ეს ისეთი ვითარება გახლავთ, როდესაც ალტერნატივებიდან გამომდინარე შედეგების შესახებ ინფორმაცია გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. Bayes-ეული მოდელის მსგავსი მკაცრი ალგორითმული სტრატეგიების საფუძველზე გადაწყვეტილების მიმღები პირის მოქმედებათა ეფექტური პროგნოზი მხოლოდ საკმაოდ მარტივ ამოცანათა არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. ხანმოკლე მეხსიერების გადატვირთვის, მოცემული ალტერნატივების რთული აღნაგობისა და გასაკეთებელი არჩევიდან გამომდინარე რეზულტატების შესახებ ინფორმაციის უკმარობის შემთხვევაში, ევრისტიკულ სტრატეგიათა გამოყენება, ფაქტობრივად, არსებული პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება ხდება. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარი სააზროვნო ხერხების გამოყენება სასურველი შედეგის მყარ გარანტიას გვაძლევს. თვით ევრისტიკული სტრატეგიების ეფექტურობა შემდეგს გულისხმობს: ალგორითმულ ხერხებთან შედარებით, მათი გამოყენება არსებულ ამოცანას მნიშვნელოვნად ამარტივებს, ხოლო მის გადასაწყვეტად საჭირო შემეცნებით ძალისხმევას დიდად ამცირებს. ამავე დროს, დაისმის კითხვა: ევრისტიკული აზროვნების საფუძვლად მდებარე პრინციპები რამდენად ეფექტურად შეიძლება იყოს გამოყენებული ადამიანთა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში (მართვა, ეკონომიკა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ა.შ.)? მივმართოთ მაგალითს. თამაშის მსვლელობაში მოჭადრაკე გარკვეულ ევრისტიკულ

წესებს (ვთქვათ, "განავითარე საკუთარი ფიგურები", "დაეუფლე ცენტრს", "დაიცავი მატერიალური წონასწორობა", "შეუტიე მოწინააღმდეგის მეფეს") იყენებს. მათი გამოყენებით არსებითად მცირდება იმ უამრავი კომბინაციების რაოდენობა, რომელთა აწონ-დაწონვა მოჭადრაკემ უნდა მოახერხოს. ეს კი, საბოლოო ჯამში, მისი მოქმედების ეფექტურობის განმსაზღვრელია. უფრო განზოგადებული სახის ევრისტიკული პრინციპი შესაძლოა შემდეგს გულისხმობდეს: "ვითარებაში, რომელშიც გადაწყვეტილების მხოლოდ ერთი ვარიანტია ცნობილი, როგორც მისი უარყოფა, ასევე არც მასზე დათანხმება ივარგებს. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს ვარიანტი ოპტიმალურად გამოიყურება, მაშინაც მასზე თანხმობის ცდუნება თავიდან უნდა იქნეს აცილებული, ხოლო ყურადღება სხვა ვარიანტების დადგენაზე უნდა გამახვილდეს. მრავალ ვარიანტებს შორის საუკეთესოს დადგენა მათი ურთიერთშედარების საფუძველზე ხდება შესაძლებელი". როგორც პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, ამგვარი ევრისტიკული სტრატეგიების გამოყენება სხვადასხვა სახის პრობლემათა დაძლევაში საკმაოდ ეფექტური აღმიჩნდა [2].

ზემოთნახსენები საკითხების განხილვა გვიჩვენებს, რომ ალგორითმულ სტრატეგიებში, რომელთა შემუშავება გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალურ კონცეფციებში წარმოებდა და რომელთა გამოყენება, ძირითადად, სტატისტიკისა და ეკონომიკის სფეროთი შემოიფარგლა. ამგვარი კონცეფტური მიდგომის ფარგლებში მსჯელობათა საფუძვლად მდებარე ფსიქიკური მექანიზმები, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია. ამგვარი თეორიული

ორიენტაციის ნაკლი ემპირიულმა კვლევა-ძიებამ აჩვენა. მიღებული შედეგების მიხედვით, არჩევის ვითარებაში ადამიანის მიერ გამოყენებულ ოპტიმალურ ალგორითმულ სტრატეგიებსა და მის რეალურ ქცევას შორის მიზეზობრივი კავშირის განზოგადოებული მაჩვენებელი დაბალი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ ჩაეყარა საფუძველი იმ ზოგად თეორიულ მიდგომას, რომელიც გადაწყვეტილებათა მიღების სიტუაციაში ადამიანის მიერ გამოვლენილი რეალური ქცევის შინაგან მადეტერმინირებელ ფაქტორებს იკვლევს. ასეთი უმნიშვნელოვანესი პროცესის (მოვლენის) როლში ევრისტიკული აზროვნება გამოდის. წინამდებარე სტატიის მთავარი მიზანი ამ თავისებური შემეცნებითი პროცესის (დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის არსებული კავშირის თვალსაზრისით) ძირითდი მახასიათებლების ანალიზი გახლავთ. კონკრეტულად კი, ჩვენ შემდეგ საკითხებს განვიხილავთ: შემეცნებითი აქტივობის სხვადასხვა დონე, ევრისტიკული შენაცვლების პრინციპი, ინდუქციური განსჯის ფარგლები, პროტოტიპულ-ევრისტიკული მსჯელობები და ის მნიშვნელობა, რომელიც სხვადასხვაგვარი შეფასებითი მსჯელობების განხორციელებაში ევრისტიკული პრინციპების ეფექტურ გამოყენებას გააჩნია.

შემეცნებითი აქტივობის სხვადასხვა დონე. ევრისტიკული სტრატეგიების კანონზომიერებათა შემსწავლელ მკვლევართა უმრავლესობის მიერ გაზიარებული ზოგადმეთოდოლოგიური მიდგომის თანახმად, ადამიანის შემეცნებითი აქტივობის, კერძოდ, აღქმის, ინტუიციისა და აზროვნების სამი დონე არსებობს. პერცეპტულ დონეზე შე-

მეცნებითი აქტივობა იმპულსურად, ავტომატურად მიმდინარეობს, სუბიექტის მიერ მისი ცნობიერი რეგულაცია, ფაქტობრივად, არ ხდება. აზროვნების დონე იმით ხასიათდება, რომ შემეცნებითი პროცესი შედარებით ხანგრძლივად მიმდინარეობს, სუბიექტისგან ის მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ხოლო არსებული ვითარება მის მიერ ობიექტივირებულია. ინტუიციის დონეს რაც შეეხება, ის პირველი და მესამე დონის, ასე ვთქვათ, "ნაზავს" წარმოადგენს. თვით ამ სახის შემეცნებითი აქტივობის ფორმასა და შინაარსში ხან აღქმის, ხან კი აზროვნების მექანიზმები იწყებენ მოქმედებას, ამ სფეროში სწორედ მათი მახასიათებლები წარმოჩნდებიან [3].

ზემონათქვამის გათვალისწინებით (ცნებათა ანალიზისა და სათანადო ემპირიული მონაცემების მხედველობაში მიღებით), ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ცვლადებთან, როგორიც არის პერცეპტული ხატი (პირველი დონე), უშუალო შთაბეჭდილება (შუალედური დონე) და სააზროვნო ოპერაციები (მესამე დონე). *პერცეპტულ ხატში* რეალური საგნებისა და მოვლენების თვალსაჩინო თვისებებია მოცემული. *უშუალო შთაბეჭდილებაში* საკუთრივ პერცეპტული ხატებისა და შეფასებითი მსჯელობების ატრიბუციული მექანიზმია ასახული, რომელთა სიტყვიერი გამოხატვა, პრინციპში, სრულიადაც არ არის აუცილებელი. ამის საპირისპიროდ, თვით ცნებების (მათში საგნებს შორის არსებითი მიმართებებია მოცემული) შემეცნების სუბიექტის მიერ წარმოებული მსჯელობის პროცესი გარკვეულ *სააზროვნო ოპერაციებს* ეყრდნობა. ამავე დროს, შინაგანი თუ გარეგანი მეტყველების ფორმით მათი ამოქმე-

დება ნაკლები მნიშვნელობის მქონეა. შემეცნებითი აქტივობის დონეთა შორის მკვეთრი განსხვავების მხედველობაში მიღების საფუძველზე, განსჯის შემდეგი ორი სახის გამოყოფა შეგვიძლია, კერძოდ, *ინტუიციური* მსჯელობა, პროცესი, რომელსაც უშუალო შთაბეჭდილებების ერთობლიობა განსაზღვრავს და *ექსპლიციტური* მსჯელობა – პროცესი, რომელსაც სააზროვნო ოპერაციების ერთობლიობა განაპირობებს. სააზროვნო ოპერაციათა სისტემის ძირითადი დანიშნულება სუბიექტში მიმდინარე შემეცნების პროცესებისა და მათი ღია ქცევის რეგულაციაში მდგომარეობს. ემპირიული მონაცემები კი იმაზე მეტყველებენ, რომ ექსპლიციტურ მსჯელობასთან შედარებით, ამ სისტემის ინტუიციურ მსჯელობებზე მარეგულირებელი ზემოქმედება, ხშირად, მცირეა, რაც შემეცნების სუბიექტის მიერ განხორციელებულ მცდარ მოქმედებებში მჟღავნდება (4). ინტუიციური მსჯელობისა და ალტერნატივებისადმი უპირატესობის მინიჭების მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორად შემეცნებით ფსიქიკურ მოვლენათა ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელი ე.წ. ცნობიერებაში ამა თუ იმ შინაარსის მქონე კოგნიტური ელემენტის (აზრი რაიმეს შესახებ, მოქმედებიდან გამომდინარე შედეგის წინასწამეტყველება და სხვა) *აღმოცენებადობის* თვისება გახლავთ მიჩნეული. ინტუიციური მსჯელობის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ შემეცნებითი ელემენტები ცნობიერებაში, აღქმისეული წარმოდგენების მსგავსად, თვითნებურად წარმოიქმნებიან. ინტუიციურ მსჯელობათა სპეციფიკის სათანადო გააზრება, ფაქტობრივად, შემდეგი საკითხის გარკვევას ნიშნავს: კონკრე-

ტულ სიტუაციაში რატომ ავლენს ზოგიერთი კოგნიტური ელემენტი აღმოცენებადობის თვისებას, ხოლო სხვა შემეცნებითი ელემენტები რატომ არიან ამ უნარს მოკლებულნი.

ზემოხსენებული საკითხის ნათელსაყოფად რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. სათამაშო კუბებიდან აგებული "კოშკის" აღქმის შემთხვევაში სუბიექტის პერცეპტულ ხატში საგნის ფიზიკური თვისებები (სიმაღლე, სიგანე, მაგიდაზე ადგილმდებარეობა) ერთიანად და, ამავე დროს, გამოკვეთილად არის მოცემული. ამგვარი პერცეპტული ხატი, საგნის თვისებათა თვალსაჩინოების მიხედვით, განცდისეული სიცხადით ხასიათდება. მთლიან და უშუალო განცდისეულ შთაბეჭდილების სახით მოცემული აღქმული ობიექტის თვისებათა გამოყოფა და მათი განცალკევება სათანადო სააზროვნო ოპერაციების გამოყენებას მოითხოვს, რაც შემეცნებითი აქტივობის უფრო მაღალ საფეხურზე უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, მოცემული ობიექტის სხვა "ფარული" მახასიათებლები აღქმის ხატში სათანადოდ არ არიან წარმოდგენილი. კოშკის დაშლისა და სათამაშო კუბების მაგიდაზე კომპაქტურად განლაგების შემთხვევაში მის მიერ დაკავებული ფართის აღქმის საშუალება გვეძლევა, რომელიც, რასაკვირველია, ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი ფიგურის პერცეპტულ ხატში არ შეიძლება ყოფილიყო ასახული. აღქსაქმელი ობიექტის ამ პოტენციური მახასიათებლის გაცნობიერება ექსპლიციტური მსჯელობით (ცალკეული კუბის მოცულობა გადამრავლებული მათ საერთო რაოდენობაზე) მიიღწევა. მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე იმ შემ-

თხეევაში, როდესაც აღქსაქმელი საგნის თვისებათა როლში სტატისტიკური მაჩვენებლები გამოდიან. დაეუშ-ვათ, რომ სუბიექტი გარკვეული სიგრძის ხაზებს აღიქ-ვამს და მან მათი ერთობლივი, მთლიანი სიგრძის საშუა-ლო მაჩვენებელი უნდა განსაზღვროს. ეს ამოცანა მარტი-ვია, რადგან მიცემულ ობიექტებს ერთი საერთო და ძირი-თადი მახასიათებელი (სიგრძე) გააჩნიათ. პერცეპტულ ხატში საგანთა თვისებების ასახვა ავტომატურად ხდება, ხოლო მოსულ ინფორმაციაში მათი საშუალო სიდიდე მართლაც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი. სწორედ პროტოტიპული, ანუ გასაშუალებული (ამ შემეცნებითი მოვლენის შესახებ დაწვრილებით ჩვენ ქვემოთ გვექნება მსჯელობა) გამღიზიანებელია აღმოცენებადობის თვისე-ბით ზედმიწევნით აღჭურვილი. პერცეპტული ხატის ფორ-მირება ამ თვისებაზე დაყრდნობით და, ამავე დროს, სუ-ბიექტის მიერ გაუცნობიერებლად ხდება. ვითარება მკვეთ-რად მაშინ იცვლება, როდესაც სუბიექტი მის მიერ აღ-ქმული ხაზების მთლიანი სიგრძის დადგენას ცდილობს. ამის განხორციელება მხოლოდ სააზროვნო ოპერაციების ჩართვით არის შესაძლებელი. ეს მაგალითები შემეცნები-თი ელემენტების ცნობიერებაში აღმოცენებადობის, რო-გორც სპეციფიკური განზომილების მქონე ცვლადის, შე-მეცნების ზოგადი ფუნქციონირების წარმართვის საქმეში მის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებენ. მეორე პოლუსზე რთული, მრავალჯერადი, დაძაბული ბუნების მქონე სააზ-როვნო ოპერაციებზე დაყრდნობით ექსპლიციტური მსჯე-ლობები იწყებენ ამოქმედებას. ამდენად, კოგნიტურ ელე-მენტთა აღმოცენებადობის თვისება არა დიქოტომიის,

არამედ *კონტინიუმის* სახით გვეძლევა. ინდივიდუალური და სოციალური გამოცდილების საფუძველზე ცნობიერებაში კოგნიტური ელემენტების აღმოცენებადობის შესაძლებლობათა გავარჯიშება და დახვეწა ადამიანის მიერ ახალი, მრავალფეროვანი და რთულად გასააზრებელი ინფორმაციის გადამუშავების უნარს უფრო ეფექტურს ხდის.

ექსპერიმენტული კვლევა-ძიებით დადგენილია ის ცელადები, რომლებიც ცნობიერებაში კოგნიტური ელემენტების აღმოცენებადობას განსაზღვრავენ. საკუთრივ კოგნიტური ელემენტების აღმოცენებადობის ფენომენი იმ მოვლენათა კლასს მიეკუთვნება, როგორიც არის გამღიზიანებელთა თვალსაჩინოება, რაიმე მოვლენისადმი ყურადღების სელექციური მიპყრობა, მრავალგანზომილებიან ინფორმაციაზე პასუხის გაცემის მზადყოფნის გაძლიერება. კონკრეტულ ვითარებაში ამა თუ იმ მოვლენის რომელი მახასიათებელი აღმოცენდება ცნობიერებაში, რა-საკვირველია, თვით მსჯელობის საგნის აქტუალურად მოცემული თვისებებით არის დეტერმინირებული. თვალსაჩინოების პერცეპტული, ყურადღების უნებლიე და განზრახ მიპყრობის ეფექტები არა მხოლოდ მარტივ, ძირითადად, რაოდენობრივი მახასიათებლებით განსაზღვრულ, არამედ შინაარსობრივი საზრისით დატვირთულ მოვლენებზეც ვრცელდება. მაგალითად, ორი შემდეგი დებულება: "A გუნდი B გუნდს დაამარცხებს" და "B გუნდი A გუნდთან დამარცხდება" ერთი და იგივე ინფორმაციის შემცველია. იმდენად, რამდენადაც ორივე ამ დებულებაში ყურადღება მსჯელობის სათანადო ობიექტებზეა აქცენტი-

რებული, ამდენად, თვით შედეგის შესახებ გამოთქმული ეს ორი ვარაუდი ცნობიერებაში კოგნიტური ელემენტების განსხვავებული ხარისხით (სისწრაფე) აღმოცენებას განაპირობებს. ცნობიერებაში კოგნიტური ელემენტების აღმოცენებადობის თვისება, ქრონოლოგიური სიმყარის თვალსაზრისით, სუბიექტის აღქმისეულ და აზროვნებით აქტივაციას სისტემურ ხასიათს ანიჭებს. მაგალითად, სუბიექტისთვის მნიშვნელობის მქონე (აქტუალური, ნაცნობი, მოულოდნელი და ა.შ.) რაიმე საგნის ან მოვლენის მოსულ ინფორმაციაში მათი ხსენებაც კი ზრდის სათანადო კოგნიტურ ელემენტთა ცნობიერებაში აღმოცენების სისწრაფეს, რაც, მათთვის დამახასიათებელი თვისებებისადმი მგრძნობელობის ზღურბლის დაქვეითების მაჩვენებელია. საგულისხმოა, რომ სუბიექტის განცდისეული გრძნობად-ემოციური მდგომარეობის გაძლიერება თვით ამ მდგომარეობასთან უშუალოდ დაკავშირებულ კოგნიტურ ელემენტთა ცნობიერებაში აღმოცენების სისწრაფის მადეტერმინირებელია, ხოლო ამ მდგომარეობისთვის შეუსაბამო შემეცნებითი ელემენტების წარმოჩენის შემსუსტებელია. სხვადასხვა გამღიზიანებელთა ზოგიერთ მახასიათებლებს (მანძილი, სიმაღლე, მოცულობა) ადამიანის პერცეპტული სისტემა ფსიქიკაში ავტომატურად ასახავს. ამავე კანონზომიერებას ექვემდებარებიან ისეთი თვისებრივ-შინაარსეული ბუნების ცვლადები, როგორიც არის საგანთა მსგავსების დადგენა, კაუზალური ატრიბუცია, თვალსაზრისში დარწმუნებულობის ხარისხი, გაკვირვების განცდა და სხვა [5.] შემეცნებითი ელემენტების ცნობიერებაში აღმოცენებადობის ფუნქციონალური თვისება აღ-

ქმასა და მეხსიერებაში შინაარსეულად შეფასებითი ბუ-ნების ფენომენებს ავლენს. დაბოლოს, ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება: პერცეპტული ხატის მსგავსად, ინტუ-იციურ მსჯელობაშიც მოვლენათა მიმდინარეობის განუ-საზღვრელობა, როგორც მათ შორის მიზეზობრივი მიმარ-თების დამდგენი ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, არ გახლავთ სათანადოდ ასახული, და, ხშირად არაადეკ-ვატურადაც არის წარმოდგენილი. ფსიქოლოგიური და არა ლოგიკური თვალსაზრისით, აღსანიშნავია შემდეგი: ალბათობის შესახებ ინტუიციური მსჯელობა მოვლენათა შორის არსებული მსგავსებისა და ასოციაციათა სიძლიე-რის ფაქტორებით არის გაშუალებული. გადაწყვეტილება-თა მიღების ექსპერიმენტული შესწავლის საგულისხმო მონაპოვარი იმაში მდგომარეობს, რომ არჩევანის გაკეთე-ბაში გამოწრთობილი ადამიანები (მაგალითად, მენეჯერე-ბი, სამხედრო და პოლიციის ოფიცრები, ავიო-დისპეჩერე-ბი და ოპერატორები), რომლებსაც თავისი პროფესიული საქმიანობის წარმართვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორე-ბის (დროის, პასუხისმგებლობის, რისკის) მძლავრი ზეწო-ლის პირობებში უწევთ და მათ მრავალ ალტერნატივებს შორის არჩევის გაკეთება, ფაქტობრივად, იშვიათად უხდე-ბათ. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მათ ცნობიერებაში, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი კონკრეტული ალტერნატივა სწრაფად და იმპულსურად წამყვან ადგილს იკავებს. უკუგდებული ალტერნატივები კი ცნობიერებაში აღარ ფიგურირებენ [6.]

ევრისტიკული შენაცვლების პრინციპი. შემეცნების ევ-რისტიკული სტრატეგიების კვლევა-ძიებაში განსაკუთრე-

ბული წელილი დ. კანემანმა და ე. ტვერსკიმ შეიტანეს (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. 8). განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღების კანონზომიერებათა შესწავლის ამ ავტორების მიერ შემუშავებული პროგრამის რეალიზაციის საწყის ეტაპზე მკვლევარები ევრისტიკულ მსჯელობათა მიმდინარეობის თავისებურებათა შესახებ აღნიშნავდენ: "განუსაზღვრელობის პირობებში მყოფი ადამიანები ისე წინასწარმეტყველებენ და მსჯელობენ, რომ ალბათობის გამოთვლის, ანუ პროგნოზირების სტატისტიკური თეორიის პრინციპებს, ფაქტობრივად, არ ითვალისწინებენ. ამის ნაცვლად, ისინი შეზღუდული რაციონალობის ევრისტიკებს იყენებენ, რომლებიც ზოგჯერ მათ გონივრულ მსჯელობას განაპირობებენ, ზოგჯერ კი სერიოზულ და სისტემატურ შეცდომებს იწვევენ". [7]. მათ ევრისტიკის, როგორც განცდისეული მდგომარეობის დასახასიათებლად, შემდეგი მაგალითი მოჰყავთ: მთის მწვერვალისკენ მიმავალ აღმართზე შემდგარი ადამიანი მისგან დაშორების მანძილს ამჟამინდელი ამინდის მანიშნებელთა მიხედვით აღიქვავს. კერძოდ, მზიან ამინდში მთის მწვერვალამდე არსებული მანძილი უფრო ზუსტად ფასდება, ვიდრე ავდრიან ამინდში. ევრისტიკული მსჯელობისთვის დამახასიათებელი ტენდენციურობა აზრობრივი შეცდომების გამომწვევია, იმის მსგავსად, როგორც ეს პერცეპტულ სფეროში სხვადასხვაგვარ ილუზიებში მჟღავნდება.

თავდაპირველად, დ. კანემანმა და ე. ტვერსკიმ ევრისტიკულ მსჯელობათა წარმართვის ორი ფორმა, კერძოდ, რეპრეზენტატულიბისა და ხელმისაწვდომობის სტრატეგი-

ები გამოყვეს. *რეპრეზენტატულობის* სტრატეგიაში სუბიექტის მიერ კატეგორიისა (ვთქვათ, მთლიანი პოპულაცია) და მასში შემავალი ნაწილის (ვთქვათ, მცირე ამონაკრები) ერთმანეთთან გაიგივების მიდრეკილება იგულისხმება. *ხელმისაწვდომობის* სტრატეგიას რაც შეეხება, მისი შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: გადაწყვეტილების მიმღები პირი ხელმძღვანელობს პრინციპით, რომლის თანახმად, რაიმე მოვლენის განხორციელება მით უფრო მოსალოდნელია, რაც უფრო ადვილია ამ მოვლენის დამახსოვრება [7]. აღსანიშნავია, რომ როდესაც ალბათობის, როგორც ცვლადის შეფასება, საგანთა და მოვლენათა ისეთი ფიზიკური მახასიათებლების გაუთვალისწინებლად წარმოებს, როგორსაც მანძილი ან მოცულობა წარმოადგენს, მაშინ, პრინციპში, ამგვარ შეფასებას დაბალი საბუთიანობა გააჩნია. შემდგომში, დ. კანემანმა ე. ტვერსკიმ საკუთარი თავდაპირველი კონცეფტური და ემპირიულ-კვლევითი მიდგომა შემდეგი საკითხების შესწავლით არა მარტო გააფართოვეს, არამედ მას მეტი დამაჯერებლობა შემატეს. ეს საკითხები შემდეგია: პირველი, რა მექანიზმით ხდება ევრისტიკული მსჯელობის შემეცნებითი ფუნქციის ამოქმედება? მეორე, როგორ შეგვიძლია განვაზოგადოთ განუსაზღვრელ მოვლენათა ფარგლებს გარეთ ევრისტიკული განსჯის სტრატეგია? მესამე, როგორ ხდება ინტუიციური მსჯელობის ნაწილობრივი მოდიფიკაცია, ანუ მისი გარდასახვა? ამ კითხვებზე შესაბამისი პასუხების გაცემა მათ საწყის კონცეფტურ მიდგომაში სათანადო კორექტივების შეტანას გულისხმობდა. ამიტომ, მკვლევარებმა ევრისტიკული მსჯელობის ზოგადი პროცესი ე.წ. ატ-

რიბუტული შენაცვლების მექანიზმის სახით გაიაზრეს. რაიმე მოვლენის შესახებ მსჯელობა ევრისტიკული სტრატეგიის გამოყენებით არის გაშუალებული. ამ შემთხვევაში სუბიექტი მსჯელობის *ობიექტის ადეკვატურ თვისებას* მის ცნობიერებაში ძალდაუტანებლად აღმოცენებული სათანადო *ევრისტიკული მახასიათებლებით* ანაცვლებს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ფსიქიკური მექანიზმი შემდეგს გამოხატავს: ადამიანი, არც თუ ისე იშვიათად, მის წინაშე მდგარი შედარებით რთული ამოცანის მარტივად გადაწყვეტას ცდილობს. ექსპერიმენტულად დასაბუთდა, რომ, მაგალითად, როდესაც რესპონდენტი A გუნდის B გუნდზე გამარჯვების ალბათობის შესახებ საკუთარ ვარაუდს გამოთქვამს, მაშინ ამ მოლოდინის არსებით განმსაზღვრელ ფაქტორს მის მიერ ამ ორი გუნდის სიძლიერის შეფასება წარმოადგენს [13]. ამ შემთხვევაში სამიზნე ობიექტის (ერთი გუნდის მეორეზე გამარჯვება) ადეკვატური მახასიათებელის (განუსაზღვრელობა) ცნობიერებაში აღმოცენების ნაკლები შესაძლებლობის გამო, მის ადგილს უფრო ადვილად წარმოსაჩენი თვისება (გუნდების სიძლიერე) იკავებს.

ზემოაღნიშნული ფსიქიკური მექანიზმის ფუნქციონირების თავისებურებათა ნათელსაყოფად რეპრეზენტატულობის ევრისტიკის შემსწავლელ ცნობილ გამოკვლევას მივმართოთ. ცდისპირებს შემდეგ ინფორმაციას აწვდიან: "Linda, მარტოხელა, გულწრფელი, მართალი ადამიანია. მან ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობის წლებში ის რასობრივი დისკრინიმაციისა და ადამიანთა სოციალური თანასწორობის საკითხების შესწავლით იყო

დაინტერესებული. მან ატომური იარაღის გამოცდის რამდენიმე საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა". ამის შემდეგ, ცდისპირებს, კონკრეტული დებულებების სახით, Linda-ს ამჟამინდელი საქმიანობის შესაძლო რვა ვარიანტს სთავაზობენ. მათ შორის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი გამონათქვამები გახლდათ: "Linda ბანკის მოლარეა" (მთლიანობითი დებულება) და "Linda ბანკის მოლარეა და ფემინისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე" (კონიუნქციური დებულება). ცდისპირთა ერთი ჯგუფი Linda-ს სავარაუდო საქმიანობის გამომხატველ დებულებათა შეფასებას რეპრეზენტატულობის (რამდენად შეესაბამება Linda-ს პიროვნული დახასიათება ამა თუ იმ ფორმის საქმიანობას) მიხედვით აწარმოებდა. მეორე ჯგუფი კი იმავე საქმიანობის ფორმებში Linda-ს ჩართვის ალბათობას აფასებდა. მიღებულმა მონაცემებმა შემდეგი დაადგინა: შეფასების საშუალო მონაცემებს შორის კორელაციის მაჩვენებელი 0.99-ს უდრიდა. ამავე დროს, ცდისპირთა 85%-მა, (რეპრეზენტატულობის დადგენის შემთხვევაში) და 89%-მა (ალბათობის დადგენის ვითარებაში) კონიუნქციური დებულება ("Linda ბანკის მოლარეა და ფემინისტური მიძრაობის აქტიური წევრი"), მთლიანობით დებულებასთან ("Linda ბანკის მოლარეა") შედარებით, უფრო მისაღებად ჩათვალა.

ზემოგანხილულ მაგალითში გამოვლენილი (მოვლენათა შორის მსგავსების თვისების მხედველობაში მიღების შემთხვევაში) ცდისპირთა ევრისტიკული მსჯელობის მიმდინარეობა და მისი შინაარსის თავისებური "ფსიქო-ლოგიკა" შემდეგნაირად შეგვიძლია გავიაზროთ: Linda – ფე-

მინისტი ბანკის მოლარეს უფრო წააგავს, ვიდრე ჩვეულებრივ, ანუ ტიპიურ ბანკის მოლარეს. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ რეპრეზენტატულობის ევრისტიკული ფორმით მსჯელობა ალბათური ფორმით მსჯელობას *ენაცვლება*. ამით კი ე.წ. მონოტონურობის ნორმატიული კავშირის ძირითადი პრინციპი (მთელი, მისი ნაწილების განზოგადებული მახასიათებლების შემცველია) ირღვევა. ევრისტიკული შენაცვლების მექანიზმის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ცდისპირები მათ წინაშე მდგარ ამოცანას, ფაქტობრივად, მისი არაადეკვატური ფორმით გააზრების საფუძველზე წყვეტენ, კერძოდ, ისინი ისეთ შეკითხვაზე რეაგირებენ, რომელსაც მათ, სინამდვილეში, არც კი უნდა გასცენ პასუხი. ამ შემთხვევაში საკუთრივ შეკითხვის შინაარსი ტენდენციურად არის გააზრებული. მაგრამ, იმის დაშვება, რომ ადამიანის მიერ სამიზნე ობიექტის შესახებ მსჯელობა იშვიათად სცილდება ინტერპრეტაციის ფარგლებს, რასაკვირველია, ძირშივე მცდარი იქნება. მაგალითად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ადამიანმა, რომელსაც ალბათობის ცნების შინაარსი სათანადოდ გაცნობიერებული აქვს, კონკრეტული მოვლენის რაიმე მახასიათებელი და არსებული ვითარების განუსაზღვრელობის ხარისხი ერთმანეთისგან ვერ განასხვაოს. ევრისტიკული შენაცვლების პრინციპის შესახებ მსჯელობის შემთხვევაში განსაკუთრებით ის გახლავთ ნიშანდობლივი, რომ, ხშირად, ადამიანის მიერ გარე და შინაგან სამყაროში მიმდინარე მოვლენების თვისებათა შესახებ მსჯელობა ევრისტიკული წესების გამოყენებით წარმოებს. განხილვადი საკითხის გადაუწყვეტლობის შემთხვე-

ვაში კი ინტუიციური მსჯელობა, რასაკვირველია, ექ-სპლიციტური მსჯელობით უნდა შეიცვალოს, რაც მისი სწორი გადაწყვეტის ერთადერთი საყრდენი გახდება.

შემეცნების ევრისტიკულ სტრატეგიებს მრავალი და სხვადასხვაგვარი მახასიათებლები გააჩნიათ. ატრიბუტული შენაცვლების, როგორც ფსიქიკური მექანიზმის, თავისებურება სწორედ ამ მახასიათებლებით არის განპირობებული. ატრიბუტული შენაცვლება სხვადასხვა სახის ვითარებებში, სხვადასხვაგვარი სპეციფიკურობით მეღავნდება. მაგალითად, ერთ-ერთ გამოკვლევაში, რესპონდენტები შემდეგ ორ შეკითხვაზე იძლეოდნენ პასუხს: "რამდენად ბედნიერად გრძნობთ თავს ზოგადად"? და "ბოლო თვეების განმავლობაში რამდენ პაემანზე მოგიწიათ მისვლა"? მიღებული შედეგის თანახმად, ამ თანამიმდევრობით მიცემულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელობის მქონე კორელაცია არ გამოვლინდა. მაჩვენებელთა შორის კორელაციის მაჩვენებელმა 0.66 მნიშვნელობის დონეს იმ შემთხვევაში მიაღწია, როდესაც რესპონდენტები პასუხს, პირველ რიგში, პაემანის შესახებ დასმულ შეკითხვაზე იძლეოდენ. ატრიბუტული შენაცვლების მექანიზმის მიხედვით, პაემანის შესახებ დასმული შეკითხვა, რიგით მომდევნო, ცხოვრებით კმაყოფილების შესახებ დასმულ შეკითხვას, ასე ვთქვათ, მისდამი ასიმილაციური თვისების მქონე ემოციურ შეფერილობას ავტომატურად ანიჭებს. ამ და მისმა მსგავსმა გამოკვლევებმა სიტუაციურად მოქმედი (ვთქვათ, დებულებათა მიწოდების რიგითობა)

ატრიბუტული შენაცვლების ეფექტების არსებობა სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთა [9].

გრძნობად-ემოციური სახის ევრისტიკული მსჯელობები პ. სლოვიცისა და სხვ. მიერ იყო ინტენსიურად შესწავლილი [10]. ემპირიული კვლევით ნათლად არის ნაჩვენები, რომ ნებისმიერი გამღიზიანებელი შეფასებითი რეაგირების განმსაზღვრელი შეიძლება აღმოჩნდეს, ხოლო თვით ეს პროცესი ყოველთვის ცნობიერ დონეზე არ მიმდინარეობს. სოციალურ განწყობათა გამომხატველმა გრძნობად-ემოციურმა რეაგირებამ შესაძლოა ატრიბუტული შენაცვლების ფუნქცია შეასრულოს. მაგალითად, ამგვარი შენაცვლება ისეთი რთული ბუნების მქონე შეფასებებშია დადგენილი, რომლებიც ახალი ტექნოლოგიებიდან გამომდინარე დადებითი და უარყოფითი შედეგების თანაფარდობას, გარემოში მომწამლავ ქიმიურ ნივთიერებათა ჭარბ კონცენტრაციას და სამრეწველო ორგანიზაციათა ფუნქციონირების ეფექტურობის განსაზღვრას ეხებიან. გრძნობად-ემოციური შეფასებები, როგორც სათანადო ინფორმაციაზე რეგირების ფორმები, რეპრეზენტატულობის და ხელმისაწვდომობის ევრისტიკულ სტრატეგიებთან ორგანულად არიან დაკავშირებული. ის ფაქტი, რომ წარსულში ევრისტიკულ მსჯელობათა გრძნობად-ემოციურ მხარეს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა შემდეგი გარემოებით იყო განპირობებული: გასული საუკუნის 70-ან წლებში ინფორმაციის გადამუშავების კანონზომიერებათა და შემეცნებითი სტრუქტურების თავისებურებათა კვლევა-ძიება თავის მწვერალს აღწევს; სწორედ ამიტომ, მკვლევართა დიდი ნაწილი ინტუიციურ-ევრისტი-

კულ მსჯელობათა სპეციფიკის შესწავლის დროს გადაწყვეტილებათა მიმღები პირის გრძნობად-ემოციურ მხარეს სათანადო ყურადღებას არ აქცევდა.

ინდუქციური მსჯელობის ფარგლები. განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღების საფუძვლად მდებარე ფსიქიკური მექანიზმის თავისებურებათა დასახასიათებლად ჩვენს ერთ-ერთ ადრინდელ სტატიაში ვწერდით: "ინდუქციური აზროვნების შემთხვევაში ცალკეული დაკვირვების საფუძველზე ადამიანი ისეთ დებულებებს შეიმუშავებს, რომელთა ჭეშმარიტობა ალბათურია. მაგალითად, ადამიანმა, რომელმაც სხეულზე გამონაყარი შეამჩნია, ეს მოვლენა შესაძლოა ახალი წამლის მიღებას დაუკავშიროს და ამაში ის შეიძლება მართალიც აღმოჩნდეს. მაგრამ, გამორიცხული არ არის, რომ გამონაყარი სხვა მიზეზით, ვთქვათ, რაიმე ინფექციური დაავადებით იყოს გამოწვეული. იმის გამო, რომ ინდუქციური აზროვნება ალბათურ მსჯელობებს ეყრდნობა, ფსიქოლოგები ადამიანების მიერ ალბათობათა ოპერირებისა და სტატისტიკური პრინციპების ინტუიციური გამოყენების თავისებურებებს იკვლევენ. მათ სავსებით დამაჯერებლად გვიჩვენეს, რომ ადამიანების უმრავლესობა ყოველდღიურ ცხოვრებაში არის რა "ინტუიციური სტატისტიკოსი", ამ ასპარეზზე დიდი გამჭრიახობით არ გამოირჩევა. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური წესების და ალბათობის თეორიის პრინციპების სპეციალური მეთოდებით შესწავლის საფუძველზე ყოველდღიური ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ ინდუქციური აზროვნე-

ბის უნარის განვითარება სავსებით შესაძლებებლია" [8, გვ. 87].

ზემოაღნიშნული საკითხის ექსპერიმენტულ შესწავლაში დიდი წვლილი რ. ნისბეტმა და მისმა კოლეგებმა შეიტანეს [11]. მკვლევართა ამოსავალი დებულება იმას გულისხმობს, რომ ინტუიციური აზროვნება ალბათურ მსჯელობებთან უშუალოდ არის დაკავშირებული. ინდუქციური დასკვნა სათანადო წანამძღვრებიდან *აუცილებლობით არ გამომდინარეობს*, რადგან ისინი (წანამძღვრები) სწორედ რომ ალბათური ბუნების მატარებლები არიან. ამ ავტორებს მიაჩნიათ, რომ რადგან ინდუქციური აზროვნება ალბათობათა გათვალისწინებაზეა დამოკიდებული, ექსპერიმენტული კვლევის ძირითადი პრობლემა შემდეგში უნდა მდგომარეობდეს: რამდენად იყენებენ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პირობებში ალბათობის ცნებაზე დამყარებულ სტატისტიკურ პრინციპებს. როგორც ვთქვით, ადამიანთა უმრავლესობა არც თუ ისე კარგი და გამჭრიახი "ინტუიციური სტატისტიკოსია". ამავე დროს, სპეციალური სასწავლო პროგრამების განხორციელების მეშვეობით სავსებით შესაძლებელია, რომ ადამიანთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ალბათობათა თეორიის ძირითადი პრინციპები და სტატისტიკური გაანგარიშების მთავარი წესები სათანადოდ აითვისოს. პ. ნისბეტისა და სხვათა მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ გამოკვლევაში შემდეგი კონკრეტული საკითხი იყო შესწავლილი: რამდენად არის შესაძლებელი სწავლების სათანადო ხერხების გამოყენებით სტუდენტთა ყოველდღიური (მათი ტერმინით "ინტუიციური") აზროვნების გაუმჯობესება. მათ გრძელ-

ვადიანი ექსპერიმენტი ჩაატარეს. გამოკვლევის პირველ ეტაპზე, რომელიც სწავლის პირველ ორ წელიწადს მოიცავდა, სტუდენტების ორჯერადი ტესტირება განახორციელეს. მკვლევართა მიერ გამოყენებულ მრავალფაქტორიან კითხვარში ისეთი პუნქტებიც იყო შეტანილი, რომელთა საშუალებით სტუდენტების მიერ სტატისტიკური აზროვნებისა (მსჯელობის დროს აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ძირითადი კრიტერიუმების გათვალისწინება) და მეცნიერულ-მეთოდოლოგიური (ემპირიული შესწავლის დაგეგმარების პროცესში კვლევის სხდასხვა ფორმების მხედველობაში მიღება) ცოდნის გარკვევას (სათანადო ცვლადების გაზომვა) ისახავდა მიზნად. სწავლის დამამთავრებელ ეტაპზე სტუდენტების ცოდნა კიდევ ერთხელ იქნა შემოწმებული. ფრიად საგულისხმო შედეგი სპეციალობათა ფაქტორის გათვალისწინებით იქნა მიღებული: საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დარგების სტუდენტებთან შედარებით, სოციალურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიის განხრის სტუდენტებმა ინდუქციურ აზროვნებაში მნიშვნელოვნად უფრო მაღალი ქულობრივი შეფასებები მიიღეს. ავტორებს მიაჩნიათ, რომ სტატისტიკურ ევრისტიკებთან შედარებით, ინტუიციურ ევრისტიკებს, ხშირ შემთხვევაში, ცნობიერებაში აღმოცენებადობის მეტი სისწრაფე და მოქმედების ავტომატიზმი ახასიათებთ.

მკვლევართა შორის ამჟამად გავრცელებული ზოგადი თვალსაზრისის თანახმად ინდუქციური მსჯელობისთვის დამახასიათებელი შეცდომები პერცეპტული შეცდომების მსგავსია, ხოლო ექსპლიციტური მსჯელობებით მათ შენაცვლებას, რამაც ამ შეცდომების აღმოფხვრა უნდა გა-

მოიწვიოს, სუბიექტი, ხშირად, ვერ ახერხებს. ამ საკითხის ახლებური და არგუმენტირებული გააზრება დ.კანემანისა და ს. ფრედერიკის მიერ განხორციელდა (12). მათ ჩვენს მიერ უკვე ნახსენები კარგი და ცუდი ამინდის მაგალითის სხვაგვარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზეს. მათი აზრით, ის, რომ მზიან და ღრუბლიან ამინდში მთის მწვერვალამდე მანძილის აღქმას სივრცობრივი პერსპექტივა განსაზღვრავს, რასაკვირველია, სწორია. ამავე დროს, მათ მიერ ხაზგასმული შემდეგი გარემოება გახლავთ: ამ მაგალითის სხვაგვარი გააზრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ აღმქმელმა სუბიექტმა, რასაკვირველია, იცის, თუ როგორი ამინდია, რამაც მანძილის მცდარ შეფასებაში მნიშვნელოვანი კორექტივი უნდა შეიტანოს. მაგრამ, ამის მიუხედავად, ხშირად, ეს ასე არ ხდება და პერცეპტული შეცდომა ძალაში რჩება. ამგვარი აღქმისეული შეცდომების მსგავსი ეფექტები ინტუიციური მსჯელობებისთვისაც არის დამახასიათებელი. ადამიანის მიერ ექსპლიციტური მსჯელობით ამგვარი შეცდომების გაცნობიერება მისი რაციონალური მოქმედების საწინდარია. მაგალითად, საბანკო მოხელის საკითხთან დაკავშირებულ ვითარებაში Linda-ს შესახებ რესპონდენტის მსჯელობა შესაძლოა შემდეგნაირად წარიმართოს: "დებულება – "Linda ბანკის მოლარეა და ფემინისტური მოძრაობის აქტიური წევრი" დებულებაზე – "Linda ბანკის მოლარეა" უფრო სავარაუდო ნამდვილად არ უნდა იყოს. ამიტომ, ამ ორ დებულებაში მოცემული ორი შედეგის დაყოფა და მათი სათანადო შეფასება უნდა მოხდეს". ამ შემთხვევაში რესპონდენტი აცნობიერებს იმას, რომ დას-

მულ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა ლოგიკურად დასაბუთებული არგუმენტით არის შესაძლებელი. ამგვარ მსჯელობებს "სტატისტიკურ ევრისტიკებს" უწოდებენ. ამავე დროს, ეს ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ სტატისტიკური კანონზომიერებების შესწავლა ვერ აღმოფხვრის, მაგალითად, ინდუქციური მსჯელობის პროცესში რეპრეზენტატულობის ევრისტიკის მონაწილეობას. ლაპარაკი მხოლოდ იმის შესახებ შეიძლება, რომ სათანადო ხელშემწყობ პირობათა არსებობის შემთხვევაში ადამიანს შემეცნებითი ტენდენციურობის თავიდან აცილების უნარის გამოვლენა შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ადამიანის მიერ სტატისტიკური შინაარსის მქონე ინფორმაციის მანიშნებელთა გაცნობიერება არ ხდება, მაშინ ამოქმედებას რეპრეზენტატულობის ევრისტიკა იწყებს, რაც თავის მხრივ, მცდარი მსჯელობის საფუძველი ხდება. ისიც ხაზგასასმელია, რომ ამგვარ შეცდომებს, ძირითადად, სტატისტიკაში ნაკლებად გარკვეული ადამიანები უშვებენ, ხოლო ამ სფეროში განსწავლული პირები საკუთარ მსჯელობაში მნიშვნელოვნად ნაკლებ მიკერძოებას ავლენენ (სტატისტიკურ, ევრისტიკულ და ექსპლიციტურ მსჯელობათა ურთიერთმიმართების საკითხს სტატიის ბოლო პარაგრაფში განვიხილავთ). ეს შედეგი ე.წ. კოგნიტური ილუზიის ექსპერიმენტულმა შეწავლამ გვიჩვენა. აქვე უნდა აღინიშნოს მკვლევართა შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც კოგნიტური ილუზიების შესწავლის მონაცემთა ინტერპრეტაციის შესახებ გამოითქვა. ზოგიერთი მათგანი შემდეგ დასკვნამდეც კი მივიდა: საკუთრივ ევრისტიკის

და ტენდენციურობის ცნებებს არც თუ ისე დიდი ოპერაციონალური და ექსპლიციტური მნიშვნელობა გააჩნიათ, როგორსაც მათ თავდაპირველად მიაწერდნენ. ამის საპირისპიროდ, დ. კანემანი და ე. ტვერსკი შემდეგ საკმაოდ არგუმენტირებულ თვალსაზრისს გამოთქვამენ. ევრისტიკული მსჯელობების თავისებურება ექსპერიმენტულად არის შესწავლილი და, ამდენად, მათი მახასიათებლების აპრიორული განსაზღვრა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ალბათურ მსჯელობებში ევრისტიკების მადეტერმინირებელი როლის შესახებ კონკრეტული ჰიპოთეზების ცდისეული ვერიფიკაცია იმთავითვე შემუშავებული ზოგადი მოდელის არსებობას ნაკლებად მოითხოვს. ემპირიული კვლევის სხვადასხვა ვითარებებებში (ობიექტებს შორის მსგავსების დადგენა ან რაიმე მოქმედებიდან გამომდინარე შედეგის პროგნოზი) ცდისპირთა მიერ გამოვლენილი ფსიქიკური და ქცევითი პარამეტრების გაზომვა ხდება შესაძლებელი. ამგვარი მიდგომა პერცეპტული შეფასებების ზოგადფსიქოლოგიური შესწავლის მსგავსია. ობიექტებისა და მოვლენების თვისებათა შესახებ ადამიანის პერცეპტული, ინტუიციური და ლოგიკური მსჯელობები თვით მის რეალურ ფსიქიკურ შესაძლებლობებს გამოხატავენ და არა რაიმე თეორიული მოდელის გარკვეულ ფორმალურ-შინაარსეულ მახასიათებლებს. ამიტომ, ევრისტიკისა და ტენდენციურობის, როგორც მეცნიერული კონსტრუქტების ღირებულება, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამასთან ერთად, ემპირიული კვლევის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხია მხედველობაში მისაღები. სხვადასხვა მკვლევართა მრა-

ვალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ევრისტიკულ მსჯელობათა ექსპერიმენტული შესწავლის ყველაზე ხელსაყრელ ხერხს "სუბიექტთაშორისი შედარების" მეთოდი (ცდისპირების ორი დამოუკიდებელი ჯგუფის მაჩვენებელთა ურთიერთშედარება) წარმოადგენს. ამავე დროს, კვლევის სხვა მეთოდების გამოყენების ფაქტები არც თუ ისე იშვიათია. მაგალითად, რიგ შემთხვევაში გამოყენებულია ე.წ. "სუბიექტსშიდა შედარების" მეთოდი (ერთი და იგივე ცდისპირის სხვადასხვა დროს დადგენილი მაჩვენებლების ურთიერთშედარება), რომლის ნაკლი იმაშია, რომ ცდების სერიათა ჩატარების პროცესში ცდისპირები, ხშირად, მათთვის დასმულ შეკითხვებზე პასუხთა გაცემის სტრატეგიას, ფაქტობრივად, გაუცნობიერებლად ეუფლებიან, რაც, თავისთავად, მიღებული შედეგების დამაჯერებლობას ეჭვის ქვეშ აყენებს. ამ საკითხთან მიმართებაში დ. კანემანი და ე. ტვერსკი აღნიშნავენ: "სუბიექტსშიდა შედარების მეთოდი ცალკეულ სფეროებში მიმდინარე ფსიქოლოგიური კვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის წინაშე მრავალ პრობლეებს აძღრავს. ინტუიციის შესწავლაში მისი გამოყენება იმგვარ ეფექტებს წარმოქმნის, რომელთა ტესტირება თვით ამ მეთოდით უნდა მოხდეს" [14, გვ. 500].

პროტოტიპულ-ევრისტიკული მსჯელობის ეფექტები. აზროვნების პროცესი სათანადო ცნებების გამოყენებით მიმდინარეობს. ერთნაირი თვისებების მქონე ობიექტების ან მოვლენების გაერთიანება და მათგან განსხვავებულის უგულებელყოფა *კატეგორიზაციას* ნიშნავს. ეს პროცესი ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნების უაღრესად

მნიშვნელოვან ფუნქციურ მხარეს გამოხატავს. სუბიექტის მიერ სამყაროს აქტიური შემეცნების საფუძველზე შემუშავებულ კატეგორიებში (უზოგადესი და ფუნდამენტური ცნებები) საგნებისა და მოვლენების ძირითადი თვისებები, მათ შორის არსებითი მნიშვნელობის მქონე მიმართებებია წარმოდგენილი. მაგრამ რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანთა დიდი უმრავლესობა, მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნისგან განსხვავებით, საკმაოდ "ბუნდოვან" ცნებებსა და კატეგორიებს იყენებს. ამგვარი ცნებებისა და კატეგორიების ანალიტიკურმა და ექსპერიმენტულმა კვლევა-ძიებამ ადამიანის მიერ სხვადასხვაგვარი ინფორმაციის მიღების, მისი გადამუშავევისა და მასზე რეგირების ძალზე მნიშვნელოვანი ფსიქიკური კანოზომიერებები დაადგინა. ერთ-ერთი ამგვარი კანონზომიერების თანახმად, ამა თუ იმ საკითხის შესახებ მსჯელობის პროცესში ადამიანი, ძალზე ხშირად, სათანადო პროტოტიპებს ეყრდნობა. ცნებებს განმარტებითი თვისებები გააჩნიათ და რაც უფრო მეტია მათი თანხვედრის შემთხვევები, მით უფრო ადვილია ცნებათა კატეგორიზაციის განხორციელება. საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვათა კატეგორიზაციის პროცესში ადამიანი იმ პროტოტიპებს ეყრდნობა, რომლებიც თვით რაიმე კატეგორიის ყველაზე ნათელ და ტიპიურ ნიმუშს გამოხატავს (მაგალითად, ბელურა პინგვინთან შედარებით "უფრო მეტადაა ჩიტი" ან მძარცველი თაღლითთან შედარებით "უფრო მეტადაა კრიმინალი"). ამგვარი პროტოტიპების ფართოდ გამოყენება ევრისტიკულ აზროვნებაშიც გვხვდება. პროტოტიპულ-ევრისტიკული მსჯელობების ფუნქციონი-

რების თავისებურებათა დასახასიათებლად, პირველ რიგში, კატეგორიის, ანუ ერთობლიობის *ექსტენსიონალური* და *პროტოტიპული* თვისებების გამოყოფა გახლავთ აუცილებელი. ექსტენსიონალობის (რაოდენობრიობის, განფენილობის) თვისება შემდეგი ზოგადი პრინციპის მოქმედების გამომხატველია: რაიმე მთლიანი სიდიდის მაჩვენებელში ყოველი ცალკეული ელემენტის წელილი ერთობლიობაში უკვე არსებულ ელემენტებზეა დამოკიდებული. მაგალითად, განუსაზღვრელობას, როგორც სიტუაციურ ცვლადს, ადამიანი თვისებრივი, ანუ ინტენსიონალური (ვთქვათ, ქირურგიული ოპერაციის ან სპორტულ შეჯიბრებაში წარმატების შანსის სიტყვიერი შეფასება) და რიცხობრივი, ანუ ექსტენსიონალური (ვთქვათ, მოსალოდნელი ამინდის ან მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მაჩვენებლების საფუძველზე პროგნოზის გაკეთება) ტერმინებით ახასიათებს. ექსტენსიონალობის ან პროტოტიპულობის თვისებათა ფარდობითი დომინირების მიხედვით საბანკო მოხელეს შესახებ დასმული ამოცანის სტრუქტურა შემდეგ სახეს იღებს: კატეგორიის წინასწარმეტყველება (ამოცანა), ანუ იმის ალბათობა, რომ ბანკის მოლარეთა ერთობლიობაში Linda-ც შედის (რომელიმე თვისების დომინირება) და ბანკის მოლარეთა რაოდენობა (ექსტენსიონალობის თვისება). საკითხის შესახებ სუბიექტის მსჯელობაში ექსტენსიონალურ თვისებებს თუ მეტი ხვედრითი წონა გააჩნიათ, მაშინ მისი პასუხი სწორი იქნება, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი საქმე კოგნიტურ შეცდომასთან გვექნება.

როგორც აღვნიშნეთ, ექსტენსიონალობის თვისების სათანადო გათვალისწინება ე. წ. პირობითი შეჯამების პრინციპის გამოყენების საფუძველზე წარმოებს. კერძოდ, მოცემული ერთობლიობის ზოგად მაჩვენებელში ცალკეული ელემენტის შეტანილი წვლილი ამ სისტემაში უკვე არსებულ ელემენტთა შენატანის ოდენობით განისაზღვრება. ცალკეული სწორი ხაზების სიგრძის მონაცემთა შეკრება მათი მთლიანი სიგრძის ჯამურ მაჩვენებელს გვაძლევს. რაც შეეხება საკმაოდ ჰომოგენურ ერთობლიობას, რომელსაც სათანადო განზოგადებული ნიმუში გააჩნია, მისი აღწერა პროტოტიპული თვისებებით არის შესაძლებელი. თუკი ექსტენსიონალობის თვისება ჯამის მსგავსია, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ პროტოტიპულობის თვისება საშუალო მონაცემის ანალოგიურია. პროტოტიპულობის თვისება ცნობიერებაში ადვილად და სწრაფად აღმოცენდება. ცნობიერებაში ავტომატურად წარმოჩენის უნარის გამო პროტოტიპულობის თვისება ევრისტიკული მსჯელობის იმანენტურ მახასიათებლად განიხილება. არსებითი ის გახლავთ, რომ რაიმე ერთობლიობის, ანუ კატეგორიის შესახებ *პროტოტიპულ-ევრისტიკული* მსჯელობის ძირითადი ფუნქცია მისი ექსტენსიონალური თვისებების პროტოტიპული მახასიათებლებით შენაცვლების მექანიზმში მდგომარეობს. იმის გამო, რომ ექსტენსიონალური და პროტოტიპული თვისებების გათვალისწინების პროცესი სხვადასხვაგვარი წესების გამოყენებას გულისხმობს, და იმიტომაც, რომ ხშირად მსჯელობის მიმდინარეობაში ამ თვისებათა შენაცვლების მექანიზმის ამოქმედებასთან გვაქვს საქმე, გადაწყვეტილების მიმღები

პირის მიერ ამა თუ იმ ფორმის ტენდენციურობის გამოვლენა სავსებით მოსალოდნელია. დ. კანემანმა და ს. ფრედერიკმა პროტოტიპულ-ევრისტიკული მსჯელობებისთვის დამახასიათებელი შეცდომების ორი სახე, კერძოდ, ექსტენსიონალობის უგულებელყოფა და მონოტონურობის გაუთვალისწინებლობა გამოყვეს [12]. ქვემოთ მათი გამოვლენის თავისებურებებს განვიხილავთ.

რაიმე ერთობლიობაში სიდიდეთა სიხშირის გაორმაგება პროტოტიპულ თვისებებზე იმის გამო ვერ ზემოქმედებს, რომ ცენტრალური ტენდენციის გარკვევა ფარდობით სიხშირეთა დადგენაზეა დამოკიდებული. მსჯელობის პროცესში ექსტენსიონალობის უგულებელყოფა სტატისტიკის ტერმინოლოგიით იმას ნიშნავს, რომ რაიმე ემპირიული გამოკვლევით მიღებული მონაცემების დამაჯერებლობა მასში მონაწილეთა რაოდენობის (ამ შემთხვევაში: "ცოტას, ალბათ, მაინც ბევრი სჯობს") გათვალისწინების გარეშე განვსაზღვროთ. ამგვარი კოგნიტური შეცდომების არსებობა სათანადო ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაადგინეს. ერთ-ერთ მათგანში გამოკვლევაში მონაწილეს სხვადასხვა რაოდენობის მიგრირებად ფრინველთა გადარჩენის (საზოგადოებრივი ღონისძიება) ფულად ერთეულებში შეფასება ევალებოდათ. სხვადასხვა ჯგუფებში ფრინველთა რაოდენობა შემდეგნაირად ვარირებდა: 2,000, 20,00 და 200,000. მიღებულმა მონაცემებმა აჩვენეს, რომ მონაწილეთა მიერ დასახელებული თანხის მაჩვენებლები ფრინველთა რაოდენობის აღნიშნული თანამიმდევრობის გათვალისწინებით შემდეგნაირად განაწილდნენ: $80, $78 და $88. ეს შედეგი ექსტენსიონალობის თვისებას

ეწინააღმდეგება, რადგან მისი მიხედვით, ფრინველთა გადარჩენისთვის გადასახადი თანხის მაჩვენებელი ფრინველთა რაოდენობის მომატებასთან ერთად უნდა იზრდებოდეს [15]. მეორე გამოკვლევაში პაციენტების მიერ დიაგნოსტიკური პროცედურით (მსხვილი ნაწლავის დათვალიერება) გამოწვეული ტკივილის განცდისეული შეფასება წარმოებდა. ამ შეფასების აღნუსხვა პროცედურის მსვლელობაში ყოველ ერთ წუთში ხდებოდა. საბოლოოდ კი პაციენტების მიერ გაკეთებული შეფასებების ზოგად მაჩვენებელს ადგენდნენ. ამ შემთხვევაში ექსტენსიონალობის თვისების გათვალისწინება შემდეგს გულისხმობს: რაც უფრო ხანგრძლივია პროცედურა, პაციენტისთვის ის უფრო უსიამოვნო უნდა გახდეს. მიღებული მონაცემების თანახმად, ტკივილის ზოგადი შეფასების და პროცედურის ხანგრძლივობის (ოთხი წუთიდან დაწყებული, ერთი საათით დამთავრებული) მაჩვენებელთა შორის უმნიშვნელო კორელაცია (0.03) გამოვლინდა. სტატისტიკურად მნიშვნელობის მქონე კორელაცია (0.67) ტკივილის ზოგადი შეფასებისა და ტკივილის ცალკეული შეფასებების (ინტენსივობის უმაღლეს ფაზაში და პროცედურის დამამთავრებელ სტადიაში) მაჩვენებელთა შორის გამომჟღავნდა. ორივე გამოკვლევის შედეგები ევრისტიკული მსჯელობის პროცესში ადამიანის მიერ ექსტენსიონალობის თვისების უგულებელყოფის ეფექტზე მეტყველებენ.

სიდიდეთა ჯამს, როგორც ექსტენსიონალურ ცვლადს, მონოტონურობის მახასიათებელი გააჩნია. მისი არსი იმაში გამოიხატება, რომ რაიმე სისტემის, ანუ ერთობლიობის სიდიდეთა ჯამის მაჩვენებელი მისი ყოველი ქვესის-

ტემის მაჩვენებლებს აღემატება. ამის საპირისპირო ვითარებასთან იმ შემთხვევაში გვექნება საქმე, როდესაც ცალკეული ქვესისტემის საშუალო მაჩვენებელი მთლიანი სისტემის საშუალო მაჩვენებელზე მეტი იქნება. მონოტონურობის გაუთვალისწინებლობის ეფექტი იმ შემთხვევაში დასტურდება, როდესაც რაიმე მოვლენის ექსტენსიონალური მახასიათებელი ევრისტიკული მსჯელობის გამოყენებით ფასდება. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ ერთობლობაში დამატებითი ელემენტების შემოტანამ სუბიექტის მიერ კონკრეტული ობიექტის რომელიმე მნიშვნელოვანი თვისების შეუფასებლობა განაპირობოს. ეს ფენომენი ყველაზე ნათლად ე.წ. კონიუნქციურ შეცდომებში გამოვლინდა. მონოტონურობის პრინციპის მიხედვით, თუ A სისტემა თავის თავში აუცილებლობით B ქვესისტემას მოიცავს, მაშინ კონიუნქციური ფორმის დებულებამ "A&B", A-ს დომინირება B-ზე ეჭვის ქვეშ არ უნდა დააყენოს. ამ ნორმატიული მოთხოვნის ინტუიციურ მსჯელობებში "დაუცვევლობის" სანიმუშოდ ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგს მოვიყვანთ. გამოკვლევაში მონაწილე პირები ჩამოფასებულ ჭურჭელს ხელმეორედ "ფასს ადებდენ". ჭურჭლის ერთ ნაკრებში 24-ვე ეგზემპლარი კარგ მდგომარეობაში იყო, ჭურჭლის მეორე ნაკრებში იგივე 24-მა და დამატებით 7-მა კარგ მდგომარეობაში მყოფმა, ხოლო 9 "გაბზარულ-ჩამოტეხილმა" ეგზემპლარმა შეადგინა. როდესაც გამოკვლევაში მონაწილე ჭურჭლის მხოლოდ ერთ-ერთ, ცალკეულ ნაკრებს ადებდა ფასს, მაშინ, საშუალოდ, მცირე ნაკრები $ 33-ით, ხოლო დიდი ნაკრები $ 23-ით შეფასდა. სხვა მკვლევართა მიერ ჩატარებულმა გა-

მოკვლევებმა ანალოგიური შედეგი გამოიღო. მასზე დაჟრდნობით დ. კანემანი და ს. ფრედერიკი შემდეგ დასკვნას აკეთებენ: მონოტონურობის თვისების გაუთვალისწინებლობის ეფექტი იმაზე მეტყველებს, რომ სხვადასხვა ამოცანათა გადაწყვეტის შემთხვევაში ადამიანის მიერ განხორციელებული შეფასებითი მსჯელობა საგნებისა და მოვლენების ექსტენსიონალური თვისებების პროტოტიპული მახასიათებლების შენაცვლებით არის დეტერმინირებული [12].

მსჯელობათა ერთობლიობაში ევრისტიკის როლი. საკუთარ ცოდნაში დარწმუნების ფაქტორის ექსპერიმენტულმა კვლევა-ძიებამ დაგვანახა, რომ ადამიანთა უმრავლესობა თავისი ცოდნის მიმართ ზედმეტ თვითდაჯერებულობას იჩენს. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში მომუშავე მკვლევართა მიერ მართლაც მრავალრიცხოვანი და მრავალმხრივი ემპირიული მასალა არის დაგროვილი, რომელიც ადამიანის შემეცნებითი ტენდენციურობის გამომჟღავნების ზოგად კანონზომიერებაზე მიგვითითებს. განსაკუთრებით აღსანიშნავი ობიექტებისა და მოვლენების ექსტენსიონალური თვისებების შეფასების პროცესი გახლავთ. რაოდენობრივი შინაარსის მქონე შეფასების მიმდინარეობა იმით გამოირჩევა, რომ საკუთრივ შეფასებაში გამოხატული სიდიდე, არც თუ ისე იშვიათად, რეალურ მაჩვენებელს არ ემთხვევა, ხოლო მისი ცნობიერებაში წარმოჩენა, ხშირად, უნებლიედ ხდება. ექსპერიმენტულ ან საველე შესწავლის პირობებში მკვლევარი ცდისპირთა მიერ რაიმე საგნის ან მოვლენის თვისებათა, მაგალითად, ხმის ტონალობის სიმაღლის, სინათლის ხარისხის, ხაზების სიგრძის რაოდე-

ნობრივი შეფასება, ჩვეულებრივი რამ გახლავთ. რასაკვირველია, სხვა სახის გრადუალური შეფასებებიც არსებობს. ვთქვათ, ქალაქებს შორის არსებული მანძილი, საზოგადოებრივ და ისტორიულ მოვლენათა აღმნიშვნელი თარიღები, მომავალში რაიმეს განხორციელების შესაძლებლობა, ანუ ალბათობა და ა.შ. ამგვარი შეფასებების შესწავლა ორი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, მათ ყოვლისმომცველობითი, განზოგადებული ხასიათი გააჩნიათ და, მეორე მხრივ, ისინი ფიზიკური და სოციალური გარემოს სათანადო შემეცნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენენ. გარე სინამდვილის მახასიათებელთა რაოდენობრივი შეფასება ადამიანის მიერ მისი გაგების საწინდარია. მილიონი, და არა ათასობით წლების თვალსაზრისით, სამყაროში მიმდინარე პროცესების გააზრებამ, ჩ. დარვინს ევოლუციის თეორიის ჩამოყალიბების საშუალება მისცა. ყოველი ოჯახის შემოსავლის გათვალისწინებით სახელმწიფო დავალიანების გაანგარიშების გარეშე ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება შეუძლებელია. სამსახურში მისვლასთან დაკავშირებით მომუშავეთა მიერ დროის გაანგარიშება მათივე სამუშაო რეჟიმის მოქმედებისა და დაცვის გათვალისწინების აუცილებელი პირობა გახლავთ. ემპირიულმა კვლევამ რაოდენობრივი შეფასების მადეტერმინირებელი ცვლადები დაადგინა. ამ ცვლადებს შორის *ევრისტიკული მსჯელობები* და ე.წ. *კარტოგრაფიული თვისებების ცოდნა* უნდა გამოვყოთ. ამ უკანასკნელში დისტრიბუციული შინაარსის მქონე ინფორმაციაში ცალკეული, ე.ი. ინდივიდუალური მოვლენის ადგილმდებარეობის, მისი სტატუსის

განსაზღვრულობის შესახებ არსებული ცოდნა იგულისხმება. მიღებულმა მონაცემებმა აჩვენეს, რომ რაოდენობრივ შეფასებებზე აღნიშნული ცვლადები, სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინებით, სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას ახდენენ. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ რაიმე სპეციალური და დამაკმაყოფილებელი კონცეფცია, რომელიც რაოდენობრივი შეფასების საფუძლად მდებარე ფაქტორებისა და თვით ამ პროცესის თავისებურებათა მოდელირებას განახორციელებდა, დღეისათვის არ არსებობს. ამ მიმართულებით მხოლოდ გარკვეულ მცდელობებზე შეძლება ვილაპარაკოთ. ეს ნაკლი, არც თუ ისე იშვიათად, ემპირიული შესწავლის ორაზროვან და გაუმართავ სტრატეგიაში მუღავნდება. საგულისხმოა, რომ ევრისტიკულ მსჯელობათა კვლევაში მეტ გაშუქებას მოითხოვს შემდეგი საკითხი: რაოდენობრივ შეფასებებზე ევრისტიკული სტრატეგიების გარდა რა ვითარებაში და რა ზომით ზემოქმედებს საგანთა და მოვლენათა კარტოგრაფიული თვისებების შესახებ ინფორმაცია. საქმე ეხება იმის გარკვევას, თუ რა მექანიზმებით განიცდის რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვა სახის ინფორმაციათა *ინტეგრირებული* ფორმით მადეტერმინირებელ ზემოქმედებას.

ამა თუ იმ სახის ევრისტიკულ მსჯელობათა საფუძვლის დადგენა, მკვლევართა აზრით, ხშირ შემთხვევაში არც თუ ისე ადვილი საქმეა. შემეცნების სუბიექტის მიერ განხორციელებულ მსჯელობათა ნაირსახეობაში (დედუქციური, ინდუქციური, ინტუიციური, რეტროსპექციული, გრძნობად-ემოციური, პერცეპტულ-ხატოვანი) ევრისტიკუ-

ლი აზროვნების ადგილი და ფუნქცია, პრინციპში, ჯერ კიდევ გასარკვევია. ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა მკვლევარის მიერ საგულისხმო მინიშნებებია გამოთქმული. პ. სლოვიცი და სხვ. აღნიშნავენ: "ევრისტიკათა მიმართ, როგორც მსჯელობათა ზოგადი თეორიის შესახებ გავრცელებული მიდგომა, შეიძლება უნაყოფო იმ შემთხვევაში აღმოჩნდეს, როდესაც ამა თუ იმ კონკრეტული ვითარებისადმი მისი გამოყენება მნიშვნელოვან სიძნელესთან იქნება დაკავშირებული" [16, გვ. 6]. კ. ჰემონდის აზრით: " ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ნათლად და დამაჯერებლად აღვწეროთ გარემო სინამდვილის ის პირობები, რომლებიც არაექსტენსიონალური ევრისტიკების თვისებათა გამოვლენის საშუალებას გვაძლევენ... საწინააღმდეგო შემთხვევაში ილუზიების კვლევა მხოლოდ იმ ევრისტიკების ჩამონათვალით იქნება შემოფარგლული, რომელთა გამოვლენა სხვადასხვა პირობებში მოხდება" (17,გვ.243). როგორც ვხედავთ, ინტეგრაციული მიდგომის აუცილებლობას სხვადასხვა მკვლევარი აღიარებს, ხოლო ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი ნ. ბრაუნისა და რ. ზიგლერის მიერ იქნა გადადგმული (18). ამ ავტორებმა რაოდენობრივი შეფასების საფუძვლად მდებარე სხვადასხვა პროცესების ინტეგრაცია მოახდინეს. ამ ინტეგრირებულ წარმონაქმნს მათ მეტრიკული და კარტოგრაფიული *სტრუქტურა* უწოდეს. ისინი თვლიან, რომ რაოდენობრივი შეფასების პროცესში ადამიანები, ხშირად, ხელმისაწვდომობის, რეპრეზენტატულობისა და ეტალონთა ამოქმედების ევრისტიკებს იყენებენ. მაგალითად, ადამიანთა რომე-

ლიმე პოპულაციის შეფასების დროს სუბიექტმა შემდეგი სახის მსჯელობას შეიძლება მიმართოს: "მე ინდონეზიის შესახებ არც თუ ისე ბევრი მსმენია; მის შესახებ ცოტა რამის თქმა შემიძლია; მიმაჩნია, რომ მასში მცხოვრებთა რიცხვი მცირე უნდა იყოს". საგულისხმოა, რომ რაოდენობრივ შეფასებებს ამა თუ იმ ევრისტიკიული მსჯელობის ამოქმედების გამო აშკარა ტენდენციურობა ახასიათებთ. მაგალითად, ერთი და იგივე "ხნოვანების" მიუხედავად, კარგად ცნობილი მოვლენები, ნაკლებად ცნობილებთან შედარებით, უფრო "ახლახან" მომხდარ მოვლენებად ფასდება. მრავალი მონაცემი არსებობს იმის დამადასტურებელი, რომ ადამიანთა მიერ რაოდენობრივი შეფასებების განხორციელება სხვადასხვა ევრისტიკული სტრატეგიების გამოყენებით არის განპირობებული. ამავე დროს, გარდა ევრისტიკული მსჯელობებისა, ადამიანი, ხშირად, მიმართავს კარტოგრაფიული თვისებების შემცველ ცოდნას, რომელიც, თავისი არსით, ექსპლიციტური აზროვნების ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ არის ფრიად აქტუალური ევრისტიკული და ექსპლიციტური მსჯელობების, როგორც რაოდენობრივი შეფასებების ინტეგრირებული სახის მადეტერმინირებელ ფაქტორად გააზრება. მაგალითად, რომელიმე ქვეყნის მოსახლეობის შესახებ მსჯელობამ შემდეგნაირი ექსპლიციტური სახე შეიძლება მიიღოს: "ლიბიაში ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უდაბნოა; ჩვეულებრივ, უდაბნო მცირედ არის დასახლებული; ამდენად, სავარაუდოა, რომ ლიბიის მოსახლეობა მცირე უნდა იყოს".

რაოდენობრივი შეფასების მესამე განმსაზღვრელ ცვლადს ჩვენთვის უკვე ცნობილი "ინტუიციური სტატისტიკა" წარმოადგენს, რომელშიც საგანთა და მოვლენათა შესახებ დისტრიბუციული თვისებების მქონე ინფორმაცია გახლავთ მოცემული. ამ შემთხვევაში ჩვენ, ფაქტობრივად, *რაოდენობრივ ინდუქციურ მსჯელობებთან* გვაქვს საქმე. ემპირიულ კვლევებში სუბიექტის მიერ აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის მაჩვენებელთა ყოველდღიურ-ცხოვრებისეულ ვითარებებში გამოყენების შესაძლებლობებია შესწავლილი. ცხოვრებისეული პრაქტიკიდან გამომდინარე, მაგალითად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანის მიერ საგანთა შორის არსებული მანძილის, მწვერვალთა სიმაღლის, ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის, ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა ცოდნას გააჩნია. ამგვარი რაოდენობრივი მახასიათებლების შესახებ ინფორმულობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანს ფიზიკურ და სოციალურ გარემოში ადეკვატური გარკვევის საშუალებას აძლევს. კვლევის პროცესში ძირითადი ყურადღება ცენტრალური ტენდენციის გამომხატველ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე იყო გამახვილებული. მაგალითად, ნაჩვენებია, რომ 10 ან 20 ადამიანისგან შემდგარ ერთობლობაში მიღებულ რაიმე მაჩვენებელთა საშუალოსა და მედიანის შეფასებას ცდისპირები საკმაოდ კარგად ახერხებდენ. გარდა ამისა, ისიც ნაჩვენებია, რომ ცდისპირები მონაცემთა ვარეაბელობის უშუალო შეფასებასაც წარმატებით ართმევდნენ თავს. ამავე დროს, გასათვალისწინებელი შემდეგია: ექსპერიმენტულ ვითარებაში ცდისპირებს რეალურ-ცხოვრებისეული

სიტუაციებისგან განსხვავებით, რიცხვებით ოპერირება არა რეალურ საგნებთან მიმართებაში, არამედ აბსტრაქტულ დონეზე უწევდათ, რაც მათ მიერ რიცხობრივ-ინდუქციური მსჯელობის სათანადოდ გამოყენების უნარზე მეტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ კონცეფტურ მიდგომაში ნაგულისხმევი შემეცნებითი ცვლადები, ფაქტობრივად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედ მოვლენებად იყო გააზრებული, ერთი რამ მაინც ნათელი აღმოჩნდა – სამივე მათგანი რაოდენობრივ შეფასებათა საფუძვლად მდებარე ცვლადების როლში გამოდიან. ამავე დროს, რ. ბრაუნი და რ. ზიგლერი სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ რაოდენობრივი შეფასების დეტერმინაცია არა ამ ცალკეული ცვლადების ერთმანეთისგან განცალკევებული მოქმედებით, არამედ მათი ერთობლივი ფუნქციონირებით არის განსაზღვრული. ამ დებულების სასარგებლოდ შემდეგი ემპირიული მონაცემები მიგვანიშნებენ. მაგალითად, ნაჩვენებია, რომ საზოგადოებრივ მოვლენათა რეალურ განხორციელებასა და მისი შესაძლებლობის სუბიექტის მიერ რაოდენობრივ შეფასებას შორის სტატისტიკურად მნიშვნელობის მქონე კორელაცია (0.88) დადასტურდა [18]. როდესაც ხელმისაწვდომობის ევრისტიკის მონაცემები (გაზომილია მოვლენათა განვითარების შესახებ ცდისპირების მიერ რაოდენობრივი ტერმინოლოგიით გამოთქმული აზრის მიხედვით) არ იქნა მხედველობაში მიღებული, მაშინ სტატისტიკურად მნიშვნელობის მქონე კორელაციის მაჩვენებებლი უფრო მაღალი (0,90) აღმოჩნდა. ნათელია, რომ ევრისტიკულ მსჯელობათა ჩა-

რევის გარეშე ცდისპირთა ექსპლიციტურმა მსჯელობამ, თავის მხრივ, მათ მიერ სწორი პასუხების გაცემა განსაზღვრა. გარდა ამისა, როდესაც ობიექტური მონაცემების იგნორირება მოხდა, მაშინ რაოდენობრივ შეფასებასა და ხელმისაწვდომობის ევრისტიკის მიხედვით გაკეთებულ მსჯელობათა მონაცემებს შორის დადგენილი კორელაციის მაჩვენებელი უფრო მცირე (0.54), მაგრამ მაინც სტატისტიკურად სანდო დონეზე დარჩა. ეს შედეგი ნათლად იმაზე მიგვანიშნებს, რომ რაოდენობრივი შეფასება ორივე ფაქტორის, კერძოდ, კარტოგრაფიული და ევრისტიკული მსჯელობების მოქმედებით არის განსაზღვრული. ამავე დროს, მათ ინტეგრირებულ მოქმედებას თუ გავითვალისწინებთ, რაოდენობრივი შეფასების დეტერმინაციაში ამ ცვლადების ხვედრითი წონების დადგენის საშუალება გვეძლევა.

რაოდენობრივ შეფასებათა ზემონახსენები მადეტერმინირებელი პროცესების, კერძოდ, ევრისტიკულ, ექსპლიციტურ და ინდუქციურ მსჯელობათა ფუნქციონირების ინტეგრირებული სახით გააზრება ამ მართლაც აქტუალური საკითხისადმი შესწავლის ახლებური და პროდუქტიული მიდგომის გამომხატველია. ამ შემთხვევაში, მთავარი ამოცანა დამოკიდებელი ცვლადის (რაოდენობრივი შეფასება) დამოუკიდებულ ცვლადთან (სხვადასხვა სახის მსჯელობები), როგორც *მთელის* მადეტერმინირებელი მიმართების გარკვევა და დახასიათება გახლავთ. მეცნიერული შესწავლის ამგვარი სტრატეგიის გამოყენების აუცილებლობა, თავის დროზე, გადაწყვეტილებათა მიღების პიონერმა მკვლევარებმა ა. ნოელმა და ჰ. საიმონმა შემდე-

გი რეკომენდაციით გამოხატეს: კვლევის მიზანი არა ცალკეული ცვლადები, არამედ ადამიანის ქცევის საფუძვლად მდებარე პროცესთა "შენადნობი" უნდა გახდეს (19). ის, რითაც ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა შემოვიფარგლოთ, კვლევა-ძიების მეთოდოლოგიას ეხება. ამ თვალსაზრისით ჩვენს მიერ განხილული სამი კონცეფტური მიდგომა, რომლებიც სპეციფიკური შემეცნებითი პროცესების შესწავლით არიან დაინტერესებული, ერთმანეთის მიმართ არა ანტაგონისტური, არამედ ურთიერთშემავსებელი აღმოჩნდა. რაც უფრო კარგად დააკმაყოფილებს კონცეფტური მიდგომა შემეცნებითი პროცესების გაერთიანების მოთხოვნას, მით უფრო სრულად გაითვალისწინებს ე.წ. "მკაცრი" მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ამგვარი მეთოდოლოგიით განხორციელებული შედარებით მცირერიცხოვანი გამოკვლევების საფუძველზე შემდეგის თქმა შეგვიძლია: საგნებისა და მოვლენების მიმართ წარმოებული ევრისტიკული და კარტოგრაფიული მსჯელობები ადამიანს მათი *რანგობრივი* (რომელობითი შინაარსის მქონე მახასიათებლებთან ყველაზე ახლო მდგომი მაჩვენებელი) თვისებების შესახებ აწვდიან ინფორმაციას, ხოლო სტატისტიკურ-ინდუქციური მსჯელობები მას მათი *მეტრიკული* (პირველთან შედარებით უფრო ზუსტი მაჩვენებელი) მახასიათებლების გამოყოფის საშუალებას აძლევენ.

ზოგადი დასკვნა

პრობლემურ ვითარებათა შემეცნების და სათანადო გადაწყვეტილებათა მიღების ალგორითმული და ევრისტი-

კული სტრატეგიებია გამოყოფილი. ზოგიერთ სიტუაციაში ამ სტრატეგიათა ფუნქციონირების თავისებურებათა შორის განსხვავება მინიმალურია, ხოლო ზოგიერთში – მაქსიმალური. რეალურ-ცხოვრებისეულ ვითარებაში ადამიანის მიერ რომელი სტრატეგია გამოიყენება იმით განისაზღვრება, თუ როგორი ამოცანის გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე. სტატიკური ("სტანდარტული") ამოცანების გადაწყვეტაში მიზანშეწონილი ალგორითმული სტრატეგიების გამოყენება გახლავთ. ახალი და რთული ამოცანების არსებობის შემთხვევაში, რომელთათვის განუსაზღვრელობისა და რისკის მაღალი დონეა დამახასიათებელი, ადამიანი იძულებულია ევრისტიკულ სტრატეგიებს მიმართოს. ამგვარ ამოცანათა გადაწყვეტის პროცესში სუბიექტი, ძირითადად, პერცეპტულ და ინტუიციურ მსჯელობებს ეყრდნობა. ევრისტიკული აზროვნების მადეტერმინირებელი ფსიქიკური მექანიზმების როლში პერცეპტული ხატი, ცნობიერებაში კოგნიტური ელემენტების ავტომატური აღმოცენებადობა, საგანთა და მოვლენათა ექსტენსიონალური მახასიათებლების პროტოტიპული თვისებებით შენაცვლება გამოდის. განსაკუთრებით ხაზგასასმელი ის გახლავთ, რომ ადამიანის მიერ მის წინაშე მდგარი ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტის ფორმა, ხშირად, ნორმატიულ პრინციპებს (მაგალითად, სარგებლიანობის მაქსიმიზაციისა და ინფორმაციის გადამუშავების Bayes-ის რაციონალური წესები) არღვევს და "შეზღუდული რაციონალობით" ნაკარნახევ ხერხებს იყენებს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის რაციონალური პრინციპების მუდმივი დამრღვევია, რაშიც ჩვენ თუნდაც რაო-

დენობრივ შეფასებათა მადეტერმინირებელი ფაქტორების განხილვა გვარწმუნებს. ერთი მხრივ, რიცხობრივ-ინდუქციური მსჯელობები მოვლენათა მეტრიკული თვისებების შესახებ ცოდნას განაპირობებენ, მეორე მხრივ, ევრისტიკული და ექსპლიციტური მსჯელობები მოვლენათა კარტოგრაფიული მახასიათებლების შესახებ ცოდნას განსაზღვრავენ, რაც საბოლოო ჯამში, მოვლენათა რაოდენობრივ მახასიათებელთა შეფასების საფუძველი ხდება. საესებით ნათელია, რომ ადამიანის შემეცნებით აქტივობას *მრავალფეროვნება* და *სირთულე* ახასიათებს: ის განუსაზღვრელობისა და რისკის ვითარებებში იმ ალგორითმულ და ევრისტიკულ ხერხებს იყენებს, რომლებიც მის ხანიერ მეხსიერებაშია აღბეჭდილი.

დაბოლოს, შემდეგს გვინდა გავუსვათ ხაზი. მოცემულ ალტერნატივებს შორის ადამიანის მიერ არჩევანის გაკეთებასთან დაკავშირებული პრობლემის ანალიზი და მისი ცდისეული შესწავლა ფსიქოლოგიაში გადაწყვეტილებათა მიღების ნორმატიული (რაციონალური) თეორიის შექმნამდე საკმაოდ ადრე დაიწყო. კონკრეტულად კი საკითხი ადამიანის მიერ გამოვლენილი ე.წ. "თვითნებურ" მოძრაობათა და მოქმედებათა შესწავლას ეხებოდა. კვლევა შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემას გულისხმობდა: როგორ არის შესაძლებელი ადამიანის ქცევითი აქტივობის ამოქმედება და მისი ფუნქციონირება გარედან ზემოქმედი, ხილვადი სტიმულაციის გარეშე? როგორ ხდება ადამიანის ყურადღების მიპყრობის საგანი ისეთი ობიექტი ან მოვლენა, რომელიც რაიმე მიმზიდველობით ან უშუალო ფიზიკური ზემოქმედების ძალით არ გამოირჩევა? როგორ

არის შესაძლებელი ადამიანის მიერ წინასწარგანზრახულად ისეთი ობიექტის ან მოვლენის მეხსიერებაში თუნდაც თვალსაჩინო პერცეპტული ხატის სახით წარმოჩენა (აღდგენა), რომელიც წარსულში იყო მის მიერ აღქმული? წინასწარგანზრახვითი მოქმედებების განხორციელება, ყურადღების გამახვილების (კონცენტრაციის) უნარი და აღქმისეული ხატების მეხსიერებაში აღდგენა ის ფსიქიკური მოვლენებია, რომლებიც წარსულში და დღესაც ინტენსიური და მრავალმხრივი შესწავლის საგანია. ამავე დროს, გადაწყვეტილებათა მიღების აღწერითი თეორიის (ფსიქიკური პროცესების და მათი განმსაზღვრელი მექნიზმების გამთვალისწინებელი ზოგადი კონცეფტური მიდგომა) სტატუსის და მომავალში მისი განვითარების შესახებ მსჯელობის შემთხვევაში ფრიად რთული პრობლემის წინაშე ვდგებით, რომელიც არჩევის აქტისა (ნებელობითი მოქმედების ფსიქოლოგიური შინაარსის სპეციფიკურობის გამომხატველი მოვლენა) და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ აქტივობას (გადაწყვეტილებათა მიღების ზოგადი ნორმატიული თეორიის მიხედვით გააზრებული მოვლენა) შორის არსებული (ან სავარაუდო) მიმართების გარკვევას ეხება. კერძოდ, კითხვა შემდეგნაირად შეგვიძლია დავსვათ: "არჩევის" ყოველგვარი აქტის, თუ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის დაკავშირება შეგვიძლია "გადაწყვეტილების" მიღების აქტივობასთან? იმ შემთხვევაში, თუ ამ კითხვაზე პასუხში რაიმე ალტერნატივის არჩევას აზროვნების პროცესისა და სათანადო მიზნის მიღწევის სურვილით დეტერმინირებულად ჩავთვლით, მაშინ დამატებით ჩვენ საქმე იმ საკითხის გარკვევასთან

გვექნება, რომელიც თვით აღნიშნულ პროცესებში პერ-ცეპტული (აღქმისეული) წარმონაქმნების და გაუცნობიე-რებელი ფსიქიკური მოვლენების ჩართვას ეხება. ამ სა-კითხთან დაკავშირებით მოკლედ შემდეგის თქმა შეგვიძ-ლია: ეს საკითხი მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლი-ლი და ამდენად ამ მიმართულებით, როგორც ანალიტიკუ-რი, ასევე ექსპერიმენტული კვლევა-ძიების გაგრძელება აუცილებელია.

ლიტერატურა

1. Миллер, Дж., Галантер, Е., Прибрам, К. Планы и структура поведения. М, 1965.
2. Саймон, Г. Наука об исскуственном. М, 1972.
3. Epstein, S. Integration of cognitive and psychodynamic unconscious. American Psychologist, 1994, 49, 709-724.
4. Stanovich, K., West, R. Individual differences in reasonong: Implications for the racionality debate. In: Heuristics and biases. T. Gilovich, D. Griffin, D. Khaneman (Eds.), Cambridge Univesity Press, 2002.
5. დ. ჩარკვიანი. სემანტიკური ასიმეტრიის თავისებურება მსგავსებისა და განსხვავების დამდგენ მსჯელობათა შემთხვევაში. "მაცნე", 2004, 1, 154-159.
6. Klein, G. Sources of power: How people make decisions. Cambridge: MIT Press, 1998.
7. Khaneman, D., Tversky, A. On The psychology of prediction. Psicholological Review, 1973, 4, 237-252.
8. დ. ჩარკვიანი. განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილების მი-ღების ფსიქოლოგიური თავისებურებები დ. კანემანისა და ე. ტვერ-სკის მიხედვით. "ეპოქა", 2004, 87-96.
9. Strack, E., Martin L., Schwarz, N. Priming and communication: The social determinants of information use in judjements of life-satisfaction. Europian Journal of Social Psychology, 1988, 18, 429-442.
10. Slovic, P., Finucane, M., Peters, F., Mac Gregor, D. In: The affect heuristic. In: Heuristics and bieses. T.Gilovich., D.Griffin., D. Khaneman (Eds.). Cambridge University Press, 2002.

11. Nisbett, R., Kranz, D., Jepson, C., Kunda, Z. The use statistikal heuristics in everyday inductive resoning. In: Heuristics and biases. T.Gilovich, D.Griffin., D.Khaneman (Eds.). Cambridge Univesity Press, 2000.
12. Khaneman, D., Frederic, S. Reprezentativeness revizited : Atribute substitution in intuitive judgement. In : Heuristics and biases. T. Gilovich, D. Griffin, D. Khaneman (Eds). Cambridge university Press, 2000.
13. Khaneman, D., Tversky, A. On the reality of cognitive illusions. Psychological Rview, 19996, 3, 582-592.
14. Khaneman, D., Tversky, A. On the study of statistical ituitions. In: Judgment under uncertainty: Heuristics and biases. D. Khaneman., A. Tversky., P. Slovic (Eds). N.Y.: Cambridge Univesity Press, 1982.
15. Desvousges, W., Jhonson, F., Dunford, R., Hudson, S., Wilson, K., Boyl, K. Measuring natural resurce damages with contigent valuation: Tests of validity and reliability. In: A critical assesment, J. Hausman (Ed.), Amsterdam: North Holland, 1993.
16. Slovic, P., Fischoff, B., Lichtenstein, S. Behavioral decision theory. Annual Review of Psychology, 1977, 28, 1-39. M MA
17. Hammond, K. Functionalozm and illuzionizm: Can integration be usefully achieved? In: Insightes in decision making: Atribute to Hillel J. Einhorn. R. Hogarth (Ed.). University of Chicago, 1900.
18. Brown, N., Siegler, R. The role availibility in the estimation of national populations. Mamory and Cognition, 1992, 20, 406-412.
19. Ньюэлл, А., Шоу, Д., Саймон, Г. Моделирование мышления человека с помощью электронно-вычислительной машины. В кн.: Хрестоматия по общей психологии, М, 1981.

„საქართველოს ფსიქოლოგიის *მაცნე*". თბილისი, 2007, №1.

მიზანდასახული ძცემის სხვადასხვაგვარ რეჟიმში ფუნძციონირება და ალბათური მსჯელობა

ექსპერტებს და არაპროფესიონალებსაც ხშირად უხდებათ განუსაზღვრელობის პირობებში ისეთი მოვლენების ალბათობათა შესახებ მსჯელობა (შეფასება), როგორიც არის ბიზნესში სარისკო საქმის წამოწყებაში წარმატების მიღწევა, ქირურგიული ოპერაციის მოსალოდნელი შედეგი, სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვების შესაძლებლობა და ა.შ. ქირურგიული ოპერაციის, ინვესტიციათა ჩადების, ასპარეზობის მოსალოდნელ შედეგზე ფსონის დადების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებაში ამგვარ ალბათურ მსჯელობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. განუსაზღვრელობა, როგორც სიტყვიერად, (მაგალითად, მოსალოდნელი ამინდის შესახებ პროგნოზის გაკეთება), ასევე რიცხობრივად (მაგალითად, შესაძლებელი ეკონომიკური ვარდნის ალბათობის გამოთვლა) შეგვიძლია გამოვხატოთ. ეჭვარეშეა, რომ ალბათურ მსჯელობათა საფუძვლად მდებარე ფსიქიკური მექანიზმების შესწავლას დიდი თეორიული და გამოყენებითი ღირებულება გააჩნია. მოცემულ ნაშრომში ჯერ დახასიათებულია ალბათური აზროვნების სპეციფიკა, გაანალიზებულია მისი შესაძლო მადეტერმინირებელი მოვლენები, ხოლო შემდგომ ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევაა განხილული.

კონცეფტური ანალიზი

ფსიქოლოგიაში ამჟამად მიმდინარე აზროვნების ემპირიული კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძლის არსი დ.სპირსს, დ. პენროდსა და ბ. ბეიკერს შემდეგნაირად აქვთ განსაზღვრული: "ადამიანის აზროვნების მკვლევარებზე დიდი გავლენა ფილოსოფიამ მოახდინა, განსაკუთრებით კი ეს ლოგიკის ფილოსოფიური ანალიზის შესახებ ითქმის. ასწლეულების განმავლობაში აზროვნება და ლოგიკა, არსებითად, გაიგივებული იყო. როდესაც ირლანდიელმა მათემატიკოსმა გეორგ ბულმა ლოგიკურ აღრიცხვათა შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომი "აზროვნების კანონთა გამოკვლევა" გამოაქვეყნა, ის იმაში იყო დარწმუნებული, რომ მან "გონების ოპერაციათა" ის ფუნდამენტური კანონები შეისწავლა, რომელთა მეშვეობითაც მიმდინარეობს მსჯელობა" [1, გვ. 369]. ამდენად, ემპირულმა კვლევამ ჩვენ იმაში უნდა გაგვარკვიოს, თუ რამდენად ექვემდებარება "მიმთითებლურ", ანუ ნორმატიულ წესებს მსჯელობის ის პროცესი, რომელსაც რეალური შემეცნების სუბიექტი ახორციელებს. ჩვეულებრივ, საყოფაცხოვრებო და არა აბსტრაქტულ (წარმოსახვით-ფორმალურ) ვითარებებში ადამიანის მსჯელობა შეფასებითი (განწყობისეული, ღირებულებითი, გრძნობადემოციურად შეფერილი) გახლავთ (აქ, საკუთრივ შეფასების პროცესუალურ მხარეს არ ვითვალისწინებთ). დღეს ამ სახის მსჯელობათა ლოგიკურ მსჯელობებთან (განსაკუთრებით ეს ინდუქციურ დასკვნას ეხება) მიმართება მრავალმხრივი შესწავლის საგანია [2,3,4].

აზროვნების თავისებურებათა შესწავლის მიმართულებით ყურადსაღები თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევები ქართველი მკვლევარების მიერ არის განხორციელებული. მათი შესწავლის საგანს აზროვნების არსებითი თვისება, კერძოდ, განზოგადების პროცესი და სიტყვათა განცდისეული მნიშვნელობა წარმოადგენდა. მათ მიერ წარმოებული კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები მრავლისმეტყველია იმ ფსიქიკური მექანიზმების გამოყოფასა და დახასიათებაში, რომლებიც სოციალურად ორგანიზებულ გარემოში და ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის ცნებათა ფორმირებას და ფუნქციონირებას განაპირობებენ. [4,5,6,7,8]. ეჭვგარეშეა, რომ ამ გამოკვლევების საშუალებით მიღებულმა თეორიულმა ცოდნამ და ემპირიულმა მონაცემებმა ინდუქციურ მსჯელობათა ფსიქოლოგიური სპეციფიკის დადგენაში სათანადო წვლილი შეიტანეს. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში (გასული საუკუნის 80-90 წლები) აზროვნების ექსპერიმენტული შესწავლა სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა, რაც, ფაქტობრივად, ამ სფეროში ჩვენივე მეცნიერული კვლევის ტრადიციის უგულებელყოფის ტოლფასი გახლდათ. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ ამჟამად ვითარება თანდათანობით სასიკეთო მიმართულებით იცვლება. ჩატარდა და გამოქვეყნდა ანალიტიკური და ემპირიული გამოკვლევები, რომლებშიც შესწავლილია ფორმალურ-ლოგიკურ დასკვნაზე ემოციის ზემოქმედება, რაოდენობრივი მასალის ინტუიციური წვდომა, მსგავსება-განსხვავების შეფასებაში ასიმეტრიის მოვლენა, ეგზემპლარული და პროტოტიპული მოდელების

თავისებურება, რაც აზროვნების კვლევა-ძიებაში აღნიშნული ვაკუუმის შემავსებელ პირობად უნდა მივიჩნიოთ [9,10,11,12,]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აზროვნების შესწავლის ზემონახსენები ტრადიცია, ნაწილობრივ, ამჟამინდელი კვლევების ჩათვლით, ინდუქციური აზროვნების არსებით მხარეს, კერძოდ, ალბათური მსჯელობის მნიშვნელობასა და თავისებურებას სათანადოდ ვერ ითვალისწინებს. ამის ძირითადი მიზეზი იმაშია, რომ, საზოგადოდ, ფსიქოლოგ მკვლევართა მიერ ალბათური მსჯელობების ინტენსიური შესწავლა მხოლოდ ამ ბოლო 40 წლის განმავლობაში ხორციელდება. ისიც ხაზგასასმელია, რომ ალბათური აზროვნების ფსიქიკურ თავისებურებათა ცდისეული კვლევა, ტრადიციულისგან განსხვავებით, შემდეგს ითვალისწინებს: სუბიექტის მსჯელობა, რომელიც გარკვეულ დასკვნათა გაკეთების, გადაწყვეტილებათა მიღების და კონკრეტული ქცევის სათანადო განწყობის ამოქმედებისა და მისი რეალიზაციის წინაპირობად მოიაზრება, განსხვავებული ხარისხის *განუსაზღვრელობის* პირობებში მიმდინარეობს. ალბათური აზროვნების ეს სპეციფიკური კონტექსტი, სხვადასხვა კოგნიტურ მიდგომათა გათვალისწინებით, ჩვენს მიერ არაერთხელ არის ხაზგასმული და, შესაძლებლისდაგვარად, დახასიათებული [13,14].

ალბათური აზროვნების შესწავლის აქტუალობა თვალნათლივ დედუქციურ და ინდუქციურ მსჯელობათა მიმართების საკითხში მჟღავნდება. პრობლემა არა მხოლოდ მწვავე დისკუსის საგანია, არამედ, რაც უფრო ნიშანდობლივია, მრავალმხრივი და ინტენსიური ექსპერი-

მენტული კვლევის ობიექტი გახლავთ. მრავალი მკვლევარის აზრით, სწორედ ემპირიულმა მონაცემებმა განაპირობეს ის, რომ ადამიანთა მიერ მოვლენათა მიმდინარეობის შესახებ სათანადო არგუმენტაციის შემუშავებისა და შეფასების განმაპირობებელ მსჯელობათა ამ ორ ფორმას შორის, მათ საფუძვლად მდებარე ფსიქიკური მექანიზმების თვალსაზრისით, არც თუ ისეთ დიდ განსხვავებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიჩნეული [15,16]. ჩვენი აზრით, ამ საკითხის ექსპერიმენტული შესწავლით მიღებულ მონაცემთა განზოგადების მნიშვნელობა და სათანადო კონცეფტურ მიდგომათა შემუშავების საჭიროება საკმაოდ თვალნათლივ ე.წ. შერჩევის (სელექციის) ამოცანათა ამოხსნის ვითარებაში დასტურდება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ, მრავალი ემპირიული გამოკვლევის თანახმად, ადამიანებს გარკვეული სახის პირობითი სილოგიზმების საბუთიანობის შეფასება აშკარად უძნელდებათ.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა არის ამის მიზეზი? კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანები შემდეგი სახის ტენდენციას ავლენენ — ისინი ხშირად ეყრდნობიან კონკრეტული ვითარებისთვის შეუსაბამ მოსაზრებას, რომლის თანახმად, „თუ A-დან გამომდინარეობს B, მაშინ A-ც გამომდინარეობს B-დან“ მაშინ როდესაც, თვით სილოგიზმში ამგვარი მიმართება არ ივარაუდება. გარდა ამისა, ადამიანებს განსაკუთრებით შეფასების გაკეთება ისეთ ვითარებაში უჭირთ, როდესაც წანამძღვარი ან დანასკვი უარყოფას შეიცავს. მაგალითისთვის მივმართოთ ექსპერიმენტულ გამოკვლევას, რომელშიც ცდისპირებს შემდეგი პი-

რობითი დებულების საბუთიანობის (ჭეშმარიტობა – მცდარობის) შეფასება ევალეობოდათ: "თუ ბარათზე ხმოვანი ასოა გამოსახული, მაშინ მის მეორე მხარეზე ლუწი რიცხვი იქნება აღბეჭდილი". ოთხი ბარათია მოცემული შემდეგი თანამიმდევრობით: A- D- 4- 7. ცდისპირებმა ის ბარათი უნდა გადმოატრიალონ, რომელიც პირობითი დებულების მართებულობის დამდგენი იქნება. მიღებული ემპირიული მონაცემების თანახმად, ყველაზე ზოგადი სტრატეგიები, რომლებიც ცდისპირთა უმრავლესობამ გამოიყენა, პირველი და მესამე ბარათების გადმოტრიალებაში მდგომარეობდა. ამგვარი არჩევანი იმის გამოა არაეფექტური, რომ გაურკვეველია, თუ რა იქნება გამოსახული მესამე ბარათის მეორე გვერდზე, რაც შესაფასებელი დებულების უარყოფის, ანუ ფალსიფიკაციის შესაძლებლობას ვერ უზრუნველყოფს. ცდისპირთა საკმაო რაოდენობამ მხოლოდ პირველი ბარათის გადმოტრიალებას მიანიჭა უპირატესობა, თუმდა, ლოგიკურად არც ეს გახლავთ ოპტიმალური. ამ შემთხვევაში, შესაფასებელი პირობითი დებულების სანდოობის დამდგენი ლოგიკურად ოპტიმალური არჩევანი შემდეგს გულისხმობს: როგორც პირველი, ასევე მეოთხე ბარათი უნდა გადმოვატრიალოთ. ხმოვანი ასოს გამომხატველი პირველი ბარათის გადმოტრიალება ლუწი რიცხვის არსებობასაც ნიშნავს (A-დან გამომდინარეობს B, ხოლო A-ს არსებობიდან B-ს არსებობაზე ვასკვნით, რაც modus ponens-ის წესის აღმნიშვნელია). კენტი რიცხვის გამომხატველი მეოთხე ბარათის გადმოტრიალება ხმოვანი ასოს არსებობის მანიშნებელია (A-დან გამომდინარეობს B, ხოლო თუ B უარყოფილია, მა-

შინ A-ც უარყოფილია, რაც modus tollens ნორმის აღმნიშვნელია). საგულისმოა, რომ სელექციის ამგვარი ფორმა, რომელიც შესაფასებელი დებულების სანდოობის შესახებ ოპტიმალური ინფორმაციის მომტანია, ცდისპირთა მხოლოდ უმცირესობამ გამოიყენა [15,16 17].

ადამიანთა მიერ ამგვარმა "ულოგიკობამ" მრავალ მკვლევარს თვით შერჩევის ამოცანის ამოხსნაში შესაძლო სხვადასხვა სახის სტრატეგიათა გამოყენების ანალიზისკენ და სათანადო ემპირიული კვლევების ჩატარებისკენ უბიძგა. ამ შემთხვევაში სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია ის კონცეფტური მიდგომა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას რაციონალობის (ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტა) ცნების გააზრებას უთმობს. ისიც აღსანიშნავია, რომ თუნდაც ცდისეული კვლევის დონეზე ამ ცნების გამოყენების მრავალმნიშვნელობასთან გვაქვს საქმე, რაც, ხშირად, თვით მიღებული მონაცემების გააზრებაში მრავალი გაუგებრობის საწინდარი ხდება. ანალიზის პირველ დონეზე სავსებით გამართლებულად ორი სახის, კერძოდ, შეზღუდული და ნორმატიული რაციონალობის გამოყოფა მიგვაჩნია. შეზღუდული რაციონალობის ცნება ჰერბერტ საიმონის მიერ არის შემოტანილი, რომელსაც ის შემდეგნაირად განმარტავს: "შეზღუდული რაციონალობის პრინციპიდან გამომდინარე პირველი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილად არსებული პრობლემა იმგვარი მოდელის შემუშავებას მოითხოვს, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ პირს მისი გადაწყვეტის შესაძლებლობას მისცემს. ამ მოდელის თვალსაზრისით, ადამიანი რაციონალურად იქცევა. მაგრამ, მისი

ქცევა იმ ოპტიმალურ რეაგირებას ნაკლებად უახლოვდება, რომელსაც რეალური სიტუაცია მოითხოვს. ამგვარი ქცევის წინასწარმეტყველება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჩვენ ამ გამარტივებული მოდელის აგების ხერხს დავადგენთ. უდავოა, რომ სიტუაციის მოდელირება ისეთ ფსიქიკურ ცელადებზეა დამოკიდებული, როგორიც არის დაკვირვება, აზროვნება და დასწავლა" [23, გვ. 198]. ამდენად, "შეზღუდული" რაციონალობის დასახასიათებლად ადამიანის მიერ რეალურად არსებული პრობლემური ვითარების *სუბიექტური* ასახვის თავისებურებათა გათვალისწინება არის საჭირო. ზოგადად რომ ვთქვათ, შეზღუდული რაციონალობის შემთხვევაში ისეთ შემეცნებით აქტიუობასთან და ღია ქცევასთან გვაქვს საქმე, რომლებიც ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და მისივე მიზნების მიღწევას უზრუნველყოფენ. ამისგან განსხვავებით, ნორმატიული რაციონალობა ადამიანის ისეთი შემეცნებითი პროცესების და ქცევის მიმდინარეობას გულისხმობს, რომლებიც ფორმალურ ლოგიკაში და ალბათობის თეორიაში არსებულ ნორმატიულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ [18].

ამდენად, როდესაც საკითხი შეზღუდულ რაციონალობას ეხება, მაშინ სუბიექტის მოქმედება მისივე აქტუალურ-მოტივაციური მდგომარეობის ჭრილში განიხილება. ამის საპირისპიროდ, იმპერსონალური რაციონალობის შემთხვევაში სუბიექტური ფაქტორების სრული იგნორება ივარაუდება. რასაკვირველია, ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ნორმატიულ კონცეფციათა შემქმნელები სათანადო პრინციპების შემუშავების პროცესში ზოგად მიზანს უგუ-

ლებელყოფენ. მაგალითად, ლოგიკურად გამართული დედუქციური მსჯელობის ნორმათა შემუშავების ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა, შინაარსეულად სწორი წანამძღვრების არსებობის შემთხვევაში, სწორი დასკვნის გაკეთება შეძლოს. ამავე დროს, ისიც უდავოა, რომ მოქმედ სუბიექტებს, ჩვეულებრივ, გარკვეული მიზანი გააჩნიათ და შესაძლოა იმის საკმარის დროსაც ფლობენ, რათა საკუთარი მსჯელობა სწორი მიმართულებით წარმართონ. კერძოდ, ეს ექსპერიმენტულ ვითარებაში ხდება: ცდისპირებმა თავისი შეხედულების იგნორირება უნდა მოახდინონ, ხოლო მათთვის მიწოდებული წანამძღვრებიდან (იგულისხმება, რომ ისინი ჭეშმარიტია) სწორი დასკვნა უნდა გააკეთონ, რასაც ისინი, არც თუ ისე იშვიათად, ვერ ახერხებენ. ყოველდღიურ-ცხოვრებისეული სიტუაციების თავისებურებიდან გამომდინარე, სუბიექტთა შემეცნებითი აქტივობის წმინდა ნორმატიული პრინციპების მიხედვით დახასიათება მართლაც გულუბრყვილობა იქნება. რეალურ-ცხოვრებისეულ ვითარებაში ადამიანები, ძირითადად, მსჯელობას და სათანადო დასკვნების გამოტანას საკუთარი მოთხოვნილებების, მიზნებისა და მრწამსის საფუძველზე ახერხებენ.

შეზღუდული რაციონალობა, რომლის საფუძვლად ფსიქიკური მექანიზმების გარკვეული ერთობლობა უნდა ვიგულისხმოთ, როგორც სწორი მსჯელობის, ასევე მრავალი ლოგიკური შეცდომების განმსაზღვრელია. ამგვარ რაციონალობას ადამიანის ევოლუციური განვითარების მყარი საფუძველი გააჩნია. ნათქვამიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ, თუ ლაბორატორიულ სიტუაციაში

გათვალისწინებული იქნება შეზღუდული რაციონალობის შესაბამისი მახასიათებლები, მაშინ თვით "შერჩევის ამოცანათა" ამოხსნის ეფექტურობაც უნდა გაიზარდოს. ეს სათანადო ექსპერიმენტული მონაცემებით დადასტურდა. ზემომოყვანილ მაგალითში ცდისპირებს აბსტრაქტული ფორმით მიწოდებული ამოცანის ამოხსნა ევალებოდათ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ცდისპირებს ანალოგიური შინაარსის დავალება ყოველდღიურ-ცხოვრებისეულ ენობრივ კონტექსტში მიაწოდეს, მაშინ მათი მოქმედება თვისებრივად გაუმჯობესდა. ერთ-ერთ გამოკვლევაში ცდისპირებს შესაფასებლად შემდეგი პირობითი დებულება მიაწოდეს: "თუ ვინმე ალკოჰოლურ სასმელს სვამს, მაშინ მისი ასაკი 18 წელს აღემატება". ცდისპირებს სათანადო წარწერებით შემდეგი ოთხი ბარათი ეძლევათ: "18 წელზე დიდი", "18 წელზე პატარა", "სვამს", "არ სვამს". მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ ცდისპირთა უმრავლესობამ ოპტიმალური არჩევანი გააკეთა, კერძოდ, დებულების სისწორის შესაფასებლად უპირატესობა "18 წელზე პატარა" და "სვამს" ბარათებს მიანიჭა. ეს და სხვა ემპირიული მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ ადამიანები აბსტრაქტულ პრობლემათა გადაწყვეტის შემთხვევაში მნიშვნელოვან სირთულეს აწყდებიან. ამგვარად არ ხდება მათთვის ჩვეულ სიტუაციებში, რომლებშიც ისინი აზროვნების კონკრეტულ (პრაქტიკულ) ოპერაციებს საკმაოდ კარგად ეუფლებიან, რაც მათ შემდგომ იმავე "ცხოვრებისეულ-ლოგიკური" საკითხების ქმედითი გადაწყვეტის საშუალებას აძლევს [19].

რაციონალობის ზემოაღწერილ ფორმებთან დაკავშირებით, კერძოდ კი მათი თეორიული გააზრების შესახებ ანგარიშგასაწევი აზრი ი. კოზელეცკიმ გამოთქვა: "რაციონალურ გადაწყვეტილებათა თეორია, S-R ქცევითი თეორიის ერთ-ერთი მსგავსი ვარიანტია, რომლის მიხედვით, S სტიმულების სტრუქტურა (დავალება) R (გადაწყვეტილება) რეაგირების სტრუქტურას განსაზღვრავს. ამ თეორიის ქცევითი ბუნება, კერძოდ კი ის ფაქტი, რომ ის სათანადოდ არ ითვალისწინებს ისეთ ფსიქიკურ ცვლადებს, როგორსაც ინფორმაციის გადამუშავების სისწრაფე ან პიროვნების თვისებები წარმოადგენენ, მის პრაქტიკულ ღირებულებას ამცირებს, რის შედეგადაც მის მიერ შემუშავებული რაციონალური გადაწყვეტილებები პრინციპულ შეპასუხებას იწვევს. ერთ-ერთმა ავტორმა ერთხელ იხუმრა: ადამიანი იმდენად კი არ არის ირაციონალური, რომ რაციონალური თეორიის მიხედვით იმოქმედოსო. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ ხუმრობაა, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ იმის მახასიათებლების უგულებელყოფა, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს, ხშირად, რაცონალური მოქმედების საეჭვო პრინციპების გამოყოფის ხელშემწყობია" [34, გვ.16]. ამ საკითხთან დაკავშირებით ორ გარემოებას გვინდა გავუსვათ ხაზი. პირველი, როგორც კლასიკურ ბიჰევიორიზმში, ასევე გადაწყვეტილების მიღების ზოგად ნორმატიულ თეორიაში, ფაქტობრივად, რეალურად მოქმედი სუბიექტის ფსიქიკური პროცესები და მისი პიროვნული მახასიათებლებია უგულებელყოფილი. დღეს ნამდვილად გაუგებარი იქნება ის, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ანგარიში არ გაეწიოს ისეთ ფსიქიკურ მე-

ქანიზმებს როგორიც, მაგალითად, *კაუზალური ატრიბუცია* (ადამიანის მიერ სხვისი ან საკუთარი ქცევის გამომწვევი მიზეზების "მიწერის," ანუ დადგენის პროცესი) და *შემეცნებითი დისონანსი* (ადამიანის მიერ საკუთარ სოციალურ გაწყობებს ან მათსა და რეალურ ქცევას შორის არსებული შეუსაბამობის განცდა) გახლავთ. მრავალი ექსპერიმენტული მონაცემები იმაზე მიგვითითებენ, რომ ადამიანის მიერ სათანადო გადაწყვეტილებათა მიღებას და მათგან გამომდინარე მოქმედებათა მიმდინარეობის შინაარსეულ თავისებურებას სწორედ ეს ფსიქიკური პროცესები განაპირობებენ [35]. შეზღუდული რაციონალობა, რასაკვირველია, შეფასებით (მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან ან მიზანთა რეალიზაციათან დაკავშირებული სუბიექტის განცდისეული მდგომარეობა) მხარეს გულისხმობს, რომელიც აღნიშნულ ფსიქიკურ მექანიზმებშია ორგანულად ჩართული. მეორე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აბსოლუტურად რაციონალური ქცევა მხოლოდ იდეალს წარმოადგენს. რაციონალობა ადამიანის ქცევის არა სტატიკური, არამედ დინამიკური მახასიათებელია. ის მისი ისტორიული განვითარების შედეგია. საკითხის ამგვარად გააზრების შემთხვევაში რაციონალობა კონკრეტულ ისტორიულ შინაარსს იღებს. ამდენად, ზოგადად შემდეგის თქმა შეგვიძლია: ნორმატიული თეორია არა ღირებულებითი (ვთქვათ, სოციალურად მისაღებობის ასპექტით) შინაარსის მქონე შედეგების მიღების პრინციპებს, არამედ მათი მიღწევის მხოლოდ ოპტიმალურ, ფორმალურ წესებს გვთავაზობს. ამ შემთხვევაში შეკითხვაზე "როგორ" პასუხის გაცემასთან გვაქვს საქმე, ხოლო

შეკითხვა "რისთვის" სათანადო პასუხის გარეშე რჩება. სწორედ ამიტომ არის *აქსიოლოგიური* (ღირებულებითი) კრიტერიუმების გათვალისწინება საჭირო.

ზოგადად შეგვიძლია ვთქათ, რომ განუსაზღვრელობა, კოგნიტივისტური მიდგომის მიხედვით, ისეთი ვითარების გამომხატველია, რომელსაც შემეცნების სუბიექტი რაიმე მოვლენის (საკითხის) შესახებ მსჯელობის შედეგად მის მიერ გამოტანილი დასკვნის და, შესაბამისად, შემდგომ გაკეთებული არჩევანის მიმართ გარკვეული ხარისხის *დარწმუნებულობას* ავლენს. მსჯელობის პროცესსა და დარწმუნებულობას შორის არსებული მიმართების შესახებ დ. უზნაძე ხაზგასმით შემდეგზე მიგვითითებს: "ლოგიკის თვალსაზრისით, დარწმუნებული მხოლოდ იმაში შეიძლება ვიყოთ, რაც ობიექტურადაც ჭეშმარიტია, ამიტომ ლოგიკას მხოლოდ იმდენად აინტერესებს მსჯელობა, რამდენადაც იგი ჭეშმარიტების შემეცნების ფორმას წარმოადგენს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, დარწმუნებულია სუბიექტი მსჯელობის სიმართლეში თუ არა. ლოგიკას მსჯელობის ობიექტური ჭეშმარიტება აინტერესებს, ხოლო როგორ განიცდის მას ესა თუ ის სუბიექტი სულერთია. სამაგიეროდ, ფსიქოლოგიას სწორედ ეს უკანასკნელი აინტერსებს: მისთვის მთავარი მჯელობის განცდაა და არა შინაარსის მართებულობა. მსჯელობის განცდაში კი, როგორც ვხედავთ, მთავარი ისაა, რომ სუბიექტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ დადასტურებული მიმართება მართლა არსებობს, რომ მისი მსჯელობა ჭეშმარიტია. მოკლედ, ლოგიკას ობიექტური ჭეშმარიტება აინტერესებს, ფსქოლოგიას – მისი სუბიექ-

ტური განცდა. ამიტომ, მსჯელობის ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემა დარწმუნებულობის პრობლემაა" [20, გვ. 495]. ეს ვრცელი ციტატა იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მასში ნათლად არის გამოყოფილი ის არსებითი მახასიათებელი (დარწმუნებულობა), რომელიც ლოგიკურ, წმინდა ნორმატიული შინაარსის მქონე მსჯელობას ფსიქიკური შინაარსით დატვირთული შეფასებითი მსჯელობისგან განასხვავებს. თავის მხრივ, ალბათური მსჯელობა გულისხმობს იმას, თუ რამდენად არის სუბიექტი იმ ვარაუდის სისწორეში დარწმუნებული, რომელიც მან გამოთქვა ამა თუ იმ ვითარებიდან გამომდინარე კონკრეტული შედეგის შესახებ. ამჟამად წარმოებულ გამოკვლევებში სხვადასხვა სიტუაციებში ადამიანთა მიერ მსჯელობაში გამოვლენილი დარწმუნებულის ხარისხში, ფაქტობრივად, სუბიექტური ალბათობა იგულისხმება.

ამა თუ იმ სახის ამოცანათა გადაწყვეტის პროცესში შემეცნების სუბიექტი გარკვეული ვარაუდების შესაძლო განხორციელების სუბიექტურ ალბათობათა დადგენას ცდილობს. ადამიანის ტენდენციურობა თვალნათლივ სწორედ ამგვარ ალბათობათა შეფასების შემთხვევაში ვლინდება. ადამიანის მიკერძოებული თვისების მქონე მსჯელობა სხვადასხვა ფორმის ევრისტიკულ სტრატეგიებს ახასიათებთ [21, 22]. მრავალმხრივი და ხშრად ზემოქმედი ინფორმაციის გადამუშავების პროცესში ადამიანები, ჩვეულებრივ, *ევრისტიკულ* მსჯელობებს მიმართავენ. ევრისტიკული მსჯელობის დროს რაციონალური, ანუ ლოგიკური პრინციპების გამოყენებისთვის დამახასიათებელი ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის სიღრმისეულ-ანალიტი-

კური საშუალებების გამოყენება ნაკლებად ხდება. ამ შემთხვევაში შემეცნების სუბიექტი აზროვნების იმ წესებს იყენებს, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის მიმართ შეიძლება იყოს ადეკვატური. მსჯელობის ეს ფორმა ლოგიკური აზროვნებისგან მნიშვნელოვნად იმით განსხვავდება, რომ ის ე.წ. შეზღუდული რაციონალობის ფარგლებში მიმდინარეობს [23]. ევრისტიკული მსჯელობის ნათელი ნიმუში რეპრეზენტატულობის ევრისტიკა გახლავთ. ეს მოვლენა მსჯელობის სუბიექტის მიერ კატეგორიის (მთლიანი პოპულაცია) და მასში შემავალი მოვლენების (მცირე ამონაკრები) გაიგივების ტენდენციას გამოხატავს [24]. მაგალითად, როდესაც სტუდენტების ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ სხვა ჯგუფში ჩატარებულ გამოცდაზე "საშინლად ბევრია" ჩაჭრილთა რაოდენობა, ამის საფუძველზე მათ შეიძლება ივარაუდონ, რომ მათთანაც ჩასატარებელი გამოცდა აუცილებლად რთული იქნება. სწორედ ამგვარი ევრისტიკული მსჯელობის გამომწვევი "ამოცანა-დავალებებია" ქვემომოყვანილ ჩვენს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში. ხაზგასასმელია *კოგნიტური შეცდომების* საფუძვლად მდებარე მსჯელობების თავისებურება. ალბათობათა ნორმატიულ თეორიაში ყველაზე ფუნდამენტური ე.წ. შემცველობის წესი გახლავთ, რომლის თანახმად, თუ A მოიცავს B-ს, მაშინ არ შეიძლება B-ს ალბათობა A-ს ალბათობას აღემატებოდეს, ანუ P(A) > P(B). ფორმალური ლოგიკის მიხედვით, აღნიშნილი პრინციპი კონიუნქციის წესით შეგვიძლია გამოვსახოთ, რადგან A და B კომპონენტი საკუთრივ A-ს შემადგენელი ნაწილია. როდესაც სუბიექტი A და B

კომპონენტს, A-სთან შედარებით, უფრო რეპრეზენტატულად, ანუ ტიპიურად მიიჩნევს, სწორედ მაშინ ირღვევა აღნიშნული პრინციპი, რაც კოგნიტური შეცდომების გამომწვევია.

ქვემოთ განხილული ექსპერიმენტული კვლევის მთავარი ამოცანა მიზანდასახული ქცევის, კერძოდ, სწავლის მიმდინარეობაში ალბათური აზროვნების სპეციფიკისა და მისი ეფექტურობის შესწავლაში მდგომარეობს. განწყობის თეორიის მიმდევრები ყოველი ქცევის საფუძვლად სწორედ მისთვის შესაბამისი განწყობის ფუნქციონირებას მიიჩნევენ. სწავლის მთლიან პროცესში სხვადასხვა სახის (მოტორული, პერცეპტული, შემეცნებითი, სოციალური) განწყობათა მოქმედებაა ორგანულად ჩართული. მაგრამ, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან როლს, რასაკვირველია, ამოცანაზე მიმართული განწყობა ასრულებს. როგორც სწავლების რეალურ პირობებში, ასევე ექსპერიმენტულ ვითარებაში ყოველი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტა მასზე მიმართული განწყობის ამოქმედების საშუალებით ხდება. განწყობის ამ ფორმას შ. ნადირაშვილი შემდეგნაირად ახასიათებს: "ცდისპირები განზოგადების აქტივობას ისეთი განწყობით ასრულებენ, რომელიც თავისთავში ასახავს განზოგადების ამოცანას, განზოგადებულ მასალას და განზოგადებისათვის საჭირო სისტემებს. განწყობის თეორიის ავტორმა ნათლად მიუთითა იმ ფსიქიკური სფეროს კანონზომიერების შესახებ, რომელიც გასაგებს ხდის განზოგადების მოქმედებათა თავისებურებებს. ინტელექტუალური მოქმედების სხვადასხვა მხარეების ახსნისათვის იყო მოწოდებული ინტელექტის ასოცია-

ციონისტური, გეშტალტური, ვიურცბურგის სკოლის, წონასწორობის და სხვა თეორიები. განწყობის თეორია, როგორც ქცევის სუბიექტის მთლიანობითი მოდუსის თეორია, აერთიანებს ამ ასპექტებს და იძლევა ინტელექტუალური, კერძოდ, განზოგადებითი მოქმედების, როგორც სუბიექტის მიზანშეწონილი ქცევის ახსნის შესაძლებლობას" [7, გვ. 275]. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ ამოცანის (განზოგადების შესრულება, მოცემული ალტერნატივებიდან ერთერთისადმი უპირატესობის მინიჭება, მოვლენათა ხდომილობის ალბათობათა დადგენა) გადაწყვეტის ეფექტურობა განწყობაში ასახული მოთხოვნილების ხარისხით, სიტუაციური მახასიათებლებით (უპირველეს ყოვლისა, ამოცანის სიადვილე-სირთულით) და საკუთრივ მოქმედი სუბიექტის ფსიქიკური შესაძლებლობებით (რასაკვირველია, ცოდნის დონით) განისაზღვრება.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ძირითადი ამოცანა ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის კანონზომიერებათა აღწერასა და ახსნაში მდგომარეობს. აქ, ყურადღებას ქცევის არა მიზანშეწონილობის, არამედ *მიზანდასახულობის* თვისებაზე გავამახვილებთ. მაგალითად, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში გარკვეულ პროფესიაში ცოდნის მიღება დროში განვრცობილ სწავლების პროცესს (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის შინაარსეულად არსებითი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად გამოყენებული მეთოდური სახის ტექნოლოგია) გულისხმობს. სუბიექტის მიერ საგნების შესწავლა მიზანდასახული ქცევის რეალიზაციის საფუძველზე ხორციელდება. მისი სასწავლო აქტივობის ზოგა-

დი მიზანი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაში მდგომარეობს. თუ რამდენადაა კონკრეტული სუბიექტისთვის ამგავარი მიზნის მიღწევა კმაყოფილების მომტანი, ეს მისი მიღწევის მოტივაციის დონით განისაზღვრება, რომლის შესწავლა ჩვენს უშუალო ამოცანას არ წარმოადგენდა. ჩვენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოლარული ქცევის ზოგად, ასე ვთქვათ, ფორმალურ მხარეს ვითვალისწინებთ. სასწავლო ქცევის საფუძველზე საბოლოო მიზნის მიღწევა შესაბამის ქვემიზანთა არსებობას მოითხოვს. კერძოდ, მისი მიღწევა გარკვეული დროის მონაკვეთში ცალკეული საგნების ჩაბარებით ხორციელდება, ხოლო თვით ამის რეალიზაცია კონკრეტული მოქმედებებით, ვთქვათ, შუალედური ტესტირებით და ყოველკვირეული გამოკითხვებით წარმოებს. "მიზანი-საშუალების" ფორმით მიმდინარე აქტივობათა ეს წყება, მეტნაკლები ხარისხით, სუბიექტის მხრიდან მიზანდასახულობის გამოვლენას აუცილებლობით მოითხოვს. როგორც ვხედავთ, ამგვარ ქცევებს შორის *ინსტრუმენტული* კავშირი არსებობს, რადგან ერთი მათგანის რეალიზაცია, მეორის რეალიზაციის განმსაზღვრელია.

სწავლის მიმდინარეობაში სუბიექტს სხვადასხვაგვარი და მრავალი ამოცანის გადაწყვეტა უწევს. მისთვის მიცემული ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც, ჩვეულებრივ, დავალების სახით არის წარმოდგენილი, კონკრეტულ სიტუაციაში ხდება. სუბიექტის ქცევა ამ ამოცანაზე მიმართული განწყობით არის დეტერმინირებული. ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი შემდეგია: აქტუალური განწყობის ფუნქციონირება და რეალური ქცევის განხორციელებაც

მხოლოდ მასში ასახული კონკრეტული მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთმოქმედებით, სუბიექტის ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობით არ განისაზღვრება, რადგან თვით აწმყოში მიმდინარე პროცესებზე მძლავრი ზემოქმედების მქონედ *პერსპექტივის* ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ [25]. იმის გამო, რომ ამჟამინდელი მოქმედება (ვთქვათ, ყოველკვირეულ გამოკითხვაზე პასუხების გაცემა) ზოგად შედეგთან (ვთქვათ, ფინალურ გამოცდაზე პასუხების გაცემა) ინსტრუმენტულად არის დაკავშირებული, სავარაუდოა, რომ სუბიექტის მიერ ამ ინსტრუმენტული მიმართების გაცნობიერება, თავის მხრივ, აწმყოში არსებულ ვითარებაზე და თვით აქტუალურ მოქმედებაზე უკუკავშირის სახით მნიშვნელოვან ზემოქმედებას უნდა ახდენდეს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, აქტუალური განწყობის საფუძველზე ქცევის განხორციელება სუბიექტის მომავალზე ორიენტაციის კონტექსტში მიმდინარეობს. მისი ამგვარი ორიენტაცია აქტუალური განწყობით დეტერმინირებულ აწმყოში მიმდინარე ქცევის *ფონს*, ანუ *კონტექსტს* ქმნის. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, სუბიექტის ფსიქიკური აქტივობისა და მისი "ღია" ქცევის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ცვლადია. ამ შემთხვევაში ცვლადებს შორის ისეთივე ურთიერთკავშირია, როგორიც "ფონისა და ფიგურის" გეშტალტის კანონში იგულისხმება – პერცეპტული აქტივობის შემთხვევაში საგანი ფონის გარეშე საკუთარ მნიშვნელობას კარგავს. ხაზგასასმელია, რომ სუბიექტის ამგვარ ორიენტაციას, რომელიც ამჟამინდელი სიტუაციის "ფარგლებს მიღმა გასული" ზემოქმედი ცვლადის სახით იჩენს თავს (თუ რამდე-

ნად აცნობიერებს მის მოქმედებას სუბიექტი, ეს სხვა საკითხია, რომელიც სათანადო ემპირიულ შესწალას მოითხოვს) მნიშვნელოვანი მოტივაციური ძალა გააჩნია.

ცდისეული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ რაც უფრო ნათელი და კონკრეტულია ცალკეული ადამიანის ან ჯგუფის მიერ დასახული მიზანი, მით უფრო დიდია ქცევის რეალიზაციის მიმართულებით მათ მიერ გამოვლენილი ძალისხმევა და თვით განხორციელებული ქცევაც მით უფრო ეფექტურია [26]. ნათქვამის გარდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიზანდასახულობის ხარისხსა და ცნობირების დავიწროება-გაფართოების ფენომენს შორის თავისებური კავშირია: საჭირო ინფორმაციის ძიების საწყის ეტაპზე ცნობიერება შედარებით გაფართოებულია, ხოლო მისი დავიწროება უკვე მიღებული მასალის შენახვას უზრუნველყოფს, მაგრამ ახალი, დამატებითი ინფორმაციისადმი ის შედარებით "დახშული" ხდება [27]. მიზანდასახული ქცევის განმსაზღვრელ ზოგად ორიენტაციაში (განწყობისეული მდგომარეობა), რომელსაც აქტუალური განწყობის ფუნქციონირების ფონად, კონტექსტად ვთლით, დიდი ხვედრითი წონა მიზნის მიღწევაზე დახარჯულ ძალისმევას გააჩნია. ამგვარი ორიენტაციის აღმწერი ცვლადები გადაწყვეტილებათა მიღების ფორმალური მოდელის მიხედვით შეგვიძლია დავახასიათოთ, რომელიც ჩვენს ერთ-ერთ გამოკვლევაში იყო გამოყენებული [28]. მიზანდასახულ ქცევაში სუბიექტის ძალისხმევის წვლილი შემდეგნაირად არის გამოსახული: W = E (I V), სადაც W – ქცევაში სუბიექტის მიერ გამოვლენილ ძალისხმევას ნიშნავს, E – სუბიექტის მოლოდინია იმის შესახებ, რომ

მისი ქცევის ეფექტურობას მისივე ძალისხმევა განსაზღვრავს, I – ინსტრუმენტალობას ნიშნავს, ანუ სუბიექტის იმის შესახებ ვარაუდს, რომ მისთვის სასურველი შედეგის მიღება მის მიერ განხორციელებული ქცევის (ვთქვათ, დავალების შესრულება) ხარისხით განისაზღვრება, ხოლო V – ქცევიდან გამომდინარე შედეგის სუბიექტური ღირებულების გამომხატველია. დაბოლოს, აღვნიშნავთ იმას, რომ ქვემოაღწერილ ექსპერიმენტში ამ კომპონენტებიდან მხოლოდ ზოგიერთი მათგანის, კერძოდ, მიზნის, ძალისხმევის და ინსტუმენტალობის შინაარსეული მხარეა გათვალისწინებული.

დღეს, სათანადო ემპირიული საბუთი გაგვაჩნია იმის შესახებ, რომ საკმაოდ რთული შემეცნებითი მოვლენების ისეთი ფართო სპექტრი არსებობს, რომელთა მიმდინარეობას და მათი დასწავლის პროცესს სუბიექტი, ფაქტობრივად, ვერ აცნობიერებს. მრავალმხრივი შესწავლის ობიექტი ე.წ. *იმპლიციტური*, ანუ *გაუცნობიერებელი დასწავლა* გახლავთ. ამ მოვლენას ა. რებერი შემდეგნაირად განმარტავს: "იმპლიციტური დასწავლა ცოდნის, მისი შინაარსის მიღების ისეთ პროცესს გამოხატავს, რომელიც, ძირითადად, გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. ამგვარად დასწავლილი მასალა შესაძლოა, ქცევის, გადაწყვეტილებათა მიღების, პრობლემათა გადაჭრის მარეგულირებელი გახდეს მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდი, ჩვეულებრივ, ვერ აცნობიერებს ცოდნის იმ კომპონენტებს, რომლებიც მას გააჩნია და რომლებიც მას ამგვარად მოქმედების საშუალებას აძლევენ". [31, გვ. 489]. ასეთი ფორმის დასწავლის ნიმუშად ენის დაუფლება და სოციალიზაციის პრო-

ცესები შეგვიძლია მოვიყვანოთ. ისე იწყებენ ადამიანები მეტყველებას, სოციალურ ნორმებს ისე ითვისებენ, რომ საკუთარი ქცევის ძირითად მარეგულირებელ პრინციპებს სათანადოდ ვერ აცნობიერებენ. ალბათური აზროვნების თავისებურების და გაცნობიერების დონეთა შესახებ მსჯელობის შემთხვევაში შემდეგია გასათვალისწინებელი: იმის გამო, რომ პრობლემათა გადაჭრის და გადაწყვეტილებათა მიღების ნორმატიული კონცეფციები ფსიქოლოგთა მიერ ამჟამად წარმოებულ კლევა-ძიებამდე იყო შექმნილი, ამ კონცეფციებში ადამიანი ალტერნატივათა მხოლოდ ცნობიერად შემფასებელ სუბიექტად მოიაზრებოდა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნორმატიულ მოდელებში სუბიექტის აქტუალური მოთხოვნილებები, ინტერესები და მიზნები, ფაქტობრივად, იგნორირებულია. მართლაც ძნელი წარმოსადგენია ისეთი ვითარება, რომელშიც ადამიანმა, დავუშვათ, დაქორწინება იმის გამო გადაწყვიტოს, რომ მან მომავალი მეუღლის პიროვნული თვისებები ქულობრივად "მოგება-წაგების" პრინციპის გამოყენებით აწონ-დაწონილად შეაფასა. საყურადღებოა ერთი მოვლენაც, კერძოდ, სუბიექტის მიერ საკითხის სათანადო გააზრებამ, როგორც ფაქტმა, მის მომდევნო მსჯელობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს. ერთ-ერთ გამოკვლევაში პროფესიონალმა-ექსპერტებმა სათანადო სტანდარტის გათვალისწინებით, სამარკო პროდუქტების ხარისხი შეაფასეს. ამის შემდეგ, იგივე პროდუქტები შესაფასებლად ცდისპირებს დაურიგდა. საკონტროლო ჯგუფისგან განსხვავებით, ექსპერიმენტულ ჯგუფს ჯერ პრო-

დუქტების სიავკარგის შესახებ სათანადო არგუმენტების მოტანა დაავალეს, ხოლო შემდეგ, მათი საბოლოო შეფასება მოსთხოვეს. მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ ექსპერიმენტულ ჯგუფთან (ადგილი აქვს არგუმენტაციას) შედარებით, ექსპერტთა შეფასებების უფრო მსგავსი საკონტროლო ჯგუფის (არგუმენტაცია არ ხდება) შეფასებები აღმოჩნდა [32]. ამასთან დაკავშირებით შემდეგს აღვნიშნავთ. ის, რომ საკითხის გააზრებამ, შესაძლოა, მცდარი შეფასება (არჩევანი) განაპირობოს, თავისთავად, საგულისხმო რამ გახლავთ. მაგრამ, ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია ამ შედეგის განზოგადება, რადგან, ბუნებრივად, შემდეგი კითხვები ჩნდება: რა შინაარსის ამოცანასთან გვაქვს საქმე? სწორ და მცდარ პასუხებს რომელი სიტუაციური მანიშნებლები განსაზღვრავენ? ამ კითხვებს, რასაკვირველია, სათანადო პასუხები უნდა გაეცეს. დაბოლოს, ხაზგასასმელია, რომ გარკვეული გამოკვლევებია ჩატარებული, რომლებშიც იმპლიციტურ დასწავლასა და *უკუკავშირს* (სუბიექტისთვის მისი ქცევის ეფექტურობის შესახებ დადებითი ან უარყოფითი ინფორმაციის მიწოდება) შორის მიმართებაა შესწავლილი [33]. საგულისხმოა, რომ მიღებული რეზულტატების თანახმად, იმპლიციტური დასწავლის ხარისხზე ზოგჯერ გავლენას არაექსპლიციტური უკუკავშირი ახდენს, რაც განსაკუთრებით უარყოფით ინფორმაციას ეხება. რიგ ექსპერიმენტებში უკუკავშირი არ იყო გამოყენებული; მიუხედავად ამისა, იმპლიციტური დასწავლის ეფექტებს, გარკვეულწილად, მაინც ჰქონდათ ადგილი. რიგორც ვხედავთ, ეს საკითხი დამატებით ემპირიულ შესწავლას მოითხოვს.

ექსპერიმენტული გამოკვლევა

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მიზანს ალბათურ მსჯელობათა (შესაფასებლად მოცემულ ალტერნატიულ დებულებათა შორის არჩევანი) სხვადასხვაგვარ პირობებში (პერსპექტივაზე და სიტუაციაზე მიმართულობა, იმპლიციტური სწავლების ვითარება, ქცევის შედეგზე უკუკავშირით რეაგირება) მიმდინარეობის თავისებურებათა გამოკვლევა წარმოადგენდა. შესწავლილია შემდეგი კონკრეტული საკითხები: 1) როგორი კავშირია პერსპექტივაზე ან სიტუაციაზე მიმართულობასა და ალბათურ მსჯელობას შორის; 2) როგორი კავშირი არსებობს პერსპექტივაზე ან სიტუაციაზე მიმართულობასა და ალტერნატივათა შეფასების სისწორე-მცდარობაში დარწმუნებულობას შორის; 3) როგორ მოქმედებს იმპლიციტური სწავლების ვითარება ალბათურ მსჯელობაზე; 4) როგორი დამოკიდებულება არსებობს ალბათური მსჯელობის ქმედითობას, მასში დარწმუნებულობასა და უკუკავშირს შორის. ჩვენ ორი რამ ვივარაუდეთ: პირველი, ალბათურ მსჯელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება სუბიექტის პერსპექტივაზე ან სიტუაციაზე მიმართულობის ფაქტორის შემთხვევაშია მოსალოდნელი. ამის მიზეზად ამ ფაქტორის მოტივაციური შინაარსით დატვირთვა მიგვაჩნდა; მეორე, მსჯელობის სისწორე-მცდარობასა და მასში სუბიექტის დარწმუნებულობას შორის ცალსახა კავშირის არსებობა ნაკლებად მოსალოდნელია. ამის მიზეზად ის ჩავთვალეთ, რომ მცდართან შედარებით სწორი პასუხი იმთავითვე დარწმუნებულობის უფრო მაღალი ხარისხის მქონედ არ უნდა მივიჩნიოთ.

გამოყენებული მასალა. ექსპერიმენტის ყოველ სერიაში ცდისპირთათვის მიწოდებული "ამოცანა-დავალებები" შინაარსეულად რეპრეზენტაციის, საბაზო მონაცემთა გათვალისწინების, შემთხვევითი ხდომილობის, ხელმისაწვდომობისა და დებულებათა ფორმულირების ეფექტებს გამოხატავენ. გამოყენებულია შემდეგი ნიმუშები: 1. კრიტიკული ცდა: "X 35 წლისაა, ცოლშვილიანია. ის ოჯახის ერთგული და მეგობრების მოყვარული ადამიანია. მას ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. მისთვის ყოველგვარი უსამართლობის გამოვლენა მიუღებელია. დაინტერესებულია იურისპრუდენციის საკითხებით. მან რამდენიმეჯერ მიიღო მონაწილეობა ადამიანის ღირსების შელახვისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემებში". დებულებები: ა) "X ქარხნის ინჟინერია". ბ) "X ქარხნის ინჟინერი და ადამიანის უფლებათა დამცველი მოძრაობის აქტიური წევრია" (კონიუნქციური მსჯელობა). 2. კრიტიკული ცდა: "X 31 წლისაა, გაუთხოვარია. ის გულწრფელი და ოპტიმიზმით აღსავსე ადამიანია. გამოირჩევა თავისი პრინციპულობით. მან უმაღლესი სასწავლებელი ფილოსოფიის სპეციალობით დაამთავრა. სტუდენტობის პერიოდში მას სოციალური თანასწორობის პრობლემები აღელვებდა. მან რამდენიმე საპროტესტო გამოსვლაშიც მიიღო მონაწილეობა". დებულებები: ა) "X ბანკის მოლარეა". ბ) "X ბანკის მოლარეა და ფემინისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე" (კონიუნქციური მსჯელობა). მთლიანი მასალის შინარსიის ნათელსაყოფად ცდისპირთა მიერ შესრულებული 11 დავალებიდან

მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიყვანთ. 1. "დავუშვათ, თამაშდება ლატარია და მოსაგები ნომრების კომბინაციათა შემდეგი ორი ვარიანტი არსებობს: ა) 1,2,3,4,5,6 და ბ) 2,12,26,42,49,56. შეკითხვა: "როგორ მიგაჩნიათ, ამ ორი ვარიანტიდან რომლის განხორციელება უფროა მოსალოდნელი?" (რეპრეზენტაციის ეფექტი); 2. "თქვენი აზრით, თვითმფრინავით მგზავრობა უფრო სარისკოა, თუ ავტომანქანით?" პასუხები: ა) ავტომანქანით მგზავრობასთან შედარებით, თვითმფრინავით მგზავრობით გამოწვეული სიკვდილიანობა 30-ჯერ მეტია. ბ) ავტომანქანით და თვითმფრინავით მგზავრობით გამოწვეული სიკვდილიანობა დაახლოებით თანაბარია. გ) თვითმფრინავით მგზავრობასთან შედარებით, ავტომანქანით მგზავრობით გამოწვეული სიკვდილიანობა 30-ჯერ მეტია (ხელმისაწვდომობის ეფექტი). 3. შინაარსეულად იდენტური, მაგრამ დებულებათა ფორმულირების თვალსაზრისით განსხვავებული დილემური ვითარების აღმწერი ორი ვარიანტია გამოყენებული. წინაპირობა შემდეგია: "დავუშვათ, გაჩნდა რაღაც მანამდე უცნობი ეპიდემია, რომელიც თითქმის 600 ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება. სამედიცინო დარგის წარმომადგენლებმა მისი დაძლევის ორი პროგრამა შეიმუშავეს, მათი შედეგების გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. გთავაზობთ ამ პროგრამების სათანადო დასკვნებს, ხოლო მათი სიავკარგის შესახებ თქვენ საკუთარი არჩევანი უნდა გააკეთოთ". 1-ვარიანტი: ა) დებულება: "A პროგრამის მიღების შემთხვევაში 200 ადამიანი გადარჩება". ბ) დებულება: "B პროგრამაზე დათანხმების შემთხვევაში 600 ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის 30%-იანი

შანსია, ხოლო ყველას დაღუპვის 70%-იანი ალბათობა არსებობს". შეკითხვა: "რომელ დებულებას ანიჭებთ უპირატესობას?" 2-ვარიანტი: ა) დებულება: "A პროგრამის მიღების შემთხვევაში 400 ადამიანი დაიღუპება". ბ) დებულება: "B პროგრამაზე თანხმობის შემთხვევაში 600 ადამიანის სიკვდილის 30%-იანი შანსია, ხოლო ყველას სიკვდილის 70%-იანი ალბათობა არსებობს". შეკითხვა: "რომელ ალტერნატივას ანიჭებთ უპირატესობას?"

ბროცედურა და *ცვლადების გაზომვა*. ორივე ექსპერიმენტულ ჯგუფს ინსტრუქციის გაცნობისას ერთი და იგივე შინაარსის შემდეგი ინფორმაცია მივაწოდეთ: "თქვენთვის მოცემულ ყოველკვირეულ კითხვარებში ბოლო შეკითხვები "ამოცანა-სავარჯიშოს" სახით არის წარმოდგენილი. თქვენს მიერ მათი სათანადო გააზრება და მათზე შესაბამისი პასუხების გაცემა სასწავლო საგნის დაუფლებას მნიშვნელოვნად გაგიადვილებთ. სასწავლო პროცესში თქვენს მიერ გამოვლენილ აქტიურობას ჩვენ, რასაკვირველია, ყურადღების გარეშე არ დავტოვებთ". ცდისპირთა *ორიენტაციის* სამანიპულაციოდ ამ ინფორმაციას დაემატა შემდეგი: ერთ შემთხვევაში: "გარდა ამისა, სასწავლო საგნის პროგრამაში ხაზგასმულია ამ შეკითხვებზე გაცემული პასუხების დიდი მნიშვნელობა, ამიტომ ცოდნის საბოლოო ქულობრივ შეფასებაში ეს მაჩვენებლებიც იქნება აუცილებლად გათვალისწინებული" (პერსპექტივაზე მიმართული ჯგუფი); მეორე შემთხვევაში: "იმის გამო, რომ სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს ამ დამატებით მასალას, ამიტომ შეკითხვებზე თქვენს მიერ გაცემული პასუხები საბოლოო ქულობრივ

შეფასებაში არ იქნება გათვალისწინებული" (სიტუაციაზე მიმართული ჯგუფი). მისაწოდებელი მასალისადმი ექსპერიმენტული ჯგუფების მეტნაკლები იგივეობრივი ინფორმაციული *საწყისი მზაობის* შექმნაში შემდეგს ვგულისხმობთ: სემესტრის დასაწყისში ექსპერიმენტულ ჯგუფებს სალექციო კურსით გათვალისწინებული მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ ალბათურ აზროვნებასთან უშუალოდ დაკავშირებული იდენტური ინფორმაცია მივაწოდეთ. კერძოდ, კონკრეტული მაგალითების ჩვენების საფუძველზე რანდომიზაციის, ცელადების გაზომვის, მონაცემთა სანდოობის, აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ტერმინები იყო დახასიათებული. *იმპლიციტური დასწავლის* რეჟიმის შექმნა შემდეგს გულისხმობდა: ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის ცდისპირებს 11-ვე ყოველკვირეულ "ამოცანა-დავალებათა" შესრულების ხარისხის შესახებ ინფორმაცია (შეფასება) არ მიეწოდებოდა. დავალებათა შესრულების ქმედითობის შესახებ დადებითი ან უარყოფითი ინფორმაცია *უკუკავშირის* სახით ცდისპირებს მე-11 გამოკითხვის შემდეგ მივაწოდეთ; სინამდვილეში კი მათი შეფასება ერთი კრიტიკული ცდის მონაცემთა გათვალისწინებით მოხდა, რომელიც ცდათა მე-4 სერიაში ფიგურირებდა, ხოლო მე-2 კრიტიკული ცდა 3 თვის შემდეგ ჩატარდა. კრიტიკულ ცდებში კონკრეტულ ვითარებათა აღმწერ "სიუჟეტებზე" *პასუხების სისწორე-მცდარობას* ალტერნატივების მიმართ "რომელი უფრო სავარაუდოა?" დასმულ შეკითხვაზე რეაგირების საფუძველზე ვარკვევდით. პასუხების სისწორეში ცდისპირთა *დარწმუნებულობა* 5 საფეხურიანი სკალით გაიზომა. *საკონტროლო*

ჯგუფს შესასწავლი ცვლადების მანიპულაციის გარეშე, 3 თვის ინტერვალით, მხოლოდ 1 და 2 კრიტიკული ცდების მასალა მივაწოდეთ. ექსპერიმენტ'ში თბილისის ერთერთი უმაღლესი სასწავლებლის სხვადასხვა ფაკულტეტის (ინ-ფორმატიკის, ეკონომიკის, ჰუმანიტარული) 114 სტუდენტმა (61 მამაკაცი, 53 ქალი) მიიღო მონაწილეობა. ცალკეულ ცდათა სერია ჯგუფური წესით ჩატარდა. მიღებული მო-ნაცემები, როგორც ჯგუფთაშორისი, ასევე ჯგუფსშიდა სტატისტიკური წესით დამუშავდა.

მიღებული მონაცემების განხილვა

ა) პირველ რიგში იმ ემპირიულ შედეგს განვიხილავთ, რომელიც პირველ კრიტიკულ ცდაში მიწოდებულ დებუ-ლებზე სამივე ჯგუფის ცდისპირთა პასუხების პროცენ-ტულ მაჩვენებლებს ეხება. მონაცემები №1 ცხრილშია მოყვანილი. მაჩვენებელთა ურთიერთშედარება დამოუკი-დებელი შერჩევის სტატისტიკური წესის გამოყენებით განხორციელდა. ზოგადი შედეგი იმაზე მიგვითითებს, რომ ცდისპირთა 2/3-მა კოგნიტური შეცდომები დაუშვა. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს იმას, რომ არა მხოლოდ აბ-სტრაქტული, ფორმალური, არამედ ყოველდღიურ-ცხოვრე-ბისეული (კრიტიკულ ცდებში მხოლოდ ამგვარი ნიმუშე-ბია გამოყენებული) საკითხების შესახებ ცდისპირთა ალ-ბათური მსჯელობა, რბილად რომ ვთქათ, აშკარად მოი-კოჭლებს. კოგნიტური შეცდომების ყველაზე დიდი მაჩვე-ნებლები ცდისპირთა საკონტროლო ჯგუფში გამომჟღავ-ნდა. კოგნიტური შეცდომების შედარებით უფრო დაბალი

მონაცემები ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის წარმომადგენლებთან გვხვდება. ამავე დროს, საკონტროლო და სიტუაციაზე მიმართულ ჯგუფებში მიღებული მონაცემების შედარება გვიჩვენებს, რომ მათ შორის სხვაობა სტატისტიკურად უმნიშვნელოა. საგულისხმოა, რომ საკონტროლო და პერსპექტივაზე მიმართული ჯგუფების მაჩვენებელთა შორის დადგენილი ხსვაობა 32%-ს აღწევს, რაც სტატისტიკურად მნიშვნელობის მქონეა ($Z=6.27$, $P<0.01$). განსაკუთრებით საყურადღებოა შედეგი, რომელიც პერსპექტივაზე მიმართულ და სიტუაციაზე მიმართულ ჯგუფებში მიღებული მონაცემების შედარებას ეხება. ამ შემთხვევაში მაჩვენებელთა შორის დადგენილი სხვაობა 19%-ის ტოლია ($Z=4.31$, $P<0.01$), რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ეს შედეგი შემდეგზე მეტყველებს: მიუხედავად იმისა, რომ პერსპექტივაზე მიმართული ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი კოგნიტური შეცდომების "ტყვეობაში" იმყოფებოდა, ცდისპირეთა გარკვეულმა ნაწილმა, სიტუაციაზე მიმართული ჯგუფის წევრებთან შედარებით, "ამოცანა-დავალებების" სერიათა მიწოდების შედეგად სანდო ალბათური მსჯელობის გაუმჯობესების მიმართულებით გარკვეული წინსვლა გამოაჩინა.

ჯ გ უ ფ ე ბ ი	N	შეცდომები
პერსპექტივაზე მიმართული	38	55%
სიტუაციაზე მიმართული	38	74%
ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო	38	87%

ცხრილი №1. პირველ კრიტიკულ ცდაში გამოვლენილი კოგნიტური შეცდომების პროცენტული მაჩვენებლები

ბ) პირველ დიაგრამაზე გრაფიკულად გამოხატულია პერსპექტივაზე და სიტუაციაზე მიმართულ ჯგუფებში მიღებული ის მონაცემები, რომლებიც ალბათურ შეფასებებსა და იმპლიციტურ დასწავლას შორის გამოვლენილ კავშირს ეხება. აღსანიშნავია, რომ აქ გათვალისწინებულია ექსპერიმენტის ცალკეულ ცდათა სერიებში მიღებული პასუხები. ექსპერიმენტული ჯგუფების წევრთა პასუხების საერთო რაოდენობა (კრიტიკული ცდების გამოკლებით) 836-ს (76 •11) უდრიდა. მიღებული ზოგადი რეზულტატი იმას გვიჩვენებს, რომ ექსპერიმენტულ ჯგუფებში შეცდომათა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება არ მომხდარა. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპლიციტური დასწავლის თვალსაჩინო ეფექტი არ გამოვლინდა.



დიაგრამა №1. ალბათურ შეფასებებსა და იმპლიციტურ დასწავლას შორის გამოვლენილი კავშირი პერსპექტივაზე და სიტუაციაზე მიმართული ჯგუფების გათვალისწინებით.

ამავე დროს, დიაგრამაზე გამოსახულ ორ მრუდს შორის გარკვეული კონფიგურაციული განსხვავება მაინც

შეიმჩნევა: სიტუაციაზე მიმართული ჯგუფის წევრებთან შედარებით, პერსპექტივაზე მიმართული ჯგუფის წარმომდგენელთა მიერ დაშვებული შეცდომების მაჩვენებლებლები ნაკლებ ვარიაბელურია. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფში მცირედ გამოხატული კოგნიტური შეცდომების შემცირების გარკვეული ტენდენცია აღინიშნება. სავარაუდოა, რომ ამ ჯგუფების მაჩვენებელთა შორის ზემოთნახსენები მნიშვნელოვანი სხვაობა, ნაწილობრივ მაინც, იმპლიციტური დასწავლის ექსპერიმენტულმა მანიპულაციამ განაპირობა. მაგრამ, ვარაუდი ვარაუდად რჩება, რადგან ამ შემთხვევაში ექსპერიმენტულ კონტროლს დაუქვემდებარებელი სხვა პოტენციურად ზემოქმედი ფაქტორების გამორიცხვა, რასაკვირველია, შეუძლებელია. ამდენად, ამ ორი ჯგუფის მაჩვენებელთა შორის მხოლოდ გარკვეულ კონფიგურაციულ სხვაობაზე შეგვიძლია მივუთითოთ, ხოლო დასწავლის რეალური ეფექტის შესახებ, მონაცემები რაიმე დამაჯერებელს ნაკლებად გვეუბნებიან.

გ) მივმართოთ მონაცემებს, რომლებიც მე-2 ცხრილშია მოყვანილი. მასში პერსპექტივაზე და სიტუაციაზე მიმართულ ჯგუფებში მიღებული ის მონაცემებია მოყვანილი, რომლებიც ალბათურ შეფასებებსა და უკუკავშირის ფაქტორს შორის გამოვლენილ დამოკიდებილებას ეხებიან. ამ შემთხვევაში ცდისპირებს მხოლოდ "მშრალი" (ყოველგვარი დამატებითი ახსნის გარეშე ცდისპირებისთვის მიცემულ შეკითხვებზე მათი პასუხების სისწორის ან მცდარობის დაფიქსირება) ინფორმაცია მივაწოდეთ. ამ ცვლადის ექსპერიმენტული მანიპულაცია საკონტროლო ჯგუფში, რასაკვირეველია, არ მომხდარა. ცხრილში მოყ-

ვანილი მაჩვენებლები იმაზე მიგვითითებენ, რომ უკუკავშირის ფაქტორმა, სხვა ორი ჯგუფისგან განსხვავებით, სტატისტიკურად მნიშვნელობის მქონე ზემოქმედება პერსპექტივაზე მიმართული ჯგუფის ცდისპირებზე მოახდინა. კერძოდ, მეორე კრიტიკულ ცდაში, პირველთან შედარებით, მცდარი პასუხების რაოდენობა 29%-ით შემცირდა. სიტუაციაზე მიმართულ და საკონტროლო ჯგუფის მონაცემებს რაც შეეხება, ამ შემთხვევაში ცვლილება უმნიშვნელო აღმოჩნდა. ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ექსპერიმენტული ამოცანის (კრიტიკულ დებულებათა მართებულობის შეფასება და მათ შორის არჩევანის გაკეთება) შესრულების ქმედითობაზე არაექსპლიციტური უკუკავშირის გავლენა ცდისპირთა მიმართულობის რაგვაროობით არის გაშუალებული. უკუკავშირი მნიშვნელოვანი ეფექტის მომხდენი იმ ვითარებაშია, როდესაც სუბიექტის გარკვეული მოქმედებიდან (სწავლის პროცესი) მისთვის სასურველი შედეგი (გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღება) ინსტრუმენტულ ("ამოცანა-დავალების" შესრულება) დატვირთვას იძენს.

ჯ გ უ ფ ე ბ ი	N	I კრიტიკული ცდა	II კრიტიკული ცდა	Z	P
პერსპექტივაზე მიმართული	38	55%	26%	2.20	< 0.02
სიტუაციაზე მიმართული	38	74%	66%		
საკონტროლო	38	87%	82%		

ცხრილი №2. პირველ და მეორე კრიტიკულ ცდებში გამოვლენილი კოგნიტური შეცდომების პროცენტული მაჩვენებლები უკუკავშირის გათვალისწინებით

დ) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოელენათა შორის არსებულ მიმართებათა (მიზეზშედეგობრივი, ატრიბუციული, აუცილებელი, შემთხვევითი) შესახებ ალბათური მსჯელობის პროცესში სუბიექტის დარწმუნებულობის ხარისხი არსებით როლს თამაშობს. ეს იმაში გამოიხატება, რომ ის ფსიქიკური აქტივობისა და რეალური ქცევის დიდი წონის მქონე მარეგულირებელი ფაქტორია. სწორედ ამიტომაა მისი, როგორც დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადის ექსპერიმენტული შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანი. დარწმუნებულობას, ალბათური მსჯელობის სანდოობასა და უკუკავშირს შორის ერთიერთმიმართების ამსახველი მონაცემები მე-3 ცხრილშია მოყვანილი. მიღებული შედეგი შემდეგს გვიჩვენებს. პერსპექტივაზე და სიტუაციაზე მიმართული ჯგუფების მაჩვენებლებს (საკონტროლო ჯგუფის მონაცემები ამ უკანასკნელის იდენტურია) შორის განსხვავება სტატისტიკურად დამაჯერებელია ($d = 0.54$, სადაც $t = 3.60$, $p < 0.01$). ეს იმის მანიშნებელია, რომ აქ უკუკავშირის გარკვეულ ეფექტთან გვაქვს საქმე. ისევე, როგორც ალბათურ მსჯელობათა სისწორის შემთხვევაში, ამ ფაქტორის როლი დარწმუნებულობის დეტერმინაციაში ცდისპირთა პერსპექტივაზე და სიტუაციაზე ორიენტაციის თავისებურებით განისაზღვრა. თუ მონაცემებს მათი დინამიკის (მაჩვენებლების ჯგუფსშიდა წესით შედარება) თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ შემდეგი უნდა ითქვას: სიტუაციაზე მიმართული ჯგუფის პირველ და მეორე კრიტიკულ ცდებში მიღებულ მაჩვენებლებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა ($d = 0.36$). პერსპექტივაზე მიმართულ ჯგუფს რაც შეეხება, ამ შემთხვევაში

მეორე კრიტიკულ ცდაში მცდარი პასუხების სიმცირე სწორ პასუხებთან მათი შედარების საშუალებას გამორიცხავდა. ხაზგასასმელი ის გახლავთ, რომ უშვებენ რა ორივე ექსპერიმენტული ჯგუფების ცდისპირები შეცდომებს, მათი დარწმუნებულობის ინტენსივობა თვისებრივი ბუნების შინაარსულ დატვირთვას იძენს. კერძოდ, სიტუაციაზე მიმართული ცდისპირები (იგივე ითქმის საკონტროლო ჯგუფის შესახებ), პერსპექტივაზე ორიენტირებული ცდისპირებისგან განსხვავებით, საკუთარი პასუხების სისწორეში უფრო მეტად არიან დარწმუნებულები, რაც აშკარად ჭარბი დარწმუნებულობის (თვითდაჯერებულობის) ეფექტის გამომხატველია. ამ ჯგუფის წევრები კრიტიკულ ცდებში მიწოდებულ კონიუნქციურ დებულებას სრულიად "უკრიტიკოდ", ფაქტობრივად, უშუალო აღქმის დონეზე აფასებენ, რაც უამრავი კოგნიტური შეცდომების განმაპირობებელია.

	I კრიტიკული ცდა			II კრიტიკული ცდა		
ჯგუფები	n	M	SD	n	M	SD
პერსპექტივაზე მიმართული	21	3.10	0.59	11	2.80	1.00
სიტუაციაზე მიმართული	28	3.64	0.80	25	3.28	0.77
საკონტროლო	33	3.63	0.42	31	3.36	0.79

ცხრილი №3. პირველ და მეორე კრიტიკულ ცდებში გაცემული პასუხების მართებულობაში დარწმუნების მაჩვენებლები უკუკავშირის გათვალისწინებით (იხ. მომდევნო გვერდზე).

ე) აქამდე ჩვენი განხილვის საგანი კოგნიტური შეცდომებისა და დარწმუნებულობის ეფექტები გახლდათ. ალბათური მსჯელობის თავისებურებათა დასადგენად,

აგრეთვე, საკუთრივ სწორი და მცდარი პასუხების ურთიერთშედარების საფუძველზე მათი თვისებრივი მახასიათებლების გათვალისწინებაა საჭირო. იმის გამო, რომ სიტუაციაზე მიმართულ ცდისპირთა ჯგუფში სწორი პასუხების რაოდენობა (მხედველობაში გვაქვს ორივე კრიტიკული ცდა) მცირე აღმოჩნდა, ამიტომ მათი შინაარსეული სპეციფიკის შესახებ რაიმეს თქმა ძნელია. ამის შესაძლებლობას მხოლოდ პერსპექტივაზე ორიენტირებული ჯგუფის ცდისპირთა მონაცემების გათვალისწინება გვაძლევს. პერსპექტივაზე ორიენტირებული ჯგუფის ცდისპირთა სწორ და მცდარ პასუხებში დარწმუნების მაჩვენებლებია მხედველობაში მიღებული. მოპოვებული შედეგის თანახმად, რეაგირების ამ ორი ფორმის საშუალო მაჩვენებლებს შორის სხვაობა (d=0.68) სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. სწორი პასუხების გამცემმა ცდისპირებმა, მცდარი პასუხების მქონე ცდისპირებისგან განსხვავებით, ნაკლები დარწმუნებულობა გამოამჟღავნეს. კრიტიკულ ცდებში დებულებათა შეფასების დროს – მათ მეტი "სიფრთხილე" გამოიჩინეს. რაც შეეხება იმ ცდისპირებს, რომლებმაც შეცდომები დაუშვეს, მათ, თავის მხრივ, საკმაო თვითდაჯერებულობა გამოავლინეს. შესაფასებლად მიცემული კონიუნქცური დებულება მათთვის X პიროვნების იმდენად ნათლად აღმწერი იყო, რომ საკუთარი პასუხების სანდოობაში მათ ეჭვი არ შეპარვიათ. ამდენად, ნათელია, რომ პერსპექტივაზე მიმართულ ჯგუფში ჭარბი დარწმუნებულობა სწორედ კოგნიტური შეცდომების დამშვები ცდისპირებისთვის იყო დამახასიათებელი. შეჯამე-

ბის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონაცემებმა შემდეგი გვიჩვენეს:

1. ზოგადი ცდისეული შედეგი, რომელშიც ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების ერთობლივი მონაცემებია გათვალისწინებული იმაზე მეტყველებს, რომ არა მხოლოდ განყენებული, არამედ კონკრეტული შინაარსით დატვირთული ყოველდღიურ-ცხოვრებისეული საკითხების შესახებ ცდისპირების ალბათური მსჯელობა აშკარად ნაკლოვანი აღმოჩნდა.

2. პირველივე კრიტიკულმა ცდამ გვიჩვენა, რომ სიტუაციაზე მიმართული და საკონტროლო ჯგუფის ცდისპირებთან შედარებით პერსპექტივაზე მიმართული ჯგუფის წევრებმა მნიშვნელოვნად ნაკლები კოგნიტური შეცდომები დაუშვეს. გარდა ამისა, იმპლიციტური დასწავლის პირობებში მიმდინარე ალბათურმა მსჯელობამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ვერ განიცადა. ამავე დრის, საგულისხმოა, რომ სიტუაციაზე მიმართულ ცდისპირებთან შედარებით, პერსპექტივაზე მიმართული ცდისპირების მაჩვენებლები ნაკლებ ფლუქტუაციას განიცდიან, რაც ამ ჯგუფის წევრების სააზროვნო აქტივობის გარკვეულ სიმყარეზე მიგვანიშნებს.

3. უკუკავშირის ზემოქმედების შედეგად პერსპექტივაზე მიმართულ ჯგუფში კოგნიტური შეცდომების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რასაც ვერ ვიტყვით სიტუაციაზე მიმართული ჯგუფის შესახებ. ეს შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ ალბათური მსჯელობის ქმედითობაზე უკუკავშირის გავლენა სუბიექტის მიმართულობის ფაქტორით იყო გაშუალებული. კერძოდ, მისი ეფექტი მა-

შინ მჟღავნდება, როდესაც სუბიექტი აცნობიერებს იმას, რომ მის რეალურ ქცევას ("ამოცანა-დავალების" შესრულება) მიზნის მიღწევაში (გამოცდის ჩაბარება) ინსტრუმენტული ღირებულება გააჩნია.

4. დარწმუნებულობასთან დაკავშირებულ პირველ და მეორე კრიტიკულ ცდებში მიღებული მონაცემების თანახმად სტატისტიკურად სანდო განსხვავება პერსპექტივაზე მიმართული და სიტუაციაზე მიმართული ჯგუფების მაჩვენებლებს შორის დასტურდება. სიტუაციაზე მიმართულმა ცდისპირებმა, პერსპექტივაზე მიმართულ ცდისპირებთან შედარებით, საკუთარი პასუხების სანდოობაში უფრო დიდი დარწმუნება გამოავლინეს, რაც ჭარბი დარწმუნებულობის, ანუ თავდაჯერებულობის ეფექტის მაჩვენებელია. სავარაუდია, რომ ამ შემთხვევაში გარკვეული წვლილი უკუკავშირის ფაქტორმა შეიტანა. რაოდენობრივ მხარესთან ერთად, ნიშანდობლივია თვისებრივი ასპექტიც: სიტუაციაზე მიმართული ჯგუფის წარმომადგენლებმა კრიტიკულ ცდებში მიწოდებული კონიუნქციური დებულება უშუალო პერცეპტული აქტივობის დონეზე შეაფასეს, რამაც კოგნიტური შეცდომები წარმოქმნა.

დაბოლოს, ზემომოყვანილ ექსპერიმენტულ მონაცემებთან დაკავშირებით მნიშვნელობის მქონედ შემდეგის აღნიშვნა მიგვაჩვნია. კრიტიკულ ცდებში გამოყენებულ კონიუნქციურ დებულებათა შეფასებებში ცდისპირთა მიერ დაშვებული კოგნიტური შეცდომები იმდენად ითვლება მცდარად, რამდენადაც ისინი არღვევენ ნორმატიული თეორიის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომლის თანახმად, ორი გაერთიანებული მოვლენის ხდომილობის ალბათობა,

ცალკ-ცალკე აღებულ ამ მოვლენათა ხდომილობის ალბათობას არ შეიძლება აღემატებოდეს. კოგნიტური შეცდომების შესახებ მსჯელობა მხოლოდ ამ პრინციპთან მიმართებაშია შესაძლებელი და გამართლებული. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ხაზგასასმელი შემდეგია: კონიუნქციური დებულებისთვის ("X ბანკის მოლარეა და ფემინისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე") უპირატესობის მინიჭება, რაც კოგნიტურ შეცდომად ითვლება, თვით ამ დებულების ფსიქოლოგიური თავისებურებით არის განპირობებული. მისი სპეციფიკა მთლიანობით დებულებასთან ("X ბანკის მოლარეა") შედარებაში ვლინდება. ის იმაში მდგომარეობს, რომ, ცდისპირებისთვის წინასწარ მიცემულ X-ის აღმწერ ინფორმაციას ეს დებულება სუბიექტურად, "აშკარად" უფრო შეესატყვისება, და დახასიათებული ადამიანის ტიპურობის გამომხატველია. ნათელია, რომ სწორი პასუხის გაცემა და მასში მეტი დარწმუნებულობის უზრუნველყოფა მოვლენათა შორის არსებულ მიმართებათა გაცნობიერების სათანადო დონეს მოითხოვს. ჰიპოთეზური დაშვების თანახმად, ამგვარი მსჯელობა შემდეგნაირად უნდა წარიმართოს: "X-ის, როგორც ფემინისტი ბანკის მოლარეობა, მისი მხოლოდ ბანკის მოლარეობასთან შედარებით, ნამდვილად არ არის უფრო მეტად მოსალოდნელი, ხოლო დებულებათა შეფასება მხოლოდ ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს". თუ რამდენად მსჯელობდა ამგვარად ჩვენი ცდისპირთა უმრავლესობა, ეს მიღებულმა მონაცემებმა ნათლად გვიჩვენეს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალბათური მსჯელობა, ჩვე-

ულებრივ, მკაცრი ლოგიკური თანამიმდევრობით არ მიმ-
დინარეობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გან-
ხორციელება შეუძლებელია, რადგან სათანადო წინაპი-
რობათა შექმნამ დადებითი შედეგი უნდა მოგვცეს. ამავე
დროს, სიძნელე იმაშია, რომ განუსაზღვრელობის პირო-
ბებში თვისებრივ მოვლენებს შორის არსებულ მიმართე-
ბათა სუბიექტური შეფასების გარდა რაიმე ალტერნატიუ-
ლი საშუალებები არ გაგვაჩნია. მაგალითად, მყარ, სტა-
ციონალურ ვითარებებში სიხშირეთა განაწილების სა-
ფუძველზე მოვლენათა ხდომილობის ობიექტურ ალბათო-
ბას ვითვლით. ამისგან განსხვავებით, ისეთი რომელობი-
თი ბუნების მქონე პიროვნული და სოციალური შინაარ-
სით დატვირთული მოვლენების, ვთქვათ, განსასჯელის
მიერ საკუთარი საქციელის მონანიების, საქმეში ჩადე-
ბულ ინვესტიციათა გამართლების, ომის უეცარი დაწყე-
ბის შესაძლებლობათა შესახებ ალბათობების დადგენის
ობიექტური კრიტერიუმები არ არსებობს. ამავე დროს
ისიც უდავოა, რომ ალბათური აზროვნება გადაწყვეტი-
ლებათა მიღებისა და მიზანდასახული ქცევის არსებითი
მადეტერმინირებელი ფენომენია. სწორედ ამიტომ მისი გა-
უმჯობესების საშულებათა კვლევა-ძიება მომავალშიც აქ-
ტუალურ პრობლემად დარჩება.

ზოგადი დასკვნა

ალბათური აზროვნების შესწავლის აქტუალობა არა
მხოლოდ დედუქციურ და ინდუქციურ მსჯელობათა მი-

მართების შესახებ თეორიულ დისკუსიაში მეღავნდება, არამედ ის ინტენსიური ემპირული კვლევის საგანია, ხოლო მიღებული მონაცემების სათანადო გააზრება, თავის მხრივ, არანაკლებ კამათს იწვევს. მკვლევართა შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მათი ერთიანი პოზიცია შემდეგში გამოიხატება: ადამიანის მიერ მსჯელობათა ამ ფორმების გამოყენებით, ფსიქიკური მექანიზმების ფუნქციონირების თვალსაზრისით, მოვლენათა ურთიერთმიმართების შესახებ არგუმენტაციასა და შეფასებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დასტურდება. ხოლო მისი შემეცნებითი აქტივობის რაციონალობა-ირაციონალობას რაც შეეხება, ეს ის საკითხია, რომელიც ნამდვილად "ლოდი შებრკოლებისა" გახლავთ. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შემდეგია: ფორმალურ-ნორმატიულ პრინციპებზე დამყარებული აზროვნება თავისი ბუნებით "რაციონალურია" (ლოგიკურია), ხოლო ფსიქიკური მექანიზმებით განსაზღვრული აზროვნება, არსებითად, "შეზღუდული რაციონალობით" ხასიათდება. აზროვნების პირველი ფორმა საკუთარი მოქმედების პროცესში ადამიანის მიერ ფორმალურ ლოგიკაში და ალბათობათა თეორიაში არსებული ნორმატიული პრინციპების უპირატეს გამოყენებას გულისხმობს.

აზროვნების მეორე სახე სუბიექტის ისეთი აქტივობის წარმართვას ვარაუდობს, რომელიც უპირატესად მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და დასახული მიზნების მიღწევას განაპირობებს. ისიც საგულისხმოა, რომ შეზღუდული რაციონალობის ასპექტით ალბათური მსჯელობების განხილვა მოქმედი სუბიექტის როგორც მისი

მოთხოვნილებების და მიზნების, ასევე მისი სხვადასხვაგვარი ფსიქიკური მექნიზმების (მაგალითად, რეპრეზენტატულობის და ხელმისაწვდომობის ევრისტიკების ფუნქციონირება) გათვალისწინებას მოითხოვს. გარდა ამისა, ამგვარი აზროვნების რაციონალური მხარის სრულყოფილი დახასიათება არა მხოლოდ მის პროცესუალურ (პასუხი შეკითხვაზე "როგორ"), არამედ, მის დანიშნულებას და ღირებულებას (პასუხი შეკითხვაზე "რისთვის") უნდა ეხებოდეს. ალბათური მსჯელობის ორგანულ ნაწილს მასში სუბიექტის დარწმუნებულობა წარმოადგენს. განუსაზღვრელობის პირობებში მოცემულ ალტერნატივათა შორის არჩევანი იმ ვარაუდის სანდოობით განისაზღვრება, რომელიც სუბიექტს მათგან გამომდინარე შედეგების მიღების შესაძლებლობათა მიმართ გააჩნია. ადამიანთა მიერ მსჯელობაში და შეფასებაში გამოვლენილი დარწმუნებულობის ხარისხი სუბიექტური ალბათობის სახით უნდა გავიაზროთ. ადამიანთა ქცევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი მიზანდასახულობა გახლავთ. ამგვარი ქცევის განხორციელება სუბიექტის მიერ მომავლის, პერსპექტივის გათვალისწინებას გულისხმობს. გარდა ამისა, ის მოტივაციური მუხტის შემცველ მდგომარეობას წარმოადგეს. იმის გამო, რომ აწმყოში მიმდინარე ქცევა ზოგადი მიზნის მიღწევის საშუალებაა, სუბიექტის მიერ ამ ინსტრუმენტული კავშირის გაცნობიერება, თავის მხრივ, იმავე აქტუალური ქცევის მარეგულირებელ ფაქტორად გვევლინება. ჩვენს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში დამოუკიდებელ ცვლადებს პერსპექტივაზე და სიტუაციაზე ადამიანის მიმართულობა, იმპლი-

ციტური დასწავლა და არაექსპლიციტური უკუკავშირი წარმოადგენდა, ხოლო დამოკიდებული ცვლადები მოცემული ალტერნატივების შეფასება და მათ შორის არჩევანის გაკეთება გახლდათ. მიღებულმა მონაცემებმა შემდეგი გვიჩვენეს: გამოკვლეულთა დიდი უმრავლესობის ალბათური მსჯელობა აშკარად "უხარისხო" იყო, რამაც მრავალი კოგნიტური შეცდომები განაპირობა. ალბათურ მსჯელობებზე ნათელი და დამაჯერებელი ეფექტი ორგვარი ორიენტაციის შემთხვევაში გვხდება: პერსპექტივაზე მიმართულმა სუბიექტებმა, სიტუაციაზე მიმართულებთან შედარებით, თავიდანვე მნიშვნელოვნად ნაკლები კოგნიტური შეცდომები დაუშვეს, ხოლო უკუკავშირის მიღების შემდეგ, მათ მიერ გაცემული სწორი პასუხების რაოდენობაც თვალსაჩინოდ გაიზარდა. დარწმუნებულობას რაც შეეხება, პერსპექტივაზე მიმართულმა სუბიექტებმა გარკვეული "სიფრთხილე და ზომიერება" გამოიჩინეს. ამას ვერ ვიტყვით სიტუაციაზე მიმართული სუბიექტების შესახებ, მათ თავისი მცდარი პასუხების მართებულობაში ჭარბი დარწმუნებულობა გამოავლინეს, რაც ე.წ. კოგნიტური "ილუზიის" გამომხატველია. ალბათურ მსჯელობასთან იმპლიციტური დასწავლის კავშირს რაც შეეხება, მეორის პირველზე დამაჯერებელი ზემოქმედების ეფექტი არ დადასტურდა. კვლევის მეთოდოლოგის თვალსაზრისით, ნიშანდობლივი შემდეგია: განუსაზღვრელობის შესახებ მსჯელობათა სანდოობის დამდგენი კრიტერიუმი სუბიექტური ალბათობის სახით გვეძლევა, რომელსაც შეფასებითი მსჯელობის საფუძვლად მდებარე ობიექტურ ეტალონად (კრიტერიუმად) ნამდვილად ვერ ჩავთლით.

ამავე დროს, განუსაზღვრელობის ვითარებაში პიროვნული და სოციალური მნიშვნელობის მქონე მოვლენების შესახებ მსჯელობა სუბიექტურ ალბათობათა გამოყენების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, მომავალი კვლევა-ძიება მის გამზომ საშუალებათა დახვეწის მიმართულებით უნდა წარიმართოს.

ლიტერატურა

1. Spear, P., Penrod,S., Baker, T. Psychology: Prespeqtives on behavior. Jhon Willey and Sons, N.Y.,1988.
2. Clark, D., Clark, E. Psychology and Lenguage. N.Y: Harcout, Brace, Jovanovich,1977.
3. Anderson, J.Cognitive psychology and its implicatons. N.Y:Freemen, 1972.
4. Rips, L. Reasoning. Annual Review of Psychology,1900,41,321-353.
5. უზნაძე, დ. ცნების შემუშავება სკოლის წინარე ასაკში. შრომები, ტ.1, 1956.
6. ნათაძე, რ. ცნების შემუშავების ორი გზა. "ფსიქოლოგია", ტ. X, 1959.
7. ნადირაშვილი, შ. განზოგადების განვითარება სასკოლო ასაკის ბავშვებში. თბილისი, 1963.
8. რამიშვილი, დ. მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის. თბილისი,1968.
9. აბაშიძე, თ. საზროვნო ამოცანის გადაჭრა, როგორც განწყობის დიფერენციაციის პროცესი. " თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები". თბილისი, 2001.
10. ჩარკვიანი, დ. სემანტიკური ასიმეტრიის თავისებურება მსგავსებისა და განსხვავების დამდგენ მსჯელობათა შემთხვევაში. "მაცნე," 2004, 1, 154-159.
11. ვახანია, ზ. რაოდენობის ინტუიციური წვდომა. "მაცნე," 2005, 2, 58-73.
12. კენჭაძე, ნ. განზოგადების პრობლემა ცნების თანამედროვე თეორიებში. "მაცნე"2006, 2, 73-78.
13. ჩარკვიანი, დ. განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგიურირი თავისებურებები დ. კანემანისა და ე. ტვერსკის მიხედვით. "ეპოქა," 2004, 4, 87-95.

14. ჩარკვიანი, დ. ალტერნატივებისადმი უპირატესობის მინიჭების ალბათურ-დინამიკური კომპონენტები. "მაცნე," 2006, 2, 120-130.
15. Holyoak, K, Speelman, B. Thinking. Annual Review of Psychlogy. 1993, 44, 625-315.
16. Rips, L. Reasoning. Annual Review of Psychogy,1900, 41, 321-353.
17. Wason, P. Reasoning. In: B. Ross (ed.): New horizons in psychology 1966, 1, 135-151.
18. Evans, J., Newstead, S., Byrn,R. Human reasoning. In: The psychology of deduction. Hove, England, Erbaum,1993.
19. Jhonson-Leard, P., Logrenzi, P., Logrenzi, M. Reasoning and sans of reality. British Journal of Psychology, 1972, 63,395-400.
20. უზნაძე, დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1998.
21. Khaneman, D., Slovc, P., Tversky,E. Judgment under uncertainty: Heuristics and biases. Cambridge, Univerity Press, 1982.
22. Tversky, E., Khaneman, D. Extensional w.s. intuitive reasoning: The conjunction fallacy in probability judgment. Psychological Review, 1983,91, 293-315.
23. Simon, H. Models of man.N.Y.: Wiley, 1957.
24. ჩარკვიანი, დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, "ენა და კულტურა", 2004. (5-ე თავი).
25. ჩარკვიანი, დ. კვალიფიკაციის ამაღლებას, ბიბლიოთეკაში მისვლასა და სხვადასხვა სახის ლიტერატურის კითხვას შორის ფსიქოლოგიური კავშირის შესახებ. "მაცნე," ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, 1982, 1, 13-20.
26. Locke, E., Shaw, K., Saari, L., Lathem, G. Goal setting and task performance; 1969- 1980. Psychological Bulletin, 1981, 90, 129-152.
27. ჩარკვიანი, დ. ცნობიერების დავიწროების მოტივაციური მახასიათებლები. ფსიქოლოგიური გამოკვლევები. ბათუმი, "ბათუმის უნივერსიტეტი," 2006, 207-215.
28. ჩარკვიანი, დ. სწავლის ეფექტურობის შემეცნებით-მოტივაციური პრედიქტორები. "მაცნე," 2003, 1, 123-129.
29. Khlstrom, J. The cognitive unconscious. Science, 1992, 1445-1452.
30. Ulman, J., Bargh, J. (ed). Unitnended Though. NY.: Guilford Press, 1989.
31. Ребер, А. Большой толковый психологичекий словарь. М. 2003.
32. Wilson, T., Schooder, J. Thinking too much: introspection can reduce the causality of preferences and decisions. Journal of Personality and Social psychology , 1991, 60, 181-192.

33. Levicky, P. Unconscious. Social information processing. N.Y.: Academic Press, 1989.
34. Козелецкий, Ю. Психологическая теория решений. Москва, 19789.
35. ჩარკვიანი, დ. ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში. თბილისი, 2001.

„საქართველოს ფსიქოლოგიის *მაცნე*". თბილისი, 2008, №1. (დ. ძიძიგურთან თანაავტორობით).

ДАВИД ЧАРКВИАНИ

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ И МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ ИССЛЕДОВАНИЯ ПСИХИЧЕСКИХ ЯВЛЕНИЙ

(на грузинском языке)

Издательство «Универсали»
Тбилиси 2009

გამომცემლობის რედაქტორი:

კომპიუტერული უზრუნველყოფა
აკაკი ჭილიტაშვილისა

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@Internet.ge